

**იური გავისონია**

**ნაზიც მსაჯულთა,  
მაგისტრატთა და მომრიგებელი  
სასამართლოები**

გამომცემლობა „პერიდიანი“  
თბილისი 2008

ნაშრომში, საქართველოში პირველად, მონოგრაფიულად, შედარებითი, სტრუქტურული და სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენებით, რეტროსპექტივაშია განხილული ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტები, რომლებიც (თუ არ ჩავთვლით ცარისტული რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის გარკვეულ პერიოდში მომრიგებელ მოსამართლეთა გაუკუღმართებული ფორმით ფუნქციონირებას და 1919-1921 წლების საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „იშვიათი ნაირსახეობის“ ერთობ ფიქტიურად შემოღებას მაზრებში) აქამდე უცხო იყო ქართული კანონმდებლობისა და, შესაბამისად, სასამართლო სისტემისათვის. განსაკუთრებით გამოწვლილვითაა განხილული ნაფიც მსაჯულთა უნიკალური, ამასთან, ურთულესი, წინააღმდეგობრივი ინსტიტუტი, რომელიც ამჟამად მსოფლიოს დაახლოებით 25 ქვეყანაში ფუნქციონირებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით. მოცემულია ამ ინსტიტუტთა პრეისტორია, ტრანსფორმირების ტენდენციები, თანამედროვე სტატუს-კო (ორგანიზაცია, სტრუქტურა, განსჯადობა, პროცედურები და ა.შ.) და სამომავლო პერიპეტები. ამასთან, ისინი წარმოდგენილია თანამედროვე სასამართლო სისტემათა ფარვატერში, შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს პრეცედენტული სამართლის დებულებათა ფონზე.

მონოგრაფიაში პირველად არის გაანალიზებული ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატ მოსამართლეთა ინსტიტუტების სამომავლო თუ უკვე არსებული ქართული ვარიანტები (მოდელები), მათ შორის ახალი სსსკ-ის პროექტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შედარებითი ანალიზისა და კომენტირების წესით, რაც მას, თეორიულ-კვლევით და პედაგოგიურ-სასწავლო დანიშნულებასთან ერთად, უდავოდ ანიჭებს სოლიდურ პრაქტიკულ ღირებულებას სასამართლო და საგამომძიებო-საპროკურორო მუშაკებისათვის, ადვოკატებისათვის, აგრეთავე შესაბამისი პრობლემატიკით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

**რედაქტორი:** რევაზ გოგშელიძე, სამართლის დოქტორი, თსუ სისხლის სამართლის პროცესის მიმართულების სრული პროფესორი

**რეცენზენტები:** აპოლონ ფალიაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ირინა აქუბარდია, სამართლის დოქტორი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2008

© ი. გაბისონია

ISBN 978-99941-10-009-3

მშობლების - ვლადიმერ (ლადი) გაბისონიასა და ცუცა ნაჭყეხიას, უახლოესი წინაპრების - ივანე გაბისონიას, ელენე (ელე) ნანაფას, ანდრია ნაჭყეხიასა და მატრონა (მატრო) გოგუას, მარადისობაში დაგანებული სხვა ახლობელი ადამიანების ნათელ ხსოვნას!..

... ისინი ფიცის გარეშეც შესანიშნავი მსაჯულნი იქნებოდნენ, რამეთუ ადამიანური საქმეების ზედმიწევნით კეთილსინდისიერად, ძველქართული - კოლხურ-ლაკადური! - თავგამოდებით ქმნა-მოღვაწებაში დამაშვრალი წესიერი, გონიერი ადამიანები და ღირსეული მოქალაქენი იყვნენ - აკი, ამიტომაც უწოდებიათ ძველ დროში მათგან „გაბი“-გვარის წინაპართვის „შეკანონე, მენამუსე, მენცარი“!..

ავტორი

- როგორი განსჯითაც განსჯით, იმნაირითვე განისჯებით, და რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით თქვენ“.

(მათე, 7,2; მარკოზი, 4,24; ლუკა, 6, 38).

- სიმართლისა და სამართლის ქმნა მსხვერპლზე უფრო სასურველია უფლისათვის.

(ძველი აღთქმა. იგავნი სოლომონისა, 21,3).

- ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.

შოთა რუსთაველი

- მოსამართლისთვის „ისე კანონის ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ზალხის აზროვნებისა, ზალხის ზნისა, ჩვეულებისა და, ამასთანავე, საკუთრივ კაცსა ჰქონდეს გამჭირახი გონიერება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება“.

ილია ჭავჭავაძე

- ცნობები საუკეთესო წესების შესახებ, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ სისხლის სამართალწარმოებისას, კაცობრიობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მთელს დედამიწაზე.

შარლ ლუი მონტესკიე

- Impuris manilus nemo accedat curiam  
„დაე, ნურავინ მიუახლოვდება სასამართლოს ბინძური ხელებით“.

ლათინური შეგონება

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, როგორც თვით-მყოფადი, „თვითკმარი“ ინსტიტუცია, გვაქვს მხოლოდ იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც არსებობს ორი, ერთმანეთისაგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი, ფუნქციურად ავტონომიური ნაწილისაგან (ელემენტისაგან, კომპონენტისაგან) შემდგარი სასამართლო წარმონაქმნი, რომელთაგან სპეციფიკური (მეტიც, უნიკალური!) ანუ არაპროფესიონალური ნაწილი — ნაფიც მსაჯულთა ჟიური (კოლეგია, შემადგენლობა), მეორე ნაწილისაგან — პროფესიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, მისი მონაწილეობის გარეშე, ვითარცა *Forum consentiae* („სინდისის სასამართლო“), თავის რწმენისამებრ წყვეტს ფაქტის (უწინარესად, განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის, აგრეთვე „მიმდებარე“ ანუ მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ) საკითხებს. სამართლის ყველა (მათ შორის და უმთავრესად — სასჯელის დანიშვნის) საკითხს კი წყვეტს პროფესიონალი მოსამართლე — ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ეს არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ოქროს წესი“, ცენტრალური პარადიგმა, რომლის დარღვევა-იგნორირება, ცალკეულ საგამონაკლისო, ტრადიციისმიერ შემთხვევათა გარდა, უკვე მოასწავებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური თვითმყოფადობის არა ოდენ მეტ-ნაკლებად „უვნებელ“ თუ „მოსათმენ“ შელახვას, არამედ მის დე-იურე და დე-ფაქტო გაუქმებას — გადაზრდას თუ „გათქვამვას“ სხვა, „მომიჯნავე“ სასამართლო ინსტიტუტებში!..

ჩვენში არაერთგზის, ამასთან, მეტწილად პესიმისტურ ნოტაზე გაუღერებულ „საკრალურ“ კითხვაზე – „გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში?“ – ოპტიმისტური ანუ დადებითი პასუხის გაცემა, უწინარესად და უმთავრესად, დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ქვეყანაში:

– პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა ჯეროვანი კორპუსის ფორმირებას – ე.წ. თავდაპირველი (პირველადი) სიების ოპტიმალური კრიტერიუმებით და ორგანიზაციულად სწორად შედგენას და მათ პატიოსნად, ობიექტურად „გაფილტვრას“ სათანადო საბოლოო „საერთო სიების“ შედგენის მიზნით;

– კონკრეტული სასამართლოების მიხედვით, კონკრეტული საქმის განსახილველად გამოსაძახებელ კანდიდატთა კონტინგენტის შემთხვევითობის პრინციპით, კეთილსინდისიერად ამორჩევასა და, რაც მთავარია, მიუკერძოებელ (დაუინტერესებელ, განსახილველი საქმის გარემოებებზე არაინფორმირებულ...) ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობების („ყოურის“) ფორმირებას, უწინარესად კი მოტივირებული და არამოტივირებული აცილებების სათანადო პროცედურების შეუვალი სისტემის (ქმედითი მექანიზმების) შექმნასა და მათი შეუფერხებლად, რეალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

– ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობების წევრთა ნორმალურად უზრუნველყოფას ანაზღაურებით, მიმოსვლა-განთავსებით, სამუშაო პირობებით (სხდომათა

დარბაზებში თუ სათათბირო ოთახებში), საცნობარო-საგანმანათლებლო მასალებითა და კვალიფიციური კონსულტაციებით. ამასთან, რაც არანაკლებ მთავარია, მათი ნეიტრალიტეტისა თუ უსაფრთხოების (პირადი, ოჯახის, ქონების...) მაქსიმალურად დაცვას როგორც „შინაურთა“ (სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე – სხდომის თავმჯდომარე, სასამართლოს მოხელეები), ისე გარეშე სუბიექტების (პოლიცია-პროკურატურა, სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები თუ სტრუქტურები, პოლიტიკური ძალები, კლანური, ორგანიზებული თუ „ჩვეულებრივი“ კრიმინალიტეტი, განსასჯელი და მისი „გულშემატკივრები“ და ა.შ.) მხრივ რაიმე – პირდაპირი თუ არაპირდაპირი – ხელყოფისა თუ სხვაგვარი ზემოქმედებისაგან (ჩაგონება, გადაბირება, დაყოლიება, მოსყიდვა, მუქარა, შანტაჟი, სხვაგვარი იბულება). ცხადია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გონივრულად მოწყობილი, „ღრმად ეშელონი-რებული“ სისტემის (მექანიზმთა კომპლექსის) შექმნისა და მისი ეფექტიანად, სტაბილურად ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოებრივი ნებისა და საშუალებების უშურველად გაღების გზით!!

სხვაგვარად – ამ „სამერთიანი“ უძნელესი ამოცანების დემოკრატიულად, ცივილიზებულად გადაწყვეტის გარეშე – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სწრაფი დისკრედიტაცია და სრული კრახი, სამწუხაროდ, გარდაუვალია!!!.

Justitia regnorum fundamen-  
tum – მართლმსაჯულება სახელმ-  
წიფოს საფუძველია

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მყარად იცოდნენ, რომ სახელმწი-  
ფოს, როგორც „საერთო მართლწესრიგის“ (ციცერონი), ჯეროვანი  
პოლიტიკური მმართველობა აუცილებლობით გულისხმობს მმართვე-  
ლობას კანონის – ამ „გაწონასწორებული გონის“ (არისტოტელე)  
– და არა მმართველების (ადამიანების) მიერ. ამასთან, „გონიერული“,  
„კანონიერი“ და „სამართლიანი“ უნდა ემთხვეოდეს (sic!) ერთმანეთს  
(გავიხსენოთ ჰომეროსისეული „ჰაეროვანი“, მაგრამ მაინც თითქოსდა  
„ხელშესახები“ სამართლიანობა – დიკე!). კანონების სადარაჯოზე  
კი დგას მართლმსაჯულება, სასამართლო. პლატონს მიაჩნდა, რომ  
ყოველი სახელმწიფო წყვეტს სახელმწიფოდ ყოფნას, თუ მასში  
სასამართლო ჯეროვნად არ არის მოწყობილი [188, გვ. 36, 90].

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა – უსამართლო კანონებით,  
კანონ-სამართლის ფეხქვეშ გათელვით, მძლავრთა უსაზნო მძლავ-  
რობით, უკიდევანო ძალადობა-თვითნებობით, კვაზისასამართლოებით,  
მეტიც, ღმერთების, სარწმუნოებათა, სახელმწიფოებრივი, ეროვნუ-  
ლი, საგვარტომო თუ სათემო ინტერესების დაცვის ლოზუნგებით  
ჩატარებული გაუთავებელი რეპრესია-ინკვიზიციებით ერთიანად  
გაჯერებულმა!..

...ამჟამადაც, მეორე და მესამე ათასწლეულთა გასაყარზე, რაოდენ  
პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ადამიანები კვლავ მრავლად  
დაეძებნენ და მეტწილად ვერც პოულობენ ჰომეროსისეულ დიკეს  
თუ ვიქტორ ჰიუგოსეულ, „გავეროპულებულ“ სამართლიანობას,  
რომლის გარეშეც, ჰიუგოსივე მართებული აზრით, არ იქნება მშვი-  
დობა და ჰარმონია ადამიანთა სულეებში, ანუ, საბოლოო ანგარიშით,  
საზოგადოებაში!..

სამართლიანობის, სამართლიანი სასამართლოს, ადამიანის  
უფლებათა პრიორიტეტულობის პროგრესულ, „მოდურ“ იდეებს,  
უცხოთ ტოტალიტარული თუ კლანურ-დიქტატორული რეჟიმების



სახელმწიფოებისათვის, ცხადია, თავიანთ „დროშებზე წერენ“ მოწინავე თუ მეტ-ნაკლებად „ნორმალური“ სახელმწიფოები – მათ შორის გლობალიზაციის თანამედროვე წინააღმდეგობრივი, ყოვლისწამლევკავი, მაგრამ, ამასთან, ლოკალიზაციის დიამეტრულად საპირისპირო, არაიშვიათად „ეკლიანი“ თუ „ფეთქებადი“ ტენდენციით რამდენადმე შეკავებული პროცესის მომხრენიც!.. ოღონდ, მავანთ, არც თუ უსაფუძვლოდ, ეჭვვებათ, რომ სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობა და მისთანები მათ „ემეტებათ“ მხოლოდ ე.წ. „ოქროს მილიარდისთვის“. ანუ კაცობრიობის მდიდარი ნაწილისთვის, დანარჩენი 5 მილიარდი კი, უბრალოდ, ზედმეტია!.. მიუხედავად მოწინააღმდეგეთა მზარდი წინააღმდეგობისა, ეს „არაანტიკური“ სულისკვეთების პროცესი თუ ტენდენცია ჯერჯერობით, მართალია, ზიგზაგობრივად, მაგრამ მაინც განუხრელად მიიწევს წინ (რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდინიშნავს წინსვლას – გაუმჯობესების, უკეთესის მიღწევის გაგებით!..), ხოლო თუ როდის დადგება „გაჯერების მომენტი“, ჯერჯერობით არავინ იცის!.. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ასპექტში, ლაპარაკია ამ უფლებათა „... არა ინტერნაციონალიზაციაზე, არამედ ტრანსნაციონალიზაციაზე, მათი გლობალიზაციის პერსპექტივით“ [77, გვ. 256]. ამგვარ ტენდენციებს (ანტიკურ სამყაროში თითოეულ მათგანს, ალბათ, *Questio diabolica*-დ – „ეშმაკისეულ საკითხად“ მონათლავდნენ და სამართლიანდაც!..), სიმდიდრისა და, შესაბამისად, ხელისუფლების (ძალაუფლების!) მცირეთა ხელში კონცენტრაციისდაკვალად, მოაქვს არა მარტო სახელმწიფოთა შიგნით საზოგადოების, არამედ თვით სახელმწიფოთა და ხალხთა პოლარიზაცია, მით უმეტეს, რომ, ლორდი აქტონის ცნობილი სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ნებისმიერი ხელისუფლება ზრწნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება ზრწნის აბსოლუტურად“ [იქვე, გვ. 124]. ამგვარ მსოფლიოში კი, იმთავითვე, იმანენტურად ფერმკრთალდება სამართლიანობის იდეა – იგი, ისევე,

\* კერძოდ, მიაჩნიათ, რომ თანამედროვე პოლარიზებულ, ტრანსნაციონალიზებულ მსოფლიოში ოპტიმალური დასაქმებისთვის საჭირო და, შესაბამისად, ნორმალური ცხოვრების სახსრების მქონე ხალხის შეფარდება „ზედმეტ“ ხალხთან არის 20:80. აქედან 20% არის სწორედ „ოქროს მილიარდის“ ანუ მდიდართა შემადგენლობა, დანარჩენი 80% კი უნდა დაკმაყოფილდეს ტიტტივმენტით ანუ „საწოვარათი გართობით“ (ზიგნევე ბეზინსკის ტერმინია!). [222 გვ. 116].

როგორც მისი „რეალიზატორი“ სასამართლო ხელისუფლება (სა-სამართლო სისტემები), სულ უფრო რელატიური და ეფემერული ხდება — ლოგიკა და პრაქტიკა ამ ტენდენციის შეუქცევადობაზე (ყოველ შემთხვევაში, განვითარების ამ ეტაპზე) მეტყველებს! — განსაკუთრებით, დამნაშავეობის ასევე შემაშფოთებელი ტემპებით გლობალიზაციის, მისი ტრანსნაციონალური ორგანიზებულობის სულ უფრო მზარდი „გაფურჩქენის“ ფონზე!..

\* \* \*

ნებისმიერი, ასე თუ ისე „შემდგარი“ სახელმწიფოს სამართ-ლებრივი სისტემა\* კონსტრუირებულია ნორმატიული და სამართალ-დამცავი ორგანოების\*\* ქვესისტემებისაგან. ძალზე გამარტივებულად რომ წარმოვაჩინოთ, პირველი წარმოადგენს სამართლებრივ ნორ-მათა (დაწერილთა და დაუწერილთა) ერთობლიობას, რომელსაც ზოგჯერ, სიმარტივისათვის, „ნორმატიულ ბაზად“ მოიხსენიებენ. მეორე შედგება ამ „ბაზის“ საფუძველზე და მისი რეალიზაციის (სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულების) მიზნით შექმნილ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ საშუალებათა („მექანიზმთა“, „ინსტრუმენტთა“) ერთობლიობისაგან. თუ ამ უკანასკნელს განვიხი-ლავთ, როგორც სისტემას (ანუ, ფართო გაგებით, სამართალდაცვ-ასთან, სამართლის ნორმების შესრულებასთან თუ შეფარდებასთან დაკავშირებული მეტ-ნაკლებად სპეციალიზებული ორგანოების, უწყებებისა თუ სტრუქტურების ჯამის სახით), მაშინ სასამართლო (სასამართლოთა ერთობლიობა) შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მისი ქვესისტემა. თავის მხრივ, სასამართლოები ქმნიან სისტემას,


\* ტერმინი „სამართლებრივი სისტემა“ იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადად გამოიყ-ენება ორი მნიშვნელობით. პირველია, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეჩ დავიდისეული გაგება, რომელიც სამართლებრივ სისტემებს განიხილავს უფრო გლობალურად და განასხვავებს ან-გლოსაქსურ, რომანულ-გერმანულ, მუსულმანურ და ა.შ. სამართლებრივ სისტემებს [იხ. 31, აგრეთვე 117, გვ. 212-219 და სხვ.]. მეორე, უფრო ლოკალური გაგებით, იგი ნიშნავს ამა თუ იმ სახელმწიფოს ნორმატიული და სამართლებრივი ქვესისტემების ერთობლიობას — სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენება იგი, მაგალითად, ზოგიერთ ენციკლოპედიურ ნაშრომში [იხ. 270].

\*\* სამართალდამცავ ორგანოებში, ფართო გაგებით, ჩვენში, ტრადიციულად, გულისხმობენ სასამართლოებსაც [იხ. 100, გვ. 31-119], თუმცა არსებობს სხვა მიდგომებიც, რომლებიც უარყოფენ ამგვარ გადაწყვეტას. ამიტომ, ამ დავის თავიდან ასაცილებლად, აქ ოპერირებას ვახდენ ამ ცნების ფართო გაგებით, რომელიც სადაიოდ არ ხდის ტრადიციულ მიდგომას.

რომლის ქვესისტემად (ელემენტებად, რგოლებად, სტრუქტურებად) გვევლინება ცალკეული სასამართლოები (მათ შორის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მომუშავე, მაგისტრატა/მომრიგებელი და ა.შ.). ამავე წესით შეგვიძლია, თავის მხრივ, ამ ჯაჭვის პირველი რგოლიც – სამართლებრივი სისტემაც – განვიხილოთ როგორც „სისტემის ქვესისტემა“ (მთელის ნაწილი).

დამოკიდებულებათა ეს ჯაჭვი, გამარტივებულ სქემაზე, თვალსაჩინოებისთვის, შემდეგ სახეს მიიღებს (იხ. სქემა № 1):

სქემა № 1



სასამართლოები ქმნიან სამართალდამცავი ქვესისტემის ბირთვს, მის ცენტრალურ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს თუ სეგმენტს. ამასთან, თუ ამ ქვესისტემას წარმოვიდგენთ პირამიდის სახით, სასამართლო შეიძლება განხილულ იქნეს მის წვეროდ. ეს გარემოება, განპირობებული სამართალწარმოებაში სასამართლოთა „შემაჯამებელი“ თუ „დამავიკინებელი“ როლით, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი „არბიტრის“ ამპლუით, თავის მხრივ, განსაზღვრავს სასამართლოთა (მოსამართლეთა) მაღალ სახელმწიფო-სახელისუფლებო სტატუსს (რომელიც, საბოლოო ანგარიშით, ზოგჯერ ცალკე, დამოუკიდებელი, მესამე სახელისუფლებო შტოს ანუ სასამართლო ხელისუფლების რანგამდეც კი აღის), მათ ინსტიტუციურ თავისთავადობას (სახეს). ამ ასპექტში არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ნორმატიული სისტემა სამართალდამცავი სისტემის და, უწინარესად, სასამართლოს გარეშე „მკვდარია“, მეორე კი, ჯეროვნად „გაწერილი“ პირველის გარეშე, უკეთეს შემთხვევაში, უმაქნისია (არაეფექტიანია), უარესში კი – ზღვარდაუდებელ თვითნებობათა დაუშრეტელი „წყარო“, სოციალურ-პოლიტიკური ჭაობი, ანუ ჭეშმარიტი უბედურება ადამიანთა საზოგადოებისთვის!.. (ესეც კიდევ ერთი გამოვლინება ზემორე ხსენებული „ემმაკისეული საკითხისა“ ჩვენს რთულ დროში!..).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ნორმალური სახელმწიფოები პერმანენტულად და მიზანმიმართულად ზრუნავენ (უნდა ზრუნავდნენ!) ორივე ქვესისტემის თანაბარ, „სინქრონულ“ განვითარება-სრულყოფაზე. ამდენად, ცნობილი (პარადოქსული „სინჯის“) ფორმულები: „არაფერია მზის ქვეშ ახალი“ და, „სამართალი უნდა ვეძებოთ არა ნორმებში, არამედ ცხოვრებაში“, – ჭეშმარიტების მოზრდილი მარცვლების შემცველობის მიუხედავად, თანამედროვე დინამიურად განვითარებადი სამყაროს ამ ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სეგმენტში „სასინჯ ქებად“ სულაც არ გამოდგება!..

სასამართლო სისტემა, როგორც ცნობილია, შედგება როგორც ჰორიზონტალურად (ურთიერთდაუქვემდებარებლად), ისე ვერტიკალურად (ინსტანციურად) განფენილ სასამართლოთა თუ

სასამართლო სტრუქტურათა (დამოუკიდებელი, ანუ მეტ-ნაკლებად ავტონომიური იურისდიქციით) ერთობლიობისაგან. როგორც ერთ, ისე მეორე ჭრილში სასამართლოთა კვლევისას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეთოდის სწორად შერჩევას – ანალიზისა და სინთეზირებისადმი სისტემურ მიდგომას [312, გვ. 143, 313 გვ. 28]. ეს კი გულისხმობს სისტემის თითოეული ელემენტის (ნაწილის, „მდგენელის“, კომპონენტის) გამოწველივით ანალიზს – ცხადია, შედეგების შემდგომი სინთეზირებით. ნაშრომის პრობლემატიკის კომპლექსური (შედარებითი, ისტორიულ-„გენეტიკური“, ინსტიტუციური და ფუნქციონალურ-სტრუქტურული მეთოდებით) ანალიზისა და სინთეზირებისას [იხ. 117, გვ. 29-30] შესაძლებელი ხდება თითოეული ელემენტის ჭეშმარიტი როლისა და ადგილის დადგენა ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლო სისტემაში და უფრო გლობალური მასშტაბებითაც კი (ვთქვათ, ამა თუ იმ სამართლებრივი ოჯახისა თუ სისტემის ფარგლებში – რენე დავიდისეული გაგებით). ეს განსაკუთრებით ითქმის, ვთქვათ, ისეთ თვითმყოფად, ინსტიტუციურად მრავალმხრივ განკერძოებულ ფენომენზე, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, შედარებით ნაკლებად – მომრიგებელ იუსტიციაზე და ა.შ. სხვა სიბრტყეზე (ასპექტში) ყურადღებას იქცევს, ვთქვათ, ის გარემოება, რომ, სამართალწარმოების ფორმის სირთულის თვალსაზრისით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ორგანიზაციულადაც და პროცედურულადაც, სირთულის „მწვერვალია“ (ურთულესი, ხანგრძლივი და ძვირადღირებული ფორმია), ხოლო, ვთქვათ, მაგისტრატთა სასამართლო/მომრიგებელი იუსტიცია, პირიქით, ფაქტობრივად, უმარტივესი და უიაფესი. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ყოველთვის „ინტეგრირებულია“ რომელიმე რგოლში (ოლონდ, ცხადია, პირველი ინსტანციისაში), მაგისტრატთა და/ან მომრიგებელი სასამართლოები კი, მეტწილად, თვითონ ქმნიან დამოუკიდებელ სასამართლო რგოლს, ზოგჯერ კი სულაც „მონოპოლიზებული“ აქვთ პირველი ინსტანცია. პირველი (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო), პროცესის გართულების მრავალსაუკუნოვანი აღმავალი ტენდენციის პროდუქტი და კლასიკური ნიმუშია, მაგისტრატთა და მომრიგებელთა სასამართლოები კი, პირიქით –

მისი გამარტივების თანამედროვე, ასევე მზარდი უკუპროცესისა [26, გვ. 450-453].

აღნიშნულიდან, ვფიქრობ, აშკარაა, რომ ამ ნაშრომის თემატიკა აერთიანებს „პოლუსურ“ (სხვადასხვა პოლუსზე განფენილ) სასამართლო ინსტიტუტებს, რომლებიც, ამასთან, სრულიად „ახალი ხილია“ საქართველოსთვის – თუ არ ჩავთვლით მომრიგებელი მოსამართლის რუსულ ინსტიტუტს, (რომელიც, დაახლოებით ერთი საუკუნის წინ, ამასთან, ერთობ მცირე ხანს, ფუნქციონირებდა საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის პროვინციაში), აგრეთვე 1919-1921 წლებში საქართველოს ზოგიერთ მაზრაში შემოღებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „იშვიათ ნაირსახეობას“. უფრო ზუსტად, ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფორმატით უკვე რამდენიმე წელია ნორმატიულად შემოღებულია მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი, რომელიც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული, აქ კი შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ იგი წარმოდგენილია შეზღუდული კომპეტენციის მქონე, საუბნო წესით, რაიონული (სამოქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში მოქმედი სასამართლო „ჩინოვნების“ სახით. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, იგი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლში 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონით [იხ. სსმ, I, 2004 წ. №22, მუხ. 9] დამატებული მე-5 პუნქტით. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ორგანიზაციულ-ფუნქციური და პროცედურული საკითხები შეტანილია საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტში (რომლის შემოღება განზრახული იყო (!) 2008 წლის გაზაფხულიდან, რომ არა წინმსწრები „ცხარე“, ცნობილი პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენები!..). ასეთ ვითარებაში, ამ ინსტიტუტების ფუნდამენტური, კომპლექსური გამოკვლევა არა მარტო მომეტებული თეორიული ინტერესის საგანია, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანაც, მით უმეტეს, რომ არც ერთი ამ ინსტიტუტთაგანი საქართველოში მონოგრაფიული ან რაიმე სხვაგვარი სერიოზული, მასშტაბური გამოკვლევის თემა არ ყოფილა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენში ამ საკითხებზე გამოქვეყნებულია

სულ რამდენიმე სტატია, ერთი მომცრო ნაშრომი [იხ. დანართი — ლიტერატურის სია] და ერთიც ინგლისურიდან ნათარგმნი წიგნი — სტატიათა კრებული [იხ. 68]

ამ „უცხო“ ინსტიტუტთა ქართულ ნიადაგზე მაქსიმალურად ოპტიმიზებული სახით (როგორც ფორმით, ისე შინაარსით), ჩვენს რეალიებთან სათანადოდ მისადაგებულად იმპლემენტირებისთვის და, რაც მთავარია, ქართულ სასამართლო სისტემაში წარმატებული ინტეგრირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შედარებითი (შედარებით-სამართლებრივი ანალიზის) მეთოდის\* გამოყენებას. ეს საშუალებას იძლევა ყოველმხრივ იქნეს გათვალისწინებული ამ ინსტიტუტების სხვადასხვა ქვეყნებში ფუნქციონირება-ევოლუციონირების ერთობ მდიდარი, მრავალფეროვანი, თუმცა, ამასთან, ხშირად წინააღმდეგობრივი, პარადოქსული თუ „ბუნდოვანი“ გამოცდილება. ამასთან, მათი გადმოღება, ვიმეორებ, უნდა მოხდეს საქართველოში არსებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიულ-ტრადიციული, მორალურ-ფსიქოლოგიური, მენტალურ-ჩვეულებითი, დაბოლოს, წმინდა ნორმატიულ-სამართლებრივი რეალიების (მათ შორის სასამართლოთა პერმანენტული, ხშირად არცთუ ბოლომდე გააზრებული და გათვლილი რეფორმირების ფაქტორებისა თუ ვექტორების) ჯეროვნად, ყოველმხრივ, ობიექტურად (სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული მიდგომის გარეშე!) გათვალისწინებით.

საერთო სურათის მთლიანობისათვის ხაზი უნდა გაესვას იმ პრინციპულ, ძალზე მნიშვნელოვან გარემოებას, რომ, უფრო გლობალურ (მასშტაბურ) კონტექსტში, განსახილველი პრობლემატიკა უშუალოდ უკავშირდება სამართლებრივ სახელმწიფოში, კერძოდ კი დანაწილებულ ხელისუფლებაში სასამართლო ხელისუფლების როლსა და ადგილს. ეს უკანასკნელი, თვით ყველაზე დემოკრატიულ, სანიმუშო სამართლებრივ სახელმწიფოებშიც კი, თეორიულ-კონცეპტუალურადაც და ფაქტობრივადაც, მესამეა — და, ისიც, ჩემი აზრით,

\* აქ მხედველობაშია სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო და სამართალგამოყენებითი პრაქტიკის (გამოცდილების) შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება და არა, „შედარებითი სამართალმცოდნეობა“, როგორც დამოუკიდებელი დარგი [იხ. 30-66].

მხოლოდ იმიტომ, რომ სულ სამი ფუნდამენტური (აუცილებელი) ხელისუფლება არსებობს\*. ეს რეალობაა, რომლის შეცვლა, ჩემი აზრით, უახლოეს ისტორიულ თვალსაწიერში მოსალოდნელი არ არის: მიუხედავად კონსტიტუციათა მიერ („კონსტიტუციონალიზმში“) თუ იდეოლოგიური პოზიციებიდან („იდეოლოგიზმში“) სასამართლო ხელისუფლების საკმაოდ ინტენსიური და მასირებული, პერმანენტული „აპოლოგიისა“, ფაქტია, რომ მას არ გააჩნია პირველი ორი ხელისუფლების (განსაკუთრებით მეორის) ხელში არსებული ძალაუფლების (რომელიც, რაც უნდა ლამაზ დემოკრატიულ სტილში „შეფუთოთ“, მაინც ყველა ქვეყანაში ფაქტობრივად განსაზღვრავს ხელისუფლების რეალურ ხარისხს) გამაწონასწორებელი ადეკვატური ძალაუფლება (თავისი საკანონმდებლო თუ ისეთი ძალისმიერი თუ ფინანსური რესურსების მქონე კანონდამსრულებელი ინსტრუმენტებით, როგორცაა ჯარი, პოლიცია, სპეცსამსახურები, ფინანსები, სხვა მატერიალური თუ საკადრო საშუალებები, ანუ ე.წ. „ადმინისტრაციული რესურსები“). რეალობაა ის, რომ პირველი ორი (ზოგჯერ კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი პირი – ვთქვათ, პრეზიდენტი, რომელიც ზოგჯერ ცალკე, უპირველეს და უმთავრეს სახელისუფლებო შტოდ გვევლინება!!!) ქმნის, აკომპლექტებს და ინახავს (აფინანსებს, იცავს და ა.შ.) მესამეს. აქედან აშკარაა ისიც, რომ მეტწილად სწორედ პირველი ორი ხელისუფლების „კეთილ ნებაზე“ დამოკიდებული მესამის (სასამართლო ხელისუფლების) არსებობის ფორმატი, პარამეტრები, რეალური დამოუკიდებლობის ხარისხი და სხვა ძირითადი მახასიათებლები.

• აქ, ცხადია, ოპონენტს შეუძლია ამ წიგნის ავტორს შეახსენოს კონსტიტუციებში ჩაწერილი „ხალხის ნების“ თაობაზე, რაშიც, ცხადია, ჭეშმარიტების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი „დოზა“ იქნება (იმისდა მიხედვით, თუ როგორი წყობის და, კერძოდ, რომელ

\* მხედველობაშია ის გარემოება, რომ ტრიადა – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებანი – წარმოადგენს ფუნდამენტურ, ანუ ძირითად, ამასთან, აუცილებელ (არაფაქულტატურ) სახელისუფლებო შტოებს ნებისმიერ მეტ-ნაკლებად ნორმალურ (დემოკრატიულ, სამართლებრივ) სახელმწიფოში. ამასთან, თეორიამი მიუთითებენ სხვა, არაფუნდამენტურ, არაუცილებელ სახელისუფლებო შტოებზეც (მაგ., „საკონტროლო-საზედამხედველო“, „საარჩევნო“, „პოლიტიკური“ და სხვ.), რომლებიც სხვადასხვა როლს ასრულებენ „შეკავებისა და წონასწორობის“ სისტემებში [უფრო დაწვრილებით იხ. 21, გვ. 40-62].



კონკრეტულ ქვეყანაზე საუბარი, ეს „დოზა“ იმერყევებს ნულთან მიახლოებულიდან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ არა დომინანტ სიდიდემდე!). მაგრამ, როგორც ცნობილია, ერთია დეკლარირება (ასე, მაგალითად, „დამოუკიდებელ და სრულუფლებიან სასამართლო ხელისუფლებაზე“ ლაპარაკია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-5 თავში, რომელსაც სწორედ „სასამართლო ხელისუფლება“ ჰქვია, აგრეთვე სხვა, ორგანულ თუ ორდინარულ საკანონმდებლო აქტებში...) და მეორეა ამ „კეთილი სურვილის“ თუ „იდეოლოგიური კლიშეს“ პრაქტიკაში ანუ ფაქტობრივი რეალიზება.

საქართველოს, სხვა პოსტსოციალისტური თუ „მესამე სა-მყაროს“ ქვეყნების წინაშე სადღეისოდ, მთელი თავისი გრანდიოზულობით, ტრაგიკულამდე სასიცოცხლო აუცილებლობით დგას დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ობიექტური, სამართლიანი, ქმედითი (ანუ „სრულუფლებიანი“ – უმაღლესი სტანდარტების მეტ-ნაკლებად შესაბამისი) სასამართლო ხელისუფლების რეალურად დამკვიდრების ამოცანა!.. ანუ სწორედ ხელისუფლებისა (!) – მისივე მონაწილეობით განხორციელებული ცალკე ანუ განკერძოებული დაფინანსებით სახელმწიფო ბიუჯეტში, სამართლებრივი და სოციალური გარანტიების სრული და მყარი (!) „ქსელით“, მის სრულ განკარგულებაში არსებული მძლავრი სასამართლო პოლიციით და ა.შ. – და არა ცალკეული, თუნდაც ძლიერი სასამართლო რგოლებისა და ინსტანციებისა, ან თუნდაც მათი კარგად განშტოებული მყარი ერთობლიობისა!.. აი, მხოლოდ მაშინ გადაიქცევა სასამართლო დემოკრატიული „სამშვენიისიდან“ სამართალდამცავი ორგანოების „პირამიდის წვეროდ“, სწორედ მაშინ გახდება იგი dominus litis – „პროცესის ბატონ-პატრონი“!.. შესაბამისად, მოსამართლე გახდება „მართლმსაჯულების მსახური და არა მისი ლაქია“ (ა. კონის სიტყვებია). ეს, ცხადია, ვერ იქნება „ასპროცენტიანი სამართლიანობის“ სრული გარანტია – თუნდაც ცალკეული სასამართლო შეცდომების თავიდან აცილების შეუძლებლობის გამო. მაგრამ მაინც, სწორედ ამ პრინციპის რეალიზაციაზე – უპირობოდ დაცვაზე (რაც, ცხადია, სულაც არ ნიშნავს სრულ

უკონტროლობა-მიშვებულობას – არსებობს მსოფლიოში კარგად აპრობირებული სათანადო ხერხები, მეთოდები და მექანიზმები!..) გადის სამართალგამოყენებითი საქმიანობისას სოციალური სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში განხორციელების უმთავრესი ვექტორი!..

# **ნაწილი პირველი**

**ნაწილს მსაჯულთა, მაგისტრატთა და  
მომრიგებელი სასამართლოების  
ინსტიტუციური რაობა და მათი ადგილი  
სასამართლო სისტემებში**

თავი I. დისოტომია: სასამართლო ხელისუფლება  
და სასამართლო სისტემა (ძირითადი ვიქტორიები  
და კონცეფტუალური პარადიგმები)

§1. სასამართლო ხელისუფლების როლი და ადგილი  
სამართლებრივ სახელმწიფოში, ხელისუფლების  
დანაწილების კონცეფციის ფონზე

„Sequi debet potentia justitiam,  
non praecedere“ – ძალა წინ კი არ  
უნდა უძლოდეს მართლმსაჯულებას,  
არამედ უნდა მოსდევდეს მას (ლათ.).

როგორც ცნობილია, ჰეგელი სახელმწიფო ხელისუფლებას განიხილავდა როგორც მთლიან და ერთიან ორგანიზმს ანუ „ერთიან მთელს“. რომ არა საკითხის ალტერნატიული – კანტიანული, ლოკისეული თუ მონტესკიესეული – გაგებანი (ინტერპრეტაციები), განსაკუთრებით კი ხელისუფლების დანაწილების კლასიკურად აღიარებული მონტესკიესეული კონცეფციის მასშტაბურად გავრცელება ევროპასა და სხვა რეგიონებში, შესაძლოა დამოუკიდებელი სამართლო ხელისუფლების არსებობის თვით იდეის გენერირებაც კი ფაქტობრივად შეუძლებელი, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალზე ძნელი გახდებოდა. დღეს უკვე ნაკლებად დავობენ იმაზე, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ რომელიმე პრინციპზე დამყარებული ერთიანი, კონცენტრირებული და განუყოფელი უმაღლესი ხელისუფლების (ანუ ერთი და იმავე ძალის) სამგვარ გამოვლინებად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) „უაპელაციოდ“ მიჩნევას ლოგიკურად მივყავართ რაღაც კომუნისტურ-დიქტატორული თუ ავტორიტარული (როგორც მინიმუმი!) ტიპის „მონოლითურ“ სახელმწიფომდე. სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის პოსტულატის – ჭეშმარიტების მოზრდილი მარცვლის შემცველი ამ დებულების – ამგვარი აბსოლუტიზაციის შემთხვევაში, თვით „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ცნებაც კი ცარიელ სიტყვებად, უაზრო სიტყვათწყობად იქცევა!..

⊗ სწორედ ასე მოუვიდა ე. პოზდნიაკოვს, რომელიც, ზემოთ ჩემს

მიერ გაკრიტიკებული მსჯელობის ჭეშმარიტებად მიჩნევის ფონზე, შემდგომი მსჯელობისას, მივიდა იმ, რბილად რომ ვთქვათ, „უცნაურ“ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო და სამართალი... ერთი და იგივეა(!) და, ამდენად, „სამართლებრივი სახელმწიფო“, წმინდა იურიდიული აზრით, „ცარიელი ტაქტოლოგიაა“, რადგან „...არასამართლებრივი სახელმწიფო ბუნებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“ [265, გვ. 187].

„რომ წარმოვიდგინოთ სახელმწიფო, — წერს შემდეგ, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ე. პოზდნიაკოვი, — რომელშიც არსებობს სამი დამოუკიდებელი ხელისუფლება, რომელთაგან ერთი ქმნის კანონებს, მაგრამ უძღურია აიძულოს სასამართლო და ადმინისტრაცია შეასრულოს ისინი, მეორე ასამართლებს, როგორც მას მოეპრიანება, მაგრამ უძღურია როგორც მისი გამოცდილების კანონმდებლებისთვის გადაცემაში, ისე ადმინისტრაციის იძულებაში სისრულეში მოიყვანოს თავისი დადგენილებები და განაჩენები, მესამე (აღმასრულებელი ხელისუფლება. — იგ.) კი მოქმედებს ორივესაგან სრულიად დამოუკიდებლად, — ჩვენ მივიღებდით შემოიღოთ სახლის სრულ სურათს“ [იქვე, გვ. 168-169].

ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე შევნიშნავ, რომ ე. პოზდნიაკოვის და ამავე პლატფორმაზე მდგომ სხვა ავტორთა მიერ სავსებით იგნორირებულია დანაწილებულ, დამოუკიდებელ ხელისუფლებათა (სახელისუფლებო შტოთა) ურთიერთქმედებისა და ურთიერთთანამშრომლობის ფაქტორი, „ურთიერთკონტროლისა და ურთიერთგაწონასწორების“ კონცეფცია და შესაბამისი მექანიზმის არსებობის შესაძლებლობა (არაფერს ვამბობ „მკრეხელურ“ სიტყვებზე „უძღურია აიძულოს (!?) სასამართლო“, რომელიც „... ასამართლებს, როგორც მოეპრიანება“...). ამასთან, მსჯელობა აგებულია მეორე უკიდურესობის ერთობ ჰიპერბოლიზებული, აბსოლუტიზებული სახით წარმოჩენაზე, რაც, როგორც ყოველგვარი „უაპელაციო“ მაქსიმალიზმი, მცდარობის წყაროა.

მართალია, გაცილებით ნაკლები „ხარისხით“, მაგრამ უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით ჰიპერბოლიზების ელემენტს შეიცავს ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებული [79, გვ. 30-31; გვ. 113.] ტერმინოლოგიური ხასიათის წინადადება:

კონსტიტუციისმიერი (მუხ. 5) ტერმინი „ხელისუფლების დანაწილება“ შეიცვალოს ტერმინით „ხელისუფლების განაწილება“ [დაწვრილებით: 21, გვ. 34-54]. ჭეშმარიტება, როგორც იტყვიან, კვლავ სადღაც შუაში რჩება, რადგან, სადღეისოდ, თანდათან მყარად მკვიდრდება, ჩემი აზრით, მართებული შეხედულება, რომ ხელისუფლების დანაწილების კლასიკური თეორია, ისევე, როგორც თვით სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა, უფრო იდეალურისკენ ადამიანთა მარადიული სწრაფვის სტიმულია, ვინემ რეალურად მიღწევადი, პრაქტიკაში რეალიზებადი კონკრეტული, „სასრული“ ამოცანა თუ მიზანი [21, გვ. 48-50]. თვით აშშ-შიც კი, რომელიც ხელისუფლების დანაწილების ეტალონადაა მიჩნეული, ეს პროცესი ჯერაც არაა სრულქმნილი!..

⊗ ამერიკული დემოკრატიისადმი მიძღვნილი ცნობილი ნაშრომის ავტორები ქ. ჯანდა, ჯ. ბერი და ჯ. გოლდმენი ამასთან დაკავშირებით წერენ შემდეგს:

„თორიულად, ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპი ნიშნავს, რომ ერთ განშტოებას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა განშტოებაზე. მაგრამ პრაქტიკაში განაწილება ჯერაც არაა დასრულებული: როგორც ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, შეერთებულ შტატებს სინამდვილეში გააჩნია „გამიჯნული ინსტიტუტები, რომლებიც ხელისუფლებას ინაწილებენ“ [120, გვ. 57].

სხვათა შორის, მოწინავე თუ მათი „მიმბაძველი“ ქვეყნების კონსტიტუციები, როგორც წესი, ან საერთოდ არ მიუთითებენ ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, ან კიდევ არ მსჯელობენ ხელისუფლების აბსოლუტურ დანაწილებაზე ანუ იდეალურად (!) დანაწილებულ-განკერძოებულ ხელისუფლებებზე. ასე, მაგალითად:

1. დანიის 1963 წლის 5 ივნისის კონსტიტუციის მე-3 პარაგრაფში მითითებულია, რომ „საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნით ერთობლივად მეფეს და ფოლკეტინგს (პარლამენტს. — ი.გ.). აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მეფეს, სასამართლო ხელისუფლება — სასამართლოებს“ [198, გვ. 222].

2. ირლანდიის კონსტიტუციის მე-6 მუხლი, მართალია, ასახელებს სამივე ხელისუფლებას, მაგრამ არსად ლაპარაკობს მათ მკა-

ცრად გამიჯვნაზე – მითითებულია იმაზე, რომ ისინი „სახელმწიფოს ორგანოების“ სახით ასრულებენ ხალხის (როგორც სუვერენის) ნებას [იქვე, გვ. 246-247].

3. ანალოგიურია გერმანიის ძირითადი კანონის მე-20 მუხლის პოზიცია – ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს „საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების სპეციალურ ორგანოთა მეშვეობით“ [იქვე, გვ. 115].

4. რუსეთის კონსტიტუციის მე-10 მუხლის ძალით, რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება დამოუკიდებელ (САМОСТОЯТЕЛЬНЫЙ) საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად დაყოფის საფუძველზე (ხაზი ჩემია. – ი.გ.).

5. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება „ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (ხაზი ჩემია. – ი.გ.).

⊗ ამგვარი მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე რელიეფურია (თუნდაც საოცარი პარადოქსულობის გამო) თვით კლასიკური დემოკრატიის ციტადელის – ინგლისის მაგალითი. უწინარესად, მხედველობაშია ის ისტორიული ფაქტი, რომ, დაახლოებით ათასი წლის მანძილზე, აქ ერთი თანამდებობის პირი – ლორდ-კანცლერი, თავის თავში აერთიანებდა სამივე (!) ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს – როგორც პარლამენტის ლორდთა პალატის სპიკერი, მთავრობის წევრი – თესტიციის მინისტრის ფუნქციათა შემსრულებელი და უმაღლესი სასამართლო ინსტანციის – ლორდთა პალატის თორმეტკაციანი სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე!.. [279, გვ. 247, 249; 264, გვ. 237-238; 209, გვ. 27-28]

ამგვარ „მკრეხელურ“ სიტუაციას ზღვარი დაულა 2003-2005 წლებში ინგლისში ჩატარებულმა კონსტიტუციურმა რეფორმამ, განსაკუთრებით კი 2005 წლის 18 მარტის კანონმა („აქტი კონსტიტუციური რეფორმის შესახებ“). კერძოდ, ლორდ-კანცლერი უკვე აღარ არის ლორდთა პალატის სპიკერი, ლორდ-კანცლერის დეპარტამენტი შეცვალა „საკონსტიტუციო საქმეთა დეპარტამენტმა“, ხოლო ზემოხსენებული სააპელაციო კომიტეტის თორმეტივე წევრი

გახდა ამავე რეფორმის შედეგად პირველად შექმნილი უზენაესი სასამართლოს (მანამდე ამ სახელით ინგლისში პირობითად მოიხსენიებოდა მაღალი ინსტანციის სასამართლოთა ერთობლიობა ანუ მათი კრებადობა) წევრი. რაც შეეხება ლორდ-კანცლერს, ტრადიციებისადმი ერთგულებით (კონსერვატიულობით) ცნობილმა ინგლისელებმა იგი, მართალია, მთლიანად „არ გაწირეს“, მაგრამ მას ამაჟამად სასამართლო ხელისუფლებაში გააჩნია მხოლოდ სასამართლო სისტემის საქმიანობის უზრუნველყოფისა და მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის სპეციალური კომისიის ხელმძღვანელობის ფუნქციები.

ამგვარი რადიკალური გარდაქმნებისათვის, სპეციალისტთა აზრით, აქ ნიადაგი მოამზადა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციის შესაბამისად მიღებულმა ცნობილმა კანონმა „ადამიანის უფლებათა შესახებ“, ბოლო ათწლეულებში ინგლისში დაწყებულმა მოძრაობამ (უწინარესად, „ქარტია-88-ში“, რომელიც შედგებოდა 80.000-ზე მეტი წევრისაგან — უნივერსიტეტების პედაგოგთა, მოსამართლეთა, ადვოკატთა და პარლამენტართაგან), აგრეთვე ტონი ბლერის მთავრობის მისწრაფებამ ცალკეული არქაული, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებისადმი შეუსაბამო ინსტიტუტებისა და პროცედურების „გათანამედროვეებისკენ“ [194, გვ. 30-35 და სხვ.].

ამ ფონზე, ვფიქრობ, მეტიმეტად ოპტიმისტურ-სუბიექტივისტურად უნდა იქნეს მიჩნეული იმ რუს ავტორთა მტკიცება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოსტსაბჭოურ რუსეთში უკვე „შეღა“ სასამართლო ხელისუფლება. მათი აზრით, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში სასამართლოები უკვე მოწყობილია (ორგანიზებულია) რუსეთის 1993 წლის კონსტიტუციის, შემდგომში მიღებული კონსტიტუციური და სხვა კანონების შესაბამისად [184, გვ. 18-23]. მიუთითებენ იმაზეც, რომ რუსეთში სასამართლო ხელისუფლება, როგორც „... სახელმწიფო ხელისუფლების ელემენტი, სტრუქტურულად და ფუნქციურად განკერძოვდა“ ჯერ კიდევ 1864 წლის სასამართლო რეფორმისას, რომელმაც „...დასახა საკანონმდებლო ამოცანა — „ამაღლებულ იქნეს სასამართლო ხელისუფლება, მიეცეს მას ჯეროვანი დამოუკიდებლობა“ [174, c. 88]. ამ ამოცანის შესრულება შეაჩერა 1917 წლის რევოლუციამ, 1993 წლის კონსტიტუციამ კი

\* ზოგიერთი რუსი ავტორის ეს დებულება, ჩემი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტია.



კვლავ გააგრძელა ისტორიული გზა და გამოცდილება [იქვე]. ამასთან, თვით ეს ავტორებიც კი, ნებისთ თუ უნებლიედ, ადასტურებენ, სხვა, უფრო „ფრთხილი“ ავტორები კი ცალსახად მიუთითებენ, რომ ეს ხელისუფლება მხოლოდ ფორმირების ეტაპზეა – მას ჯერჯერობით არ მიუღწევია ისეთი „კონდიციისთვის“, რომ გააწონასწოროს (გაკონტროლოს) პირველი ორი. უფრო მეტიც, ჯერჯერობით მას საფინანსო დამოუკიდებლობისთვისაც (ანუ დამოუკიდებელი და საკმარისი დაფინანსების მიღებისთვის) კი არ მიუღწევია, რის გამოც, ამ ხელისუფლების ჩამოყალიბების ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესის აღმავალი ხაზით წარმართვა მომავლის სასიცოცხლო ამოცანაა [184, გვ. 22-23, 65-82, 176-184; 295, გვ. 54-93; 172, გვ. 2-9].

ხელისუფლების დანაწილების ნებისმიერი „ზომიერი“ კონცეფცია<sup>6</sup>, როგორც საყოველთაოდ ცნობილია და შესავალშიც აღინიშნა, გულისხმობს სახელმწიფოში სამი დამოუკიდებელი, ფუნდამენტური ხელისუფლების, ანუ, სხვა სიტყვებით, „კონტროლისა და წონასწორობის“ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმებით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ლეგალურ, ლეგიტიმურ, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეებითა და მიზან-ამოცანებით, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების სულისკვეთებით გამსჭვალული სახელისუფლებო შტოების (ტერმინს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, – მთავარია მათი „ზომიერება“, რეალური და გონივრული შინაარსი) ფუნქციონირებას. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ამ ხელისუფლებათა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა ერთობ რელატიური ცნებაა – როგორც ისტორიულად, ისე ლოგიკურად, როგორც თეორიულად, ისე განსაკუთრებით, პრაქტიკულად. ამითაც არის პირობადებული

---

რადგან 1917 წლის რევოლუციამდე, წინა ათწლეულებში, როგორც ისტორიული ფაქტები ცალსახად მოწმობენ (იხ. ქვემოთ), სასამართლო ხელისუფლებას სულ უფრო და უფრო აკნინებდა თვითმპყრობლობის სულ უფრო მზარდი რეაქციული თავდასხმები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, მომრიგებელ იუსტიციაზე და სხვა დემოკრატიულ ინსტიტუტებზე.

\* ეს ტერმინი პირობითია. იურიდიულ ლიტერატურაში ცდილობენ განასხვავონ ხელისუფლების დანაწილების ძირითადი მოდელები: ა) მყარი (მონტესკიეს მოდელის მიხედვით – აშშ-ს და ზოგიერთი სხვა საპრეზიდენტო ქვეყნების ვარიანტების ბაზაზე); ბ) მოქილი (საპარლამენტო რესპუბლიკების პრაქტიკის მიხედვით – დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ბაზაზე); გ) ლაპარაკობენ აგრეთვე ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკებში არსებულ ე.წ. შერეულ მოდელზე (საფრანგეთის მაგალითზე) [72, გვ. 23-25].

ის გარემოება, რომ არ ლაპარაკობენ ამ ხელისუფლებათა რაიმე ნიშნით თანასწორობაზე, რადგან ამგვარი კრიტერიუმით მიდგომა იმთავითვე არაკონსტრუქციულია თუნდაც იმის გამო, რომ ისინი სხვადასხვა სფეროებში და, ამდენად, სხვადასხვა „სიბრტყეებში“ ყოფიერებენ ანუ ფუნქციონირებენ. მაგრამ, თუ გარკვეული პირობითი, თუნდაც „ყოფითი“, ტრივიალური კრიტერიუმებით შევადარებთ ამ ხელისუფლებათა რეალურ (ფაქტობრივ, პრაქტიკულ...) ძალას (ძალაუფლებას) თუ გავლენას, დანაწილებული ხელისუფლების მქონე ან აქეთკენ ორიენტირებულ სახელმწიფოებში – თვით ყველაზე დემოკრატიულ, მოწინავე თუ „ეიტალონურ“ ქვეყნებშიც კი! – ადვილად შევნიშნავთ მეტ-ნაკლებ დისბალანსს – მეტწილად აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ – სასამართლო ხელისუფლების ხარჯზე [173, გვ. 156]. ზოგან საკანონმდებლო ხელისუფლება უფრო „ძლიერი“ (საზოგადოდ, ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია), ზოგან აღმასრულებელი (ასეა მეტწილად, რაც განპირობებულია ამ ხელისუფლების იმანენტური ბუნებით – იგი „ყველგანყოფი“ და „ყოვლისმომცველია“, „თვითნებაა“, ფლობს „უხეშ ძალას“ და ა.შ.). რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, როგორც შესავალშიც ითქვა, მას იმთავითვე დაჰყვა „დაბადებისმიერი სისუსტეები“. ამიტომ იგი, თავისი ძალაუფლებითა და გავლენით: ა) ძალზე ახლოს დგას დანარჩენ ორთან – პრაქტიკულად ახერხებს მათ დაბალანსებას „ძირითად ხაზებში“ მაინც და პრინციპში ინარჩუნებს საკმარის დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას (ეს, სადღეისოდ, პრაქტიკულად იდეალური ვარიანტია, და მასთან, ალბათ, ყველაზე ახლოს დგას აშშ-ს სასამართლო ხელისუფლება); ან, ბ) მართალია, ცოტა მოშორებით, „კუდში მისჩანჩალებს“ წინა ორ ხელისუფლებათ, მაგრამ მაინც საკმარის მაღალ დონეზე ინარჩუნებს არა მარტო სახელისუფლებო-იურიდიულ ატრიბუტიკას („ფორმას“), არამედ გარკვეული, საკმარის სოლიდური თუ საგრძნობლად მნიშვნელოვანი, რეალური ძალაუფლებაც გააჩნია (ასეთია განვითარებული ანუ მოწინავე და მათთან მიახლოებული სახელმწიფოების უმეტესი ნაწილი); ანდა, გ) მხოლოდ დეკლარაციულად, ნომინალურად ითვლება დამოუკიდებელ ხელისუფლებად (სახელისუფლებო შტოდ),

სინამდვილეში კი „იდეოლოგიური სამშენისია“ – სასამართლოები პირველი ორის ნების (მითითებების, დიქტატის) მორჩილნი არიან – პრაქტიკულად მთლიანად (როგორც წესი) ან მეტწილად. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება სოციალისტური, პროსოციალისტური და „მესამე სამყაროს“ ქვეყნების უმრავლესობა. ამგვარ ქვეყნებში ისევე ნონსენსია „სასამართლო ხელისუფლებაზე“ საუბარი, როგორც ამავე სამყაროს იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო ხელისუფლება დეკლარირებულიც კი არ არის (შესაძლოა, მეორე ვარიანტი ჯობდეს კიდევ, რადგან, ყოველ შემთხვევაში, „დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების“ იდეის კომპრომეტირება მაინც არ ხდება ადამიანთა თვალში!..).

⊗ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებში, ამ სფეროში საეციფიკური პრობლემები თვით დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოებშიც კი ექნებათ. ისევე, როგორც სხვა მრავალი მხრივ, აქაც საინტერესო მაგალითია ინგლისი. ა. კ. რომანოვის აზრით, აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებანი: ა) ინგლისის სასამართლოების საუკუნეთა მანძილზე გამორჩეული, მაღალი როლი და ავტორიტეტი ეფუძნება იმ ისტორიულ ფაქტს, რომ „ინგლისური ერთიანი ეროვნული სამართლის შექმნაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა არა პარლამენტს, არამედ მეფის მოსამართლეებსა და სასამართლოებს“ [279, გვ. 65]; ბ) თანამედროვე ინგლისური სასამართლოები, რიგი სხვა ქვეყნების სასამართლოებისაგან განსხვავებით, ერთიან სასამართლო სისტემას – იერარქიულ ვერტიკალს კი არ ქმნიან, არამედ, ფაქტობრივად, წარმოადგენენ დაახლოებით 9 საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, როგორც „ზეთანამედროვე“, ისე არქაული ელემენტებისაგან ჩამოყალიბებულ ცალკეულ სასამართლოთა ერთობლიობას [იქვე, გვ. 243-244]; გ) ორდინარულ სასამართლოთა გვერდით აქ დიდ როლს ასრულებენ ე.წ. კვაზისასამართლო ორგანოები (ძირითადად ტრიბუნალები და სამედიცინო სასამართლოები), რომლებიც მოწოდებულნი არიან არასაპროცესო, მარტივი პროცედურების გამოყენებით დააჩქარონ და გააიიფონ მთლიანობაში ერთობ „მძიმე“ და ძვირადღირებული სამართალწარმოება [იქვე, გვ. 245-246].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აქ მითითებულ და რიგ სხვა ფაქტორთა თუ კონკრეტული მაგალითების გათვალისწინებით, ვერ

დავეთანხმები ჩვენში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „... ხელისუფლების შტოთა შორის სასამართლო ხელისუფლება, როგორც წესი, ყველაზე დამოუკიდებელია“ [72, გვ. 30]. ავტორი ამ დებულების დასაბუთებას ცდილობს შემდეგი არგუმენტებით: „სასამართლო ხელისუფლების მიმართ შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ მისი ავტონომიურობა დაცულია (!) მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კონსტიტუციურად განმტკიცებული სოციალური გარანტიებითა და სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის მექანიზმის შესაბამისი დონით. ცხადია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელისუფლების სხვა შტოებმა შეკავებისა და გაწონასწორების სისტემიდან დაისაკუთრეს (!) ყველაზე აქტიური ბერკეტი, როგორცაა სასამართლო ორგანოების თვითმმართველობის ორგანოებში ხმების უმრავლესობით მათი ფორმირების პროცესში მონაწილეობა“ (ხაზგასმა და აქცენტები ჩემია. — ი.გ.) [იქვე]. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული, სხვა პოსტსაბჭოური თუ მთლიანად პოსტსოციალისტური, მეტ-ნაკლებად კი — ყველა დანარჩენი (მათ შორის მოწინავე) ქვეყნების გამოცდილება ცალსახად მოწმობს, რომ სწორედ „დასაკუთრება“ წესი, ზემოთ მითითებული მექანიზმებისა და გარანტიების რეალური, ეფექტიანი მოქმედება კი — ბედნიერი გამონაკლისი, ამასთან, ისინი არსად არაა აბსოლუტური! საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით აშშ-ში, სულ 9 „უკვდავისაგან“ შემდგარი უზენაესი სასამართლოც კი (რომ არაფერი ვთქვათ სხვა რგოლებზე), პოლიტიკური ნიშნით კომპლექტდება — პრეზიდენტისა და კონგრესის ერთობლივი ძალისხმევით [120, გვ. 379-381].

პოსტსოციალისტური ქვეყნების ერთი (აღმოსავლეთევროპული) ნაწილი საკმაოდ წარმატებულად ცდილობს სასამართლო ხელისუფლების მშენებლობას, რაც პერმანენტულად, თანდათანობით განსახორციელებელი ურთულესი და ძვირადღირებული ამოცანაა და არა ერთჯერადი, გნებავთ „შოკურად“ თუ მეტ-ნაკლებად მოკლე დროში რეალიზებადი აქტი. მით უმეტეს, რომ თუნდაც მყარი, მეტ-ნაკლებად გონივრულად და დასრულებული სახით ორგანიზებული სასამართლო სისტემა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სასამართლო

ხელისუფლებად – ფუნდამენტური სახელისუფლებო „ტრიადის“ თანაბარმნიშვნელოვან წევრად – ტრანსფორმირებას: მეორე თვისებრივად სხვა ხარისხის („სინჯის“, „კონდიციების“) ფენომენია. ამასთან, პირველის (სასამართლო სისტემის) ოპტიმალურად, ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის, პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური რეალების, ეროვნული ტრადიციებისა თუ ზნეობრივ-ღირებულებითი ორიენტირების, სხვა ფაქტორთა კორპუსის ერთობლივად გათვალისწინებით მოწყობა ის აუცილებელი, მინიმალური პირობაა, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი (ან თუნდაც მასთან მიახლოებული) სასამართლო ხელისუფლების მყარად ჩამოყალიბება და, რაც არანაკლებ მთავარია, მისი შენარჩუნება (!) შეუძლებელია.

⊗ სასამართლო ხელისუფლების შენარჩუნებაზე ყურადღებას აქ იმიტომ ვამახვილებ, რომ, ზოგჯერ, მძლავრი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი (სახელისუფლებო) „რყევისას“ (რომლის უკიდურესი გამოვლინება, ცხადია, რევოლუციაა), ყველაზე ადვილად „მოწყვლადი“ სწორედ სასამართლო ხელისუფლება აღმოჩნდება ზოლმე. შედეგი, უკეთეს შემთხვევაში, ამ ხელისუფლების დამოუკიდებლობის შეზღუდვაა, მისი უფლებამოსილებების პირდაპირი თუ შენიღბული შეკვეცა-მითვისებაა სხვა ხელისუფლებათა მიერ (სასარგებლოდ), უარეს შემთხვევაში – მისი ნიველირება ანუ გადაქცევა პირველი ორისა (ანდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებისა, როცა იგი საკანონმდებლო ხელისუფლებასაც იმორჩილებს – ფაქტობრივად მის ფუნქციებსაც რეალურად ასევე „ითავსებს“) ნების მორჩილ შემსრულებლად, ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, მოსამართლე იქცევა მათ გადაწყვეტილებებზე მექანიკურად „ბეჭდის დამსმელ“ ჩინოვნიკად – „ნოტარიუსად“. შესაძლებელია ხელისუფლების ამგვარი კონცენტრაცია მოხდეს სულაც ერთი პირის – რევოლუციის ხელმძღვანელის (და, ცხადია, მისი უახლოესი გარემოცვის) ხელში (ამის ცნობილი მაგალითია ჩილეში პინოჩეტის დიქტატურა). სასამართლო ხელისუფლების მითვისება ხდება როგორც პირდაპირი თვითნებობის (ძალისმიერი ზეწოლის), ისე მათი შემბოჭავი „რევოლუციური კანონების“ მიღებით, მათ შორის სასამართლოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციათა ახალშექმნილი კვაზისასამართლო, რეპრესიული ორგანოებისათვის – რევოლუციური თუ სამხედრო ტრიბუნალებისათვის და მათი ჯუფთი

სხვა „სასამართლო“ სტრუქტურებისთვის – გადაცემით (ასე ხდებოდა, მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციისას, აგრეთვე ომისშემდგომ საფრანგეთში – დე-გოლის პირველი „ზეობის“ პერიოდში). ცხადია, თანამედროვე მსოფლიოში ამგვარი რამ ხდება უფრო „რბილად“ – მეტწილად არჩეული პრეზიდენტის (რომელსაც ზოგიერთი ავტორი ცალკე ხელისუფლებად – ხელისუფლების ცალკე შტოდ მიიჩნევს) [იხ., მაგალითად, 348, გვ. 13] ნებისამებრ, თუმცა სხვები ამას უარყოფენ და მას სამი ხელისუფლების საქმიანობის „კოორდინატორად“ თვლიან (მაგ., კ. ფ. სკოორცოვი), ამასთან, „ძლიერი ხელისუფლების“ ეგიდით, დემოკრატიის შენების ლოზუნგში „შეფუთული“ სახით. ეს კი უკვე ხალხის, სამოქალაქო საზოგადოების პრობლემაა – ხალხისა, რომელიც, მთარული გამოთქმისა არ იყოს, ყოველთვის იმ ხელისუფლებას იღებს, რომელსაც იმსახურებს!.. სწორედ მისი ნების სიმტკიცეზე, ქმედითობაზე და ჭეშმარიტი დემოკრატიისადმი ერთგულების ზარისხზეა დამოკიდებული, დააღწევს თუ არა თავს ამგვარ მდგომარეობას ანუ ეყოლება თუ არა სასამართლო ხელისუფლება, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი ადამიანი გამუდმებით იქნება იმის საფრთხის ქვეშ, რომ თვითნებობის, შიშველი ძალმომრეობის, სასამართლოსგარეშე თუ კვაზისასამართლო რეპრესიის „აქლემმა“ ერთ დღეს მის წინაშეც დაიჩოქოს!..

სასამართლო ხელისუფლების ამგვარ „თანდაყოლილ სისუსტეს“, ზემოთ მითითებულ ფაქტორთა გარდა, ისიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს, რომ სასამართლოებს (მოსამართლეებს) რაიმე აქტიურობის გამოჩენა, ინიციატივის ხელში აღება, იმანენტური სპეციფიკის გამო, არანაირად არ ხელეწიფებათ – კანონმდებლობამ, შესაბამისად, კონსტიტუციით დაწყებული, მას პასიური, „მომლოდინე“ კომპეტენცია „დაუკანონა“!.. მხედველობაშია ის გარემოება, რომ სასამართლო (მოსამართლე) „ამოქმედდება“ მხოლოდ მაშინ, როცა მას, სამართლის (კანონის) საფუძველზე და მისი დარღვევის გამო, მიმართავენ მოდავე მხარეები (ფართო გაგებით, განსაკუთრებით კი ანგლოსაქსური კონცეფციით, სისხლისსამართლებრივი საქმე, რომელიც სასამართლოში შედის საჯარო, კერძო-საჯარო თუ კერძო ბრალდების წესით, იგივე სისხლისსამართლებრივი სარჩელაა, ხოლო, ვთქვათ, საბრალდებო დოკუმენტის შემტანი პროკურორი – სახელმწიფოს, როგორც მოსარჩელის, წარმომადგენელი).

გარდა ამისა, თვით მისი (სასამართლოს, მოსამართლის) სამოქმედო „უბანი“ („მისჯილი“ სფერო) – სამართალი, როგორც „აღაღმანთა სოციალური ყოფის სპეციფიკური ფორმა და სოციალური რეგულაციის განსაკუთრებული ტიპი“ [238, გვ. 1], იმთავითვე „მყიფე“ და „ეფემერულია“, რის გამოც იგი ძალადობასა და დიქტატს „ორგანულად“ ვერ იტანს, ხოლო სამართლიანი კანონის რეპრესიული, ძალადობითი, უსამართლო კანონით შეცვლის შემთხვევაში, იგი (სამართალი) ფაქტობრივად „ქრება“ – ისპობა!... ამიტომ, მართლმსაჯულებასთან მიმართებაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა აბსტრაქტულ საუბარს „სამართალზე, როგორც ასეთზე“ ანუ წმინდა ნორმატიულ-ჯერარსულ ფენომენზე, არამედ რეალიზებულ თუ რეალიზებად, კონკრეტულ „არსულ“ მოვლენაზე – რეალურ მართლწესრიგზე. როგორც მართებულად მიუთითებს ბ. სავანელი, „მართლწესრიგი – ეს არის ამ სახელმწიფოში სამართლის განხორციელების ჩამოყალიბებული, მდგრადი იურიდიული პრაქტიკა“ [281, გვ. 15]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალური მართლწესრიგი არის „სამართალი მოქმედებაში“ ანუ რეალიზებული, განხორციელებული, „აღსრულებული“ სამართალი. სამართლის (ნორმათა ერთობლიობის) ამგვარი სრული რეალიზაციისთვის – სამართლიანობის ჯეროვანი დამკვიდრებისათვის – კი მსოფლიოში ჯერაც არავის მიუღწევია ისეთი უნიკალური, უოპტიმალურესი ინსტიტუტის (სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმის) გონივრული, „ტოტალური“ გამოყენების გარეშე, როგორიცაა სასამართლო (როგორც სასამართლო ხელისუფლების არა ოდენ „ლერძი“, არამედ მისი ფაქტობრივი კინტენსივია!). სწორედ აქედან გამომდინარეაა მართლმსაჯულება აღიარებული უმაღლეს იურისდიქციულ საქმიანობად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკურია დავასკვნათ ისიც, რომ საზოგადოებაში, სახელმწიფოში უმოქმედო, მხოლოდ ქალაქებზე არსებული ნორმები, როგორც იტყვიან, „მკვდარზე გვირგვინია“ და სხვა არაფერი! იურიდიული პრაქტიკის ბირთვის, მის განმსაზღვრელ ვექტორებს სწორედ სასამართლო პრაქტიკა ქმნის (წარმოადგენს). ეს უკანასკნელი, ამასთან, მხოლოდ დოგმატიკოს იურისტს შეუძლია წარმოიდგინოს რაღაც გაქვავებულ,

„ერთიან“ თუ „ერთფეროვან“ ფენომენად. სინამდვილეში, როგორც ევროპული იურიდიული სოციოლოგიის მონაცემები მოწმობს, არსებული რეალობების, განსახილველი საქმის გარემოებების, თვით მოსამართლეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა თავისებურებანი (სპეციფიკური თუ პერსონალური ასპექტები), საბოლოო ანგარიშით, წარმოადგენენ ინფრაიურიდიულ<sup>\*</sup> მოვლენებს, რომელთა გამოც დავის ჯეროვნად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იურიდიული პლურალიზმის – ნორმათა სხვადასხვაგვარი (შემოქმედებითი – მაგრამ არა თვითნებურ-სუბიექტივისტური! – ი.გ.) გამოყენების ვითარებაში [202, გვ. 184-187]. დაბოლოს, როგორც ს.ს. ალექსეევი მიუთითებს, „მართლმსაჯულება გამოდის უბრალოდ „სამართლის გამოყენების“ ჩარჩოებიდან – მას გააჩნია სამართალშემოქმედებითი მნიშვნელობა: კონსტიტუციისა და სამართლის შესაბამისად, თვითონვე წყვეტს ცხოვრებისეულ საკითხებს „სამართლის მიხედვით“. ამდენად, თავისი არსით, სასამართლო გადაწყვეტილებები წარმოადგენს „ცოცხალ სამართალს“ [121, c. 117].

⊗ ამ ასპექტებში ძალზე საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლოს პოზიცია, რომელიც გამოთქმულია ჯერ კიდევ 1984 წლის 22 მაისს საქმეზე „დე იონგი, ბალეჯტი და ვან დენ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ“: „... საჭიროა ერთი შეხედვით დანახულის ან გამოყენებული გამონათქვამით წარმოჩენილის მიღმა განჭვრეტა და ყურადღების გამახვილება სიტუაციის რეალობაზე“ [4, წიგნი I, გვ. 250]. ამგვარ პრეცედენტთა ანალიზზე დაყრდნობით, ზემოაღნიშნული სასამართლოს მოსამართლე ლუკის გ. ლუკაიდესი მიდის ასეთ კონკრეტულ დასკვნამდე: „... პრაქტიკაში ევროპის სასამართლო უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ნამდვილად არსებულ ფაქტს რეალური საფრთხის არსებობის თაობაზე, ვიდრე გარეგნულ ნიშნებს“ [იხ. 219, გვ. 18].

თუ სასამართლო ხელისუფლებას ძალის თეორიის პოზიციიდან განვიხილავთ, „იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ძალა, რომელსაც ძალუძს აღადგინოს დარღვეული კანონიერება და სამართლიანობა“ [184, გვ. 26]. მაგრამ ეს ეხება მხოლოდ იმ

\* ინფრა (ლათ. infra) – ქვე.



საზოგადოებასა და სახელმწიფოს, სადაც რეალიზებულია ცნობილი ფორმულა: „Sequi debet potentia justitiam, non praecedere“ – „ძალა წინ კი არ უნდა უძლოდეს მართლმსაჯულებას, არამედ უნდა მოსდევდეს მას“. სხვა შემთხვევაში კი საზოგადოების თავზე დამოკლეს მახვილივით საბედისწეროდ ილანდება „მარადიული“ საკითხავი „აღმასრულებელთა“ მძლავრობა-თვითნებობით შეჭირვებულთა მხრიდან: „Quis custodeit ipsos custodes?“ „თვითონ ყარაულთ ვინდა უყარაულებს?“ და კიდევ: ისტორია, რომლის გაკეთილსაც, როგორც ამბობენ, არავინ სწავლობს, მაინც დაუინებით გვასწავლის, რომ „Inciatis in Scyllam, qui vult vitare Charubdim“ – „ვისაც სურს სცილას გაექცეს, ქარიბდას შეეყრება“. სხვა სიტყვებით, საზოგადოება, რომელსაც სურს გაექცეს სასამართლო ხელისუფლების ძალას, სხვა, გაცილებით უხეშ და უსამართლო ძალას შეეყრება და „გარდახდება გარდასახდელი“!!!..

სასამართლო ხელისუფლების მატარებელი ორგანოა სასამართლო, რომელიც ამ ფუნქციას ახორციელებს მოსამართლის (მოსამართლეთა კოლეგიის) მეშვეობით. ანუ, ფაქტობრივად, სასამართლო ხელისუფლების მატარებელნი არიან მოსამართლენი (პროფესიონალი და არაპროფესიონალი), რაც ასახულია კიდევ, მაგალითად, „რუსეთის ფედერაციაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ კანონის პირველივე მუხლში [იხ. 193, c. 128].

მართლმსაჯულება წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ყველაზე მასშტაბურ, „ტოტალურ“, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას, რაც გარკვევითაა ასახული რიგი ქვეყნების კანონმდებლობებში. ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება ზორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით“ [85, გვ. 34]. თუ რას შეიძლება ნიშნავდეს „კანონით დადგენილი სხვა ფორმები“, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს. შევნიშნავ, რომ რაიმე ამგვარი, ახალი იურისდიქციული შინაარსის მქონე ფორმა კანონს ჩვენში დღემდე არ დაუდგენია. კერძოდ, ა) ამავე კონსტიტუციით გათვალისწინებული სამხედრო სასამართლოები შეიძლება შემოღებულ იქნეს

საომარ პირობებში და, თანაც, მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში; ბ) ფაქტობრივად ფართო მმართველობითი ფუნქციის მქონე, ბოლო დრომდე არაკონსტიტუციურ წარმონაქმნს – საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს კონსტიტუციაში 2006 წლის 22 დეკემბერს დამატებულმა 86<sup>1</sup> მუხლმა<sup>2</sup> განუსაზღვრა „მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების“ მიზანი. რაც შეეხება მოსამართლეთა ასოციაციას, იგი მხოლოდ მოსამართლეთა თვითმმართველობას ემსახურება (უნდა ემსახურებოდეს!..).

სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებს, გარდა საკონსტიტუციო კონტროლისა და სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისა, მიაკუთვნებენ აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა გაწონასწორება-შეკავებას, სახელმწიფო იძულების ღონისძიებათა გამოყენებას, მართლმსაჯულების აქტების სოციალური და იურიდიული ღირებულების, მათი სავალდებულობის, ქმედითობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას [184, გვ. 25-26]. ეფიქრობ, აქ ფუნქციები და კონკრეტული „თანმდევი“ ამოცანები „თანაბარუფლებიან“ ფუნქციებად ხელოვნურადაა ჩათვლილი და დიფერენცირებული. დავძენ, რომ ასეთივე წარმატებით მათ შეიძლებოდა დამატებოდა კანონიერებისა და სამოქალაქო მშვიდობის დაცვის სამოსამართლო ფუნქციებიც (მათ სამოქმედო სივრცეში), რის თაობაზეც მართებულად მიუთითებს ვ.მ. სავიცკი [283, ს. 30].

---

\* იხ. სსმ, ნაწ. I, 2007, №3, მუხ. 44, გვ. 1.

**§2. სასამართლო ხელისუფლების, სასამართლო  
სისტემების, სასამართლოების/მოსამართლეთა  
თანამედროვე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები  
/მოკლე მიმოხილვა თემის კონტექსტში/**

**2.1. ზოგადი ექსკურსი**

საერთაშორისო და რეგიონული (ევროპული, ამერიკული, აფრიკული...) ნორმატიული თუ სარეკომენდაციო აქტები (კონვენციები, დეკლარაციები, პაქტები, რეზოლუციები, რეკომენდაციები და მისთ.), შესაბამის თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების ავტონომიის (და, შესაბამისად მათ საქმიანობაში ზედმეტად ჩარევის დაუშვებლობის) პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ნაკლებ ინტერესს იჩენენ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ხელისუფლებებისა და სასამართლო სისტემების მიმართ. როგორც ჩანს, ისინი განიხილება სწორედ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის პრობლემატიკის (ძირითადად, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მისი ორგანიზაციული „გაფორმების“) ფარგალებში. ამ მიმართულებით მათ მიერ დაფიქსირებული „მყარი“ სტანდარტები თუ ვარიანტულ-სიტუაციური მიდგომები, არსებითად, სავსებით ჯდება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ცივილიზებულ ფორმატში (უწინარესად, ხელისუფლების დანაწილების, დანაწილებულ ხელისუფლებათა თუ „სახელისუფლებო შტოთა“ ურთიერთგაწონასწორების, ურთერთკონტროლისა და ეფექტიანი ურთიერთქმედების, კანონ-სამართლის ანუ სამართლიანი კანონის უზენაესობის, მიუკერძოებელი, სამართლიანი, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის ასპექტებში), მის საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად პარამეტრებში. „თავისუფალი რხევის ამპლიტუდის“ შეზღუდვები და, შესაბამისად, სახელმწიფოთა ავტონომიით დაცული სფერო აქ განსაზღვრულია პრინციპით: „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“\*. აქედან

\* იგი გულისხმობს სახელმწიფოს ქედებათა არეალის ჩვეულებრივთან შედარებით რამდენადმე გაფართოებას სახელმწიფოს პატივსაღები ინტერესის დაცვის მიზნით, მაგრამ, ამასთან, მის

გამომდინარე, მთავარია არა ის, თუ რა ფორმითაა ორგანიზებული ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლო სისტემა, როგორია მისი სტრუქტურა, დაკომპლექტების (უწინარესად, მოსამართლედ გამწესების) წესი თუ იურიდიული საქმიანობის პროცედურები, არამედ ის, თუ რამდენად შეესაბამება სასამართლოთა (მოსამართლეთა) მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტა (მათ შორის ინსტანციური „დაზღვევის“ ეფექტიანობა და „საიმედოობა“) სასამართლო ხელისუფლების (უწინარესად, მართლმსაჯულების) განხორციელების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო დაცვის სტანდარტებს, რომელთაც ზემოხსენებული აქტები და საერთაშორისო თუ რეგიონული პრეცედენტები ადგენენ. ამიტომ აქ უპრიანია მოკლედ მანაც განვიხილოთ ამ სტანდარტთა უმთავრესი ნაწილის უმნიშვნელოვანესი ასპექტები\*.

## 2.2. ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული აქტების ნუსხა

2.2.1. იმ ძირითადი საერთაშორისო აქტების ნუსხაში, რომელთაც დაამკვიდრეს ზემოხსენებული სტანდარტები, უწინარესად, შედის:

1) გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის საყოველთაოდ ცნობილი „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ (შემდგომში: „გაეროს დეკლარაცია“) [იხ. 84, გვ. 380-387] – უნივერსალური, ფუძემდებლური აქტი. იგი, როგორც ეს აღიარებულია მსოფლიო იურიდიულ მეცნიერებასა და სამართალშემოქმედებით თუ სამართალგამოყენებით პრაქტიკაში, მართალია, ფორმალურ-იურიდიულად არ წარმოადგენს სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე (ანუ ნორმატიული ხასიათის) აქტს, რადგან, თანახმად გაეროს წესდების მე-10 და მე-11 მუხლებისა, რეზოლუცია, რომლითაც ეს დეკლარა-

---

მინიმიზაციასაც – შემოზღუდვას მხოლოდ რეალურად აუცილებელი, დემოკრატიული საზოგადოებისათვის მისაღები თუ დასაშვები ფარგლებით.

\* კმაყოფილებით მიიღო აღნიშნული, რომ, მოლიანობაში, ეს ასპექტები, საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკოსდაკვალად, ბოლო წლების ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ ფუნდამენტურად და კვალიფიკურადაა დამუშავებული, რაც ადვილდებს ამ ნაშრომის ავტორის ამოცანას – შესაძლებელს ხდის აღნიშნულ ასპექტთა მხოლოდ შემოთავაზებული თემის კონტექსტში, კომპაქტურად განხილვას.

ციაა მიღებული, მხოლოდ რეკომენდაცია<sup>\*</sup>, მაგრამ, შემდგომში, ამ დეკლარაციამ ფაქტობრივად შეიძინა საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმის ანუ საკანონმდებლო ხასიათი [285, გვ. 71];

2. „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (შემდგომში: „პაქტი“), რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ და ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან. იგი არა მარტო იმეორებს (განამტკიცებს), არამედ განავრცობს კიდევ გაეროს დეკლარაციით აღიარებულ დებულებებს [84, გვ. 462-464];

3. „სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ (შემდგომში: „ძირითადი პრინციპები“) [84, გვ. 519-524], რომელიც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტ ლუციუს ვილდჰაბერის სიტყვებით რომ ეთქვათ, „... ქრონოლოგიურად პირველი, ხოლო მნიშვნელობით უწინარესია“ იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც „... საერთაშორისო მასშტაბით განსაზღვრავს მოსამართლეთა და სასამართლოთა საქმიანობის პრინციპებს, ანუ უმთავრეს მოთხოვნებს, რითაც ნიადაგ უნდა ხელმძღვანელობდეს მართლმსაჯულების დარგში საერთაშორისო ვალდებულებათა აღმასრულებელი ყველა ეროვნული ხელისუფლება“ [65, წინასიტყვა, გვ. 7]. იგი მიღებულ იქნა 1985 წლის აგვისტოსექტემბერში, მილანში (იტალია), დაზნაშავეობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის თაობაზე გაეროს მე-7 კონგრესის მიერ, ხოლო მოწონებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში;

4. „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის“ (შემდგომში: „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები“), რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციით [84, გვ. 510-518];

5. ამავე სტრუქტურის მომდევნო (მერვე) კონგრესის მიერ,

---

\* აღნიშნული დეკლარაციის იურიდიული ბუნების შესახებ იხ.: კ. კორკელია. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში // „საქართველო და საერთაშორისო სამართალი“ (კრებული, რედ. კ. კორკელია). თბ., 2001, გვ. 69-75.

ჰავანაში (კუბა) 1990 წლის აგვისტო-სექტემბერში მიღებული „ძირითადი პრინციპები იურისტთა როლის შესახებ“ [267, გვ. 157-162];

6. „ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან თავისუფლებად კვეთილ პირთა დაცვის პრინციპების კრებული“, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1988 წლის 9 დეკემბრის რეზოლუციით [267, გვ. 205-212];

7. „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები“ („პეკინური წესები“), რომელიც დამტკიცებულ იქნა გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციით [267, გვ. 183-204].

8. „კანონის გარეშე, თვითნებურ და შეჯამებით დასჯათა ეფექტიანად თავიდან აცილებისა და გამოძიების პრინციპები“, რომელიც 1989 წლის 24 მაისის რეზოლუციით რეკომენდებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ [267, გვ. 163-168].

### 2.2.2. რეგიონული (ევროპული და სხვა) აქტებიდან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

1) ევროპის ქვეყნებისათვის: „ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ (შემდგომში „ევროპული კონვენცია“) – უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური ევროპული აქტი, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ 1950 წლის 4 ნოემბერს, რომში [84, გვ. 388-416] და რომლის დებულებებს „ცოცხალ ევროპულ სამართლად“ გარდაქმნის ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგი, საფრანგეთი) სასამართლოს პრაქტიკა ანუ პრეცედენტები\*. შემდგომში, გაეროს ზემოხსენებული დეკლარაციის, „ძირითადი პრინციპების“, ევროპული კონვენციისა და სხვა ცენტრალური დოკუმენტების დებულებათა დეტალიზაცია-კომენტირების მიზნით, 1999 წლის 8-10 ივლისს

\* ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ევროპული სამართლის ნორმათა კომპლექსის შემადგენელ ნაწილს [285, გვ. 163].

სტრასბურგში მიღებულ იქნა „ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ (ახსნა-განმარტებითი მემორანდუმითურთ), მინისტრთა კომიტეტის 1995 წლის 13 ოქტომბრის N R(95)12 რეკომენდაცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ“, 1981 წლის 14 მაისის N R(81)7 რეკომენდაცია „მართლმსაჯულებისთვის მიმართვის გამარტივების ღონისძიებათა შესახებ“, 1987 წლის 17 სექტემბრის N R(87)18 რეკომენდაცია „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“ და მრავალი სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დოკუმენტი [81, გვ. 12-50, 104-205].

2. ამერიკის კონტინენტის ქვეყნებისათვის: ა) „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ამერიკული დეკლარაცია“ (1969 წ.) და ბ) „ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი კონვენცია“ (1969 წ.), რომელთა საფუძველზე შეიქმნა ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი კომისია (მისი ფუნქციაა ე.წ. „შუალედური ზომების“ მიღება) და ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი სასამართლო (მას, ევროპული ანალოგისგან განსხვავებით, მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია აქვს – განმარტავს კონვენციასა და სხვა დოკუმენტებს ადამიანის უფლებათა თაობაზე) [285, გვ. 178-183; 244, გვ. 485-486; 269, გვ. 519-522].

3. აფრიკის კონტინენტის ქვეყნებისათვის: „ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია“ (1981 წ.), რომლის საფუძველზეც 1987 წლის 2 ნოემბერს დაარსებულ იქნა ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისია (იგი განმარტავს „აფრიკული ქარტიის“ დებულებებს, ამასთან, გამოვლინებულ დარღვევებთან შესახებ ინფორმაციის, ზოგჯერ კი რეკომენდაციის სახით აცნობებს შესაბამის სახელმწიფოს). გარდა ამისა, 1988 წელს მიღებულ იქნა „აფრიკული ქარტიის“ დანართი – ოქმი. იგი, 30 სახელმწიფოს მიერ ხელის მოწერის შემდეგ, ამოქმედებს ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკულ სასამართლოს, რომელიც ზემოხსენებული კომისიის დამატებად და გაგრძელებად არის მოაზრებული, თუმცა მისი კომპეტენცია ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას [285, გვ. 178-183]. აშკარაა, რომ, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა

დაცვის ამერიკული მექანიზმი, აფრიკულიც ნაკლებ სრულყოფილი და ეფექტიანია ევროპულთან შედარებით [285, გვ. 485-486, 269, გვ. 519-522].

### 2.3. სამართლიანი სასამართლოს უფლება და ადეკვატური სასამართლო მექანიზმები /თემის კონტექსტში/

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ და „უფლება სამართლიან სასამართლოზე“, ფაქტობრივად, ერთი და იმავე ფენომენის აღმნიშვნელი კომპოზიტებია. ეს ცნებები, ამასთან, კომპლექსურია, რადგან შედგება უფრო კონკრეტული, ცალკეული, ფარდობითად დამოუკიდებელი ელემენტებისაგან, კომპლექსურობის ხარისხს კი განსაზღვრავს ის, თუ რა შინაარსით (რაოდენობრივ-მოცულობითი აზრით) ვიყენებთ ამ ცნება-ტერმინებს. ჩემი აზრით, ეს ცნება-ტერმინები (მათგან, ვფიქრობ, ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით, ყველაზე მისაღებია ტერმინი „სამართლიანი სასამართლოს უფლება“) ჩვენში, ფაქტობრივად, გამოიყენება როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ვიწრო გაგებით, იგი მოიცავს ორ უმთავრეს ელემენტს: სასამართლო დაცვის ძირითად საპროცესო უფლებას და ამ უფლების სამართლიანად განხორციელებას „წმინდა“ მექანიზმებს. ფართო გაგებით კი იგი მოიცავს როგორც ამ სფეროში პირდაპირ შემავალ, ისე ირიბად (მაგრამ საკმაოდ მყარად!) დაკავშირებულ ასპექტებს, ინსტიტუტებსა თუ პრინციპებს.

სამართლიანი სასამართლოს უფლება, ფართო (!) გაგებით მოიცავს:

---

\* ზოგჯერ ამ ტერმინთა ორს (ტოლფას) ტერმინად გამოიყენება აგრეთვე „უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე“. თუმცა, ჩემი აზრით, იგი იმთავითვე მხოლოდ გაცილებით ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება იქნეს გამოყენებული („სამართლიანი განხილვა“ შემოსაზღვრულია განხილვის პროცედურებით...).



2.3.1. სასამართლო დაცვის ძირითადი საპროცესო უფლება იგი, როგორც „უძველესი საპროცესო უფლება“, „... ფორმალურად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას ნიშნავს, შინაარსობრივად კი ადამიანის სრულყოფილ, ყოვლისმომცველ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს“, რაც „უპირველესად ნიშნავს სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შემოწმებას ხელისუფლების ყველა იმ მოქმედებისა თუ გადაწყვეტილებისა, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ“ [53, გვ. 336]. ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ, თითქოს, „სასამართლო დაცვის ძირითადი უფლება უზრუნველყოფილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე“ [იქვე, გვ. 340]. სინამდვილეში, როგორც ამავე ავტორის ამავე ნაშრომში საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო სამართლის სფეროებიდან მოტანილი მაგალითები [იხ.იქვე, გვ. 337-339], აგრეთვე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებები (საკასაციო გასაჩივრების სტადიაზე დასაშვებობის შემოღება) ცალსახად მოწმობს, გასაჩივრების (ანუ სასამართლოსადმი მიმართვის) უფლება, საშუაზაროდ, სულაც არ არის (და, არსებული რეალიების გამო, არც შეიძლება იყოს) აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი, მით უმეტეს, ჩვენში ჯერაც ფესვადგმული „უშედეგო სასამართლო სვლის“ (ანუ გასაჩივრების ნაკლებეფექტიანობის თუ არაეფექტიანობის ანუ „ეფექტიურობის“) ტენდენციების გათვალისწინებით. აქ, როგორც გარკვეული ნეგატიური მუხტის მატარებელი ფაქტორი, მხედველობაშია მისაღები ჩვენს კანონმდებლობაში უკვე დანერგილი საჩივრის დასაშვებობის წინასწარ, ნაკლები საპროცესო გარანტიებით შემოწმება-გადაწყვეტის ინსტიტუტი (რომელიც ყოველთვის როდი გამოიყენება სკრუპულოზურ-ნამუსიანად!..) და მისი შემდგომი პერმანენტული ესკალაციის აშკარა ტენდენცია\*, რაც სერიოზულად არყვეს თუ ავიწროებს ისედაც არასრულყოფილ ზემოხსენებულ უფლებას!..

\* მხედველობაშია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, რომელიც აფართოებს საჩივრის დასაშვებობის წინასწარი განხილვის შემთხვევათა წრეს. უფრო მეტიც, აღნიშნული პროექტით, დაზარალებულს ერთმევა საჯარო ბრალდების საქმეებზე მხარედ მონაწილეობისა და განაჩენის გასაჩივრების უფლება, რისი ნეგატიური, ერთობ სახიფათო შედეგებიც, ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებას ჯერჯერობით გააზრებული არა აქვს.

⊗ სამართლიანი სასამართლოს უფლებას და, მათ შორის და უწინარესად, სასამართლო დაცვის ძირითად უფლებას ზემოხსენებულ აქტებში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ასე, მაგალითად, გაეროს დეკლარაციის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, კონსტიტუციით ან კანონით მინიჭებული მისი ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით ეფექტიანად აღდგეს თავის უფლებებში“. მე-10 მუხლში კი აღნიშნულია, რომ „ყოველ ადამიანს, მისი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას და მისთვის წაყენებული სისხლის-სამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის დასადგენად, სრული თანასწორობის საფუძველზე აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე განხილულ იქნეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, საქვეყნოდ“ და სამართლიანობის ყველა მოთხოვნის დაცვით“. ამავე დოკუმენტის მე-11 მუხლში, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაფუძნებისას, მითითებულია, რომ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ყოველ ადამიანს უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ იქნება დადგენილი „კანონიერი წესით, საქვეყნო სასამართლო განხილვის გზით, რომლის დროსაც, მას უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს თავის დასაცავი ყველა საშუალება“ [84, გვ. 382-383].

ანალოგიურ დებულებებს იმეორებს, ამასთან, მრავალმხრივ განაერთიებს და აკონკრეტებს ზემოხსენებული საერთაშორისო პაქტი. კერძოდ, იგი ლაპარაკობს პირის უფლებაზე – მისი საქმე „სამართლიანად და საქვეყნოდ“ განიხილოს „კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“ (მუხ. 14). ამასთან, ამავე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ „... ყველას, ვინც მსჯავრდებულია რომელიმე დანაშაულის ჩადენისთვის, უფლება აქვს, რომ მისი მსჯავრდება და განაჩენი გადასინჯულ იქნეს ზემდგომი ინსტანციის მიერ, კანონის შესაბამისად“ [84, გვ. 462-464]. ამდენად, აქ დაფუძნებულია უფლება – პირის საქმე განხილულ

\* ეს სიტყვა-ტერმინი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში ტრადიციულად აღნიშნავდა პროცესის დასრულებას – საქმეთა ღია, „სახალხოდ“ განხილვას (იხ. სსსკ-ის მე-16 მუხლი). მოუხდელად ამისა, იგი უფრო ხშირად ითარგმნება და გამოიყენება როგორც „საჯარო“ მაშინ, როცა ეს სიტყვა იყო და არის „ოფიციალურის“ სინონიმი (სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა ერთობლიობას უწოდებენ, „საჯარო ხელისუფლებას“, საჯარო „კერძოს“ ანტონიმი და ა.შ.).

იქნეს არანაკლებ ორ (!) სასამართლო ინსტანციაში, რაც ფრიად მნიშვნელოვანი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელი პრინციპია და ემსახურება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო დაცვის უკეთ (უფრო მაღალი ხარისხით) გარანტირებას. ეს უფლება პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი სსსკ-ის 517-ე მუხლში. ამ ასპექტში, ვფიქრობ, გაუმართლებელია საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტის პოზიცია, რომელიც ამგვარ მყარ გარანტიას უკვე აღარ შეიცავს, რადგან, ზემოთ მითითებული ფაქტორის – სააპელაციო ინსტანციაში გასაჩივრების დასაშვებობის ინსტიტუტის შეზღუდვის – გამო, ცალკეული მოსამართლის მიხედულობაზე ავდებს იმას, პირის საქმე გადასინჯოს თუ არა სააპელაციო სასამართლომ ანუ მეორე ინსტანციამ!..

ევროპული კონვენცია (მუხ. 6) ასევე იმპერატიულად მოითხოვს, რომ პირის სამოქალაქო უფლებების განსაზღვრის საკითხი თუ ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდება საჯაროდ (საქვეყნოდ, ღიად, სამართლიანად), გონივრულ ვადაში განიხილოს, კანონის საფუძველზე შექმნილმა დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ [84, გვ. 388-416].

დაეძენ, რომ გაეროს აქტებისა და ევროპული კონვენციის ეს დებულებები იმდენად ფართოდაა იმპლემენტირებული საერთაშორისო, რეგიონულ (ევროპულ) თუ შიდასახელმწიფოებრივ აქტებში, რომ მათი ზერელე ჩამოთვლაც კი ძალზე შორს წაგვიყვანს.

### 2.3.2. სასამართლოს (სასამართლო დაცვის) ხელმისაწვდომობა

სასამართლოს (სასამართლო დაცვის) ხელმისაწვდომობა ფუნდამენტურ დოკუმენტებში პირდაპირ („ამჟამა ფრაზებით“) ჩაწერილი არ არის, მაგრამ მათგან საკმაოდ ნათლად და „არაორაზროვნად“ გამომდინარეობს\*. იგი გულისხმობს სახელმწიფოში ისეთი ორგანიზაციული, პროცედურული და სხვა პირობების არსებობას (მაგალითად, გასაჩივრების დასაშვებობა, ბაჟის დაწესება, მისი რაოდენობა, მისი გადახდისაგან გათავისუფლების ფორმალური და, რაც მთავარია, რეალური შემთხვევები თუ საფუძველები, მისი გადახდის წინასწარი, განწილვადებული თუ შემდგომი წესი, მტკიცებულებათა

\* ამის თაობაზე ევროსასამართლომ პირდაპირ აღნიშნა ქვემოთ მითითებულ საქმეზე „გოლდერი შერთებული სამუხოს წინააღმდეგი (1975) [იხ. 4, წიგნი I, გვ. 271].

შეგროვების რეალური შესაძლებლობის, საადვოკატო მომსახურების ანუ ადვოკატის მიერ დაცვის თუ წარმომადგენლობის პონორარის გადახდისუნარიანობის, მათ შორის და განსაკუთრებით კი არასმქონეთა თუ ღარიბთათვის სახაზინო თუ საქველმოქმედო ანუ უფასო ადვოკატი რეალურად უზრუნველყოფის პარამეტრები), რომლებიც მაქსიმალურად/ოპტიმალურად უზრუნველყოფს ყველა იმ პირის მიერ სასამართლოსათვის დროულად და შეუფერხებლივ მიმართვას, რომლებიც სასამართლო დაცვას საჭიროებენ<sup>\*</sup>.

⊗ საქმეზე „გოლდერი შეერთებული სამეფოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და შესაბამისი პროცედურული გარანტიები<sup>\*\*</sup> იარსებებდა სასამართლოზე ხელმისაწვდომობის გარანტიების გარეშე, ვინაიდან პირველთ არანაირი აზრი არ გააჩნიათ, „თუ არ არსებობს თვით სასამართლო პროცესი“ [4, წიგნი I, გვ. 276].

გაეროს დეკლარაცია (მუხ. 8, 10), „ძირითადი პრინციპები“ (პ. 1-3 და სხვ.), ევროპული კონვენცია (მუხ. 5-6, 13), სხვა აქტები, აგრეთვე ევროპული სასამართლოს პრეცედენტები ხაზს უსვამს თეორიაში აღიარებულ იმ დებულებას, რომ სასამართლოს (სასამართლო დაცვის) ხელმისაწვდომობა უნდა იყოს რეალური, ქმელითი, ეფექტიანი, ნებისმიერი ჩვეულებრივი ადამიანის მიერ განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე რეალიზებადი, ამასთან, როგორც აღინიშნა, არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში. ამგვარი ქმელითობა პირდაპირაა დადგენილი, მაგალითად საქმეზე „ეირი ირლანდიის წინააღმდეგ“ (Airey v. Ireland) [იხ. 51, გვ. 132]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის ძალით,

---

\* როგორც თავის დროზე მართებულად აღნიშნა ევროპული (სტრასბურგის) ადამიანის უფლებათა სასამართლოს მაშინდელმა თავმჯდომარემ როლფ რისდალმა (და ეს დებულება დღემდე კემპარტიტა, რასაც დღევანდელი საქართველოს პრაქტიკაც ცალსახად მოწმობს), ამ უფლების გარანტიებს ყველაზე მეტად მოკლებულნი არიან თავისუფლებალკვეთილი პირები [277, გვ. 34].

\*\* მხედველობაშია საქმის გონივრულ ვადაში, სამართლიანად და საჯაროდ განხილვა.

უფლების აღდგენისათვის, მართალია, შინაარსობრივი იურისდიქციის თვალსაზრისით, პირის უფლებათა დასაცავად აუცილებლობას არ წარმოადგენს (!) სასამართლო ხელისუფლება (ორგანო), მაგრამ მისი უფლებამოსილება და გარანტიები განსაზღვრავენ (!) ამგვარი დაცვის საშუალებათა ეფექტიანობას [47, გვ. 12].

დაბოლოს, შევნიშნავ, რომ ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა სასამართლოს (სასამართლო დაცვის უფლების) ხელმისაწვდომობის პრინციპის არააბსოლუტურობა და, ამასთან, მიუთითა, რომ მისი შეზღუდვა უნდა იყოს კანონიერი მიზნით დადგენილი და ამ მიზნის თანაზომიერი, არ უნდა ატარებდეს დისკრიმინაციულ ხასიათს და ა.შ. [219<sup>a</sup>, გვ. 15-17].

### 2.3.3. კანონიერი, კომპეტენტური სასამართლო (მოსამართლე) ან ტრიბუნალი

ა. „კანონიერი სასამართლო“ აქ ნიშნავს იმას, რომ იგი, როგორც ზემოხსენებული საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში და ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული, „შექმნილია კანონის საფუძველზე“, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქვს ნორმატიული ლეგიტიმაცია, ოფიციალურობა. შესაბამისად, „კანონიერი მოსამართლის“ ცნება, როგორც მინიმუმი, მოიცავს: ა) მოსამართლის მუდმივად ან დროებით ოფიციალურად ფუნქციონირებას\* ზემოხსენებული „კანონიერი სასამართლოს“ შემადგენლობაში და ბ) ამ მოსამართლის არსებული წესისამებრ „საშტატო“ გამწესების თუ შესაბამის სასამართლოში დროებით მიმაგრების კანონიერებას (გამწესებას და შემდგომ მიმაგრებას კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად). ეს არის ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობა. ფართო მნიშვნელობით კი იგი, ჩვენებურ პრაქტიკულ ტერმინოლოგიაში, მოიცავს „კომპეტენტური სასამართლოს“ ცნებასაც\*\*. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც მართებულად მიუთითა ევროპის

\* და არა მინცა და მინც კუთვნილებას (მის შემადგენლობაში ყოფნას), რადგან ზოგიერთ ქვეყანაში, ვთქვათ, ქვედა ინსტანციაში საქმის კოლეგორ განხილვაში შეიძლება მონაწილეობდეს ზემდგომი სასამართლოს მოსამართლე.

\*\* სახელდობრ, ზოგჯერ პრაქტიკაში „კანონიერი მოსამართლის“ ცნებაში გულისხმობენ იმას, რასაც მოიცავს ტერმინი „კომპეტენტური სასამართლო“ (იხ. ქვემოთ).

სასამართლომ საქმეზე „ოლსონი შვეციის წინააღმდეგ“, ეს კანონი უნდა იყოს სამართლიანი – სამართლის უზენაესობის პრინციპზე დაფუძნებული [იხ. გვ. 17].

ბ. „კომპეტენტური სასამართლოს“ ცნება მომდინარეობს გაეროს კონვენციის მე-8 მუხლის მიერ კონსტატირებული დებულებიდან, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს დარღვეული ძირითადი უფლებები ეფექტიანად აღიდგინოს „კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით“ [.... გვ. 382]. ასევე, ზემოხსენებული საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი მიუთითებს უფლებაზე – პირის საქმე განიხილოს „კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა სასამართლომ“. ამ დებულებას შემდგომში ხაზს უსვამენ სხვა აქტებიც. ანალიზი მოწმობს, რომ აქ მსაზღვრელი სიტყვა „კომპეტენტური“, ერთგვარად ავსებს და აგრძელებს მსაზღვრელ სიტყვა „კანონიერს“ და მიუთითებს არა სასამართლოს (მოსამართლის) კვალიფიციურობაზე (რაც ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ სავსებით დამოუკიდებელი „საკადრო“ ასპექტია), არამედ მის უფლებამოსილებაზე, იურისდიქციაზე (განსჯადობის ჩათვლით). ამას მოწმობს, მაგალითად, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „ც“ და „დ“ ქვეპუნქტების, სხვა აქტების თუ ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ერთობლივი ანალიზი.

⊗ ამასვე ეხმიანება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც იმპერატიულად ადგენს, რომ „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქცია-საც ექვემდებარება მისი საქმე“ [85, გვ. 14], აგრეთვე მე-18 მუხლის მე-18 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით...“ [იქვე, გვ. 8]. შესაბამისად, საქართველოს მიმდინარე (ორგანული თუ „ჩვეულებრივი“) კანონმდებლობა (მათ შორის საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საპროცესო კოდექსები) განსაზღვრავს საქართველოს სასამართლოთა იურისდიქციას: ტერი-

\* „უფლებამოსილი სასამართლოს“ პრობლემატიკის ზოგიერთი ასპექტის თაობაზე უფრო დანერგებით იხ.: 30, გვ. 156-161.

ტორიულს (მაგ., რუსთავის საქალაქო სასამართლო), ინსტანციურს (მაგ., თბილისის სააპელაციო სასამართლო) თუ პირადას (მაგ., მოსამართლე X; კოლეგიის წევრი მოსამართლეები X, Y და Z), ანუ გაიცემა პასუხი კითხვებზე: რომელი სასამართლო და, კერძოდ, რომელი მოსამართლე (მოსამართლენი) განიხილავს (განიხილავენ) ამ საქმეს, კანონის მიხედვით?\*

გ. „სასამართლო ან ტრიბუნალი“ აქ ხაზს უსვამს იმას, რომ სასამართლო ფუნქციის (უფლებამოსილების) მქონე ორგანოები არ არიან ერთგვაროვანი და, მით უმეტეს, იდენტური თავიანთ უფლებამოსილებათა (კომპეტენციის, იურისდიქციის, განსჯადობის) მოცულობისა და, გარკვეულწილად, ხასიათის თვალსაზრისით. ამას ცალსახად, ოღონდ რაიმე კომენტარის გარეშე, გამოხატავს ზემოხსენებული საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი, რომელიც პირველ პუნქტში მათ „და“ კავშირის გამოყენებით განაცალკევებს ერთმანეთისგან – ჯერ ლაპარაკობს ყველას თანასწორობაზე „სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე“, შემდგომში კი ლაპარაკობს მხოლოდ სასამართლოებზე ე.ი. ინსტიტუციურად მასში გულისხმობს ტრიბუნალებსაც. შემდგომში, ზემოხსენებული „ძირითადი პრინციპები“ უფრო შორს მიდის და მიუთითებს ამგვარი „ტრიბუნალის“ აუცილებელ ნიშანზე. კერძოდ, მე-5 პუნქტში ნათქვამია, რომ საქმეთა სასამართლო განხილვა უნდა წარმოებდეს „ჩვეულებრივ სასამართლოებში ან ტრიბუნალებში, რომლებიც იყენებენ (!) დადგენილ იურიდიულ პროცედურებს“. შესაბამისად, არ უნდა შეიქმნას ტრიბუნალები, რომლებიც „არ იყენებენ ჯეროვანი სახით დადგენილ იურიდიულ პროცედურებს ჩვეულებრივი სასამართლოების ან სასამართლო ორგანოთა კომპეტენციის ჩანაცვლების მიზნით“ [84, გვ. 150]. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ეს „დამზღვევი“ ნორმა-პრინციპი მიმართულია იმ საგანგებო (სპეციალური) „სასამართლოების“ შექმნის წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლოთა – დავების განსახილველად და გადასაწყვეტად კაცობრიობის მიერ დღემდე მიგნებულ ყველა ფორმათა და საშუალებათა შორის ყველაზე

\* უფრო დაწერილობით იხ.: 53, გვ. 340-342.

უკეთესი ამ მექანიზმის – სრულ პროფანაცია-კომპრომეტაციას წარმოადგენს. იგი შეუდარებლად უფრო უარესი, საშიში და საზიანოა, ვინემ ნებისმიერი არასაგანგებო, ნორმალური კვაზისასამართლო ორგანო, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, საკმაოდ წარმატებით ეხილებიან სასამართლო ორგანოებს – ემსახურებიან მათს განტვირთვას წვრილმანი, ადვილი საქმეებისაგან, რითაც ხელს უწყობენ ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვან საქმეთა განხილვის დაჩქარებას, ანუ „სწრაფი მართლმსაჯულების“ პრინციპის უკეთ რეალიზაციას.

⊗ იტალიელი იურისტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე ფრანჩესკო კრისაფულის განმარტებით, ევროსასამართლოს მიერ „ტრიბუნალის“ ცნება შექმნილია „... ავტონომიური ცნების სახით, კონვენციის სისტემაში და გამოიყენება იურისპრუდენციაში, როგორც მე-ნ მუხლის გამოყენების პერიმეტრის განსაზღვრისათვის, ისე მისი მოთხოვნების დაცვის გაკონტროლებისათვის [იხ. 80, გვ. 138]. ტრიბუნალის განმარტება მოცემულია საქმეში „სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (1984 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება): შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, ამგვარი ორგანო, როგორც არ უნდა იყოს მისი დასახელება, უფლებამოსილი უნდა იყოს რომ „სამართლის ნორმის საფუძველზე გადაჭრას ორგანიზებული პროცედურის შედეგი და მისი კომპეტენციის შესაბამისი ყველა საკითხი“. შემდგომში, სხვა გადაწყვეტილებებში, ამ განმარტებაში შეიტანეს საჭირო დამატებები: „ტრიბუნალი უნდა იყოს სრულყოფილი და ხელშეუხებელი სასამართლო ორგანო, მისი უფლებამოსილება არ შეიძლება შეზღუდული იყოს მხოლოდ და მხოლოდ აქტის გარკვეული სახის ასპექტების კონტროლით (ფორმალური კანონიერება, მოტივაცია, პროცედურა), არამედ უნდა გაფართოვდეს იმ ღონემდე, რომ რეფორმირება მოახდინოს ადმინისტრაციული გადაწყვეტილებისა „ყველა პუნქტში, ფაქტობრივად და სამართლებრივად“. ასევე, მისმა უფლებამოსილებამ შესაძლებელი უნდა გახადოს სამოქალაქო დავისა და სისხლის სამართლის პროცედურაში ყველა შესაბამისი მატერიალური ფაქტის გაკონტროლება, აგრეთვე დავის მოსაგვარებლად ყველა შესაბამისი სამართლებრივი წესის ინტერპრეტაცია და გამოყენება. იგი უფლებამოსილი უნდა იყოს, რათა გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ



მოაგვარებს დავას. ეს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს და არ უნდა დაექვემდებაროს ცვლილებას ან გაუქმებას სხვა, არასასამართლო ორგანოს მიერ“. [80, გვ. 139]. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ევროსასამართლოს სხვა პრეცედენტთა დასკვნები, რომ საქმეზე სასამართლოს (მოსამართლის) თუ ტრიბუნალის ცნებები შეუთავსებელია პროკურორის თუ გამომძიებლის ფუნქციებთან [4, გვ. 67-70].

### 2.3.4. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო (მოსამართლე)

დამოუკიდებლობის ნიშნის გარეშე სასამართლო (მოსამართლე) საერთოდ კარგავს თავის ინსტიტუციურ თვითმყოფადობას და კონსტიტუციურ, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ დანიშნულებას, რადგანაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა (რაც, როგორც ვნახეთ, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტური ნიშანია, თავისებური „ჰიპოსტასია“) მოსამართლეთა (სასამართლოთა) რეალური, უპირობო დამოუკიდებლობის<sup>\*</sup> გარეშე ცარიელი, ფუტურო, უსაგნო, დემაგოგიურ-დეკლარაციული ცნებაა და მეტი არაფერი!.. საერთაშორისო თუ რეგიონული აქტების, სასამართლო პრაქტიკის, დოქტრინის თუ საზოგადოების აზრი ამ საკითხში პრაქტიკულად ერთსულოვანი და ცალსახაა: თუ სასამართლო, რამდენადმე მაინც, პირდაპირ თუ ირიბად, დამოკიდებულია საკანონმდებლო და/ან აღმასრულებელი ხელისუფლების არალეგიტიმურ ნება-სურვილზე, იმყოფება მათი თუნდაც არაოფიციალური დიქტატის ქვეშ, მორჩილად ასრულებს მის მერკანტილურ-პოლიტიკურ თუ სხვაგვარ არაკანონიერ სურვილებსა თუ მითითებებს კონკრეტულ საქმეებზე თუ საქმეთა კატეგორიებზე, ნიველირებულად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო სასამართლო ხელისუფლება, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიც.

სწორედ ამიტომ, საერთაშორისო თუ რეგიონული აქტები, როგორც უკვე ნაწილობრივ ვნახეთ, ერთხმად უსვამენ ხაზს სასამართლო-

\* იგი, როგორც ცნობილია, მოიცავს როგორც გარეგანი ზეგავლენისაგან ანუ ობიექტურად დაცულობას, ისე შინაგან ანუ სუბიექტურ დამოუკიდებლობას, რაც ცალკე, ამასთან, ვრცელი საუბრის თემაა.

ლოთა დამოუკიდებლობას, რომელიც, ამასთან, მიუკერძოებლობის წინაპირობადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ. პირველისაგან განსხვავებით, მიუკერძოებლობა უფრო სუბიექტურ ანუ მოსამართლის პერსონასთან დაკავშირებულ, მისგან გამომდინარე ფაქტორებსა და პარამეტრებს ემყარება. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისათვის, მიუკერძოებლობა უნდა განისაზღვროს სუბიექტური შემოწმებიდან გამომდინარე, ესე იგი კონკრეტულ საქმეში კონკრეტული მოსამართლის პირად რწმენათა საფუძველზე, აგრეთვე ობიექტური შემოწმებით, ესე იგი იმის შემოწმებით, უზრუნველყო თუ არა მოსამართლემ საკმარისი გარანტიები საიმისოდ, რომ გამოერიცხა ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი მართლზომიერი ეჭვი<sup>\*</sup> (იხ. ევროპული სასამართლოს დადგენილებები საქმეებზე: „პირსაკი ბელგიის წინააღმდეგ“ (1982), „სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (1984), „ჰაუსშტილტი დანიის წინააღმდეგ“ [219<sup>a</sup>, გვ. 17-18, 3, გვ. 68-69], რემლი საფრანგეთის წინააღმდეგ (1991) [3, გვ. 57] და სხვა). აქ, უმთავრესად, ამოსავალია პრეზუმფცია, რომ მოსამართლე მიუკერძოებელია, თუ საწინააღმდეგო არ იქნა დამტკიცებული, მაგრამ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა საკმაოდ მყარად დაადგინა ისიც, რომ არც ინგლისური სამართლის შემდეგი დოქტრინაა უგულვებელსაყოფი: „მართლმსაჯულება არა მარტო უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდევ, რომ იგი ხორციელდება“. მართალია, ზოგიერთი ავტორი ამას მაქსიმალიზმსა და ანაქრონიზმს უწოდებს და მოსამართლეებს ცალსახად მოუწოდებს, რომ „გარეგნულ ნიშნებს“ კი არ მივიდით, არამედ მხოლოდ „სასამართლო განხილვის რეალიებს“ — იმის შუქზე, თუ „რას გვეკარნახობს ჩვენი საღი აზრი“ [იქვე], მაგრამ ფაქტია, რომ ზემოხსენებულ და ზოგიერთ სხვა საქმეებზე სასამართლომ საკმარისად მიიჩნია „ეჭვის აღმძვრელი გარემოების“ არსებობა — იმისდა მიუხედავად, ობიექტურად იყო თუ არა მიკერძოების რეალური

<sup>\*</sup> ცალკეულ მოსამართლეთა ამგვარი მიდგომა დაფიქსირდა, მაგალითად, საქმეში „დე ორგი, ბაუე და ვან დერ ბრინკი ნიდერლანდების წინააღმდეგ“: „უნდა ეუყუროთ არა გარეგან გამოვლინებებს, ... არამედ კონცენტრირება მოხდეს სიტუაციის რეალიებზე“ [სერია A, №77 (1984); 8 EHRF20, §48].

საფრთხე. დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს ევალეზა არა მარტო ობიექტურად იყოს მიუკერძოებელი, არამედ შესაბამის ნღობასაც უნერგაედეს ადამიანებს. „მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას ობიექტურად მიუკერძოებელი და, ამასთან, ნღობით აღჭურვილ სასამართლოზე. სასამართლო, თუნდაც ობიექტურად მიუკერძოებელი, ვერ ჩაითვლება „მიუკერძოებელ სასამართლოდ“ კონვენციის მე-ნ მუხლის გაგებით, თუკი მისი მიუკერძოებლობა ხალხის თვალში საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს და ნღობას ვერ იმსახურებს“ [3, გვ. 59].

⊗ ამგვარი მიდგომა წარმოჩინდა საქართველოს სასამართლოთა მიერ ევროპული სასამართლოს პრეკედენტთა გამოყენების თავიდან (2000 წლიდან) არც თუ გაბედულ, მაგრამ თანდათან მზარდ პრაქტიკაშიც. ასე, მაგალითად, ამ ნაშრომის ავტორმა, როგორც თბილისის საოლქო (ამჟამად სააქელაციო) სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლემ, 2002 წლის 8 თებერვალს, თავის დადგენილებაში თვითაცილების შესახებ, ეს გადაწყვეტილება დაამყარა პირსაკისა და ჰაუსშტილდტის საქმეებზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ შემოხსენებულ გადაწყვეტილებებზე<sup>\*</sup>.

„სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ (პ. 1-7) მიიჩნევს, რომ:

– სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ, ამასთან, ეს გარანტიები განმტკიცებული უნდა იყოს კონსტიტუციით.

⊗ პრაქტიკაში ეს ასეც ხდება – სახელმწიფოები, იმისდა მიუხედავად, არსებულ ხელისუფლებას რეალურად სურს და ახორციელებს თუ არა შემოხსენებულ გარანტირებას, თავიანთ კონსტიტუციებში, როგორც წესი, ასახვენ სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის და ამ პარაგრაფში მიმოხილულ სხვა პროგრესულ, დემოკრატიულ პრინციპებს – თუნდაც იმიტომ, რომ ეს მომგებიანია მსოფლიო თანამეგობრობის თვალში. ცხადია, ამგვარი პრინციპებისა და ნორმა-

\* ეს დადგენილება, როგორც შემოხსენებულ პრეკედენტთა ჩვენში გამოყენების ერთი ნიმუში (საგამომიებო კოლეგიების საქმიანობაში კი იგი ერთადერთი იყო!), შეტანილია პროფ. კ. კორკელას ნაშრომში მოცემულ ნუსხაში [50, გვ. 396-397], ხოლო დადგენილების ტექსტი – ამ ნაშრომის ავტორის წიგნში, ნიმუშის სახით [13, გვ. 338-341].

პრინციპების დეკლარირების გზას ადგანან პოსტსოციალისტური სახელმწიფოებიც – თავიანთ ბოლო კონსტიტუციებში. მათ შორისაა საქართველოც. კერძოდ, კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები“, ხოლო 84-ე მუხლი მოუთითებს, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“ (პ. 1). „მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“ (პ. 2). „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“ (პ. 3). „ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“ (პ. 4).

– ყველა სახელმწიფო და სხვა დაწესებულებანი ვალდებული არიან პატივი სცენ და დაიცვან სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობა;

– სასამართლო ორგანოები მათთვის გადაცემულ საქმეებს წყვეტენ მიუკერძოებლად, ფაქტების საფუძველზე და კანონის შესაბამისად, ყოველგვარი შეზღუდვის, არამართლზომიერი, ზეგავლენის, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის ან პირდაპირი თუ ირიბი ჩარევის გარეშე – ვისი მხრიდან და რა მიზეზითაც არ უნდა ხდებოდეს ეს;

– სასამართლო ორგანოები ფლობენ კომპეტენციას სასამართლო ხასიათის ყველა საკითხის მიმართ და გააჩნიათ განსაკუთრებული უფლება გადაწყვიტონ – შედის თუ არა მათთვის გადაცემული საქმე კანონით დადგენილ მათ კომპეტენციაში;

– არ უნდა ექნეს ადგილი არამართლზომიერ ან არასანქცირებულ ჩარევას მართლმსაჯულების პროცესში, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებები შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

---

\* ამ ნორმებთან მიმართებაში არ შეიძლება უნებლიედ არ გავახსენდეს ის ფაქტი, რომ, მათი მოქმედების საკმაოდ ხანმოკლე პერიოდში, ჩვენში ორჯერ (1999 და 2005 წლებში) ფაქტობრივად მთლიანად ან თითქმის მთლიანად შეიცვალა მოსამართლეთა კორპუსი.

აქვე მე-9 პრინციპად მითითებულია, რომ მოსამართლეებს უფლება აქვთ შექმნან ასოციაციები და სხვა ორგანიზაციები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია სწორედ თავიანთი სამოსამართლო დამოუკიდებლობის (რასაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ემსახურება აგრეთვე მოსამართლეთა შერჩევა-გამწესების, სამსახურის გავლის, დაწინაურება-დაქვეითება-გათავისუფლების მყარ სახელმწიფოებრივ გარანტიათა – გარანტირებული ვადების, წესების, პროცედურების, კრიტერიუმების, იმუნიტეტის და ა.შ. – სისტემა) დაცვა\*.

შევნიშნავ, რომ ევროპული სტრუქტურები შემდგომშიც სისტემატურად განიხილავდნენ და შეიმუშავებდნენ გარანტიებსა და წინადადებებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხებზე – „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიასა“ და მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში [81, გვ. 19-50, 133-140, 175-181, 201-205 და სხვ.].

*2.3.5. საქმეთა სწრაფი ან გონივრულ ვადაში სასამართლო განხილვა საჯაროობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სხვა მოთხოვნები.*

ა. საქმეთა სწრაფი („მაქსიმალურად სწრაფი“) განხილვა ერთობ სასურველია, რადგან ეფექტიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა, მაგრამ, რეალობაში უფრო მიღებულია საუბარი საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე, რაც ნიშნავს საქმეთა განხილვას „ზედმეტი დაყოვნების“ ან/და „გადამეტებული გაჭიანურების“ გარეშე, ამასთან, ხაზს უსვამენ ე.წ. საპატიმრო საქმეთათვის პრიორიტეტის მინიჭებას – მათს შემჭიდროებულ ვადებში თუ პირველ რიგში განხილვას. საქმეთა განხილვის გონივრულობის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო „... მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს: საქმის სირთულეს, განმცხადებლის ქცევას, სახელმწიფოს სასამართლო და

\* იხ. პ. 8-20. ამასთან დაკავშირებით აქ კონსტატაციის წესით აღვნიშნავ (რამეთუ გამოწველივით ანალიზი ცალკე, მნიშვნელოვანი ამოცანაა), რომ „ფორმირებადი“ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, რიგ ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, დღემდე მინიმალურადაც კი ვერ ახერხებდა ამ ფუნქციის შესრულებას.

ადმინისტრაციული ხელისუფლების ქცევას და იმას, თუ რა დგას განმცხადებლისათვის დღის წესრიგში“ [51, გვ. 137]. „საქმის სირთულე“, თავის მხრივ, კომპლექსური შინაარსის ცნებაა და ჩვენში არსებული პრაქტიკით, მასში უთუოდ მოიაზრება, როგორც, ერთ შემთხვევაში, საქმის იმანენტური სირთულე (დანაშაულის სიმძიმის, სხვაგვარად „ძნელი“ ხასიათის, სიახლის, „ჩახლართულობის“ და მისთანა გარემოებათა ან მათი სხვადასხვაგვარი კომბინაციის გამო), ისე, სხვა შემთხვევებში, საქმის მრავალეპიზოდულობა (მეტწილად მრავალი ერთგვაროვანი ან მსგავსი დანაშაულის არსებობა – მაგ., ქურდობათა, ან კიდევ ქურდობათა და სხვა „მომიჯნავე“ ანგარებით დანაშაულთა კრებადობა და ა.შ.), მასში სხვადასხვა სახის დანაშაულთა სიმრავლე (მაგ, მკვლელობა, დატაცება, სიყალბეები და ა.შ.), მრავალბრალდებულობა, დანაშაულის ორგანიზებული ხასიათი, ან კიდევ მათი კომბინაცია. რეალურ სინამდვილეში, საქმის სწრაფად განხილვას შეიძლება ხელი შეუშალოს მხარის წარმომადგენლის ამა თუ იმ მიზეზით (მიზეზს ჩვენში რა გამოლევს!) გამოუცხადებლობამ, პატიმარი განსასჯელის წარმოდგენლობამ ბადრაგის მიერ (რაც ჩვენში ასევე არაიშვიათია), სხვა ორგანიზაციული თუ სხვაგვარი ხასიათის ფაქტორებმა [იხ. 30, გვ. 70-72].

ბ. საქმის საქვეწო\* (ღია) განხილვა, როგორც წესი, კონსტიტუციური პრინციპია (იხ., მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტი), რომელსაც საერთაშორისო და რეგიონული აქტები, დემოკრატიული საზოგადოებები, ევროპული სასამართლო ფართოდ აღიარებენ. ამასთან, ცხადია, ეს პრინციპები აბსოლუტური სულაც არ არის – კანონმდებლობები და ევროპული სასამართლოს პრეცედენტები უშვებენ გამონაკლისებს „პროცესის ხილულობის“ დებულებიდან. ამასთან, პრინციპის შეზღუდვა არ ეხება გადაწყვეტილების გამოცხადებას – იგი ყველა შემთხვევაში

\* მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის პირველ პუნქტში გამოყენებულია ტერმინი „საქვეწო“ („სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეწონდ“) და, შესაბამისად, 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლში პროცესის ლაბა აღინიშნება ტერმინით „საქვეწოება“, „საჯაროობა“ კი იხმარება „ოფიციალურობის“ გაგებით (იხ. მუხ. 14 – „საჯაროობა და დისპოზიციურობა“). მიმდინარე კანონმდებლობასა და ახალი სსსკ-ის პროექტში იგი თანდათან შეიფაროვა მის ნაცვლად გამოყენებულმა ტერმინმა „საჯარო“ („საჯაროობა“, „საჯაროდ“ და ა.შ.).

საქვეყნოა, რათა არ დაირღვეს საზოგადოებრიობის ინფორმირებულობის მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფას [გვ. 19]. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში, ამასთან დაკავშირებით, მითითებულია, რომ „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, მაგრამ პრესა და ხალხი შეიძლება არ იყვნენ დაშვებულნი მთელ სასამართლო განხილვაზე ან მის ნაწილზე დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მოსაზრებებით, თუ ეს მოითხოვება არასრულწლოვნის ინტერესებში, ან მხარეთა კერძო ცხოვრების დასაცავად, ანდა იმ ზომით, რომლითაც ეს, სასამართლოს აზრით, მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებულ გარემოებებში, როცა საქვეყნობა დაარღვევდა მართლმსაჯულების ინტერესებს“ [84, გვ. 391; 267, გვ. 237]. ნიშანდობლივია, რომ აქ მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესებთან მიმართებაში მიუთითებს ევროპული კონვენცია საქვეყნობის პრინციპის შეზღუდვის „მკაცრ აუცილებლობაზე“, როგორც შეზღუდვის პირობებზე (საფუძველზე), ხოლო, დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში კი ლაპარაკობს „მოსაზრებებსა“ და „ინტერესებზე“ – პრიორიტეტულობას „მასპინძელთან“ მიმართებაში იგი ცალსახად უთმობს ამ უკანასკნელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტები საჯაროობის მოთხოვნას მეტი კატეგორიულობით ავრცელებს პირველი ინსტანციის (!) სასამართლოში სამართალწარმოებაზე [30, გვ. 73].

გ. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა სამართლიანი სასამართლო განხილვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად (ასპექტად, ფაქტორად, „მდგენლად“) არის მიჩნეული. ევროპული სასამართლოს პრეცედენტების მიხედვით (მაგ., საქმეებზე „ლომბო ბენერი ნიდერლანდების წინააღმდეგ“, 1993 წ.; „კრჩმარი და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ“ – 2000 წ.), თანასწორობის იდეა წარმოდგება „ძალთა თანასწორობის“ პრინციპის სახით [219, გვ. 14]. ამით, როგორც ჩანს, აქცენტი გადააქვთ იმაზე, რომ საჭიროა ფორმალური იურიდიული თანასწორობიდან მაქსიმალურად (ანუ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, პრაქტიკულად) გადანაცვლება რეალური თუ ფაქ-

ტობრივი თანასწორობისაკენ, მით უმეტეს, რომ ევროსასამართლო ისედაც საკმაოდ „თვითშეზღუდულია“ საქმეთა განხილვისას – იგი, როგორც წესი, მხოლოდ წმინდა საპროცესო გარანტიების არსებობის დადგენით შემოიფარგლება და, ამდენად „სამართლიანი სასამართლო განხილვის“ პრინციპის მოთხოვნათა ფარგლებს არ განაევრცობს (ან ძალზე „დელიკატურად“, მინიმიზებულად განაევრცობს) თვითონ საქმის საბოლოო (არსებითი) გადაწყვეტის შედეგებზე ანუ „დავის გადაწყვეტაზე“, რასაც სამართლიანად აკრიტიკებენ [იქვე, გვ. 10]. ევროსასამართლო ამას უკავშირებს შეეჯიბრებითობის უზრუნველყოფის ამოცანას (პრინციპს), რომელსაც, როგორც ამ ნაშრომშიაც ქვემოთ არაერთგზის ვნახავთ, პირველის (რეალური თანასწორობის) გარეშე ხშირად ჭეშმარიტებისა და სამართლიანობისაკენ სულაც არ მივყავართ!.. [უფრო დაწერილებით იხ. 23, გვ. 42-45].

დ. ბრალდებულის (განსასჯელის) პირადი დასწრება მისი საქმის წარმოებისას ასევე მნიშვნელოვანი უფლებაა, განსაკუთრებით სასამართლო განხილვის სტადიაზე, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, იგი აბსოლუტური სულაც არ არის. ასე, მაგალითად, საქმეზე „კრომბ-ახი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ დაადგინა, რომ საქმე შეიძლება განსასჯელის დაუსწრებლადაც იქნეს განხილული, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს შეუძლია შემდგომში მიაღწიოს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მისი ბრალეულობის საკითხის ხელახლა გადაწყვეტას [51, გვ. 132]. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, ამ მხრივ, უფრო მკაცრი მოთხოვნაა დაწესებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე დასწრების მიმართ – განსხვავებით შემდგომი (სააპელაციო, საკასაციო) ინსტანციებისაგან [იქვე, გვ. 133]. ჩემი აზრით, თუ საკასაციო ინსტანციის მიმართ, სადაც მხოლოდ სამართლებრივი საკითხები იხილება, ამგვარი მიდგომა საკმაოდ საფუძვლიანია, ძნელია ამგვარივე მიდგომას დაეთანხმო ჩვენებური სააპელაციო განხილვის შემთხვევაში, სადაც, როგორც ცნობილია, მეტწილად საქმის ხელახლა არსებითად განხილვა ანუ ფაქტების დადგენა ხდება და, ამდენად, განსასჯელის დასწრებას არსებითად ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც პირველი ინსტანციის სასამართლოში.



ე. გადაწყვეტილების მოტივირებულობა (დასაბუთებულობა) ის მოთხოვნაა, რომლის გარეშეც ძნელია გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში გაერკვეს, ერთი მხრივ, მხარე თუ მისი წარმომადგენელი, მეორე მხრივ კი, საზოგადოება. პირველისათვის, გადაწყვეტილების ავტორიტეტისათვის საჭირო დამაჯერებლობის დეფიციტი, ბუნებრივია, რიგ შემთხვევებში იწვევს არა მარტო უქმაყოფილებას, არამედ ზოგჯერ მცდარ გასაჩივრებასაც, ანუ, ერთი მხრივ, სასამართლოს ავტორიტეტის შერყევას, მეორე მხრივ კი ზემდგომ სასამართლოთა დამატებით დატვირთვას თუ გადატვირთვას, აქედან გამომდინარე რიგი ნეგატიური შედეგებით. ამასთან დაკავშირებით, კონსტატაციის წესით აღვნიშნავ, რომ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) კანონმდებლობა და, შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკა სულ უფრო და უფრო იხვევს უკან ამ პრინციპიდან – პროცესის დაჩქარების („საპროცესო ეკონომიის“) მიზნით, განაჩენის და სხვა გადაწყვეტილებათა ტექსტის გაცნობა (გამოქვეყნება) სულ უფრო იცვლება მათი სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებით – რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპულ (მაგ., გერმანიაში – ე.წ. „შეკვეცილი განაჩენი“) და, განსაკუთრებით, ანგლოსაქსონური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებზე, სადაც ეს ტენდენცია უფრო ფართოდაც გავრცელდა თვით გადაწყვეტილების აღწერილობით-სამოტივაციო თუ სამოტივაციო ნაწილის გარეშე გაფორმების, ანდა სულაც „საოქმო გადაწყვეტილების“ (მხოლოდ ოქმში ლაკონურად მითითებული გადაწყვეტილების) სახით\*.

3. გადაწყვეტილების აღსრულება, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ამის გარეშე მთელი სასამართლო პროცესი ფუჭი „სპექტაკლის“ ფაცი-ფუცი, „უქმი სვლა“, ამაო გარჯა, „მკვდარზე გვირგვინი“ აღმოჩნდება, რაც კატასტროფულად აზიანებს

\* საილუსტრაციოდ აღვნიშნავ: მოქმედი სსსკ-ის 512-ე მუხლის პირველი ნაწილი მოითითებს, რომ „... მოსამართლე აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს“, ხოლო 561-ე მუხლის მე-7 ნაწილში კი წერია, რომ „საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გამოაცხადოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი“. ასევე, სსსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ (საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენების) და 243-ე მუხლით გათვალისწინებული საკითხების (შესაბამისი სარიტების) ზეპირი მოსმენის შემთხვევებში, სასამართლო აცხადებს ასევე სარეზოლუციო ნაწილს (მუხ. 140, ნაწ. 20, მუხ. 243, ნაწ. 10).

\*\* დაწერილებით იხ.: 161, გვ. 145-150, 281, 284, 464.

მართლმსაჯულების ავტორიტეტს საზოგადოების თვალში.

⊗ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ განხმარებულ, სახელმწიფოებრივად სამარცხვინომდე კურიოზულ საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპული სასამართლოს მიერ 2004 წლის 24 მარტს გამოტანილ გადაწყვეტილებაში („განაჩენში“) სასამართლომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ „სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება აღქმული უნდა იქნეს როგორც სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილი მე-ნ მუხლის მიზნებისათვის“ და მიუთითა შემდეგი:

„... კონვენციის მე-ნ მუხლით მინიჭებული გარანტიები ილუზორული იქნებოდა, თუ ხელშემკერელი სახელმწიფოს ეროვნული საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული სისტემა შესაძლებელს გახდიდა, რომ სასამართლოს საბოლოო, სვალდებულო გამამართლებელი გადაწყვეტილება განუხორციელებელი დარჩებოდა გამართლებული პირის საზიანოდ“ [4, გვ. 87].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა ქვეყნის ხელისუფლების ორგანოები გონივრულ ვადაში არ აღასრულებდნენ თავიანთი სასამართლო ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებებს, ევროპის სასამართლო აფიქსირებდა (აღგენდა) „გონივრულ ვადაში სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლების დარღვევას“ (ამის მაგალითია საქმე „ძაპია იტალიის წინააღმდეგ“, 1999 წ.) [30, გვ. 70].

ზ. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი ნაწილია აგრეთვე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი [იხ. 3, გვ. 32]. მიუთითებენ აგრეთვე დუმილის უფლებაზე და უფლებაზე არ დაიბრალოს დანაშაული (ე.წ. „პრივილეგია თვითინკრიმინირების წინააღმდეგ“), სიიაფეზე, სიმარტივეზე, ზოგიერთ სხვაზე, თუმცა მათ შედარებით ნაკლები შემხებლობა აქვთ ამ ნაშრომის თემებთან.

## 2.4. ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატთა/მომრიგებელთა სასამართლოების „შესაბამისობა“ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან /მოკლე მიმოხილვა/

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო თუ ევროპული სტანდარტები საკვებით „ივუებს“ როგორც ნაფიც მსაჯულთა, ისე მაგისტრატთა/მომრიგებელთა ინსტიტუტებს – შესაბამის სასამართლო ორგანოებს. ეს იმიტომ, რომ, ლოგიკურია, ეს სტანდარტები არ მოითხოვს სასამართლოებს, ვთქვათ, მაინცდამაინც ნაფიც მსაჯულთა თუ ერთპიროვნული, პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მოსამართლეების, ან კიდევ „შერეული“ შემადგენლობების (კოლეგიების) სახით – მთავარია, რომ იგი (კოლეგიური სასამართლო თუ ერთპიროვნული მოსამართლე) აკმაყოფილებდეს „სასამართლოს“ ან „ტრიბუნალის“ მიმართ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს.

⊗ ასე, მაგალითად, ევროპული კონვენციით არ მოითხოვება სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, მაგრამ, თუ ასეთი არსებობს, ან მას რომელიმე ქვეყანა შეშოილებს, „მან უნდა დაიცვას დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ მოთხოვნები“ [30, გვ. 69]. ევროპულმა სასამართლომ ამ დებულების დარღვევა დაადგინა საქმეში „ჰოლმსი შევდეთის წინააღმდეგ“ (1993 წ.), რომელშიც ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობას მოპასუხე მხარესთან ჰქონდა გარკვეული ურთიერთობები. თუმცა, ამასთან, იმავე სასამართლომ დარღვევა არ დააფიქსირა საქმეში „გრეგორი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1997), რომელშიც მოსამართლემ ნაფიცი მსაჯულებისგან მოითხოვა ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა რასობრივი უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთმა მსაჯულმა გამოთქვა ნეგატიური შენიშვნები შესაბამისი უმცირესობის ჯგუფის მიმართ [იხ. იქვე, გვ. 69]. ამგვარი რამე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ტიპურ თუ „ტრადიციულ“ ეროვნულ სისტემებში რომ ლამის მკრეხელობას უტოლდება, ქვემოთ, შესაბამისი ინსტიტუტის განხილვისას, არაერთგზის ვნახავთ!..

როგორც ქვემოთ, შესაბამისი ინსტიტუტების/სასამართლო ორგანოების გამოწველილვით განხილვისას თვალნათლივ დავრწმუნდებ-

ბით, მათი ამ პარაგრაფში მიმოხილული სტანდარტების პრიზმაში განხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს:

ნაფიც შსაჯუღთა სასამართლო, მთლიანობაში, სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპს გაცილებით უკეთ (მეტად) შეესაბამება, ვინემ მაგისტრატა/მომრიგებელი სასამართლო, თუმცა ამ უკანასკნელს აქვს უპირატესობებიც ზოგიერთ პრინციპთან (სტანდარტთან) შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნული, ვფიქრობ, საკმარის თვალნათლივ ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ უმარტივეს სქემაში (ცხრილში). მასში შესაბამისობის ხარისხი გამოხატულია შემდეგი დაღმავალი (კლებადი) ტერმინებით: „მთლიანად“, „ძირითადად“, „ნაწილობრივ“, „მცირედად“ „არ შეესაბამება“ (უფრო დეტალური დახასიათება ცალკეული უმნიშვნელოვანეს ასპექტთა თვალსაზრისით იხ. ქვემოთ, შესაბამისი პრობლემატიკის საკითხთა კონტექსტებში).

**სქემა №2**

**განსახილველ ინსტიტუტთა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა**

	სტანდარტის (პრინციპის) დასახელება	1. ნაფიც შსაჯუღთა სასამართლო	2. მაგისტრატა/მომრიგებელი სასამართლო
1.	სასამართლო დაცვის უფლება	მთლიანად	მთლიანად
2.	სასამართლოს ხელმისაწვდომობა	ნაწილობრივ (შეზღუდულია კანონით და ა.შ.)	მთლიანად
3.	„კანონიერი სასამართლო“	მთლიანად	მთლიანად ან ძირითადად
4.	„კომპეტენტური სასამართლო“	ძირითადად	ძირითადად
5.	„სასამართლო ან ტრიბუნალი“	მთლიანად	ძირითადად (ზოგჯერ ტრიბუნალის „ხარისხით“)
6.	დამოუკიდებლობა	მთლიანად	ძირითადად

7.	მიუკერძოებლობა	მთლიანად	ძირითადად
8.	სწრაფი სასამართლო განხილვა / „გონიერულ ვადაში“ განხილვა	მცირედად, ან არ შეესაბამება	მთლიანად
9.	საჯაროობა/საქვეყნოობა	მთლიანად	ძირითადად
10.	მხარეთა თანასწორობა	მთლიანად	ძირითადად ან ნაწილობრივ
11.	შეჯიბრებითობა	მთლიანად/კლასიკური ინსტიტუტია	მცირედად ან არ შეესაბამება
12.	სიიაფე/სიმარტივე	მცირედად ან არ შეესაბამება	მთლიანად
13.	განსასჯელის პირადი დასწრება	მთლიანად	ძირითადად ან ნაწილობრივ
14.	გადაწყვეტილების მოტივირებულობა	არ შეესაბამება კერძო დიქტის ნაწილში	ნაწილობრივ, ან მცირედად
15.	გადაწყვეტილების აღსრულება	მთლიანად	მთლიანად
16.	უდანაშაულობის პრეზუმფცია	მთლიანად	ნაწილობრივ ან მცირედად

ძნელი არ არის შეენიშნოთ, რომ ამ პრინციპთა (სტანდარტთა) ერთი ნაწილი სავალდებულოა (მაგ., დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და მისთ.), სხვა ნაწილი კი – სასურველი (მაგ., სისწრაფე, სიმარტივე, სიიაფე). ზოგი მათგანი ალტერნატიულია (საჯაროობა/საქვეყნოობა) ან ფარდობითია (გონიერული ვადა), ზოგიც – ნაკლებად ან თითქმის მთლიანად სასამართლოსგან დამოუკიდებელი (აღსრულება) და ა.შ.

### §3. თანამედროვე სასამართლო სისტემების ზოგადი დახასიათება (თემის კონტექსტში)

#### 3.1. შესავალი (ზოგიერთი თეორიული ასპექტი)

სასამართლო ხელისუფლება, უწინარესად, ცხადია, სწორედ სასამართლო სისტემას – მის მძლავრ, „ძელოვან-კუნთოვან“ ნაწილს ეყრდნობა. ამ შემთხვევაში ცნება-ტერმინი „სასამართლო სისტემა“ გაგებულ უნდა იქნას, როგორც ამ ქვეყანაში არსებული ყველა სახის, რგოლისა და ინსტანციის სასამართლო ორგანოთა და სტრუქტურათა ერთობლიობა. ამასთან, ამ სიტყვათწყობის მეორე ელემენტი – „სისტემა“ (ბერძნ. systema – მთელი) [289, c. 469] გულისხმობს არა ერთეულთა მექანიკურ კრებადობას (სიმრავლეს), არამედ ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებულ ელემენტთა (ანუ „სისტემურ კომპონენტთა“) სიმრავლეს, რომელიც, საბოლოო შედეგად, გარკვეულ ერთიან, მთლიან წარმონაქმნს გვაძლევს. ამავე დროს, სხვა ასპექტში (უფრო კონკრეტულად), იგი შეიძლება გავიაზროთ, როგორც შესაბამისი ფენომენის (სასამართლოთა) მოწყობის (ორგანიზაციის) „წესრიგის“ ფორმა და ა.შ. ცხადია, ყველა ქვეყანაში და ყველა ეტაპზე, ამგვარი სისტემის არსებობა არარეალურია – განსაკუთრებით, გარდამავალი რეჟიმის (მაგალითად, პოსტსოციალისტურ) ქვეყნებში, ამ ქვეყნებში, რეფორმირების პერიოდებში, ამგვარ სისტემაზე საუბარი მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება – ქაოტურის (უსისტემოს) თანდათან „დალაგების“ (ანუ სისტემად ქცევის) შესაძლო (მოსალოდნელი) პერსპექტივის გათვალისწინებით. შევნიშნავ იმასაც, რომ ცნება-ტერმინი „სასამართლო სისტემა“ ნეიტრალურია (!) ისეთ ცნება-ტერმინებთან მიმართებაში, როგორებიცაა „სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო“ და „სასამართლო ხელისუფლება“, რადგან სასამართლო სისტემა – ამასთან, ფრიად დასრულებული სახით ჩამოყალიბებული – გააჩნდათ და გააჩნიათ არასამართლებრივ, არადემოკრატიულ სახელმწიფოებსაც (მაგალითად, სოციალისტურს, ირანის ტიპის თეოლოგიურ და სხვა არადემოკრატიულ რეჟიმებს). ასევე, როგორც ზემოთაც „ირიბად“ გამოჩნდა, სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს კარგად ორგანიზებული სასამართლო სისტემა,

მაგრამ ისინი ცალკე, დამოუკლებელ ხელისუფლებას კი არ ქმნიდნენ, არამედ მხოლოდ „სასამართლო ორგანოებს“ — როგორც ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გარკვეულ ფუნქციურ-კომპეტენციურ ჯგუფს. ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, ვერ გასცდება რაოდენობრივი მხარის პრიმატულობას მაშინ, როცა სასამართლო ხელისუფლება უკვე ახალი თვისებრიობაა („რაოდენობა გადაიზარდა თვისებრიობაში“ — რიგ დამატებით ორგანიზაციულ-კომპეტენციურ ფაქტორთა წყალობით!). შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლებასა და სასამართლო სისტემას (სასამართლოთა ერთობლიობას) შორის, როგორც წინა პარაგრაფშიც ჩანს, ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც მთელსა და მის ნაწილს შორის. იგივე ითქმის სასამართლო სისტემასა და ცალკეულ სასამართლოებზე, რომელთა ერთობლიობაც, როგორც აღინიშნა, ქმნის დასრულებულ მთლიანობას (სისტემას).

სამართლებრივი სახელმწიფოს სასამართლო სისტემა ხასიათდება საზოგადოებისკენ მკვეთრად ორიენტირებულობით, მასთან ღრმა და ყოველმხრივი ფუნქციური ურთიერთქმედებით. ამიტომ „არსებითად, სასამართლო ორგანოები — საზოგადოების ორგანოებია და მხოლოდ შემდეგ — სახელმწიფოსი...“, ამასთან, აქ სასამართლო „... ასრულებს „სამართლის საზომის“ ფუნქციას, ახორციელებს დანიშნულებას — იყოს სამართლის და ყოველივე სამართლებრივის თავისებური „ინდიკატორი“ [351, გვ. 28]. (ხაზი ჩემია. — ი.გ.).

⊗ ამ ასპექტში ერთობა საინტერესოა ჩვენი საზოგადოებისა და მისი „სარკის“ — მედიის — თითქმის „ერთსულოვანი“ ტერმინოლოგიურ-ცნებითი პოზიცია, რომლის შედეგადაც ისინი „ხელისუფლების“ ცნებაში სასამართლოს არ მოიაზრებენ — მასში გულისხმობენ, უწინარესად, აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტის ფაქტობრივი თავკაცობით, ნაწილობრივ კი — უკანა პლანზე გადაწეულ საკანონმდებლო ხელისუფლებასაც (პარლამენტს). ამ მიდგომაში (რაც ბოლო პერიოდში, სასამართლოთა აღმასრულებელ ხელისუფლებაში გათქეფის ტენდენციის შედეგად, სამწუხაროდ, თანდათან ქრება) საკმაოდ თვალსაჩინოადაა ასახული ის როლი, რომელიც უნდა ითამაშონ სასამართლოებმა — საზოგადოების დაცვა ორი დანარჩენი ხელისუფლების თვითნებური და/ან სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული ქმედებისა და გადაწყვეტილებებისაგან.

### 3.2. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო სისტემებისა და სასამართლო ორგანოების კლასიფიკაცია (მოკლე მიმოხილვითურთ)

თანამედროვე სახელმწიფოთა სასამართლო სისტემების, მათში შემავალი სასამართლო ორგანოების დახასიათება, მათი სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია შეიძლება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა სიბრტყეზე განთავსებული რიგი ნიშნების მიხედვით — ისტორიული ტიპოლოგიის, ზემოთ მიმოხილული და სხვა თეორიულ-კონცეპტუალური წანამძღვრების, ფუნქციურ-კომპეტენციური მახასიათებლების, ორგანიზაციულ-სტრუქტურული და სხვა ხასიათის კრიტერიუმთა კორპუსის საფუძველზე. ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, მოკლედ შევხები მათგან ძირითადთ.

#### ა) სამართლებრივი სისტემისადმი კუთვნილების მიხედვით

1) ანგლოსაქსური ანუ ანგლოამერიკული (საერთო სამართლის) სამართლებრივი სისტემის ქვეყნებიდან (აშშ, ინგლისი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, მალტა, ბრიტანეთის თანამეგობრობაში შემავალი სხვა ქვეყნები და ა.შ.) ინგლისი წარმოადგენს სხვათა თავისებურ „წინაპარს“, გარკვეულ ეტალონს, მათ შორის სასამართლო სისტემის მოწყობის თვალსაზრისითაც. ეს სისტემა იმდენად თვითმყოფადი (მხოლოდ „ინგლისისეული“!), რთული და სპეციფიკურია, რომ თვით ფედერალური გიგანტი სახელმწიფოს — აშშ-ს ასევე ერთობ რთული (ფედერალურ, შტატების და ადგილობრივ დონეებზე, ხშირად პარალელურად მოქმედ სხვადასხვა სახის სასამართლოთა კონგლომერატი!) სისტემაც კი ვერ შეედრება!.. სწორედ ამ ორი სახელმწიფოს სასამართლო სისტემების გავლენით იქმნებოდა და იქმნება თუ გარდაიქმნება (რეფორმირდება) სასამართლო ორგანოები ზემოთ მითითებული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში. მეტ-ნაკლებად ინგლისისგან „დავალებულია“ სხვა სახელმწიფოებიც, უწინარესად კი შოტ-



ლანდია, თუმცა, გარკვეულ ისტორიულ ფაქტორთა ერთობლიობის გამო, ამ ქვეყანაზე არანაკლები გავლენა იქონია კონტინენტურმა (რომანულ-გერმანულმა) სამართალმა, ისევე, როგორც აშშ-ს ლუიზიანის შტატზე და კანადაში შემავალ კვებეკზე – ფრანგულმა სამართალმა, ხოლო აშშ-სთან ასოცირებულ პუერტო-რიკოზე – ესპანურმა [იხ. 117, გვ. 213].

2) რომანულ-გერმანული (კონტინენტური) სამართლებრივი სისტემის ქვეყნებიდან რომანული სამართლის ჯგუფის „მამამთავრისგან“ – საფრანგეთისგან დიდად არიან დავალებულნი ბელგია, ლუქსემბურგი, მონაკო, ჰაიტი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და აფრიკის ფრანკოფონური ქვეყნები [იქვე, გვ. 212]. ამ სისტემის გერმანული სამართლის ჯგუფის ქვეყნებს კი განეკუთვნებიან ავსტრია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია, თურქეთი, საბერძნეთი, ნაწილობრივ კი – იაპონია, სამხრეთ კორეა და ტაილანდი. გერმანული იურიდიული მეცნიერების (იდეების, კონცეფციების) დიდ გავლენას განიცდიან აგრეთვე შვედეთი, ფინეთი, დანია, ნორვეგია და ისლანდია, რომლებიც, ამასთან, ქმნიან ე.წ. სკანდინავიური ანუ ჩრდილოეთის („ჩრდილოური“) სამართლის ჯგუფს [იქვე, გვ. 213; 60, გვ. 16]. გარდა ამისა, სამხრეთ ამერიკის 14 ქვეყანა (ბრაზილია, მექსიკა და ა.შ.) ქმნის რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის სპეციფიკურ („განკერძოებულ“) ფრთას – ე.წ. ლათინოამერიკულ ჯგუფს [60, ნაწ. I, გვ. 16].

3) მუსულმანური (ირანი, ერაყი, ეგვიპტე, სირია და ა.შ.), ინდუსური (ინდოეთი, პაკისტანი და სხვ.), სოციალისტური (ჩინეთი, კუბა და სხვ.), პოსტსოციალისტური (საქართველოს ჩათვლით) და სხვა სამართლებრივი სისტემების (ოჯახების, ჯგუფების) ქვეყნების ნორმატიული და სამართალდამცავი (მათ შორის სასამართლო) სისტემები მეტწილად ეკლექტურია, რაც გამოწვეულია სხვადასხვა სამართლებრივი კულტურებისა და შესაბამისი სამართლებრივი (დაწერილი თუ დაუწერელი) ნორმების ურთიერთშერევით („დიფუზიით“) – ზოგჯერ მეტ-ნაკლები „სიზუსტის“ პარიტეტით, უმეტესად კი – ერთი რომელიმე სამართლებრივი სისტემის თუ ცალკეული ქვეყნის სამართლის ელემენტების დომინირებით. ასე, მაგალითად,

ინდოეთში ჩამოყალიბებულია გარკვეული პარიტეტი, რასაც ძირითადად განაპირობებს ინდური სამართლის პოლისისტემურობა [270, გვ. 222]. ერაყსა და ირანში დომინირებს მუსულმანური სამართალი, სირიაში – ფრანგული, სინგაპურში – ინგლისური, ეგვიპტეში – ევროპული (ფრანგულისა და ინგლისურის „ნარევი“) და ა.შ. [იქვე, გვ. 202, 247, 253, 577, 580]. საქართველოში რომანულ-გერმანულ (ძირითადად გერმანულ) სამართალსა და სასამართლო სისტემას სულ უფრო მეტი „ღოზებით“ ერევა (ცელის) ანგლოსაქსური (კერძოდ, ამერიკული) სამართლებრივი (მათ შორის სასამართლო) ინსტიტუტები. აღმოსავლეთ ევროპის (მათ შორის პოსტსაბჭოური ბალტიისპირეთის) ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც მძლავრად იღვამს ფესვებს დასავლეთევროპული და ინგლისურ-ამერიკული, აგრეთვე საერთაშორისო თუ რეგიონული სამართლებრივი (სასამართლო) ინსტიტუტები თუ სუბინსტიტუტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, თანამედროვე სასამართლო სისტემების იმანენტურ არსსა და მათ კონცეპტუალურ სტრუქტურასა და „არქიტექტონიკას“, საბოლოო ანგარიშით, მეტწილად სწორედ სამართლებრივი სისტემებისადმი კუთვნილება განსაზღვრავს, მაგრამ, ამასთან, ისინი ფორმირდება მთელ რიგ „დამატებით“ ისტორიულ-ტრადიციულ, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, რელიგიურ-კონფესიურ, იდეოლოგიურ-მორალურ, აგრეთვე ზოგჯერ გადამწყვეტ (!) „შემთხვევით“ (სიტუაციურ) თუ „საგამონაკლისო“ (სპეციფიკურ) ფაქტორთა თუ გარემოებათა ერთობლივი მოქმედების შედეგად – თუ შეიძლება ასე ითქვას, „მოქმედ ძალთა ვექტორების ბალანსის“ სახით.

⊗ ამის ერთ-ერთი ტიპური, თვალსაჩინო მაგალითია აღმოსავლეთაფრიკული ფედერაციული სახელმწიფო – ეთიოპია (მისი 60 მილიონზე მეტი მოსახლეობიდან, რომლებიც 100-ზე მეტ ეროვნებას თუ ეთნოსს მიეკუთვნებიან, 40-40% აღიარებს ქრისტიანობას ან ისლამს, დანარჩენები კი ადგილობრივ ტრადიციულ კონფესიებს მიეკუთვნებიან). მისი სამართალი მთლიანობაში მიეკუთვნება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას – ანგლოსაქსური სისტემის ელემენტების

საკმაო მინარევებით, მაგრამ, ამასთან, აქ ავტონომიურად მოქმედებს აგრეთვე მუსულმანური და ჩვეულებითი (ადგილობრივი) სამართალიც — ძირითადად მოქალაქის პირად სტატუსთან (ქორწინება, ოჯახი, მემკვიდრეობა და მისთ.) დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, სამსაფეხურიანი (ადგილობრივი, შტატების, ფედერალური) ტიპური სასამართლო სისტემის გარდა, 1994 წლის კონსტიტუციით დაშვებულია (ფაქტობრივად კი მანამდეც არსებობდა) რელიგიური და ჩვეულებითი სამართლის სასამართლოების ფუნქციონირება — ძირითადად გვარი სტატუსით, როგორითაც რიგ ქვეყნებში — მაგისტრატა (მოპრივებელი) სასამართლოები [270, გვ. 790-797].

სამართლებრივი სისტემისადმი კუთვნილების გავლენა სასამართლო სისტემის ფორმირებაზე დუალისტურია: ერთი მხრივ, იგი გავლენას ახდენს მათ მოწყობაზე (სტრუქტურაზე, ინსტანციურობაზე და ა.შ.), მეორე მხრივ კი, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოსამართლეთა (და, საერთოდ, იურიდიული) აზროვნების წესსა და მეთოდებზე, საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის პროცედურებსა და საფუძვლებზე. ასე, მაგალითად; თუ კონტინენტური ევროპის სასამართლოები ეყრდნობიან პოზიტიურ სამართალს, ანგლოსაქსური ქვეყნების სასამართლოებისთვის სამართლის უმთავრესი წყაროა პრეცედენტი, რის გამოც, პირველისაგან განსხვავებით, აქ პრეიუდიციებს შემოკველი ძალა გააჩნია. ანალოგიურად, საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის და საპროცესო კანონმდებლობათა ძალით, „საქართველოს მოსამართლე, ისევე, როგორც კონტინენტური სამართლის ოჯახის სხვა ქვეყნებში, სამოსამართლო სამართლით შებოჭილი არ არის“ [117, გვ. 217].

მართალია, ზედმიწევნით არსად რეალიზდებოდა და არც დღეს ხორციელდება სადმე ცნობილი ინგლისური მაქსიმალისტური ფორმულა: „სამართალი — ეს არის პროცედურა“, მაგრამ, ანგლოსაქსური სამართლებრივი პროცედურების დიდი ნაწილის კონტინენტურთან

---

\* მკითხველისთვის, ვფიქრობ, საინტერესო და ნიშანდობლივი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ეთიოპიის სამოქალაქო კოდექსი, ფრანგული მოდელის მიხედვით, შეადგინა სახელგანთქვულმა ფრანგმა კომპარატივისტმა რენე დეოდამ, სისხლის სამართლის (მატერიალური) კოდექსი — შვეიცარიელმა სპეციალისტმა, ხოლო სისხლის სამართლის პროცესი — ინგლისელმა იურისტმა (შესაბამისად, 1960, 1957 და 1961 წლებში).

შედარებით სირთულე<sup>9</sup>, ზოგიერთ სხვა ფაქტორთან ერთად, იწვევს იმას, რომ „საკუთარი უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში უფრო „იაფია“, ვიდრე „ანგლოამერიკული“ სამართლის ქვეყნებში“ [117, გვ. 218]. თუ პირველში იურიდიული აზროვნება ხასიათდება მეცნიერული სტილით, მეორეში ბატონობს აზროვნების სამოსამართლო სტილი; თუ პირველი ტიპის ქვეყნების მოსამართლე ზოგადსამართლებრივი ნორმის ანალიზიდან გამოდიოდა, ბრიტანელი მოსამართლე კონკრეტული შემთხვევის ანალიზზე (კერძოდ, მისი შესაბამის პრეცედენტებთან მისადაგებაზე) იყო კონცენტრირებული. ამდენად, პირველის აზროვნების წესი დედუქციურია (მიმართულია ზოგადიდან კონკრეტულსკენ), მეორის – ინდუქციური (მიმართულია კონკრეტულიდან ზოგადისკენ). დაბოლოს, გარკვეული ისტორიული ფაქტორების გავლენით (იხ. ქვემოთ – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩასახვა-ინსტიტუციონირების საკითხებთან დაკავშირებული ისტორიული ექსკურსი), „დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა ერთიანი სასამართლო და პოლიტიკური გავლენის მქონე იურისტების კარგად ორგანიზებული ფენა“ [იქვე, გვ. 218], რაც გამორიცხვული იყო კონტინენტური ევროპის დაქუცმაცებულ მართლმსაჯულებათა ორბიტებზე.

ბ) სასამართლო სისტემის „უნიტარულობის“ თუ „ფედერალურობის“ მიხედვით

ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებულ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა უნიტარული სახელმწიფოა. შესაბამისად, ამგვარ სახელმწიფოთა სასამართლო სისტემები, ფედერალური სახელმწიფოების სასამართლო სისტემებთან შედარებით, არართულია – რამდენადმე მარტივია<sup>10</sup>. ფედერაციულ სახელმწიფოთა (აშშ, რუსეთი, ინდოეთი, გერმანია, ავსტრია, ავსტრალია, კანადა, ბრა-

<sup>9</sup> რაც აქ საოცრად პარადოქსულ-კონტრასტულად „თანაარსებობს“ უკიდურეს გამარტივებასთან – ეთკუთ, ბრალის აღიარების შემთხვევაში გარიგების, შეჯამებითი პროცესის და სხვა ფორმების სახით, რომლებიც ქვემოთ არაერთგზის იქნება განხილული.

<sup>10</sup> თუმცა ეს ინგლისის (დიდი ბრიტანეთის) მიმართ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ძალზე პრობლემად თუ ითქმის.

ზილია, მექსიკა, ეთიოპია და სხვ.) სასამართლო (ისევე, როგორც მთლიანად სამართლებრივი) სისტემის სირთულეს, უწინარესად, განაპირობებს ორი – ფედერალური და ფედერაციის სუბიექტთა – ზოგჯერ კი აგრეთვე მესამე – ადგილობრივი, მეტ-ნაკლებად ავტონომიური სასამართლოების („სასამართლო ქვესისტემების“) არსებობა. ეს ართულებს არა მარტო სასამართლო სისტემის სტრუქტურულ „განფენილობას“, არამედ ინსტანციურობასაც. ასე, მაგალითად, თუ უნიტარულ სახელმწიფოში სასამართლოთა სისტემა, როგორც წესი, შედგება 3 ინსტანციისგან, რომლებიც თავისუფლად „თავსდება“ 3 ან 4 სხვადასხვა რგოლის სასამართლოში (მაგ., ადგილობრივი-საოლქო-უზენაესი), დიდ ფედერალურ სახელმწიფოებში, როგორც წესი, არსებობს 2-3 ან მეტრგოლიანი ფედერაციის სუბიექტისეული სისტემა (მაგ, ადგილობრივი, საოლქო და შტატის ან, ვთქვათ, ავტონომიური რესპუბლიკის, მიწის, კანტონის და ა.შ.), ფედერაციულ სასამართლოთა სისტემა (მინიმუმ ორრგოლიანი), ან კიდევ უზენაესი სასამართლო, რომელსაც „საკუთარი“ რეგიონული ორგანოები არ გააჩნია (ამის რელიეფური მაგალითებია აშშ და გერმანია). სრულიად განსხვავებული პრინციპითაა მოწყობილი რუსეთის საერთო სასამართლოთა სისტემა, რომელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ ფედერაციის სუბიექტთა სასამართლოებად აღიარებულ მომრიგებელ მოსამართლეებსაც (იხ. ქვემოთ), კიდევ უფრო რთულადაა განფენილი – როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად.

### გ) სასამართლო ორგანოთა ინსტანციურობის მიხედვით

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროცესი რთულდება (!) ახალი („ახლად აღმოჩენილი“ და/ან „ახლად გამოვლენილი“) გარემოების გამო, სპეციფიკური პროცედურების მქონე წარმოებით, სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოება შეიძლება თანამიმდევრულად, აღმაველი ხაზით ჩატარდეს სამ ინსტანციაში – პირველ (არსებითად განხილვა), სააპელაციო (სააპელაციო ანუ აპელაციის წესით განხილვა, რაც გულისხმობს საქმეთა მეტ-ნაკ-

ლები სისრულით ხელახლა არსებითად განხილვას<sup>\*)</sup> და საკასაციო (ანუ მხოლოდ სამართლებრივი კუთხით – ფაქტობრივი გარემოებების რევიზირების გარეშე განხილვა) ინსტანციებში. ამასთან, რიგ ქვეყნებში სააპელაციო განხილვა (ინსტანცია), ისევე, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირში, არ არსებობს, ან კიდევ ეს ინსტანცია მინიმალური თუ ნომინალურია (მაგ., რუსეთში აპელაციის წესით საჩივრდება მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებები, ხოლო საჩივრებს ერთპიროვნულად განიხილავს რაიონული ფედერაციული სასამართლოს მოსამართლე).

სასამართლოთა ინსტანციურობა, ბუნებრივია, ხშირად არ ემთხვევა სასამართლოთა „საფეხურიანობას“ თუ „რგოლიანობას“, რადგან ინსტანციურობა, უწინარესად, კომპეტენციური ასპექტის გამომხატველია, „საფეხურიანობა“ თუ „რგოლიანობა“ კი – ორგანიზაციულ-სტრუქტურულია. როგორც ზემოთ მითითებული და სხვა ქვეყნების მაგალითები მოწმობს, შესაძლებელია ერთი ინსტანცია არსებობდეს ორი ან მეტი რგოლის (საფეხურის) სასამართლოებში: ვთქვათ, პირველი ინსტანციით ანუ არსებითად განიხილავდეს მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს (როგორც წესი, რაც უფრო მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება სისხლის სამართლის საქმე, ან რაც უფრო რთული და სერიოზულია სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული საქმე, მით უფრო მაღალი რგოლის სასამართლოს განსჯადია იგი არსებითად განხილვის თვალსაზრისით). ასევე, საკასაციო თუ საზეადამხედველო წესით (ეს უკანასკნელი, საკასაციო განხილვისაგან განსხვავებით, შეეხება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს – მაგ., რუსეთში) საქმეთა განხილვა (იმისდა მიხედვით, თუ რომელი სასამართლო რგოლის და/ან რა კატეგორიის საქმეზეა გადაწყვეტილება გამოტანილი) შეიძლება მიეკუთვნებოდეს, ვთქვათ, ფედერაციის სუბიექტის ან ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოების კომპეტენციას.

\* აქ აუცილებელია იმ გარემოების მხედველობაში მიღება, რომ ინგლისსა და ზოგიერთ სხვა ანგლოსაქსურ ქვეყანაში ტერმინი „აპელაცია“ გულისხმობს ნებისმიერი წესით გასაჩივრებას (უფრო დაწერილობით იხ. 24, გვ. 269-280; 89, გვ. 482-485; 11, გვ. 11-18, 31 და სხვ., 9, გვ. 72-80).

⊗ თვალსაჩინოებისათვის მოვიტან რამდენიმე მაგალითს:

● პირველი ინსტანციის სასამართლოებს საფრანგეთში მიეკუთვნება მცირე პროცესის („დისტანციის“) და დიდი პროცესის („დისტანციის“) ტრიბუნალები\* (პირველი და მეორე რგოლის სასამართლოები).

● გერმანიაში მიწის უმაღლესი სასამართლო გამოდის როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო, ხოლო მიწის სასამართლო იხილავს საქმეებს პირველი და მეორე ინსტანციით (საუბნო სასამართლოს მოსამართლეთა გადაწყვეტილებებზე საჩივრების საფუძველზე). სიცხადისათვის შევნიშნავ, რომ გერმანიის საერთო სასამართლოთა სისტემა (სპეციალიზებული სასამართლოების ჩათვლელად) ოთხრგოლიანია: საუბნო, მიწის (land)\*\*, მიწის უმაღლესი და უმაღლესი ფედერალური სასამართლოები [270, გვ. 168-170].

● რუსეთში სასამართლო სისტემა შედგება შემდეგი რგოლები-საგან: 1) მოპრიგებელი სასამართლოები (პირველი ინსტანცია); 2) რაიონული სასამართლო (პირველი და სააპელაციო ინსტანცია); 3) რესპუბლიკის უმაღლესი, საოკრუგო (საოლქო), საქალაქო\*\*\*, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის სასამართლოები (განიხილავენ როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციით – საკასაციო და საზედამხედველო წესით, აგრეთვე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; 4) რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლო (ძირითადად საკასაციო ინსტანციაა და განიხილავს საქმეებს როგორც საკასაციო, ისე საზედამხედველო წესით, აგრეთვე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში კი – პირველი ინსტანციითაც).

● საქართველოს სასამართლოთა რგოლიანობა ემთხვევა მათ ინსტანციურობას: 1) რაიონული (საქალაქო სასამართლოები) საქმეებს განიხილავენ პირველი ინსტანციით; 2) სააპელაციო სასამართლოები წმინდა სააპელაციო ინსტანციაა; 3) საქართველოს უზენაესი სასამართლო ახორციელებს მხოლოდ საკასაციო ინსტანციის ფუნქციას. (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

\* ტერმინი „ტრიბუნალი“ ფრანგულ სასამართლოთა სახელწოდებაში მოუთითებს არა მათ საგანგებო ხასიათზე, არამედ სხვა სასამართლოებთან შედარებით შეზღუდული კომპეტენციის ქონაზე (პრეკლუბის თვალსაზრისით [270, გვ. 725])

\*\* შექმნილია სასამართლო ოლქების მიხედვით (სულ 92) [იხ. 270 გვ. 169].

\*\*\* იგულისხმება ფედერალური მნიშვნელობის ქალაქები – მოსკოვი და სანკტ-პეტერ-ბურგი.

## დ) სასამართლო ორგანოთა სახეების მიხედვით

სასამართლო ორგანოთა სახეები, როგორც წესი, კონსტიტუცი-  
ებშივეა წარმოდგენილი — ყოველ შემთხვევაში, მათგან უმთავრესი  
მაინც.

სასამართლო ორგანოს ცნების შინაარსის გარკვევისთვის უპ-  
ირველესია მისი მიმართების გარკვევა სასამართლო ხელისუფლების  
განხორციელების ფორმებთან. საქართველოს კონსტიტუციამ,  
როგორც აღინიშნა, კონკრეტულად გაითვალისწინა ორი ფორმა:  
ა) საკონსტიტუციო კონტროლი (ანუ საკონსტიტუციო მართლმ-  
საჯულება<sup>\*</sup>), რომელსაც ახორციელებს მონოსტრუქტურული სა-  
კონსტიტუციო სასამართლო და ბ) საკუთრივ მართლმსაჯულება,  
რომელსაც ახორციელებენ საერთო სასამართლოები (მუხ. 82-83).  
ერთგოლიან და, შესაბამისად, ერთინსტანციიან საქართველოს  
საკონსტიტუციო სასამართლოსაგან განსხვავებით, რიგ ქვეყნებში  
საკონსტიტუციო მართლმსაჯულება (კონტროლი), მართალია, რამ-  
დენადმე დიფერენცირებულად ხორციელდება (ვთქვათ, ფედერალურ  
და ფედერაციის სუბიექტთა დონეზე), მაგრამ, ამისდა მიუხედავად,  
იგი, როგორც სისტემა, მთლიანობაში, როგორც წესი, მაინც „მარ-  
ტივ კონსტრუქციად“ რჩება. საერთო სასამართლოების სისტემა,  
პირიქით, როგორც ვნახეთ, ერთობ რთული აგებულებისაა. ამასთან,  
რიგ ქვეყნებში მათგან განმხოლოებულია ცალკეული სახის (კატ-  
ეგორიის) საქმეთა განმხილველი სასამართლო ორგანოები. ამიტომ,  
ზოგან, გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო ორგანოთა სახეებს  
წარმოადგენენ:

1) სპეციალიზებული სასამართლოები, რომლებიც იქმნება  
სპეციალიზაციის პრინციპით — ცალკეული (რომელიმე) სახის  
თუ კატეგორიის სისხლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული  
საქმეების განსახილველად. ასეთია, კერძოდ, ადმინისტრაციული

\* ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რაიმე წინასწარ კონტროლს  
არ ახორციელებს, ხოლო შემდგომი კონტროლი ხორციელდება საკმაოდ დეტალურად გაწერი-  
ლი, მართლმსაჯულებისათვის დამახასიათებელი პროცედურებით, ვფიქრობ, უფრო მართებული  
იქნებოდა ლაპარაკი არა „საკონსტიტუციო კონტროლზე“, არამედ „საკონსტიტუციო მართლმ-  
საჯულებაზე“ (რიგ ქვეყნებში ეს ტერმინი ნორმატიულია).



(„ადმინისტრაციული იუსტიცია“), საარბიტრაჟო, კომერციული, ეკონომიკური, შრომის, სოციალური, საპენსიო, სავაჭრო, საგადასახადო, საზღვაო, ეკოლოგიური, არასრულწლოვნების საქმეთა („იუვენალური იუსტიცია“), სამხედრო და სხვა მისთანა სასამართლოები. მათგან, როგორც აღინიშნა, ზოგიერთი, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება გამოეყოს საერთო სასამართლოთა სისტემას და შეადგინოს ცალკე, დამოუკიდებელი, დასრულებული სასამართლო სისტემა (ქვეყნის სასამართლო სისტემის ქვესისტემა). უწინარესად, ასეთია, მაგალითად, ადმინისტრაციული იუსტიცია (საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში და ა.შ.), საარბიტრაჟო სასამართლოები (მაგ., რუსეთში; ასეთი სასამართლოები არსებობდა, პოსტსოციალისტური საქართველოს პირველ წლებშიც — ახალი კონსტიტუციით მათ გაუქმებამდე). უფრო ხშირად, ამგვარი სპეციალიზებული სასამართლოები, გარკვეულ (ქვედა) რგოლებში წარმოადგენენ დამოუკიდებელ სასამართლოებს, მაგრამ, ამასთან, მათთვის ბოლო ინსტანციას წარმოადგენს ქვეყნის უზენაესი სასამართლო (ფაქტობრივად, წარმოადგენენ საერთო სასამართლოთა ცალკე განშტოებას, ოღონდ „შეზღუდული ავტონომიით“). ასეთია, მაგალითად, მუდმივმოქმედი სამხედრო სასამართლოები რუსეთში, იუვენალური (არასრულწლოვანთა საქმეების) იუსტიცია — რიგ ქვეყნებში;

2) საგანგებო სასამართლოები, რომლებიც იქმნება, როგორც წესი, ომის დროს ან სხვაგვარ საგანგებო ვითარებაში, ამასთან, მილიტარისტული, ანტიდემოკრატიული, რეაქციული რეჟიმების ქვეყნებში. ზოგჯერ მათ სპეციალურ სასამართლოებსაც უწოდებენ, თუმცა, სხვადასხვა ქვეყნების იურისპრუდენციებში ამ ტერმინით ზოგჯერ სპეციალიზებულ სასამართლოებსაც გამოხატავენ. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, კონსტიტუციის 83-ე მუხლის მე-4 პუნქტი საგანგებო და სპეციალურ სასამართლოებს ერთი და იმავე სამართლებრივ რეჟიმს უწესებს — ორივეს კრძალავს („საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“).

\* საქართველოს კონსტიტუციით (მუხ. 83.3.3), სამხედრო სასამართლოების შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოთა სისტემაში.

საბჭოური საგანგებო (სპეციალური) სასამართლოების – მაგ., ე.წ. „სამეულების“ („Тройки“) და მისთ. – ტრაგიკულ გამოცდილებაზე რომ არაფერი ვთქვათ [იხ., მაგალითად, 295, ს. 3-53], საგანგებო სასამართლოების შექმნის პრეცედენტი გვაქვს თვით შარლ დე გოლის პერიოდის საფრანგეთშიც კი.

სადღეისოდ, მოწინავე ქვეყნების კონსტიტუციები, როგორც წესი, პირდაპირ კრძალავენ „... საგანგებო ანუ ისეთი სასამართლოების შექმნას, რომელთა ფორმირება ხდება კონსტიტუციითა თუ სხვა კანონით დადგენილი წესისაგან გვერდით ავლით, რომლებიც არ ემორჩილებიან დადგენილ პროცედურულ წესებს, უფარდებენ ისეთ სასჯელს, რომელიც არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით“ [61, გვ. 157]. ასე, მაგალითად, ესპანეთის კონსტიტუცია (მუხ. 117, პ. 6) კრძალავს „საგანგებო ტრიბუნალის მოქმედებას“, გერმანიის კონსტიტუცია (მუხ. 101. პ.1) – საგანგებო სასამართლოების შექმნას, იტალიის კონსტიტუცია (მუხ. 102, ნაწ. 2) კი აღგენს, რომ არ შეიძლება შემოღებულ იქნეს საგანგებო ან სპეციალური მოსამართლეების თანამდებობები [იქვე];

3) მაგისტრატთა, მომრიგებელი, ჩვეულებითი, ადგილობრივი და სხვა მისთანა სასამართლოები, რომელთაგან მაგისტრატთა სასამართლოები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ან იგივე მომრიგებელი მოსამართლეები არიან (მაგ., ინგლისში, სადაც ისინი შეიძლება იყვნენ ან ანაზღაურებადნი, ან მუშაობდნენ საზოგადოებრივ საწყისებზე), ან კიდევ საუბნო თუ სულაც, „სრული“ თუ „ორდინარული“ მოსამართლეები. მომრიგებელი მოსამართლეები ქმნიან ე.წ. მომრიგებელ ოუსტიციას, ანუ თვისებრივად განსხვავებული ფუნქციის მქონე, საკმაოდ ავტონომიურ, სპეციფიკურ „ქვესისტემას“ (მაგ., რუსეთში, ყირგიზეთში და სხვ.). მათი პრიორიტეტული, უმთავრესი ამოცანაა მზარეთა მორიგება, ანუ მედიატორის (შუამავლის, მომრიგებლის) ფუნქციის შესრულება. მედიაცია (მედიატორობა) ბოლო ათწლეულების მანძილზე რიგ ქვეყნებში თანდათან მზარდ ტენდენციას ავლენს – იგი სულ უფრო ფართოდ გამოიყენება, როგორც ორდინარული პროცედურებით საქმეთა განხილვისაგან სასამართლოთა განტვირთვის, მართლმსაჯულების დაჩქარება-გა-

მარტივების ეფექტიანი, ქმედითი და იაფი საშუალება. ამ მიზანს, გარდა „კლასიკური“ მომრიგებელი სასამართლოებისა, ემსახურებიან: მედიატორები – საფრანგეთში, კონსილიატორები – იტალიაში, სახალხო მოსამართლეები – ინდოეთში და ა.შ. ეს ორგანოები იხილავენ მცირე მნიშვნელობის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს (საოჯახო თუ ალიმენტის თაობაზე დავებს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს და ა.შ.). ამ სასამართლოებს (რომლებიც აღჭურვილნი არიან სასამართლო ხელისუფლების გარკვეული უფლებამოსილებებით, ამასთან, როგორც წესი, თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ საზოგადოებრივ საწყისებზე, ხოლო მათი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს „ორდინარულ“ სასამართლოში), როგორც შექმნის წესით (არჩევის თუ დანიშვნის), ისე უფლებამოსილების მოცულობითა და საქმეთა განხილვის პროცედურებით, გააჩნიათ კვაზისასამართლოს „იერი“. მათ რიგებს ავსებს ისეთი „წმინდა კვაზისასამართლო“ ორგანოები, როგორიცაა აშშ-ში დაწესებულებებთან არსებული ადმინისტრაციული სასამართლოები, დიდ ბრიტანეთში – ადმინისტრაციული ტრიბუნალები და სხვ. [61, გვ. 154-155].

არასახელმწიფო სასამართლო ორგანოებს განეკუთვნებიან რელიგიური სასამართლოები (ისინი, ერთი მხრივ, კანონიკურ სამართალზე დაყრდნობით, იხილავენ შიდაკონფესიურ დავებს\*, მეორე მხრივ კი, საეკლესიო სასამართლოების ამპლუაში, განიხილავენ საერო საქმეებსაც – ძირითადად საოჯახო და სამემკვიდრეო საქმეებს, მათ ნაირსახეობებს – მუსულმანურ ანუ შარიათის სასამართლოებს კი ზოგიერთ ქვეყანაში ფრიად უნივერსალური იურისდიქციაც გააჩნიათ\*\*.

არასახელმწიფო სასამართლოთა სხვა ჯგუფს ქმნიან ჩვეულებითი სამართლის (ადათის) საფუძველზე მოქმედი და სხვა არქაული ადგილობრივი სასამართლოები. ფაქტობრივად „... აქ საუბარია დავ-

\* ამგვარი სასამართლოები მოქმედებენ, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, რუსეთში და სხვ. [61, გვ. 156].

\*\* ქრისტიანული საეკლესიო სასამართლოები მოქმედებს, მაგალითად, პოლონეთში, იუდაისტური – ისრაელში, მუსულმანური (შარიათისა) – ალჟირში, ეგვიპტეში, ლიბიაში, იორდანიაში, ერაყში, სირიაში, ბაჰრეინში და სხვ. [იქვე].

ების გადაწყვეტის წინარესახელმწიფოებრივ ფორმაზე აზიისა და აფრიკის, ასევე ოკეანის იმ ხალხებში, სადაც სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები სუსტად არიან განვითარებული, თუმცა, 1993 წლიდან, მსგავსი ინსტიტუტები ამოქმედდა... ყაზახეთსა და ყირგიზეთში...“ [61, გვ. 157].

### დ) სასამართლოთა სტრუქტურული შემადგენლობისა და ფუნქციონირების ფორმების მიხედვით

სასამართლო ორგანოები – როგორც პორიზონტალურ „განფენილობაში“, ისე ვერტიკალური ანუ იერარქიული (ინსტანციურობის) თვალსაზრისით – არაიშვიათად, „უნივერსალურობის“ პრინციპითაა მოწყობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის ძირითადი „რეალური“ დარგების – სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა (დაევების) სფეროებში მართლმსაჯულება ხორციელდება კონცენტრირებულად – ერთი და იმავე სასამართლო რგოლისა თუ ინსტანციის ფარგლებში. უფრო მარტივად, ერთი რგოლის – ვთქვათ, რაიონული (საქალაქო) ან საოლქო – სასამართლო იხილავს როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს. ქვედა (უდაბლეს) რგოლებში ზოგჯერ ერთი მოსამართლე იხილავს სამივე კატეგორიის საქმეებს, უკეთეს შემთხვევაში კი ხდება მოსამართლეთა შორის ამ დარგებისა და შესაბამისი ფუნქციების პირობითად განაწილება – თუ შეიძლება ასე ითქვას, „ადგილობრივი სპეციალიზაცია“, რომელიც, შტატების არასაკმარისობის თუ ღრრულად დაუკომპლექტებლობის გამო, ან კიდევ მოსამართლის ავადმყოფობის, შვებულებაში თუ მივლინებაში ყოფნისა და სხვა მიზეზთა გამო, არამყარია (არადმგრადია) და ფუნქციათა ხშირ აღრევას იწვევს. ამიტომ, სასამართლო ორგანოებში – ოღონდ, მეტწილად, უფრო მაღალი რგოლის სასამართლოებში – ჩვეულებრივი პრაქტიკაა ზემოხსენებული დარგების მიხედვით სტრუქტურირება – ძირითადად დამოუკიდებელი, მკაცრად სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების შექმნა. ასეთია, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებული სისხლის სამარ-

თლის საქმეთა, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა და ადმინისტრაციულ, საგადასახადო და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატები, აგრეთვე ამავე სასამართლოში არსებული საგამოძიებო კოლეგია, რომელიც მეორე ინსტანციით იხილავს საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ და ზოგიერთი სხვა სახის საჩივრებსა და შესაბამის მასალებს. ქვეყნებში, სადაც ადმინისტრაციული იუსტიცია ცალკე სასამართლოთა სისტემას წარმოადგენს, ამგვარი სტრუქტურული ერთეულები სულ ორ დარგში – სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სფეროებში – ფუნქციონირებს (საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იტალია და სხვ.).

ფუნქციონირების (საქმეთა განხილვის) ფორმების მიხედვით სასამართლოები ასევე შეიძლება დაიყოს (ცხადია, გარკვეული პირობითობით – ცალკეული დათქმებით), ვთქვათ, ერთპიროვნულად და კოლეგიურად, პროფესიონალთა თუ შერეული კოლეგიების მიერ განმხილველ სასამართლო ორგანოებად. ჩემი აზრით, სწორედ ამგვარი კრიტერიუმით დაყოფისას ვპოულობთ ჩვენ ლოგიკურ ადგილს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ტერმინი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ ერთობ პირობითი და არაზუსტია, რადგან ამგვარი ცალკე სასამართლო ორგანო ან თუნდაც სტაციონარული სასამართლო სტრუქტურა არსად არ შეუქმნიათ – არსებობს მხოლოდ სასამართლო ორგანოების ნაწილად მოაზრებული სეგმენტების სახით. ისინი ფუნქციონირებენ მეტწილად მეორე რგოლის, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში, უფრო იშვიათად – პირველი ინსტანციის და პირველი რგოლის სასამართლოშიც – როგორც ეს განზრახულია საქართველოში ახალი სსსკ-ის პროექტით, ან კიდევ, ძალზე იშვიათად, უმაღლესი რგოლის სასამართლოშიც – როგორც ეს რუსეთშია. ისინი ერთი (იშვიათად მეტი) პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, პროფესიონალი მოსამართლის თავმჯდომარეობით და ad hoc მოწვეულ-შერჩეულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (!! ) განიხილავენ ცალკეული კატეგორიის (მათ განსჯადობას მიკუთვნებულ) საქმეებს. ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვა არის საქმეთა განხილვის ერთ-ერთი ფორმა –

მართალია, ძალზე მნიშვნელოვანი, სპეციფიკური და ა.შ., მაგრამ მაინც ერთ-ერთი ფორმა და არა სასამართლო ორგანოთა ცალკე სახე, როგორც ამას ზოგჯერ (არაიშვიათად) მიიჩნევენ იურიდიულ ლიტერატურაში [61, გვ. 68-154]. ნაფიც მსაჯულთა ჟიური (კოლეგია, შემადგენლობა), სხვა რომ არა იყოს რა, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ (ნაშრომში ეს ცნება-ტერმინი, ცხადია, ყველგან პირობითად – არსებული საყოველთაო, მყარი ტრადიციისამებრ – გამოიყენება ბრწყალების გარეშე) მხოლოდ ორიდან ერთ-ერთი კომპონენტია და არა ერთადერთი „მდგენელი“ – ცალკე (!) ნაფიც მსაჯულთა ჟიური არსად ფუნქციონირებს და, ცხადია, ვერც იფუნქციონირებს მეორე (პროფესიონალური) კომპონენტის გარეშე. უფრო ზუსტად, ამ ორი აუცილებელი კომპონენტიდან „სტაციონარულია“, ამასთან, „მოწვევის“ (ინიციატივის) პეროგატივის მქონე პროცედურული ხელმძღვანელი და ყველა სხვა სამართლებრივი საკითხის „განმკარგავია“ სწორედ სასამართლო ორგანოს პროფესიონალი მოსამართლე (როგორც წესი, ერთი მოსამართლე), რომელიც იმთავითვე, უკონკურენტოდაა სხდომის თავმჯდომარე ex officio – თანამდებობის მიხედვით (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

### 3.3. სახელმწიფოთაშორისი იურისდიქციები (ზოგადი სქემა)

სახელმწიფოთაშორისი სასამართლოები, რომლებიც იქმნება შესაბამის სახელმწიფოთა ხელშეკრულებების საფუძველზე („კონვენციური ინსტიტუტის“ სახით), შეიძლება დაიყოს საერთაშორისო და რეგიონულ სასამართლოებად. სისხლის სამართალწარმოებაში პირველის მაგალითია ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც მხოლოდ ახლა იკრებს ძალას\*. რეგიონულ სასამართლოთაგან, უწინარესად, უნდა დასახელდეს ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლო, რომლის როლი და

\* უფრო დაწვრილებით იხ.: მ. ტურავა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო. თბ., 2005.

ავტორიტეტი ევროპაში, როგორც ამ ნაშრომიდანაც კარგად ჩანს, უზარმაზარი და უნიკალურია.

ცალკე უნდა აღინიშნოს პერსპექტივის თაობაზე. ამ ასპექტში შეუძლებელია პირველ რიგში არ დასახელდეს ევროპული კონსტიტუციით\* გათვალისწინებული ნოვაცია – ევროკავშირის სამომავლო სამლონიანი ინსტიტუციური მექანიზმის შემადგენლობაში უმაღლეს დონედ („ინსტიტუტად“) გათვალისწინებული ევროპის კავშირის სასამართლო (შედგება საკუთრივ სასამართლოს – როგორც უმაღლესი რგოლის, ტრიბუნალისა და სპეციალიზებული ტრიბუნალებისაგან). აღსანიშნავია ისიც, რომ გათვალისწინებულია ამ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ევროპულ (სტრასბურგის) ზემოხსენებულ სასამართლოში – ევროპაში ადამიანის უფლებათა დაცვის უკეთ გარანტირების მიზნით [უფრო დაწვრილებით, იხ., მაგალითად, 345, გვ. 155-159].

---

\* 2004 წლის 19 ივნისს, ერთიანი ევროპის ამ პირველ ზენაციონალურ კონსტიტუციას ხელი მოაწერა 25-მა ქვეყანამ (მასში მთლიანადაა შესული 2000 წლის ცნობილი დოკუმენტი „ევროპის საბჭოს ქარტია ძირითად უფლებათა შესახებ“). ოფიციალურად მას კქვია „ხელშეკრულება ევროპისათვის კონსტიტუციის დაფუძნების შესახებ“. რაც გულისხმობს იმას, რომ იგი სხვა ევროპული ქვეყნებისთვისაც (ევროკავშირის ფარგლებში) ღია იქნება მომავალში. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთსა და პოლანდიაში 2005 წელს გამართულმა რეფერენდუმებმა უარი თქვეს ამ კონსტიტუციის რატიფიკაციაზე, რამაც შეაჩერა მისი ძალაში შესვლა [იხ. გვ. 160-172].

თავი II. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა/  
მომრიგებელი სასამართლოების ინსტიტუციური  
ნიშნები და მათი აღბილი სასამართლო  
სისტემებში

§1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს  
ინსტიტუციური ნიშნები

1.1. ტერმინოლოგიურ-ცნებითი საკითხები

ძველქართული სიტყვა „მსაჯული“, თავისი ძირითადი ისტორიულ-ტრადიციული თუ შემდგომი (თანამედროვეს ჩათვლით) მნიშვნელობით, აღნიშნავს პირს, „ვინც სჯის, ასამართლებს – მოსამართლე“ [105, გვ. 1134]. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა იგი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდშიც – სიტყვათმეწყობაში „სახალხო მსაჯული“ (საბჭოური „სახალხო სასამართლოები“, ათწლეულების მანძილზე, პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილავდნენ მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით). გარდა ამისა, მეცნიერ-იურისტები, ისტორიულ და თანამედროვე ბურჟუაზიულ სინამდვილესთან (მართლმსაჯულების ორგანიზაციასთან) მიმართებაში, ცხადია, მას იყენებდნენ სიტყვათმეწყობაში „ნაფიცი მსაჯული“, ამასთან, სიტყვა „ნაფიცი“ გამოიყენებოდა აგრეთვე „ვექილთან“ ანუ ადვოკატთან მიმართებაში – „ნაფიცი ვექილი“ [ქსე, ტ. 7, თბ., 1984. გვ. 175]. ორივე შემთხვევაში სიტყვა „ნაფიცი“ ნიშნავდა დაფიცებულს, ფიცმიღებულს (ფიცდადებულს), ანუ, სხვაგვარად, ტრადიციისამებრ რიტუალგაველილ პირს.

---

\* გარდა ძირითადისა, სიტყვა „მსაჯული“ გამოიყენებოდა სხვა მნიშვნელობებითაც (გადატანით – ლმურთისაც – ქრისტიანულ საგალობლებში, ლოცვებში, აგრეთვე ისეთი ხასიათის ნაწარმოებებში, როგორცაა, მაგალითად, დავით აღმაშენებლის საოცარი ქმნილება – „ჟალოზანი სინანულისანი“).



## 1.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური ნიშნები (ნუსხა, კლასიფიკაცია და ზოგადი დახასიათება)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური ნიშნებიდან პირველი – დაფიცება – ფიცის მიცემა („ნაფიცობა“) უფრო რიტუალურია, თუმცა, ამავე დროს, ფრიად მნიშვნელოვან, არსებით, იმპერატიულ საპროცესო მოთხოვნასაც წარმოადგენს. სხვა ნიშნები (უძრავლესობა) კი წმინდა საპროცესო-სამართლებრივია. კერძოდ: ა) ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები უნდა გამწესდნენ (შეირჩენენ) შემთხვევითობის პრინციპით, ამასთან, იმ ანგარიშით, რომ მათში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად „აისახოს“ საზოგადოების სხვადასხვა ნეიტრალური და მიუკერძოებელი ფენები, ეროვნულ-ეთნიკური, რასობრივი, გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული თუ კონფესიური ჯგუფები და ა.შ. (ე.წ. წარმომადგენლობითობის პრინციპი); ბ) ნაფიცი მსაჯულები ფუნქციონირებენ არამუდმივ (პერიოდულ, დროებით, სასესიო, არასისტემატურ...) საწყისებზე, რათა გამოირიცხოს მათი პროფესიონალიზაცია, კავშირების გაბმა თუ ზედმეტი „გაშინაურება“-ადაპტირება პროფესიონალ მოსამართლეთა კორპუსთან და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუციური ნიშანია მათი არაპროფესიონალიზმი; გ) ნაფიც მსაჯულთა ყოური (კოლეგია, შემადგენლობა) ერთადერთი სასამართლო სუბიექტია (წარმონაქმნია), რომელსაც კანონივე აძლევს (უფრო ზუსტად, „ანებებს“) უფლებას – გამოიტანოს გადაწყვეტილება არა ფორმალური კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად, არამედ თავისი რწმენის, სინდისის\*, მართლშეგნების (სამართლიანობის გაგებით), ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მოქალაქეობრივი პოზიციის შესაბამისად ანუ უკანონოდაც (კანონსაწინააღმდეგოდაც) კი!!! დ) მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოშია წარმოდგენილი ორი ავტონომიური, ერთმანეთისგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი ნაწილი (ელემენტი, კომპონენტი), რომლებიც, შესაბამისად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად (!) წყვეტენ ორი (ერთობლიობაში „ყოველისმომცველი“!) საკითხიდან – ფაქტებისა და სამართლის

\* აქედან: „Forum conscientiae“ – „სინდისის სასამართლო“.

(ფაქტობრივი და სამართლებრივი) საკითხებიდან – თითო საკითხს: ნაფიცი მსაჯულები – პირველს, პროფესიონალი მოსამართლე (მოსამართლეები) – მეორეს. სწორედ ეს ნიშანია ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი, უმთავრესი, არსებითად თვითკმარი ნიშანი. ამ ნიშნის გარეშე ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო, როგორც თვითმყოფადი, განკერძოებული, სპეციფიკური ინსტიტუტი, საქმეთა განხილვის ორიგინალური, უნიკალური ფორმა, არ შეიძლება არსებობდეს. რაც შეეხება სხვა ნიშნებს, დაფიცება (ნაფიცი მსაჯულები) შემორჩათ იმ ქვეყნებსაც, რომელთაც კლასიკური ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო შეცვალეს (ჩაანაცვლეს) ე.წ. შერეული კოლეგიით, რომლის პროფესიონალი და არაპროფესიონალი წევრები ერთ კოლეგიად ფუნქციონირებენ – ე.წ. „ნაფიცი მსაჯულები“ და პროფესიონალი მოსამართლენი ერთად იხილავენ და წყვეტენ როგორც ფაქტის, ისე სამართლის (მათ შორის, ცხადია, სასჯელის დანიშვნის) საკითხებს. ამის ყველაზე ტიპური მაგალითებია საფრანგეთი და იტალია. საფრანგეთში არათუ ნაფიცი მსაჯულებს დარჩათ ეს სახელწოდება, არამედ საპროცესო კანონმდებლობაში ამგვარი შერეული კოლეგიებიც მოიხსენიება ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოდ [270, გვ. 726]. იტალიაში სასამართლო ასევე მოიხსენიება ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოდ, ხოლო მსაჯულები, პროფესიონალი მოსამართლისაგან განსხვავებით, იწოდებიან „სახალხო მოსამართლეებად“ [იქვე, გვ. 285].

### 1.3. ფიცის მიღება (მნიშვნელობა. რიტუალი)

როგორც ითქვა, ფიცის მიღება (დადება) წარმოადგენს როგორც რიტუალურ, ისე საპროცესო მოთხოვნასაც. კერძოდ, ნაფიცი მსაჯულად გასამწესებელი (უკვე შერჩევის საკმაოდ რთულ პროცედურებგავლილი) კანდიდატი მხოლოდ მას შემდეგ ხდება უფლებამოსილი შეუდგეს ნაფიცი მსაჯულის (ანუ ხალხისაგან, მთელი საზოგადოებისაგან, გარკვეული კრიტერიუმებით, ალბათობის წესით შერჩეული ე.წ. „ფაქტის მოსამართლის“ – ნაფიცი მსაჯულთა ჟიურის, კოლეგიის

თუ შემადგენლობის წევრის) მოვალეობის შესრულებას, რაც იგი კანონით დადგენილი წესით (პროცედურით) შეასრულებს ფიცის დადების (დაფიცების) რიტუალს.

⊗ მსაჯულობის კანდიდატის მიერ ფიცის მიღების (დადების) რიტუალი, მის ყველაზე ტიპურ გამოვლინებებში, წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების მიერ წინასწარ წერილობით შედგენილი ფიცის ტექსტის (მეტწილად იგი ნორმატიულია – ჩაწერილია კანონში ან სხვა ნორმატიულ აქტში) ხმაამალა წაკითხვას (ან ოფიციალური პირის – როგორც წესი, სასამართლო მოხელის – მიერ წაკითხულის სინქრონულად გამეორებას) საქმის განმხილველი ან სხვა მოსამართლის, ან კიდევ სხვა, უკვე ფიცმიღებული მსაჯულის წინაშე (ამ ბოლო შემთხვევაში, პროცედურას ესწრება სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი მოხელე) და ა.შ.

#### 1.4. ნაფიც მსაჯულთა გამწესების (შერჩევის) შემთხვევითობისა და მათი წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა

ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, დაუნტერესებლობის (მათ შორის, წინასწარ შემუშავებული აზრისა თუ არასასურველი განწყობის არქონის) უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ქვეყნების მიერ შემუშავებულია მთელი რიგი სამართლებრივი თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებისა, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული. იგივე ითქმის წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთან, აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ, თუ ყველა ეტაპზე კანდიდატთა შერჩევა მოხდება მთლიანად „წმინდა შემთხვევითობის“ პრინციპით, აღბათობის თეორიის ძალით, კონკრეტულ შემთხვევებში შეიძლება მივიღოთ ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან ამკარად შეუსაბამო მსაჯულთა კორპუსი (მაგ., მხოლოდ მამაკაცები მაშინ, როცა განსასჯელი ქალია ან არასრულწლოვანია).

რატომ თორმეტივე მამაკაცი?  
(ვარაყცია თემაზე: „თორმეტი განრისხებული  
მამაკაცი“!..)

ქართველი საზოგადოებისათვის, ჩვენში არაერთგზის ნაჩვენები ამერიკული კინოფილმიდან თუ რუსთაველის თეატრის სპექტაკლიდან კარგად არის ცნობილი რეჟინალდ როუზის ნაწარმოები „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“, რომელიც, ჩემდა ფრიად გასაკვირად, ამერიკულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აღიარებულ პროცედურებს თუ „ექვმიუტანელ“ ტრადიციულ პრინციპებს, ძალზე რბილად რომ ეთქვამთ, მეტისმეტად დაუღვრად გქცევა, რისი ლოგიკურად ახსნაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხატვრული, კინემატოგრაფიული თუ თეატრალური პროდუქციის „ქმნის“ სპეციფიკურ ხერხებსა, საშუალებებსა თუ ამოცანებზე მითითებითაც კი, ერთობ ძნელია. უწინარესად, აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ არასრულწლოვნის ბრალდების სერიოზულ საქმეზე, რატომღაც, ნაფიცი მსაჯულის თორმეტივე „აქანსიაზე“ მამაკაცი გაუშწესებიათ. ეს მაშინ, როცა, ასეთ შემთხვევებში, ტრადიციამ ქალს ანიჭებს უპირატესობას – როგორც მოზარდთა ფსიქოლოგიის უკეთ მცოდნე სუბიექტს, რომელიც ისე დაუსვებლად მკაცრად არასოდეს განურისხდება მას, როგორც როუზის გმირები!..

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ს (ისევე, როგორც რიგი სხვა ქვეყნების) კანონმდებლობა არ უშვებს ბრალდებულის წარსული „ცოდვების“ (სამართალდარღვევების, მათ შორის ნასამართლობის) გამოკვლევას, რაც, თურმე აქ ნაფიცი მსაჯულების თანდასწრებით, სასამართლო სხდომაზე მომხდარა!..

ამგვარი პრინციპული, უხეში იურიდიულ-საპროცესო თუ ორგანიზაციულ-პროცედურული შეცდომებით რ. როუზის ეს ნაწარმოები იმდენად უხედაა გაჯერებული\*, რომ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს!..

ამკარაა, რომ, ასეთ შემთხვევებში, გარდა გენდერულისა, ერთობ

\* რის გამოც იგი, ჩემი აზრით, აშკარად არასწორ, მრავალგან გამრუდებულ წარმოდგენას აძლევს ქართველ მაყურებელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე..

ძნელი იქნება სხვაგვარი „ბალანსის“ შენარჩუნება-უზრუნველყოფაც. ხოლო, თუ მოხდება სხვადასხვა მეთოდებით მიზანმიმართულად კორექტირების გზით შერჩევა (მაგ., სქესის, ასაკის, პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მიხედვით), არსებობს ამ შესაძლებლობის არაკეთილსინდისიერად გამოყენების რეალური საფრთხე, რაც ძირს გამოუთხრის უფრო მნიშვნელოვან (პრიორიტეტულ!) პრინციპს – შემთხვევითი შერჩევის კონცეპტუალურ მოთხოვნას. ამდენად, ამ ორი მიმართულების ურთიერთდამოკიდებულება დილემაურია (სხვა დილემაური ასპექტების შესახებ იხ. ქვემოთ).

### 1.5. ნაფიც მსაჯულთა არამუდმივი ფუნქციონირება

ესეც მნიშვნელოვანი მოთხოვნაა, მაგრამ, ისევე, როგორც წინა ორი მოთხოვნა, არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისთვის. მოთხოვნის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, თუ მოხდება ნაფიც მსაჯულთა სისტემატური ფუნქციონირების გამო ნაფიც მსაჯულთა „პროფესიონალიზაცია“ (რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ხარისხით – ნაფიცი მსაჯული რამდენიმე ან თუნდაც რამდენიმე ათეული საქმის განხილვაში მონაწილეობის შედეგად პროფესიონალ იურისტ-მოსამართლედ, ცხადია, ვერ იქცევა!..), რასაც ბუნებრივად შეიძლება თან ახლდეს მოსამართლეთა კონტინგენტთან დაახლოებაც. ეს კი იწვევს ამგვარ ნაფიც მსაჯულთა თავისთავადობის (თვითმყოფადობის) ხარისხის, მათი შეუვალობის, „სიხალასის“ (რაც ნაფიც მსაჯულთა უმთავრეს ღირსებათაგანია!..) შემცირება-დაკნინებას – თუნდაც სასამართლო ბიუროკრატიის ჩინოვნიკური სულისკვეთების ელემენტების მასში უნებლიედ შეღწევის გამო და ა.შ. ამგვარად, აქ იმოქმედებს ამ შემთხვევისთვის პრინციპულად სრულიად მიუღებელი, არასასურველი სოციალურ-ფსიქოლოგიური (მათ შორის პროფესიონალურ-კორპორაციული) ფაქტორები, რომელთაც ძალუძთ ნაფიცი მსაჯულის ფსიქოლოგიურ-მსოფლმხედველობითი „ფონის“ გაუარესება – აქედან გამომდინარე შესაძლო ნეგატიური შედეგებით. სიტუაცია აქაც დილემაურია – პროფესიონალიზმი, საზოგადოდ,

აუცილებელია (ამაზე, ალბათ, მარტო ჩვენში თუ იღავებენ!), მაგრამ ნაფიც მსაჯულთა პროფესიონალიზაცია — საზიანო.

## 1.6. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის უფლება — გამოიტანოს გადაწყვეტილება კანონის იგნორირებით

ეს ნიშანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მძაფრადაა დილემური, რადგან აქ, სავსებით კანონზომიერად, წარმოიშობა ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციის პრობლემა მთელი თავისი ძიძმე, „გვერდითი გან-შტოებებით“, რომლებზეც ქვემოთ საგანგებოდ იქნება საუბარი.

## 1.7. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ ფაქტის (დამნაშავეობა-უდანაშაულობის) საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა

ეს, როგორც ითქვა, ძირითადი, სპეციფიკური კონცეფტუალური ნიშანია. ამიტომ, ამ საკითხს ქვემოთ, სხვადასხვა ასპექტში, არაერთ-გზის შევეხები. შესაბამისად აქ, ზემოთ ნათქვამის საფუძველზე, დაკმაყოფილდები მხოლოდ უმთავრესი წახნაგების შეჯამებულად წარმოჩენით. კერძოდ:

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, როგორც თვითმყოფადი, „თვითკმარი“ ინსტიტუცია, გვაქვს მხოლოდ იქ, მაშინ და იმდენად, სადაც, როდესაც და რამდენადაც არსებობს ორი, ერთმანეთისაგან იურისდიქციულად დამოუკიდებელი, ფუნქციურად ავტონომიური ნაწილისაგან (ელემენტისაგან, კომპონენტისაგან) შემდგარი სა-სამართლო წარმონაქმნი, რომელთაგან სპეციფიკური (მეტიც, უნი-კალური!) ანუ არაპროფესიონალური ნაწილი — ნაფიც მსაჯულთა ჟიური (კოლეგია, შემადგენლობა), მეორე ნაწილისაგან — პროფე-სიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, მისი მონაწილეობის გარეშე, ვითარცა Forum consensitiae („სინდისის სასამართლო“), თავის რწმენისამებრ წყვეტს ფაქტის (უწინარესად, განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის, აგრეთვე „მიმდებარე“ ანუ

მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ) საკითხებს. სამართლის ყველა (მათ შორის და უმთავრესად – სასჯელის დანიშვნის) საკითხს კი წყვეტს პროფესიონალი მოსამართლე – ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ეს არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ოქროს წესი“, ცენტრალური პარადიგმა, რომლის დარღვევა-იგნორირება, ცალკეულ საგამონაკლისო, ტრადიციისმიერ შემთხვევათა გარდა, უკვე მოასწავებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური თვითმყოფადობის არა ოდენ მეტნაკლებად „უენებელ“ თუ „მოსათმენ“ შელახვას, არამედ მის „დეიურე“ და „დე-ფაქტო“ გაუქმებას – გადაზრდას თუ „გათქვეფას“ სხვა, „მომიჯნავე“ სასამართლო ინსტიტუტებში.

ისტორიულადაც და დღევანდელი რეალიებითაც, ამგვარ „მომიჯნავე“ ინსტიტუტს, როგორც აღინიშნა, წარმოადგენს ე.წ. „შერეული კოლეგიები“, რომლებიც ერთიანია – პროფესიონალი მოსამართლე (მოსამართლეები) და არაპროფესიონალი „სახალხო ელემენტი“ („ნაფიცი მსაჯული“, „სახალხო მსაჯული“, უბრალოდ „მსაჯული“, „ასიზი“, „შეფენი“ და ა.შ.) ქმნიან ერთიან, „დაუნაწვერებელ“ კოლეგიას. ისინი (პროფესიონალი და არაპროფესიონალი მოსამართლენი) ერთად (ერთობლივად) იხილავენ საქმეებს (როგორც წესი, თანასწორობისა და/ან პარიტეტის პრინციპების საფუძველზე) და ერთობლივადვე წყვეტენ – როგორც სხდომისას, ისე სათათბირო ოთახში – როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს, ბრალეულობა-უბრალოობისა და სასჯელის დანიშვნის საკითხთა ჩათვლით. ამასთან, ზემოთ, ჩამონათვალში ნახსენები „ნაფიცი მსაჯულები“ აქ მხოლოდ მსაჯულთა შერჩევა-დაფიცების პროცედურისა და/ან რიტუალის გამო ატარებენ ამ სახელს – იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც, ისინი შერეულ კოლეგიაში შემავალი ჩვეულებრივი მსაჯულები (ხალხის წარმომადგენლები) არიან, ანუ, სხვაგვარად, ეს სახელწოდება შემორჩენილი აქვთ „წარსულის ინერციით“ – კლასიკურ (ნამდვილ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავისებური „რუდიმენტის“, დემოკრატიულ-ფორმალური ტრადიციული „სამშენისის“ სახით!..

⊗ ამის მაგალითია საფრანგეთი, სადაც (პარიზსა და 95-ვე დეპარტამენტში) მოქმედებენ ასიზების სასამართლოები — შერეული კოლეგიების სახით. კოლეგია შედგება 3 პროფესიონალი მოსამართლისა და 9 „ნაფიცი მსაჯულისაგან“, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ საქმეებს. ამგვარი კოლეგიები წარმოადგენენ ნაფიც მსაჯულთა კლასიკური (ინგლისური ყაიდის) სასამართლოთა „გადაკეთების“ შედეგს. ანალოგიური „ოპერაციები“ იქნა ჩატარებული სხვადასხვა დროს გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და რიგ სხვა ქვეყნებში. ამასთან, იტალიაში ამგვარი კოლეგია, ისევე როგორც საფრანგეთში (ოლონდ ცოტა ნაკლებად), მრავალრიცხოვანია — შედგება 2 პროფესიონალი და 6 სახალხო მოსამართლისაგან [270, გვ. 285]. ავსტრიაში საშუალო სიმძიმის დანაშაულთა საქმეებს განიხილავს 2 პროფესიონალისა და ამდენივე მსაჯულისაგან შემდგარი კოლეგია — შეფენების სასამართლო, ხოლო მძიმე დანაშაულთა განსახილველად კოლეგიაში არაპროფესიონალ მოსამართლეთა რიცხვი იზრდება რვაზე [იქვე, გვ. 12]. რაც შეეხება გერმანიას, 1975 წლამდე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მემკვიდრე შეფენების სასამართლო (კოლეგია) შედგებოდა 3 პროფესიონალი და 6 არაპროფესიონალი მოსამართლისაგან („ნაფიცი მსაჯული“ — შეფენის სახელწოდებით). შემდგომში შეფენთა რიცხვი შემცირდა სამამდე. ეს — მიწის („ლანდის“) სასამართლოებში, რომლებიც განიხილავენ უფრო სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს, საუბნო (ანუ უდაბლესი რგოლის) სასამართლოებში კი შედარებით მსუბუქ დანაშაულთა (რომლებზეც მოსალოდნელი სასჯელის მაქსიმუმი არ აღემატება 3 წლით თავისუფლების აღკვეთას) საქმეები განიხილება ერთი მოსამართლისა და ორი შეფენის შემადგენლობით, რთული თუ დიდი მოცულობის საქმეები კი — 2 პროფესიონალი მოსამართლისა და ამდენივე შეფენის მონაწილეობით [იქვე, გვ. 170-171].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, პრინციპულად მკდარია იმ ავტორთა მოსაზრება, რომლებიც, რაღაც დათქმებით თუ ცალსახად, ფრანგული, გერმანული თუ იტალიური მოდელის ამგვარ შერეულ კოლეგიებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდ მიიჩნევენ [99, გვ. 46-47; 262, გვ. 5; 136, გვ. 34, 189; 270, გვ. 285, 725-726 და სხვ.] ამდენად, მართებულად მიმაჩნია მოსაზრება, რომ ამგვარი შერეულ კოლეგიებს „არ შეიძლება ვუწოდოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ [56, გვ. 2; იხ. აგრეთვე 55, გვ. 62].



ამგვარი ინსტიტუციური, გნებავთ ტერმინოლოგიური აღრევა მეცნიერებაში მიუღებელი და არაკონსტრუქციულია, საკანონმდებლო თუ სამართალგამოყენებით პრაქტიკაში კი – არაპროდუქტიული, ზოგჯერ – ერთობ მავნეც, რადგან ეს შეიძლება გახდეს არსებით მცდარობათა წყარო.

ზემოთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი ინსტიტუციური ნიშნების ფორმულირებისას, ნახსენები იყო „ცალკეული საგამონაკლისო შემთხვევები“. რა შემთხვევებია ეს?

### 1.8. საგამონაკლისო და/ან „უცნაური“ გადაწყვეტები

ქვემოთ, სხვადასხვა ასპექტთა განხილვისას, ამგვარი გადაწყვეტების არაერთ კონკრეტულ მაგალითს წაუაწყდებით. ამიტომ, აქ შევეხები მხოლოდ ზოგიერთ, ინსტიტუციური ნიშნების ფართერიდან აშკარად „ამოვარდნილ“ და სხვა „ეკრძო“ შემთხვევებს – საილუსტრაციოდ.

- უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას შეიძლება „მოემსახუროს“ (ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროფესიონალური ნაწილი შედგებოდეს) როგორც ერთი (ეს ჩვეულებრივი, საყოველთაოდ გავრცელებული ვარიანტია), ისე ორი ან სამი პროფესიონალური მოსამართლე. ამის მაგალითია დანია, აგრეთვე ახალი ზელანდია – როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე [34, გვ. 72, 68, გვ. 198].
- ზოგჯერ ნაფიცი მსაჯულები, ფაქტის საკითხების დადგენის შემდეგ, მონაწილეობენ აგრეთვე სასჯელის დანიშვნაშიც – პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად, ან კიდევ, სიკვდილით დასჯად დანაშაულთა გამო ვერდიქტის გამოტანისას, წყვეტენ აგრეთვე სასჯელის ამ განსაკუთრებული, საგამონაკლისო სახის\* გამოყენების საკითხსაც – სარეკომენდაციო (!) გადაწყვეტილების

\* აშშ-ში, მაგალითად, წლის მანძილზე, საბოლოო ანგარიშით, სიკვდილით ისჯება სულ დაახლოებით 200 მსჯავრდებული.

ფორმით. კერძოდ, სადღეისოდ, აშშ-ს 23 შტატში იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებზეც კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯის გამოყენება, წინასწარი (ანუ ფორმალურად სხდომის თავმჯდომარისათვის არასავალდებულო) დასკვნა სიკვდილით დასჯის გამოყენება-არგამოყენების შესახებ გამოაქვს ნაფიც მსაჯულთა ყიურის, რომელმაც გამოითანა გამამტყუნებელი ვერდიქტი. ზოგიერთ შტატში (კენტუკი, მისური, ოკლაჰომა, ტენესი, ტეხასი) დაშვებულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა სხვა სახის სასჯელთა დანიშვნაშიც [161, გვ. 262]. ამგვარად, აქ ნაფიცი მსაჯულები „იჭრებიან“ პროფესიონალი მოსამართლის კომპეტენციაში – კანონმდებლობები და სასამართლო პრაქტიკა (პრეცედენტი) ამას უშვებს, მაგრამ პირუკუ გამონაკლისი – პროფესიონალი მოსამართლის მონაწილეობა ვერდიქტის გამოტანაში (ფაქტის საკითხების გადაწყვეტაში) ყველგან კატეგორიულადაა გამორიცხული! ამდენად, აქ ძლიერდება ნაფიც მსაჯულთა როლი, რაც ამ ინსტიტუტის გაუქმებას, ცხადზე უცხადესია, სულაც არ მოასწავებს – უფრო, პირიქით!..

⊗ ამგვარი საგამონაკლისო გადაწყვეტები აშშ-ში პირობადებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საეციფიკური ამერიკული ისტორიით. კერძოდ, როგორც ქვემოთ უფრო დეტალურად ვნახავთ, ლაპარაკია ამერიკულ კოლონისტებზე, რომლებმაც, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მათთან შექმნილი ისტორიული ვითარების გამო (იხ. ქვემოთ), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს“ [2, გვ. 19]. შემდგომში ამ „მძლავრ პოლიტიკურ იარაღს“, ისინი სულ უფრო ეფექტიანად იყენებდნენ იმისთვის, რომ მას არა მარტო ვერდიქტის გამოტანით, არამედ სამართლიანი განაჩენის (სასჯელის) დადგენითაც შეეტანა წვლილი კოლონისტების მიმართ მეტროპოლიის უსამართლო მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების შეჩერება-ნეიტრალიზაციაში – უფრო ქმედითი კონტროლი განეხორციელებინათ „მეფის ჩინოვნიკებზე“ – მოსამართლეებზე.

- დანაში შემუშავებულია ნაფიც მსაჯულთა „მომსახურების“ გამოყენების ფრიალ ორიგინალური – რაღაც „შუალედური“ კომპრომისულ-პარიტეტული ვარიანტი: 3 პროფესიონალი მოსამართლისა და 12 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგენილი კოლეგები,

საქმის ერთობლივად, ჩვეულებრივ სასამართლო სხდომაზე მოსმენის შემდეგ, ცალ-ცალკე თათბირობენ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წყვეტენ ფაქტის საკითხებს. თითოეულ კოლეგიას (შემადგენლობას) გადაწყვეტილება გამოაქვს ხმათა სამი მეოთხედით (შესაბამისად, 2 მოსამართლე და 8 მსაჯული). ეს არის ე.წ. ორმაგი გარანტიის (double guarantee) პრინციპი. ამის შემდეგ, თუკი ორივე (!) კოლეგიის (შემადგენლობის) მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი ვერდიქტი, ორივე კოლეგიის წევრები (სულ 15 კაცი) ერთად წყვეტენ სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, ამასთან, ორივე შემადგენლობის ხმათა ბალანსის (12:12) მიღწევის მიზნით, თითოეულ პროფესიონალ მოსამართლეს, საკომპენსაციოდ, ეძლევა ოთხი ხმა [34, გვ. 72]. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ დანიული სისტემა ყველაზე მეტად დაშორდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს – იმდენად, რომ ძნელიც კია განისაზღვროს – კლასიკურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან უფრო ახლოსა იგი თუ ე.წ. შერეულ კოლეგიებთან\*.

---

\* ქვემოთ ჩვენ ენახეთ, რომ ფაქტობრივად ანალოგიური მოდელი იყო გამოყენებული 1919 წელს, დამოუკიდებელ (მენშევიკურ) საქართველოში (იხ. ნაწ. IV, თავი I, §1, გვ. 393-399).

## §2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები

### 2.1. ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებების ნუსხა მოკლე მიმოხილვითურთ

მართლმსაჯულების ძველ თუ თანამედროვე მექანიზმთა (სასამართლო სტრუქტურათა თუ ფორმათა) შორის ფაქტობრივად შეუძლებელია მოიძებნოს თავისი იმანენტური ბუნებით უფრო წინააღმდეგობრივი, იურისტებსა და თუ საზოგადოებაში დიამეტრულად საწინააღმდეგო შეფასებების ადრესატი მეორე ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო!..

ა. პოზიტიურ ასპექტში, საუკუნეთა მანძილზე, მოჰყავთ შემდეგი ძირითადი არგუმენტები:

1) მართლმსაჯულების სწორად, სამართლიანად განხორციელება ხალხის, საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებას, მიზანსა და ინტერესს წარმოადგენს. ამიტომაც, ამ პრეროგატიული ფუნქციის უკეთ რეალიზაციის მიზნით, ხალხი არ უნდა დაკმაყოფილდეს შორეული, გაშუალებული ზემოქმედება-კონტროლით — იგი თვითონვე, უშუალოდ უნდა ჩაერთოს ამ საქმეში. „სახალხო ელემენტის“ მართლმსაჯულების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობის ყველაზე რელიეფურ, კონკრეტულ, ქმედით ფორმას კი წარმოადგენს სწორედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობა. სწორედ აქ ქმნის იგი სასამართლოს უპირველეს და უმთავრეს ელემენტს — „ფაქტის მოსამართლეთა“ ანუ ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებელ ყიურის, ხოლო, დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის პრეიუდიციულად გადაწყვეტის შემდეგ (და მანამდეც!), იგი „პროფესონალურ ელემენტს“ ანუ მოსამართლეს ანდობს სამართლებრივი (მათ შორის სასჯელის დანიშვნის) საკითხების გადაწყვეტას;

2) ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის უმთავრესი ღირსებაა არა მარტო ის, რომ მსაჯულებში კვინტენსირდება ხალხური სიბრძნე, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და სამართლიანობის გრძნობა,

არამედ ისიც, რომ მათ უკეთ (უფრო მიუკერძოებლად და ობიექტურად) შეუძლიათ ამგვარი მიდგომების რეალიზება, რადგან გაცილებით დამოუკიდებელი და შეუბოჭავნი არიან, ვიდრე თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობითა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობით „დამძიმებული“ მოსამართლე-ჩინოვნეები, მით უფრო, რომ, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მსაჯულები არავის წინაშე არ აგებენ პასუხს მიღებული გადაწყვეტილებისათვის, მეტიც, მათ ვერდიქტის დასაბუთებაც კი არ ევალებათ (გამონაკლისია ესპანეთი). ამასთან, ფაქტის სწორად და დასაბუთებულად დადგენა უფრო შესაძლებელია 12 პირის მსჯელობის შედეგად, ვიდრე ერთი პირის – მოსამართლის მიერ [55, გვ. 69];

3) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამკვიდრებს უფრო პროგრესულ სისტემას – შეეჯიბრებით პროცესს, რადგან მაქსიმალურად ითვალისწინებს მხარეთა თანასწორობას, ანუ განსასჯელს აძლევს თავის დაცვის უფლების სრულად რეალიზაციის საშუალებას, რითაც უსაფუძვლო მსჯავრდებისაგან იცავს მოქალაქეებს [262, გვ. 8].

4) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, მათ შორის კანონ-სამართლისადმი, სასამართლოთა გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემის გაზრდის ანუ, საბოლოო ჯამში, საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლების გზით [იქვე, გვ. 69].

ბ. ნეგატიურ ასპექტში, ძირითადად, მიუთითებენ შემდეგზე:

1) ნაფიც მსაჯულებს, ანუ „ქუჩიდან მოყვანილ ადამიანებს“ [286, გვ. 9], არ გააჩნიათ იურიდიული განათლება, რაც აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად – წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია ზერელობა და დილექტანტიზმი;

2) ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა პირველადი შერჩევის, მათი შემდგომი „გაცხრილების“ და ნაფიც მსაჯულთა „ხარისხიანი“ ჟიურის ფორმირების, მისი ფუნქციონირების ხელშეწყობის ურთულესი პროცედურებიც კი ვერ უზრუნველყოფენ ნაფიც მსაჯულთა სათანადო კონტინგენტის შერჩევას, შესაბამისი ჟიურის ფორმირებას, შემდგომში კი მათ დაცვას მოსამართლის, დაინტერესებულ მხარეთა, სხვა პირთა თუ მედიის ზეგავლენისაგან, ანუ მათს მიუკერძოებლობას

და, აქედან გამომდინარე, გამოტანილი ვერდიქტის ობიექტურობა-სამართლიანობას;

3) ნაფიც მსაჯულები ხშირად საქმეებს წყვეტენ არა მართო კანონშეუსაბამოდ, არამედ კანონის საწინააღმდეგოდაც, თავიანთი შეხედულებებისამებრ – თვითნებურად, რაც ნორმალურ საზოგადოებაში დაუშვებელია;

4) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები მხოლოდ მძიმედ, დროში გაწელილად ახერხებენ საქმეთა განხილვას, რაც არღვევს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. ამასთან, ეს „მძიმე“ პროცედურები ძალზე ძვირი უჯდება ქვეყანას (მაგ., აშშ-ში სასამართლო სხდომის ყოველი საათი ჯდება 250 აშშ დოლარი, ერთთვიანი განხილვა კი – 54 000 აშშ დოლარი [99, გვ. 48], სულ კი ამ ქვეყანას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ფუნქციონირება წელიწადში 500 მილიონი დოლარი უჯდება [161, გვ. 266]. გარდა ამისა, მათი საქმიანობა დაკავშირებულია სხვა მატერიალურ-ტექნიკურ პრობლემებთანაც (მათ შორის სასამართლო დარბაზების სპეციალურად მოწყობასთან, ნაფიც მსაჯულთა ჯეროვნად განთავსებასთან, სასტუმროებში მათ დაცვასთან და ა.შ.).

## 2.2. Pro და contra არგუმენტები „ორსახოვანი იანუსის“ როლში (თემის აუცილებელი გაგრძელება)

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოტანილი არგუმენტები ვერ ასახავს ამ ინსტიტუტის მიმართ გამოთქმულ მოწონება-დაწუნებით მოსაზრებათა მთელ გამას, მაგრამ, ამ ნაშრომის თემის ასპექტში, აქ მთავარია ის, რომ ამ არგუმენტების ვექტორები და პარადიგმები სულაც არაა ცალსახად პოზიტიური ან ნეგატიური – ისინი წინააღმდეგობრივია, მრავალსახაა, დილემურია. ასე, მაგალითად:

ა) „უშუალო სახალხო მართლმსაჯულების“ იდეის ასპექტში, უწინარესად, უნდა ითქვას იმის თაობაზე, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ნაფიც მსაჯულთა „ტაბუირებულ“ სფეროში „პროფე-

სიონალური ელემენტის“ ინტეგრირება-დიფუზირების მრავალი „ხერელის“ არსებობის გამო, პრაქტიკაში ეს სქემა სულაც ვერ რეალიზდება ჯეროვნად რაფინირებულ-იდეალურად. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობა-მიუკერძოებლობას სხვა მრავალი გარეშე საფრთხეც ეშუქება – რომ არაფერი ეთქვათ ინდივიდუალურ თუ „კოლექტივისტურ“ შინაგან საფრთხეებზე, რომელთაც, ცალკეულ შემთხვევებში, ადვილად შეუძლია გამოიწვიოს ხალხური სიბრძნისა თუ სამართლიანობის გრძნობის დაჩლუნგება-ნიველირება;

ბ) ნაფიც მსაჯულთა არაპროფესიონალიზმი მათი ნაკლიცაა და ღირსებაც, რადგან ზემოთ მოტანილ ორივე ურთიერთგამომრიცხავ თეზაში არის ჭეშმარიტების მოზრდილი მარცვალი. ხოლო ის, თუ რომელი მხარე – პოზიტიური თუ ნეგატიური – გადაწონის (ილომინანტებს) კონკრეტულ შემთხვევაში, დამოკიდებულია ფრიად მრავალრიცხოვან ფაქტორთა ერთობლიობაზე (ზოგიერთი მათგანი, პირდაპირ თუ „ირიბად“, არაერთგზის ჩანს ამ ნაშრომის მომდევნო ნაწილებში);

გ) ნაფიც მსაჯულთა არაპროფესიონალიზმის ნეგატიური მხარის გასანეიტრალებლად მოწოდებულია ნაფიც მსაჯულთა „ორელემენტოვანი“ სასამართლოს მეორე ელემენტი – პროფესიონალი მოსამართლე, რომელსაც ვეალება არა მარტო წმინდა სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა, არამედ ნაფიც მსაჯულთა პერმანენტული ინსტრუქტაჟი სამართლის საკითხებში, განსაკუთრებით ე.წ. სადამრიგებლო (შემაჯამებელ, სადირექტივო...) სიტყვაში, რომლითაც იგი მიმართავს ნაფიც მსაჯულებს სათათბიროდ (ვერდიქტის გამოსატანად) გასვლის წინ. მაგრამ, თავისთავად საჭირო და სასარგებლო ამ პროცედურებში იმალება მეტად საშიში „წყალქვეშა რიფი“ – მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულებზე პირდაპირი თუ ირიბი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი (ზოგჯერ გადამწყვეტიც!) ზეგავლენის მოხდენის საფრთხე. მისი რეალიზება კი უდრის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფაქტობრივად გაუქმება-ნიველირებას, მათი ვერდიქტების საფუძვლიან ეჭვქვეშ დაყენებას, რაც ერთობ სახიფათოა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს არადემოკრატიული, გარდამავალი რეჟიმიდან, მრავალეროვნულობიდან,

რასობრივი, კუთხური, კლანური, პარტიული თუ პოლიტიკურ-ექსტრემისტული დაპირისპირებიდან გამომდინარე სპეციფიკურ, დამატებით პრობლემათა კორპუსი [14, გვ. 72].

დ) შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული პროცესი მართლაც აღიარებულია უფრო პროგრესულ საპროცესო სისტემად, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ცალსახად პოზიტიური ფაქტორია მხოლოდ მაშინ, როცა შეჯიბრება ტარდება არა მარტო იურიდიულად (ანუ ფორმალურ-სამართლებრივად), არამედ აგრეთვე ფაქტობრივად (საშუალებებით) დაახლოებით მაინც თანასწორ მზარეთა შორის. ძლიერსა და სუსტს, მმართველსა და მართულს, ლატაკსა და ოლიგარქს შორის შეჯიბრებისას „დაცვის უფლების სრულად რეალიზაცია“ და, შესაბამისად, „უსაფუძვლო მსჯავრდებისაგან დაცვა“, არსებითად, სრული ნონსენსია გარდამავალი რეჟიმის (მაგალითად, პოსტსაბჭოურ) ქვეყნებში, მით უმეტეს, რომ თვით ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი ეს პრინციპი არაიშვიათად „კოჭლობს“. ასე, რომ „ხბოს აღტაცება“ აქ სულაც არ გვარგია, მით უმეტეს, რომ ისეთი ჰიპერბოლიზებული შეჯიბრებითობის საფუძველზე, როგორითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფუნქციონირებს, ობიექტურადაც შეუძლებელია მთელი მართლმსაჯულების (სასამართლო სისტემის) მოწყობა. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, ამ ინსტიტუტის ყველაზე ინტენსიური მოქმედების ქვეყნებშიც კი, განიხილება მხოლოდ საქმეთა მიზერული ნაწილი (იხ. ქვემოთ), დანარჩენებს კი იხილავენ, როგორც წესი, გამარტივებული (ანუ ე.წ. „შეჯამებითი“) წესით, მეტწილად ერთპიროვნულად.

ამგვარი გამარტივებული წესით, რამდენიმე წუთში საქმეთა განხილვას, მზარეთა უფლებების, ჭეშმარიტი მართლმსაჯულების გარანტირების თვალსაზრისით, დეტალური (სრული) პროცესი რომ სჯობია, ამაზე თითქმის არავინ დავობს. მაგრამ აქ თავს იჩენს მეორე, ასევე მნიშვნელოვანი დილემა – ამგვარი დაჩქარებული პროცესების („სწრაფი მართლმსაჯულების“ უმარტივესი ფორმების) გარეშე, მარტოოდენ „ნელი მართლმსაჯულება“ შეუძლებელს ხდის საქმეთა სულ უფრო მზარდი ნაკადების (რაც, უწინარესად, გამოწვეულია მსოფლიოში დანაშაულთა რაოდენობის პერმანენტული ზრდითა და



მისი „ხარისხობრივი“ გაუარესებით, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულთა ხვედრითი წილის განუხრელი მატებით) [224, გვ. 14-30 და სხვ.] „გადახარშვას“. ეს კი გამოიწვევს „მართლმსაჯულების მანქანის“ შეფერხებას და, არც თუ შორეულ მომავალში, მის გაჩერებას, რაც სოციალური კატასტროფის ტოლფასია [26, გვ. 456]. ცხადია, ფრიად ანგარიშგასაწევია შეჯიბრებითი პროცესის სიძვირის ფაქტორიც, მით უმეტეს, იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც არც ბიუჯეტი აქვთ სათანადო და არც ლატაკი თუ სილატაკის ზღვართან მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი იძლევა „თანასწორთა შეჯიბრების“ მოწყობის გარანტიას, განსაკუთრებით დაცვის მხარის მიერ „თავის“ მტკიცებულებათა მოპოვება-წარდგენის მიმართულებით [14, გვ. 122-133].

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულებზე მხარეთა და მასმედიის ზეგავლენას, ნაფიც მსაჯულთა უკანონო, თვითნებურ ვერდიქტებს (ანუ ე.წ. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“), მათი სპეციფიკური და/ან დილემური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი ქვემოთ ცალ-ცალკე იქნება განხილული.

### §3. მაგისტრატა/მომრიგებელი სასამართლოების ინსტიტუციური და სხვა „კერძო“ ნიშნები

#### 3.1. ტერმინოლოგიურ-ცნებითი საკითხები

როგორც ქვემოთ, წიგნის მესამე ნაწილში ვნახავთ, ისტორიულადაც (ანუ წარმოშობის მიხედვით) და დღევანდელი ვითარებითაც, „მაგისტრატი“ („მაგისტრატი მოსამართლე“) და „მომრიგებელი მოსამართლე“, ისევე, როგორც „მაგისტრატთა (მაგისტრატ მოსამართლეთა) სასამართლო“ („მაგისტრატურა“) და „მომრიგებელი (მომრიგებელ მოსამართლეთა) სასამართლო“, მეტწილად ან სულაც იდენტური, სინონიმური ცნებებია, ან კიდევ, სხვა შემთხვევებში, „ერთი მდლის ორი მხარეა“. ამასთან, ტერმინები „მაგისტრატი“ და „მაგისტრატურა“, მეორისაგან განსხვავებით, ზოგჯერ დიდად განსხვავებული მნიშვნელობებითაც გამოიყენებოდა და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში, ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე. ასე, მაგალითად, „მაგისტრატურა“ ძველ რომში გამოხატავდა „ფართო პროფილის“ არჩევით უმაღლეს და მაღალ თანამდებობებს (დიქტატორი, კონსული, პრეტორი და ა.შ.) მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში იგი აღნიშნავდა საკუთრივ სასამართლო ორგანოებს [187, გვ. 180].

თანამედროვე საცნობარო ლიტერატურის მიხედვით, ცნება-ტერმინი „მაგისტრატურა“ (ინგლ. magistracy), ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით, ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნავს როგორც არასასამართლო და სასამართლო (აშშ-ში), ისე, განსაკუთრებით (უპირატესად), მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ჩინოვნიკთა (მოსამართლეთა და პროკურორთა) ერთობლიობას (კორპორაციას). აქედან გამომდინარე, იგი ზოგან სასამართლო-საპროკურორო უწყებების საერთო სახელწოდებად გვევლინება, ანუ, სხვა სიტყვებით, ზოგჯერ „მაგისტრატურის“ ცნებაში მოიაზრება სასამართლო ორგანოთა და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული უწყების – პროკურატურის იურისდიქციული კომპეტენციის მქონე თანამდებობის პირთა ერთიანი კორპუსი. აქედან მომდინარეობს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, ან კიდევ

სხვადასხვა რანგის მოსამართლეთა (უფრო იშვიათად – მოსამართლეთა და პროკურორთა) თანასაზოგადოების მიმართ მმართველობითი ფუნქციების (შერჩევა-გამწესება, დაწინაურება ან სხვაგვარი წახალისება, ჩამოქვეითება ან სხვაგვარად დასჯა, მოშვადება, კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ა.შ.) მქონე კოლექტიური ორგანოს (რომლებიც, როგორც წესი, დაკომპლექტებულია მოსამართლეთაგან და სხვა იურისტებისაგან, მათ შორის, თანამდებობის მიხედვით შეყვანილთაგან) სახელწოდებები: „მაგისტრატურა“ (მაგ, ბრაზილიაში) [იხ. გვ. 270, გვ. 104], „მაგისტრატურის საბჭო“ (მაგ., ვენესუელაში) [იქვე, გვ. 144], „მაგისტრატურის ეროვნული (ნაციონალური) საბჭო“ (მაგ. პერუში, ეკვადორში) [იქვე, გვ. 514, 780], „მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო“ (მაგ., საფრანგეთში, პორტუგალიაში, კოლუმბიაში) [იქვე, გვ. 334, 532, 729]. ნიშანდობლიობის გამო, შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ ანალოგიური ფუნქციების მქონე ორგანოებს ეწოდებათ: საქართველოში – იუსტიციის უმაღლესი საბჭო; ბულგარეთსა და ირანში – მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო; სომხეთში – მართლმსაჯულების საბჭო, ყაზახეთში – სასამართლოთა უმაღლესი საბჭო, უნგრეთში – სასამართლოთა ეროვნული საბჭო; ესპანეთში – სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო და ა.შ. [იქვე, გვ. 51, 135, 217, 258, 277].

რაც შეეხება სიტყვას „მაგისტრატი“ (ლათ. magistratus), იგი, სადღეისოდაც და ისტორიულადაც, უპირატესად გამოიყენება როგორც „მოსამართლის“ სინონიმი, ამასთან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტწილად შინაარსობრივად მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს სასამართლო ჩინოვნიკი მიეკუთვნებოდა დაბალი ან უდაბლესი რანგის (დონის) მოსამართლეთა კორპუსს და, ბუნებრივია, შესაბამისი რგოლის სასამართლოებში ფუნქციონირებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი, ყველაზე ფართო გაგებით, აღნიშნავს საქალაქო მმართველობას (ნორვეგიაში, შვედეთში, დანიაში და სხვ.), ან კიდევ დანიშნით და არჩევით ჩინოვნიკთა ერთობლიობას სახელმწიფოში. უფრო ვიწრო მნიშვნელობით, იტალიაში, საფრანგეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში იგი აღნიშნავს სასამართლო ხელისუფლების

ჩინოვნიკთა (მოსამართლე, საგამომიებო მოსამართლე, პროკურორი) ერთობლიობას [358, გვ. 349 და სხვ.].

დაბოლოს, ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ ფარგლებში (მათ შორის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 21 დეკემბრის კანონის 46-48-ე და სხვა მუხლების თანახმად – იხ. გვ. 29) მაგისტრატურა ეწოდება უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების მეორე საფეხურს – არანაკლებ ორწლიან საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის დამთავრებისას სტუდენტ-მაგისტრანტს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

„მომრიგებელი სასამართლო“ (ინგლ. world court, რუს. мировой суд) განმარტებულია, როგორც რიგ სახელმწიფოებში არსებული სასამართლო სისტემის უდაბლესი რგოლი, რომელიც გამარტივებული პროცედურით განიხილავს წვრილმან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს [358, გვ. 245].

„მომრიგებელი მოსამართლე“ (ინგლ. world judge, რუს. мировой судья), შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლო სისტემის უდაბლესი თანამდებობის პირი, რომელიც, როგორც წესი, ინიშნება სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ და ერთპიროვნულად განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს [იქვე]. რაც შეეხება ტერმინს „მომრიგებელი იუსტიცია“, იგი, ჩემი აზრით, გარკვეულწილად პირობით-ფიგურალური ტერმინია, რომლითაც აღნიშნავენ (პირობითად გამოყოფენ) მომრიგებელ სასამართლოთა ერთობლიობას და/ან მათთვის დამახასიათებელ, სპეციფიკური სახის (ფორმითა და შინაარსით განსხვავებულ – თავისებურ, მარტივ, დაჩქარებულ და ა.შ) სამართაწარმოებას (განსაკუთრებით – რუსეთში). ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ტერმინი „მომრიგებელი“, უწინარესად, მიანიშნებს ამგვარი სასამართლოს (მოსამართლის) საქმიანობის იმ უპირატეს პრიორიტეტულ მიზანსა თუ ამოცანაზე, გნებავთ, მეთოდზე, რომელიც მიმართულია მხარეთა მორიგებისკენ, რაც, როგორც წესი, გულისხმობს მათ შერიგებას და ამით კონფლიქტის ჩაცხრობა-მოწესრიგებას. სამოქალაქო საქმეებზე ეს, საზოგადოდაც, ჩვეულებრივი, მიღებული პრაქტიკაა, სასურველი გადაწყვეტაა (შედეგია), ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე –

უფრო საგამონაკლისო, „მოკრძალებული“, გაცილებით იშვიათად გამოყენებადი მეთოდი, რადგან მორიგება, მედიაცია თუ არბიტრირება აქ უფრო იშვიათად მიიღწევა (ეს სუბინსტიტუტები, ცხადია, ძირითადად ეყრდნობიან დისპოზიციურობის პრინციპს – მხარის უფლებას, თავისი სურვილისამებრ განკარგოს საკუთარი მატერიალურ-სამართლებრივი თუ საპროცესო-სამართლებრივი უფლებები, ანუ იმოქმედოს თავისი კანონიერი საპროცესო ინტერესის [129, გვ. 90-92] შესაბამისად.

### 3.2. მაგისტრატა/მომრიგებელი სასამართლოები და შესაბამისი მოსამართლეები: რას გვამცნობს მათ სტატუსთა შედარება?

როგორც ქვემოთ, სხვადასხვა ქვეყნების მაგისტრატ და მომრიგებელ მოსამართლეთა თუ შესაბამისი სასამართლოების დაფუძნება-ფუნქციონირების ისტორიისა და მათი სადღეისო ფუნქციების (უფლებამოსილებების – უწინარესად, განსჯადობის), ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობის, იურისდიქციული საქმიანობის პროცედურების (უწინარესად, საქმეთა განხილვის წესების), სხვა ასპექტების (ნიშნების) ანალიზითა და შედეგად მიღებული ინფორმაციის სინთეზირებით ადვილად დაერწმუნდებით, რომ აქ, არსებითად, უფრო საქმე გვაქვს ერთისა და იმავე ინსტიტუტთან, ან კიდევ, გამონაკლის შემთხვევებში, ძალზე მჭიდროდ „მონათესავე ფენომენებთან“. ბოლო შემთხვევაში, მათი უმთავრესი კონცეპტუალური თუ „კერძო“ ნიშნების დამთხვევა აბსოლუტური არ არის, მაგრამ უმთავრესში ისინი ერთმანეთს თანხვლებიან, ზოგიერთ ასპექტში კი შეინიშნება გარკვეული განსხვავებანიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) ზოგიერთ ქვეყანაში, სახელწოდების მიხედვით, არსებობს მხოლოდ მაგისტრატა (მაგისტრატ მოსამართლეთა) ინსტიტუტი და შესაბამისი სასამართლოები\*. ასეთია, მაგალითად, ახალი ზელანდია,

\* საქართველოში, როგორც ცნობილია, მაგისტრატი მოსამართლეები ცალკე სასამართლო

შვედეთი, ინდოეთი, სინგაპური, კოლუმბია, კოტ დივუარი [270, გვ. 478, 770, 252, 777, 834, 815]. ამასთან, ახალ ზელანდიაში ანაზ-ლაურებად მაგისტრატებს შეიძლება ეხმარებოდნენ არაანაზლაურებადი მომრიგებელი მოსამართლეებიც [იქვე, გვ. 80];

ბ) ქვეყანათა უფრო მეტ ნაწილში, სახელწოდების მიხედვით, არსებობს მხოლოდ მომრიგებელი სასამართლოები (მოსამართლეები) – მაგალითად, რუსეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ბელგიაში, ისრაელში, ლუქსემბურგში, პერუში, სირიაში, თურქეთში, ურუგვაიში, შვეიცარიაში, ეკვადორში [იქვე, გვ. 548, 285, 179, 79, 217, 399, 514-515, 584. 668, 695-696, 762, 780];

გ) ზოგიერთ ქვეყანაში ისინი არსებობს ორივეს „კომბინაციის“ სახით. ასე, მაგალითად, მალტაში „მაგისტრატთა სასამართლოდ“ წოდებული ორგანო შედგება მომრიგებელი მოსამართლეებისაგან [იქვე, გვ. 414], კანადაში არსებული მაგისტრატთა სასამართლოს ფუნქციას კი კვებეკის პროვინციაში ასრულებენ მომრიგებელი სასესიო სასამართლოები [იქვე, გვ. 309], მალაიზიაში ორივე სახელწოდება ერთი და იმავეს აღნიშნავს (იქვე, გვ. 410), ინგლისში კი, როგორც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვნახავთ, ისინი ყოველთვის „ერთი მედლის ორი მხარე“ იყო;

დ) ზოგიერთ ქვეყანაში მაგისტრატ (მომრიგებელ) მოსამართლეს იმდენად მნიშვნელოვანი კომპეტენცია გააჩნია, რომ ტრადიციულ (ორდინარულ) მაგისტრატ თუ მომრიგებელ მოსამართლესთან მისი შედარება აშკარად არაზუსტი, მეტიც, არაკორექტული იქნებოდა. ასე, მაგალითად, ისრაელში, 1990-იანი წლებიდან მათი უფლებამოსილების გაზრდის შემდეგ, მომრიგებელი სასამართლოები იზილავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებზეც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე ვადით, აგრეთვე საკმაოდ სერიოზულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებს [270, გვ. 217]. ასეთივე სიტუაციაა აშშ-ს რიგ შტატებში, სადაც, ისევე, როგორც ინგლისსა და სხვა ანგლოსაქსური ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში, მაგისტრატ მოსამართლეთა „უღუფა“

---

ორგანოს (რგოლს) არ ქნებიან – ისინი შედიან რაიონული სასამართლოების შემადგენლობაში და მუშაობენ საუბნო პრინციპით, მუხლდული კომპეტენციით (დაწვრილებით იხ. მესამე ნაწილში).

ხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი (ანუ ყველაზე სერიოზული) სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო საქმეები, რომლებზეც მხარემ (მხარეებმა) არ მოისურვეს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის „მომსახურებით“ სარგებლობა (სისხლის სამართლის საქმეებზე ამგვარი რამ, როგორც წესი, ხდება განსასჯელის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, ბრალდების მხარესთან – ზოგჯერ მოსამართლის მონაწილეობით თუ „ჩუმი თანხმობით“ – ბრალის აღიარების თაობაზე გარიგების ინსტიტუტის ფარგლებში<sup>\*</sup>). რაც შეეხება აშშ-ს ფედერალურ სასამართლოთა სისტემას, აქ მაგისტრატი შედის რაიონული თუ საოლქო სასამართლოს ანუ საერთო იურისდიქციის სასამართლოს შემადგენლობაში მაშინ, როცა შტატების სასამართლოთა სისტემაში მისი ფუნქციის შემსრულებელი მომრიგებელი, ადგილობრივი და სხვა მისთანა სასამართლოები მიეკუთვნებიან ე.წ. შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოებს [161, გვ. 245]. დაბოლოს, ახალ ზელანდიაში მაგისტრატთა სასამართლოები უფლებამოსილნი არიან განიხილონ საბრალდებო აქტით დევნად ნებისმიერ დანაშაულთა საქმეებიც – გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, აგრეთვე, მხარეთა თანხმობით, ნებისმიერი სამოქალაქო საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე [61, გვ. 79].

### 3.3. მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოების ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები (მხარეები, ასპექტები)

მაგისტრატთა/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოებს, როგორც ყველა სხვა ინსტიტუტს, ბუნებრივია, გააჩნიათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ნიშან-თვისებების, მხარეებისა თუ ასპექტების საკმაოდ შთაბეჭდავი ერთობლიობა (სიმრავლე). ისინი, ცხადია, სხვადასხვა „ხარისხისაა“ – მეტ-ნაკლებად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ. ამიტომ, მათგან აქ გამოვყოფ მხოლოდ

\* უფრო დაწვრილებით იხ. მაგალითად: 161, გვ. 250-284.

ზოგიერთ, ჩემი აზრით, ყველაზე კონკრეტულ, „ხელშესახებ“, თუ „რელიეფურ“ ნიშან-თვისებებს. კერძოდ:

3.3.1. ძირითადი დადებითი ნიშან-თვისებები. უწინარესად, როგორც ითქვა, აღსანიშნავია ის, რომ ამ სახის (ტიპის) სასამართლოთა სისტემა ყველაზე მასობრივი და დემოკრატიულია. მაგისტრატი თუ მომრიგებელი მოსამართლეები, განსაკუთრებით მათი არაპროფესიონალური ნაწილი, როგორც თავიანთი სოციალური, სტრატეგიკაციული, ეროვნულ-ეთნოსური და სხვა მისთანა შემადგენლობით, ისე გამწესებისა და ფუნქციონირების წესების მიხედვით, ქვეყანაში არსებულ სასამართლო სისტემას მჭიდროდ, მყარად, უშუალოდ, ბუნებრივად აკავშირებს მოსახლეობასთან, მის ფართო ფენებთან. ამდენად, აქ გაცილებით ნაკლებია „გაუცხოების ელემენტი“ და, შესაბამისად, ფრიად არასასურველი „გაუცხოების სინდრომის“ ნეგატიური მოქმედების ხარისხი. გარდა ამისა, ფართო ფენების ამგვარი სიახლოვე სასამართლო სისტემასთან, ისევე, როგორც ნაფიც მსაჯულად სამსახური, თავისებური „სკოლა“ უბრალო ადამიანებში სამართლიანობის, დემოკრატიული მართლშეგნების, კანონ-სამართლისადმი პატივისცემის, კანონდამჯერობის დასამკვიდრებლად. ეს სასამართლოები საქმეებს განიხილავენ შეჯამებითი ანუ გამარტივებული და, შესაბამისად, დაჩქარებული წესით, რაც სწრაფი და იაფი მართლმსაჯულების ყველაზე „უტყუარი“ წინაპირობაა. ამგვარი პროცედურების წყალობით, ეს სასამართლოები ახერხებენ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობის თუ ძირითადი მასის როგორც წინასწარ, ისე არსებით განხილვას, ამასთან, თავიანთ თავზე იღებენ საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობა-საჩივრების („მასალების“) განხილვასაც. ამით ისინი უადვილებენ (განტვირთვის გზით უიოლებენ) ფუნქციონირებას ზემდგომ სასამართლოებს, რადგან მათ საშუალება ეძლევათ კონცენტრირებისა, ერთი მხრივ, ყველაზე სერიოზულ საქმეთა გამოწვლილვით განხილვაზე, მეორე მხრივ კი ქვემდგომ სასამართლოთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე,



აგრეთვე საქმეთა განხილვისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემების მართებულად გადაჭრაზე, მათ შორის პრეცედენტული თუ სამოსამართლო სამართლის პრობლემატიკის მიმართულებებით. ამ „ამპლუაში“, როგორც მართებულად აღნიშნავს ა. რომანოვი, ქვემდგომი სასამართლოები ასრულებენ გარკვეული „ფილტრის“ როლს ყველაზე სერიოზული საქმეების უფრო კვალიფიციური სასამართლო რგოლებისათვის მიზანმიმართული „გადარჩევის“ მიზნით, ამასთან, დიდად აიაფებენ საზოგადოდ მეტად ძვირ მართლმსაჯულებას („იუსტიციას“): ინგლისში, მაგალითად, ერთი დღე მაგისტრატის სასამართლოში, დამცველთა უმაღლესი „კასტის“ წარმომადგენლის – ბარისტერის მონაწილეობით, ჯდება სულ 300 გირვანქა სტერლინგი მაშინ, როცა სახელმწიფო (ანუ ზემდგომი რგოლის) სასამართლოში – 1.000 გირვანქა [279, გვ. 268].

3.3.2. ძირითადი უარყოფითი ნიშან-თვისებები. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა (სასამართლოთა) ინსტიტუტის უარყოფით ნიშან-თვისებათაგან (ნაკლოვანებათაგან), უწინარესად, მიუთითებენ:

ა) მოსამართლეთა საბრალდებო გადახრაზე, რაც, ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ აქ არ არის ნაფიცი მსაჯულების ცალკე კოლეგია, რომელიც, შეჯიბრებითი პროცესის შედეგების მიხედვით, ცალკე, დამოუკიდებლად გადაწყვეტს ხოლმე ფაქტის (დამნაშავეობა-უდანაშაულობის) საკითხებს. გარდა ამისა, ამგვარ გადახრას ხელს უწყობს მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა გამწესების, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ფუნქციონირების მეტწილად „ადგილობრივი“ (მაგ., რუსეთში – ფედერაციის სუბიექტების მიერ) წესი, რაც, ნებისთ თუ უნებლიედ, ობიექტურად იწვევს ამ კატეგორიის მოსამართლეების „ფსიქოლოგიურ“, ზოგჯერ კი გაცილებით ძლიერ, არაიშვიათად „კომპლექსური“ ხასიათის დამოკიდებულებას („მიბმას“) ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა და სხვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მიმართ. მოსამართლის დამოუკიდებლობის დონის დაქვეითება კი, როგორც წესი, კანონზომიერად იწვევს მისი

მიუკერძოებლობა-ობიექტურობის ხარისხის დაქვეითებასაც<sup>6</sup>;

ბ) მაგისტრატთა და მომრიგებელთა საზოგადოდაც შედარებით დაბალ კვალიფიკაციაზე და, განსაკუთრებით, მათი ნაწილის არაპროფესიონალიზმზე – როგორც წმინდა სამართლებრივი ცოდნის, ისე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღება-გაფორმების მეთოდოლოგიისა და ტექნიკის ფლობის თვალსაზრისით;

⊗ ინსტიტუტის სამშობლოში – ინგლისში არაპროფესიონალ მაგისტრატთა შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე საკმაოდ დიდი ხნის ისტორიის მქონე დისკუსიები დღემდე არ წყდება. უწინარესად, არაპროფესიონალ მაგისტრატებს, მოუშადებლობის გარდა, საყვედურობენ ზოზინობასაც და, შესაბამისად, დაბალ შედეგიანობას: ერთი პროფესიონალი და ანაზღაურებადი მაგისტრატი – ე.წ. სტიპენდიარი (იხ. ქვემოთ) – ასწრებს 30-ჯერ (!) მეტის გაკეთებას, ვინემ არაპროფესიონალი და არაანაზღაურებადი მაგისტრატი! არაპროფესიონალი მაგისტრატების ამ ნაკლის „გადაფარვის“ მიზნით, საქმეთა განხილვაში ერთობ უჩვეულო, უმნიშვნელოვანესი როლი დაეკისრათ სასამართლო კლერკებს (Court Clerks) – მაღალი კვალიფიკაციისა და ასეთივე ანაზღაურების მქონე ოურისტებს. კერძოდ, კანონის თანახმად, კლერკად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ადვოკატი (ბარისტერი ან სალისიტორი), რომელმაც, ამასთან, არანაკლებ 5 წლისა იმუშავე კლერკის თანამშეწედ. სასამართლო კლერკები არა მარტო აფორმებენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და სხვა სასამართლო დოკუმენტაციას (რომ არაფერი ვთქვათ „დამხმარე“ მოქმედებების შესრულებაზე პროცესების ორგანიზების მიზნით), არამედ კონსულტაციას უწევენ მაგისტრატებს სამართლებრივ საკითხებზე. უფრო მეტიც, დაშვებულია რომანულ-გერმანული „მოსამართლეთა თათბირის

<sup>6</sup> საბრალდებო გადახრასთან დაკავშირებით მოკლედ შევნიშნავ, რომ იგი არაობიექტურობის საფრთხის მეტისმეტად მაღალი ხარისხის შემცველობის გამო, ლიტერატურაში დაგმობილია. ამასთან, ზოგიერთი ავტორი [იხ., მაგალითად, 179, გვ. 48-53] მეორე უკიდურესობაში ვარდება და მოუთითებს, რომ, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია საგამომიებო-სასამართლო პროცესის ხელახლა ორიენტირება საბრალდებოდან გამამართლებელ გადახრაზე. ამგვარი გადახრა, საზოგადოდ, ნაოცრ მსაჯულთა სასამართლოს იმპანტური თვისებაა, პროფესიული სასამართლოები კი საბრალდებო გადახრას თავს მოლიანად ვერც დააწევენ. რაც ცალსახად დადასტურა მოსამართლეთა კონტინენტის ფისქოლოგიურმა კვლევებმა (ტესტირებამ). თეორიულად, როგორც მართებულად მოუთითებენ [იხ., მაგალითად, 341, გვ. 113-119], ცხადია, უფროებისა („იდეალური ვარიანტი“), რომ მოსამართლეს არ ჰქონდეს არანაირი გადახრა – იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

საიდუმლოების“ პრინციპის პოზიციიდან ერთობ „მკრეხელური“ წესიც: მაგისტრატა უფლებამოსილია კლერკი მიიწვიოს სათათბირო ოთახშიც — გადაწყვეტილების გამოტანისას განმარტებათა მისაცემად. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ კლერკისაგან ამგვარი განმარტება მიიღონ საჯაროდაც, სასამართლო სხდომათა დარბაზშივე, — „რათა ყველას შეეძლოს მოისმინოს და გაიგოს, რა ხდება“ [161, გვ. 83].

გ) მაგისტრატა (მომრიგებელთა) სასამართლოში (ყოველ შემთხვევაში, რიგ ქვეყნებში) განსასჯელის დაცვის უფლების ნაკლებად გარანტირებულობაზე [279, გვ. 268]; წმინდა საპროცესო (ანუ საკანონმდებლო) ფაქტორთა გარდა, ამის მიზეზია „დანიშნითი ადვოკატების“ შედარებით ფორმალური, ნაკლებეფექტიანი ინსტიტუტის ფართოდ გამოყენება (განსაკუთრებით ე.წ. „დაპატიმრებად დანაშაულებზე“ პირის დაკავება-დაპატიმრების პირველ პერიოდებში), ზოგჯერ კვალიფიციური საადვოკატო დახმარების შეცვლა სატელეფონო კონსულტაციით ან ე.წ. „დღეგრებიანი საადვოკატო დახმარებით“, ანუ როცა, გავრცელებული პრაქტიკისამებრ, ადვოკატი სასამართლოში პირადად გამოცხადების ნაცვლად, აგზავნის თავის თანამემწეს ან საადვოკატო კანტორის რომელიმე ტექნიკურ მუშაკს — „ვინმეს ტექნიკური პერსონალიდან“ [161, გვ. 107];

დ) ყოველივე ზემოაღნიშნულის, აგრეთვე საქმეთა ერთპიროვნულად და, რაც მთავარია, შეჯამებითი ანუ გამარტივებული წესით განხილვის პროცედურებისა და პრაქტიკის (ზოგჯერ საქმე იხილება რამდენიმე წუთში! — იხ. ქვემოთ) გათვალისწინებით, სასამართლოებში საქმეთა განხილვის სტანდარტების (ხარისხის) დაქვეითებაზე, რაც აქ სავსებით ლოგიკური შედეგია. თუ პროცედურების გართულების ტენდენცია მე-19 და მე-20 საუკუნეების გაცილებით ვრცელი პერიოდების საპროცესო-საკანონმდებლო რეალობა იყო, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში თანდათან გაბატონდა საპირისპირო, პრაგმატული ხასიათისა და დანიშნულების ტენდენცია — საქმეთა განხილვის პროცედურების გამარტივება მისი გაადვილება-დაჩქარების მიზნით, აგრეთვე, რეალურ სასამართლო პრაქტიკაში, ზემოხსენებულ პროცედურათა „ნარჩენების“ ყოველგვარი — პირდაპირი თუ ირიბი — ხერხებითა და საშუალებებით „შემოვლა“.

ამგვარი მიდგომა საქმეთა განხილვის დაჩქარებას და, შესაბამისად, სასამართლოთა განტვირთვას (რაც ზოგჯერ, აუცილებელი ხდება რიგ მიზეზთა გამო\* სასამართლოთა მეტისმეტი გადატვირთულობის მოსახსნელად) კი იწვევს, მაგრამ, პროპორციულად, იზრდება საქმეთა განხილვის ხარისხის დაქვეითების, სასამართლო შეცდომების (ზოგჯერ ტრაგიკულის) დაშვების, ადამიანის უფლებათა სხვაგვარი შელახვის საფრთხეც – აქედან გამომდინარე გასაგები ნეგატიური შედეგებით, რომელთა მაქსიმალურად შემცირება-ნეიტრალიზება თანამედროვე სასამართლო სისტემების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი, ერთობ დილემური ამოცანაა!..

⊗ აღნიშნულ და სხვა ნაკლოვანებათა მიუხედავად, ინგლისსა და რიგ სხვა ქვეყნებში იმარჯვებს ის თვალსაზრისი, რომელიც ამ ინსტიტუტს მიიჩნევს მოსახლეობასთან მართლმსაჯულების დაახლოების აუცილებელ რგოლად ანუ სასამართლო სისტემის დემოკრატიულობის ერთ-ერთ მაჩვენებლად, „ინდიკატორად“. ეს თვალსაზრისი ამ ათიოდე წლის წინ საკმაოდ შთაბეჭდავად გამოხატა ინგლისის ლორდ-კანცლერმა: 1997 წლის 11 ოქტომბერს, მაგისტრატთა ასოციაციის ყოველწლიურ კრებაზე, მან მიმართა აშშ-ს ექსპრეზიდენტ ლინკოლნის მიერ დემოკრატიის თაობაზე ნათქვამი ცნობილი სიტყვების პერიფრაზს და განაცხადა შემდეგი:

„არაპროფესიონალი მაგისტრატების გარეშეც ჩვენ გვექნება მართლმსაჯულების სისტემა, მაგრამ იგი იქცევა გაცილებით ნაკლები ხარისხის სისტემად „... ხალხისა, განხორციელებული ხალხის მიერ და ხალხის ინტერესებში“ [16], გვ. 83].

\* აღნიშნულ მიზეზთა შესახებ იხ. ზემოთ, აგრეთვე, მაგალითად, 26, გვ. 454-458.

### 3.4. ინსტიტუციურ ნიშნებთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი (დასკვნები)

ზემოთ მითითებული და სხვა ნიშან-თვისებების ერთობლივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ მაგისტრატ/მომრიგებელ სასამართლოთა უმთავრესი ინსტიტუციური ნიშნები:

ა) მაგისტრატ/მომრიგებელი სასამართლოები მიეკუთვნება სასამართლოთა უდაბლეს ან, ყოველ შემთხვევაში, დაბალ (ძირითად, საწყის, „საბაზო“) რგოლს;

ბ) მაგისტრატ/მომრიგებელი მოსამართლეები ხშირად მუშაობენ ანაზღაურების გარეშე („საზოგადოებრივ საწყისებზე“), ამასთან (და, როგორც ჩანს, ამის გამოც) მათ მეტწილად არ მოეთხოვებათ იურიდიული განათლება – პროფესიონალიზმი;

გ) მაგისტრატ/მომრიგებელი სასამართლოები მეტწილად განიხილავენ მცირემნიშვნელოვან (ან შედარებით მცირემნიშვნელოვან) საქმეებს;

დ) მაგისტრატ/მომრიგებელი მოსამართლეები, როგორც წესი (არსებობს გამონაკლისებიც), საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად);

ე) საქმეთა განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (როგორც წესი ან მეტწილად) ხდება შეჯამებითი ანუ გამარტივებული, დაჩქარებული წესით – არათუ შეჯიბრებითი პროცესის „კლასიკური“, არამედ მინიმალური პროცედურების გარეშე;

ვ) ამგვარ მოსამართლეთა უპირველესი და უმთავრესი ამოცანაა მხარეთა მორიგება და, შესაბამისად, კონფლიქტების მაქსიმალურად დაჩქარებულად, დროის, ენერჯისა თუ სახსრების შეძლებისდაგვარად უმცირესი დანახარჯებით „შეიღობიანად“ გადაწყვეტა ანუ მაქსიმალური „საპროცესო ეკონომიის“ (!) ვითარებაში მაქსიმალური ეფექტის (რეზულტატის) მიღწევა – უმთავრესად, ცხადია, რაოდენობრივი (!) თვალსაზრისით (რადგან, როგორც აღინიშნა, რაოდენობისა და ხარისხის ერთდროულად მნიშვნელოვნად გაზრდა მეტწილად რეალურად შეუსრულებადი ამოცანაა!).

#### **§4. ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში**

„Ex aequo et bono“ („ექს ეკვო ეტ ბონო“) – „სამართლიანობითა და სიკეთით“ (ლათ).

ნაშრომში ზემოთ უკვე მოხმობილი და, რაც მთავარია, ქვემოთ (შემდგომ ნაწილებში) წარმოდგენილი დეტალიზებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა აქ, ერთგვარი „წინასწარი“ შეჯამების წესით, განისაზღვროს განსახილველი სასამართლო ინსტიტუტების თეორიულ-კონფექტუალური, საკანონმდებლო-ნორმატიული თუ ფაქტობრივ-პრაქტიკული როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში – მცირე რეტროსპექტივის ფონზე.

#### **4.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში**

**4.1.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც სასამართლო ხელისუფლების და, კერძოდ, მისი „წამყვანი და უპირატესი ფორმის“ – მართლმსაჯულების [351, გვ. 55] განხორციელების სფეროში ხალხის სუვერენული უფლების ყველაზე უშუალოდ და ქმედითად რეალიზაციის კოლეგიური, სპეციფიკური მექანიზმი<sup>\*</sup>, ინსტიტუციურად განკერძოებულად დგას – მიუხედავად იმისა, რომ „სახალხო**

---

\* აქ ლაპარაკია არა ოდენ უბრალო, გაშუალებულ მონაწილეობაზე რომელიმე „სხვისი“ უფლებამოსილებისა თუ ფუნქციის განხორციელებაში, არამედ „სახალხო სუვერენიტეტზე“ – ხალხზე, როგორც სუვერენზე, ნებისმიერი ხელისუფლების წყაროზე. ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის (მუხ. 5, პ. 1-2) თანახმად, „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი“, რომელიც „თავის ძალაუფლებას ახორციელებს... უშუალო დემოკრატიის... ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა ნაფიც მსაჯულად მონაწილეობა კი სწორედ უშუალო მონაწილეობაა სასამართლო ხელისუფლების – სახელმწიფოს შესაბამე ფუნდამენტური ხელისუფლების – განხორციელებაში.

ელემენტი“ მეტწილად ასევე „უხვად“ მონაწილეობს ე.წ. შერეულ კოლეგიებშიც.

საზოგადოდ, „სახალხო ელემენტის“, ანუ, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ერთადერთი სუვერენის – ხალხის უშუალო მონაწილეობა (ცხადია, იურისდიქციული ფუნქციის შესრულების დონეზე) მართლმსაჯულების განხორციელებაში, „ეს არის პრინციპი, რომელიც არა მარტო გამოხატავს მართლმსაჯულების დემოკრატიულ საწყისს, არამედ საზოგადოების სამართლებრივი კულტურის უმნიშვნელოვანეს ელემენტსაც წარმოადგენს“ [149, c. 191]. გარდა ამისა, ხალხის უშუალო მონაწილეობა აქ უკეთ უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების სოციალურ კონტროლს, ხელს უშლის „ხალხის ინტერესებიდან მის დისტანცირებას“, რითაც ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლებას, რადგან ზნეობრივად „ამაგრებს“ მას, უმაღლესს ავტორიტეტს, საზოგადოებაში ამკვიდრებს სამართლიანობის განცდას [იქვე, გვ. 191-192].

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში, შერეული კოლეგიებისაგან განსხვავებით, როგორც ვნახეთ, ნაფიც მსაჯულთა ეიური უშუალოდ, ავტონომიურად, ხალხის „გაშუალებული წარმომადგენლისაგან“ – პროფესიონალი („სამშტატო“) მოსამართლისაგან დამოუკიდებლად, წყვეტს ფაქტობრივი მხარის უპირველეს და უმთავრეს საკითხებს – მოხდა თუ არა დანაშაული, ჩაიღინა თუ არა იგი განსასჯელმა და ბრალეულია (დამნაშავეა) თუ არა იგი ამ დანაშაულის ჩადენაში (ზოგჯერ ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ შეღავათების გამოყენების საკითხს და თვით სასჯელის თაობაზე რეკომენდაციებსაც კი იძლევიან – იხ. ზემოთ). ამდენად, აქ, იდეალურ ვარიანტში, მთლიანად გამოირიცხება ის სიტუაცია, როცა შერეულ კოლეგიაში შემავალი „ხალხის წარმომადგენლები“ (მსაჯულები – სხვადასხვა სახელწოდებით: „მსაჯული“, „სახალხო

---

\* ლიტერატურაში არაერთგზის და მართებულად იქნა შენიშნული, რომ ნაფიც მსაჯულთა გადასწყვეტი ფაქტობრივი (ფაქტის) საკითხები მეტ-ნაკლებად, მაგრამ რეალურად ყოველთვის უკავშირდება სამართლებრივ საკითხებს, განსაკუთრებით მტკიცებულებათა და მტკიცების სფეროებში, ხოლო განსასჯელის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის – დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის – საკითხების სამართლის სფეროსთან მეტად მჭიდრო (თუ არა უპირატესი) „წილნაყარობის“ უარყოფა საერთოდ ნონსენსი იქნებოდა.

მსაჯული“, ასიზი, „შეფენი“ და ა.შ.), არაიშვიათად, მთლიანად ან ნაწილობრივ ექცევიან შერეულ კოლეგიაში შემავალი მოსამართლის (მოსამართლეთა) ძლიერი გავლენის ქვეშ. ამას კი ზოგჯერ იმდენად ფორმალისება-ნიველირებამდე მიჰყავს ეს მონაწილეობა, რომ, მაგალითად, სოციალისტურ თუ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სასამართლო კოლეგიაში შემავალ სახალხო მსაჯულებს დაცინვით „თავქნევიებს“ („Кивалы“) უწოდებდნენ, რადგან, როგორც წესი (მცირე გამონაკლისთა გარდა), ისინი ყოველად უკრიტიკოდ და უდრტიკინველად ეთანხმებოდნენ მოსამართლეს ყველაფერში. ეს პლასტი, რომელიც არცთუ ნიუანსურად ავსებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უმთავრეს ინსტიტუციურ ნიშანს, ამასთან, რელიეფურად მიუთითებს ამ სასამართლო ინსტიტუტის თვისებრივ განსხვავებულობაზე (განკერძობულობაზე) ყველა სხვა სასამართლო ინსტიტუტისგან (ორგანოებისგან, სტრუქტურებისგან, ფორმებისგან...). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, კერძოდ კი მისი პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი (ელემენტი) – ნაფიც მსაჯულთა ჟიური (კოლეგია, შემადგენლობა) არის მართლმსაჯულების განხორციელებაში სუვერენის – ხალხის უშუალოდ მონაწილეობის ყველაზე უფრო ფართო (სრული), ქმედითი, აღიარებული ფორმა, ბიუროკრატიული (უარყოფითი გაგებით) სასამართლო სისტემის „თანდაყოლილ“ თუ „შეძენილ“ მანკიერება-ნაკლოვანებათაგან ადამიანთა დაცვის ყველაზე ეფექტიანი (!) მექანიზმი. მართალია, ამგვარ „უაპელაციო“ დასკვნას, ისევე, როგორც ყოველგვარ მაქსიმალისტურ კრიტიერიუმს, ყოველთვის და ყველგან აბსოლუტური რეალიზაცია არა ჰქონია, არა აქვს და არც ექნება (არც შეიძლება ჰქონდეს!), მაგრამ, თავისთავად, გარკვეული დათქმებით, მთლიანობაში, იგი საკმაოდ შთამბეჭდავად მიუთითებს ამ ინსტიტუტის „იდეალურ“ როლსა და ადგილზე სასამართლო სისტემებში – მით უმეტეს, მისი „ისტორიული დამსახურებების“ გათვალისწინებით.

ასეთ ვითარებაში, ვფიქრობ, არ არის ზუსტი ლ.მ. კარნოზოვას დასკვნა, რომ „... ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „სახალხო მართლმსაჯულება“ კი არ არის, არამედ იგი არის პროცესის გან-



საკუთრებული კონსტრუქცია სახალხო ელემენტის მონაწილეობით, პროფესიონალ და არაპროფესიონალ მოსამართლეთა შორის კომპეტენციის გაყოფით, რომლებიც მონაწილეობენ... მართლმსაჯულების განხორციელების „ერთობლივ“ საქმიანობაში და წარმოადგენენ გარკვეული მთლიანობის ელემენტებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკა სწორედ ამ მთლიანობის კონსტრუქციაშია“ [190, c. 227]. ცხადია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მისი ამგვარი სახელწოდების მიუხედავად, მართლაც არ არის წმინდა „სახალხო მართლმსაჯულება“, მაგრამ ამ სახელწოდებაშიც (რომელიც, როგორც ცნობილია, პირობითია – როგორც ეს ხშირად ხდება) ჩანს ამ სასამართლო ინსტიტუტის პრიმატული „მდგენელი“ – ნაფიც მსაჯულთა კორპუსი! პრიმატული არა მხოლოდ და იმდენად რაოდენობრიობის გამო, არამედ, უპირატესად და ძირითადად, სწორედ თვისებრივი „წონის“ ძალზე მაღალი ხვედრითი წილის გამო. ამდენად, „სახალხო ელემენტის“ მონაწილეობაა აქ ხაზგასმული თუ, პირიქით, პროფესიონალი მოსამართლისა, ლოგიკურად დიხაზაც საკითხავია – რომ არა ქვემოთ, ცალკე მითითებული მნიშვნელოვანი გარემოება (კერძოდ ის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც „სტაციონარული“, მუდმივმოქმედი, მყარად სტრუქტურულიზებულ-პერსონიფიცირებული წარმონაქმნი, არ არსებობს!), ორგანიზაციული თვალსაზრისით, რეალობაა სწორედ ცალკეული სასამართლო რგოლების (როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი სპეციალური ორგანოების) მიერ, გარკვეულ შემთხვევებში, საქმეთა განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით! მაგრამ, ვიმეორებ, ზემოთ, როგორც კრიტიკიკში, მხედველობაში მქონდა ინტიტუციურ-არსობრივი, ფუნდამენტურ-პრინციპული ასპექტები, ხოლო ზემოხსენებული ავტორი თავის დასკვნას, როგორც ჩანს, ძირითადად სწორედ ორგანიზაციულ ასპექტზე აყრდნობს. მისი მსჯელობა კომპეტენციის გაყოფის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ორივე ელემენტის ერთობლივი საქმიანობის, აგრეთვე მათი „გარკვეული მთლიანობის“ შესახებ, არსებითად, ძირითადად სწორია, მაგრამ, რაც შეეხება შემდგომ დასკვნას – რომ თითქოს „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკა სწორედ ამ მთლიანობის კონსტრუქციაშია“ – იგი

ამკარად მცდარია, რადგან მთლიანად მიესადაგება ე.წ. შერეული კოლეგიების არსს და არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებისას. სწორედ პირველშია ორივე ელემენტის მთლიანობა სპეციფიკური ნიშანი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკა კი სწორედ კომპეტენციათა მკვეთრად, ცალსახად, იმპერატიულად გამიჯვნაში (!) მღვთმარეობს, „ერთიანობა“ კი აქ, ძირითადად, წმინდა ორგანიზაციულია (ნაწილობრივ, ცხადია, პროცედურულ-სამართლებრივიც). თუ აქ ავტორს მხედველობაში ჰქონდა ორივე ელემენტის საპროცესო მიზან-ამოცანების ერთიანობა, ამაში სპეციფიკური ბევრი რამ ვერ იქნება, რადგან ისინი, ფაქტობრივად, იდენტურია სხვა (განსაკუთრებით იმავე ინსტანციის) სასამართლოებისთვისაც (ტერმინში „გარკვეული მთლიანობა“ სიტყვა „გარკვეული“ აქ საქმის არსს და ჩემს დასკვნას არ ცვლის, რადგან, საზოგადოდ, ფუნქციურად ავტონომიური ნაწილების არსებობა უკვე მიუთითებს „მთლიანობის“ საკმაო „გარკვეულობაზე“ ანუ ფარდობითობაზე, ხოლო ტერმინი „მონოლითური ერთიანობა“ მიგვანიშნებს მხოლოდ ამგვარი „გარკვეულობის“ უმაღლეს „ხარისხზე“).

4.1.2. თანამედროვე ცივილიზებულ სასამართლო სისტემებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების როლისა და ადგილის უნიკალურობის კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი დასტური და გამონათქვამებია მისი ინსტიტუციური „ფიზიონომიის“ ისეთი ელემენტი, როგორცაა საქმეთა გადაწყვეტის (გადაწყვეტილებათა მიღების) წესი და პირობები (საფუძვლები). კერძოდ, მხედველობაშია ის გარემოება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უფრო ზუსტად, მისი ავტონომიური ნაწილი – ნაფიც მსაჯულთა ჟიური, ერთადერთი სასამართლო წარმონაქმნია, რომელსაც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დე-იურე, ანდა (როგორც წესი) დე-ფაქტო, მინიჭებული აქვს უფლებამოსილება – თუ ეს საჭიროა სამართლიანი (sic!) გადაწყვეტილების მისაღებად, იგი დააფუძნოს არა კანონზე (ნორმატიულ ბაზაზე), არამედ სამართლიანობის (სამართლიანი მიზანშეწონილობის) მისეულ გაგებაზე. სხვა სასამართლოებისაგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა ჟიური ოპერირებს არა იურიდიული კატეგორიებით (ამ სფეროში რაიმე სერიოზული, მით უფრო ფუნდა-

მენტური ცოდნა მის წევრებს არა აქვთ, არც შეიძლება ჰქონდეთ და, გაბატონებული თვალსაზრისით, არც უნდა ჰქონდეთ), პოზიტიური კანონებით, არამედ ცხოვრებისეულ-ყოფითი გამოცდილებით, „საღი აზრით“, საზოგადოებრივი მორალით, ინდივიდუალური სინდისით, „ადამიანურობის“ კრიტერიუმებით. სწორედ ამის გამო, ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, იგი უფრო მეტი ხარისხით ახერხებს დამოუკიდებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების გარანტირებას, ამცირებს უდანაშაულოთა მსჯავრდების რისკს [იხ., მაგალითად, 193, გვ. 193]. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეს „თვისება“, რომელიც არაიშვიათად იწვევს ე.წ. ნულიფიკაციას – ძნელია ცალსახად დადებითად ანდა ცალსახად უარყოფითად შეფასდეს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი დიდად განსაზღვრავს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის როლსა და ადგილს სასამართლო სისტემებში, მის „შარშს“ თუ „მაგნეტიზმს“, რაც ძალუმაღ იზიდავს ადამიანების ერთ ნაწილს ამ ინსტიტუტისკენ და, ამასთან, ასევე ძლიერ აფრთხობს (განიზიდავს) ადამიანთა სხვა ნაწილს, ვისთვისაც წმიდათა წმიდა კანონის უზენაესობის პრინციპი – იმის კრიტიკული შეფასების გარეშე, თუ რამდენად სამართლიანია ეს კანონი (კანონები). ისინი მიდრეკილნი არიან იმისკენ, რომ საქმე განიხილებოდეს არა „Excmpa jus“ („კანონის მიღმა“), არამედ „Ex legibus“ („კანონის შესაბამისად“) მაშინ, როცა პირველნი, როგორც მაქსიმუმში, თანახმანი არიან „Ex jure“ („სამართლის შესაბამისად“) განხილვაზე, ამასთან, ეს ესმით როგორც განხილვა „Ex adquo et bono“ – „სამართლიანობითა და სიკეთით“ ანუ, სხვაგვარად „Jure humano“ – „ადამიანური (ბუნებითი) სამართლით“, სინდისის კარნახით!..

ამ „გორდიას კვანძს“, ვფიქრობ, რამდენადმე მაინც „გახსნის“ (გაანეიტრალებს!) ქვემოთ მოხმობილი ერთი შესანიშნავი ისტორიული მაგალითი, რომლის ცენტრალური „მოქმედი ფაქტორი“ გახლავთ ადამიანის საზოგადოდ მეტისმეტად წინააღმდეგობრივ, ზოგჯერ კი ერთობ „შავბნელ“ წიაღში, მისდა საბედნიეროდ, ღრმად ჩამჯდარი მკაცრი, მაგრამ კეთილი და სამართლიანი მსაჯული – სინდისი!

## საით უბიძგა სინდისმა ნაფიც მსაჯულებს (ისტორიის ფრაგმენტი)

... 1913 წლის შემოდგომაზე, კიევში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, მეტად ფართოდ აფიჭირებულ ვითარებაში განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს მენდელ ბეილისის მიმართ. აფიჭაეთის მიზეზი და მასშტაბები გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ებრაელ მ. ბეილისს ბრალი ედებოდა რუსი ბიჭუნას რიტუალურ მკვლელობაში. მაგრამ საზოგადოებამ მალე გაიგო, რომ ბეილისი ზვარაკად მისატანი უღანაშუალო კაცი იყო, ხოლო ნამდვილ მკვლევებს მეანნი ფარავდნენ! ამიტომ, განსასჯელის დასაცავად გაიმართა საპროტესტო გაფიცვები, გამოვიდნენ როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის გამოჩენილი მოღვაწეები – კოროლენკო, გორკი, ბლოკი, ვერნადსკი, ფრანსი... აქტიურობდა მეორე მხარეც: სასამართლო პროცესის წინ შერაზმელთა გაზეთ „რუსსკოე ზნამოში“ დაიბეჭდა ამზრუნენი ანტისემიტური მოწოდება... ნაფიც მსაჯულთა ყიურის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ უკიდურესი რეაქციონერებიც... და, მიუხედავად ამისა, ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს განსასჯელი!!! შემდგომში, როცა ერთ-ერთ მსაჯულს კორესპონდენტმა ჰკითხა, თუ რამ უბიძგა ნაფიც მსაჯულთ განსასჯელის გამართლებისკენ, პასუხი კლასიკურად მოკლე იყო: „სინდისმა!“ [295, გვ. 243].

4.1.3. სასამართლო სისტემების ძირითად კრიტიკერიუმთა საფუძველზე კლასიფიკაციების მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ წარმოადგენს რომელიმე ტიპის (სახის) სასამართლოს, ანდა სასამართლო სტრუქტურას – ორგანიზაციულად, როგორც ზემოთ გაკერით უკვე აღინიშნა, იგი არის საქმეთა განხილვის ანუ მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი კოლეგიური, სპეციფიკური ფორმა (!). ეს იმიტომ, რომ მისი არსი, როგორც წესი, მდგომარეობს რომელიმე ტიპის (სახის) სასამართლოს ან სასამართლო სტრუქტურის (როცა ერთ სასამართლოში დისლოცირებულია ერთზე მეტი ინსტანციის სასამართლო – შესაბამისი სტრუქტურული

ერთეულების სახით\*) მოსამართლის მიერ, კანონით დადგენილი განსჯადობის მიხედვით, საქმეთა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (!) განხილვაში. ამ შემთხვევაში, პროფესიონალური სასამართლო თუ მისი სტრუქტურა სტაციონარულია, მუდმივმოქმედი, ხოლო ნაფიცი მსაჯულები მოიწვევიან და შეირჩევიან საჭიროებისამებრ (!), ამასთან, მეტწილად მხოლოდ „ერთჯერადად“ – ერთი კონკრეტული საქმის, ან კიდევ დროის წინასწარ განსაზღვრულ (საკმაოდ მცირე) მონაკვეთში საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მისაღებად (ანუ დროებით, პერიოდულად, საერთო წესით). რუსეთისა და რიგი სხვა ქვეყნების კანონმდებლობები სწორედ ამიტომ უწოდებს ამგვარ პროცედურას „საქმეთა განხილვას ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით“. აქედან აშკარაა, რომ მთელს მსოფლიოში მიღებული, სამართლებრივ მიმოქცევაში ყოველდღიურად გამოყენებადი ცნება-ტერმინი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, სასამართლოთა თეორიულ-კონცეპტუალური, სისტემურ-სტრუქტურული მოწყობის პრინციპთა თუ კონცეფციათა „მკაცრი“ თვალსაზრისით, როგორც უკვე აღინიშნა, ერთობ პირობითია.

4.1.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც შეუცბრებით პროცესის უკიდურეს სახეს (გამოვლინებას, ფორმას, ვარიანტს...) და, ამდენადაც, ყველაზე ნელ, „მძიმედ მოძრავ“, ამასთან, ყველაზე ძვირადღირებულ სასამართლო ფორმას, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტწილ ქვეყნებში კანონმდებლობით იმთავითვე ფრიად შეზღუდული განსჯადობა აქვთ მიკუთვნებული, ამასთან, აშკარაა მათი პერმანენტული შემცირების ტენდენციაც. კანონი, პრეცედენტები თუ სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკა, გარდა ამისა, მართლმსაჯულების გამარტივება-დაჩქარება-გაიაფების მიზნით, უთვალავ სხვა საგამონაკლისო-სპეციალურ „ხერხს“ იყენებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველ საქმეთა ნუსხიდან თუ სიიდან საქმეთა რაც შეიძლება. მეტი რაოდენობის ამოსაღებად. ამის შედეგია ის, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა

\* ეთქვათ, როცა მეორე რგოლის (მაგალითად, საოლქო) სასამართლოში არსებული ერთი სტრუქტურა (კოლეგია) საქმეებს იხილავს პირველი ინსტანციით, მეორე (ეთქვათ, მაღალა) – აქელაციით.

ძალზე ფართოა, ეს სასამართლო რეალურად განიხილავს მხოლოდ ამგვარ საქმეთა მცირე ნაწილს, სხვებში კი — მეტად მცირე, ანდა სულაც მიზეზულ-სიმბოლურ ნაწილს — განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის სფეროში. მით უმეტეს, სრულიად უმნიშვნელოა მათი რაოდენობა. და ზვედრითი წილი იმ ქვეყნებში, სადაც თვით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობაა კანონით ერთობ ლოკალიზებული, ანდა სულაც სიმბოლურია — ისევე, როგორც თვითონ ეს სასამართლო ინსტიტუტი. პირველის კლასიკური მაგალითია აშშ, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ფაქტობრივად იხილავენ პოტენციურად მათ განსჯად სისხლის სამართლის საქმეთა საშუალოდ 5%-ს (იგულისხმება სასამართლოში შესული საქმეები და არა უკვე სასამართლომდე „განთესილი“, რაც აქ ჩვეულებრივი მოვლენაა). ცხადია, ეს მონაცემები სხვადასხვაა (მერყეობს 1-დან 15 პროცენტამდე) არა მარტო შტატების მიხედვით, არამედ თვით შტატებში შემავალ სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში და თვით ერთი ქალაქის სხვადასხვა რაიონშიც კი!.. (ასე, მაგალითად, ჩიკაგოში ეს მონაცემი შეადგენს 2 პროცენტს, ნიუ-იორკის ცენტრალურ რაიონში — მანჰეტენში — 3-ს, დალასში — 5-ს, სიეტლში — 15-ს).

ასეთ ვითარებაში, გასაგები ხდება შემდეგი საინტერესო მონაცემი: აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილული ზემოხსენებული 5% წარმოადგენდა მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იმჟამად სულ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა 80%-ს!... [161, გვ. 268-269]. აქვე შევნიშნავ, რომ ამ მონაცემის გამოქვეყნების შემდგომ წლებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებას რუსეთსა და ესპანეთში, ამ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეთა რაოდენობის სიმცირის გათვალისწინებით, ზემოხსენებული მონაცემი (თანაფარდობა) მნიშვნელოვნად არ შეუცვლიათ!..

ამგვარად, მხოლოდ რაოდენობრივი მხარის ანალიზი, ზემოთ ნახსენები ტენდენციის (უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ) შუქზე, გვიბიძგებს იმ დასკვნისკენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

როლი მსოფლიოში მართლმსაჯულების განხორციელებაში რაოდენობრივი (ხვედრითი წილის) თვალსაზრისით, საკმაოდ მოკრძალებულია. მაგრამ აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ: ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები, როგორც წესი, განიხილავენ ყველაზე სერიოზულ, აქტუალურ თუ სხვაგვარად მნიშვნელოვან დანაშაულთა თუ სამოქალაქო დავების საქმეებს, ამიტომ აქ მართო რაოდენობრივი კრიტერიუმით ოპერირება მცდარი იქნება; ბ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს, პროფესიონალებთან თუ ე.წ. შერეულ კოლეგიებთან შედარებით, გაცილებით უფრო ხშირად გამოაქვთ გამამართლებელი გადაწყვეტილებები (ვერდიქტები). ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ინგლისში) და ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებზე, მათი ხვედრითი წილი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სულ განხილულ საქმეებში 40-50%-საც კი აღწევდა!.. აშშ-ში ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 27%-ს უდრის, ამასთან, არცთუ ახალი მონაცემებით, უმცირესი მაჩვენებელი – 12% დაფიქსირდა ტენასის შტატის ქ. დალასში, უმაღლესი – 58% – შტატ როდ აილენდში [161, გვ. 277]. სასამართლოს დემოკრატიულობის ამ მაჩვენებელს, ზემოთ მითითებულ გარემოებასთან („ხარისხობრივ მაჩვენებელთან“) ერთად, საკმაოდ მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როლისა და ადგილის შეფასებაში – ეს ინსტიტუტი, საბოლოო ანგარიშით, „ისტორიული დამსახურებისა“ თუ „მართლმსაჯულებს იდეალების“ გათვალისწინებით, დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვან, სპეციფიკურ როლს ასრულებს და სათანადო ადგილიც უჭირავს თანამედროვე სასამართლო სისტემებში. ბოლო ათწლეულებში რიგ ქვეყნებში მისი ხელახლა აღორძინება თუ სიახლის სახით დაფუძნება კი იქნებ სულაც ამ ინსტიტუტისთვის „ახალი სუნთქვის გახსნას“ მოასწავებდეს!..

\* უფრო ზუსტად, იმ 25-მდე ქვეყანაში, სადაც ეს ინსტიტუტი სადღესოდ არსებობს.

\*\* ეს გარემოება ზოგჯერ პოლიტიკური მიდგომის შედეგი უფრო იყოვიდრე სამართლებრივისა, არაიშვიათად სკოდაედა ამგვარ ვერდიქტთა სისწრაფეც, მაგრამ, მთლიანობაში, გარკვეული დათქმებით, ეს მაჩვენებლები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დემოკრატიულობის ინდიკატორად მიიჩნევა.

## 4.2. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში

4.2.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან განსხვავებით, მაგისტრატი თუ მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებიც, როგორც წესი (ან მეტწილად), ერთპიროვნულად, შეჯამებითი (შეკვეცილ-მინიმიზებული) ანუ გამარტივებული წესით განიხილავენ მცირეზნიშვნელოვან ან შედარებით მნიშვნელოვან (ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ვნახეთ, უფრო მნიშვნელოვან, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯად) სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, არაიშვიათად ქმნიან ცალკე სასამართლო რგოლს – ზოგჯერ სასამართლო სისტემის ქვესისტემას (მაგ., რუსეთში, სადაც იგი ცალკე, დამოუკიდებელი რგოლია და არაიშვიათად იწოდება „მომრიგებელ იუსტიციად“). ეს რგოლი, როგორც წესი, უდაბლესია საზოგადოდაც და, ცხადია, პირველი ინსტანციის სასამართლოთა სისტემაშიც.

4.2.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან განსხვავებით, ეს რგოლი მეტწილად საქმიანობს მუდმივმოქმედი სასამართლოს სახით, ანაზღაურებადი, პროფესიონალი მოსამართლეების მეშვეობით, თუმცა, მრავალ ქვეყანაში, მომრიგებელ თუ მაგისტრატ მოსამართლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არაპროფესიონალია და, როგორც უკვე ითქვა, ფუნქციონირებს ანაზღაურების გარეშე – ე.წ. „საზოგადოებრივ საწყისებზე“. მაგისტრატ თუ მომრიგებელ მოსამართლეთა მრავალრიცხოვანი კორპუსის ამ ნაწილზე, გარკვეული დათქმებით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე, როგორც ნაფიცი მსაჯულები, განასახიერებენ ხალხის უშუალო მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. ამასთან, აღიარებულია, რომ ეს სისტემა, მთლიანობაშიც, ყველაზე ახლოს დგას ხალხთან – ქვეყნის მოსახლეობასთან, სხვა სასამართლოებზე უკეთ შეესაბამება (უპასუხებს) მართლმსაჯულების მისაწვდომობის (!) საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს.



4.2.3. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს გამარტივებული და, ამდენად, სწრაფი მართლმსაჯულების უპირატესობებს – შესაბამისი სასამართლოები იმ ქვეყანათა უმრავლესობაში, სადაც ისინი ფუნქციონირებენ, ოპერატიულად განიხილავენ საქმეთა ძირითად (უძველეს) მასას, საპროცესო იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ. ამით ისინი წარმატებით ახორციელებენ სამართალწარმოების (მართლმსაჯულების) დაჩქარებას და ზემდგომი, უფრო რთული და ძვირადღირებული (მომრიგებელი იუსტიცია ყველაზე იაფი იუსტიციაა!), წმინდა პროფესიონალური, შერეული კოლეგიებისა თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განტვირთვას საქმეთა დიდი მასებისაგან. ეს კი მთლიანობაშიც აჩქარებს მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც (ანუ „სწრაფი მართლმსაჯულება“) ასევე პრაქტიკით ნაკარნახევი, სადღეისოდ უკვე საკმაოდ ფართოდ აღიარებული პოზიტიურ-პროგრესული პრინციპია, მართლმსაჯულების სისტემაში გონივრული, პრაგმატული (მიზანშეწონილობის კუთხით) მიდგომის გამოვლინებაა.

4.2.4. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა ნაწილის დაბალი კვალიფიკაციის, მათზე შესაძლო „ადგილობრივი“ ზეგავლენის და, განსაკუთრებით, საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის შედეგად მოსალოდნელი დარღვევებისა თუ შეცდომა-ხარვეზების გამოსწორების მიზნით, როგორც წესი, ქვეყნებში არსებობს მათი გადაწყვეტილებების (აქტების) გასაჩივრების (მეტწილად – „კლასიკური“ ან რამდენადმე შეზღუდული აპელირების) სისტემა. ამასთან, სხვა ღონის (რანგის) სასამართლოთა გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, მაგისტრატ თუ მომრიგებელ მოსამართლეთა გადაწყვეტილებების (აქტების) გასაჩივრება-გადასინჯვის სისტემა, ჯერ ერთი, უფრო მარტივია, მეორეც, როგორც წესი, ეს სისტემა არ მოიცავს ქვეყნის უმაღლეს სასამართლო რგოლს – გადასინჯვის პროცედურები მთავრდება უფრო დაბალი რგოლის სასამართლოებში (მეორე ინსტანციის დონეზე).

ჩვენში არაერთგზის, ამასთან, მეტწილად პესიმიზმურ ნოტაზე გაეღერებულ „საკრალურ“ კითხვაზე — „ვამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში?“ — ოპტიმისტური ანუ დადებითი პასუხის გაცემა, უწინარესად და უმთავრესად, დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ქვეყანაში:

— პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა ჯეროვანი კორაქსის ფორმირებას — ე.წ. თავდაპირველი (პირველადი) სიების ოპტიმალური კრიტერიუმებით და ორგანიზაციულად სწორად შედგენას და მათ პატიოსნად, ობიექტურად „გაფილტვრას“ სათანადო საბოლოო „საერთო სიების“ შედგენის მიზნით;

— კონკრეტული სასამართლოების მიხედვით, კონკრეტული საქმის განსახილველად გამოსაძახებულ კანდიდატთა კონტინგენტის შემთხვევითობის პრინციპით, კეთილსინდისიერად ამორჩევასა და, რაც მთავარია, მოუკერძოებელ (დაუინტერესებელ, განსახილველი საქმის გარემოებებზე არაინფორმირებულ...) ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობების („ფიურის“) ფორმირებას, უწინარესად კი მოტივირებული და არამოტივირებული აცილებების სათანადო პროცედურების შეუვალი სისტემის (ქმედითი მექანიზმების) შექმნასა და მათი შეუფერხებლად, რეალურად ფუნქციონირების უზრუნველყოფას;

— ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობების წვერთა ნორმალურად უზრუნველყოფას ანაზღაურებით, მიმოსვლა-განთავსებით, საშუალო პირობებით (სხლო-მათა დარბაზებში თუ სათათბირო ოთახებში), საცნობარო-საგანმანათლებლო მასალებითა და კვალიფიციური კონსულტაციებით. ამასთან, რაც არანაკლებ მთავარია, მათი ნეიტრალიტეტისა თუ უსაფრთხოების (პირადი, ოჯახის, ქონების...) მაქსიმალურად დაცვას როგორც „შინაურთა“ (სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლე — სხლომის თავმჯდომარე, სასამართლოს მოხელეები), ისე გარეშე სუბიექტების (პოლიცია-პროკურატურა, სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოები თუ სტრუქტურები, პოლიტიკური ძალები, კლანური, ორგანიზებული თუ „ჩვეულებრივი“ კრიმინალიტეტი, განსასჯელი და მისი „გულშემატკივრები“ და ა.შ.) მხრივ რაიმე — პირდაპირი თუ არაპირდაპირი — ხელყოფისა თუ სხვაგვარი ზემოქმედებისაგან (ჩაგონება, გადაბირება, დაყოლიება, მოსყიდვა, შექარა, შანტაჟი, სხვაგვარი იბულება). ცხადია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გონივრულად მოწყობილი, „ღრმად ეშვლონირებული“ სისტემის (მექანიზმთა კომპლექსის) შექმნისა და მისი ეფექტიანად, სტაბილურად ფუნქციონირებისათვის სახელმწიფოებრივი ნებისა და საშუალებების უშურველად გაღების გზით!!

სხვაგვარად — ამ „სამერთიანი“ უძნელესი ამოცანების დემოკრატიულად, ცივილიზებულად გადაწყვეტის გარეშე — ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სწრაფი დისკრედიტაცია და სრული კრაზი, სამწუხაროდ, გარდაუვალია!!!

# **ნაწილი მეორე**

**ნაზიც მსაჯულთა სსსამართლო**

# თავი I. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა, ინსტიტუციონირება და ბავრცელება

## 1. ვერსიები წარმოშობის თაობაზე. ნორმანდიულ-ინგლისური ვერსიის პრიმატულობა (მოკლე ისტორიული ექსკურსი)

1.1. ძველათენური პეილაგია — ნაფიც მსაჯულთა  
სასამართლოს დიდებული „შორეული წინაპარი“?  
/პრეისტორიის ფრაგმენტები/

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ისტორიის გულდინჯი მკვლევარი /ამ მიზანს, ცხადია, ეს ნაშრომი არ ისახავს/ ისტორიის ანალებში უთუოდ მრავალგზის წააწყდება ერთობ პრიმიტიულ, შედარებით ცივილიზებულ თუ უფრო სრულყოფილ ფენომენებს (ფორმებს), რომლებიც მეტ-ნაკლებად ხელშესახებად ჩამოჰგავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნიკალურ ინსტიტუტს — გვარტომობრივი „სახალხო სამსჯავროებიდან“ დაწყებული და ძველ საბერძნეთში თუ რომში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე არსებული საინტერესო კოლგეიური სასამართლო წარმონაქმნებით დამთავრებული!.. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ, ეთქვას, ძველბერძნული „თერთმეტის კოლეგია“ თუ ნაფიც მსაჯულთა წინასწარ შედგენილი სიების საფუძველზე რომში მოქმედი მუდმივი კომისიები — კვესტიები [137, გვ. 6-9]. მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჭეშმარიტ, უძველეს და ერთობ „მორჭმულ“ წინაპრად სამართლიანად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ პეილაგიას — პეილაგისტთა სასამართლოს [იქვე, გვ. 6-7], რომელმაც, მიუხედავად ცალკეული მიუტყვებელი, ტრაგიკული ისტორიული შეცდომების დაშვებისა (საკმარისია აღინიშნოს კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნის — სოკრატეს უსამართლოდ მსჯავრდება — ცრუ დამსმენთა უსაფუძველო ბრალდების საფუძველზე მისი სიკვდილით დასჯის ცნობილი განაჩენის დადგენა!..), პეილაგია იყო და რჩება საოცარ, გრანდიოზულ ფენომენად მართლმსაჯულების ისტორიაში!..

⊗ ჰეილეთა, არისტოტელეს ცნობით, სულ შედგებოდა ზალხის მიერ არჩეული 1.500 მოსამართლისაგან, რომელთაგან, ჩვეულებრივ, საქმეებს 501 კაცი იხილავდა. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს იხილავდა ათასკაციანი (ანუ „ორმაგი“) შემადგენლობა, განსაკუთრებული, საგანგებო მნიშვნელობის საქმეებს კი — სრული (ანუ „სამმაგი“) შემადგენლობა. გადაწყვეტილება მიიღებოდა ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსაკუთრებული გამართლებულად ითვლებოდა [342, გვ. 40-41]. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში აზუსტებენ, რომ ჰეილეთა იყო სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ორგანო და შედგებოდა 5.000 ძირითადი და 1.000 სათადარიგო მოსამართლისაგან, რომელთაც ირჩევდა ზალხი 30 წელს მიღწეულ პირთაგან, ერთი წლის ვადით, კენჭისყრით — 600 კაცს ყოველი ფილიდან (ტერიტორიული ერთეულიდან; სულ ათენში იყო 10 ფილი). ჰეილეთაში ფუნქციონირებდა 10 კოლეგია — 500 ძირითადი და 100 სათადარიგო „სახალხო მოსამართლის“ შემადგენლობით. ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მათთვის ცნობილი არ იყო, თუ როდის გამოიძახებდნენ მოვალეობათა შესასრულებლად — ეს წყდებოდა კენჭისყრით, საქმის განხილვის დღეს [186, გვ. 114].

სასამართლოში წარმოდგენილი იყვნენ მხარეები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ საპროცესო ინტერესებს ნეიტრალური „სახალხო მოსამართლეების“ წინაშე.

## 1.2. თანამედროვე ვერსიები (მოკლე ანალიზი)

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნიკალურია არა მარტო ინსტიტუციურად, არამედ მისი წარმოშობა-განვითარების პერიპეტიების უცნაურად წინააღმდეგობრივი, მეტისმეტად ზიგზაგობრივი ხასიათის გამოც. ამითაც უნდა აიხსნას ის „უხერხული“ გარემოება, რომ „სულ რაღაც“ ათიოდე საუკუნის ან ნაკლების წინ „დაბადებული“ ამ ინსტიტუტის წარმოშობის თაობაზე მეტ-ნაკლებად მაინც ერთიანი შეხედულება დღემდე არ არსებობს. კერძოდ:

ცნობილი მკვლევარები — სახელგანთქმულ ბრიტანულ ენციკლოპედიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ სტატიის ავ-

ტორები გ. კალვინი და გ. ცეისელი მიიჩნევენ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, ინგლისური ცხოვრების წესის გავლენით, ფაქტობრივად ფორმირება დაიწყო ჯერ კიდევ ალფრედ დიდის დროს — მე-9 საუკუნეში [იხ. 161, გვ. 77]. მაგრამ საქმე ისაა, რომ ისტორიული წყაროების მკვლევართა უმრავლესობა ალფრედ დიდის მეფობის (871-900 წწ.) დროინდელ ინგლისში, რომლის სამართალსაც ამ პერიოდისთვის არსებითად მხოლოდ ანგლოსაქსური პატრიარქალური ტომებისა და მათი გაერთიანებების ადგილობრივი ჩვეულებები წარმოადგენდა [279, გვ. 60], აღნიშნული ვერსიის დამადასტურებელ სარწმუნო წყაროებს ვერ პოულობს. ამიტომ, ინგლისურენოვან ლიტერატურაში უპირატესად გავრცელებულია ვერსია, რომ ეს ინსტიტუტი უფრო გვიანდელია — იგი ან ინგლისშივე ჩაისახა მე-11 საუკუნეში, ან კიდევ შეტანილ იქნა ნორმანდიელთა მიერ ინგლისის დაპყრობის შედეგად — 1066 წელს [161, გვ. 77]. ამასთან დაკავშირებით ს. ბოსტოკი და ჩ. თომასი წერენ, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავდაპირველი კონცეფცია ინგლისში შემოტანილ იქნა 1066 წელს, ნორმანდიელთა მიერ დაპყრობის შემდეგ“ [68, გვ. 19]. ინგლისური სასამართლოების თაობაზე ცნობილი ნაშრომების რუსი ავტორი ტ.ვ. აპაროვა იზიარებს ამ ინსტიტუტის კონტინენტიდან შემოტანის ვერსიას [124, გვ. 51]. უ. ბერნეზი აკონკრეტებს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გაჩნდა საფრანგეთში, 829 წელს, ლუდოვიკო ღვთისმოსავის მეფობის დროს, ხოლო 1066 წელს, ნორმანთა მიერ, ვილჰელმ პირველის მეთაურობით, ინგლისის დაპყრობის შემდეგ, იგი გადატანილ იქნა ინგლისში [134, გვ. 6]. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები პირველად IX საუკუნეში საფრანგეთში დამკვიდრდა“ [61, გვ. 148].

ამ ვერსიებთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია აღინიშნოს შემდეგი:

ა) „ფრანგული ვერსიის“ სასარგებლოდ, როგორც აღინიშნა, სარწმუნო ისტორიული წყაროები არ შემონახულა (არ არსებობს), ხოლო ლოგიკა ამ ვერსიის არსებობას უარყოფს თუნდაც იმ „ჯიუტ“ ფაქტზე დაყრდნობით, რომ საფრანგეთში (უფრო მეტიც, მთლიანად კონტინენტზე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, უკვე ჩამოყალიბე-

ბული ინგლისური ინსტიტუტის გადაღებამდე, ანუ მე-18 საუკუნემდე, არასოდეს არსებულა;

ბ) ასევე, ფაქტობრივად გულგებაზება აგებული ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „საკუთრივ ინგლისში“, ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში წარმოშობის (ჩასახვის) ვერსია;

გ) ნორმანდიელთა (ნორმანდთა) მიერ ინგლისის დაპყრობასთან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაკავშირებაც ერთობ ბუნდოვანი, ისტორიულად მეტად რთული და ჩახლართული ვერსიაა. ამიტომ აქ აუცილებლად მიმაჩნია შესაბამისი ისტორიული ფონის ძირითადი კონტურების ჩვენთვის საინტერესო რაკურსით, კომპაქტურად მაინც წარმოჩენა-გაანალიზება (იხ. ჩანართი №3).

დ) აქვე კონსტატირების წესით შევნიშნავ, რომ ამ ვერსიების ავტორთა მიერ ფაქტობრივად იგნორირებულ იქნა ზემოთ მოკლედ მიმოხილული პრეისტორია, მათ შორის ძველათენური გამოცდილება — ჰეილიგია, რომელიც, თავისი ინსტიტუციური პარამეტრებით, ვფიქრობ, გაცილებით უფრო ჩამოჰგავდა კლასიკურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ვიდრე მე-11 და შემდგომ უახლოეს ორ საუკუნეში ინგლისში არსებული სასამართლო სტრუქტურა, რომელიც დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახოვან (პირველყოფილ) ფორმადაა მიჩნეული.

როგორი იყო ეს ჩანასახი (პირველადი ფორმა), რა ისტორიულ ფონზე წარმოიქმნა და „გამყარდა“ იგი, როგორი იყო მისი ინსტიტუციონირების (გენეზისის) ეტაპები, მახასიათებლები და ძირითადი ფაქტორები?

ჩანართი №3

### **ისტორიული ფონი რამდენიმე შტრიხით**

*თანამედროვე ინგლისის ტერიტორიაზე მცხოვრებ მკვიდრ (აბორიგენ) მოსახლეობას — კელტებს V-VI საუკუნეებში საბედისწერო უპი დაუღდათ — ისინი ამოწყვეტეს, ლეტებად (ანუ ნახევრად თავისუფალ ადამიანებად) აქციეს ან ვაძივეს (უელსში, კორნოულში, მოტლანდლასა და საფრანგეთის ნაწილში — ბრეტონში) ჩრდილოეთ*

გერმანიაში მცხოვრებმა ტომებმა – ანგლებმა, საქსებმა, იუტებმა და ფრიზებმა, რომელთაც საერთო სახელად ანგლოსაქსებს უწოდებდნენ. ძრიტანეთის კუნძულების დაპყრობის შედეგად შეიქმნა 7 სამეფო, რომლებიც, მე-9 საუკუნის დამდეგს, უესსექსის ჰეგემონიით, ერთ – ინგლისის სამეფოდ გაერთიანდნენ.

პარალელურად, გაძლიერება იწყეს ნორმანებმა – სკანდინავიის ხალხებმა, რომლებიც თავიანთ თავს ვიკინგებს უწოდებდნენ (რუსეთში მათ იცნობდნენ ვარიანგების სახელით). ნორმანდია ისტორიულად წარმოადგენდა ოლქს ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, ლამანშის სრუტის სანაპიროზე (უბთავრესად, მდინარე ქვემო სენის აუზში). ნორმანებმა მე-10 საუკუნეში ეს ოლქი დაიპყრეს და დააარსეს ნორმანდიის საჰერცოგო, რომელსაც მომდევნო საუკუნეში მოუმატეს მენის სავრაფო და ანუეის სავრაფოს ნაწილი. გაძლიერებულმა ნორმანებმა 1066 წელს, პერცოვ ვილჰელმ მეორის მეთაურობით, როგორც აღინიშნა, დაიპყრეს ინგლისის სამეფო, რის შემდეგაც ნორმანდია გახდა ინგლის-ნორმანდიის სახელმწიფოს ნაწილი. ბარებ აქვე დავებენ, რომ, 1202-1204 წლებში, საფრანგეთის მეფე ფილიპე II ოგიუსტმა ნორმანდია წაართვა ინგლისს და იგი გახდა პროვინცია, ხოლო 1790 წელს, საფრანგეთის დეპარტამენტად დაყოფის შემდეგ, ნორმანდიის პროვინციამ არსებობა შეწყვიტა...

...ჯერ კიდევ ინგლისის დაპყრობამდე, ნორმანდიის ზემოხსენებულმა პერცოვმა ვილჰელმ მეორემ თავი ანგლოსაქსების მეფის – ედუარდ აღმსარებლის მეძველდრედ გამოაცხადა, ხოლო ნორმანდიელ, ფრანგ და იტალიელ ფეოდალთა გაერთიანებული ლაშქრით ანგლოსაქსონთა მეფე ჰაროლდის დამარცხების შემდეგ, როგორც ინგლისის მეფე (უილიამ I დამპყრობლის სახელით), საკმაოდ მასშტაბური, რადიკალური მეთოდებით (წარჩინებულთა მიწების კონფისკაცია, ფეოდალების პირად ვასალებად – გადასახადის გადამხდელეებად გადაქცევა, მიწების საკადასტრო აღწერა ე.წ. „საშინელი სამსჯავროს წიგნში“ და ა.შ.) მართავდა ინგლისს [იხ. ქსე, ტ. 7, გვ. 478; ტ. 10, გვ. 116].



### 1.3. ჩასახვა (ნორმანდიულ-ინგლისური ვერსია)

ნორმანთა ცენტრალიზებულ მმართველობაში მართლმსაჯულე-ბას ახორციელებდნენ მეფის სასამართლო ორგანოები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ერთიან საერთო სამართალს, იუსტიციის მეტად ცენტრალიზებულ, მყარ სისტემას. ამასთან, ნორმანები წა-ვიდნენ არა მკვიდრი მოსახლეობის (ანუ ანგლოსაქსური) სამართლის ამოძირკვის გზით, არამედ, პირიქით, შეინარჩუნეს და გამოიყენეს ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მისაღები თუ „მოსათმენი“ ნორმები – არქაულიც კი. პარალელურად, თანდათან ძალას იკრებდა საერთო სამართალი, რომლის სისტემა იმდენად ფუნდამენტური, შე-მაკავშირებელი ძალის მქონე გამოდგა, რომ იმთავითვე განსაზღვრა ინგლისური სამართლის განვითარების გზა შემდგომ საუკუნეთა მანძილზე – დღემდე!.. ამგვარი მიდგომის შედეგად, ისტორიულად საოცრად მცირე დროში მოხდა არა მარტო ნორმანთა და ანგლო-საქსთა სამართლებრივი სისტემების, არამედ თვით დამპყრობელი და დაპყრობილი ხალხების ორგანული შერწყმაც.

მეფის მოსამართლენი, მეფის ორდონანსების მითითებისამებრ, რეგულარულად – წელიწადში 3-4-ჯერ მაინც – დადიოდნენ სამე-ფოს ყველა კუთხეში (საგრაფოებში) და ახორციელებდნენ მართლმ-საჯულეობას, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზეც. ისინი ჯერ მეფის კურიის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ, მე-13 საუკუნეში კი ცალკე სასამართლოდ – სამეფო სკამის სასამართლოდ (რუსული ტრანსკრიფციით: суд королевской скамьи) გამოიყო (შევნიშნავ, რომ 1873 წლიდან იგი წარმოადგენს იუსტიციის მაღალი სასამართ-ლოს განყოფილებას) [187, გვ. 248-249]). ამავე საუკუნის მე-2 ნახ-ევარში შეიქმნა აგრეთვე ასიზების სასამართლო (ამ სახელწოდების სასამართლო საფრანგეთში დღემდე არსებობს) – სპეციალურად მიწასთან დაკავშირებული დავების განსახილველად [187, გვ. 251]. მოსამართლეებს, რომლებიც ამგვარად დადიოდნენ (მიმოდოდნენ) სამეფოს კუთხეებში, მიმომსვლელ მოსამართლეებს უწოდებდნენ. ისინი საქმეთა განხილვას ახორციელებდნენ ადგილზევე, ამასთან, განსაკუთრებით პირველ ხანებში, მთლიანად ან ძირითადად ეყრდნო-

ბოდნენ ადგილობრივი (ზოგჯერ არქაული) ჩვეულებითი სამართლის ნორმებს. ნორმანი მოსამართლეებისათვის, ცხადია ადვილი ვერ იქნებოდა ამ ნორმებში სახელდახელოდ, ჯეროვნად გარკვევა. ეს, რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს. მაგრამ, ამასთან, ნათელია, რომ არც ფაქტობრივი მხარის ელემენტების სათანადოდ გარკვევა იყო უფრო ადვილი საქმე. ამიტომ, ბუნებრივია, გამოსავლის ძიებამ ნორმანი მოსამართლეები ლოგიკურად მიიყვანა ორივე სფეროში ადგილობრივი მცოდნე პირების დახმარების გამოყენების აუცილებლობამდე. 1116 წელს მეფე ჰენრიხ მეორემ გამოსცა ორდონანსი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ყოველი დასახლებული პუნქტიდან, მოსამართლეების დასახმარებლად, უნდა შეერჩიათ სათანადო პირები – 12-12 კაცი მსხვილი დასახლებული პუნქტებიდან და 4-4 – მცირე (წვრილი) დასახლებებიდან (სოფლებიდან). ამგვარი პირებისაგან შემდგარმა ჯგუფებმა – თავისებურმა კოლეგიებმა – მიიღეს ჟიურის (jury) სახეწოდება. ჟიურის წევრთა მოვალეობა იყო ფიცკვეშ (მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ რიტუალურ-პროცედურული გარემოებიდან – ჟიურის წევრთა მოსამართლის წინაშე დაფიცებიდან – ლათ. jurare – მომდინარეობს სახელწოდება „ნაფიცი“) შეეტყობინებინათ (!) მეფის მოსამართლეებისთვის შესაბამის დასახლებულ პუნქტში მომხდარი ყველაზე სერიოზული დანაშაულებისა და „ნებისმიერი პირების შესახებ, რომელთაც ბრალი ედებოდათ ან ამჟამად იყვნენ ეჭვიმიტანილნი ძარცვაში“, წინასწარგანზრახულ მკვლელობაში ან ქურდობაში“. ამ ეტაპზე, მოსამართლეთათვის შეტყობინების მოვალეობის შესრულებისას, ჩანს მხოლოდ „ნაფიცი მოწმე“, რომელიც გადადის (თანდათან ეს ტენდენცია გაძლიერდა) „ნაფიც ბრალმდებელში“. ამდენად, ამ ეტაპზე ეს „ნაფიცი მოწმე-ბრალმდებლები“ სულაც არ ყოფილან „ფაქტის მოსამართლენი“ ანუ ნაფიცი მსაჯულები დღევანდელი გაგებით. ისინი, ამ პერიოდშიც და ცოტა გვიანდელ ეპოქებშიც, ძირითადად ასრულებდნენ, ერთი მხრივ, ფაქტების წინასწარ დამდგენი პირის (ანუ, სისხლის სამართლის საქმეებზე, დანაშაულის

\* ძარცვის ცნების ქვეშ, როგორც ჩანს, ტრადიციულად იგულისხმებოდა სხვადასხვა ძალადობითი დანაშაულები – როგორც საკუთრივ ძარცვა (დღევანდელი გაგებით), ისე გამოძალა, ყაჩაღობა, ბანდიტიზმი და მისთ.

წინასწარი გამოკვლევის — მოკვლევა-გამოძიების) ფუნქციას, მეორე მხრივ კი, ამ ფაქტებისა და მათ მიერ გამოკვლეულ-დადგენილი გარემოებების შესახებ ფიცქვეშ აცნობებდნენ (ჩვენებას აძლევდნენ) მეფის მოსამართლეებს. შემდეგ განხილვა გრძელდებოდა შუა საუკუნეების ინკვიზიციურ-სამძებრო პროცესის წესების შესაბამისად — ნაფიცთა მიერ მხილებულ პირებს უწყობდნენ ორდალიებს იმდროინდელი წეს-ჩვეულებების შესაბამისად. ისტორიული წყაროები ამას საკმაოდ ცალსახად ადასტურებენ. ამიტომ, ვფიქრობ, მცდარია ტ.ვ. აპაროვას მტკიცება, რომ, თითქოს XI საუკუნეში ეს ინსტიტუტი ინგლისში გამოჩნდა „როგორც ახალი, ორდალიებისა და სასამართლო შერკინებათა („დუელთა“) შემცველი მტკიცების საშუალება მიწის შესახებ დავებში და დანაშაულის ჩამდენ პირთა დადგენისას“ [124, გვ. 51]. ნიშანდობლივია ისიც, რომ, საბოლოოდ, პირის დამნაშავედ მიჩნევის და სასჯელის დანიშვნის საკითხებს წყვეტდა თვითონ მოსამართლე — ჟიურის წევრთა გარეშე. სასჯელად, სიკვდილით დასჯის გარდა, ალტერნატივად იყენებდნენ, მაგალითად, ცალი ფეხის მოკვეთას. დაწესებული იყო მსჯავრდებულის პირუტყვის და სხვა ქონების მეფის სასარგებლოდ კონფისკაცია. ცუდი რეპუტაციის მქონე პირის მიმართ, მისი გამართლების მოუხედავად, იყენებდნენ პრევენციულ ღონისძიებას — ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაძევებას [161, გვ. 78].

თქმულიდან აშკარაა, რომ ზემოთ აღწერილი წარმონაქმნი სულაც არ არის „სასამართლო, რომელიც ზოგად ხაზებში ჰგავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“ — როგორც ამას აცხადებს კ.ფ. გუცენკო [161, გვ. 78]. ამ წარმონაქმნთან შედარებით, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძველათენური ჰელიცია ხომ ლამის „სრულყოფილი“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო!.. სპეციალურ წყაროთა ანალიზიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ასევე არაზუსტია კ.ფ. გუცენკოს მტკიცება, რომ თითქოს დასახლებული პუნქტებიდან შერჩეულ პირებს „მინიჭებული ჰქონდათ არა მარტო მოსამართლეთა — ბრალეულობის საკითხის გადამწყვეტთა, არამედ ინფორმატორების (დამსმენების), მოწმეებისა და, გარკვეულწილად, ბრალდმდებლების როლიც“ [161, გვ. 78]. უფრო ზუსტი იქნებოდა მტკიცება, რომ ამგვარ რჩეულთა ფუნქციებში ჩანასახოვან, გაშუალებულ ღონეზე თუ ჩანს მოსამარ-

თლის ფუნქცია – ისიც, ფაქტობრივად, მხოლოდ „მოსამართლის თანაშემწის“ (დამხმარის, ხელისშემწყობის) ამპლუაში, ოღონდ მხოლოდ იმ ნაწილში, რომ, წინასწარ შეგროვებული ინფორმაციის გადაცემისას, ჟიურის წევრები მოსამართლეებს თავიანთ დასკვნებსაც წარუდგენდნენ ხოლმე – როგორც ფაქტის, ისე სამართლის (გამოსაყენებელი ჩვეულებითი სამართლის ნორმის) თაობაზე, მათ შორის მტკიცებულებების (სამხილების), აგრეთვე განსასჯელის (იგი ზომ, ფაქტობრივად, ჟიურის წევრთა მეზობელი იყო) პიროვნების მახასიათებლებისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის საჭირო სხვა გარემოებების შესახებ. მაგრამ ამგვარი დასკვნები მოსამართლეთათვის სავალდებულო არ იყო – მათი იურიდიული მნიშვნელობა არ სცილდებოდა „მცოდნე პირთა“ რჩევების (ანუ საკონსულტაციო დასკვნების) ხასიათს [161, გვ. 121, 254-255; 279, გვ. 61-72; 347, გვ. 155; 279, გვ. 256-262]. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი პროცედურებით აღვილებზე მიღებული გადაწყვეტილებების „ცენტრში“ განზოგადებით იქმნებოდა პრეცედენტები და, საბოლოო ანგარიშით, ინგლისური „საერთო სამართალი“ [იქვე].

#### 1.4. პირველი ნაბიჯები ინსტიტუციონირებისკენ

ზემოთ აღწერილი რალაც ოდიოზური „მეზობელთა სასამართლოდან“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გადასვლის შესახებ საუბარი, ვფიქრობ, უფრო უპრიანია 1194 წლიდან, როცა, ევოლუციის ისტორიულმა ლოგიკამ, საჭირო გახდა ნაფიც მსაჯულთა კვაზისამოსამართლო ხასიათის ფუნქციების თანდათან გადაზრდა სამოსამართლო ფუნქციებში, რაც, უწინარესად, სამძებრო-საბრალდებო ფუნქციებისგან თანდათან გათავისუფლებას გულისხმობდა. ამის შედეგად, „თანდათან მოხდა მათი (ნაფიც მსაჯულთა. – ი.გ.) მიწვევა სისხლის და სამოქალაქო დევების გადასაწყვეტადაც“ [68, გვ. 19]. ორგანიზაციულად, საბოლოო ანგარიშით ეს „გათავისუფლება“ გამოიხატა დიდი და მცირე ჟიურის სისტემაზე გადასვლაში [284, გვ. 21]. მაგრამ, სანამ ამ „საბოლოო პროდუქტი“ განვიხილავდეთ, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო რამდენიმე შუალედურ“ ასპექტს, სხვა ყურადსაღებ

მახასიათებლებსა და ცალკეულ საინტერესო გარემოებებს. კერძოდ:

ა) ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „1066 წელს ნორმანების დაპყრობის შემდეგ, ინგლისში დამკვიდრდა წესი, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ, ფიცის ქვეშ ეთქვა სიმართლე“ [39, გვ. 11]. ეს ფორმულა, ვფიქრობ, მთლად სწორი არ არის არც ისტორიულად (სპეციალური წყაროებით ცალსახად არ დასტურდება) და არც ლოგიკურად, რადგან, ადგილობრივ მცხოვრებთაგან შერჩეული წარმომადგენლების მიერ დამნაშავეთა მხილებას, ყოველთვის ან მეტწილად, იძულება, ვფიქრობ, სულაც არ დასჭირდებოდა;

ბ) ასევე, დაზუსტებას მოითხოვს აქვე მოცემული დებულება, რომ „სახელმწიფოს (იგულისხმება ინგლისი. — ი.გ.) მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უფლების აღიარება მოხდა 1215 წელს, როდესაც მეფემ, საყოველთაო სახალხო მოთხოვნის ზეგავლენით, ხელი მოაწერა მაგნა კარტას, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის უფლებას, მისი საქმე განხილულ იქნას „თანამოქალაქეთა მიერ“. კერძოდ, ამ უკვდავი დოკუმენტის მიერ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუციონირებულ სასამართლოზე ინგლისელ მოქალაქეთა უფლების აღიარება ერთობ სათუთა თუნდაც იმიტომ, რომ ამ ეტაპზე — მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში — ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ ფორმირების (ჩამოყალიბების ინსტიტუციონირების) პროცესში იყო, რაც ათწლეულთა მანძილზე გრძელდებოდა (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ, § 2);

გ) ნაფიც მსაჯულთათვის საქმის ფაქტობრივი (ანუ „არასამართლებრივი“) მხარის გარკვევა-გადაწყვეტის (ანუ, ინსტიტუციური თვალსაზრისით, მისთვის ორდინარული) ფუნქციის შესრულების დაკისრება, უამისოდაც არ ყოფილა და ვერც იქნებოდა ერთბაშად შემოსაღები პროცედურა შუა საუკუნეების სახელმწიფოებში — იგი ინგლისში ფორმირდებოდა თანდათან, ეპიზოდური, შემთხვევითი ქმედებებიდან „მყარ“ პროცედურაზე თანდათანობით გადასვლით.

## 1.5. დიდი და მცირე ჟიურის რაობის საკითხისათვის

ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური\* (Grand juries) ანუ „საბრალ-  
დებო ჟიური“ ინგლისში ჩამოყალიბდა მე-14 საუკუნეში, სწორედ  
მიმომსვლელ სამეფო მოსამართლეთა მიერ ბრალმდებელ ნაფიც  
მსაჯულთა გამოკითხვის პროცედურებთან დაკავშირებით [284, გვ.  
21]. თავიდან იგი შედგებოდა 23 მსაჯულისაგან, რაც, ისევე როგორც  
მცირე ჟიურის 12-კაციანი შემადგენლობა, შემთხვევითობის შედეგი  
იყო – ამ რიცხვებს რაიმე „საკრალური“ მნიშვნელობა სულაც  
არ ჰქონია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ, შემდგომ საუკუნეებში, დიდი  
ჟიურის შემადგენლობაში ნაფიც მსაჯულთა რიცხვი მერყეობდა  
12-დან 23-მდე [161, გვ. 121]. აშშ-ში, მაგალითად, მათი რიცხვი,  
ჩვეულებრივ, მერყეობს 16-დან 23-მდე, თუმცა ტეხასის შტატში  
დაშვებულია 12 მსაჯულიც, რომელთაგან 9 უკვე ქმნის ქვორუმს  
[იქვე, გვ. 254-255]. ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ: ა) ინგლისში დიდმა  
ჟიურიმ იარსება 1933 წელს საბოლოოდ გაუქმებამდე; ბ) აშშ-ში  
იგი დღემდე ფუნქციონირებს, თუმცა, ისევე, როგორც ინგლისში,  
მისი ფუნქციები (კომპეტენცია, განსჯადობა) თანდათანობითი შეზ-  
ღუდვის ტენდენციით ხასიათდებოდა; გ) დიდ ჟიურის ინგლისში  
მთლიანად, ხოლო აშშ-ში ნაწილობრივ (ამასთან, თანდათანობით,  
„რბილად“) ჩაენაცვლა პროფესიონალი მოსამართლე ან მაგის-  
ტრატი (მეტწილად – ერთპიროვნულად). ამით გამარტივდა ნაფიც  
მსაჯულთა დიდი ჟიურის ერთადერთი ფუნქციის – ბრალდებულის  
სამართალში მიცემის ანუ წინასწარი მოსმენის\*\* – განხორციელება,  
რაც, ძირითადად, საპროცესო ეკონომიის მოთხოვნებით აიხსნება,  
რაზეც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

ნაფიც მსაჯულთა მცირე ჟიური წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა

\* გ. ლილუაშვილი მას მოიხსენიებს როგორც „მსაჯულთა დიდ ჯგუფს“, [გვ. 64], რაც, არც ტრადიციულ-ისტორიულად და არც ინგლისური სახელწოდების გადმოღების სიზუსტით, სწორი არ არის (რუსულში დამკვიდრებულია ტერმინი „несыное жюри“).

\*\* ბრალდებულის სამართალში მიცემის /წინასწარი მოსმენის/ სტადიისა და მისი პრო-  
ცედურების შესახებ იხ. ამ ნაშრომის ავტორის მონოგრაფია [24, გვ. 17-72].

სასამართლოს მთავარ ღერძს, ბირთვს, ძირითად საკვანძო ფორმას, ინსტიტუციურ ქვაკუთხედს. კერძოდ, იგი წარმოადგენს კოლეგიას (შემადგენლობას), რომელიც, უწინარესად, ახორციელებს სისხლის სამართლის საქმეთა არსებითად განხილვას (trial) ვერდიქტის გამოტანის მიზნით, აგრეთვე არსებითად იხილავს სამოქალაქო საქმეებს. ამდენად, მცირე უიურის მიჩნევა ფეოდალურ ინგლისში არსებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უბრალო, „რიგით“ ნაირსახეობად, როგორც ეს საცნობარო ლიტერატურაში გვხვდება [284, გვ. 187], ძალზე რბილად რომ ვთქვათ, არაზუსტია.

## §2. ინსტიტუციონირების პროცესი და მისი გასრულება /„ეკლანი“ გზის რთული მონაკვეთები/

ინგლისის მმართველობაში 1066 წელს მომხდარი უმნიშვნელოვანესი ცვლილებების (რაც მოჰყვა ნორმანთა მიერ ინგლისში ახალი, სპეციფიკური ფეოდალური სისტემის დამკვიდრებას, მათ შორის სასამართლოთა ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სფეროში) შემდეგ ყველაზე საეტაპო ისტორიული მოვლენა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომ ბედზე, იყო 1215 წლის „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ (Magna Charta) მიღება. ამ დოკუმენტით არა მარტო შეიზღუდა მეფის ხელისუფლება და ნაბიჯი გადაიდგა კონსტიტუციური მმართველობისკენ (რისი შემდგომი უმნიშვნელოვანესი სიმპტომი იყო 1258 წელს, მეფე ჰენრიხ მესამისათვის რჩევების მისაცემად, ახალი ტიპის სათათბიროს — პარლამენტის შექმნა, რომელიც სულ რაღაც სამიოდე ათეულ წელიწადში უკვე ხელისუფლების ცალკე განშტოებად იქცა!..), არამედ ოფიციალურად დაფიქსირდა შემდგომში უკვე ტრადიციულად ქცეული, მეტ-ნაკლებად გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, რომელთა შორის მოიხსენიებოდა ინგლისის სასამართლოების დამოუკიდებლობა და მიწათმფლობელთა უფლება სამართლიან მართლმსაჯულებაზე [8, გვ. 32-33]. კერძოდ, ქარტიის 21-ე და 39-ე მუხლები ადგენდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმანენტური ნიშნის შესაბამის დებულებას, რომლის თანახმადაც, ყოველი დიდგვაროვანი თუ თავისუფალი ადამიანი უნდა განესაჯათ მის თანასწორთ, კანონიერად და თანაზომიერად [342, გვ. 99].

შემდგომ საუკუნეებში, ზემოაღნიშნული და სხვა უფლებები და თავისუფლებები (რომლებიც ყველაზე სრულყოფილად იქნა აკუმულირებული 1689 წელს მიღებულ კონსტიტუციურ კანონში — „უფლებათა ბილში“) შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნა ინგლისელ მოქალაქეთა შეუპოვარი, ლამის პერმანენტული ბრძოლებით მეფის ხელისუფლებასთან. საბოლოოდ კი მოხდა სამართლებრივი სახელმწიფოსთვის აუცილებელი მოვლენა — ერთიანი ხელისუფლების გარკვეული („თავისებური“) დაყოფა-დაბალანსება საკანონმდებლო,



აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე [იქვე, გვ. 33-36]. ამას კი, ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ზეობისთვის“ ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

... რაკი „ყინული დაიძრა“ და, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნაფიც მსაჯულებს საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია დაეკისრათ (უნდა ვივარაუდოთ, რომ თავიდან ეს იყო ეპიზოდური, შემთხვევითი მოვლენა), შემდგომი ევოლუციონირება უკვე ფრიად დაჩქარებულად (ისტორიული საზომებით, ცხადია) წარიმართა. ამას, ვფიქრობ, ხელს უწყობდა პრაქტიკის „ჯიუტი“, სულ უფრო მზარდი მოთხოვნები, კერძოდ, „მალე საქმეები იმდენად მრავალი და იმდენად რთული გახდა“, რომ ინგლისში საჭირო გახდა ახალი, დიფერენცირებული თუ სპეციალიზებული სახელმწიფო (სამეფო) სასამართლო სისტემის შექმნა. სახელდობრ, ცალ-ცალკე არსებობდა ხაზინის სასამართლო, ასიზების სასამართლო, საერთო დავების სასამართლო და სამეფო სკამის სასამართლო [279, გვ. 66-68]. ამიტომ, პრაქტიკა სულ უფრო და უფრო გადაჭრით აყენებდა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წმინდა სასამართლო ფუნქციების შესასრულებლად „გადაკეთების“ (გამოყენების) საკითხს. მხედველობაშია როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტა შესაბამისი ვერდიქტის გამოტანით, ამასთან, 1367 წლისათვის უკვე ჩამოყალიბდა ერთსულოვანი ვერდიქტის (ვერდიქტის ერთსულოვნების) მოთხოვნა [68, გვ. 19]. თუ მანამდე მოსამართლე დაპირისპირებულ მხარეთა შორის დავის ანუ საქმის/სარჩელის (მათ შორის „სისხლისსამართლებრივი სარჩელის“ ანუ დანაშაულში მხილების) გადასაწყვეტად ირჩევდა წარჩინებულ მოქალაქეთა ჯგუფს, მათ მიერ ადგილობრივი გარემოებების (მათ შორის, ფაქტობრივი მხარის) ცოდნის მიხედვით, შემდგომში ინგლისში „თანდათან ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც ნაფიცი მსაჯული საქმეში გარკვეული არ უნდა ყოფილიყო“ [68, გვ. 19]. აი, სწორედ ამ პერიოდიდან – ნაფიც მსაჯულებად საქმის გარემოებათა შესახებ წინასწარ არაინფორმირებული, ნეიტრალური, დაუინტერესებელი პირების გამწესებიდან – შეგვიძლია ცალსახად, დაბეჯითებით ვისაუბროთ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის რეალურ ინსტიტუციონირებაზე – დამოუკიდებელ, სპეციფიკურ, გნებავთ –

უნიკალურ სასამართლო ინსტიტუტად (სტრუქტურად, ფორმად) ჩამოყალიბებაზე!.. ეს პროცესი კი საბოლოოდ დასრულებულ სახეს იღებს მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს, როცა იმპერატიულად დაწესდა, რომ „მსაჯული, რომელიც პირად ინფორმაციას ფლობდა საქმეზე, ვალდებული იყო ჩამოშორებოდა საქმის განხილვას“ [68, გვ. 19].

მაგრამ ერთია ფუნქციით (უფლებამოსილებით, კომპეტენციით, განსჯადობით) იურიდიულად აღჭურვა და მეორეა (მთავარია!) მისი ფაქტობრივად, დიქტატის გარეშე – დამოუკიდებლად, საკუთარი რწმენისამებრ, ობიექტურად და სამართლიანად – განხორციელება, რეალური ასპარეზის საჭირო გარანტიებითურთ არსებობა. ამ მხრივ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გზა მეტად დამთრგუნველად რთული და ნარეკლიანი გამოდგა, ამასთან, ხშირად იგი „ბეწვის ხილზე“ (ანუ „ყოფნა-არყოფნის“ საზღვარზე) გადიოდა. თავად განსაჯეთ: ჯერ იყო და, ადრეულ ეპოქებში, არა მარტო განსასჯელთ, არამედ... თვითონ ნაფიც მსაჯულებსაც არაიშვიათად უქვემდებარებდნენ ფიზიკურ ორდალიებს!.. შემდგომში, საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ „ურჩ“ ნაფიც მსაჯულთა გაროზგეას, მოგვიანებით კი – დაჯარიმებასაც. გაურჩებულთა დამორჩილება-დათრგუნვის მიზნით, ისინი შეიძლება ჩაეკეტათ სათათბირო ოთახში და არ მიეცათ სითბო და/ან საკვები, სანამ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანდნენ [68, გვ. 19]. ამგვარი ურჩი მსაჯულები ზოგჯერ თვითონვე ხდებოდნენ მეფის მოსამართლეთა მიერ მსჯავრდებისა და მიწებისა და სხვა ქონების ჩამორთმევის მსხვერპლნი – გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე უარის განცხადების, ანუ, მეტწილად, სამოქალაქო მამაცობის გამოჩენის გამო!..

ამ, რბილად რომ ვთქვათ, „ველური“, არასამართლებრივი ინსტიტუტის იავარმქმნელი პრაქტიკიდან შემობრუნების ნიშანსვეტი გახდა 1670 წელს ბუშელის გახმაურებულ საქმეზე დატრიალებული დრამები და მასზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები!.. [134, გვ. 6].

## სამოქალაქო მამაცობის ერთი თეატლსაჩინო „ინგლისური გაკვეთილი“

... ლონდონის სისხლის სამართლის ცენტრალური სასამართლოს – ოლდ ბეილის „ოქროს“ წარწერიანი კვლევები საზოგადოებას დღემდე ახსენებს 1670 წელს დატრიალებულ სასამართლო ბატალიებს, რომლებიც ისტორიაში შევიდა „ბუშელის საქმის“ სახელწოდებით. ეს კურიოზული, ერთობ გახმაურებული, საეტაპო საქმე დაიწყო იმით, რომ თორმეტმა ინგლისელმა ნაფიცმა მსაჯულმა უარი თქვა დაბნაშკველ ეცნოთ უილიამ პენი და უილიამ მედი შეთქმულებაში მონაწილეობისათვის (!). იმ მიზნით, რომ მსაჯულები ეიძულებინათ როგორმე გამოეტანათ გამამტყუნებელი ვერდიქტი, ისინი ორი ღამით ჩაკეტეს სათათბირო ოთახში საკვების, წყლის, თაბბაქოს და საპირფარეშოს გარეშე. როდესაც ამ გზითაც ვერ მოხერხდა მათი დაყოლიება, მოსამართლემ მათ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ჯარიმის გადახდამდე. ოთხმა მსაჯულმა ბუშელის მეთაურობით ჯარიმის გადახდაზე უარი განაცხადა და „ჰაბეას კორპუსის“\* წესით (გზით) გაასაჩივრა დაპატიმრება (ანუ საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება)... და აქ მოხდა მეტად მნიშვნელოვანი რამ: ღორღმა – მთავარმა მოსამართლემ, თავისი ისტორიული გადაწყვეტილებით, ისინი გაათავისუფლა, ამასთან, დაადგინა (ანუ შექმნა უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე პრეცედენტი!), რომ ამგვარი რამ დაუსშვებელი იყო, რადგან „ნაფიცი მსაჯული ფაქტის ერთადერთ მსაჯულს წარმოადგენდა“. დავებენ, რომ, როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, სწორედ ამ ისტორიული გადაწყვეტილების საფუძველზე ეწოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ლაამპირნი, რომელიც ცხადად მიანიშნებს, რომ თავისუფლება ცოცხლობს“;

\* ჰაბეას კორპუსის („Habeas corpus“) პრინციპი წარმოიშვა შუა საუკუნეების ინგლისში, მყარ (სავალდებულო) ინსტიტუტად კი ჩამოყალიბდა 1679 წლის 26 მაისს, საციალური კანონის („Habeas corpus act“) მიღების შემდეგ. ტერმინი წარმოიშვა თავისუფლებააღკვეთილი პირის მასთან წარდგენის შესახებ მოსამართლის ბრძანების საწყისი სიტყვებიდან – „Habeas corpus ad subjiciendum“ („შენ ვალდებული ხარ წარმოადგინო პიროვნება სასამართლოში“). ეს პრინციპი თანდათან იქცა საერთო სამართლის ქვეყნებში დაკავება-დაპატიმრების საფუძვლიანობის თავდაპირველი შემოწმებისა და პერიოდულად გადამოწმების ანუ აღმანის თავისუფლების დაცვის პერმანენტული სასამართლო კონტროლის საკმაოდ რთულ, უნივერსალურ პროცედურად [294, გვ. 161-164; 262\*, გვ. 50-51; 342, გვ. 161-164].

ბოლო თავად ნაფიცი მსაჯული „თავისუფლების ბურჯია“. ლორდი ატკინი ამტკებდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის „თავისუფლების ბასტიონი, ღარიბის ფარი მდიდრისა და ძალაუფლების აგრესიის წინააღმდეგ“ [68, გვ. 19-20]. რაც მთავარია, ფაქტია, რომ ამ სულისკვეთებამ, ასე თუ ისე, შეძღვომ საუკუნეებსაც გაუძლო... ასე თუ ისე-მეთქი, იმითომ ვაძბობ, რომ ამ ინსტიტუტის „ზეობას“ მე-20 საუკუნეში საკმაოდ მნიშვნელოვანი დეგრადაცია მოჰყვა, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი და რასაც ზოგიერთი ავტორი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „კვლამის“ დასაწყისადაც კი მიიჩნევდა [ 124, გვ. 52]. რატომისტურად განწყობილ ავტორთა და სხვა „ვეულშემატკივართა“ იბელი, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს სიკვდილი არც მომავალში უწერია, თავის დროზე საკმაოდ ბატონად გამოხატა ცნობილმა „რადიკალმა“, ინგლისელმა მოსამართლე დენინგმა:

„ნაფიცი მსაჯულები მეტად დიდი ხნის მანძილზე იყვნენ ჩვენი თავისუფლების ბურჯნი საიმისოდ, რომ რომელიმე ჩვენგანმა სცადოს მათი შეცვლა“ [333 კვ. 278].

### §3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გავრცელება (საერთო სურათი. „დასახლება“ დიდი ბრიტანეთის იმპერიასა და კოლონიებში – აშშ-ს მაგალითზე)

#### 3.1. პირველი ნაბიჯები და შემდგომი „დაჩქარებული ინტერვენცია“

მე-16 საუკუნის დამლევიდან და, განსაკუთრებით, მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თანდათან იწყებს გავრცელებას არა მარტო ბრიტანეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში, არამედ კოლონიებშიც. მე-18 საუკუნეში და, განსაკუთრებით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან კი იგი სწრაფად ვრცელდება კონტინენტური ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც მოსალოდნელი იყო (და ამას ცოტა უფრო ქვემოთ მოტანილი ანალიზიც ადასტურებს), ვითარცა ანგლოსაქსური (საერთო სამართლის) სამართლებრივი სისტემის ტიპური, კლასიკური ქვეყნის პირშეო, უფრო ადვილად ეთვისებოდა ანალოგიური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებს (მიმართულება: „მეტროპოლიიდან – დაქვემდებარებული ქვეყნებისკენ“), თუმცა არც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნები დარჩენილან გულგრილნი ამ უნიკალური ინსტიტუტის მიმართ (უწინარესად, მხედველობაშია საფრანგეთი, გერმანია, იტალია, სკანდინავიის ქვეყნები). იგივე ითქმის შერეული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებზე (ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სისტემების „ნარევით“ – მეტწილად რომელიმე მათგანის დომინირებით; ამავე სისტემების ელემენტები ზოგჯერ ორგანულად ერწყმის აგრეთვე ადგილობრივ – ჩვეულებით ან დაწერილ – სამართალს და ა.შ.).

ევროპისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში ამ ინსტიტუტის მძლავრი, ლამის „ელვისებური“ ექსპანსია, ცხადია, უკვე დიდი წარმატება იყო, მაგრამ მის ჭეშმარიტ ტრიუმფად იქცა მასშტაბური ამერიკულ-რუსული „ინტერვენცია“ – აშშ-ს შტატებისა და რუსეთის იმპერიის „დაპყრობა“!..

### 3.2. როგორ მოიძოვებს შეუპოვარმა ამერიკელებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარანტირებული უფლება თუ „პრივილეგია“?

„ინგლისური სამართლის მწვერვალად“ სახელდებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს [264, გვ. 246] ინგლისის კოლონიებში „გადანერგვა“ თუ ფუნქციონირება სულაც არ ყოფილა ადვილი და უმტკივნეულო. ინგლისი, ვითარცა მეტროპოლია, როგორც აშშ-ს ისტორია მოწმობს, სულაც არ ყოფილა დაინტერესებული მართლმსაჯულების სადაკეების კოლონიებისათვის გადაცემით, მით უმეტეს, ისეთი „ურჩი“ ინსტიტუტის სრულყოფილად დანერგვით, როგორც იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. (შედარებისთვის: ასეთივე იყო რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება პროვინციების მიმართ). აბიტომ, ორი საუკუნის წინანდელი ამერიკა უკვე საუკუნენახევრის მანძილზე იმყოფებოდა ისეთ მდგომარეობაში, როცა, როგორც აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისის დეკლარაციაშია მითითებული, მეტროპოლია – დიდი ბრიტანეთი (იმჟამად – ინგლისის, უელსისა და შოტლანდიის შეერთებული სამეფო) ამერიკის კონტინენტზე „ხელს უშლიდა მართლმსაჯულების განხორციელებას იმით, რომ უარს ამბობდა სასამართლო ხელისუფლების დამამკვიდრებელი კანონების დამტკიცებაზე“ და „ოდენ თავის საკუთარ ნებას დაუქვემდებარა მოსამართლეები, მათი თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობა თუ მათი ხელფასის ოდენობა და გასამრჯელო“. ამასთან, ამერიკელებისათვის მიუღებელი ინგლისური იურიდიუციის მათთან გავრცელების მიზნით, მან „დასტური მისცა თვალთმაქცურ საკანონმდებლო აქტებს“, რათა ხშირად აღეკვეთათ მათთვის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება“ იმ მიზნით, რომ ამერიკელები ინგლისში წაეყვანა ხოლმე „შეთითხნილი ბრადლებით გასასამართლებლად“ (ხაზი ყველგან ჩეხია. – ი.გ.). [66, გვ. 232-233]. ამ ისტორიული დოკუმენტიდან აშკარაა, რომ მართლმსაჯულების (სასამართლო ხელისუფლების) და, უწინარესად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გასამართლების უფლების ხელყოფა

\* შეინიშნავ, რომ დეკლარაციის ეს დებულება რუსულ სოლიდურ გამოცემაში თარგმნილია შემდეგნაირად: „для лишения нас по многим судебным делам возможности пользоваться преимуществами суда присяжных“ [294, გვ. 27]. ქართულ თარგმანში სიტყვა „უპირატესობები“, რომელიც ხაზს უსვამს ამ ინსტიტუტის სწორედ უპირატეს მნიშვნელობას, რატომღაც არ ჩანს.

იქცა ცნობილი ამერიკული ანტიბრიტანული რევოლუციის ერთ-ერთ კონკრეტულ, მნიშვნელოვან ფაქტორად!..

ჩანართი №5

**რატომ მიიჩნევდნენ ამერიკული კოლონიები, რომ ინგლისელთაგან არ იყო გარანტირებული ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს უფლება?**

მე-17 საუკუნის ინგლისში ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს უკვე ქონდა შექმნილი „თავისუფლების მთავარი მოკავშირისა და ტირანული ხელისუფლებებისაგან ბრალდებულის საუკეთესო დამცველის“ იმიჯი. ინგლისელ კოლონისტებთან ერთად ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტი სწორედ ამ სახით „დასახლდა“ ამერიკის კონტინენტზე [2, გვ. 19]. მაგრამ, მეტროპოლიისა და კოლონისტების ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში, ამგვარი იმიჯის პრაქტიკული რეალიზება, ცხადია, ერთობ ძნელი იყო. თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილ „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში“ კარგად ჩანს შექმნილი მდგომარეობის ზოგადი ფონი: მეტროპოლიის ჩინოვნიკთა თვითნებობა, კოლონისტების სასარგებლო კანონთა ბლოკირება, მეტროპოლიის ნებას დაქვემდებარებულ მორჩილ მოსამართლეთა კორაჟის ჩამოყალიბება... ისტორია მოწმობს, რომ მეტროპოლია ხშირად უცერემონიოდ ახორციელებდა დაუშვებელ, უკანონო ზემოქმედებებს (ზეწოლას) ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირების მიზნით, მათ შორის, ყოველ კონკრეტულ (საჭირო) შემთხვევაში, დიდ ბრიტანელთათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, ამგვარი ზეწოლა, არაიშვიათად, იწვევს ადექვატურ რეაქციას (უკურეაქციას). ბოლოსდაბოლოს, ამერიკელთა მოთმინების ფიალაც აივსო!.. და, აი, პირველი ძლიერი, ერთობ გახმაურებული კონტრდარტყმა ინგლისელებს კოლონისტებმა მიაყენეს 1734 წელს, ჟურნალისტ ჯონ პეტერ ზენგერის საქმეზე. მას ბრიტანელებისგან ბრალად ედებოდა ყველასგან მოძულებულ მეფის გუბერნატორ კოსბის წინააღმდეგ ჟურნალში შეამბოხე და ცილისმწამებლური სულისკვეთების სტატიის გამოქვეყნება. ბრიტანული სასამართლოს მოხელეები შეეცადნენ, რომ ნაფიცი მსაჯულთა თიურში კოსბის მომხრენი შეეყვანათ, მაგრამ ბრალდებულის დამცველმა – ცნობილმა ადვოკატმა ალექსანდრე ჰამილტონმა მოახერხა ამგვარ მსაჯულთა

კორაპუსის აცილება. ხელახლა ფორმირებული კორაპუსის ზოგიერთი წევრი კი უკვე ანტიბრიტანული განწყობისა (1) აღმოჩნდა. ეჭვს გარეშეა, დიდი გავლენა იქონია ზემოხსენებული დამცველის კვალიფიციურმა მცდელობამ, მათ შორის ერთობ ეფექტიანმა დაცეითმა სიტყვამ, რომლითაც მან ნაფიც მსაჯულებს მიმართა. ამ ბრწყინვალე სიტყვის კონტენტის ციას წარმოადგენს მისი ცნობილი ბოლო წინადადებები:

„ეს პროცესი არ ეხება მხოლოდ ფურნალისტს ან ნიუ-იორკის ფურნალს. ამ პროცესის შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ყველა თავისუფალ მოქალაქეზე, რომელიც ბრიტანული მმართველობის ქვეშ ცხოვრობს ამერიკის კონტინენტზე. საქმე ეხება უფრო მეტს – საქმე ეხება თავისუფლებას“.

ნაფიცმა მსაჯულებმა, ბრიტანული კანონის აშკარა დარღვევით, გაამართლეს ზენგერი....

... რაკი „ყინული დაიძრა“, ამას მოჰყვა სხვა „თვითნებური“ გამამართლებელი ვერდიქტებიც (ანუ ხდებოდა „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“, რომლის არსიც ქვემოთ იქნება განხილული უფრო დაწვრილებით). ასე, მაგალითად: მასაჩუსეტსელმა ნაფიცმა მსაჯულებმა ანალოგიურად გაამართლეს კონტრაბანდში ბრალდებული ვაჭარი-რევოლუციონერი და აგიტატორი, ვანშირდა გამამართლებელი ვერდიქტები გადასაზადებთან დაკავშირებულ საქმეებზე, აგრეთვე, გაქცეული მონების მიმართ (ჩრდილოეთ შტატებში) და ა.შ. საპასუხოდ, დიდი ბრიტანელები გადავიდნენ ამგვარი საქმეების ნაფიც მსაჯულთა განსჯადობიდან ამოღებაზე, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის...

ამგვარად, 1734 წლიდან ამერიკელმა კოლონისტებმა, როგორც მართებულად მიუთითებენ ჯ. აბრამსონი და სხვა ავტორები, „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს“, რის გამოც მან იურიდიულ-პოლიტიკური ანუ „კომპლექსური“ ინსტიტუტის ამქალაქე შეიძინა და, ფაქტობრივადაც, საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკული ანტიბრიტანული რევოლუციის გზით ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებაში [2, გვ. 1968, გვ. 62-62].

ნაფიც მსაჯულთა უნიკალური ინსტიტუტის ღირსება-დამსახურებებისადმი პოზიტიურმა დამოკიდებულებამ, ხოლო პროფესიონალური, ოფიციალურ-ჩინოვნიკური სასამართლოებისადმი ტრადიციულმა ამერიკულმა უნდობლობამ რელიგიური გამოხატულება პოვა აშშ-ის 1787 წლის (მსოფლიოში უძველეს) კონსტიტუციაში, კერძოდ კი ამ „იურიდიული ბიბლიის“ [294, გვ. 10] III მუხლის მე-2 განყოფილე-



ბაში და კონსტიტუციის VI შესწორებაში. ამ ნორმებმა დაადგინეს ამერიკელთა „წმიდათა წმიდა“ უფლება – სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა შემთხვევაში, გარდა იმპიჩმენტისა, ისარგებლონ დანაშაულის ჩადენის ადგილის (შტატის თუ ოლქის) მცხოვრებთაგან მოწვეულ, მიუკერძოებელ ნაფიც მსაჯულთა გადაუდებელი და საჯარო „მომსახურებით“ [294, გვ. 38, 41].

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო ამერიკელთა შორის სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას, რისი ანარეკლიც საკმაოდ ნათლად ჩანს ამერიკულ გამოთქმაში: „თუ არ იცი, რა გააკეთო, წადი სასამართლოში“. ცხადია, გასათვალისწინებელია მრავალი სხვა უმნიშვნელოვანესი იურიდიული ფაქტორიც: 1) აშშ-ში აღიარებული „სამართლის ბატონობის დოქტრინა“ (განსხვავებით კონტინენტურისაგან, რომელიც ლაპარაკობს „კანონის უზენაესობაზე“ ანუ პირველი კანონს სამართალთან არ აიგივებს და უპირატესობას აძლევს სამართალს, რომელიც მოიცავს და, „კონფლიქტის“ შემთხვევაში, მაღლა დგას კანონზე!..); 2) პოპულარული მოძღვრება ადამიანის ფუნდამენტურ (მათ შორის თანდაყოლილ) უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ; 3) მესამე ანუ სასამართლო ხელისუფლების (რომლის კვინტენსენციაა, მწვერვალია სულ 9 „უკვდავისაგან“ შემდგარი აშშ-ს უზენაესი სასამართლო) უნიკალური სიძლიერე (რაც იმდენად მძლავრად ვლინდება მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებაში, კონსტიტუციისა და სხვა კანონების ინტერპრეტირებისას სასამართლო პრეცედენტების შექმნაში, რომ ამერიკაში მთარული გახდა გამოთქმა: „თვით კონსტიტუციის ჩათვლით, კანონია ის, რასაც მოსამართლე ადგენს“); 4) საერთო სამართლის (ანუ სამოსამართლო სამართლის) და ე.წ. სამართლიანობის სამართლის (ანუ დაწერილი სამართლის) შერწყმა ერთიან კაზუალურ პრეცედენტულ სამართლად (case law); 5) ფედერალურ და შტატების კანონმდებლობათა სისტემატიზაციები (კონსოლიდაციები და ნაწილობრივი კოდიფიკაციები – მათ შორის მოდელური კანონების შექმნის გზით), ოღონდ, ცხადია, მათ შორის კოლიზიისას, „უზენაესობის კლაუზულის“ (ანუ ფედერალური კანონმდებლობის უპირატესობის) თაობაზე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი წესების დაცვით [იქვე, გვ. 11]; 6) დაბოლოს,

ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოთა (უწინარესად – უზენაესი სასამართლოს) სამოქმედო დევიზები, რომლებიც მათ აკისრებს მისიას – მიაღწიონ სამართლიან წონასწორობას სამ ფასეულობას – თავისუფლებას, წესრიგსა და თანასწორობას შორის.

ჩანართი №6

### კარიაციები თემაზე: თავისუფლება უფრო პრიმატული, წესრიგი თუ თანასწორობა?

მოსამართლეთა ზემოხსენებული მისიის მაუწყებელი ორი დევიზი ამოკვეთილია აშშ-ს უზენაესი სასამართლოს შენობის აღმოსავლეთისა და დასავლეთის პორტიკათა თავებზე:

- „მართლმსაჯულება – თავისუფლების მცველი“;
- „თანასწორი მართლმსაჯულება კანონის შესაბამისად“.

როგორც ვხედავთ, აქ „წესრიგი“ პირდაპირ ნახსენები არ არის – იგი, როგორც ჩანს, ნაწილობრივ, ამასთან, „გაშუალებულად“ იგულისხმება „კანონშესაბამისი მართლმსაჯულების“ ცნებაში. როგორც ამერიკული დემოკრატიის თაობაზე პოპულარული წიგნის ავტორები ქ. ჯანდა, ჯ. ბერი და ჯ. ვოლდმენი მიუთითებენ, ფასეულობათა წონასწორობის მიღწევის ეს მისია ფრიალ დილეპურია, რადგან ძალზე ძნელია მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა გონივრულად დაძლევა-დაძლანსება. ამასთან, „თუ ადრე მოსამართლეებს უხდებოდათ თავისუფლებისა და წესრიგის გაწონასწორება, ახლა ამას დაემატა თავისუფლებისა და თანასწორობის გაწონასწორების საჭიროებაც. სასამართლო გადაწყვეტილებათა გავლენაც გაფართოვდა. დემოკრატიის თეორეტიკოსები შეშფოთებულნი არიან. სასამართლო ხელისუფლების ექსპანსიით. მაგრამ, „დღევანდელი სასამართლოები მორგებულნი არიან დემოკრატიის პლურალისტურ მოდელს და, ჩვეულებრივ, არ უპირისპირდებიან საზოგადოებრივ აზრს“ [8, გვ. 387]. სიტყვა „ჩვეულებრივ“ აქ ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ არსებობს გამონაკლისებიც. ჩემი აზრით, ეს გამონაკლისები, როგორც ქვემოთ, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ პრობლემატიკის განხილვისას დავრწმუნდებით, უწინარესად და ძირითადად, სწორედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს – სასამართლო ხელისუფლების ამ ყველაზე „ურჩ“, „მოუთვინიერებელ“, „თვითნება“ ნაირსახეობას თუ სეკმენტს – უკავშირდება!..

### §3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „ევროპული ინტერვენცია“ (ფრაგმენტები)

#### 3.1. საერთო სურათის ზოგადი შტრიხები

ევროპის კონტინენტზე, ანუ რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის „ციტადელში“, თითქოსდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფრანგული „ძირების“ ვერსიის „დასადასტურებლად“, ინგლისური (ანუ კლასიკური) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, პირველმა სწორედ საფრანგეთმა მიიღო და თითქმის შეისისხლხორცა კიდევ. იგი დაინერგა 1808 წლის ე.წ. „ნაპოლეონის კოდექსით“. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ინსტიტუტი „ისესხეს“ აგრეთვე საბერძნეთმა (1834 წ.), გერმანიამ (1848 წ.), ლუქსემბურგმა (1848 წ.) და ავსტრიამ (1849 წ.). ამავე საუკუნის მე-2 ნახევარში ინსტიტუტის „მომხმარებლებს“ შეუერთდნენ იტალია (1865 წ.), ჩეხეთი (1867 წ.), უნგრეთი (1896 წ.). სურათის სისრულისათვის დავძენ, რომ 1864 წელს ინსტიტუტმა შეაღწია რუსეთში (დაწვრილებით იხ. მომდევნო პარაგრაფში), მე-20 საუკუნეში კი – შერეული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში: მალაიზიაში (1906 წ.), იაპონიაში (1923 წ.) და სხვ. ამასთან, არგენტინის 1858 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების თაობაზე, მაგრამ პრაქტიკული რეალიზაცია ამას არ მოჰყოლია [68, გვ. 318].

#### 3.2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფრანგული „ოდისეა“

როგორც გვიანფეოდალური საფრანგეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მწერალი ლუაზო წერდა, საფრანგეთში, ისევე, როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, „... არ არსებობდა არც უფლებები და არც მართლმსაჯულება, ვინაიდან ძალა იდგა გონებასა და სამართალზე მაღლა“. ამიტომ, როგორც ხატოვნად აღნიშნა ე.ს. ბობოტოვმა, „1789 წლის რევოლუციამდე საფრანგეთს გააჩნდა სასამართლოები, მაგრამ არ გააჩნდა მართლმსაჯულება“ [136, გვ. 5].

არსებული უსამართლო, მეტიმეტად ბიუროკრატიულ-კორუმპირებული სასამართლო სისტემის მძაფრი კრიტიკის შედეგად და მის პარალელურად, საფრანგეთში მომწიფდა სასამართლო (და მთლიანად სამართლებრივი) სისტემის რეფორმირების კონცეფცია, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისკენ გადაიხარა. ამას ალტაცებით შეხვდა ფრანგული საზოგადოებრიობა. იყვნენ, ცხადია, მოწინააღმდეგენიც. კონცეფცია 1790 წლის 5 აპრილს მოიწონა დამფუძნებელმა კრებამ. მაგრამ მისი რეალიზაცია ადვილი არ გამოდგა – 1804 წლიდან დაწყებული შესაბამისი მუშაობა დასრულდა მხოლოდ 1807 წელს ამ ინსტიტუტის საპროცესო კოდექსში („სისხლისსამართლებრივი გამოძიების კოდექსის“ სახელწოდებით) შეტანით. ორგანიზაციულად ეს საკითხი გადაწყდა დეპარტამენტების სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის პალატებთან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების (cours d'assises) შექმნით [137, გვ. 33-43].

ჩანართი №7

**ნაპოლეონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების  
საჭიროების თაობაზე: საინტერესო აპელირება „მეექვსე  
გოდნობაზე“ ანუ სინდისზე!..**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საფრანგეთში, შესაძლოა, „ვარდისფერ ოცნებად“ დარჩენილიყო (ყოველ შემთხვევაში იმ ხანებში მაინც!), რომ არა კანონმდებლობის დიდი მეცენატისა და ქობავის – საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ პირველის (ბონაპარტის) მხარდაჭერა. 1804 წლის 30 ოქტომბერს, ნაპოლეონმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დასაცავად განაცხადა შემდეგი: „... იმდენად, რამდენადაც საუბარია დანაშაულის შეფასებასა და განსჯაზე, აუცილებელია დახმარებისათვის მივმართოთ მეექვსე გოდნობას, რომელსაც სინდისი ეწოდება. ამიტომაც, სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია აპელირება ხალხის რჩეულთაგმი. აი, მაშინ მოქალაქენი დარწმუნებულნი იქნებიან, რომ მათ პატივსა და სიცოცხლისთან დაკავშირებული საკითხები გამოსასყიდად არ ჩაუვარდებათ

ზელში მოსამართლეთ, რომლებიც ისედაც უფლებამოსილნი არიან გადაწყვიტონ მათი ქონების ბედი“ [136, გვ. 16-17]. ნაპოლეონს აქ მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ, საკუთრების განკარგვასა და სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად ტექნიკური (სპეციალური) ცოდნის აუცილებლობის გამო, ამ სფეროში საქმეთა განხილვის უფლებამოსილება გადაეცემოდათ პროფესიონალ მოსამართლეებს (იქვე, გვ. 16-17).

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოღებულ იქნა მხოლოდ განსაზღვრულ („პრივილეგირებულ“) ტერიტორიებში — ძირითადად დიდ ქალაქებში. ამის მიზეზი სოფლად განათლების მეტად დაბალი დონე იყო — თვით კომუნებისა და მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირთა ნახევარმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა [136, გვ. 17].

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი კოლეგიისაგან: 1) საბრალდებო კამერა (დიდი ჟიურის ფრანგული ვარიანტი) 8 კაცის შემადგენლობით წყვეტდა სამართალში მიცემის საკითხს; 2) 12 ნაფიცი მსაჯულისაგან შემდგარი კოლეგია (ჟიური) პირველი ინსტანციით, არსებითად იხილავდა საქმეს და პროფესიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტდა განსასჯელის ბრალეულობის საკითხს. კოლეგიას (ჟიურის) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში პარტნიორობას უწევდა სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ვერდიქტის საფუძველზე გამოჰქონდა განაჩენი — გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე მსჯავრდებულს უნიშნავდა სასჯელს. ამგვარი ვერდიქტის გამოსატანად საჭირო იყო სულ ცოტა 10 ხმა [იქვე, გვ. 24-27].

ამ სახით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საფრანგეთში იარსება 1945 წლის 20 აპრილამდე, როცა, სპეციალური კანონით, მოხდა ნაფიცი მსაჯულებისა და პროფესიონალი მოსამართლეების შერწყმა ერთიან კოლეგიად, ე.ი., ფაქტობრივად, მოხდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „გადაკეთება“ (გადაქმნა) ე.წ. შერეულ კოლეგიად (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამგვარ მეტამორფოზას (ფაქ-

ტობრივად, ინსტიტუციურად – მის ლიკვიდაციას) საფრანგეთში წინ უძღოდა პოლიტიკურ-სამართლებრივ „რყევათა“ მთელი „ფეი-ერვერკები“, რომელთა გამოწველილვით განხილვა, ცხადია, სცილდება ამ ნაშრომის თემატიკას. ამიტომ, აქ მხოლოდ იმის აღნიშვნას დავეკრდები, რომ: ა) 1830-1856 წლებში ნაფიც მსაჯულთა იურისდიქცია გაზრდილი იყო საგანგებო იუსტიციის გაუქმების ხარჯზე; ბ) ა. დრეიფუსის ბრალდების ფართოდ განმაურებული ფალსიფიცირებული საქმის შემდეგ კანონში შეტანილ ცვლილებებს, აგრეთვე 1897 წლის და მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულების რეფორმებს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კი გადაურჩა, მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, როგორც აღინიშნა, საფრანგეთმა ფაქტობრივად უარი თქვა ამ ინსტიტუტზე – დარჩა მხოლოდ სახელწოდება – „ნაფიცი მსაჯულები“ [136, გვ. 24-27]. ეს ცვლილება არ იყო შემთხვევითი – იგი მოასწავებდა ომისშემდგომ საფრანგეთში ავტორიტარული ტენდენციების ზრდას, რამაც თავისი გამოხატულება პოვა საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებულ ახალ სსსკ-ში, რომელმაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება-გარდაქმნით წარმოქმნილი სტატუს-კეო ძალაში დატოვა – ჯერჯერობით, საბოლოოდ!..

ჩანართი №8

### **პროფესიული პრინციპებისადმი ერთგულების ერთი მისაბაძი მაგალითი**

გარკვეულ ისტორიულ მიზეზთა თუ ფაქტორთა ერთობლიობის გამო, საფრანგეთში – ქვეყანაში, რომელმაც ჯერ კიდევ 1789 წელს მიიღო საყოველთაოდ ცნობილი დემოკრატიულ-ჰუმანური პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ (მის XVI მუხლში ჩაიწერა სამართლებრივი სახელმწიფოს ორი უძირითადესი ნიშანი: „საზოგადოებას, რომელშიც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა გარანტია და არ არის ხელისუფლების დაყოფა, არ გააჩნია კონსტიტუცია“) – 1962 წლისათვის ავტორი-

ტარულმა ტენდენციებმა იჩინა თავი. ისინი გამოიხატა საგანგებო თუ საეკონომიკური (რეპრესიული) სასამართლოების თუ მათი ინსტანციების რიცხვისა და კომპეტენციის ზრდაშიც. ამ ტენდენციებმა მალე ისეთი სახე და მასშტაბები მიიღო, რომ ცნობილმა იურისტმა, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოსთან არსებულმა გენერალურმა პროკურორმა, 1958 წელს მიღებული ახალი სსსკ-ის შემუშავებული კომისიის თავმჯდომარემ ა. ბესონმა პრეზიდენტ დე ვოლს პროტესტის ნიშნად გაუგზავნა განცხადება გადადგომის თაობაზე, რომელშიც წერდა: „თუ მე დაეთანხმდებოდი მთავრობის მრჩევლად (ასეთად ითვლებოდა გენერალური პროკურორი თანამდებობრივად, ტრადიციისამებრ. – ი.გ.) დარჩენას, მე ამით, ჩემი დუმილით, თანხმობას მივცემდი იმ დოქტრინას, რომლის დემოკრატიული ტრადიციებისადმი წინააღმდეგობაც მას ჩვენს ქვეყანაში არსებობის საპატიო უფლებას ართმევს“ [136, გვ. 32].

აი, პროფესიული პრინციპებისადმი, დემოკრატიის იდეალებისადმი ერთგულების, კეთილშობილური, პრინციპული სამოქალაქო პროტესტის აქტიურად გამოხატვის კიდევ ერთი ღირსეული, მისაბაძი მაგალითი, რომელსაც, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, რაიმე ღირსეული თანამედროვე „ქართული ანალოგი“ არ გააჩნია!..

## §4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „პირველი გამოჩენა“ ცარისტულ რუსეთში

### 4.1. საერთო ფონი და არსებითი წანამძღვრები. დაფუძნება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში 1864 წელს ჩატარებული ცნობილი პროგრესული, მასშტაბური რეფორმის პირმშოა. სასამართლო რეფორმა, თავის მხრივ, განპირობებული იყო მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჩამოყალიბებული უაღრესად ბიუროკრატიზებულ-კორუმპირებული სასამართლო სისტემით, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა თვით მმართველი წრეების წარმომადგენელთა შორისაც კი [360, გვ. 246]. ყირიმის ომში თვითმპყრობელური რუსეთის დამარცხებამ გააღრმავა კრიზისული სიტუაცია ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, რაც, თავის მხრივ, იწვევდა არა მარტო დაბალი ფენების, არამედ რუსული ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის გააქტიურებას – ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმით გამოსვლებს. გზის გაკაფვას ითხოვდა სულ უფრო მზარდი ბურჟუაზია.

აღნიშნული ფაქტორების (პროცესების) გავლენით, 1861 წლის 13 თებერვალს აღექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მანიფესტს ყმა გლეხების გათავისუფლების შესახებ. ჩატარდა მიწის მასშტაბური რეფორმა, რასაც მოჰყვა სხვა რეფორმებიც, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო 1864 წლის სასამართლო რეფორმა. მისი სამართლებრივი ბაზა გახდა ახალმიღებული „კანონი სასამართლო წყობილების შესახებ“, ახალი საპროცესო კოდექსები „სასამართლო წესდებების“ სახელწოდებით, რომლებიც შეტანილ იქნა „კანონთა კრების“ XIV ტომში. სასამართლო რეფორმამ დააფუძვნა იმჟამად ყველაზე პოპულარული სასამართლო სტრუქტურა – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო [იქვე, გვ. 266].

სასამართლოთა რეორგანიზაციის გარდა, ამავე რეფორმის ფარგლებში დაიხვეწა პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო გამოძიებლის ინსტიტუტი (ფრანგული საგამოძიებო მოსამართლის



რუსული ვარიანტი), შემოღებულ იქნა საქვეყნოობის, ზეპირობისა და შეეჯიბრებითობის პროგრესული საპროცესო პრინციპები, რის შედეგადაც სისხლის სამართალწარმოება საბრალდებო-სამძებროდან გახდა შერეული ტიპის. შეიქმნა სასამართლო ორგანოთა ინსტანციური, მკაფიო სისტემა. კერძოდ, გარდა ადგილობრივი სასამართლოებისა, არსებობდა: ა) საოლქო სასამართლო, რომელიც, როგორც წესი, პირველი ინსტანციით, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობითაც, იხილავდა საქმეებს; ბ) სასამართლო პალატა, რომელიც ძირითადად სააპელაციო ინსტანცია იყო, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ისევე, როგორც სხვა სასამართლო სტრუქტურები, პირველი ინსტანციითაც იხილავდა საქმეებს იმავე წესით ანუ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით; გ) სენატი, რომელიც წარმოადგენდა უმაღლეს ინსტანციას – საკასაციო სასამართლოს [იქვე, გვ. 268-269].

თუ რამდენად პროგრესული, ევროპული (ძირითადად – ფრანგული და ინგლისური) სისტემებისადმი მისადაგებული იყო ეს რეფორმები, თვალნათლივ ჩანს თუნდაც ზერელე შედარებიდან რუსეთში მანამდე არსებულ სისტემასთან. ასე, მაგალითად, მიუხედავად პეტრე პირველის მიერ, პოლიციური სახელმწიფოს გაძლიერების პროცესში გადადგმული ცალკეული პროგრესული ნაბიჯებისა (მათ შორის სასამართლო განხილვის სტადიაზე მინიმალური შეეჯიბრებითობის დანერგვის მცდელობისა), ეკატერინე პირველის და, განსაკუთრებით, „სისხლიანად“ წოდებული ანა იოანეს ასულის იმპერატორობისას, რუსეთის სასამართლოები ადამიანთა მასობრივად წამება-რეპრესირების იმდენად არაადამიანურ ინსტრუმენტებად იქცნენ, რომ, როგორც ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, მათი სისასტიკენი აღწერასაც კი არ ექვემდებარებოდა, ვითარცა „ცხელების ბოღვა და ჭკუაზე შემლა“. ალექსანდრე პირველმა, მართალია, წამება ოფიცალურად გააუქმა, ნიკოლოზ პირველმა კი 1835 წლიდან პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც კი მიიღო (როგორც რუსეთის კანონთა კრებულის ნაწილი – XV ტომი), მაგრამ ეს იყო „წარსულის კოდექსი“ რაიმე მნიშვნელოვანი ნოვაციების – ახალი იდეებისა და დებულებების გარეშე. როგორც ცნობილი მეცნიერი და პრაქტიკოსი ა.ფ. კონი წერდა, ეს კოდექსი იმდენად აბნეულ-დაბნეულ

საპროცესო მოთხოვნებს შეიცავდა, რომ ზოგჯერ იმის დადგენაც კი ჭირდა, თუ რომელი სასამართლოს განსჯადი იყო საქმე, რის გამოც საქმეები უსასრულოდ მოძრაობდნენ ერთი სასამართლოდან მეორეში, ზემოთ, იქიდან ისევ პირველ ინსტანციაში, საიდანაც კვლავ იწყებდნენ ანალოგიურ მოძრაობას, რაც წლობით, ზოგჯერ კი ათწლეულობითაც გრძელდებოდა!..

ჩანართი №9

### **ა.ფ. კონი ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს შემოღების წინაპირობების, მომზრეებისა და მოწინააღმდეგეების შესახებ**

პეტრე პირველის მიერ „ევროპაში გაჭრილი ფანჯრიდან“ შემოღ-  
წეულ საგანმანათლებლო იდეათა ვაგლებით (მათ შორის ფრანგი ენციკ-  
ლოპედისტ-განმანათლებლებისა, რომელთაც ღიღი ზეგავლენა ჰქონდათ  
კატერინე მეორეზე) რუსეთში დაწყებული ცალკეული „ლიბერალური  
დეკორაციები“, ცხადია, სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი აქ არსებული  
მძიმე ბატონყმურ-თვითმპყრობელობური რუსული რეალობის რამდენადმე  
მინც შესაცვლელად. მაგრამ ამ იდეებმა ააფორიაქა რუსული პოლი-  
ტიკურ-სახელმწიფოებრივი თუ სამართლებრივი აზროვნება.

მასშტაბური სამართლებრივი (მათ შორის და უწინარესად – სა-  
სამართლო) რეფორმების საჭიროების კონტექსტში, ა. კონის მტკიცე-  
ბით, რუსულ ლიტერატურაში 1858 წლიდან გაისმოდა ხმები „ნაფიცი  
მსაჯულთა უპირატესობების შესახებ“ – როგორც ცხოვრებისეულ,  
ბალნის, საზოგადოების სინდისისკენ, ზნეობრიობისკენ, თანალობისკენ,  
ქრისტიანული გულმოწყალებისკენ მიმართულ სასამართლოზე; ცხადია,  
გაჩნდნენ გააფთრებული მოწინააღმდეგეებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ,  
რომ, რუსეთელი უკიდურესად გაუნათლებელი, ბნელი მასების მარ-  
თლშეგნების განუვითარებლობა-ბუნდოვნობის ვითარებაში, ამგვარი  
სასამართლოს შემოღება გაუმართლებელია. გრაფი ბლუდოვი წერდა,  
რომ უბრალო რუსეთს არ ძალუძს გაარჩიოს „კანონი – უფროსის  
ბრძანებისაგან, მართლმსაჯულება – შეწყალებისაგან და დამნაშავე  
– უბედურისაგან“ [195, გვ. 85]. სხვები მიუთითებდნენ, რომ ნაფიცი  
მსაჯულთა სასამართლო არის პოლიტიკური დაწესებულება – რო-

გორც თავისი წარმოშობით, ისე ზასათით, ამასთან, იგი დასავლური ნიშნის სახელმწიფო დაწესებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია და არაფერი აქვს საერთო რუსეთის თვითმპყრობელურ რეჟიმთან [იქვე]. მიუხედავად ამისა, ამ ინსტიტუტის მომხრეებმა (რომელთა შორის გამოირჩეოდნენ დ.ა. როვინსკი და ს.ი. ზარუნნი) გაიმარჯვეს. როგორც ჩანს, სახელმწიფო კანცელარიაში ირწმუნეს მათი არგუმენტები, რომ, ცხოვრებისეული გამოცდილების გამოყენებით, რუსეთელ რიგით ადამიანებსაც ძალუძთ მართლმსაჯულების განხორციელება. ამასთან, რაც მთავარია, ნებისმიერი ფორმის მმართველობისას, ხელისუფლებას, ამ ინსტიტუტის შეზღუდებით, საშუალება ეძლევა თავიდან აიცილოს მორალური პასუხისმგებლობა მის მიერ დანიშნულ, რუტინასა და გულგრილობაში ჩაძირულ მოსამართლე-ჩინოვნიკთა შეცდომების გამო [იქვე].

#### 4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სტრუქტურა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი ელემენტისაგან:

ა) პროფესიონალური ელემენტი – მეფის ანუ სახელმწიფო მოსამართლე ანდა ამგვარ მოსამართლეთა სამკაცციანი კოლეგია; 1) ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი კოლეგია. ეს უკანასკნელი შედგებოდა გარკვეული კრიტერიუმებითა და დადგენილი პროცედურებით (აცილებათა ჩათვლით) შერჩეული არაპროფესიონალი პირებისაგან, რომლებიც რიტუალური პროცედურის – ფიცის დადების – შემდეგ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. სხლომას თავმჯდომარეობდა პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც, ინგლისური კლასიკური მოდელის შესაბამისად, არ მონაწილეობდა ფაქტის ანუ დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. სამაგიეროდ, იგი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე წყვეტდა ყველა სამართლებრივ საკითხს – როგორც საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, ისე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასჯელის დანიშნისას. ნაფიც მსაჯულებს მოსამართლე უწევდა პერმანენტულ – წინასწარ და მიმდინარე – სამართლებრივ კონსულტაციას, ხოლო, სათათბიროდ გასვლის წინ, მათ მიმართავდა

სადამრიგებლო სიტყვით (напутственное слово). მსაჯულები თავიანთი რიგებიდან ორჩევდნენ ხელმძღვანელს (თავმჯდომარეს), რომელსაც ერქვა მამასახლისი (старшина – ამ სიტყვის „არასამხედრო“ მნიშვნელობით). ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე მოსამართლის (მოსამართლეთა კოლეგიის) მიერ დადგენილი განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ საკასაციო წესით (ანუ მხოლოდ სამართლებრივი საფუძველებით, რადგან ფაქტი ითვლებოდა „შეუვალად“ დადგენილად), უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში – სენატში.

#### 4.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენცია (განსჯადობა), მისი ფუნქციონირება და მათი „მეტამორფოზები“

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი იყო „უფრო მძიმე დანაშაულები“, ნაკლებად მნიშვნელოვან დანაშაულთა საქმეებს კი განიხილავდნენ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. საქმეთა ნაწილი (კერძოდ, სახელმწიფო დანაშაულთა საქმეები) განიხილებოდა წოდებრივი წარმომადგენლების (მემამულეთა, ვაჭართა, ჩინოვნიკთა და ა.შ.) მონაწილეობით. საოლქო სასამართლოს განსჯად საქმეებზე წინასწარ გამოძიებას ახორციელებდნენ სასამართლო გამომძიებლები (судебный следователь) – პოლიციის დახმარებით, დანარჩენ საქმეებს კი იკვლევდნენ სხვადასხვა რანგისა და სპეციალიზაციის ორგანოები, ჟანდარმერია (ანუ პოლიტიკური პოლიცია) და ა.შ. სამართალში მიცემას, ყველა შემთხვევაში, ახორციელებდა სისხლის სამართლის საქმეთა პალატა (რომელიც, როგორც აღინიშნა, ძირითადად სააპელაციო ინსტანცია იყო, მაგრამ, ამასთან, ნაფიც მსაჯულთა ან წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციით იხილავდა ცალკეული კატეგორიის საქმეებს).

... ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები თავიდან მეტ-ნაკლები წარმატებით შეუდგნენ საქმიანობას (თავდაპირველად მათ ფუნქციონირება დაიწყო მხოლოდ პეტერბურგსა და მოსკოვში) და, როგორც უბრალო ხალხში, ისე პროგრესულ ინტელიგენციაშიც საკმაო ავ-

ტორიტეტი მოიხვეჭეს. ამის მიზეზი იყო გამამართლებელ განაჩენთა გამოტანის, განსასჯელთა მიმართ მანამდე არნახული გულმონყალემა-ჭუმანურობის გამოჩენის არაიშვიათი ფაქტები — ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა ამგვარი რამ მოსამართლე-ჩინოვნითა მიერ, ანდა წოდებრივი წარმომადგენლების მონაწილეობით ამ საქმეთა განხილვის შემთხვევებში, წარმოუდგენელი იქნებოდა. ამას მოჰყვა „მეხისებური“ ეფექტის მქონე ცალკეული გამამართლებელი ვერდიქტების გამოტანა არა მარტო წმინდა ყოფით-კრიმინალურ გახმაურებულ საქმეებზე, არამედ თვით მათთან რაიმე „კერძო“ მიზეზის გამო ხელოვნურად (!) გათანაბრებულ აჟიტირებულ პოლიტიკურ საქმეებზეც კი!.. მათგან ყველაზე ცნობილია ვერა ზასულიჩის ბრალდების საქმე, თავისი უაღრესად საინტერესო, მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ ნიშანდობლივი დეტალებით!..

...ამგვარ საქმეთა წყებას, ბუნებრივია, მეფის ხელისუფლების მძაფრი რეაქცია მოჰყვა, მით უმეტეს, რომ თანდათან გახშირდა რევოლუციური გამოსვლები. შესაბამისად, ხელისუფლება გადაჭრით დაადგა ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის შეკვეცა-შემცირებას, მისი ყოველმხრივ შევიწროების გზას.

ჩანართი №10

### **როცა ნაფიცი მსაჯულები... მათხოვრობენ!..**

*იმდროინდელი წყაროები მოწმობენ, თუ რა არაადამიანურ პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა პროვინციებიდან (ძირითადად სოფლებიდან) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განთავსების ადგილას ანუ ქალაქში ჩამოსულ ნაფიც მსაჯულებს. მათ რაიმე ანაზღაურებას სახელმწიფო არ აძლევდა. უფრო მეტიც, როცა ცალკეულმა საეროთა კრებებმა სოფლებიდან ნაფიც მსაჯულებად მიწვეული გლეხებისთვის სადღელამისო თანხების გაცემა დაადგინეს, ან კიდევ ასეთის დადგენეს სურვილი გამოთქვეს, „ცენტრმა“ მათ ეს სასტიკად აუკრძალა! და ეს მაშინ, როცა ქალაქში ნაფიც მსაჯულებად მიწვეული სოფლელები მეტწილად შიმშილობდნენ — ლუკმაპურის გარეშე იყვნენ დარჩენილნი. ამის გამო ზოგი სოფელში მიდიოდა საკვების წამოსაღებად,*

სხვები კი ქალაქში დროებით დგებოდნენ მეუზოველ, შეშის დამამოხად და ა.შ., ზოგი კი სხლობებს შორის შესვენებისას მათხოვრობითაც კი შოულობდა საკვების ფულს, მაგანი ავირავებდა ტანსაცმელს და ა.შ. [195, გვ. 162-163].

ხელისუფლებას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში ამოუდგნენ ხელახლა გააქტიურებული მისი მოწინააღმდეგენი. მათი ნაწილი გავეშებით ესხმოდა თავს ამ „ქუჩის სასამართლოს“, „ლატაკთა სასამართლოს“, გაჰკიოდნენ თითქოსდა „გამყიდველურობაზე“ ნაფიცი მსაჯულებისა, რომლებმაც ფიცი დადეს „არ გაამართლონ დამნაშავე და არ დასაჯონ უდანაშაულო...“ [იქვე, გვ. 164].

მიუხედავად იმისა, რომ 1894 წელს, სასამართლო პალატების უფროს თავმჯდომარეთა და პროკურორთა თათბირმა, მძაფრი დებატების შემდეგ, მხარი დაუჭირა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დატოვებას (არგაუქმებას), 1895-1896 წლებში მასზე თავდასხმები კვლავ განახლდა. ასე, მაგალითად, გამოვიდა რეფორმების ცნობილ მკვლევარ გ.ა. ჯანშიევის ბროშურა მყვირალა სათაურით: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გასამართლება“ [იქვე, ბოლოთქმა, გვ. 10]. სიტუაციას ამძაფრებდა ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ზოგიერთი მომხრე მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა. ასე, მაგალითად, ყველაზე გავლენიან გაზეთ „მოსკოვსკიე ველომოსტის“ რედაქტორი მ.ნ. კატკოვი, რომელიც თავიდან სასამართლო რეფორმას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხოტბას ასხამდა და გააფთრებით იცავდა თავდამსხმელთაგან, ახლა უკვე კატეგორიულად მოითხოვდა მის გაუქმებას!.. [იქვე, ბოლოთქმა, გვ. 2-3].

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ინსტიტუტმა, ასე თუ ისე, ბოლომდე გაუძლო თვითმპყრობელობის ტოტალურ ზეწოლას – იგი ფაქტობრივად გაუქმდა მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის კომუნისტური გადატრიალების შედეგად, არსებულ სისტემასთან ერთად. აქვე, სიზუსტისათვის შევნიშნავ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რევოლუციის შემდგომ კანონმდებლობაშიც მოიხსენიებოდა – 1922 წლამდე, მაგრამ მხოლოდ ფორმალურ-დეკლარაციულად [184, გვ. 31].

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ლ. ტოლსტოისა და თ. დოსტოევსკის თვალთახედვათა პრიზმაში ანუ აჩრდილები საბედისწერო კითხვისა: „pro et contra?“

ყველა დროის რუსული მწერლობის ეს ორი უდიდეს მწვერვალთაგანი, ვითარცა მე-19 საუკუნის რუსული სინამდვილის პირუთენელი მხატვრული მემატიანენი, ბუნებრივია, ვერ ასცდებოდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პრობლემატიკას. თვით ინსტიტუტის წინააღმდეგობრივი ბუნებიდან და მისი რუსეთში გამოყენების პრაქტიკის „სიჭრელიდან“ გამომდინარე, ისინი, ღირსებებისა და მთლიანობაში პოზიტიური როლის აღიარებასთან ერთად, საკმაოდ მძაფრდაც აკრიტიკებდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ლ.ნ. ტოლსტოიმ თავისი მეგობრის – ა. კონის მონათხრობი სიუჟეტის გამოყენებით [195,<sup>ა</sup> გვ. 191-196] შექმნილ ცნობილ რომანში „აღდგომა“, მისთვის ჩვეული ზღმშიწვენიითი სიზუსტით ასახა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ანატომია“ თუ პროცედურები.

...რომანში აღწერილი ნაფიც მსაჯულთა კორპუსი და მთლიანად სასამართლო სისტემა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. კერძოდ, რომანის მთავარი პერსონაჟის – თავად დიმიტრი ნეხლოუდოვის მონაწილეობით ნაფიც მსაჯულთა თორმეტკაციანი ჟიური იხილავს ვაჭარ სმელკოვის მოწამვლის საქმეს. აღნიშნულ დანაშაულში, ორ სხვა პირთან ერთად, ბრალი ედებოდა 27 წლის პროსტიტუტკა „ლიუბკას“ – ეკატერინა მასლოვას, რომელიც ქალიშვილობისას შეაყვინდა სწორედ ნეხლოუდოვმა. სასამართლო სხდომაზე საქმის მასალების განხილვის შედეგად, სათათბირო ოთახში, ნაფიცი მსაჯულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მასლოვა მართლაც დაშაშავეა გარკვეულ ქმედებებში, ოღონდ „გადარცვისა და სიცოცხლის წართმევის განზრახვის გარეშე“, რაც არსებითად ამსუბუქებდა მოსალოდნელ სასჯელს. ზეპირი განსჯივას ისინი ამ დასკვნამდე კი მივიდნენ, მაგრამ, გადაღლილობის გამო, წერილობით ვერდიქტში ამის აღნიშვნა... დაავიწყდათ!!! საკასაციო ინსტანცია – სენატი (რომელიც ისევე გროტესკულადაა აღწერილი, როგორც საოლქო სასამართლო), წმინდა ფორმალური მოსაზრებებით, საბედისწერო განაჩენს – 4 წლის ვადით კატორღას – ძალაში ტოვებს!.. [315,<sup>ა</sup> გვ. გვ. 388-417, 74-95, 288-294, 446 და სხვ.]

თ.მ. ლოსტოვესკი ასევე ძირისძირობაძღვე იცნობდა და „შეი-  
 გრძობდა“ კიდევ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, მით უმეტეს, რომ  
 თავის ტყავზე ჰქონდა გამოყვანილი რევოლუციამდელი ჩინოვნიკური  
 სასამართლოების მსახვრალი ხელი (კატორღაში გაე ზაენამდე ზომ მას  
 სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი და სიკვდილობისჯილთა საკანში  
 იჯლა განაწინის აღსრულების მოლოდინში!). მაგრამ, მოუხვდავად ამისა,  
 ლოსტოვესკი – ეს „რუსი ზალხის აჯადმყოფი სინდისი“ – შურიეგებელი,  
 სისასტიკეძღვე მკაცრი იყო მძიმე (ზოგჯერ საშინელი) დანაშაულის  
 ჩამდენთა გამართლების ფაქტების მიმართ. იგი კატეგორიულად ემი-  
 ჯნებოდა დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებული მარადიული  
 საკაცობრიო პრობლემების უხერხემლო ლიბერალურ-ჰუმანურ გადაწ-  
 ყვეტებს, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა მიერ, კერძოდ კი „გარემოს  
 თეორიის“ პოზიციებიდან (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად!)  
 გამოტანილ გამამართლებელ ვერდიქტებს მძიმე დანაშაულთა საქმე-  
 ბზე [127, გვ. 33]. მწერალი ესწრებოდა ვერა ზასულიჩის პროცესს  
 და მიაჩნდა, რომ მან „თავისი მოქმედებით სირცხვილი ჩამორეცხა  
 მღუმარე მართლმსაჯულებას“ (მხედველობაში ჰქონდა ზასულიჩის  
 მიერ, შურისძიების ნადავზე დაჭრილ პეტერბურგის თავის, გენერალ  
 ტრეპოვის დაუსჯელი თვითნებობა და ძალადობა დაპატიმრებული  
 სტუდენტის მიმართ). მაგრამ, ამისთან, ლოსტოვესკი თვლიდა, რომ  
 იურიდიულად ზასულიჩი გამართლებას კი არ იმსახურებდა, არამედ  
 ლმობიერებას – სასჯელის არგამოყენებას („წადი, შენ თავისუფალი  
 ხარ, მაგრამ შეორედ ეს არ ჩაიღინო“) [იქვე, გვ. 87-88]. რუსეთელ  
 ნაფიც მსაჯულთა მხრივ ხშირად გაუმართლებელი, უსამართლო  
 ვერდიქტების გამოტანას იგი ხსნიდა, ერთი მხრივ, ქვეყნის უნუგეშო  
 სოციალური ყოფით (რომელიც მძაფრ პროტესტს იწვევდა ზნეობრივად  
 მარტივ, ბნელ, არამთაზროვნე მასებში), მეორე მხრივ კი, ნაციონალურ-  
 ფსიქოლოგიური თავისებურებებით, მათ შორის, ნ. ბერდიაევის გამოთქმა  
 რომ ვიხმართ, აღამიანურობისა და სისასტიკის საოცარი შეზამებით.  
 ცნობილი რუსი ფილოლოგიისი ნ. ბერდიაევი – ამ საკითხის უდიდესი  
 მკვლევარი – იმასაც შენიშნავდა, რომ რუსეთელები დამნაშავეებს  
 „უბედურს“ (НЕЧАСТНЫМ) უწოდებდნენ და ამ კუთხითვე აფასებდნენ  
 (ამართლებდნენ) მათ მიერ ჩადენილ ზოგჯერ ამაზრზე დანაშაულსაც  
 კი. არადა, ლოსტოვესკის ყოველთვის მიაჩნდა, რომ დამნაშავემ, სანამ  
 უმკაცრეს სასჯელს – საკუთარი სინდისის\* (ქრისტიანულ მორალზე

\* ლოსტოვესკისგან განსხვავებით, ერის ფრომი მას უწოდებს „ავტორიტარულ სინდისს“, რამაც მოაზრებს „ხმან ინტეროპიზებული გარეშე ავტორიტეტისა – მშობლებისა, სახელმწიფოსი



აგებულის!) სამსჯავროს – იტვირთავს, მის მსგავს დაშინაშეგებთან ერთად წინასწარ უნდა გაიაროს ციხეები, კატორჯა და/ან გადასახლება. სასამართლო, თავისი დანიშნულებით, როგორც წესი, არ უნდა გასცილდეს ფორმალური კანონის მკაცრ საზღვრებს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მისი მხატვრული და პუბლიცისტური ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მკვლევარები მიუთითებენ, მთლიანობაში დოსტოევსკი არ იყო ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს წინააღმდეგი – საბოლოო ჯამში, იგი პოზიტიურად აფასებდა ამ ინსტიტუტს, ხოლო კრიტიკა ძირითადად მიმართული იყო ამ ინსტიტუტის ფუნქციონირების ნეგატიური მხარეების წინააღმდეგ – ისევე, როგორც მთლიანად 1864 წლის სასამართლო რეფორმისა. ამდენად, მთლიანობაში იგი სულაც არ აფასებდა მას ცალსახად ნეგატიურად და, მით უმეტეს, ისე ცინიკურად, როგორც ცნობილი რუსი მარქსისტი გ. პლენხანოვი, რომელიც წერდა: „რუსეთში რეფორმირებული სამართალწარმოება დარჩა ვეზოტიკურ გაზრწნილებად – იგი ისე უხდება რუსეთის მთელ სახელმწიფოებრივ წყობილებას, როგორც აბრეშუმის ცილინდრი მხეცის ტყავში გამოწყობილ ესკიმოსს“ [იხ. 127, გვ. 88].

---

ან სხვა რისიმე (მათ შორის რწმენისა, რელიგიური შეხედულებებისა... – ი.გ.), რომელიც აღმოჩნდება ავტორიტეტი ამა თუ იმ კულტურაში“. ფრომი ბიბლიურ მაგალითზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ „სინდისი ქვეყის უფრო უპეტეტო რეჟულატორს წარმოადგენს, ვიდრე შიში გარეშე ძალების წინაშე, ვინაიდან, თუ აღამანს ძალუმს თავი აარიდოს უკანასკნელ, მას არ ძალუმს გაეცქეს თავს და, მაშასადამე, ინტერიორიზებულ ავტორიტეტს, რომელიც მისი მე-ს ნაწილად იქცა“. და შემდეგ: „დასჯის შემდეგ ცოცხა გამოისიდულია და უსაფთხოება – აღდგენილი“ [101<sup>1</sup> გვ. 3-4, 6]. როგორც ეხედავით, დოსტოევსკი და ფრომი აქ საკითხს აყენებენ ინდივიდუალურ-ლოკალურად – განსხვავებით ჰანს კონგისაგან, რომელიც გლობალურ ანუ მსოფლიო ზნეობაზე აკეთებს აქცენტს. კრძობ, იგი მიიწინებს, რომ „... დროით განპირობებულობის მიუხედავად, მსოფლიო წესრიგს ფასი არ ექნება საყოველთაო და სავალდებულო ზნეობის გარეშე“ და ასკენის, რომ „არ დაწყარდება მსოფლიო წესრიგი, თვითნირ მსოფლიო ზნეობისა – არ გვიწერია გადარჩენა, თვითნირ მსოფლიო ზნეობისა“ [49, გვ. 71-72]. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ სამეფე ავტორის მიდგომა ხელოვნურ-იდეალისტური, რომანტიკულ-ირეალისტურია, რადგან „მსოფლიო ზნეობა“ ფიქტია, ფეგებრა, მირაჟია. ხოლო ინდივიდუალისათვის იმანენტურია პრაგმატული ინდივიდუალიზმი, ხშირად ვეოცენტრიზმი გადარწილი ეგოიზმი – აქედან გამოჰინარე მებ-ნაკლებად ამრალურ-ფსიქოლოგიური განწყობა-მიდგომებით. ამდენად, ამგვარ ინდივიდთა ერთობლიობა მსოფლიო ზნეობის „საშენ მასალად“ ვერ გამოდგება! ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო ისტორია დღემდე მხოლოდ ამას ამტკიცებს – მათ შორის იმანაც, რომ, როგორც დიდებული ქართული მწერალი ლევან გიოთა რომან „ლევი ლომისას“ პერსონაჟის პირით ამბობს, ყოფა-ცხოვრებამ, ტენიკამ გაუსწრა მორალს და დღეს რეაქტიულ თვითშეინადეში მჯდომი აღამანი თავისი ზნეობით ცვლავ ქვის ხანაში ანუ გამოქვაბულში იძყოფება (ამის დასტურად შევიკილია გაუისხნეთა თუნდაც დანაშავეობის რაოდენობრივი ზრდისა და ხარისხობრივი გაუარესების შეუქცევალი მსოფლიო ტენდენცია, მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე ლამის „აფეთქებული“ მოდერნიზებული მონობა – ტრეფიკინგი და ა.შ.).

თავი II. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო  
თანამედროვე მსოფლიოში: დაკნინების ხანგრძლივი  
ტენდენციის მიუხედავად, უუნებლობის ბრძოლა

§1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკუსვლა-დაკნინების  
ტენდენცია და მისი შედეგები (პარამეტრები)

1.1. რომელ ქვეყნებში გაუქმდა თუ გადაკეთდა ნაფიც  
მსაჯულთა სასამართლო?

როგორც ზემოთ უკვე შევნიშნე, ნაფიც მსაჯულთა სასამართ-  
ლოს „ოქროს საუკუნეებს“ მოჰყვა მისთვის მეტად „ხიფათიანი“ XX  
საუკუნე, რომელმაც ეს ინსტიტუტი იმსხვერპლა მრავალ ქვეყა-  
ნაში – მეტწილად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ  
„რყევებთან“ დაკავშირებით. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი  
რიგ ქვეყნებში ტრანსფორმირებულ იქნა შერეულ კოლეგიადად, ზოგან  
უცერემონიოდ გააუქმა რეაქციულმა რეჟიმმა და ა.შ. აღნიშნული  
ტენდენცია, ვფიქრობ, კარგად ჩანს ქვემოთ შემოთავაზებულ სქე-  
მაში, რომელიც, ამასთან, შეიცავს კომპაქტურ ცნობებს ამ ქვეყნებში  
ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნის, არსებობის ხანგრძლივობის,  
გაუქმების თუ გადაკეთების თარიღებისა და მიზეზების შესახებ (იხ.  
სქემა №3). ცხადია, ეს სია არ აცხადებს პრეტენზიას ზედმიწევნით  
სიზუსტეზე (როგორც ქვემოთ ვნახავთ – რაოდენ პარადოქსულადაც  
არ უნდა ჟღერდეს! – ამ დარგში მომუშავე ამერიკელ, რუს და სხვა  
ქვეყნების მეცნიერებს ზედმიწევნით ზუსტი მონაცემები მსოფლიოში  
ამჟამად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მქონე ქვეყნების საერთო  
რიცხვის თაობაზეც კი არ გააჩნიათ!..), თუმცა, ამასთან, იგი პრაქტი-  
კულად სრულია და, ისევე, როგორც ქვემოთ მოტანილ სხვა სქემებში  
მითითებული მონაცემები, სისრულე-სიზუსტის თვალსაზრისით სავსე-  
ბით უპასუხებს (შეესაბამება) მეცნიერული კვლევის საიმედოობის  
(უწინარესად, რეპრეზენტატიულობის) სტანდარტებს.

ქვეყნები, სადაც არსებობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (კლასიკური ან მასთან მიახლოებული მოდელი) და ამჟამად გაუქმებულია

	ქვეყნის დასახელება	რომელ სამართლებრივ სისტემას ეკუთვნის	რა პერიოდში არსებობდა ეს ინსტიტუტი	შენიშვნები (მათ შორის გაუქმების მიზეზთა შესახებ)
1.	ავსტრია	რომანულ-გერმ.	1849-1850, 1873-1977	პირველად გაუქმდა 1850 წელს, სსსკ-ში ცვლილების შეტანის გამო; 1873 წელს აღდგა 1869 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. 1977 წელს შეიცვალა შეფენების სასამართლოთი.
2.	გერმანია	რომანულ-გერმ.	1847-1924	1877 წელს გაუქმებას გადაურჩა კომპრომისის წყალობით. გაუქმდა ვაიმარის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ – რეფორმების ეგიდით.
3.	ვენესუელა	რომანულ-გერმ. (ლათინოამერიკული ჯგუფი)	1999-2001	შექმნა ექსპერიმენტის წესით. შეცვალეს შეფენების სასამართლოთი (იხ. კომენტარი)
4.	იაპონია	შერეული (რომანულ-გერმ., ანგლოსაქსური და ადგილობრივი)	1923-1946	იაპონურმა სისტემამ ვერ იგუა (ამჟამად მისი სასამართლო სისტემა მხოლოდ პროფესიონალებისაგან კომპლექტდება).

5.	იტალია	რომანულ-გერმ.	1865-1931	შეიცვალა შერეული კოლექციებით – ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ
6.	ლუქსემბურგი	რომანულ-გერმ.	1848-1968*	შეიცვალა შერეული კოლექციებით.
7.	მალაიზია	შერეული (ანგლოსაქსური და ადგილ.)	1896-1994	შეიცვალა შერეული კოლექციებით.
8.	საბერძნეთი	რომანულ-გერმ.	1834-1968	შეიცვალა შერეული კოლექციებით.
9.	საფრანგეთი	რომანულ-გერმ.	1808-1942**	გაუქმდა გერმანული ოკუპაციისას, ვიშის რეჟიმის მიერ – შეიცვალა შერეული კოლექციებით
10.	სინგაპური	ანგლოსაქსური მუსულმ. ელემენტებით	გაუქმდა – 1959 წ. – ნაწილობრივ, ხოლო 1969 წ. – მთლიანად	შეიცვალა შერეული კოლექციებით
11.	უნგრეთი	რომანულ-გერმ.	1896-1919	გააუქმა ხორტის რეჟიმმა
12.	ჩეხეთი	რომანულ-გერმ.	1867-1923	შეიცვალა შერეული კოლექციებით.

\* ზოგიერთ წყაროში მითითებულია 1987 წელი.

\*\* ზოგიერთი წყაროში მითითებულია 1945 წელი (იხ. ზემოთ).

## 1.2. სქემის აუცილებელი კომენტარი ორი დასკვნითურთ

⊗ იმ თორმეტი ქვეყნიდან, რომელთაც პქონდათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და საბოლოოდ უარი თქვეს მასზე\*, 9 რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემისაა, 2 – შერეული – უპირატესად ანგლოსაქსური ელემენტებით (სინგაპური და მალაიზია), 1 – „კლასიკური“ შერეული (იაპონია). ეს მონაცემები საკმაო საფუძველს იძლევა დასკვნისთვის, რომ ანგლოსაქსურზე ძნელად სწორედ რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნები იგუებენ ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ამ პირშმოს. თუმცა, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, არც ანგლოსაქსური სისტემის ელემენტების ღომინირებაა ამ შემთხვევაში „გადარჩენის“ გარანტია, თუ პანაცეა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე განვმარტავ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, რომელთაც გააუქმეს ეს ინსტიტუტი, თავისებურ ტერმინოლოგიურ გადმონაშთად („ატავიზმად“) დარჩა სახელწოდება „ნაფიცი მსაჯულები“, რაც, ცხადია, საქმის არსს არ ცვლის. კერძოდ, ასე მოხდა საფრანგეთში, სადაც დარჩა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ალმნიშენელი ტერმინი: „cours d'assises“, [136, გვ. 15]. გერმანიაში – Schwurgericht (გერმანულ ენაში იხმარება აგრეთვე მეორე ტერმინიც – Geschworenengericht), იტალიაში – corte de assises, პორტუგალიაში juri [იხ. 136, გვ. 318].

⊗ თუ, ამ 12 ქვეყანასთან ერთად, რუსეთისა და ესპანეთის მაგალითებსაც გავითვალისწინებთ, აშკარაა შემდეგი კანონზომიერება: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება, როგორც წესი, უკავშირდება ანტიდემოკრატიულ, რეაქციულ-ტოტალიტარულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ რეჟიმებს – ფაშისტურს, კომუნისტურს, ტერორისტულ-დიქტატორულს და ა.შ. (რუსეთის მაგალითი უკვე აღინიშნა, ესპანეთისაზე ქვემოთ იქნება საუბარი). ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკელი მეცნიერი ს. თემანი აღნიშნავს, რომ „... კონტინენტური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ემთხვეოდა ლიბერალური რეფორმების ეპო-

\* შესაბამისად, ამ სიაში არ მოხვედრილან ესპანეთი (სადაც ორჯერ იყო გაუქმებული და კვლავ აღდგენილი ეს ინსტიტუტი) და რუსეთი (სადაც 1917 წელს ფაქტობრივად გაუქმებული ეს ინსტიტუტი აღდგენილ იქნა 1993 წელს).

ქას, ხოლო მისი გაუქმება – ტოტალიტარული ან დიქტატორული რეჟიმების დამკვიდრებას... ერთადერთი გამონაკლისი იყო გერმანია, სადაც ვაიმარის დემოკრატიულმა მთავრობამ გააუქმა კლასიკური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა არადემოკრატიული გზით“ [68, გვ. 317-318]. XXI საუკუნეში ამას დაემატა კიდევ ერთი გამონაკლისი „ვენესუელის ექსპერიმენტის“ სახით, რომელზეც, ვფიქრობ, ცალკე შეჩერება ღირს.

### 1.3. უიღბლო ვენესუელური ექსპერიმენტი: მიზეზთა ძიებაში

1991 წელს შემუშავებული სასამართლო რეფორმის კონცეფციის შესაბამისად, ვენესუელის 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა შემოიღო (1999 წლიდან) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. იგი განიხილავდა იმ დანაშაულთა საქმეებს, რომელთა გამოც კანონი სასჯელის მაქსიმუმად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 16 წელზე მეტი ვადით. ამასთან, 4-დან 16 წლამდე სასჯელს ან საქმეებს იხილავდა შეფენების სასამართლო 1 პროფესიონალი მოსამართლისა და 2 შეფენის („სახალხო მსაჯულის“) შემადგენლობით, ხოლო უფრო მსუბუქ დანაშაულთა საქმეებს მოსამართლე იხილავდა ერთპიროვნულად. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორ წელზე მეტ ხანს ფაქტობრივი (რეალური) ფუნქციონირების შემდეგ, 2001 წლის ნოემბერში, ექსპერიმენტი შეწყვეტილ იქნა – სსსკ-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაუქმდა – გადაკეთდა ზემოთ მითითებულის ანალოგიურ შეფენების სასამართლოდ. ს. თემანის ცნობით, ოფიციალურად, გაუქმება მოხდა ორ ძირითად მოტივზე (მიზეზზე, გარემოებაზე) მითითებით: ა) მეტისმეტად მაღალი იყო ამ სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენთა პროცენტული მაჩვენებელი და ბ) ამ ფორმის სამართალწარმოება მეტისმეტად ძვირი ჯდება [309, გვ. 66-69]. ანალიტიკოსები კი მიუთითებენ, რომ, სინამდვილეში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, მისი ფუნქციონირების პირველ წელიწადს (1999 წლის ივლისიდან),

საქმეთა გაცვლებით ნაკლებ პროცენტზე (!) გამოიტანა გამამართლებელი განაჩენები, ვიდრე შეფენების სასამართლომ. აქ ძალის თაყი, მათი აზრით, სხვაგან იყო დამარხული. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა და შეფენთა გამოკითხვებმა (ინტერვიუების მეთოდით გამოკვლევა) ცხადყო, რომ მათ ეშინოდათ (!) პროცესებში მონაწილეობის მიღება, განსაკუთრებით მკვლელობათა და ნარკოტიკულ დანაშაულთა საქმეებზე – უსაფრთხოების გარანტიის არარსებობის (და, შესაბამისად, ზემოქმედების თუ ანგარიშსწორების მაღალი რისკის) გამო. ამიტომ, ნაფიც მსაჯულთა 9-კაციანი ჟიურის დასაკომპლექტებლად აქ საჭირო ხდებოდა მსაჯულად გამწესების კანდიდატთა 4 და 5 ჯგუფის გამოძახება და, შესაბამისად, ჟიურის დასაკომპლექტებლად ზანგრძლივი პროცედურების ჩატარება. ამასთან, სპეციალისტთა აზრით, ამას საკმაოდ მყარი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა: ვენესუელა ამ პერიოდში ძალადობით დანაშაულთა ხვედრითი წილით მსოფლიოში მე-6 ადგილზე იყო!.. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ 23-მილიონიან ქვეყანაში 1999 წელს დაფიქსირდა დაახლოებით 6.000 მკვლელობა [იქვე, გვ. 66-68].

ვფიქრობ, უინტერესო არც იმის აღნიშვნა იქნება, რომ ვენესუელაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება უცაბედად კი არ გადაწყვეტილა, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს ამ ქვეყნის ლამის ისტორიული, დიდი ხნის დაუინებელი „იურიდიული განზრახულობა“ იყო. საკმარისია აღნიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების თაობაზე ჩაწერილი იყო ვენესუელის 1811, 1819, 1821, 1830 და 1858 წლების კონსტიტუციებსა და ამ პერიოდების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში, მაგრამ შტატებს, რომელთა კომპეტენციაშიც შედიოდა ამ საკითხის გადაწყვეტა, ეს არ აღუსრულებიათ [იქვე, გვ. 66]. ასე გაგრძელდა მე-20 და 21-ე საუკუნეების გასაყარის ზემოხსენებულ უიღბლო ექსპერიმენტამდე – ინსტიტუტმა ვერც ამჯერად „იხარა“ ვენესუელურ ნიადაგზე...

#### 1.4. ინსტიტუტის „მესამედ მოსული“ ესპანური ვარიანტი, მისი „ფათერაკებიანი“ წარსული და აწმყო

ესპანეთი, ფაქტობრივად, აბსოლუტური „ჩემპიონია“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმება-აღდგენის სიმრავლის მიხედვით, ასევე, გადაწყვეტილებათა მიღება-შესრულების დამუხრუჭება-შეჩერებათა მაჩვენებლებით. „იმის მიუხედავად, – წერს ს. თემანი, – რომ ესპანეთის 1812, 1837 და 1869 წლების კონსტიტუციები აღგენდნენ გარკვეული ტიპის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესს, ამ ინსტიტუტმა საკანონმდებლო რეგულირება მხოლოდ 1872 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და, საბოლოოდ, 1888 წლის „ნაფიც მსაჯულთა შესახებ“ კანონში პოვა. ეს კანონი მოქმედებდა 1888 წლიდან 1923 წლამდე. შემდეგ მისი მოქმედება შეჩერდა (ფაქტობრივად გაუქმდა. – ი.გ.) პრიმო დე რივერას დიქტატურის პერიოდში და კვლავ განახლდა 1931-1936 წლებში“ [68, გვ. 317-318]. 32 წლის შემდეგ, 1978 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციაში (მუხ. 125) ჩაიწერა, რომ „მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მეშვეობით, აგრეთვე ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე – ტრადიციულ და მოქმედ სასამართლოებში, კანონით გათვალისწინებულ პირობებში“ [189, გვ. 72-73]. ამ კონსტიტუციური ნორმის არაიმპერატიულობის (მეტიც, რალაცნაირი „ლაბილურობის“) შედეგიც იყო, როგორც ჩანს, ის გარემოება, რომ ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეალურად შექმნას – „მესამედ მოსვლას“ – დასჭირდა... 17 წელი! დროის ეს შუალედი კი დაეთმო დისკუსიებს იმის თაობაზე, თუ რომელი სისტემა უნდა ყოფილიყო მიღებული და როგორი თავისებურებებით [68, გვ. 6].

... ისედაც ისტორიულად არაერთგზის ფათერაკგამოვლილი ესპანური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერც ამჯერად გადარჩა განსაცდელთა გარეშე. ამ სისტემის არასტაბილურობის („მორყევის“) სხვა სიმპტომებთან ერთად, მეტად მძიმე განსაცდელის მაუწყებელი აღმოჩნდა ახალგაზრდა ბასკი ნაციონალისტის – მიქელ ორტეგის



საქმე. მას ბრალი ედებოდა ორი ბასკი პოლიციელის მკვლელობაში. ორტევი 1997 წლის 7 მარტს გამართლებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ, შეზღუდულ შერაცხადად ცნობის გამო, რაც (შეზღუდული შერაცხადობა), ჟიურის აზრით, გამოწვეული იყო სიმთვრალეში მის მიმართ პოლიციელთა მხრივ ძალადობით გამოწვეული ძლიერი სულიერი აღელვებით. ამ ვერდიქტმა ესპანეთის საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია, რადგან მიაჩნდათ, რომ ვერდიქტი არ შეესაბამებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებული იყო ან ბასკი ნაციონალისტებისადმი სიმპათიით, ან მათი მხრივ შურისძიების შიშით. ამან წარმოშვა მოთხოვნები (მათ შორის პოლიტიკური პარტიების მხრიდან) ნაფიც მსაჯულთა სისტემის გაუქმების ან ბასკების ქვეყანაში მისი დროებითი შეჩერების თაობაზე [68, გვ. 316-317, 341]. მაგრამ, პარტიათა შორის კომპრომისის წყალობით, ნაფიც მსაჯულთა შესახებ სპეციალური კანონით შემოღებული ეს „მრავალტანჯული“ ინსტიტუტი გადარჩა და დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას. ამას, როგორც ჩანს, ხელი იმანაც შეუწყო, რომ „ფრანკოს დიქტატურის შემდგომ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფორმით მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა დემოკრატიული რეფორმის ქვაკუთხედად მოიაზრებოდა“ [68, გვ. 317].

დასასრულ, მიმაჩნია, რომ ვენესუელური, ესპანური და რიგი სხვა ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ფათერაკებიანი „ოდისეა“ ფრიად ნოყიერ საინფორმაციო – ანალიტიკურ მასალას იძლევა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების პრობლემატიკის გონიერულად, გამოწველილვით განსჯისათვის და ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მისაღებად.

## 1.5. რუსეთი: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ „ფეხი იბრუნა“

თითქმის 76-წლიანი „იძულებითი შესვენების“ შემდეგ, 1993 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში დაბრუნდა – 1 ნოემბრიდან იგი ექსპერიმენტის წესით დაინერგა ფედერაციის 5 სუბიექტში (სტაეროპოლის მხარე, ივანოვოს, მოსკოვის, რიაზანისა და სარატოვის ოლქები), 1994 წლის 1 იანვრიდან კი – კიდევ 4 სუბიექტში (ალტაისა და კრასნოდარის მხარეები, როსტოვისა და ულიანოვსკის ოლქები).

რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სისტემის ხელახალი დანერგვის აუცილებლობის იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის კვირაძალს, ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში მომწიფდა. ამან საკანონმდებლო გამოხატულება პოვა 1989 წელს მიღებულ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონმდებლობის საფუძვლებში“. კერძოდ, ეს კანონი მოკავშირე რესპუბლიკებს უფლებას აძლევდა თავიანთ კანონმდებლობაში გაეთვალისწინებინათ განსასჯელის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს („სახალხო მსაჯულთა გაფართოებული კოლეგიის“) მიერ, იმ დანაშაულთა საქმეებზე, რომლებზეც კანონი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ან თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით. ეს დებულება 1991 წლის 1 ნოემბერს იმპლემენტირებულ იქნა რსფსრ-ის კონსტიტუციაში [178, გვ. 6]. ამ იდეამ უფრო კონკრეტული და ოპერატიული, ამასთან, მეტად ჭარბი ლიბერალურ-რომანტიკული ფერებით გაჯერებული ასახვა პოვა 1991 წლის დეკემბერში რსფსრ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწონებულ „რუსეთის ფედერაციაში სასამართლო რეფორმის კონცეფციაში“ [201, გვ. 80]. სსრ კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის ცალკე სახელმწიფოდ ფორმირების შემდეგ, მალევე, ამ ინსტიტუტის შემოღება საკანონმდებლო ფაქტად იქცა. კერძოდ, მხედველობაშია კანონები: ა) 1993 წლის 16 ივლისისა – სსსკ-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე; ბ) რუსეთის ფედერაციის 1993 წლის 12 დეკემბრის კონსტიტუცია

(მე-20 მუხლი და 47-ე მუხლის მე-6 პუნქტი); გ) კონსტიტუციური კანონები „რუსეთის ფედერაციის სასამართლო სისტემის შესახებ“ (მე-5 და მე-8 მუხლები), „რუსეთის ფედერაციის საშუალო სასამართლოების შესახებ“ (მე-10, მე-15 და 28-ე მუხლები). რაც მთავარია, როგორც უკვე ითქვა, ფედერაციის 9 სუბიექტში ექსპერიმენტირებით დაიწყო ინსტიტუტის პრაქტიკული დანერგვა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ კანონმდებლობა ამგვარ „შერჩევით“, ნაწილობრივ დანერგვას კი არ ითვალისწინებდა, არამედ მის შემოღებას მთელს რუსეთში (რასაც, ცხადია, კოლოსალური თანხები სჭირდებოდა). ამიტომ, რფ-ის საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარი გადაწყვეტა არაკონსტიტუციურად – მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დარღვევად მიიჩნია თავისი 1999 წლის 2 თებერვლის დადგენილებით [262, გვ. 5-6]. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ამ ინსტიტუტის მთელს რუსეთში დაუყოვნებლივ შემოღება საპროცესო და სხვა კანონმდებლობებში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით, აღნიშნულის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ 2001 წლის 18 დეკემბერს მიღებული ახალი სსსკ-ით, რომლის ძალითაც, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა 2004 წლის 1 იანვრიდან – გარდა ჩეჩნეთის რესპუბლიკისა, სადაც ამ ფორმის სამართალწარმოების შემოღება, ცნობილი რთული ვითარების გამო, გადაიდო 2007 წლის 1 იანვრამდე [229, გვ. 264-265].

უნდა აღინიშნოს, რომ 1993-2001 წლებში ინსტიტუტმა გაუძლო საკმაოდ დიდი ამპლიტუდის „რყევებს“. კერძოდ, პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა ერთი ნაწილი მოითხოვდა მის გადაკეთებას შერეულ (უფრო მეტად, ფრანგული ვარიანტის ანუ ასიზების) სასამართლოდ. სხვები მიიჩნევდნენ, რომ ნაფიც მსაჯულთა იურისდიქცია უნდა გავრცელებულიყო ყველა (მათ შორის, რაიონული სასამართლოების განსჯად) სისხლის სამართლის საქმეზე [305, გვ. 8]. არც ერთი ამ უკიდურეს პოზიციათაგანი არ იქნა გაზიარებული – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დარჩა მხოლოდ ფედერაციის სუბიექტთა დონეზე, ხოლო განიხილავს მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეებს – გარკვეული პირობების არსებობას, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

1.6. ინგლისი: ნაფიც მსაჯულთა „მოდელური“  
სასამართლოს დადმასვლა თუ იძულებითი  
მოდერნიზაცია დროის მოთხოვნათა შესაბამისად?

როგორც არ უნდა იყოს ჩვენი პასუხი სათაურში გამოტანილ კითხვაზე, ფაქტია, რომ ამ სფეროში პრობლემები არსებობდა და არსებობს. ამიტომ, სპეციალისტთა ნაწილის „ვერდიქტი“ ასეთია: ინგლისში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „... თანდათანობით მეტი სიმეტად ძვირ და ხანგრძლივ ინსტიტუტად ყალიბდება“ [ნმ, გვ. 18]. შედეგად კი, ამ ინსტიტუტის სამშობლოში, სადღეისოდ, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები შესამჩნევად შეძვირდა“, ამასთან, „იგი თითქმის მთლიანად გაუქმდა სამოქალაქო საქმეებზე“ [იქვე].

ამ ტენდენციას ინგლისში (და სხვა ქვეყნებშიც!) ხელს უწყობს ისეთი არახელსაყრელი ფაქტორიც, როგორცაა დამნაშავეობის და, შესაბამისად (საქმეთა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომდე და, საერთოდ, სასამართლომდელი „განთესვის“ ლამის ფილიგრანული, უნივერსალური, ყოვლისმომცველი სისტემის თუ „ტექნიკის“ ამოქმედების მიუხედავად!), განსახილველ საქმეთა რიცხვის განუხრელი ზრდა. ეს, თავის მხრივ, იწვევს ქვეყანაში ხელისუფლების (უწინარესად, მთავრობის) მხრივ დამნაშავეობის დემოკრატიული კონტროლის (ანუ, ჩვენთვის ტრადიციული გაგებით, დამნაშავეობასთან კანონშესაბამისი მეთოდებით ბრძოლის) გაძლიერების აუცილებლობას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამ ამოცანის გადასაჭრელ მექანიზმთა შორის ყველაზე ძვირადღირებული, მოუქნელი („ღროში გაწელილი“) და „ურჩია“. ამიტომ, რაიმე საგანგებო „შეთქმულების“ თუ „ბოროტი განზრახვის“ გარეშე, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ხელისუფლება — როგორც ინგლისში, ისე სხვა ქვეყნებში! — ნებისთ თუ უნებლიედ, გამუდმებით ცდილობს „ფეხებში გაბლანდული“ ამ ინსტიტუტის გაუქმებას თუ არა (ინგლისსა და მისთანა ტრადიციების მიმდევარ ქვეყნებში ეს განსაკუთრებით ძნელია, რადგან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, აქ ხალხის უძველესი უფლების სიმბოლოა, „ხალხური ელემენტის“,

მისი საღი აზრის, ზნეობისა და მართლშეგნების თავისებური კონტენსენციაა!), „შებოჭვასა“ და გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას მაინც!.. ხელისუფლების ამ მცდელობას, ბუნებრივია, მაშინვე უჩნდებიან მოწინააღმდეგეები... შედეგად, ათწლეულთა და ასწლეულთა მანძილზე, პერიოდულად გრძელდება ამგვარი „ბაგირის გადაქაჩვა“, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობს: რიგ ქვეყანაში და მეტწილად – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საზიანოდ, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში – მის სასარგებლოდაც!..

... ტრადიციულ ინგლისში, ისევე, როგორც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ყველაზე „მსხვილ“, ერთგულ „მომხმარებელ“ აშშ-ში, აგრეთვე რიგ სხვა ქვეყნებში „ბაგირი“ ამ ინსტიტუტის სასარგებლოდ არ გადაქაჩულა – პირიქით!..

როგორი იყო ამ არაერთგვაროვანი, ზიგზაგობრივი პროცესის პარამეტრები, დინამიკა, ეტაპები და შედეგები?

ინგლისის შესაბამისი მახასიათებლების მოკლე რეტროსპექტიული ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა:

⊗ ნაფიც მსაჯულთა კომპენტციის შევიწროება-შეკვეცის პროცესი უკვე მე-19 საუკუნის დამლევისთვის შეინიშნება. ასე, მაგალითად, 1879 წელს კანონმა ბრალდებულებს (განსასჯელებს) უფლება მისცა ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე მოეთხოვათ შეჯამებითი (გამარტივებული) წესით მაგისტრატთა სასამართლოში განხილვის დანიშვნა.

1925 წლის კანონმა განავრცო ამგვარ საქმეთა წრე.

1933 წლის კანონმა საერთოდ გააუქმა ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური და შეზღუდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა სამოქალაქო საქმეთა განხილვაში.

1952 წლის კანონით ზემოხსენებულ „შეზღუდვაში მოხვედრილ“ საქმეთა წრე კიდევ უფრო განივრცო.

1967 წლიდან დადგინდა, რომ ერთსულოვანი ვერდიქტი არაა აუცილებელი.

1965 წელს დაარსებული რეფორმების კომიტეტის ინიციატივით მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონი. კერძოდ, 1971 წლის კანონმა ახალი ეტაპი დაიწყო ინგლისური სასამართლო სისტემის რეფორმის საქმეში. იგი აღინიშნა (ხასიათდებოდა) სასამართლო

სისტემის ცენტრალიზაციით, სასამართლოთა „მობილურობის“ ზრდით და სასამართლო აპარატის უნიფიკაციით. ეს რეფორმა, ცხადია, შეეხო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტსაც. კერძოდ, დაარსდა ნაფიც მსაჯულთა ერთიანი სისხლის სამართლის სასამართლო, ამასთან, შეძგომი დემოკრატიზაციის მიზნით, 1972 წელს გაუქმდა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთათვის დაწესებული ქონებრივი ცენზი. გარდა ამისა, თუ მანამდე ნაფიც მსაჯულებად გასამწესებელი (პოტენციური) მოქალაქეების სიებს ადგენდნენ ადგილობრივი ორგანოები, ამ დროიდან უკვე სიებს ადგენდნენ ლორდ-კანცლერის მიერ დანიშნული ჩინოვნიკები – მთელი ქვეყნის (ინგლისისა და უელსის) ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან [124, გვ. 53]. კანდიდატის მინიმალური ასაკი შემცირდა 18 წლამდე. სიაში შეჰყავდათ ყველა, ვინც ირიცხებოდა პარლამენტის ან ადგილობრივი ხელისუფლების საარჩევნო სიებში. 1874 წლის 30 მარტიდან ამოქმედებულ ამ წესების შედეგად დიდად შეიცვალა ინგლისელ ნაფიც მსაჯულთა კონტინგენტი, რომელიც მანამდე ცალსახად შედგებოდა „უპირატესად შამაკაცებისაგან – საშუალო ასაკის, საშუალო ჭკუისა და საშუალო კლასისაგან“ (ლორდი ლეველინი). დემოკრატიზაციის შედეგად, დახლოებით 40%-მდე გაიზარდა გამამართლებელ ვერდიქტთა ხვედრითი წილი, რამაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე ახალი შეტევების ტალღა გამოიწვია...

1974 წელს მიღებულმა და დღემდე მოქმედმა კანონმა „ნაფიც მსაჯულთა შესახებ“, ყველა ზემოხსენებული კანონის ინტეგრირებით, შექმნა ერთიანი საკანონმდებლო ბაზა.

მოუხელავად ამისა, რეფორმირება კვლავ გრძელდებოდა. შეტანილი ცვლილება-დამატებებიდან აღსანიშნავია 1984, 1986 და 1994 წლების ნოვაციები, რომლებითაც გრძელდებოდა ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციის დახვეწა-დაზუსტების, ნაწილობრივ კი მისი შევიწროება-შეკვეცის ზემოხსენებული ტენდენცია [იქვე, გვ. 64].

თუ როგორია ინგლისური (ანუ „კლასიკური“) ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამჟამინდელი როლი, კომპეტენცია და პროცედურები, ქვემოთ, შესაბამისი საკითხების თემატური გაშუქებისას ვნახავთ.

## §2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „გეოგრაფია“ – გავრცელებულობა თანამედროვე მსოფლიოში (პარამეტრები და ცალკეული ტენდენციები)

### 2.1. საერთო ფონი და გავრცელებულობის სქემატური სურათი

ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ, როგორც აღინიშნა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მკვლევარებს ამ ინსტიტუტის გავრცელებულობის თაობაზე აბსოლუტურად ზუსტი მონაცემები დღემდე არ გააჩნიათ. ნ. ვიდმარი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ფაქტობრივად, ზოგიერთი წყაროს (!) მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სისტემის სხვადასხვა ვარიანტები ჯერ კიდევ შემორჩენილია (!) მსოფლიოს 25 ქვეყანაში“ [68, წინათქმა, გვ. 11]. ამ ქვეყნებს შორის არიან ისეთი გიგანტი „მომხმარებლებიც“, როგორიცაა აშშ (მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა მიერ სულ განხილულ სისხლის სამართლის საქმეთა თითქმის 80% სწორედ ამ ქვეყანაზე მოდიოდა) [იხ. 161, გვ. 268-269] და ისეთი „ჯუჯებიც“, როგორებიცაა, მაგალითად, იამაიკა და ტრინიდადი.

ამ ოცდახუთი ოდეს ქვეყნიდან, ჩემი დაკვირვებით, მეტ-ნაკლებად კლასიკური სახის (და, ამასთან, მართლმსაჯულების სისტემაში არა სიმბოლურ-იდეოლოგიური, არამედ ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი როლის მქონე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ დაახლოებით 15 სახელმწიფოშია (აშშ, ინგლისი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბელგია, ირლანდია, კანადა, შვედეთი, რუსეთი, ესპანეთი, მექსიკა, შოტლანდია და ზოგიერთი სხვა). არსებითად, აქ საუბარია სისხლის სამართალწარმოების სფეროზე, თორემ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში ამ ინსტიტუტის ფუნქციონირება რაოდენობრივადაც მინიმალურია, ხოლო თვისებრივად (კომპეტენციის შინაარსით) ზოგან – ნომინალურიც. მიუხედავად ამისა, ნ. ვიდმარის მტკიცება, რომ „სამოქალაქო საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტობრივად ან თეორიულად გაუჩინარდა თითქმის ყველა ქვეყანაში, შეერთებული შტატებისა და

კანადის გარდა“ (სქოლიოში დამატებით მიუთითებს, რომ „მიუხედავად ამისა, ახალ ზელანდიაში შეიმჩნევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ზრდადი გამოყენების პრაქტიკა“) [68, გვ. 11], ისევე გადაჭარბებულია, როგორც აქვე მოცემული მტკიცება — „რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეებზე, როგორც ჩანს, ის ხელახალი ძალით ვითარდება“ [იქვე. ხაზი ყველგან ჩემია. — ი.გ.]. კერძოდ, როგორც ქვემოთ შემოთავაზებული სქემებიდან თვალნათლივ ჩანს, სამოქალაქო საქმეებზე, დაკნინების ცალსახა ტენდენციის მოუხედავად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოყენების არეალი (ქვეყანათა წრე) გაცილებით ფართოა, ვიდრე ნ. ვიდმარი წარმოგიდგენს (იხ. სქემა № 4), ხოლო საერთო სამართლის „სამფლობელოთა“ გარეთ მდებარე ორ ქვეყანაში — რუსეთსა და ესპანეთში — მე-20 საუკუნის დამლევს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „რეინკარნაცია“ სისხლის სამართალწარმოების სფეროში ზემოთ მოცემული მეტისმეტად ოპტიმისტური დასკვნის საფუძველს არ იძლევა იმ ფონზე, რომელსაც ქმნის 12 ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაქრობის, ვენესუელის უიღბლო ექსპერიმენტის, ესპანური „რყევების“, თითქმის ყველა ქვეყანაში (ინგლისისა და აშშ-ს ჩათვლით) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის სფეროს განუწყვეტლივ შეკვეცა-შემცირების (როგორც იურიდიულად, ისე, განსაკუთრებით, ფაქტობრივად) ფაქტები — მათს ერთობლიობაში\*. სხვა საკითხია ავტორის „ფრთხილი“ დასკვნები იმის თაობაზე, რომ „... ნაფიც მსაჯულთა სისტემებმა დროის სვლას გაუძლო და გარკვეულ (!) დონეზე განვითარდა კიდევ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირლანდიაში და ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნების ბევრ სახელმწიფოში. ჩინეთის ნაწილად გახდომის შემდეგაც კი ჰონგ-კონგი ინარჩუნებს ნაფიც მსაჯულთა სისტემას. ეს ინსტიტუტი ასევე მოქმედებს იამაიკაში, ტრინიდადში, თურქეთსა და კაიკის კუნძულებზე“ [68, გვ. 11].

\* ამას, როგორც ჩანს, ავტორიც გრძნობს და, ამიტომ, თავისი გადაჭარბებულად ოპტიმისტური დასკვნის საფუძვლიანობის გასაძლიერებლად, დამატებით არგუმენტად მიუთითებს იმაზეც, რომ „კაპონის უზენაესმა სასამართლომ გამოიკვლია 1929-1943 წლებში მოქმედი ამ ინსტიტუტის ხელახალი ექსპერიმენტირების შესაძლებლობა“ [68, გვ. 12]. ეს არგუმენტი ერთობ სუსტია, რადგან ამ გამოკვლევას შედეგად „ხელახალი ექსპერიმენტირების“ გადაწყვეტილება დღემდე არ მოჰყოლია.



სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირების თაობაზე საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ შემოთავაზებული სქემა (№4).

სქემა №4

ქვეყნები, რომელთაც ამჟამად რეალურად გააჩნიათ ნაფიც მსაჯულთა მოქმედი სასამართლოები

№	ქვეყნის დასახელება	სახ-ფო წყობილების ფორმა	სამართ-ლებრივი სისტემისადმი კუთვნილება	სისხლის სამართლის საქმეებზე	სამოქალაქო საქმეებზე
1.	ავსტრალია	ფედერაცია	ანგლოსაქს.	+	+
2.	აზალი ზელანდია	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	+
3.	აშშ	ფედერაცია	ანგლოსაქს.	+	+
4.	ბელგია	ფედერაცია	რომანულ-გერმ.	+	არა
5.	ესპანეთი	უნიტ.	რომანულ-გერმ.	+	არა
6.	თურქეთი	უნიტ.	რომანულ-გერმ.	+	არა
7.	იაპიაკა	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	არა
8.	ინგლისი (უელსითურთ)	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	+
9.	ირანი	უნიტ.	მუსულმ.	+	არა
10.	ირლანდია	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	+
11.	კაიკის კუნძულები	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	არა
12.	კანადა	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	+

13.	კვაპროსი	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	არა
14.	მალტა	უნიტ.	ანგლოსაქს. (შერეული)	+	არა
15.	მექსიკა	ფედერაცია	რომანულ- გერმ. (ლათინო- ნომ. ჯგ.)	+	+
16.	რუსეთი	ფედერაცია	რომანულ- გერმ.	+	არა
17.	ტრინიდადი	უნიტ.	ანგლოსაქს.	+	არა
18.	შვედეთი	უნიტ.	სკანდინავ. („ჩრდილო- ოური“)	+	არა
19.	შვეიცარია	ფედერაცია	რომანულ- გერმ.	+	არა
20.	შოტლანდია	უნიტ.	შერეული	+	+
21.	შრი-ლანკა	უნიტ.	შერეული (ანგლოსაქს. და რ/გერმ.)	+	არა
22.	ჰონგ-კონგი ანუ სიანგანი	ჩინეთის სპეც. ადმინ. რ-ნი სიან- განი	ანგლოსაქს. (შერეული)	+	არა

## 2.2. სქემის მცირე კომენტარი დასკვნებითურთ

წარმოდგენილი სქემიდან შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში მეტწილად იქმნებოდა და იქმნება მარტოოდენ სისხლის სამართლის საქმეთა განსახილველად და მათ მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში აკისრებენ სამოქალაქო საქმეთა განხილვის „თანამდევ“ ფუნქციასაც. კერძოდ, 22 ქვეყნიდან მხოლოდ 8 ქვეყანაში გააჩნიათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებს სამოქალაქო საქმეთა განხილვის კომპეტენცია. ამასთან, ქვეყანა, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მხოლოდ სამოქალაქო საქმეებს იხილავდეს, არ ფიქსირდება;

ბ) იმ 22 ქვეყნიდან, რომელთაც იგუეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, 6 ფედერაციული სახელმწიფოა, 15 კი – უნიტარული (ოცდაპეორის – ჰონგ-კონგის შესახებ იხ. ქვემოთ). როგორც ვხედავთ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პრაქტიკულად ერთნაირად იგუებს ორივეს (ის გარემოება, რომ უნიტარულ სახელმწიფოთა რიცხვი ორნახევარჯერ მეტია, ადვილად აიხსნება იმით, რომ, საერთოდ, უნიტარული ქვეყნების რიცხვი მსოფლიოში ასევე მრავალგზის აღემატება ფედერაციათა რიცხვს).

● საკითხის მეტი სიზუსტისა და სიცხადისათვის უნდა გაკეთდეს ზოგიერთი განმარტებაც. კერძოდ: 1) ამ 22 სახელმწიფოდან ყოფილი ინგლისური კოლონია – ჰონგ-კონგი, როგორც ცნობილია, 1977 წელს დაბრუნებულ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტის ქვეშ და შევიდა ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში სიანგანის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონის სახით [279, გვ. 317]; 2) ინგლისი წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ბირთვს, რომლის გარშემო გაერთიანებულნი არიან უელსი, შოტლანდია და ჩრდილოეთ ირლანდია. დიდი ბრიტანეთი, რომელიც უნიტარულ სახელმწიფოდ (?) ითვლება [იქვე, გვ. 105], თავის მხრივ, წარმოადგენს ცენტრს თანამეგობრობისა, რომელშიც შედიან ავსტრალია, ახალი ზელანდია, კანადა, მალტა, აგრეთვე სქემამ

მითითებული რიგი მცირე სახელმწიფოებისა (იამაიკა, ტრინიდადი და ა.შ.), რომლებიც ადრე ინგლისის კოლონიებსა და დომინიონებს წარმოადგენდნენ; 3) კვიპროსი, რომელიც ადრე ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებში შედიოდა, 1960 წელს დამოუკიდებელი კი გახდა, მაგრამ 1974 წელს, თურქეთის მიერ მისი ტერიტორიის 37%-ის ოკუპირების შედეგად, ფაქტობრივად ორ ნაწილადაა გაყოფილი და იმართება რაღაც სპეციფიკური (ნახევრად პარიტეტული) სახელმწიფო მმართველობის მოდელის მიხედვით [იქვე, გვ. 310-312].

გ) ზემოხსენებული 22 ქვეყნიდან 12 წმინდა ანგლოსაქსური (ან მასთან მჭიდროდ მიახლოებული) სამართლებრივი სისტემის ქვეყანაა, 6 – წმინდა რომანულ-გერმანული (ან მასთან მჭიდროდ მიახლოებული – მაგალითად, ლათინოამერიკული ჯგუფისა), თითო – მუსულმანური (ირანი) და სკანდინავიური ანუ „ჩრდილოური“ (შვედეთი), დანარჩენი ორი კი მიეკუთვნება „შერეულ“ სისტემას (ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სისტემების სინთეზი ადგილობრივი სამართლის საკმაო „მინარევებით“). აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ზემოთაც ითქვა, უფრო მისივე „შობლიურ“ სამართლებრივ სისტემას ეთვისება ორგანულად, თუმცა იგი არც სხვა სამართლებრივი სისტემებისათვისაა კატეგორიულად მიუღებელი (უწინარესად და უმთავრესად – რომანულ-გერმანული სისტემის).

### §3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები (მაგისტრალური ტენდენციების სქემატური ანალიზი)

ერთადერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც რეალურად, საკმაოდ მასშტაბურად მიიღო და უკვე მთლიანად (მთელს ქვეყანაში) დანერგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რუსეთია. დანარჩენ სახელმწიფოებში ეს ინსტიტუტი ან დღემდე აუმოქმედებელ საკანონმდებლო ნოვაციად რჩება, ანდა ჯერაც სამომავლო, მეტ-ნაკლებად კონკრეტიზებულ განზრახულობად. ასე, მაგალითად:

ა) 1998 წლის 7 ოქტომბერს ყაზახეთის კონსტიტუციის 75-ე მუხლში შეტანილ იქნა დამატება, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართალწარმოების განხორციელების შესაძლებლობა, რაც 2000 წლის 25 დეკემბრის კანონითაც იქნა დადასტურებული და საპროცესო კანონმდებლობაშიც აისახა, მაგრამ ამას ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეალურად შექმნა არ მოჰყოლია [270, გვ. 301; 192, გვ. 209-242];

ბ) აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1995 წლის კონსტიტუციისა და მის საფუძველზე 1997-2001 წლებში მიღებული კანონების (მათ შორის კანონისა „სასამართლოებისა და მოსამართლეების შესახებ“) თანახმად, ნახიჭევანის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსა და მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს (რომლის იურისდიქციაც სწორედ ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ ვრცელდება) შემადგენლობაში შეიძლება (!) შეიქმნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ეს „შესაძლებლობა“ ჯერჯერობით მხოლოდ რეალიზაციის სტადიაშია, მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სტატუსიც კია ნორმატულად რეგულირებული [193, გვ. 15-16, 20, 35, 55-58];

გ) დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ბელარუსის რესპუბლიკაში, სადაც სადღეისოდ კანონით დაშვებულია ერთი პროფესიონალი მოსამართლისა და 7 ნაფიცი მსაჯულის მონაწილეობით მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, რომელთა გამოც კანონითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, – თუ, ამასთან, ბრალდებული

თავს დაზნაშავედ არ სცნობს (პირველი პირობა) და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანიშვნას (მეორე პირობა). ეს ინსტიტუტი – ზემოთ მითითებული ერთობ ნომინალური მასშტაბით – ბელორუსის რესპუბლიკის კანონმდებლობამ დეკლარაციულად ჯერ კიდევ 1993 წელს გაითვალისწინა, მაგრამ მისი შემოღება, რიგ გარემოებათა გამო, დაყოვნდა არათუ პირველ პერიოდში, არამედ 1999 წელს ახალი სსსკ-ის მიღების შემდეგაც [270, გვ. 70-71; 193, გვ. 98, 138-139] შევნიშნავ, რომ მასში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ანალოგიური განსჯადობითაა წარმოდგენილი. ინსტიტუტის რეალური ამოქმედების შესახებ ლიტერატურაში რაიმე ცნობა არ მოიპოვება – პირიქით, მიუთითებენ, რომ ფიცი გადაიღო [225, გვ. 54; 251, გვ. 60], რაც, უნდა ვივარაუდოთ, ორგანულად უკავშირდება ქვეყანაში არსებულ არადემოკრატიულ რეჟიმს;

დ) სომხეთის რესპუბლიკის 1995 წლის კონსტიტუციის 91-ე მუხლით გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეალურად არ შექმნილა, ხოლო 2005 წლის 27 ნოემბერს კონსტიტუციაში რეფერენდუმით შეტანილი ცვლილებებით, ეს ინსტიტუტი საერთოდ იქნა ამოღებული [130, გვ. 163].

კონსტატაციის წესით აქვე შევნიშნავ, რომ ანალოგიური ვითარებაა დანარჩენ პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც – ისინი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და, მათ შორის, სამართალწარმოების ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი ტემპების მიუხედავად, ჯერჯერობით, როგორც წესი, არ ჩქარობენ (!) ნაფიც მსაჯულთა ერთობ რთული, მრავალმხრივ „საჭოჭმანო“ ინსტიტუტის დანერგვას. ყოველივე ეს, ისევე როგორც პოსტსაბჭოური ქვეყნების (მათ შორის უახლოესი მეზობლების – სომხეთისა და აზერბაიჯანის) ზემოთ მოტანილი გამოცდილება, სერიოზული ანალიზისათვის საკმაოდ მდიდარ მასალას აძლევს ჩვენი ქვეყნის სამართალგამოყენებით და სამართალმემოქმედებით სტრუქტურებს – ცხადია, არა ამ ინსტიტუტის ხელაღებით დასაწუნებლად (იგნორირებისთვის), არამედ მისი ოპტიმალური ვარიანტის შერჩევისა და რეალურად შექმნა-ამოქმედების გონივრული გზებისა და ვადების განსაზღვრის მიზნით.

## §4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსჯადობა და ჟიურის შემადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებზე

### 4.1. წინასწარი შენიშვნები და სქემატური სურათი

საზოგადოდ, ცხადია, რომ განსჯადობის (ანუ კომპეტენციის, მოქმედების სფეროს) შესახებ მონაცემების ანალიზი საკმაოდ მკაფიოდ მეტყველებს ამა თუ იმ სასამართლო ინსტიტუტის თუ სასამართლო სტრუქტურის რეალურ როლსა და მნიშვნელობაზე, მის „ხვედრით წილზე“ შესაბამისი ქვეყნის სასამართლო სისტემაში – ცხადია, სხვა ფაქტორებთან (მახასიათებლებთან, გარემოებებთან, ასპექტებთან) ერთობლიობაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (შემადგენლობის) რიცხო-ბრიობის საკითხიც, თუმცა, ცხადია, იგი თვისებრივად უფრო ორ-განიზაციული მხარის ელემენტია.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობისა და ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შემადგენლობის თაობაზე, ეფიქრობ, საკმაოდ თვალსაჩინოდ მეტყველებს ქვემოთ შემოთავაზებული სქემა (№5), რომელშიც, ისევე როგორც მომდევნო სქემაში, ჟიურის შემადგენლობის გრაფაში, პირველი რიცხვი მიუთითებს პროფესიონალ მოსამართლეთა, ხოლო მეორე – ნაფიც მსაჯულთა რაოდენობას.

სქემა №5

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს  
განსჯადობა და შემადგენლობა სისხლის  
სამართლის საქმეებზე

№	ქვეყნის დასახელება	განსჯადობა (რა კატე- გორიის საქმეებს განიხი- ლავს)	შემადგენ- ლობა	სხვა ცნობები და შენიშვნები (სად ფუნქციონირებს და ა.შ.)

1.	ავსტრალია	„ყველაზე სერიოზულ“ დანაშაულთა საქმეებს.	1:12	შტატის უმაღლეს, საგრაფოების და საოლქო სასამართლოებში.
2.	ახალი ზელანდია	„საბრალდებო აქტით“ შესულ საქმეებს – წინასწარი მოსმენის საფუძველზე, ბრალდებულის თანხმობით.	1-დან 3-მდე პროცესიონ. და 12 მსაჯ.	შუა (მეორე) რგოლის სასამართლოში.
3.	აშშ	განიხილავს სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს, რომლებზეც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე მეტი ვადით.	1:6 - და 6 1:12-მდე.	ფაქტობრივად (რეალურად) ეს უფლება იშვიათად გამოიყენება.
4.	ბელგია	„ყველაზე სერიოზულ“ დანაშაულთა საქმეებს.	3:12	ორივე კოლეგიას გამოაქვს კერძოქტი (ცალცალკე).
5.	ესპანეთი	საქმეებს პიროვნების, ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ, აგრეთვე თანამდებობრივ და ცეცხლის წაკიდების დანაშაულებზე).	1:9 (+ 2 სათადარიგო)	განიხილავს ნაფიც მსაჯულთა ტრიბუნალი.
6.	ინგლისი (უელსითურთ)	განიხილავს ე.წ. „საბრალდებო აქტით“ სასამართლოში შესულ ანუ სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს, აგრეთვე ცალკეულ „შერეული იურისდიქციის“ საქმეებს.	1:10 - და 6 1:12-მდე	მოქმედებს შუა რგოლის სასამართლოებში.



7.	ირანი	განიხილავს მხოლოდ პოლიტიკურ და პრესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებს.	1:12	
8.	ირლანდია	თეორიულად (კანონით) შეუძლია განიხილოს ყველა სისხლის სამართლის საქმე.	1:12	განიხილავს ე.წ. „მაღალი სასამართლო“.
9.	კანადა	თუ ბრალდებული (განსასჯელი) ითხოვს, შეუძლია განიხილოს ნებისმიერი დანაშაულის საქმე.	1:12 (ალბერტის პროვინციაში – 1:6)	რეალურად უმრავლესობა ამ უფლებაზე უარს ამბობს.
10.	კვიპროსი	ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ს მოთხოვნით – ნებისმიერ საქმეს.	1:12	
11.	მალტა	სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს.	1:12	გ ა ნ ი ხ ი ლ ა ვ ს „სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო“
12.	მექსიკა	ა) რაიონული სასამართლოს მიერ გადაცემულ საქმეებს; ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საჯარო წესრიგის მიმართ პრესის მემკვიდრით (გამოყენებით) ჩადენილ დანაშაულებს.	1:12	მოქმედებს საოლქო სასამართლოში.
13.	რუსეთი	განიხილავს სსსკ-ის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილში ჩამოთვლილ სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს, თუ ამას შუამდგომლობს ბრალდებული.	1:12 (+ 2 სათადარიგო)	მოქმედებს შუარგოლის სასამართლოებში

14.	შვედეთი	მხოლოდ „ბექდვითი სიტყვის შესახებ“ 1974 წლის კანონის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებს	1:12	არსებობს „ჩვეულებრივი“ მსაჯულის ინსტიტუტი.
15.	შვეიცარია	მძიმე დანაშაულთა საქმეებ (სახელმწიფოს დღალატი, საერთაშორისო, პოლიტიკური და თანამდებრივი დანაშაულები)	1:12 (მეტ-წილად)	იხილავს აგრეთვე „პოლიტიკური ხასიათის გადაცდომებს“. მოქმედებს ფედერალურ და კანტონების სასამართლოებში (ინსტანცია).
16.	შოტლანდია	განიხილავს ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა საქმეებს (შუდის საბრადებო აქტით)	1:15	განიხილავს იუსტიციართა უმაღლესი სასამართლო (მდებარეობს ედინბურგში).
17.	შრი-ლანკა	განიხილავს სახელმწიფო დანაშაულებს, განზრახ მკვლელობას, გაუპატიურებას და სხვ.	1:7	1979 წლის კანონით შეჩერებულია მისი განსჯადობა ეთნიკური შუღლის საქმეებზე.

#### 4.2. სქემის აუცილებელი კომენტარი (განზოგადება) და „მიმდებარე“ საკითხები

სქემაში მოცემული ინფორმაციისა და სხვა მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

ა) მხოლოდ 4 ქვეყანაშია (აშშ, ირლანდია, კანადა, კვიპროსი) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „თეორიულად“ (ანუ კანონისმიერი დებულებით – პრინციპის დონეზე) უფლებამოსილი განიხილოს ყველა

(ან თითქმის ყველა — მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან) კატეგორიის დანაშაულთა საქმეები. სქემაში ჩანს, რომ აშშ-ში განსჯადობა (ქვედა ზღვარი) იწყება დანაშაულებიდან, რომელთა გამო კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ნ თვეზე მეტი ვადით, მაგრამ აქ აუცილებელია განიხილოს, რომ ამგვარ შეზღუდვას აშშ-ს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს — იგი შემუშავებულ იქნა პრაგმატული მიდგომის შედეგად და უზენაესი სასამართლოს ეგიდით მყარად დამკვიდრდა სასამართლო პრაქტიკაში;

ბ) ზოგიერთ ქვეყანაში (შვედეთი, ირანი), პირიქით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა ერთობ შეზღუდულია — მინიმალურია (განსაკუთრებით შვედეთში — პრაქტიკულად ნომინალურამდე);

გ) დანარჩენ ქვეყნებში (ისინი უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება „ყველაზე სერიოზულ“ დანაშაულთა საქმეებზე, რომელთა ჩამონათვალი საკმაოდ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ამასთან, ზოგან ეს ჩამონათვალი მეტ-ნაკლებად ფართოა და საკმაოდ კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებს მოიცავს (მაგ., მექსიკაში, ესპანეთში, შრი-ლანკაში);

დ) ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ხშირად ეყრდნობა თვით ბრალდებულის (განსასჯელის) ნების გამოვლინებას — სურვილის გამომჟღავნებას შუამდგომლობით (მაგ., რუსეთში), ან რაიმე სხვა ფორმით, ანდა მის თანხმობას, რომ შესაბამისი (განსჯადი) კატეგორიის საქმე განსახილველად გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. ამასთან, როგორც<sup>213</sup>

წესი, ლაპარაკია იმ ბრალდებულებზე (განსასჯელებზე), რომლებიც თავს არ სცნობენ (!!)) დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში — სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, საქმეს იხილავენ ან ერთპიროვნული მოსამართლენი, ან მოსამართლეთა კოლეგიები, ან კიდევ ე.წ. „შერეული“ კოლეგიები);

ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ცალკე აღებული სასამართლო რგოლი ან დამოუკიდებელი სტრუქტურა, როგორც უკვე ითქვა, არ არსებობს — ნაფიც მსაჯულთა ჟიური ფორმირდება

რომელიმე პირველი ინსტანციის სასამართლოს (ან სასამართლო სტრუქტურის) ერთ ან, იშვიათად, მეტ (2 ან 3 – როგორც ეს მიღებულია ახალ ზელანდიასა და ბელგიაში) პროფესიონალ მოსამართლესთან, რომელიც (ან, ერთზე მეტის მოსამართლის შემთხვევაში – რომელიმე მათგანი) თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს – გარდა, ცხადია, ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში ყოფნისა ანუ თათბირისა. მეტწილად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მუდმივმოქმედია – პროფესიონალი მოსამართლეები, საქმეთა განაწილების წესის შესაბამისად, განუწყვეტლივ იხილავენ საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ოღონდ, ცხადია, ამ უკანასკნელთა შემადგენლობა (კორპუსი) განუწყვეტლივ იცვლება სხვადასხვა წესით (იხ. ქვემოთ – შესაბამის პარაგრაფში). ამასთან, არსებობს საქმიანობის სასესიო წესებიც. ასე, მაგალითად, ბელგიაში „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის მუდმივმოქმედი სასამართლო – იგი მხოლოდ მაშინ იკრიბება, როცა მას საქმე საბრალდებო პალატის (რომლის ფუნქციაა წინასწარი მოსმენის ჩატარება – სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტა. – ი.გ.) მიერ გადაეცემა“ [34, გვ. 27]. ანალიზი მოწმობს იმასაც, რომ, როგორც წესი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (თუ „სასამართლო სტრუქტურა“ ანუ სასამართლოს დამოუკიდებელი სტრუქტურულ-ფუნქციური ერთეული, – თუმცა ეს ტერმინიც, ისევე, როგორც „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, სასამართლოთა ნორმატიულ-ორგანიზაციული სისტემურობის თვალსაზრისით, უფრო პირობითია!..) ფუნქციონირებს შუა (მეორე) რგოლის (და არა ინსტანციის, ცხადია – ინსტანციით იგი ყოველთვის პირველია (!) სასამართლოებთან. ეს გარემოება, ვფიქრობ, იმდენად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „თავისთავადი მნიშვნელობით“ (ანუ ღირებულებითი კრიტერიუმით) კი არ არის განპირობებული, რამდენადაც მის განსჯადობას მიკუთვნებული საქმეების სერიოზულობით (ამ ზოგადი ტერმინის ქვეშ იგულისხმება როგორც დანაშაულთა სიმძიმე – მაგ, განზრახ მკვლელობები, ისე მათი სპეციფიკურობა – მაგ., პრესის წინააღმდეგ ან პრესის გამოყენებით ჩადენილი, პოლიტიკური ხასიათისა და ა.შ.). ამასთან, სულაც არ არის არაბუნებრივი პირველი რგოლის სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

მთლიანად ინტეგრირება (სხვათა შორის, ასეა განზრახული ჩვენში), – ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სასამართლო სისტემის „ანატომიაზე“, მისი მოწყობის „სტილსა“ თუ პრინციპზე (საგამონაკლისო შემთხვევებში, ნაფიც მსაჯულთა ჟიური შეიძლება მოქმედებდეს უფრო მაღალ თუ უმაღლეს რგოლშიც);

ვ) ნაფიც მსაჯულთა ჟიურიში მსაჯულთა რიცხვი მერყეობს 6-დან (აშშ-ში) 15-მდე (შოტლანდიაში). ამასთან, ტრადიციულადაც და სადღეისოდაც, ყველაზე მიღებულია (გავრცელებულია) 12-კაციანი ჟიური – იმდენად, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფიგურალურად ლათინური ტერმინი „თორმეტის სასამართლო“ (Diogecimvirale iudicium) [გვ. 293] საესებით ესადაგება. ამასთან, 1970 წელს, უილიამსის ბრალდების საქმეზე (იგი მსჯავრდებულ იქნა ფლორიდის შტატში ძარცვისათვის), ისტორიული ფაქტების გულდასმით ანალიზის საფუძველზე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიურის 12 კაცით დაკომპლექტება მხოლოდ „ისტორიული შემთხვევითობაა“ [161, გვ. 266].

## **§5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსჯადობა და ჟიურის შემადგენლობა სამოქალაქო საქმეებზე**


### **5.2. წინასწარი შენიშვნები და სქემატური სურათი**

სამოქალაქო საქმეთა განხილვაში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, როგორც უკვე ვნახეთ, მხოლოდ იმ ქვეყნების დაახლოებით მესამედშია დაწესებული, რომელთაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები გააჩნიათ. აღინიშნა ისიც, რომ, საზოგადოდ, სამოქალაქო საქმეთა სფეროში ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის როლის კლების პროცესში, გაცილებით მეტად „დაზარადა“, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეთა იურისდიქციაში. ზომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ, სადღეისოდ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ცივილისტებისათვის მხოლოდ „ეზოტიკურ ხილს“, „საჩვენებელ დემოკრატიულ სამშენისს“ წარმოადგენს და ამ სფეროში იგი რაიმე რეალურ მართლმსაჯულებას დღევანდელ ეტაპზე უკვე აღარ ახორციელებს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში, ვფიქრობ, რამდენადმე მაინც დაგვეხმარება ქვემოთ შემოთავაზებული სქემა\* (№6).

სქემა №6



№	ქვეყნის დასახელება	განსჯადობა (რა კატეგორიის საქმეებს განიხილავს)	შემადგენლობა	სხვა ცნობები და შენიშვნები
1.	ავსტრალია	მნიშვნელოვან თანხებზე დავის საქმეებს – ერთ-ერთი ან ორივე მხარის მოთხოვნით.	1:4 1:6	შტატის უმაღლესი სასამ., საგრაფოს და საოლქო სასამართლოები.
2.	ახალი ზელანდია	რთული და სერიოზული კატეგორიის საქმეებს (სარჩელის თანხის მიხედვით).	1-დან 3-მდე პროფესიონ. და 4-დან 12-მდე ნაფიცი მსაჯული	ინსტანციის სასამართლოები (სარჩელის თანხის მიხედვით იზრდება შემადგენლობა).

\* მე-4 გრაფაში პირველი (ორწერტილის წინ დასმული) რიცხვი ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში აქაც პროფესიონალი მოსამართლეების რაოდენობას აღნიშნავს, მეორე (ორწერტილის შემდეგი) – ნაფიცი მსაჯულებისას.

3.	აშშ	ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია სამოქალაქო დავა, თუ დავის საგნის ღირებულება (სარჩელის ფასი) აღემატება 20 აშშ დოლარს (თანახმად აშშ-ს კონსტიტუციის მე-7 შესწორებისა).	1:6-დან 1:12-მდე	I ინსტანციის სასამართლოები (სხვადასხვა დონის). ფაქტობრივად, ეს უფლება იშვიათად გამოიყენება.
4.	ინგლისი	იშვიათ შემთხვევებში – უმნიშვნელოვანეს საქმეებს.	1:10 ან 1:11 ან 1:12	ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო (სამეფო) სასამართლოს განყოფილება.
5.	ირლანდია	თეორიულად – ნებისმიერ სამოქალაქო საქმეს.	1:12 (საკმარისია 9 ხმა გადაწყვეტილისათვის)	ე.წ. „მაღალი სასამართლო“.
6.	კანადა	ცალკეული კატეგორიის საქმეებს.	1:5-დან 1:12-მდე (ხმათა უმრავლესობით)	
7.	შოტლანდია	მნიშვნელოვან საქმეებს ძირითადად, ჯანმრთელობის და ზიანებით ზიანის მიყენებისა და დიფამაციის შესახებ (იუსტიციის უმაღლეს სასამართლოში).	1:12 (ხმათა უმრავლესობით)	სასესიო სასამართლოები (გასვლითი). გადაწყვეტილება საჩივრდება მხოლოდ ლორდთა პალატაში, გამონაკლის შემთხვევებში.

## 5.2. სქემის მოკლე ანალიზი და ზოგიერთი სხვა (მომიჯნავე) საკითხი

ა) როგორც სქემიდან ჩანს, მასში ჩამოთვლილ ქვეყანათა აბსოლუტური უმრავლესობა ანგლოსაქსურ ან მასთან მჭიდროდ დაახლოებულ სამართლებრივ სისტემას მიეკუთვნება – სწორედ ამ სისტემაშია გავრცელებული „დუალისტური“ განსჯადობა (სისხლის სამართლის საქმეებს პლუს სამოქალაქო საქმეები), რაც, ძირითადად, მათი ისტორიული „ბიოგრაფიების“ შედეგია – ტრადიციული ფენომენია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტიტუტის სამშობლოში – ინგლისში, შემდგომში კი, განსაკუთრებით, ამერიკაში, როგორც ამ ქვეთავის ბოლოს მოცემული ჩანართიდან ცხადიყოფა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობამ სამოქალაქო საქმეებზე საკმაოდ დიდი, ზოგჯერ კი, არსებითად, თვალსაჩინო ისტორიული როლიც კი შეასრულა;

ბ) ნ. ვიდმარის ზემოთ მოკლედ შეფასებული შეხედულება სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში ნაფიც მსაჯულთა როლის ნომინალურობაზე, როგორც სქემიდან ჩანს, გამომდინარეობს, ერთი მხრივ, როგორც აღინიშნა, მის მიერ გასაანალიზებლად აღებული ინფორმაციის ფრაგმენტულობიდან (არასრულობიდან), მეორე მხრივ კი, როგორც ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა მის მიერ აღებული 4 ქვეყნის პრაქტიკა – საკანონმდებლო წესით დადგენილი (ანუ „თეორიული“ – როგორც ნ. ვიდმარი უწოდებს) განსჯადობა, რომელიც, ეჭვსგარეშეა, ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო სოლიდურად გამოიყურება;

გ) შესაბამისი ლიტერატურის ანალიზიდან [იხ. მაგალითად, 2, გვ. 26-28], ჩემი აზრით, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ნაფიცი მსაჯულების „აქილევსის ქუსლად“ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებზე მიაჩნიათ ის, რომ რთულ, „კომპლექსურ“, თანამედროვე ტექნიკასა, ტექნოლოგიებსა და მეცნიერულ ცოდნასთან დაკავშირებულ დანაშაულთა თუ სამოქალაქო დავების საქმეებში გარკვევა ნაფიც მსაჯულთ (ანუ, როგორც წესი, რიგით ადამიანებს, ხშირად ერთობ მოკრძალებული განათლების დონით...)



ნაკლებად ხელეწიფებათ. კერძოდ, სამოქალაქო სამართლის სფეროში, თანამედროვე ეპოქაში, საქმეთა გადაწყვეტა არაიშვიათად დაკავშირებულია სწორედ ამგვარ სპეციფიკურ, მაღალ ინტელექტთან და მომზადებასთან წილნაყარ საკითხებში ჯეროვნად გარკვევასთან. ამიტომ, ნაფიც მსაჯულთა „მომსახურების“ არეალი სამოქალაქო სამართალწარმოებაში თანდათან მცირდებოდა და, როგორც ჩანს, მომავალშიც შემცირდება;

დ) სამოქალაქო სამართალწარმოებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოყენების შემცირების ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითია შოტლანდია: აქ 1980 წელს გაუქმდა სამოქალაქო საქმეთა ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის წესი შერიფის სასამართლოში (ანუ ყველაზე დაბალ რგოლში), ხოლო უმაღლეს რგოლში – იუსტიციის უმაღლეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ღიფამაციის საქმეები. ამასთან, თუ საქმე რთულ სამართლებრივ საკითხებს მოიცავს, ან ძნელია ზარალის დაანგარიშება, ეს ითვლება „სპეციალურ გარემოებად“, რომელიც ნაფიც მსაჯულთა განრიდების საფუძველია. აღნიშნულის გამო, ამ სასამართლოში ყოველდღიურად მხოლოდ რამდენიმე ათეული საქმეა განიხილება, რის გამოც პრაქტიკოსები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო „პროფილის“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „მხოლოდ ეგზოტიკური ხასიათი გააჩნია“ [68, გვ. 236-237].

ე) მე-3 და მე-4 სქემების შედარება ცხადყოფს, რომ სამოქალაქო საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა ჟიური, როგორც წესი, კომპლექტდება მსაჯულთა ნაკლები (!) რიცხვით, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეებზე, რაც ამ უკანასკნელთა მეტი სირთულით უნდა აიხსნას. კერძოდ, ნაფიც მსაჯულთა რიცხვი ჟიურიში მერყეობს 4-დან 12-მდე, პროფესიონალი მოსამართლეების რიცხვი კი ერთს შეიძლება აღემატებოდეს (1-დან 3-მდე) მხოლოდ ახალ ზელანდიაში.

**ფრაგმენტები აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „სამოქალაქო სასამართლებრივი ისტორიიდან“ – იმდენადვე საინტერესო, რამდენადაც ნიშანდობლივი!..**

⊗ ისტორია პირველი, ანუ ამბავი „მაკდონალდსში“ დამფუძველად ცხელი ყავით მიყენებული დამწვრობისა. 1994 წელს ალბუკერკში (ნიუ-მექსიკო) ნაფიცმა მსაჯულებმა, აღშფოთებულებმა იმით, რომ, 700-მდე საჩივრის შესვლის მიუხედავად, „მაკდონალდსის“ (სწრაფი კვების ობიექტის) მუშაკებმა არ ინებეს კლიენტთან მისატანი დამფუძველად ცხელი ყავის ოპტიმალურამდე განელება, რის შედეგადაც კლიენტმა ქალმა, ცხელი ყავის გადასხმის შედეგად, მესამე ხარისხის დამწვრობა მიიღო, – მოპასუხეს დააკისრეს 3 მილიონი დოლარის გადახდა. აქედან 160.000 დოლარი მკურნალობის ხარჯები იყო, დანარჩენი – სადამსჯელო სანქცია!.. და რომ, არა სხდომის თავმჯდომარე, რომელმაც თანხა 480.000 დოლარამდე (!) შეამცირა, ერთი ფინჯანი ყავის „ოპერაცია“ ამ ცნობილ ფირმას შეუსაბამოდ უზარმაზარი თანხა დაუჯდებოდა!.. [2, გვ. 17-18].

⊗ ისტორია მეორე ანუ მილიონებად „შეფასებული“ სილიკონის იმპლანტანტი. 1992 წელს ნაფიცმა მსაჯულებმა იმ ტენასელი ქალის (მოსარჩელის) სასარგებლოდ, რომელსაც მკერდში სილიკონისგან დამზადებული გულის იმპლანტანტის შეყვანისას ავტოიმუნური დაავადება დამართეს, 25 მლნ დოლარის გადახდა დააკისრეს!.. მართალია, მოგვიანებით ეს თანხა 5 მილიონამდე ჩამოვიდა, მაგრამ ნაფიცი მსაჯულების ეს გადაწყვეტილება იყო იმის „მესიჯი“, რომ „საჭიროა უსაფრთხო პროდუქტები და სამედიცინო პროცედურები“!.. [იქვე, გვ. 27].

⊗ ისტორიები მესამე და მეოთხე: სარეკორდო ფინანსური სანქციები – ამერიკულად. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოყენებული სარეკორდო ფინანსურ სანქციებს შორის „ლიდერობს“ ორი გადაწყვეტილება. ყველაზე რეკორდული იყო კომპანია „Texaco“-სათვის, ორი გიგანტური ნავთობკომპანიის შერწყმაში არაკანონიერი ჩარევის გამო, დაკისრებული ფინანსური სანქცია – 10,53 მილიარდი (!) დოლ-

არი (მოგვიანებით ეს თანხა დავიდა 3 მილიონამდე...). ამას მოსდევს 1989 წელს, ნაფიც მსაჯულთა მიერ, კომპანია „ЕХХОН“-ისთვის, აღიასკაზე ნავთობის დაღვრით გარემოსათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხა – 5 მილიარდი (!) დოლარი [იქვე, გვ. 27]. როგორც ჩანს, ეს საქმეებიც თავისებური, ცალსახა „მესიჯი“ იყო რიგითი ადამიანებისა გიგანტური (ტრანსნაციონალური) კომპანიების მიმართ, რომელთაც ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალაქმად – არც ანტიმონოპოლიურ კანონებს დაგიღვევენ (დემპინგურ ფასებს „ეთამაშებიან“) და არც გარემოს, რომელიც დედამიწაზე ისედაც უმძიმეს განსაცდელშია!.. და ერთიც: ასეთი ფაქტების ფონზე, ამგვარ კომპანიებსა და სხვა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რომ არაფრად ეპიტნავებოდეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და, ამიტომაც, ყოველნაირად ცდილობდნენ მისი განსჯადობისაგან „დასხლტომას“, უფრო „დიდი ანგარიშით“ კი – ამ ინსტიტუტის უფლებამოსილებათა შეკვეცას ან სულაც მის გაუქმებას, – გასაოცარი, ვფიქრობ, სულაც არ გახლავთ!..

თავი III. ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატთა  
სივების შედგენა-დაჯუსტება და ჟიურის ფორმირება  
/კონტინგენტი. პროცედურები. მეთოდობა/

§ 1. ზოგადი სქემატური სურათი

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განსახილველად ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (კოლეგიის, შემადგენლობის) ფორმირება ის ფინალური წერტილია, რომლამდეც საკმაოდ გრძელი და ოღრო-ჩოღრო გზაა გასავლელი. კერძოდ, მას წინ უძღვის ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატთა პირველადი ანუ საერთო სიების შედგენა-დაჯუსტების, მათი გამოქვეყნებისა და სასამართლოებისთვის დაგზავნის, სასამართლოს მუშაკთა მიერ მისი კიდევ ერთხელ „გაცხრილვის“ და, ბოლო ეტაპზე, საქმის განსახილველად ჟიურის ფორმირების მიზნით, საბოლოო სიიდან, შემთხვევითი ამოკრების წესით, საჭირო (ოპტიმალური) რაოდენობის მსაჯულობის კანდიდატთა სასამართლოში მოწვევის ხანგრძლივი, შრომატევადი და საკმაოდ რთული პროცედურები. ამის შემდეგ იწყება ჟიურის ფორმირების ცალკე პროცედურა, რომელიც მოიცავს აცილება-თვითააცილებების კასკადს და გრძელდება მანამ, სანამ არ შეირჩევა ნაფიც მსაჯულთა (მათ შორის სათადარიგოთა — სადაც ამგვარი რამ დადგენილია, — მაგ., რუსეთში) საჭირო რაოდენობა. აი, სწორედ ეს კონტინგენტი, მათი დაფიცების რიტუალის ჩატარების შემდეგ, წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის, რომელიც განიხილავს საქმეს ერთი ან მეტი პროფესიონალი მოსამართლის მონაწილეობით, მოსამართლისვე თავმჯდომარეობით.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, ეს პროცედურები ქვემოთ წარმოდგენილია გამარტივებულ სქემაზე (№7). მომდევნო პარაგრაფებში კი ეს პროცედურები განხილულ იქნება უფრო დაწვრილებით, ასეთივე თანამიმდევრობით.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საერთო სიის შედგენა-დაზუსტება, საბოლოო სიის შედგენა, მისი სასამართლოში „გაცხრილვა“, კანდიდატთა გამოძახება და ჟურის ფორმირება (პროცედურები, ეტაპები)



№	პროცედურები (თანამიმდევრობით)	პროცედურების ჩამტარებელი სუბიექტები; პროცედურების შინაარსი; მეთოდოლოგია	შენიშვნები/დამატებითი ინფორმაცია
1.	ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საერთო (თავდაპირველი) სიის შედგენა-დაზუსტება, გამოქვეყნება და სასამართლოებისათვის გადაცემა (გაგზავნა).	ახორციელებენ საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები (საარჩევნო კომისიები; ადგილობრივი მმართველობის ორგანოები; სპეციალური კომისიები და თანამდებობის პირები); კრიტერიუმია ასაკი (მინიმალური და მაქსიმალური), ხმის უფლება და ა.შ.	აღგენენ საარჩევნო სიებისა და სხვა წყაროების გამოყენებით.
2.	სასამართლოების მიერ მათთვის გადაცემული სიის ხელახლა გაცხრილვა-დაზუსტება და საბოლოო სიის შედგენა, გამოქვეყნება და სასამართლოს შესაბამისი მუშაკებისათვის გადაცემა.	დაზუსტებას ახორციელებენ სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი მოხელეები და/ან მოსამართლეები – საკვალიფიკაციო ცნობარის დაგზავნით და/ან სხვა მეთოდებით. დისკვალიფიკაციისა და გათავისუფლების შემდეგ დარჩენილ პირთა სიებს გადასცემენ შესაბამის მუშაკებს (მოსამართლის თანაშემწეს და ა.შ.).	დისკვალიფიკაციისა და გათავისუფლების კრიტერიუმები დადგენილია კანონით.

3.	კონკრეტული საქმის განსახილველად ჟიურის ფორმირებისთვის საჭირო კანდიდატთა გამოძახება სასამართლოში.	კანდიდატთა საჭირო რაოდენობას („რეზერვირების“ წესით) იძახებს მოსამართლე ან სასამართლოს მოხელე უწყებით ან სხვა საშუალებით, გამოცხადების თარიღისა და ადგილის მითითებით (შემთხვევითი შერჩევის წესის დაცვით).	გამოსამძახებელ პირთა მინიმალური რაოდენობა დადგენილია კანონით (20 ან მეტი).
4.	გამოცხადებულ პირთა შესაბამისობის შემოწმება, გათავისუფლების შემდეგ დარჩენილ კანდიდატთა მიმართ აცილებისა და თვითაცილების საკითხთა გადაწყვეტა.	შესაბამისობის საკითხი (გათავისუფლდეს თუ არა კანდიდატი) წყდება სხდომამდე, ხოლო აცილება-თვითაცილების საკითხი განიხილება სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით; მოსამართლე წყვეტს კანდიდატთა მიერ განცხადებულ თვითაცილებებს, აგრეთვე მათ მიმართ მხარეების მიერ განცხადებულ აცილებებს.	ეს წრებიან ბრალდებისა და დაცვის მხარეები. პროცესის დამთავრების შემდეგ დარჩენილ პირები შეიძლება იყონ მსაჯულნი.
5.	ნაფიცი მსაჯულობის დარჩენილ კანდიდატთაგან საჭირო რაოდენობის მსაჯულების შერჩევა და მათი დაფიცება (ფიცის მიღება).	ჟიურის წევრებად საჭირო მსაჯულთა რაოდენობა შერჩევა დარჩენილ მსაჯულთა სიიდან – სიისმიერი თანამიმდევრობით. ჟიურის წევრებად შერჩეული ძირითადი და სათადარიგო მსაჯულებისაგან ფიცს იღებს მოსამართლე, მხარეთა თანდასწრებით, დადგენილი რიტუალის მიხედვით. ამ მომენტიდან ისინი არიან „ნაფიცი მსაჯულები“.	ფიცმიღებულნი ქმნიან ჟიურის (კოლეგიას, შემადგენლობას), რომელიც განიხილავს იმ საქმეს, რომლისთვისაც შეიქმნა ეს ჟიური (სხვა საქმის განხილვის უფლება მას არა აქვს).

## §2. ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატთა საერთო (პირველადი) სიების შედგენა, მათი „გენერალური გაცხრილვა“ და „ვარგისთა“ საგარაუდო კონტინგენტის განსაზღვრა

როგორც ანგლოსაქსური, ისე რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში (აშშ, ინგლისი, შოტლანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, რუსეთი, ესპანეთი და ა.შ.) პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა ანუ ნაფიცო მსაჯულობის კანდიდატთა სიების შედგენის ძირითადი მეთოდია ამომრჩეველთა ანუ ხმის მიცემის უფლების მქონე მოქალაქეთა სიების გამოყენება. ეს სიები არის ძირითადი წყარო. რუსეთისაგან განსხვავებით, რომელიც ამგვარ წყაროდ მიიჩნევს მხოლოდ წინა არჩევნებში ან რეფერენდუმში მონაწილეობისათვის რეგისტრირებულთა სიებს, აშშ-ში (ზოგიერთ შტატში), ამომრჩეველთა სიების გარდა, იყენებენ აგრეთვე გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირთა და მძღოლის მოწმობის მქონეთა სიებსაც, უფრო მეტიც, თვით სატელეფონო ცნობარებსაც კი!.. ამის მიზანია ის, რომ მაქსიმალურად სრული სია შედგეს იმ პირებისა, რომელთა სამოქალაქო მოვალეობაა ნაფიც მსაჯულად სამსახური.

ნაფიცო მსაჯულობის შესაძლო კანდიდატთა სიებს, როგორც წესი, ადგენენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები. ეს პროცედურა სხვადასხვა ქვეყნებში მეტნაკლებად განსხვავებული მეთოდებით ხორციელდება: სპეციალური კომისიების (რუსეთში), აპარატის მუშაკებისა და/ან საგანგებოდ დაქირავებული პირების მეშვეობით. ცხადია, ამ ეტაპზე, ზემოხსენებული წყაროებიდან მიღებული სიების მექანიკური გაერთიანება კი არ ხდება, არამედ მიმდინარეობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავდაპირველი, „უხეში“, შედარებით ზერელე (ზედაპირული) გადარჩევის პროცედურა – ეთქვას, ასაკის (მინიმალურისა და მაქსიმალურის), მოქალაქეობის ქონა-არქონისა და სხვა „მარტივი“ ნიშნების მიხედვით.

\* რუსეთში საერთო პირველადი სიების შედგენის საკითხს არეგულირებს არა სსსკ, არამედ რსფსრ-ის 1991 წლის 8 ივლისის ფედერალური კანონი – შემდგომში შეტანილი ცვლილებებით,

2002 წლის 25 ივლისის კანონის რედაქციით [178, გვ. 10-11, 15; 193, გვ. 339, 340, 415-423], აგრეთვე 2004 წლის 20 აგვისტოს ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციის საერთო იურისდიქციის სასამართლოთა ნაფიცი მსაჯულების შესახებ“ [141, გვ. 490]. დგება ძირითადი და სათადარიგო სიები. პირველი წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან შედგენილ სიებს, ხოლო მეორეში შეიტანებიან მხოლოდ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრში (როგორც წესი, ეს მოზრდილი ქალაქია) [304, გვ. 9-10]. სათადარიგო სიები, ცხადია, ადვილებს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საჭირო რაოდენობის ოპერატიულად, უმოკლეს დროში გამოძახებას და მათს „დასაქმებას“ ნაკლები დანახარჯებით (არ არის საჭირო საქალაქთაშორისო ტრანსპორტისა და სასტუმროს ხარჯების გაღება), რაც, ცხადია, ერთობ პოზიტიური მომენტია. მაგრამ, ამასთან, ეს „სიადვილე“ და „სიიაფე“ ქმნის იმის ცდუნების საფრთხეს, რომ სასამართლოებმა სწორედ სათადარიგო სიებში შეტანილი კანდიდატები „ამუშაონ“ ძირითადად (მეტწილად) ან უფრო ხშირად, ვინემ სხვა („პერიფერიებში“ მცხოვრები) კანდიდატები. ეს კი დაარღვევს ნაფიც მსაჯულთა წარმომადგენლობითობის (მოსახლეობის ფართო ფენების სრული სპექტრის მაქსიმალურად პროპორციულად, ოპტიმალურად ჩართვის) უზრუნველყოფის პრინციპს, გამოიწვევს გარკვეულ „ელიტარიზაციას“, „სექარატიზებას“ და მისთ. გარდა ამისა, ერთი და იგივე პირების ამ სიებში ხშირად მოხვედრის გამო, იქმნება მათი გარკვეული ხარისხით „პროფესიონალიზაციის“ საფრთხე, რაც ასევე ეწინააღმდეგება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების კონცეფტუალურ საწყისებს. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება შეილახოს იმ პირის უფლებაც, რომელიც ნაფიც მსაჯულად მსახურობს მხოლოდ მოვალეობის გამო და, რაიმე გარემოების ან რიგ გარემოებათა გამო, სულაც არ აძლევს ხელს ხშირად, ზედმეტად (მათ შორის სხვათა ნაცვლად) ამ მოვალეობის ტვირთის ზიდვა. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს იმის კონტროლის ქმედითი



მექანიზმი, რომ სასამართლოს მუშაებმა ბოროტად არ გამოიყენონ სათადარიგო სიები („სათადარიგო“ ფაქტობრივად არ გახდეს „ძირითადი“).

საერთო და სათადარიგო სიებს ადგენენ და მათზე პასუხს აგებენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციები (საოკრუგო, საოლქო, საქალაქო და რაიონული მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები). სიების განახლება ხდება ყოველწლიურად. წლის განმავლობაში საჭირო ანუ სიებში შესატანი კანდიდატების რაოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს შესაბამისი სასამართლო და ამ მონაცემებს წარუდგენს შესაბამისი ადმინისტრაციის მეთაურს. ეს უკანასკნელი ამ რაოდენობას პროპორციულად (მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით) უნაწილებს ოკრუგში თუ ოლქში შემაჯავალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს (რაიონებს, ქალაქებს). ყოველი ერთეულიდან კანდიდატი უნდა აირჩეს შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, როგორც ითქვა, — ამომრჩეველთა და რეფერენდუმში მონაწილეობისათვის რეგისტრირებულ პირთა (ანუ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა) სიებიდან [304, გვ. 9-10].

ამგვარი სიების შედგენის შემდეგ ხდება მათი „გენერალური“ (მაგრამ არა საბოლოო — ეს ხდება უკვე სასამართლოში) გაცხრილვა-დაზუსტება. უწინარესად, სიიდან უნდა ამოირიცხონ ის პირები, რომლებიც ჩამოთვლილნი არიან „რუსეთის ფედერაციაში სასამართლო წყობილების შესახებ“ კანონის მე-80 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილებში (იხ. ქვემოთ). ამის შემდეგ, საერთო და სათადარიგო სიებს აქვეყნებენ ადგილობრივ პრესაში — იმ მიზნით, რომ საზოგადოებრიობა გაეცნოს მას და, თუ საჭიროდ მიაჩნია, გაასაჩივროს სიებში დაშვებული უსწორობანი (მაგ., სიაში შეტანილია პირი, რომელსაც 25 წელი — მინიმალური ასაკი — არ შესრულებია). ადმინისტრაცია საჩივარს იხილავს 5-დღიან ვადაში. საჩივრის მოთხოვნაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამ პროცედურების ამოწურვის შემდეგ სამხარეო, საოკრუგო თუ საოლქო ადმინისტრაცია სიებს წარუდგენს შესაბამის სასამართლოს [იქვე, გვ. 9-10].

\* აშშ-ში, 1970 წლიდან, კონგრესის დადგენილებით, ნაცვლად ფედერალური სასამართლოებისათვის დაწესებული, კანდიდატთა დისკრეციული წესით შერჩევის სქემისა, დაწესდა საარჩევნო სიებიდან ალბათობის (!) საფუძველზე, წინასწარ დადგენილი გეოგრაფიული ოლქებიდან შერჩევის პროცედურა, თუმცა იგი აბსოლუტურად (ანუ ყველასთვის სავალდებულოდ) არ გამოცხადებულა [68, გვ. 83]. აშშ-ს კანონმდებლობა გადამწყვეტად მიიჩნევს იმ მიზანს, რომ შერჩეულ კონტინგენტში წარმოდგენილი იყოს ინგლისური ენის მცოდნე, ამავე შტატში მცხოვრები პირების მაქსიმალურად ან საკმაოდ ფართო სპექტრი – საზოგადოების ყველა ფენიდან, შეძლებისდაგვარად პროპორციულად. როგორც მიუთითებენ, აშშ-ში სასამართლოების კომპიუტერიზაციამ ტექნიკურად ისედაც (თავისთავადაც) მოითხოვა უარი ეთქვათ „კვალიფიციური მსაჯულების დისკრეციული არჩევის პრინციპებზე“ [68, გვ. 84].

კონგრესის ზემოხსენებული დადგენილებითა და სხვა აქტებით აშშ-ში გაგრძელდა გარკვეული სახის პროფესიათა შეუთავსებლობის გაუქმების ტენდენცია. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ტენდენცია „დროის მოთხოვნა“ – იგი ინგლისსა და სხვა ქვეყნებშიც მკაფიოდ შეინიშნება! ამის მიზეზი კი, ძირითადად, იმაში მდგომარეობს, რომ პოტენციურ მსაჯულთა ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი, საბოლოო ანგარიშით, რეალურად არასოდეს ან თითქმის არასოდეს ხვდება ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შემადგენლობაში. ამ მხრივ შექმნილ მდგომარეობას საკმაოდ კარგად ასურათებს შემდეგი მონაცემები და ფაქტები:

⊗ „ნაფიც მსაჯულთა საკვალიფიკაციო ცნობარს“, ანუ მსაჯულობის კანდიდატთა მიერ შესავსებად განკუთვნილ ანკეტას აშშ-ში ყოველწლიურად უგზავნიან დაახლოებით 20 მილიონ მოქალაქეს, რომელთაგან მეოთხედლიდან ნახევრამდე დისკვალიფიკაციის (ამ ცნების შინაარსი იხ. ქვემოთ), ნაფიცი მსაჯულის მოვალეობისაგან გათავისუფლების ან კიდევ, თავის არიდების შემთხვევაში, პატიების გამო, ახერხებს წყლიდან მშრალად ამოსვლას – ნაფიც მსაჯულად სამსახურის არიდებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ნაწილი ხვდება „არგამოცხადებულთა“ სიაში. ვაშინგტონში ამ კონტინგენტის შესწავლამ აჩვენა,

რომ მათგან 19% განზრახ არ გამოცხადდა, ხოლო 43%-ს გამოძახება საერთოდ არ მიუღია ამა თუ იმ მიზეზისა გამო.

საბოლოოდ, მომდევნო პროცედურების გავლის შემდეგ, ნაფიცი მსაჯულის ფიცის დადება უწყვეს მხოლოდ გამოცხადებულთა ნახევარს [68, გვ. 92-93].

\* ავსტრალიაში კანდიდატთა შერჩევა (სელექცია) ასევე საარჩევნო სიებიდან, კომპიუტერის მეშვეობით, შემთხვევითობის პრინციპით ხდება. ამ წესის სერიოზული ნაკლი ისაა, რომ მასში შეტანილნი არიან მხოლოდ ავსტრალიის მოქალაქეობის მქონენი. ეს მაშინ, როცა ქვეყანაში მრავლად არიან ემიგრანტები, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ ავსტრალიის მოქალაქეობა, აგრეთვე აბორიგენები, რომელთაც რეგისტრაციისთვის არ მიუძღრთავთ, რის გამოც საარჩევნო სიების მიღმა რჩებიან, ე.ი. ავტომატურად რჩებიან ნაფიც მსაჯულთა სიებს გარეთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი უკიდურეს პერიფერიებში ცხოვრობენ, ხოლო სასამართლოს ადგილსამყოფლიდან მოშორებულად (მაგ., ვიქტორიის შტატში – 32 კმ-ის იქით) მდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებნი კანონით თავისუფლდებიან ნაფიც მსაჯულად გამოძახებისაგან [68, გვ. 159-161], გასაგები გახდება, თუ რატომ იწვევს შეშფოთებას ავსტრალიაში აბორიგენტთა ნაფიც მსაჯულად გამწესების მეტად დაბალი ხვედრითი წილი.

ყურადღებას იქცევს ნაფიც მსაჯულთა პოტენციური კორპუსის „გაცხრილვის“ ავსტრალიაში დანერგილი „ნოვატორული“, ფრიად საჭოჭმანო მეთოდი. კერძოდ, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა კონტინგენტს ამოწმებს პოლიცია – უწინარესად, მათი ნასამართლობის თვალსაზრისით. იგი შედეგებს ატყობინებს შერიფს იმ მიზნით, რომ ნასამართლობის გამო დისკვალიფიკაციას დაქვემდებარებული პირები ამოირიცხონ პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა კორპუსიდან. ეს ასპექტი, სამართლიანობის თვალსაზრისით, დავას ფაქტობრივად არ იწვევს – განსხვავებით სხვა ასპექტისაგან, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: პოლიცია, გარდა ამისა, ამ კონტინგენტს ამოწმებს პოლიციური თვალთახედვის კუთხით „შესაფერისობის“ პოზიციიდან და პროკურორს აცნობებს, რომ ესა თუ ის კანდიდატი „შეუფერებელია“ ნაფიცი მსაჯულობისათვის, რადგან შემჩნეულია

პოლიციის ან მთლიანად ხელისუფლების მიმართ „ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში“ [68, გვ. 165, 167]. ცხადია, ამგვარი მიუღებელი („კაუჩუკური“ და სუბიექტური ხასიათის) კრიტერიუმით პროკურორის მიერ მისი აცილება ან „ჩამოცილება“ (Standing by – იხ. ქვემოთ) აშკარად მოქმედებს დაცვის მხარის კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ, მის უმეტეს, რომ, ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდება [68, გვ. 167].

\* ახალ ზელანდიაში ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს ირჩევენ საერთო და გაორების (აბორიგენი ანუ ძირძველი მოსახლეობის) საარჩევნო სიებიდან, თითოეული სასამართლო ოლქისათვის. თანახმად „ნაფიც მსაჯულთა შესახებ“ 1981 წლის კანონისა და 1990 წლის შესაბამისი დებულებისა, სიებს ადგენს საარჩევნო ცენტრი [68, გვ. 207].

\* შოტლანდიასა და ირლანდიაშიც ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა პირველადი სიების შედგენის წყაროა საარჩევნო სიები. ამ ქვეყნებშიც გამოიყენება აღბათობითი შერჩევის წესი, მაგრამ, ამასთან, ირლანდიის კანონმდებლობა უშვებს სხვა მეთოდების გამოყენებასაც, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი არადისკრიმინაციული უნდა იყოს [68, გვ. 243, 280].

### §3. საერთო სიების ხელახალი დაზუსტება (ანკეტირება) სასამართლოებში, საბოლოო სიის შედგენა, გამოქვეყნება და სასამართლოს შესაბამისი მუშაკებისათვის გადაცემა

შესაბამისი ტერიტორიული სასამართლოები, რომელთაც მიიღეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საერთო სიები (რომლებიც, ამასთან, გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში, გამოიკრა ადგილობრივი თვითმმართველობის შენობებში და/ან სხვა გზით გახდა მოსახლეობისთვის ცნობილი და/ან ხელმისაწვდომი), თავიანთი მხრივ, იწყებენ მათ შემდგომ დაზუსტება-დახვეწას. ცხადია, ამოორიცხული არ არის, რომ სასამართლოს მოხელეებმა თავიდანვეც, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის წესით, როგორც დაინტერესებული უწყების წარმომადგენლებმა, რაიმე ფორმითა და პარამეტრებით „წაიმუშაონ“ ამ სიებზე, მაგრამ, ამ სიების საბოლოო დახვეწა მხოლოდ ამ მომენტიდან ხდება სრულად შესაძლებელი. ამასთან, საბოლოო და ყველაზე ქმედითი საშუალება, როგორც წესი, სასამართლოებს ეძლევათ მას შემდეგ, რაც გამოძახებული კანდიდატები სასამართლოში გამოცხადდებიან. მაგრამ ამასთან, პრაქტიკამ შეიმუშავა „წინმსწრები“, ერთობ ეფექტიანი მეთოდი, რომელიც მდგომარეობს კანდიდატთა გარკვეული (კომპიუტერის მიერ, შემთხვევითობის წესით, წარმომადგენლობითობის პრინციპით შერჩეული) „მასისათვის“ ფოსტით ანკეტის (კითხვარის) ტიპის დოკუმენტის გაგზავნა, რომელსაც აშშ-ში საკვალიფიკაციო ცნობარს უწოდებენ, რუსეთში – საკვალიფიკაციო ანკეტას და ა.შ. მასში შეტანილია ყველა ის ცნობა (მონაცემი), რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა (აშშ-ში – პრეცედენტი). სწორედ ეს ცნობარი (ანკეტა), რომელსაც შევსებულს უბრუნებს ადრესატი (კანდიდატი) სასამართლოს, არის ის პირველადი და ძირითადი წყარო, რომლის მეშვეობითაც სასამართლოში იწყება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების საბოლოო შერჩევის პირველი ეტაპი. კერძოდ, სასამართლოს მოხელე ამუშავებს ამ დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციას (მონაცემებს). შედეგების მიხედვით, იგი ადგენს იმ პირთა სიას, რომლებიც ამოორიცხულნი უნდა იქნენ გამო-საძახებელთა სიიდან – სამუდამოდ (თუ ამის საფუძველი არსებობს)

ან დროებით (თუ ამორიცხვა მხოლოდ გადავადებას მოასწავებს). ამორიცხვის კრიტერიუმებს მომდევნო პარაგრაფში განვიხილავ, აქ კი აღვნიშნავ, რომ, მაგალითად, რუსეთში აღნიშნული სია დასამტკიცებლად წარედგინება უფლებამოსილ მოსამართლეს. იმის თაობაზე, რომ ეს პირები უნდა ამორიცხონ საერთო სიებიდან, ეცნობება შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას, აგრეთვე (წერილობით – ფოსტითვე) იმ პირებს, რომლებიც ამოსარიცხთა სიაში მოხვდნენ.

აშშ-ში დადგენილია საკვალიფიკაციო ცნობართან დაკავშირებული შემდეგი პროცედურა: აღნიშნული ცნობარი ადრესატს ეგზავნება ფოსტით, ამასთან, ეძლევა წინადადება – 10 დღეში (ზოგან დადგენილია უფრო მეტი ვადა – მასაჩუსეტსის შტატში, მაგალითად, 20 დღე) შეავსოს, ხელი მოაწეროს, ფიცქვეშ დაამოწმოს მასში მითითებული მონაცემების სისწორე და დაუბრუნოს გამგზავნს (სამართლოს). პირი, რომელმაც შევსებული ცნობარი არ დააბრუნა, შეიძლება გამოიძახონ მდივანთან ან კომისიაში, ასეთივე დოკუმენტის (ბლანკის) შესავსებად. თუ პირი არ გამოცხადდება, იგი გამოძახებულ უნდა იქნეს მოსამართლის ბრძანებით – განმარტების მისაცემად. თუ ბრძანებითაც არ გამოცხადდა და არც ამის საპატიო მიზეზის მტკიცებულება გამოგზავნა (ან შემდგომში არ წარმოადგინა), ასეთი პირი შეიძლება დაჯარიმდეს 100 დოლარით, ან დაისაჯოს 3 დღე-ღამის პატიმრობით, ანდა ორივეთი ერთად. ასევე, აგებს პასუხს ის, ვინც არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტს (მონაცემს) ცნობარში დაამახინჯებს ნაფიცი მსაჯულობისაგან თავის ასარიდებლად, ან, პირიქით, იმ მიზნით, რომ უკანონოდ გახდეს ნაფიცი მსაჯული [294, c. 221-222, § 1864, ნაწ. 6].

#### §4. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი საფუძვლები (გარემოებები, ფაქტორები, მახასიათებლები)

##### 4.1. კლასიფიკაციის საკითხები

ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი საფუძვლები, ჩემი აზრით, შეიძლება, უწინარესად, დაიყოს იმპერატიულად (საკმარისი და სავალდებულო) და არაიმპერატიულად (არასავალდებულო – კონკრეტული გარემოებების მიხედვით შესაფასებელი). ამასთან, „აქვე აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ (არაიშვიათად) ის ნიშანი, რომელიც ერთ ქვეყანაში წარმოადგენს ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავ იმპერატიულ საფუძველს, მეორე ქვეყანაში შეიძლება რომელიმე ინსტანციის გადასაწყვეტი (მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების წესით) საკითხი იყოს, ე.ი. წარმოადგენდეს გათავისუფლების შესაძლო საფუძველს – თვითონ კანდიდატის ან სხვა პირის განცხადების შესაბამისად, ანდა სიების „გამცხრილავი“ პირის ინიციატივით“ [14, გვ. 44].

სხვადასხვა ნიშნების მიხედვით ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი გარემოებანი შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს აგრეთვე ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ა) პირის სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების შეუსაბამობა წარდგენილ მოთხოვნებთან (მოქალაქეობა, ბინადრობის სტატუსი, ასაკი, პროფესია, საქმიანობა და/ან თანამდებობა); ბ) ფიზიკური და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა; გ) მადისკვალიფიცირებულ გარემოებათა არსებობა.

##### 4.2. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი იმპერატიული საფუძვლები (გარემოებები)

4.2.1. მოქალაქეობის არქონა. ქვეყანათა უმრავლესობაში (აშშ, რუსეთი, ავსტრალია, ესპანეთი და სხვ.) ეს გარემოება იწვევს პირის ავტომატურად გამოტოვებას ან (შემდგომში) ამორიცხვას ნაფიც მსაჯულთა სიიდან. ამასთან, ახალ ზელანდიაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ამ ქვეყნის მოქალაქეობა, შეუძლიათ

იმსახურონ ნაფიც მსაჯულად, თუ შეტანილნი არიან საარჩევნო სიაში [68, გვ. 32]. ცხადია, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობამ არ უნდა შექმნას „მოჯადოებული წრე“, როცა საერთო სიაში პირს არ ჩართავენ, თუ იგი საარჩევნო სიაში არ არის შეტანილი, ზოლო საარჩევნო სიაში არ შეაქვთ პირები, რომელთაც არა აქვთ მოქალაქეობა. არადა, როგორც ცნობილია, რიგ ქვეყნებში ხანგრძლივად (მათ შორის მუდმივადაც) ცხოვრობენ პირები, რომელთაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ გააჩნიათ (ე.წ. მოქალაქეობის არმქონე პირები), რაც გასათვალისწინებელია ნაფიც მსაჯულად გამწესების პირობების დადგენისას.

4.2.2. სამართალწარმოების ენის არცოდნა. რიგ ქვეყნებში, პირდაპირ თუ ირიბად, სამართალწარმოების ენის არცოდნა წარმოადგენს ნაფიც მსაჯულად გამწესების გამოპრიცხავ საფუძველს, რაც საესებით ბუნებრივია სამართალწარმოების ორგანიზაციის პრინციპებიდან გამომდინარე (აშშ-ში, მაგალითად, სავალდებულოდაა მიჩნეული ინგლისური ენის ცოდნა).

4.2.3. ბინადრობის ცენზი. აშშ-ს ზოგიერთ შტატში კანონმდებლობა ადგენს, რომ ნაფიც მსაჯულად გასამწესებელი პირი ამ შტატში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ბოლო ერთი წლის მანძილზე მაინც [294, გვ. 222]. თუ რას ნიშნავს მუდმივად ცხოვრება, ბუნდოვანია, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა პირს საცხოვრებელი ადგილები (სახლები, ბინები) აქვს ორ ან მეტ შტატში (არაფერს ვამბობ სხვა სახელმწიფოებში თუ „მოდურ კუნძულებზე“ საცხოვრებლის ქონასა და იქ წლის მნიშვნელოვანი ნაწილის გატარებაზე). ცხადია, ასეთ შემთხვევებში ძნელი დასადგენია „მუდმივად ცხოვრების“ ფაქტი, შესაბამისად, რთულია ამ საკითხზე დავის გადაწყვეტაც.

ამ მხრივ საკმაო გარკვეულობით ხასიათდება ინგლისის კანონმდებლობა, რომელიც აწესებს, რომ ნაფიც მსაჯულად გასამწესებელი პირი, 13 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, 5 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს გაერთიანებული სამეფოს (და არა მაინცდამაინც საკუთრივ ინგლისის!) ტერიტორიაზე [68, გვ. 32].

4.2.4. ასაკობრივი შეუსაბამობა. ინგლისში, აშშ-ში, ესპანეთსა და რიგ სხვა ქვეყნებში ქვედა ასაკობრივი ზღვარია 18 წელი, რუსეთში



– 25 და ა.შ. რაც შეეხება ზედა ზღვარს, იგი შედარებით ნაკლები იმპერატიულობითაა დადგენილი. ინგლისში, 1998 წლიდან, ზედა ზღვრად დადგენილია 70 წელი (მანამდე იყო 60), შოტლანდიაში – 65. ზოგან ნაფიცი მსაჯულობიდან ასაკის გამო გათავისუფლების თაობაზე განცხადების შეტანის უფლება წარმოიშობა 60 წლიდან (ამასთან, შესაძლებელია დიფერენციაცია სქესის მიხედვით), ავსტრალიაში საუბარია „ხანდაზმულ ასაკზე“ და ა.შ.

4.2.5. ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა. ნაფიც მსაჯულად ვერ გამწესდებიან სერიოზული, ამასთან, მუდმივი ან მყარი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე პირები: ბრმები, ყრუები, მუნჯები, სხვა სერიოზული ავადმყოფობის გამო ინვალიდი, შეურაცხი ან შეზღუდულად შერაცხადი პირები (მაგ., რუსეთში). ამასთან, გვხვდება უცნაური, უფრო „იდეოლოგიური ხასიათის“ გადაწყვეტებიც. ასე, მაგალითად, მასაჩუსეტსის შტატში მსაჯულად ყოფნის უფლება აქვს ყრუ-მუნჯსაც, რომელსაც „... ინფორმაციას აწვდის პირი, რომელიც მას სპეციალური ფესტიკულაციით გადასცემს მხარის, მოწმის და ა.შ. ნაამბობს. ასევე შესაძლოა მსაჯული იყოს ბრმაც. დაახლოებით ასეთივე წესებია გათვალისწინებული ვირჯინიის შტატშიც“ [68, გვ. 67]. პრაქტიკაში, ცხადია, ამგვარი პირების ნაფიც მსაჯულად ყოფნა სასამართლოს დამატებით სიძნელეებს შეუქმნის – დამატებითი ხარჯებიდან და ორგანიზაციული საკითხებიდან დაწყებული. ამიტომ, ცხადია, პრაგმატულობით ცნობილი ამერიკელები ამგვარ პირთა სამსახურს პრაქტიკულად თითქმის არ იყენებენ.

4.2.6. შეუთავსებლობა პროფესიული, თანამდებობრივი, საქმიანობის ხასიათის თუ სამსახურებრივი ნიშნის მიხედვით. ნაფიც მსაჯულად, გავრცელებული საკანონმდებლო პრაქტიკის მიხედვით, ვერ იმუშავენენ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სხვა სამართალდამცავი და ოპერატიული ორგანოების (სპეცსამსახურების), სამხედრო უწყებების მუშაკები, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლებების მაღალი რანგის პირები\*, ადვოკატები, ნოტარიუსები და ა.შ.

\* აშშ-ს კანონთა კრებულის 28-ე განყოფილების 1863-ე პარაგრაფის „ნ“ ნაწილის მე-6 პუნქტის III ქვეპუნქტში შემდეგნაირადაა მითითებული შეუთავსებლობის მქონე ამგვარი სუბი-

აშშ-ში ამგვარ პირთა ჩამონათვალი 70-ს აღწევს (მათ შორის არიან აგრეთვე მეხანძრეები, ავიაპილოტები, სარკინიგზო დისპეტჩერები და სხვ.).

4.2.7. მადისკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა. ამგვარ გარემოებებს, ძირითადად, განეკუთვნება ა) ნასამართლობის ქონა; ე.ი. პირები, რომელთაც ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვთ (მაგ., რუსეთში), ან კიდევ არა ყველა, არამედ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე (სხვა ტერმინოლოგიით — „სერიოზული“, „საშიში“ და მისთ.) დანაშაულისათვის (ზოგჯერ განსაზღვრულია ამგვარ დანაშაულთა სახეების ჩამონათვალიც) ადრე ნასამართლენი, ანდა ამ მომენტისათვის ნასამართლობის მქონენი, მათ შორის პირობითი მსჯავრის მოხდის პროცესში მყოფნი, ამოირიცხებიან ზემოხსენებული სიებიდან; ბ) ამ მომენტისათვის ბრალდებულის ან განსასჯელის ამპლუაში (საპროცესო მდგომარეობაში) ყოფნა. ასე, მაგალითად, აშშ-ში ამგვარი საფუძველია ის, რომ პირის მიმართ აღძრულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოტანილია განაჩენი დანაშაულისათვის, რომლის გამოც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით და, ამასთან, „მისი სამოქალაქო უფლებები არ არის აღდგენილი“ [294, გვ. 221 — §1865, ნაწ. 6(5)]. ინგლისში ნაფიცი მსაჯული ვერ გახდება პირი, რომელიც: ა) მსჯავრდებულ იქნა დანაშაულის ჩადენისთვის 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით; ბ) ბოლო ათი წლის განმავლობაში იხდიდა რაიმე სახის სასჯელს; გ) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირობით იყო მსჯავრდებული ან დ) იმყოფება გირაოს ან თავდებობის ქვეშ სისხლის სამართლის პროცესში [68, გვ. 33].

---

ექტები: „შერთებული შტატების, მისი შტატის, რაიონის, ტერიტორიის თუ სამფლობელოს და მათი ნაწილების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების სახელმწიფო ჩინოვნიკები“ [294, გვ. 221].

### 4.3. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი არაიმპერატიული საფუძვლები (გარემოებები)

ამგვარი საფუძვლების (გარემოებების) ჩამონათვალი სხვადასხვა ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებულია. გავრცელებული საკანონმდებლო პრაქტიკით, ნაფიც მსაჯულად გამწესებისაგან შეიძლება გათავისუფლდნენ: ხანდაზმულნი (ყველაზე ტიპურია 60 წლის ასაკს მიღწევა), ავადმყოფები (ლაპარაკია „ნაკლებად სერიოზულ“ ავადმყოფობაზე), ეჭიშები, მასწავლებლები, ორსული და ბავშვიანი ქალები, მძიმე პირადი ან ოჯახური მდგომარეობის მქონენი, პატივსადები სამსახურებრივი, სამუშაოსთან თუ საქმიანობასთან (მაგ., ბიზნესთან) დაკავშირებული პრობლემების მქონენი და სხვ. ასე, მაგალითად, აშშ-ს კანონმდებლობით, ამგვარ გარემოებად მიიჩნევა: ა) გადაულახავი სიძნელე ან მეტისმეტად დამაბრკოლებელი გარემოებანი; ბ) როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პირი ვერ შეძლებს ამ საქმეზე იყოს მიუკერძოებელი; გ) არამოტივირებული აცილება; დ) მოტივირებული აცილება; ე) როცა სასამართლოს დასაბუთებულად (სათანადო დასკვნით) მიაჩნია, რომ ამ პირის მონაწილეობა დაარღვევს სასამართლო წარმოების საიდუმლოებას (იგულისხმება ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება), ან მენე გავლენას მოახდენს მსაჯულთა განსჯის დამოუკიდებლობაზე. გარდა ამისა, აკრძალულია: 1) დიდი ყიურის მუშაობაში ორი წლის განმავლობაში განმეორებით მონაწილეობა; 2) მცირე („ჩვეულებრივ“) ყიურის მიერ, საქმის განხილვაში 30 დღეზე მეტი ხნით მონაწილეობა\*, — გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს საჭიროა კონკრეტული საქმის დასამთავრებლად“ [294, გვ. 223, §1866, ნაწ. „c“ და „e“]. ინგლისში ნაფიც მსაჯულად სამსახურისაგან გათავისუფლების ან სამსახურის გადავადების დისკრეციული უფლებამოსილება აქვს სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილ მოხელეს, თუ ამგვარ საფუძვლად ჩათვლის, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ვთქვათ, სამუშაოსთან

\* ზოგ ქვეყანაში დადგენილია ნაფიც მსაჯულად სამსახურის „ლიმიტი“ წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ, 7-10 დღეზე ან ერთ თვეზე ვალთ.

დაკავშირებულ ვალდებულებას, ბავშვზე მზრუნველობას, წინასწარ აღებულ შევებულებას და სხვ. ამასთან, სამუშაოსთან დაკავშირებით გათავისუფლება ზდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში – არსებითი მიზეზის დადგენისას [68, გვ. 36-37]. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულად გამწესებისაგან გათავისუფლების ამგვარი (არაიმპერატიული) გარემოებებისას, ხშირად ან მეტწილად, ლაპარაკია არა საბოლოოდ („სამუდამოდ“), არამედ დროებით გათავისუფლებაზე, ანუ, ფაქტობრივად, გამწესების გადავადებაზე. ასე, მაგალითად, დროებით ავადმყოფი პირი, გამოჯანმრთელების შემდეგ, კვლავ შეიძლება მიიწვიონ (გამოიძახონ) ნაფიც მსაჯულად გამწესების მიზნით. იგივე ითქმის დროებით მძიმე პირადი, ოჯახური, სამსახურებრივი და მისთანა პრობლემების გამო გათავისუფლებულ პირებზე. სხვა საკითხია, ვთქვათ, 60 წლის ასაკს გადაცილების გამო გათავისუფლება – აქ, ცხადია, არც ლოგიკურად და არც პრაქტიკაში ამგვარ პირებს ხელმეორედ, როგორც წესი, არ იძახებენ, თუმცა, ფორმალურად, ეს პირი ექვემდებარება გამოძახებას მაქსიმალური (ზღვრული) ასაკის შესრულებამდე (იგულისხმება, რომ კანონით ამგვარი ზედა ანუ ზღვრული ასაკი დადგენილია და იგი 60 წელს აღემატება!).

## § 5. კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულად გასამწესებლად კანდიდატთა გამოძახება, მათი განთავსება, მატერიალური და ინფორმაციული უზრუნველყოფა (პროცედურული და ორგანიზაციული ასპექტები)

### 5.1. გამოსაძახებელთა რაოდენობისა და კონტინგენტის განსაზღვრა

ნაფიც მსაჯულთა საბოლოო სიაში მოცემული პირები, იგულისხმება, რომ, როგორც წესი, შეესაბამებიან ნაფიც მსაჯულად გასამწესებელი პირის მიმართ წარდგენილ მოთხოვნებს. ამიტომ, ამ ეტაპზე, უწინარესად, წინა პლანზე იწევს გამოსაძახებელ კანდიდატთა აუცილებელი თუ ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრის საკითხი — ცხადია, კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით. ასე, მაგალითად თუ ეს საქმე აუიტირებულა (ფართოდაა გახმაურებული ტელევიზიით, პრესით და ა.შ.), მაშინ ივარაუდება, რომ კანდიდატთა გაცილებით მეტი რაოდენობა უნდა იქნეს გამოძახებული, რადგან მოსალოდნელია მათი დიდი ნაწილის „განთესვა“ აცილებათა შედეგად — უწინარესად, საქმის გარემოებების თაობაზე მასმედიით წინასწარ ინფორმირებულობის გამო. ამდენად, ამ რაოდენობას განსაზღვრავენ მოსამართლე და/ან სასამართლოს მოხელე, კონკრეტული საქმიდან, პრაქტიკული გამოცდილებიდან, ამა თუ იმ რეგიონის შესაბამისი სტატისტიკური რეალობიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე — იმ ანგარიშით, რომ, ყველა შემთხვევაში, სათანადო პროცედურების ჩატარების შემდეგ, დარჩეს განთესვას „გადარჩენილ“ ნაფიც მსაჯულთა საკმაო რაოდენობა (ყიურის ფორმირებისთვის). ამიტომ, მაგალითად, რუსეთსა და ესპანეთში იძახებენ არანაკლებ 20 კანდიდატს, ინგლისში — 25-30-ს, აშშ-ში — 36-48-ს (სხვადასხვა შტატების მიხედვით) და ა.შ. ეს — ჩვეულებრივ შემთხვევებში, ხოლო ზემოხსენებულ საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება მოწვეულ იქნეს კანდიდატთა გაცილებით დიდი რაოდენობა, ზოგჯერ კი — „სარეკორდო“.

• ასე, მაგალითად, კანადაში, ბერნარდოს ბრალდების ფართოდ გახმაურებულ საქმეზე, დიდ სასამართლო დარბაზად დროებით

გადაკეთებულ „არიალ იორკ პოტელში“, 1995 წლის მაისში, მოწვეული იყო 980 (!) პოტენციური ნაფიცი მსაჯული, რომელთაგანაც 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ჟიურის ფორმირება. მიუხედავად ამისა, მოგვიანებით საჭირო გახდა კიდევ... 225 კანდიდატის გამოძახება..

გარდა რაოდენობრივისა, საჭიროა განისაზღვროს თვისებრივი შემადგენლობაც ანუ კონტინგენტი – ცხადია, იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. კერძოდ, აშშ-ში მიღებულია, რომ, გამოსაძახებელ კანდიდატთა კონტინგენტის შერჩევისას, სასამართლო აპარატის შესაბამისმა მოხელემ (სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე – კლერკი, სასამართლო აპარატის სხვა მუშაკი) უნდა დაიცვას პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპი. მისი არსი, უწინარესად მდგომარეობს შემდეგში: გამოსაძახებელთა ჯგუფში უნდა შედიოდეს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი – იმ პროცენტული ხვედრითი წილის შესაბამისად, რომელიც შეესაბამება ამ ერთეულებიდან წარმოდგენილ საერთო სიებში შეტანილ პირთა რაოდენობების თანაფარდობას [294, გვ. 220-221, § 1863].

• საილუსტრაციოდ, ვფიქრობ, გამოდგება ასეთი მარტივი მაგალითი: ვთქვათ, სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია შედგება სამი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისაგან, რომელთაც კანდიდატთა საერთო სიებში შეყვანილი ჰყავთ, შესაბამისად, 20, 30 და 50 ათასი კანდიდატი. კონკრეტული ჟიურისთვის გამოსაძახებელია, ვთქვათ 50 კანდიდატი. ზემოხსენებული პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით, პირველი რაიონიდან უნდა გამოიძახონ 10 (20%), მეორედან – 15 (30%), მესამედან კი – 25 (50%) კანდიდატი.

გარდა ამისა, თუ ეს შესაძლებელია, გათვალისწინებულ უნდა იქნეს გენდერული, რასობრივი, აბორიგენთა, სხვადასხვა სოციალური ფენებისა თუ ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფის გარკვეული ღონისძიებებიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ერთობ ძნელია – შემთხვევითობის (ალბათობის) წესის დაცვით შერჩევისას ეს ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ წესის დარღვევა კი, თავის მხრივ, ქმნის სხვა პრინციპების დარღვევათა და, რაც მთავარია, ბოროტად გამოყენების პირობებს (უწინარესად, ლაპარაკია კანდიდატთა კორპუსის შემადგენლობის რაიმე არალეგიტიმური, უკანონო

ინტერესის შესაბამისად, ხელოვნურად რეგულირების საფრთხეზე). ამიტომ, შემუშავებულია, მაგალითად, ასეთი სისტემა: იმახებენ, ვთქვათ, სიაში ყოველ მეხუთეს, ოღონდ, არეგულირებენ, რომ საბოლოოდ, ქალები და მამაკაცები იყვნენ თანაბარი (დაახლოებით მაინც) რაოდენობით, ამასთან, პროპორციულად (დაახლოებით მაინც) იყვნენ წარმოდგენილნი 25-35, 35-45, 45-55, 55-ზე მეტი ხნის ასაკობრივი ჯგუფები და ა.შ.

რაც შეეხება შემთხვევითი შერჩევისთვის კენჭისყრას, აშშ-ში, მაგალითად, ყოველი ფედერალური სასამართლო თვითონვე ქმნის ამ სისტემას. კერძოდ, ირჩევენ კომისიას სასამართლოს სხდომის მდივნის და ერთი ან მეტი (კოლუმბიის ოლქში – 3) მოქალაქის შემადგენლობით, რომლებიც ერთისა და იმავე პარტიას არ უნდა ეკუთვნოდნენ, შემუშავებულია სპეციალური მოწყობილობა კენჭისყრისათვის, რაც ტარდება საჯაროდ (ხალხის თანდასწრებით), მდივნის ან მოსამართლის მიერ [294, გვ. 222, § 1864].

## 5.2. კანდიდატთა გამოძახება, რეგისტრაცია, განთავსება და ინსტრუქტაჟი

კანდიდატებს სასამართლოში იმახებენ უწყებით და/ან სხვა ეფექტიანი და მისაღები საშუალებით (მაგ., ელექტრონული ფოსტით) – იმ ანგარიშით, რომ დანიშნულ დღეს გამოცხადდეს კანდიდატთა საჭირო რაოდენობა (გასათვალისწინებელია, რომ, ვთქვათ, უწყება, არაიშვიათად, ვერ აღწევს ადრესატამდე ტექნიკური თუ ორგანიზაციული „წუნის“, კანდიდატის სხვაგან ყოფნის, ავადმყოფობის, თავის არიდების ან რაიმე სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზისა გამო). როგორც წესი, ჩვეულებრივ შემთხვევებში, უწყებას უგზავნიან ორჯერ მეტ კანდიდატს (თუ უნდა გამოცხადდეს, ვთქვათ, 20 კანდიდატი, უწყებას უგზავნიან 40-ს). ამ რაოდენობიდან გადახრა (მეტისკენ ან ნაკლებისკენ) დამოკიდებულია სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის რიგ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე, აგრეთვე რიგ სხვა ფაქტორთა ერთობლიობაზე, რომელთა შორის ბოლო ადგილი როდი უჭირავს ქვეყანაში არსებული სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის (მართლწესრიგის) დონეს, საერთოდ,

ხელისუფლებისა და, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად და უშუალოდ კი — უწყების გამგზავნი სასამართლოს ავტორიტეტს მოსახლეობაში, მის ორგანიზაციულ დონეს, ნაფიც მსაჯულად სამსახურის პრესტიჟულობის დონეს, სამსახურის პირობებს და ა.შ. და მისთ.

გამოცხადებულ კანდიდატებს, თითქმის პირველი წუთებიდანვე, უტარდებათ პერმანენტული ინსტრუქტაჟი (თავდაპირველი, შემდგომი, „ფუნდამენტური“, ცალკეული საკითხების გამო ანუ მიმდინარე და ა.შ.). როგორც წესი, ეს ხდება ზეპირად.

გარდა ზეპირი ინსტრუქციისა, ხშირად ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს ეძლევათ სპეციალურად მომზადებული საინფორმაციო მასალა (ბუკლეტი, ცნობარი, ბიულეტენი, სახელმძღვანელო...).

გამოცხადებულ კანდიდატთა რეგისტრაციას, მათთვის გამოყოფილ (როგორც წესი, მომსვლელ მოქალაქეთაგან იზოლირებულ) ოთახში განთავსებას და ინსტრუქტაჟს ახორციელებს სასამართლოს საამისოდ უფლებამოსილი მოხელე, წინასწარ შედგენილი სქემის (გეგმის) მიხედვით. თუმცა, არსებული პრაქტიკით, ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობს და, გარკვეულწილად (მაგ., ინსტრუქტაჟის ნაწილში), მასში მონაწილეობს მოსამართლეც — ჟიურის მონაწილეობით განსახილველ საქმეზე სხდომის მომავალი თავმჯდომარე. მიღებულია (ტიპურია) შემდეგი პროცედურა:

გამოცხადებულ კანდიდატთა სასამართლოს მუშაკის მიერ აღრიცხვის (ჩვეულებრივ — სპეციალურ ჟურნალში) ჩატარებისას, თითოეულ მათგანს ეძლევა რიგითი ნომერი — რეგისტრაციის თანამიმდევრობის მიხედვით (ამ ნომერს, საკმაოდ კონკრეტული მნიშვნელობა აქვს — იხ. ქვემოთ), რომელიც მათ უნარჩუნდებათ ფიცის მიღებამდე (დანარჩენებს — შემდგომშიც...). შემდეგ ისინი მიიწვევიან ნაფიც მსაჯულთა ოთახში, სადაც ეძლევათ განმარტებები სასამართლოში ქცევის სავალდებულო წესების, ამ ეტაპზე მათი ძირითადი უფლება-მოვალეობების, მათი მონაწილეობით ჩასატარებელი შემდგომი პროცედურების, მისაღები გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურების წესისა და პირობების შესახებ. სხვა დასახლებული პუნქტიდან ჩამოსულთ მიეცემათ ინფორმაცია აგრეთვე სასტუმროში განთავსების საკითხზე.



### 5.3. ანაზღაურება (კომპანსაციები)

აღნიშნული საკითხები, ძირითადად, გათვალისწინებულია კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით – ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის 2004 წლის 20 აგვისტოს კანონით „რუსეთის ფედერაციის საერთო იურისდიქციის ფედერალურ სასამართლოთა ნაფიცი მსაჯულების შესახებ“ (მუხ. 11). კერძოდ, დადგენილია, რომ შესაბამისი სასამართლო, ფედერალური ბიუჯეტის ხარჯზე, ნაფიც მსაჯულებს უზღვის საკომპენსაციო გასამრჯელოს, უნაზღაურებს სამივლინებო და ტრანსპორტის (სასამართლომდე და უკან მგზავრობის) ხარჯებს. ამასთან, ნაფიც მსაჯულებს სამუშაო აღვილას უნარჩუნდებათ შრომის კანონმდებლობით დადგენილი გარანტიები და კომპენსაციები [305, გვ. 482]. საერთოდ, როგორც აღინიშნა, ყველა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძვირი ჯდება, რაც ზემოთ მითითებული გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურების ფაქტორითაცაა გამოწვეული – მიუხედავად იმისა, რომ, თვით ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი, საკუთრივ ნაფიც მსაჯულთათვის გადახდილი თანხები არ არის მნიშვნელოვანი და თანაზომიერი (შესაბამისი), რაც ნაფიც მსაჯულად სამსახურისათვის თავის არიდების ერთ-ერთი მიზეზიცაა – თვით ისეთ უმდიდრეს ქვეყანაშიც კი, როგორიცაა აშშ.

ჩანართი №13

**აშშ: რამდენად ადეკვატურად უნაზღაურებენ  
ნაფიც მსაჯულებს შრომას და, საერთოდ, რა „ღირს“  
ამ ქვეყანაში ეს ინსტიტუტი?**

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეთა თითქმის 80% აშშ-ზე მოდის!.. შესაბამისად, ამ ინსტიტუტის შენახვის „მსოფლიო ხარჯებიდან“ ლომის წილიც, ცხადია, ამ ქვეყანაზე მოდის!..

მაინც რა ხარჯდება ეს და რა „ნიშნულებს“ აღწევს იგი?

ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები (რომელიც მილიონად სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესანახად გაწეული ხარჯების სერიოზულ ნაწილს შეადგენს!) შედგება თანხებისაგან, რომლებიც მოიცავს: ნაფიცი მსაჯულთა საერთო სიების მოშხადებას, მათ გადამოწმებას, გამოქვეყნებას, სასამართლოებისთვის გადაცემას; სანიმუშო ინსტრუქციებისა და სხვა დოკუმენტების შედგენას; სვამანათლებლო პროგრამების რეალიზაციას; ადმინისტრირების ხარჯებს (ხელფასები და სხვ.); საკვალიფიკაციო ცნობარის (ანკეტის) შედგენის, ვაგ ზავნისა და მათი ანალიზის, შემდგომში კი შერჩეულ კანდიდატთა გამოძახების (დაბარების) პროცედურებს; ნაფიცი მსაჯულთა გასამრჯელოს, მათი ტრანსპორტირების (საცხოვრებელი ადგილიდან და უკან), სასტუმროში განთავსების, კვების, დაცვის (ზოგჯერ – აგრეთვე ექსკორტირების), ხანდახან (უფრო – ადრეულ წლებში) – სათათბიროდ ნაფიცი მსაჯულთა ჩაკეტვისა და მრავალი მსხვილმანი თუ „წვილმანი“ საორგანიზაციო ხასიათის საკითხების საფინანსო უზრუნველყოფას. ამ ხარჯების დეტალური ანალიზის არც საშუალება და არც საჭიროება აქ არ არის, ამიტომ, საილუსტრაციოდ, მოვიტან მხოლოდ ორიოდე დამახასიათებელ მონაცემს: ა) ნაფიცი მსაჯულთა სათათბიროდ ჩაკეტვის სავალდებულო პრაქტიკის გაუქმებამდე, მხოლოდ ნიუ-იორკის შტატი ამ პროცედურისათვის ყოველწლიურად ხარჯავდა დაახლოებით 4 მლნ დოლარს (ნაფიცი მსაჯულთა დაბინავებაზე, ზედამხედველობაზე და სხვ.); ბ) აშშ-ს ზოგიერთ შტატში ნაფიცი მსაჯულის ხელფასი დღეში შეადგენს 50 დოლარს, ზოგან – ნაკლებს, თუმცა არის მიზერული ანაზღაურების შემთხვევებიც. ასე, მაგალითად:

● „ორმაგ“ (ანუ ორი პირის) მკვლელობაში ბრალდებულ ო.ჯ. სიმპსონის (წარსულში ამერიკული ფეხბურთის „ვარსკვლავის“) საქმის განხილვა კვირების მანძილზე გრძელდებოდა. ამ საქმესთან დაკავშირებით ჯ. აბრამსონი აღნიშნავს: „ნაფიცი მსაჯულების ანაზღაურება შედარებით მცირეა. კალიფორნიაში სიმპსონის საქმეზე მსაჯულებს დღეში 5 დოლარს უხდიდნენ, ფედერალურ სასამართლოში კი – 40 დოლარს“ [2, გვ. 22]. აშშ-ში მაინც, რომ მხოლოდ 5 შტატს (მასაჩუსეტსი, ნიუ-ჯერსი, ნიუ-იორკი, კონექტიკუტი, ჯორჯია) და კოლუმბიის ოლქს აქვთ კანონით დადგენილი საკმაო გარანტიები ნაფიცი მსაჯულად გამწესების ხარჯებისა და ხელფასის შედარებით სრულად (მაგრამ, საბოლოო ჯამში, მინც შეზღუდულ ფარგლებში!) ანაზღაუ-

რების თაობაზე, დანარჩენ შტატებში კი მდგომარეობა უარესია, რაც, ძალზე ხშირ შემთხვევებში, ნაფიც მსაჯულთა მიერ თვითაკილების განცხადების ერთ-ერთ მიზეზთაგანია! და ეს მაშინ, როცა, ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც უკვე აღინიშნა, აშშ ყოველწლიურად 500 მილიონ დოლარს ხარჯავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შენახვაზე [16], გვ. 264].

ამასთან დაკავშირებით, ლოგიკურია წამოიჭრას კითხვა: კი მაგრამ, თუ მსოფლიოს ამ უმდიდრეს ქვეყანას ვერ მოუხერხებია ნაფიც მსაჯულთა შრომისა და გაწეული ხარჯების გეროვნად ანაზღაურება, როგორ უნდა მოახერხონ ეს ნაკლებად მდიდარმა ქვეყნებმა, მთ უმეტეს, სიღატაკის ზღვარზე მყოფმა (მათ შორის პოსტსოციალისტურმა) სახელმწიფოებმა? (რუსეთი და სათბოებნერგეტიკული რესურსებით მდიდარი რამდენიმე სხვა ქვეყანა ანგარიშში ჩასაგდება არ არის). ეს კითხვა, ცხადია, ფრიალ აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვისაც!..

## §6. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (კოლეგიის, შემადგენლობის) ფორმირება

6.1. პროცედურები ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სხდომის დარბაზში მიწვევამდე (მოსამზადებელი ნაწილი)

ამგვარი პროცედურების სპეციფიკა და ელემენტები საკმაოდ რელიეფურადაა გამოკვეთილი რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 327-ე მუხლში. კერძოდ:

წინასწარი მოსმენის შედეგად მიღებული დადგენილების საფუძველზე სასამართლო სხდომის გახსნის შემდეგ, სხდომის მდივანი ან მოსამართლის თანაშემწე მოახსენებს როგორც მხარეებისა და პროცესის სხვა მონაწილეების, ისე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა გამოცხადების შესახებ. თუ 20-ზე ნაკლები კანდიდატია გამოცხადებული, თავმჯდომარე იქვე იძლევა განკარგულებას კანდიდატთა დამატებითი რაოდენობის გამოძახების შესახებ (ე.ი. სხდომა გადაიდება). თუ 20 ან მეტი კანდიდატი აღმოჩნდება გამოცხადებული, მაშინ სხდომა გრძელდება. მხარეთა აცილების საკითხის

გადაწყვეტის შემდეგ, მათ, საერთო (ჩვეულებრივი ანუ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული) საკითხების გარდა, განმარტებები ეძლევათ შემდეგ საკითხებზე: 1) ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთათვის მოტივირებული აცილების განცხადების უფლების შესახებ; 2) განსასჯელის (ან მისი დამცველის) და სახელმწიფო ბრალმდებლის უფლების თაობაზე, რომ თითოეულმა მათგანმა შეიძლება განაცხადოს ორი არამოტივირებული აცილება – 2 კანდიდატი აიცილონ რაიმე მოტივის „გამხელის“ გარეშე, ავტომატურ რეჟიმში; 3) სსსკ-ის 42-ე მუხლში გათვალისწინებული სხვა უფლებები, აგრეთვე ამ უფლებათა გამოუყენებლობის იურიდიული შედეგები. ამასთან ერთად, მხარეებს ბარდებათ გამოცხადებულ ნაფიც მსაჯულთა სიები, ოღონდ მათი ბინის მისამართების მიუთითებლად [329, გვ. 113, 327]. ადვილი მისახვედრია, რომ ნაფიცი მსაჯულების ბინის მისამართების მიუთითებლობა („გასაიდუმლოება“) ხდება „ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოსაზრებით“ [178, გვ. 19], თუმცა, როგორც სხვა ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი დაცვა (დაზღვევა) მოსყიდვის ან სხვაგვარი „არაიძულებითი“ (არაზეწოლითი) მეთოდებით ზემოქმედებისაგან (მაგალითად, დაყოლიებისაგან). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, საქართველოს სინამდვილეში, სადაც „ნაცნობობა“ ტრადიციულად უდიდეს როლს თამაშობს, ხოლო ნაცნობ-შეგობართა თუ სხვაგვარი „კონდიციის“ პროტექტორთა გამოძებნა-ამოქმედება ლამის „ხელოვნების“ თუ ფილიგრანული ტექნიკის დონეზეა აყვანილ-დამუშავებული, ამ ასპექტის თუ ფაქტორის ნეიტრალიზებას (უწინარესად, მისამართის გაუმჟღავნებლობას) ) ძალზე დიდი

\* ჩემი აზრით, 327-ე მუხლის ამ (მე-5) ნაწილში (ისევე, როგორც წინა ნაწილებში, აგრეთვე 326-ე მუხლის სათაურში და 328-ე მუხლში), ლაპარაკი უნდა იყოს არა „ნაფიც მსაჯულებზე“ (როგორც ეს ახლად), არამედ „ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებზე.“ რადგან ამ ეტაპზე ისინი ჯერ კიდევ არ არიან ფიცმილებული მსაჯულები – ასეთად იქცევიან მხოლოდ შერჩევის (ფიურის ფორმირების) დამთავრებისა და ფიცის მიღების შემდეგ (ფიცის მიუღებლობა იწვევს ამ კანდიდატის დათხოვნას და ახალი კანდიდატის გამწესებას). 327-ე მუხლი იწვევს სხვა შენიშვნასაც: მასში არაა გამოკეთილი, რომ ხხლომის ამ ნაწილს მსაჯულობის კანდიდატები არ ესწრებიან – მათ იმასზე უნდა მოგვანებთ (მუხ. 328, ნაწ. პირველი). გარდა ამისა, 326-ე მუხლის მე-7 ნაწილში გარკვევით არ ჩანს, თუ რა ეტაპზე ხდება განცხადების განხილვა და რა პროცედურით.

მნიშვნელობა ექნება. იმ ქვეყნებში, სადაც საერთო სიები (საიდანაც არიან ამოკრებილნი ზემოთ მითითებული კანდიდატები) წინასწარაა გამოქვეყნებული, მასობრივი კომპიუტერიზაციის ეპოქაში, საკმაოდ ადვილად და სწრაფად შეიძლება ზემოხსენებულ კანდიდატთა ბინის მისამართების დადგენაც (ბოლოსდაბოლოს, ეს ხალხი ხომ ძირითადად უწყებით იქნენ გამოძახებულნი სასამართლოს მოხელის მიერ, რომლის მოხელთება-დაყოლიებაც, გავლენიანი ბრალდებულისა და მისი ახლობლებისათვის, მეტწილად ან არაიშვიათად, სულაც არ იქნება შეუძლებელი საქმე! მით უმეტეს, რომ ისინი გამოსაცხადებულ კანდიდატთა სიებს ადგენენ სხდომის დაწყებამდე გარკვეული დროით ადრე – სხდომისა, რომლის გადადება-გაჭიანურება დროის მოგების მიზნით, მხოლოდ „ელემენტარული ტექნიკის“ საქმეა!.. „ერთდღიანი“ საქმეები კი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში ხომ საკმაოდ იშვიათია!...

ჩანართი №14

### რა ვადებში იხილავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეებს?

ფართოდაა ცნობილი, რომ ცალკეული, განსაკუთრებით გახმაურებული და/ან სხვაგვარად რთული საქმეების განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოებში კვირები და თვეებიც კი მიმდინარეობს (ასეთი იყო, მაგალითად, აშშ-ში ზემოთ მითითებული ო.ჯ. სიმპსონის საქმე, აგრეთვე ლუიზა ვულფორდის საქმე და მრავალი სხვა). რაც შეეხება ჩვეულებრივი ფელონიის განხილვას, 2-დან 4 დღემდე სჭირდება, უფრო მარტივი საქმეებისას კი – საშუალოდ 11 საათი\* (როცა საქმეზე დასკოთხია სულ 2 ან 3 მოწმე-მოხელე და ერთი ექსპერტი). ამასთან, უნდა დაემატოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის (შემადგენლობის ფორმირების) პროცედურებიც, რომლებიც შეიძლება გავრთვულეს 1 საათიდან რამდენიმე დღემდე (ბერნარდოს ზემოხსენებულ საქმეზე, კანადაში, ჟიურის წევრთა შერჩევა გავრთვულა 5 დღე, აშშ-ში, ორბრალდებულთან საქმეზე კი – 6 თვე! [16], გვ. 266].

\* ცნობისთვის: ბრალდების მხარე ორჯერ მეტ დროს „იწირავს“, ვიდრე დაცვისა [68, გვ. 92]

გამოანგარიშებულია, რომ, საშუალოდ, ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირებასთან დაკავშირებული პროცედურები იწირავს ამავე საქმის არსებითად განხილვისათვის საჭირო დროის 20-35%-ს, ანუ დაახლოებით მეხუთვიდან მესამედამდე და მეტსაც კი [იქვე, გვ. 91].

ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიცი მსაჯულების თაობაზე ინფორმაციის მიღების პრობლემა მხარეს არც კი წარმოემობა, რადგან აქ არა მარტო მას, არამედ ნებისმიერ მსურველს შეუძლია მიიღოს პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა სია, ბინის მისამართებისა და პროფესიის მითითებით (ახალი ზელანდია, ავსტრალიის ზოგიერთი შტატი). სამაგიეროდ, ნაფიც მსაჯულთა ვინაობა გაცილებით ნაკლებადაა მისაწვდომი ინგლისში — ზოგჯერ აქ ნაფიც მსაჯულად გასამწესებლად სასამართლოში გამოცხადებულ კანდიდატებს მხოლოდ სახელით (გვარის გარეშე!) აცხადებენ [168, გვ. 42]. რაც შეეხება აშშ-ს, აქ, ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული, ბანდიტიზმისა და სხვა ორგანიზებულ, აგრეთვე ჯგუფურ ძალადობით დანაშაულთა საქმეებზე, მოსამართლეები ადგენდნენ, რომ საქმე განხილულიყო „აბნეილი ნაფიცი მსაჯულების მეშვეობით“. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეში მათზე არ მოიპოვება პიროვნების მაიდენტიფიცირებელი რაიმე მონაცემი, ამასთან, სასამართლო სხდომებზე ისინი შეიძლება იხილნენ ნიღბებში, ან კიდევ გამოეწყონ გრძელ და ფართო მოსასხამში, რომელიც მთლიანად ფარავს მათს გარეგნობას [161, გვ. 264].

## 6.2. პროცედურები სხდომის დარბაზში ნაფიც მსაჯულთა მიწვევის შემდეგ

6.2.1. მოკლე ექსკურსი. მოსამზადებელი ნაწილის დამთავრებისთანავე ნაფიც მსაჯულებს იწვევენ სხდომის დარბაზში, რომელიც ჩვეულებრივი სხდომის დარბაზისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ დანარჩენ დამსწრეთაგან ცალკეა გამოყოფილი ადგილი, სადაც განთავსებულია ნაფიც მსაჯულთა სკამები — როგორც ძირითადების, ისე სათადარიგოთა (მაგ., რუსეთში). ამასთან, გავრცელებული ტრადიციით, ეს ადგილი მდებარეობს განსასჯელის მოსათავსებელი

ადგილის მოპირდაპირე მხარეს – უწინარესად, ცხადია, უკეთესი „ხილვადობისთვის“ (ბრალდებულის ვიზუალურად უკეთ აღქმისა და მასზე ყურადღებით დაკვირვებისათვის). ამ ადგილს ნაფიცი მსაჯულები იკავენენ მხოლოდ ფიცის მიღების შემდეგ, მანამდე კი (სანამ მიმდინარეობს ჟიურის ფორმირების პროცედურა ანუ აცილება და თვითაცილებათა საკითხების გადაწყვეტა, შემდეგ კი – ფიცის მიღების რიტუალი) ისინი პროცესის დაშლწრეთა ადგილებს იკავენენ. ამ ეტაპზე, როგორც წესი, სხდომა დახურულია (იხ., მაგალითად, რფ-ის სსსკ-ის 328-ე მუხლის 23-ე ნაწილი). ამის ერთ-ერთი მიზანი და გამართლება ისაა, რომ მსაჯულობის კანდიდატებს, გამოკითხვისას (მხარეთა და მოსამართლის მიერ), არ შეეკმნათ დისკომფორტი, ნაკლებად გამჟღავნდეს მათი ვინაობა და ა.შ.

6.2.2. სხდომის თავმჯდომარის შესავალი სიტყვა. თანახმად რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 328-ე მუხლისა, ამ ეტაპზე სხდომის თავმჯდომარე წარმოთქვამს მოკლე შესავალ სიტყვას, რომელშიც: 1) წარუდგება ნაფიცი მსაჯულებს; 2) წარუდგენს მათ მხარეებს; 3) აცნობებს, თუ რომელი სისხლის სამართლის საქმე განიხილება; 4) აცნობებს, თუ, სავარაუდოდ, რამდენ ხანს გაგრძელდება ამ საქმის სასამართლო განხილვა; 5) განუმარტავს ნაფიცი მსაჯულებს მათ ფუნქციებსა და შესაბამის ამოცანებს (მათ შორის ფაქტების დადგენისა, ანუ მტკიცებულებათა მოსმენისა, გაანალიზებისა, შეფასებისა და, ამის საფუძველზე, თავიანთი შინაგანი რწმენის მიხედვით, მიუკერძოებელი, ობიექტური და სამართლიანი ვერდიქტის გამოტანისა), აგრეთვე ამ საქმის განხილვაში მათი მონაწილეობის პირობებს, რომლებიც დადგენილია კანონით (ნაწ. 2). ამის შემდეგ თავმჯდომარე განუმარტავს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს თავიანთ მოვალეობას – სწორად, გულწრფელად უპასუხონ მათთვის დასმულ კითხვებზე, აგრეთვე წარმოადგინონ ინფორმაცია (ცხადია,

---

\* ბ.დ. ზაილოვი, ამასთან დაკავშირებით, არსებითად მართებულად მოუთითებს, რომ „მოსამართლეს ყოველთვის როდი ძალუძს აცნობოს სასამართლო სხდომის შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ“ [178, გვ. 19]. მიუხედავად ამისა, უნაიდან კანონის ეს ნორმა იმპერატიულია, ვფიქრობ, მოსამართლე ვალდებულია, საქმეზე იმ მომენტისათვის ცნობილი ინფორმაციიდან გამოიძინარე, გამოთქვას ვარაუდი, თუ რა ვადა დასჭირდება საქმის განხილვას – სასურველია თუნდაც მოკლე არგუმენტირებით მაინც.

ამ კონკრეტული სიტუაციისთვის მნიშვნელობის მქონე) როგორც თავიანთ თავზე, ისე პროცესის სხვა მონაწილეთა შესახებ\*. ამის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავს თავიანთ უფლებას – განაცხადონ თვითაცილება იმ გარემოებათა გამო, რომლებიც, მათი აზრით, გამორიცხავენ ან ხელს უშლიან მათ მიერ, საზოგადოდ, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობათა შესრულებას, ანდა ამ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობას (ნაწ. 3-4).

ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ლიტერატურაში მართებულად მიუთითებენ, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 328-ე მუხლის დებულებათა შეუსრულებლობა იწვევს მისი მონაწილეობით გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას, რადგან ეს „... დაცვის ან ბრალდების მხარეს ართმევს უფლებას ისარგებლოს შესაბამისი კანდიდატის მოტივირებული ან არამოტივირებული აც-ილების უფლებით“ [305, გვ. 487].

### 6.3. თვითაცილებათა და აცილებათა განხილვა-გადაწყვეტა

6.3.1. თვითაცილება. მისი განცხადების უფლება და შესაბამისი პროცედურები, ფაქტობრივად, სისხლის სამართალწარმოების ყველა ფორმისას არის გათვალისწინებული საპროცესო კანონმდებლობებით. თვითაცილება, რომელიც, როგორც თვით ტერმინიც ამბობს, არსებითად საკუთარი თავის მიმართ განცხადებული აცილებაა, ცხადია, მოტივირებული (დასაბუთებული, არგუმენტირებული) უნდა იყოს, რადგან იგი პრაქტიკაში არაიშვიათად მიმართულია ნაფიც მსაჯულად სამსახურის მოვალეობის თავიდან აცილებისკენ. ამგვარი აცილება „თავის არიდება“ ანუ მართლსაწინააღმდეგო

\* რო-ის სსსკ-ის ეს ფრაგმენტი გაუგებარია, რადგან არაა დაკონკრეტებული, თუ პროცესის რომელ „სხვა მონაწილეებზე“ აქ საუბარია, რა ინფორმაცია იგულისხმება, ან რატომაა ვალდებული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი გაამჟღავნოს რაიმე ინფორმაცია ამ პირების შესახებ და ა.შ.



მოქმედება არ იქნება მხოლოდ მაშინ, თუ თვითაც იღებს მოტივი-რებულა (სათანადო არგუმენტების მოშველიებით), ხოლო მოტივი – პატივსაცემი (საპატიო, ლეგიტიმური და ა.შ.). ასეთი მოტივი შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს – როგორც შეუთავსებელი ან მადისკვალიფიცირებული „ნარჩენი გარემოება“, რომელიც მანამდე ცნობილი („გაჟღერებული“) არ ყოფილა, ან სულაც ახალი (მაგალითად, შეუძლოდ გახდომა). ზოგჯერ ისინი მიუთითებენ თავიანთ არასაკმარის საერთო განათლებაზე, სამართალწარმოების ენის არასაკმარისად ცოდნაზე, პროცესის რომელიმე მონაწილესთან ნათესაურ, მეგობრულ თუ, პირიქით, მტრულ დამოკიდებულებაზე, საქმის გარემოებათა შესახებ ინფორმირებულობაზე, ზემოქმედების (დაყოლების) უკვე განხორციელებულ ან/და მოსალოდნელ მცდელობაზე რომელიმე მხარის მიერ და ა.შ. და მისთ. აქედან გამომდინარე, შესაძლო მოტივები შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს: ა) განათლების (ინტელექტის), ენის ცოდნისა და მისთანა საკითხებში არასაკმარისი დონის ქონა; ბ) ჯანმრთელობის პირადი, ოჯახური, სამსახურებრივი და სხვა მისთანა გარემოებათა არახელსაყრელი დამთხვევა – „ავრალური“ სიტუაციის არსებობა; გ) მიუკერძოებლობა – ობიექტურობის ეჭვქვეშ დამაყენებელი გარემოებანი (ინფორმირებულობა, ზემოქმედება ან მისი მცდელობა და მისთ.). მოსამართლე ისმენს ნაფიცი მსაჯულის განცხადებას, მის არგუმენტებს, კითხვებზე პასუხებს, მხარეთა მოსაზრებებს და, როგორც წესი, ადგილზევე (სათათბირო ოთახში გაუსვლელად) იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოოა და ცალკე არ საჩივრდება.

6.3.2. დაუსაბუთებელი (არამოტივირებული) აცილება. ამგვარი აცილება „არამოტივირებულია“ ანუ მოტივირების (დასაბუთების) გარეშეა წარდგენილი (განცხადებული) – და არა „უმოტივო“, როგორც ზოგჯერ წერენ ხოლმე (მათ შორის ზოგიერთი რუსულენოვანი ავტორიც – „немотивированный“). პირველი ტერმინი მიუთითებს იმაზე, რომ აცილების მოტივი მხარეს არ წარუდგენია (ვთქვათ, იმის გამო, რომ არ გააჩნდა სათანადო მტკიცებულება), ხოლო მეორე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მხარეს თითქოსდა მოტივი საერთოდ არ გააჩნია, რაც აბსურდია.

არამოტივირებულ აცილებას ორივე მხარე იყენებს, ამასთან, მეტწილად თანაბარი რაოდენობით. ასე, მაგალითად:

რუსეთის სსსკ უშვებს ორ-ორი კანდიდატის დაუსაბუთებელ აცილებას, ესპანეთისა – ოთხ-ოთხის; აშშ-ს 8 შტატში დაშვებულია ოთხ-ოთხი ან ნაკლები კანდიდატის ამგვარი აცილება, 5 შტატში – თორმეტ-თორმეტის ან მეტის, დანარჩენ შტატებს კი შუალედური პოზიცია უჭირავთ [68, გვ. 85]. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ, ფედერალური კანონმდებლობით, თუ განსასჯელს ეშუქება სიკვდილით დასჯა, მხარეებს შეუძლიათ განაცხადონ ოც-ოცი დაუსაბუთებელი აცილება, თუ ნაკლები სასჯელი, მაშინ ბრალდებულს აქვს 6, ხოლო დამცველს – 10 ამგვარი აცილების უფლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსამართლეს გააჩნია აღნიშნული „ლიმიტის“ გაზრდის ან შემცირების უფლება [161, გვ. 265].

ახალ ზელანდიაში მხარეებს აქვთ 6-6 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების უფლება, ხოლო, თუ საქმეზე ერთზე მეტი ბრალდებულია, მათი რაოდენობის მიუხედავად, ბრალდებას აქვს არაუმეტეს თორმეტი ამგვარი აცილების უფლება. ამიტომ, როგორც პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, საშუალო მაჩვენებლებით, დაცვა ბრალდების მხარეზე ორჯერ მეტ დაუსაბუთებელ აცილებას აყენებს [იქვე, გვ. 213]. მიუთითებენ, რომ დაუსაბუთებელი აცილებები, ფაქტობრივად, ეყრდნობა როგორც ბრალდების მხარის განკარგულებაში არსებულ საპოლიციო-ოპერატიულ ინფორმაციას, ისე მხარეთა მიერ „თავიანთთვის“ დაფიქსირებულ ემპირიულ მონაცემებს: ასაკს, სქესს, კანის ფერს, ეთნიკურ წარმომავლობას, მისამართს (საცხოვრებელ ადგილს), სამუშაო ადგილს (პროფესიას), გარეგნულ მონაცემებს (უწინარესად „ფიზიონომიას“), ქცევასა და მისთანებს, თუმცა ამ მონაცემების კავშირს შესაბამისი ნაფიცი მსაჯულების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებებთან რაიმე ემპირიული დასაბუთება პრაქტიკაში არ გააჩნია [იქვე]. კერძოდ, ზოგჯერ შეიძლება ყურადღება მიიქციოს გამოხედვამ (იერმა), თმის ვარცხნილობამ, ჩაცმულობამ, ჰალსტუხის თუ სამკაულების ტარების ფაქტმა და/ან მანერამ და სხვა მსგავსმა არაარსებითმა, შემთხვევითმა გარემოებებმაც კი!..

ავსტრალიაში, შტატების მიხედვით, თითოეული ბრალდებულისათვის ხელმისაწვდომი დაუსაბუთებელი აცილებების რაოდენობა მერყეობს სამიდან (ნოუ საუზ უელსი) რვაამდე (ქუინლენდი). ამასთან, უფრო მეტი რაოდენობის ამგვარი აცილება დაიშვება მკვლელობის ან სახელმწიფო ღალატის საქმეთა განხილვისას, ან კიდევ მხარეთა შეთანხმებით. როგორც წესი, თითოეულ მხარეს აქვს ამგვარ აცილებათა თანაბარი რაოდენობით დაყენების უფლება (გამონაკლისია ტასმანია, სადაც ბრალდების მხარე ამ მხრივ დისკრიმინირებულია, თუმცა, დე-ფაქტო, ამის კომპენსირებას ახერხებს მისთვის ექსკლუზიურად მინიჭებული განრიდების ანუ ჩამოცილების უფლებით, რომელსაც ქვემოთ განვიხილავ).

კანადაში მხარეებს აქვთ 4-დან 20-მდე დაუსაბუთებელი აცილების უფლება: 20 – მკვლელობისა და ღალატის საქმეებზე, 12 – საქმეებზე, რომლებზეც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით, დანარჩენებზე – 4. ამასთან, ბრალდებულთა (განსასჯელთა) რაოდენობა არ მოქმედებს ბრალდების მხარის განკარგულებაში არსებულ აცილებათა რაოდენობაზე. საერთოდ, აქ დაუსაბუთებელი აცილების წესი, ჩამოცილებისაგან განსხვავებით, ყოველთვის ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვიდრე ინგლისსა და აშშ-ში, რადგან, სამაგიეროდ, კანადაში არ არსებობს სასამართლო სხდომაზე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა განვრცობილი (დეტალური) დაკითხვა (რომლის დროსაც მიღებული ინფორმაცია არაიშვიათად ხდება დასაბუთებულ აცილებათა საფუძველი, რასაც ქვემოთ განვიხილავ), ისევე, როგორც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ექსპერტ-კონსულტანტების ამერიკული ინსტიტუტი [იქვე, გვ. 124-125].

ირლანდიაში თითოეულ ბრალდებულს, ბრალდების მხარისათვის მინიჭებული ჩამოცილების უფლებისა (იხ. ქვემოთ) და ნაფიც მსაჯულთა კორპუსის დამაკომპლექტებელ სუბშერიფთა გავლენის გაწონასწორების მიზნით, უფლება მიეცა ფელონიის საქმეზე 20, ხოლო მისდომინორის საქმეზე – 6 კანდიდატის აცილებისა, რის შედეგადაც მიაჩნიათ ის, რომ აქ გამამტყუნებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი (ხვედრითი წილი) მეტად დაბალი იყო,

განსაკუთრებით „აგრარულ“ და „პოლიტიკურ“ საქმეებზე [იქვე, გვ. 285].

ამ ფონზე, როცა ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა იყენებს დაუსაბუთებელ (არამოტივირებულ) აცილებებს, რათა, სხვა რომ არა იყოს რა, მხარეებს განუმტკიცოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებლობის, მისი ვერდიქტის ობიექტურობის შეგრძნება, გარკვეულწილად გაოცებასაც კი იწვევს საკითხის ინგლისური გადაწყვეტა: მიუხედავად იმისა, რომ აქ, ისტორიულად, ეს უფლება ყოველთვის ითვლებოდა დაცვის უმნიშვნელოვანეს საშუალებათაგანად, რის გამოც XX საუკუნის შუა წლებამდე დაცვას ჰქონდა 20-მდე ამგვარი აცილების უფლება, შემდგომში ეს რიცხვი თანდათან შემცირდა (ჯერ 7-მდე, 1982 წელს – 3-მდე), 1988 წელს კი მხარეებს ეს უფლება საერთოდ ჩამოერთვათ იმ მოტივით, რომ ეს წესი უფრო პროცესის გაჭიანურებას უწყობდა ხელს, ვიდრე მართლმსაჯულების წარმატებულად განხორციელებას. ეს მაშინ, როცა ბრალდების მხარეს დარჩა ჩამოცილების უფლება, რითაც, ლ. გოლოვკოს მართებული აზრით, მანამდე არამომგებიან პოზიციაში მყოფმა ბრალდებამ გარკვეული უპირატესობა მიიღო [161, გვ. 136]. ამასთან, ჩემი აზრით, გოლოვკოს ეს შეფასება არასრულია – საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ამით, ფაქტობრივად, დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი (რაც შეჯიბრებითი პროცესის უპირველესი და უმთავრესი „საყრდენია“), რადგან ეს გადაწყვეტა აშკარად დისკრიმინაციულია დაცვის მხარის მიმართ, აქედან გამომდინარე, განსასჯელისთვის ნეგატიური შედეგებით.

6.3.3. დასაბუთებული (მოტივირებული) აცილება. ამ სახის აცილება აშშ-ში, კანადაში და სხვა ქვეყნებში, ხშირად და ხანგრძლივად დებატირების მიუხედავად, ფართოდაა გავრცელებული, ოღონდ სხვადასხვა მასშტაბით, „ხარისხითა“ და ინტენსივობით. თუ, მაგალითად, ამერიკული „voir dire“ მასშტაბური, ფართო პროცედურაა, ვთქვათ, კანადაში იგი ერთობ შეკვეცილი თუ „შებოჭილია“.

აცილების ამ სახის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სავალდებულოა აცილების საფუძვლის მითითება მისი განმცხადებელი

მხარის მიერ – წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე არ განიხილავს აცილების საკითხს. ბუნებრივია, ამასთან, ისიც, რომ მხოლოდ აცილების საფუძვლის დეკლარაციულად განცხადება („X დაინტერესებულია საქმის განხილვის შედეგით“), ანუ ლიტონი სიტყვები, აცილების განმცხადებლისათვის სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან მან უნდა დაასაბუთოს (დაამტკიცოს) ამ საფუძვლის (გარემოების) არსებობა ე.ი. თუ რატომ მიიჩნევს იგი, რომ ნაფიცი მსაჯულობის ეს კანდიდატი დაინტერესებული პირია (თუ როგორ დაამტკიცებს იგი ამას, ეს უკვე სხვა საკითხია – საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებისა და არგუმენტების წარმოდგენის პრობლემას უკავშირდება).

ლიტერატურაში ვხვდებით აცილების საფუძვლების კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტებს. ასე, მაგალითად, მ. ჩესტერმანის სქემით, უნდა განვასხვავოთ ორი ტიპის დასაბუთებული აცილება:

ა) სპეციფიკური საფუძვლების მითითება, რომლებიც ადასტურებენ ნაფიც მსაჯულთა კორპუსის შედგენისას, ვთქვათ, მიკრობოების დაშვებას, რაც მთელი კორპუსის დათხოვნას იწვევს (ეს, ცხადია, იშვიათად ხდება);

ბ) ინდივიდუალურ აცილებას ერთ-ერთი ან ერთზე მეტი, შემდეგი საფუძვლის (გარემოების) გამო: საჭირო კვალიფიკაციის არქონა; პერსონალური ნაკლი, რაც ხელს უშლის მსაჯულის მოვალეობის შესრულებას; იმავე საქმეზე ადრე ყოფნა ნაფიც მსაჯულად – წინა განხილვისას (მაგალითად, როცა ვერდიქტი გაუქმებულ იქნა და დაინიშნა ხელახალი განხილვა); ნასამართლობის ქონა არამადისკვალიფიცირებელი, მაგრამ „სამარცხვინო“ დანაშაულისათვის\* [68, გვ. 164].

ეს საფუძვლები, უწინარესად, ყველა შემთხვევაში, უნდა იყოს დაკონკრეტებული და, ამასთან, ზოგან (მაგ., ავსტრალიაში) თან

---

\* ბოლო გარემოების ამგვარ საფუძვლებს შორის მოხსენიება უდავო არ არის, რადგან აქ საქმე გვაქვს კანონით დადგენილი ერთ-ერთი ცენტრალური გარემოების – გარკვეული კატეგორიის დანაშაულისათვის ნასამართლობის – ფარგლების თვითნებურად გაფართოებასთან, მით უმეტეს, რომ ტერმინი „სამარცხვინო დანაშაული“, როგორც წესი, არანორმატიულ, შეფასებით-სუბიექტურ ცნებას გამოხატავს.

უნდა ახლდეს ფიციტ დამოწმებული განცხადება [იქვე].

აკილების საფუძველთა „ღერძი“ და ერთგვარი კვინტენსენ-ციაა დასაბუთებული ეჭვი კანდიდატის მიუკერძოებლობაში – განსასჯელთან რაიმე პირადი დამოკიდებულების, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, გენდერული, პოლიტიკური, სოციალური კუთვნილების, ცხოვრების წესისმიერი, რაიმე სხვა მახასიათებლის ქონის თუ ფრიად სათუო გარემოების არსებობის მოტივით.

ცალკე უნდა გამოიყოს ნაფიც მსაჯულთა „აქტილევსის ქუსლი“ – ინფორმირებულობა განსახილველი დანაშაულის ფაქტის, მისი გარემოებების და/ან საქმეზე არსებული თუ თითქოსდა არსებული (სინამდვილეში არარსებული) მტკიცებულების თაობაზე. ეს ფაქტორი ერთობ „წონად“, ზოგჯერ კი, ამასთან, უაღრესად მასშტაბურ მნიშვნელობას იძენს – განსაკუთრებით საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში. ამ ფაქტორის ნეგატიურ შედეგს ამძაფრებს და შეუდარებლად უფრო მეტ მასშტაბურობას სძენს ინფორმატიზაციის საუკუნისათვის დამახასიათებელი მოვლენა – ბეჭდვითი და, განსაკუთრებით, ელექტრონული მედიის (უწინარესად, ტელევიზიისა და ინტერნეტის) მიერ ინფორმაციის მასშტაბურად, ფართოდ, „დაჟინებით“ და ოპერატიულად გავრცელება – მათ შორის და უწინარესად, ისეთ „დამანტრიგებელ“ საკითხებზე, როგორცაა სერიოზული, აჟიტირებული (ფართოდ გახმაურებული, სენსაციური...) დანაშაულები!.. ცნობილია ისიც, რომ სენსაციური ფაქტი ზდება სენსაციური მასალის (სტატიის, რადიო – და ტელეგადაცემის, ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის, დაბოლოს, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმისა და გაცხარებული განსჯის) საგანი, იწვევს მკითხველ-მსმენელ-მაყურებლის ცხოველ ინტერესს, ზოგჯერ კი მძაფრ აღშფოთებასაც. ყოველივე ამის გამო, მოგვიანებით, როცა გამოძიების დამთავრების შემდეგ (რაც ზოგჯერ რამდენიმე თვეს და უფრო ხანგრძლივადაც კი მიმდინარეობს – საქმის სირთულისა და სხვა გარემოებისა და შესაბამისად), საქმე სასამართლოს გადაეცემა, ძალიან ძველი აღმოჩნდება ხოლმე საჭირო რაოდენობის ისეთი ნორმალური ნაფიცი მსაჯულების შერჩევა, რომელთაც არაფერი სმენიათ განსახილველი დანაშაულის ფაქტისა და, განსაკუთრებით, მისი

გარემოებების (დეტალების) თაობაზე. ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ობიექტური, მიუკერძოებელი, წინასწარი განწყობის არმქონე ვერ იქნება პირი, რომელმაც რაიმე (თუნდაც კონფიდენციალური) წყაროდან შეიტყო განსახილველი დანაშაულის გარემოებების და/ან არსებული მტკიცებულებების შესახებ – დემონსტრირებით და/ან კომენტარით. ასე, მაგალითად, მან ტელევიზიით ნახა, რადიოთი მოისმინა, პრესაში ან ინტერნეტით წაიკითხა თვითმხილველი მოწმის ან დაზარალებულის მეტ-ნაკლებად მამხილებელი ჩვენება თუ განმარტება, აუდიო – ან ვიდეოჩანაწერი, პოლიციელის, გამოძიებლის, პროკურორის თუ ხელისუფლების სხვა რომელიმე წარმომადგენლის (ზოგჯერ – უმაღლესი ეშელონებიდანაც) განცხადება თუ კომენტარი (რაც ჩვენში, წლების მანძილზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის იგნორირებით, უცერემონიოდ დანერგილი მანკიერი, ერთობ სამწუხარო პრაქტიკაა, რომელიც, ამასთან, ხშირად უხეშად ხელყოფს ადამიანთა უფლებებს!). უზნაძისეული განწყობის თეორიაც ზემოთ მოცემული დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს, ისევე, როგორც რიგი ქვეყნების მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მხრივ შესწავლა-დაკვირვების შედეგები. ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამგვარი წინასწარ ინფორმირებული და, შედეგად, უკვე, ნებსით თუ უნებლიედ, გარკვეულად წინასწარ განწყობილი კანდიდატების აცილებას, რათა ჟიური დაკომპლექტდეს ისეთი პირებით, რომლებიც მხოლოდ სასამართლო სხდომაზე მოსმენილ-განხილული მასალების, გამორკვეული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე გააკეთებენ „სავერდიქტე“ დასკვნებს. ამის გაკეთება კი, თვითაცილების გარდა, შეიძლება მხოლოდ აცილებით (მათ შორის მოტივირებულით), აგრეთვე ჩამოცილებით.

მიუხედავად დასაბუთებული აცილების მნიშვნელობისა და მისი გავრცელებულობისა, როგორც დასაწყისშიც აღინიშნა, არ წყდება მისი დებატირება – კერძოდ, კრიტიკა. სახელდობრ, ზოგ სპეციალისტს მიაჩნია, რომ ეს წესი არა მხოლოდ ნებას რთავს, არამედ ახალისებს კიდევ პოტენციურ ნაფიც მსაჯულთა დისკრიმინაციას, რის გამოც ზოგჯერ იწვევს მსაჯულების სასოწარკვეთასა და ცინიზმს იუსტიციის სისტემის მიმართ [68, გვ. 85]. არადა, სახელმწიფოთა

საკანონმდებლო ორგანოები ხშირად იძულებულნი არიან დაუშვან კომპრომისები ამგვარ საკითხებში – ობიექტური აუცილებლობის გამო და/ან პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე.

6.3.4. ჩამოცილება (განრიდება). იგი მდგომარეობს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის დროებით ჩამოცილებაში, რაც, ცხადია, არ ნიშნავს მის აცილებას. ამგვარი უფლება, როგორც აღინიშნა, აქვს მხოლოდ (!) პროკურორს, თუმცა ეს უფლებამოსილება საყოველთაოდ გავრცელებული სულაც არ არის.

ჩამოცილების (განრიდების) არსი შემდეგშია: პროკურორი (სახელმწიფო ბრალმძებელი), რაიმე წინასწარი ინფორმაციისა თუ სუბიექტური შთაბეჭდილების საფუძველზე, ფიცის მიღებამდე, მოსამართლეს სთხოვს, რომ მსაჯულობის ესა თუ ის კანდიდატი „გვერდზე გადგეს“. აღნიშნულის საფუძველზე, პროკურორის მიერ „თვალდადგმული“ მსაჯულობის კანდიდატი გადადის სიის ბოლოში. ამის მიუხედავად, იგი ამ საქმეზე ნაფიც მსაჯულად მაინც შეიძლება მოგვევლინოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მის წინ სიაში მყოფი კანდიდატები რაოდენობრივად ვერ დააკომპლექტებენ ჟიურის (პირველი პირობა) და თუ, ამასთან, პროკურორმა მოგვიანებით მას არ განუცხადა მოტივირებული აცილება, ან კიდევ ამგვარი განცხადება არ დააკმაყოფილა სასამართლომ (მეორე პირობა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა საქმის განხილვაში ეს მსაჯულობის კანდიდატი შეიძლება ჩართულ იქნეს, ოღონდ ჩვეულებრივი პროცედურის სრულად გავლით [161, გვ. 136].

განსახილველი პროცედურა (Stand by – „გვერდზე გადგომა“) ინგლისური პრაქტიკის პირმშოა – ჯერ კიდევ 1307 წლიდან მომდინარეობს. აქ იგი ბრალდების მხარეს დე-ფაქტო ანიჭებდა არამოტივირებული აცილების უფლებას, თუმცა იურიდიულად მას ეს უფლება არ ჰქონია მინიჭებული. იმ შემთხვევაში, როცა „გვერდზე გაყენებული“ კანდიდატების გარეშე ჟიურის დაკომპლექტება ვერ მოხერხდებოდა, როგორც აღინიშნა, მოსამართლის წინადადებით, „გვერდზე გადგომა“ შეიძლებოდა ფაქტობრივ მოტივირებულ აცილებად ქცეულიყო [იქვე, აგრეთვე: 68, გვ. 42-43].

ამ პროცედურის ინგლისური ვარიანტი ჯერ კიდევ 1892 წელს



„გადაიღო“ კანდის სსსკ-მა – ჩამოცილების (Stand aside) სახელწოდებით. იგი ფარულ მიზნად ისახავდა „მეფისადმი მტრულად განწყობილთა“ ჩამოცილებას პროცესიდან, ამიტომ თავიდან შეუზღუდავი იყო, 1917 წელს 48-მდე (!) შემცირდა, 1992 წელს კი, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების (ანუ პრეცედენტის) საფუძველზე, პარლამენტმა ეს უფლება გააუქმა. მოტივი (არგუმენტი) დიახაც გასაზიარებელია – ამით ბრალდების მხარის დაუსაბუთებელი პრივილეგია ლიკვიდირებულ იქნა. ამასთან, ბრალდების მხარეს მიეცა იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება, რამდენიც ჰქონდა დაცვისას [68, გვ. 125].

ავსტრალიის ოთხ ტერიტორიულ ერთეულში აღნიშნული წესი მოქმედებს იმ განსხვავებით, რომ ზოგან ეს პროკურორის „საკუთარი უფლებაა“, ზოგან კი იგი რეალიზდება სასამართლოს ნებართვის შემთხვევაში [იქვე, გვ. 165], ანუ, ფაქტობრივად, არამოტივირებული აცილების რეჟიმში.

ანალოგიურ რეჟიმში კანდიდატის განრიდებას ითვალისწინებს ახალი ზელანდიის კანონმდებლობაც [იქვე, გვ. 210].

ჩამოცილების (განრიდების) უფლება გათვალისწინებულია აგრეთვე ირლანდიაში, სადაც მას ბრალდების მხარე, თითოეულ ბრალდებულზე, საშუალოდ 4-5 კანდიდატის მიმართ იყენებს [იქვე, გვ. 302].

6.3.5. თვითაცილებისა და აცილების პროცედურები. ინგლისში, კანადაში, ახალ ზელანდიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ხშირად ეჭვქვეშ დგება ნაფიც მსაჯულთა მასშტაბური აცილების ასეთივე „გრანდიოზული პროცედურების“ საჭიროება და აუცილებლობა, რის გამოც მათ გაცილებით უფრო შეზღუდულად იყენებენ, ვიდრე მაგალითად, აშშ-ში, რომელიც ამ მხრივ „მაქსიმალისტია“. აღნიშნულ ქვეყნებში ამას ხელს ისიც უწყობს, რომ კანონმდებლობით მხარეებს (განსაკუთრებით, ბუნებრივია, დაცვის მხარეს) ფაქტობრივად ხელი არ მოუწვდება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატად მოწვეული კონტინგენტის მონაცემებზე, ან კიდევ მათი ინფორმირებულობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ იშვიათად ახერხებენ (განსაკუთრებით, დაცვის მხარე, რომელიც, ცხადია, არ ფლობს პოლიციურ-ოპერა-

ტიულ ინფორმაციას – პროკურორისაგან განსხვავებით) ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა მიმართ აცილების თაობაზე შუამდგომლობის (განცხადების) წინასწარ მომზადებასა და მტკიცებულებებით უზრუნველყოფილი სახით წარდგენას. ამიტომ, სიმძიმის ცენტრი გადააქვთ ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას, სასამართლო სხდომაზე, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა დაკითხვის (გამოკითხვის) წარმატებით ჩატარებაზე. თუმცა, აქვე უნდა აღიშნოს, რომ, რიგ ქვეყნებში (ინგლისი, კანადა და სხვ.) ესეც საკმაოდ შეზღუდულია, ამასთან, თვითონ პროცედურებიც ზოგჯერ მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვიხილავ ზოგიერთ მათგანს,

ა. კანადური ორიგინალური მოდელი. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით (აშშ, ინგლისი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, რუსეთი, ესპანეთი...), სადაც აცილების საკითხს წყვეტს მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე), ნაფიც მსაჯულთა კანადური სისტემა, რომელიც, ნ. ვიდმარის თქმით, „ერთდროულად კონსერვატიულიც არის და პროგრესულიც“ [68, გვ. 145], ითვალისწინებს ორიგინალურ წესს. კერძოდ:

დასაბუთებული აცილებების მიკერძოებულობის საკითხს წყვეტს არა მოსამართლე, არამედ ორი „არამოსამართლე“ პირი. ისინი შემთხვევითი შერჩევის წესით (მაგ., კენჭისყრით) გამწესდებიან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა კორპუსიდან, დებენ ფიცს, რის შემდეგაც ღებულობენ თრაიერის სტატუსს. ამის შემდეგ ისინი იმზენ პოტენციური მსაჯულების მიერ მხარეთა კითხვებზე გაცემულ პასუხებს, და, მოსამართლის წინადადებით, გამოაქვთ ვერდიქტი – არის თუ არა ეს პიროვნება „მიუკერძოებელი დედოფალსა (ანუ სახელმწიფოსა, რომელიც ბრალდებას უყენებს. – ი.გ.) და ბრალდებულს შორის“. პირველი მიუკერძოებლად აღიარებული მსაჯული მაშინვე ცვლის პირველ თრაიერს, მეორე – მეორეს, მესამე – პირველ მიუკერძოებლად მიჩნეულ ნაფიც მსაჯულს და ასე შემდეგ – ჟიურის ფორმირებამდე (გასათვალისწინებელია, რომ მიუკერძოებლად მიჩნეული მსაჯული შემდგომში შეიძლება აცილებულ იქნეს დაუსაბუთებელი აცილების განცხადების წესით [68, გვ. 105-106].

ბ. პროცედურების რუსული მოდელი ითვალისწინებს შემდეგ მოქმედებათა ერთობლიობას, ამგვარი თანამიმდევრობით: 1) გამოკითხვა ნაფიც მსაჯულად გამწესების გამოძრიცხავი და სხვაგვარი ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ (მუხ. 328, ნაწ. 3); 2) თვითაცილების განცხადება (ნაწ. 4); 3) მხარეთა აზრის მოსმენა თვითაცილების საფუძვლიანობის თაობაზე (ნაწ. 5); 4) მოსამართლის მიერ ადგილზე გადაწყვეტილების მიღება (თვითაცილების დაკმაყოფილებისას, კანდიდატი მიღის სხდომის დარბაზიდან) (ნაწ. 5-6); 5) დარჩენილ კანდიდატთათვის მხარეთა მიერ კითხვების დასმა (პირველად კითხვებს სვამს დაცვის მხარე) (ნაწ. 7-8); 6) შედეგების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე მოტივირებული აცილების განცხადება მხარეთა მიერ (ნაწ. 9-10); 7) მოსამართლის მიერ აცილების ადგილზე გადაწყვეტა და შედეგის გამოცხადება (ნაწ. 10-11); 8) თუ დარჩა 18 ან მეტი კანდიდატი, მხარეები (კერძოდ, განსასჯელი ან მისი დამცველი და სახელმწიფო ბრალმძებელი) აცხადებენ არამოტივირებულ აცილებას (პირველი ამას აკეთებს სახელმწიფო ბრალმძებელი) (ნაწ. 13-14); 9) თუ დარჩენილ კანდიდატთა რიცხვი საშუალებას იძლევა, მხარეებს შეიძლება მიეცეთ დამატებით თანაბარი რიცხვის კანდიდატთა არამოტივირებული აცილების უფლება (ნაწ. 10). თუ ამის შემდეგ დარჩა 14-ზე მეტი ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი, ჟიურის შემადგენლობაში, მათი რეგისტრაციის თანამიმდევრობის მიხედვით, შეიყვანება პირველი 14 (12 ძირითადი ანუ კომპლექტური და 2 სათადარიგო) მსაჯული, დანარჩენები კი დაითხოვიან. ამის შემდეგ ჟიური და სათადარიგო მსაჯულები იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს.\*

აღნიშნული პროცედურების ჩატარებისას, ჩემი აზრით, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე შემდეგი საკანონმდებლო ნორმები, ნოველები და ტენდენციები, აგრეთვე აღიარებული პრინციპები:

1) თუ პროცესში მონაწილეობის გამოძრიცხავი ან შემაფერხებელი რაიმე გარემოების დასახელებასთან ერთად, მსაჯულო-

\* უნდა აღინიშნოს, რომ ამ წესის დაუცველობა – მსაჯულის სხვა ადგილას ჯდომა – რუსის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით, წარმოადგენს „არსებით დარღვევას“ [178, გვ. 22].

ბის კანდიდატმა არ განაცხადა თვითაცილება, მხარეებს, ცხადია, უფლება აქვთ, ეს გარემოება გამოიყენონ მოტივირებული აცილების განცხადების ეტაპზე;

2) მხარეებს უფლება აქვთ კანდიდატებს დაუსვან შეკითხვები, რომლებიც, ცხადია, უნდა ეხებოდეს აცილების შესაძლო გარემოებებს და არ უნდა იყოს განყენებული, უსაგნო, წვრილმანი, არათიკური, მით უმეტეს – შეურაცხმყოფელი. შეკითხვები უნდა იყოს არა ძალზე ზოგადი, არამედ მეტ-ნაკლებად ინდივიდუალური („პერსონალური“) ხასიათისა – თვითაცილების შემდეგ დარჩენილი ყველა კანდიდატის მიმართ. შეკითხვების დამთავრების (ამოწურვის) შემდეგ კანდიდატების განხილვა, შესაბამისად, მოხდება პერსონალურად, სიით განსაზღვრული თანამიმდევრობით [305, c. 488];

3) თვითაცილების თუ აცილების საკითხებს აქ მოსამართლე წყვეტს ადგილზე – განსხვავებით მხარეთა აცილებისაგან (მოსამზადებელ სტადიაზე);

4) მოტივირებული შუამდგომლობა აცილების თაობაზე დარბაზში არ ცხადდება – იგი წერილობითი სახით გადაეცემა თავმჯდომარეს;

5) კანონი არ ავალდებულებს მოსამართლეს, მხარეების გარდა, მსაჯულობის კანდიდატებსაც აცნობოს მოტივირებული შუამდგომლობის გამო მიღებული გადაწყვეტილება (მუხ. 328. ნაწ. 11); კანონმდებლის პოზიცია აქ ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ, ვთქვათ, მოტივირებული აცილების უარყოფის შემთხვევაში, კანდიდატის ჟიურის წევრად ჩარიცხვის შემდეგ, ამ გარემოებამ შეიძლება იმოქმედოს მის შემდგომ დამოკიდებულებაზე აცილების განმცხადებელი მხარის მიმართ [305, გვ. 489];

6) თუ შეკითხვების (გამოკითხვის) დაწყების უფლებას კანონი დაცვის მხარეს ანიჭებს, არამოტივირებული აცილებების განცხადებაში პირველობა ენიჭება სახელმწიფო ბრალმდებელს, რომელიც ამ უფლებას ახორციელებს ბრალდების მხარის სხვა წარმომადგენლებთან შეთანხმებით. ამასთან, შეიძლება ამ პროცედურის შემდეგ, როცა საქმეში რამდენიმე განსასჯელია, ორ-ორი აცილება ყველას „არ ერგოს“. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია,

მათ თანაბრად უნაწილებენ აცილებათა დარჩენილ რაოდენობას, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, განსასჯელები მას იყოფენ ხმათა უმრავლესობით ან კენჭისყრით (მუხ. 328, ნაწ. 15).

7) დამამთავრებელ ეტაპზე, თავმჯდომარე აცხადებს (კანდიდატთა ნომრების მითითებით), თუ ვინ დარჩა შერჩევის პროცედურების გავლის შემდეგ, დანარჩენებს კი მაღლობას უხდის, ამასთან, არ განმარტავს (არ უთითებს), თუ ვინ რა საფუძვლით იქნა ამორიცხული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა წინასწარი სიიდან. შერჩეულ კანდიდატთა გვარი, სახელი და მამის სახელი, მხარეთათვის გამოცხადების შემდეგ, შეიტანება სხდომის ოქმში (მუხ. 328, ნაწ. 21);

8) თუ საქმე, რომელიც უნდა იქნეს განხილული, შეიცავს სახელმწიფო ან კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას, ნაფიცი მსაჯულებს ჩამოერთმევათ ხელწერილი მათი გაუმჟღავნებლობის თაობაზე. თუ მსაჯული უარს იტყვის ამგვარი ხელწერილის დადებაზე, იგი აცილებულ იქნება თავმჯდომარის მიერ და შეიცვლება სათადარიგო მსაჯულით (ნაწ. 24). (სათადარიგო მსაჯულების შემდგომ ეტაპებზე ჩანაცვლება დადგენილია სსსკ-ის 329-ე მუხლით).

გ. ამერიკული მოდელი – voir dire-ს ურთულესი პროცედურა. საერთო აღიარებით, როგორც უკვე ითქვა, ამერიკული voir dire-ს პროცედურა ყველა სხვა ქვეყანაში არსებულზე უფრო რთული პროცედურაა. ამთავითვე უნდა შევნიშნო, რომ ეს ტერმინი აშშ-ში იხმარება რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობით, ვიდრე ინგლისში. თუ ამ უკანასკნელში იგი გამოიყენება იდიომატურ გამოთქმად – ძველფრანგული ენიდან მომდინარე მნიშვნელობით ანუ „სიმართლის თქმად“ [161, გვ. 99], აშშ-ში მისი მნიშვნელობაა „გულახდილი საუბარი“ („გულწრფელი საუბარი“) [იქვე, გვ. 264]. მისი პროცედურები შტატების მიხედვით რამდენადმე განსხვავებულია. უწინარესად, უნდა ითქვას, რომ ეს პროცედურა ზოგან ღიაა (დაიშვებიან დამსწრენი – გარეშე პირებიც), უმეტესად კი – დახურულია, ზოგან თავმჯდომარე უფრო აქტიურია, სხვაგან – ნაკლებად და ა.შ.

ამ პროცედურის „არქევიარიანტი“ სქემატურად ასე გამოიყურება:

სხლომის თავმჯდომარე, უწინარესად, არკვევს, ხომ არ აცხადებს რომელიმე მსაჯული თვითთაცვილებას. უნდა ითქვას, რომ თვითთაცვილების განცხადება აქ საკმაოდ ხშირია, რადგან მრავალი კანდიდატი ცდილობს თავი აარიდოს ამ მისთვის უცხო, დროში მეტისმეტად გაწვლილ\* (მაშასადამე, თუნდაც ამის გამო, მატერიალურად თუ სხვაგვარად წამგებიან) პროცედურას და, რაც მთავარია, მის შესაძლო შედეგს – საქმის განხილვაში მონაწილეობას, რომელიც, როგორც აღინიშნა, ცალკეულ შემთხვევებში კვირეები და თვეებიც კი გრძელდება!.. (საბოლოოდ, აცილება-თვითთაცილებათა შემდეგ, ვერდიქტის გამოტანაში მონაწილეობა უწევს დაახლოებით მესამედს ანუ ყოველ მესამეს) [161, გვ. 264].

თვითთაცილების გადაწყვეტის შემდეგ (რაც თავმჯდომარის პრეროგატივაა), იწყება მსაჯულთა გამოკითხვა მხარეთა და, თუ საჭიროდ მიიჩნევა, თვითონ სხლომის თავმჯდომარის მიერ. დაშვებული შემთხვევების წრე აქ გაცილებით უფრო ფართოა – კანდიდატებს შეუძლიათ დაუსვან ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც, კითხვის დამსმელის აზრით, ხელს შეუწყობს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის პიროვნების „გაშიფრვას“: აღზრდისა და ცხოვრების წესის, ნაცნობთა წრის, მიდრეკილებებისა და ჩვევების (მათ შორის, ცხადია, მანეთა – ნარკოდამოკიდებულების, ალკოპოლიზმის და ა.შ.), პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა თუ რწმენათა, ანკეტურ მონაცემთა (მათ შორის ოჯახური მდგომარეობის, განათლების, სამუშაოს) შესახებ და ა.შ. [161, გვ. 264; 55, გვ. 66]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ეს თანდათან ნაკლებად აქტუალური ხდება, მაგრამ აშშ-ში (და არა მარტო!) მაინც დღემდე მნიშვნელოვანია რასობრივი და გენდერული ასპექტებიც, თუმცა ეს სფეროები „გასაშიფრად“, ამასთან, მომეტებულად დელიკატურიცაა (ზოგიერთ სხვა ქვეყანაში – მაგალითად, ავსტრალიაში – ამგვარი ასპექტების სიმძიმის ცენტრი გადადის ეთნიკურ უმცირესობასთან – აბორიგენებთან მიმართებებზე).

\* ზემოთ უკვე იყო მოყვანილი შემთხვევა, როცა ორბრალდებულან საქმეზე ფორის ფორმირებას დასჭირდა 6 თვე. დაეჭვ., რომ ამ საქმეზე გამოსამძებელი და გამოსაკითხი გახდა 250 პოტენციური მსაჯული. სასამართლო სხლომის ამ ნაწილის გაშიფრულმა სტენოგრამამ შეადგინა 1.000 გვერდი [გვ. 266].

როგორც წესი, მსაჯულობის კანდიდატს ეკითხებიან, ხომ არ იცნობს მხარეებს და რაიმეთი ხომ არ არის დაკავშირებული მათთან (რომელიმე მათგანთან), დადებით შემთხვევაში, ვის, რაში გამოიხატება ეს ნაცნობობა ან/და დაკავშირებულობა. ასევე, როგორც უკვე ითქვა, ღიად მნიშვნელოვანია შეკითხვა — ხომ არ იცნობენ ისინი სისხლის სამართლის საქმის (სამოქალაქო საქმეში — გარიგების ან დავის) [55, გვ. 66] გარემოებებს.

ზოგჯერ გამოკითხვა, ისევე, როგორც გამოძახებამდელი ანკეტირება (საკვალიფიკაციო ცნობარის მეშვეობით), ეხება კანდიდატის ოჯახის წევრებსაც, კერძოდ, მეუღლეს, მის საქმიანობას (სამოქალაქო საქმეზე — მიმართებას დავის საგანთან) და სხვა [იქვე, გვ. 67].

იმ შემთხვევაში, როცა განიხილება საქმე, რომელზეც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სიკვდილით დასჯა, „მოქმედებს შერჩევის კიდევ ერთი წესი: ... კანდიდატებს ეკითხებიან, არის თუ არა მათი პოზიცია იმდენად კატეგორიული, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ სასჯელის ამ ზომას ნებისმიერი გარემოებების პირობებში. 1985 წელს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ შესაძლებელია ასეთი პირების აცილება ჟიურიდან“ [2, გვ. 22]. ცხადია, ამ მოტივით აცილებას დააყენებს ბრალდების მხარე. სამაგიეროდ, ლოგიკურია, რომ დაცვის მხარემ აცილება განუცხადოს იმ კანდიდატებს, რომლებიც სასჯელად სიკვდილის დასჯის გამოყენების თავგამოდებული მომხრენი („ქორები“) არიან.

როგორც ვხედავთ, იმ საკითხთა წრე, რომელთაც შეიძლება შეეხებოდეს კანდიდატის მიმართ დასმული შეკითხვები, აშშ-ში მეტად მრავალფეროვანია. ამან, ცხადია, უბიძგა იმ გარემოებას, რომ უფრო ხშირად გამოკითხვა ტარდება კერძო ფირმების მიერ შემუშავებული პროგრამების მიხედვით. ამგვარ პროგრამებს (კითხვარებს) ადგენენ სათანადო სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევებისა და პროგნოზირების მეთოდების გამოყენებით — დანაშაულის ხასიათისა და გარემოებების, მათი შედეგების, განსასჯელისა და დაზარალებულის პიროვნებათა, მათი შეხედულებების (განსაკუთრებით — ე.წ. „გადახრილების“) და რწმენების (განსაკუთრებით — „ცრურწმენების“), აგრეთვე ზემოთ მითითებული

რიგი სხვა ცნობების მიხედვით. შეკითხვებზე პასუხების მეშვეობით, აგრეთვე სხვა წყაროებიდან შეკრებილი ინფორმაციის გამოყენებით, ისინი გამოითვლიან იმ ნაფიცი მსაჯულის „მოდელს“, რომელიც საჭიროა საქმის მოსაგებად ფირმის შემკვეთის (დაცვის მხარის) მიერ [161, გვ. 264-265].

ჩანართი №15

### ნაფიცი მსაჯულის საჭირო „მოდელის“ შემუშავებელი ფირმების წარმატებული „ინდუსტრია“

ზოგიერთი ავტორის მოწმობით, იმ ფირმების საქმიანობა, რომლის არსი ნაფიცი მსაჯულის საჭირო „მოდელის“ გამოთვლაში და ამით ნაფიცი მსაჯულთა თურის შერჩევისას შემკვეთი მხარის მოქმედებების (აქტიუბათა) მიზანმიმართულებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაში (ხელშეწყობაში) გამოიხატება, მთელ ინდუსტრიადა იქცა. ამგვარი ფირმები, თურმე, თავიანთ მომსახურებაში აშშ-ში, ყოველწლიურად დაახლოებით 400 მილიონ დოლარს იღებენ!.. ისინი ამ საქმეში იძღვნად დაოსტატდნენ, რომ წარმატებით იყენებენ, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს (განსაკუთრებით, სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენელთა შეხედულებების ნაწილში), სხვა მონაცემებს – თვით კანდიდატთა „ხელწერის“, მათი სახის გამომეტყველებისა და შესტების ენის „გამოფერის“ გზით, მათი სიმპათია-ანტიპათიების დადგენამდეც კი. საინტერესოა ერთი ასპექტიც. სისხლის სამართლის საქმეებში, მართალია, მათი მომსახურებით სარგებლობენ არა მარტო ადვოკატები, არამედ პროკურორებიც, მაგრამ, ძირითადად, ცხადია, მათ მიმართავეს გასაჭირში ჩავარდნილი მხარე – განსასჯელი (როგორც წესი, დამცველის მეშვეობით), რომელიც მზად არის გადაიხადოს ამ ფირმის მომსახურების საკმაოდ სოლიდური ხარჯები. რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, აქ ფირმების მომსახურებას, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, იყენებს ორივე მოდავე მხარე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიახლის კრიტიკოსები შემოთქმულნი არიან, რადგან თვლიან, რომ „ნაფიცი მსაჯულთა მეცნიერული ნიშნით შერჩევა საფრთხეს უქმნის სისტემის არსს, რადგან ორივე მხარე ცდილობს შეარჩიოს მისთვის სასურველი მიკრობიული



მსაჯულები...“, შედეგად კი „...ფინანსურად უფრო ძლიერ მზარეს... შეუძლია მიიღოს განსახილველი საქმისადმი სიმპათიით განწყობილი მსაჯულებით დაკომპლექტებული ჟიური“ [2, გვ. 23]. ამის მაგალითად ისინი ასახელებენ ზემოთ უკვე ნახსენებ სიმპსონის საქმეზე (ორი პირის მკვლელობა) გამამართლებელი ვერდიქტისა და განაჩენის გამოტანას, აგრეთვე ვილიამ კენელი სმიტის (1991) და როლნი კინგის (1992 წ.) საქმეებს [იქვე, გვ. 24]. საქმე იქამდეა მისული, რომ მსხვილი კორპორაციები ნაფიც მსაჯულთა იმიტირებულ ჟიურისაც კი ადგენენ (ჟიურის სავარაუდო დემოგრაფიული სტრუქტურის მიხედვით) და აწყობენ რეპეტიციებს მომავალი „ორთაბრძოლის“ ტაქტიკის მეცნიერულად განსაზღვრის მიზნით [იქვე]. აქვე უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსების ამ შიშს სპეციალისტთა ნაწილი არ იზიარებს, რადგან მიაჩნიათ, რომ კონსულტანტები მხოლოდ ეხმარებიან იურისტებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევაში და მათ არ ძალუძთ რაიმე გადაწყვეტი როლის შესრულება [იქვე].

## §7. ნაფიც მსაჯულთა წინამძღოლის არჩევა, ფიცის დადების რიტუალი და უფლება-მოვალეობების განმარტება

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის ფორმირების პროცედურების ამოწურვის შემდეგ, როგორც მინიმუმი, ორი რამ უნდა გაკეთდეს: ა) აირჩეს ნაფიც მსაჯულთა (ჟიურის, კოლეგიის, შემადგენლობის) წინამძღოლი და ბ) შერჩეულ კანდიდატთა მიერ დადებულ უნდა იქნეს ფიცი.

### 7.1. წინამძღოლის არჩევა

ნაფიც მსაჯულთა წინამძღოლი პირობითი ტერმინია – ზოგ ქვეყანაში მას ეძახიან „ნაფიც მსაჯულთა ჟიურის თავმჯდომარეს“; რუსეთში – „მამასახლისს“ (старшина), საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტში მას ჰქვია „უფროსი მსაჯული“ და ა.შ.

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის წინამძღოლი არის არა რაიმე დისკრეციული ან თუნდაც ნაკლები იმპერატიული უფლებამოსილებებით აღჭურვილი ადმინისტრაციული და/ან საპროცესო ხელმძღვანელი, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „თანასწორთა შორის უპირველესი“, ზოგიერთი ორგანიზაციული ხასიათის ფუნქციით, თუმცა ზოგიერთ მათგანს, ცხადია, გარკვეული საპროცესო შინაარსიც გააჩნია. ძირითადად, იგი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს ნაფიც მსაჯულებსა და სხდომის თავმჯდომარეს, სხდომის მდივანსა თუ სასამართლოს სხვა მუშაკებს შორის, ორგანიზაციას უკეთებს კენჭისყრას (თვითონ ხმას ბოლოს აძლევს), აცხადებს ვერდიქტს სასამართლო დარბაზში და ა.შ. (დაწვრილებით ეს ფუნქციები თავისთავადაც გამოჩნდება შემდგომი პროცედურების განხილვისას, ამიტომ აქ მათზე არ შეეჩერდები). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფიგურის (სუბიექტის) უფლება-მოვალეობები საკმაოდ მსგავსია სხვადასხვა ქვეყნებში.

წინამძღოლის არჩევა, როგორც წესი, ხდება თვითონ ნაფიცი მსაჯულების მიერ, სხდომის თავმჯდომარის მონაწილეობის გარეშე, საათბირო ოთახში. კანონმდებლობები არ არეგულირებენ წინამძ-

ლოლობის კანდიდატის დასახელების წესსა და პროცედურებს – ეს მინდობილი აქვთ თვითონ ნაფიც მსაჯულებს. მიღებულია, რომ არჩევა ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

## 7.2. ნაფიც მსაჯულთა მიერ ფიცის დადება

ეს ეტაპი საპროცესო და რიტუალური მომენტების ერთობლიობას წარმოადგენს.

საპროცესო ასპექტი, ცხადია, უმნიშვნელოვანესია, რადგან, ფიცის დადებაზე, ყველა პროცედურაგავლილი პირიც კი ისევ კანდიდატად რჩება – არ ხდება (იურიდიული გაგებით) ნაფიცი მსაჯული. და არა მარტო იმიტომ, რომ თვით შედგენილი (კომპლექსური) სიტყვა-ტერმინის „ნაფიცი მსაჯულის“ პირველი კომპონენტი („ნაფიცი“) ლოგიკურად აუცილებლად გულისხმობს ფიცის დადებას, არამედ იმიტომაც, რომ კანონმდებლობები ამას პრინციპულ, რადიკალურ იურიდიულ შედეგს უკავშირებენ. კერძოდ, პოტენციური ნაფიცი მსაჯულის – კანდიდატის მიერ ფიცის დადებაზე უარის თქმა, როგორც ცნობილია, იწვევს მის აცილებას ანუ გათავისუფლებას (დათხოვნას) და, თუ ეს აუცილებელია, მის ადგილზე ჟიურიში სხვა მსაჯულის გამწესებას – კერძოდ, სათადარიგოდ მიჩნეულით, შერჩევის პროცედურაგავლილით ან ხელახალი პროცედურებით შერჩეული კანდიდატით მის ჩანაცვლებას.

რიტუალური ასპექტი, მეტწილად (ძირითად ხაზებში), ასევე გათვალისწინებულია საპროცესო კანონმდებლობით, ამიტომ, ეს ეტაპიც წმინდა რიტუალური კი არ არის, არამედ „საპროცესო-რიტუალურია“ – როგორც მნიშვნელობით, ისე პროცედურით. განვიხილოთ იგი რუსეთის მაგალითზე.

რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, მამასახლისის არჩევის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებს მიიღონ ფიცი და უკითხავს მათ შემდეგ ტექსტს:

„სანამ შევუდგებოდე ნაფიცი მსაჯულის საპასუხისმგებლო მოვალეობათა შესრულებას, საზეიმოდ ვფიცავ, შევასრულო ისინი

პტიოსნად და მიუკერძოებლად, მხედველობაში მივიღო სასამართლოში განხილული ყველა მტკიცებულება – როგორც განსასჯელის მამხილებელი, ისე მისი გამამართლებელი, გადავწყვიტო სისხლის სამართლის საქმე ჩემი შინაგანი რწმენისა და სინდისის შესაბამისად, არ გავამართლო დამნაშავე და მსჯავრი არ დავდო უდანაშაულოს, როგორც ეს შეეფერება თავისუფალ მოქალაქესა და სამართლიან ადამიანს“.

ამის შემდეგ იგი აცხადებს (სიის მიხედვით) ნაფიცი მსაჯულების კანდიდატების (მათ შორის სათადარიგოების) გვარებს, რომლებიც რიგრიგობით უპასუხებენ: „ფიციკ“ („Я КЛЯНУСЯ“). სხდომის დარბაზში მყოფნი ფეხზე მდგომნი ისმენენ აღნიშნულს (ნაწ. 5). ფიცის მიღების შესახებ ჩაიწერება სხდომის ოქმში (ნაწ. 4).

### 7.3. ნაფიც მსაჯულთათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების განმარტება მოსამართლის მიერ

ეს პროცედურული წესი მიღებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაწილია იმ პერმანენტული „იურიდიული დახმარებისა“, რომელსაც მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე) ნიადაგ, დაბეჯითებით და დაუზარელად უნდა უწევდეს „არაპროფესიონალ ელემენტებს“ – ნაფიც მსაჯულებს.

რუსეთში ამგვარ განმარტებათა მიცემის წესი დადგენილია სსსკ-ის 332-ე მუხლის მე-ნაწილით. კერძოდ:

ფიცის მიღებისთანავე, როგორც უკვე სრულუფლებიან ნაფიც მსაჯულებს, სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს კანონით გათვალისწინებულ მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ცხადია, აკრძალვებისა და პასუხისმგებლობის საკითხების ცალკე აქცენტირებით.

როგორია ამ უფლება-მოვალეობათა, აკრძალვებისა და პასუხისმგებლობის შინაარსი?

● უფლებამოსილებანი. ნაფიცი მსაჯულები (მათ შორის, არსებითად, სათადარიგონი), თანახმად რფ-ის სსსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილისა, უფლებამოსილნი არიან:

1) მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის საქმის ყველა

გარემოების გამოკვლევაში, სხდომის თავმჯდომარის მეშვეობით (მაგრამ არა უშუალოდ!!) შეკითხვები დაუსვან დასაკითხ პირებს, მონაწილეობა მიიღონ ნივთიერ მტკიცებულებათა და დოკუმენტების გამოკვლევასა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში. ამასთან, 335-ე მუხლის მე-4 ნაწილის ძალით, ნაფიცი მსაჯულები შეკითხვებს სვამენ წერილობითი სახით, მხარეთა მიერ დაკითხვის დამთავრების შემდეგ, ხოლო შეკითხვა სხდომის თავმჯდომარეს მიეწოდება ნაფიცი მსაჯულთა მამასახლისის მეშვეობით (!) და არა პერსონალურად (დამოუკიდებლად). აღსანიშნავია, რომ სხდომის თავმჯდომარე თვითონ აზუსტებს ამ შეკითხვათა ფორმულირებას და შეუძლია განარიდოს ეს შეკითხვა, თუ იგი წარდგენილ ბრალდებას არ ეხება (ცხადია, არსებობს განრიდების სხვა საფუძვლებიც, რომელთაც კოდექსი აქ არ ახსენებს – არაეთიკურობა, „აკრძალული“ საკითხებისადმი მიმართებანი და ა.შ.);

2) თავმჯდომარეს სთხოვონ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული (და არა საზოგადოდ – ნებისმიერი!) კანონის ნორმების, სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული დოკუმენტების შინაარსის, სხვა საკითხებისა და ცნებების განმარტება;

3) აწარმოონ საკუთარი ჩანაწერები და გამოიყენონ ისინი სათათბირო ოთახში, ნაფიცი მსაჯულთა წინაშე დასმულ კითხვებზე პასუხების მომზადებისას.

● აკრძალვები. ნაფიცი მსაჯულები უფლებამოსილნი არ არიან (მუხ. 333, ნაწ. 2):

1) სისხლის სამართლის საქმის მოსმენის დროს გავიდნენ სხდომის დარბაზიდან;

2) ვერდიქტის გამოტანისას, საკითხების განხილვამდე გამოთქვან თავიანთი აზრი განსახილველი სისხლის სამართლის საქმის შესახებ;

---

\* გაუგებარია, თუ რატომ უწოდებს აქ მათ რფ-ის სსსკ „საგამოძიებო მოქმედებს“. რომლებიც, როგორც ცნობილია, იწარმოება მხოლოდ წინასწარი გამოძიებისას, ხოლო სასამართლო სხდომაზე, მართალია, სასამართლო გამოძიება ტარდება, მაგრამ, სსსკ-ის 83-ე მუხლით, მათი ფიქსაცია და მტკიცებულების სახით განხილვა ხდება სასამართლო მოქმედების სახით, რომელიც დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში (ანალოგიურია საქართველოს სსსკ-ის პოზიციაც).

3) განსახილველი სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ მიმართონ (ესაუბრონ) პირებს, რომლებიც არ შედიან სასამართლოს შემადგენლობაში;

4) სასამართლო სხდომის გარეთ შეაგროვონ ცნობები განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე;

5) დაარღვიონ ნაფიც მსაჯულთა თათბირისა და მათ წინაშე დასმულ საკითხებზე კენჭისყრის საიდუმლოება.

● პასუხისმგებლობა. საპატიო მიზეზის გარეშე სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის ნაფიცი მსაჯული შეიძლება დაჯარიმდეს კანონით (მუხ. 118) დადგენილი წესით (ნაწ. 3), კერძოდ კი დაეკისროს ფულადი სახდელი შრომის ანაზღაურების 25 მინიმალურ ოდენობამდე (მუხ. 117). რაც შეეხება ზემოთ მითითებულ აკრძალვათა დარღვევას (მუხ. 333, ნაწ. 2), მისი ჩადენისათვის ნაფიცი მსაჯული შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში შემდგომი მონაწილეობისაგან, თავმჯდომარის მიერ, მისივე ინიციატივით ან მხარის\* შუამდგომლობით. ამ შემთხვევაში, ჩამოცილებული ნაფიცი მსაჯული შეიცვლება სათადარიგოთი (მუხ. 333, ნაწ. 4).

● მოვალეობანი. ნაფიცი მსაჯულის უპირველესი მოვალეობა, დროულად გამოცხადდეს სასამართლოში, არსებული წესისამებრ მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაიცვას წესრიგი სხდომის დარბაზში, არ დაარღვიოს ზემოხსენებული და სხვა აკრძალვები; შეასრულოს სხდომის თავმჯდომარის, სასამართლოს თანამშრომელთა თუ ყიურის წინამძღოლის კანონიერი მოთხოვნები და ა.შ. (დაწვრილებით იხ. ნაშრომის ტექსტში, სხვადასხვა კონტექსტში...).

---

\* რუ-ის სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-4 ნაწილში ეს სიტყვა („მხარე“) წერია მრავლობით რიცხვში, რაც, ვფიქრობ არასწორია, რადგან ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობაც აქ საკმარისი უნდა იყოს.

თავი VI. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით  
საქმეთა განხილვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა  
და გასაჩივრების თავისებურებანი /წესები,  
პროცედურები, მეთოდობა/

## შესავალი

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი გასაჩივრების საპროცესო წესები, პროცედურები და მეთოდობა უდიდეს ნაწილში ემთხვევა სისხლის სამართლის ორდინარული პროცესით გათვალისწინებულ წესებსა და პროცედურებს, შემუშავებულ საერთო მეთოდობას\*. ამასთან, აქ ცალსახადაა გამოხატული რიგი მნიშვნელოვანი (მათ შორის ინსტიტუციურ-კონცეფტუალური, სისტემური და სხვა), ნაკლებად მნიშვნელოვანი თუ შედარებით წვრილმანი თავისებურებებისა — სპეციფიკური პრინციპების, წესების, პროცედურების სახით. შესაბამისად, ცხადია, რომ მეთოდობური ხასიათის საკითხებიც არაიშვიათად არაორდინარულ, სპეციფიკურ მიდგომებსა და გადაწყვეტებს მოითხოვს. ქვემოთ, როგორც წესი, სწორედ ამგვარი სპეციფიკური, თავისებურებების ნიშნით აღბეჭდილი ასპექტები, ფაქტორები და გარემოებებია უპირატესად (აქცენტირების წესით) განხილული, — ცხადია, მეტ-ნაკლები სისრულით.

§1. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმის წინასწარი მოსმენის (სამართალში მიცემის) თავისებურებანი

### 1.1. ინგლისური მოდელი

წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ ინგლისში ეს სტადია ფაქტობრივად ეხება მხოლოდ ე.წ. საბრალდებო აქტით დევნად დანაშაუ-

\* აღნიშნული წესების შესახებ იხ. ამ ნაშრომის ავტორის მონოგრაფია [24].

ლებს<sup>\*</sup>. იგი, როგორც უკვე აღინიშნა, წინა საუკუნეებში საკმაოდ „წონადი“ სტადია იყო, რაზეც, საკმაოდ არაირიბად, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ წინასწარ მოსმენას (ანუ, ჩვენთან მიღებული ტერმინოლოგიით, სამართალში მიცემას<sup>\*\*</sup>) ატარებდა არა ნაფიც მსაჯულთა მცირე (ანუ ჩვეულებრივი, ორდინარული), არამედ დიდი ჟიური. ამ სუბინსტიტუტის ერთადერთი ინსტიტუციურ-ფუნქციური დანიშნულება იყო სწორედ წინასწარი მოსმენის ანუ საქმის წინასწარი (არსებითად განხილვამდელი) „მინი-განხილვის“ ჩატარება და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტა (committae priceedings). 12-დან 23-მდე არაპროფესიონალისაგან შემდგარი დიდი ჟიურის – ამ „ინგლისური სისხლის სამართალწარმოების სიმბოლოს“ – თანდათან „მოძველების“ (განვითარების უახლესი ტენდენციებისაგან ჩამორჩენა-შეუსაბამობის) გამო, საპროცესო ეკონომიის მიზნით, გაუქმების შემდეგ, 1933 წლის კანონით „მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“, ეს ფუნქცია მთლიანად გადავიდა მაგისტრატთა ხელში. თავიდან ეს უკანასკნელნი ამ ფუნქციას ახორციელებდნენ ზეპირობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების მეტ-ნაკლებად დაცვით, მაგრამ, პროცესის შემდგომი გამარტივების გზების ძიებისას, მოხდა დიფერენცირება (დაყოფა) სამ ფორმად (სახედ): ა) ზემოხსენებული კლასიკური ანუ ზეპირი ფორმა, როცა მხარეები წარადგენენ მტკიცებულებებს და ხდება მათი ზეპირი, ჯეროვანი გამოკვლევა (დაკითხვა, ნივთმტკიცების წარდგენა და ა.შ.); ბ) კომპრომისული ფორმა, როცა ზეპირი წარმოება ნაწილობრივია – ხდება მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მოწმეების დაკითხვა, სხვა მტკიცებულებები კი, მხარეთა თანხმობით, მაგისტრატს წარედგინება წერილობით; გ) წერილობითი ფორმა, როცა მტკიცებულებები, ბრალდების მხარის მიერ, სასამართლოსა და დაცვის მხარეს გადაეცემოდა მხოლოდ წერილობით [161, გვ. 121]. შემდგომში უპირატესობა სულ უფრო კონცენტრირდებოდა წერილობითი ფორმის მხარეს, 1994 წლიდან

\* ანუ შედარებით უფრო სერიოზულ დანაშაულებს, რომელთა კრიტერიუმი დადგენილია, ნორმატიულ-პრეცედენტულად [123, გვ. 113; 161, გვ. 123-124].

\*\* 2006 წლის 28 აპრილს სსსკ-ში შეტანილი ცვლილებებით, ეს სტადია ჩვენში საერთოდ იქნა გაუქმებული (!) რაიმე ალტერნატიული მექანიზმის შემოღების გარეშე [20, გვ. 110].



კი ზეპირი ფორმა საერთოდ გაუქმდა – დარჩა მხოლოდ წერილობითი ფორმა [იქვე, გვ. 122]. მაგრამ, ამ მეტად რადიკალურმა ცვლილებამ, უკმაყოფილების ზრდის გამო, 1996 წელს კონტრეფორმა გამოიწვია, რის შედეგადაც, სადღეისოდ, გამარტივებული პროცედურა (ანუ წერილობითი ფორმა) დარჩა მხოლოდ ცალკეული კატეგორიის საქმეებზე (სერიოზული ან მძიმე თაღლითობა, ზოგიერთი დანაშაული არასრულწლოვნის მიმართ, წესრიგის წინააღმდეგ და სხვ.), დანარჩენი დანაშაულებისთვის კი აღდგენილ იქნა კომპრომისული ფორმა – მხარეთა მონაწილეობით (ბრალდებულის მონაწილეობა აუცილებელია). ამჟამინდელ ვარიანტში სპეციფიკურია ის, რომ მტკიცებულებათა წარდგენა ხდება მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ, სასამართლო (ანუ წინასწარი მოსმენის) სხდომაზე – ძირითადად, როგორც წესი, წერილობითი მტკიცებულებების სახით, შედარებით ნაკლებად (სუბსიდიარულად, საგამონაკლისო წესით) – ცალკეულ მტკიცებულებათა ზეპირი გამოკვლევით, მათ შორის და განსაკუთრებით იმ „ურჩი“ პირების დაკითხვით, რომლებიც ბრალმდებელს ნებაყოფლობით არ აძლევენ ჩვენებას იმ ფორმით, რომელსაც 1966 წლის კანონი ადგენს. თავდაპირველად, ამგვარ პირებს სასამართლოში, ე.წ. „შემმოწმებელ მაგისტრატთან“ იბარებენ „უწყინარი“ უწყებით, ხოლო, თუ იგი არ გამოცხადდა და არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ეს მიზეზი არასაპატიოა, მაგისტრატი უფლებამოსილია გასცეს ბრძანება მისი დაკავებისა და მოყვანის შესახებ [161, გვ. 124].

ამ საერთო წესიდან გამონაკლისია შემთხვევები, როცა: ა) ბრალდებულებს ან ერთ-ერთ მათგანს არ ჰყავს დამცველი; ბ) ბრალდებულის (თუნდაც მხოლოდ ერთ-ერთის) დამცველი ამტკიცებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არაა საკმარისი სამართალში მისაცემად. ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ საერთო წესი ანუ ფორმალური პროცედურა მოქმედებს მაშინ, თუ არ არის დავა მხარეთა შორის [იქვე, გვ. 125].

თუ სასამართლო სხდომაზე მაგისტრატი მივა დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილია „საკმარისი მტკიცებულებანი“, მისცემს ბრალდებულს სამართალში, რაც სამეფო

(ანუ სახელმწიფო) სასამართლოში (სადაც ფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო) საქმის არსებითად განსახილველად გაგზავნის საფუძველია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგისტრატი შეწყვეტს საქმეს.

სამართალში მიცემის შემდეგ, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის დაწყებამდე, რჩება ჩვენი სამართალწარმოებისათვის უცხო, საში ეტაპისაგან შემდგარი საკმაოდ დაწერილებით გაწერილი პროცედურა, რომელსაც „მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ერთმანეთისათვის გაცნობა“ („ურთიერთგაცნობა“) ეწოდება [იქვე, გვ. 125-129].

## 1.2. ამერიკული მოდელი

ინგლისისაგან განსხვავებით, აშშ-ში ღღემდე შეინარჩუნეს ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის სუბინსტიტუტი. ამასთან, ამ „მძიმე არტილერიის“ საქმეში (პროცესში) ჩართვა საქმის წინასწარი განხილვის (მოსმენის) ჩატარებისა და სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, სადღეისოდ უკვე მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში ხდება.

საზოგადოდ, სამართალში მიცემის საკითხის განხილვის დაწყების საფუძველია რომელიმე სახის საბრალდებო დოკუმენტი, რომელიც, დიდი ჟიურის მიერ დამტკიცების შემდეგ (ლაპარაკია მხოლოდ ე.წ. „საშიშ დანაშაულებზე“) იწოდება საბრალდებო აქტად (indictment). სწორედ ეს აქტია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის არსებითად განხილვის საფუძველი (ცხადია, მაშინ, თუ საქმე მანამდე არ „განითესა“!). მაგრამ ამას წინ უსწრებს პროცედურათა მთელი ჯაჭვი, რომელიც, საშიშ დანაშაულთა საქმეებზე, იწყება პირველადი საბრალდებო დოკუმენტის (იგი ძალიან მოგვაგონებს ჩვენს პროცესში ფართოდ ცნობილ აქტს – დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ) საფუძველზე ბრალდებულის მოსამართლესთან (მაგისტრატთან) ე.წ. „პირველი წარდგენით“ (შეგნიშნავ, რომ ეს წესი ამჟამად ინტეგრირებულია საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტში) [87]. ამგვარი წარდგენა

ხდება მაქსიმალურად სწრაფად („იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია“) – „არასაჭირო დაყოვნების გარეშე“. ეს პროცედურა, რომელზეც, საბრალდებო დოკუმენტის წარდგენასა და უფლება-მოვალეობათა განმარტებასთან ერთად, აღკვეთის ღონისძიების საკითხიც წყდება, მიმდინარეობს ძალზე ოპერატიულად. აქვე, ბრალდებულის თანხმობისა და სხვა გარემოებათა არსებობისას, წყდება საკითხი წინასწარი განხილვის ჩატარების თაობაზე – დღისა და საათის მითითებით [161, გვ. 255].

თუ ამ შუალედში (წინასწარი განხილვის ანუ მოსმენის დაწყებამდე) არ მოხდა გარიგება ბრალის აღიარების თაობაზე (ანუ, ჩვენი სსსკ-ის ტერმინოლოგიით, საპროცესო შეთანხმება), ანდა, თუ საქმე სხვაგვარად არ „განითესა“ (მაგ., განსჯადობის შეცვლით – ტერიტორიულის თუ საგნობრივის), ტარდება წინასწარი განხილვა, რომლის ტიპური პროცედურა, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის §180.60-ის თანახმად, სქემატურად შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

მოსამართლე (მაგისტრატი) ხსნის სხდომას და ამოწმებს, ესწრებიან თუ არა ბრალდებული, მისი დამცველი და პროკურორი. შემდეგ ბრალდებულს უკითხავენ საბრალდებო დოკუმენტს, რის შემდეგაც, ფიცის ქვეშ, ჯვარედინი დაკითხვის წესით, ჩვენებას იძლევიან მოწმეები (აუცილებლად – ბრალდების მადასტურებელნი!), ბრალდებული – მისი სურვილით, ექსპერტები კი – გამონაკლისის წესით. ეს პროცედურაც ხდება საკმაოდ ოპერატიულად (შესვენება შეიძლება მხოლოდ ერთი დღე-ღამით). შედეგების მიხედვით, თუ საკმარისი მტკიცებულება იქნება, მაგისტრატი თავისი აქტით წყვეტს საკითხს საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოში (trial court) გაგზავნის შესახებ [161, გვ. 251-252]. გადაწყვეტილება (დადგენილების, ბრძანების ან სხვა ფორმით) არის მოკლე – დაწვრილებითი არგუმენტაციის გარეშე.

რაც შეეხება პროცედურას ნაფიც მსაჯულთა დიდ ჟიურიში (იგი სამიშ დანაშაულთა წინასწარ განხილვას ატარებს ფედერალურ და შტატების დაახლოების მესამედის შესაბამის სასამართლოებში), იგი უფრო „გასაიდუმლოებულია“ – ხშირად მხოლოდ პროკურორის

მონაწილეობით ტარდება და, ამდენადაც, დაცვის მხარის მტკიცებულებანი მისი თვალთახედვის არეში არ ხვდება. მას შეუძლია დაკითხოს როგორც ბრალდების მხარის მიერ მისივე ინიციატივით წარდგენილი, ისე თვითონ დიდი ყიურის მოთხოვნით (!) მოყვანილნი. შედეგების მიხედვით (მაგისტრატის გადაწყვეტილებას ამ საქმეზე დიდი ყიურისთვის რაიმე სავალდებულო ძალა არ გააჩნია), იგი ან ამტკიცებს პროკურორის მიერ წარდგენილ საბრალდებო აქტს, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე, ანდა მითითებას აძლევს პროკურორს ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდების წარდგენის თაობაზე (ამ ეტაპზე, როგორც მიუთითებენ, დამტკიცებაზე უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი ანუ ხვედრითი წილი მერყეობს 3-დან 8%-მდე) [161, გვ. 254-255]).

### 1.3. რუსული მოდელი

ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველ სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი მოსმენის თავისებურებანი გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 325-ე მუხლში. კერძოდ:

ა) თუ საქმეზე რამდენიმე ბრალდებულია და ერთი მათგანი მაინც განაცხადებს შუამდგომლობას საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის შესახებ, საქმე განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (ნაწ. 1);

ბ) საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის შესახებ დადგენილებაში უნდა განისაზღვროს გამოსაძახებელ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების რაოდენობა, რაც ოცზე ნაკლები არ უნდა იყოს (ნაწ. 4);

გ) დადგენილებაში უნდა განისაზღვროს, ღია, დახურულ თუ ნაწილობრივ დახურულ სხდომაზე იქნება განხილული ეს საქმე. თუ ნაწილობრივ დახურვა გადაწყდება, უნდა მიეთითოს, თუ რა ნაწილში დაიხურება სხდომა (ნაწ. 4);

დ) დადგენილება საბოლოოა. განსასჯელის შემდგომი უარი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვაზე არ მიიღება (ნაწ. 5);

ე) დადგენილების ასლი, მათი მოთხოვნით (და არა, „ავტო-

მატურად“), გადაეცემათ მხარეებს (ნაწ. 6.).

სხვა მხრივ, წინასწარი მოსმენა ხდება ჩვეულებრივი წესით, სსსკ-ის 34-ე თავის შესაბამისად. სქემატურად იგი ასე გამოიყურება:

1) წინასწარი მოსმენა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა წყდება საკითხი საქმის ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის შესახებ (მუხ. 229);

2) მოსმენა ტარდება მოსამართლის მიერ, ერთპიროვნულად, დახურულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, რომელთა გამოცხადებლობა არ აბრკოლებს განხილვას. ამასთან, ბრალდებულის შუამდგომლობით, მოსმენა შეიძლება ჩატარდეს მის გარეშეც (მუხ. 234, ნაწ. 1-3);

3) ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მტკიცებულებათა ამორიცხვის შესახებ შუამდგომლობათა განხილვა (მუხ. 235);

4) შედეგების მიხედვით, მოსამართლე იღებს დადგენილებას სასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ, ანდა, თუ ამის საფუძველს ვერ პოულობს – სხვა, ადეკვატურ გადაწყვეტილებას (საქმის დაბრუნება პროკურორისათვის; მისი შეწყვეტა და სხვ. – იხ. მუხ. 236). სასამართლო განხილვის დანიშვნის ნაწილში დადგენილება გასაჩივრებას არ ექვემდბარება (საჩივრდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ნაწილში – იხ. მუხ. 235, ნაწ. 7).

## §2. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისას სასამართლო გამოძიების თავისებურებანი

### 2.1. რუსული მოდელი

2.2.1. მტკიცებულებათა გამოკვლევის წესის დადგენა და მათ „ხარისხთან“ დაკავშირებული საკითხები. რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 335-ე მუხლის („ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლო გამოძიების თავისებურებანი“) თანახმად, სასამართლო გამოძიება იწყება სახელმწიფო ბრალმდებლისა და დამცველის შესავალი განცხადებებით (ნაწ. 1). მასში სახელმწიფო ბრალმდებელი გადმოსცემს წარდგენილი ბრალდების არსს და წინადადებას იძლევა მის მიერ შემოთავაზებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესის შესახებ (ნაწ. 2). შემდეგ დამცველი გამოთქვამს განსასჯელთან შეთანხმებულ (!) პოზიციას ბრალდებასთან დაკავშირებით და აზრს მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესის შესახებ (ნაწ. 3). ამასთან, მხარეთა ეს „დელიკატური“ მიმართვები („წინადადება“, „აზრი“), მიუხედავად ტერმინოლოგიურად სხვადასხვანაირად გამოხატვისა, ამ შემთხვევაში, იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც, ნიშნავს არა წინადადების დაყენებას მოსამართლისა და მსაჯულთა წინაშე, არამედ იმას, რომ სინამდვილეში მხარეები აცნობებენ სასამართლოს თავიანთ გადაწყვეტილებებს. ეს გამომდინარეობს მათივე პრეროგატიული უფლებამოსილებიდან, ამიტომ ეს მიმართვები სულაც არაა გამიზნული რაიმე ნებართვის მისაღებად, რადგან სასამართლოს უფლება არა აქვს შეცვალოს რომელიმე მხარის მიერ შემოთავაზებული წესი [178, c. 4-8, ... გვ. 30].

ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებათა პირველ რიგში გამოკვლევა შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ პრინციპს, მათ შორის დებულებას მტკიცების ტვირთის ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) დაკისრების დაუშვებლობის თაობაზე [324, გვ. 321-322].

სასამართლო გამოძიების ამ დაწყებითი ეტაპის ცენტრალური,

პერმანენტული, პასუხსაგები მოვლენაა მტკიცებულებათა „ზარისხის“ განსაზღვრა – როგორც შესახებობის, ისე, რაც უფრო მთავარი, სადავო და აქტუალურია, მათი დასაშვებობის მიმართულებით. ამ საკითხების განხილვა მოსამართლეს შეუძლია როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა შუამდგომლობით. მოსამართლე საკითხს იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე (!) და, თუ საამისო საფუძველს პოვებს, იღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების „წუნდებულად“ (ვთქვათ, დაუშვებლად) გამოცხადებისა და მისი საქმიდან ამორიცხვის შესახებ (ნაწ. 5-6). იგივე ითქმის კონკრეტულად მტკიცებულებათა შეგროვების პროცედურების (მაგ., დამსწრის მონაწილეობა) არსებითი დარღვევების შედეგის შესახებ. თუ ამგვარი მტკიცებულების თაობაზე რაიმე ფორმით მაინც გახდა ცნობილი ნაფიცი მსაჯულებისათვის, მოსამართლე მაშინვე საგანგებოდ (!) განუმარტავს მათ (და, ლოგიკურია, შემდგომშიც, დაბეჯითებით გაიმეორებს სადამრიგებლო სიტყვაში!), რომ მათ არანაირად არ უნდა მიიღონ ეს მტკიცებულება მხედველობაში – ეცადონ საერთოდ „დაივიწყონ“ იგი. ეს უტაპი – მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხის შემოწმება-განხილვა – ერთობ პასუხსაგები მომენტია, ამიტომ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას, მათ საგანგებო ყურადღებას აქცევენ, განსაკუთრებით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მიღებული მტკიცებულებების, უწინარესად, კინო, აუდიო – და ვიდეოჩანაწერების წარდგენისას [305, გვ. 497-499].

2.2.2. ფაქტობრივ გარემოებათა და განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებული მონაცემების გამოკვლევის შეზღუდვა. შემდეგი მნიშვნელოვანი, პრინციპული მოთხოვნაა ის, რომ გამოკვლევულ იქნეს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენა შედის ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში – თანახმად რფ-ის სსსკ-ის 334-ე მუხლისა (ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ შევხებით). რაც შეეხება განსასჯელის პიროვნების შესახებ მონაცემებს, ზოგადი წესი კრძალავს მათ გამოკვლევას იმ მიზნით, რომ ამგვარი გამოკვლევით დადგენილმა გარემოებებმა გავლენა არ მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობასა და

მიუკერძოებლობაზე – არ შეიტანონ მასში ცალმხრივი სიმპათია-ანტიპათიის ნიადაგზე წარმოქმნილი ემოციის ზედმეტი მუხტი, აქედან გამომდინარე ნეგატიური შედეგებით. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შემუშავებულია კონცეფცია, რომ ასეთივე წესი იქნეს დაცული დაზარალებულის მიმართაც. ეს იმიტომ, რომ, როგორც განსასჯელის მიმართ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი განწყობის ფორმირება, ვთქვათ, მისი ადრე მრავალგზის ნასამართლობის ფაქტის გამჟღავნებამ (განსაკუთრებით მაშინ, როცა, ვთქვათ, ძალადობითი დანაშაულისათვის ანდა ქურდობისათვის ასამართლებენ ადრე ასეთივე დანაშაულისათვის უკვე ნასამართლევ, ანდა სულაც ციხეებში „გამოჯეკილ“ რეციდივისტს), ისე, ვთქვათ, გაუპატიურების საქმეზე უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს იმ ფაქტის გამჟღავნებამ, რომ დაზარალებული მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. ამგვარ თუ მის „ანტიპოდ“ ფაქტებზე თუ მონაცემებზე დაყრდნობით იმ ტიპის ვარაუდი, რომ განსასჯელი ამას „იზამდა“ ან „არ იზამდა“, პრინციპულად მიუღებლადაა მიჩნეული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის მაშინ, როცა იგი, მართალია, ირიბად, შეფარვით, მაგრამ მაინც საკმაოდ „გასავლიანია“ ჩვეულებრივ სასამართლოში საქმის განხილვისას.

სსსკ-ის 335-ე მუხლის მე-8 ნაწილი აღგენს ამ წესიდან შემდეგ გამონაკლისს: ამგვარი მონაცემების გამოკვლევა შეიძლება (დაიშვება), ოღონდ იმ მოცულობით, რომლითაც ისინი აუცილებელია მისთვის შერაცხული დანაშაულის შემადგენლობის ზოგიერთი ნიშნის დასადგენად. საზოგადოდ, აკრძალულია, ადრინდელი ნასამართლობის გარდა, აგრეთვე ქრონიკულ ალკოჰოლისტად, ტოქსიკომანად ან ნარკომანად ცნობის და სხვა მისთანა მონაცემების გამოკვლევა, რომელთაც შეიძლება ნაფიც მსაჯულთა წინასწარი ნეგატიური განწყობა გამოიწვიონ (ჩამოაყალიბონ) განსასჯელის მიმართ. ამ წესიდან ზემოხსენებული გამონაკლისის დაშვებისას, დაცულ უნდა იქნეს ორი პირობა: ა) ამგვარ მონაცემთა გამოკვლევამ არ უნდა გამოიწვიოს ნაფიც მსაჯულთა წინასწარი ნეგატიური განწყობის ფორმირება და ბ) კანონით დადგენილ შემთხვევაშიც ამგვარ მონაცემთა გამოკვლევა უნდა მოხდეს მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი ნიშნის (მაკვალთაფიცირებული გარემოების)



დასადგენად მინიმალურად აუცილებელი, შეზღუდული მოცულობით („როცა ეს შედის წარდგენილი ბრალდების არსის გამოკვლევის საგანში“) [324, გვ. 321].

⊗ ამ მხრივ საინტერესოა რუსული სასამართლო პრაქტიკის შემდეგი მაგალითი: ჩ.-ს ბრალი ედება იმაში, რომ, შურისძიების მიზნით, განზრახ მოკლა ნაცნობი ქალი ს. იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ორჯერ ამხილა იგი დანაშაულში – 1999 წელს წარადგინა ნივთმტკიცება – სხვა დაზარალებულისაგან გატაცებული ქული, 2004 წელს კი აჩვენა სათავსო, სადაც ჩ. ინახავდა ნარკოტიკულ ნივთიერებას. ვინაიდან ზემოხსენებული დანაშაულებისათვის განსასჯელის ნასამართლობათა გამჟღავნების გარეშე შეუძლებელი იყო მკვლელობის მოტივის – „დაზარალებულის მიერ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედების ჩადენის გამო შურისძიების“ (ანუ მაკვალიფიცირებელი გარემოების) – დადგენა, რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამ გარემოებათა ნაფიცი მსაჯულებისათვის გამჟღავნება კანონშესაბამისად მიიჩნია [305, გვ. 501].

სამაგიეროდ, იმავე კოლეგიის მიერ კანონის დარღვევად იქნა მიჩნეული სახელმწიფო ბრალმდებლის მოქმედება, რომელმაც, ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით არა მარტო მიზანმიმართულად დაკითხა ამ საქმეში დაზარალებული, არამედ ორი არათვითმხილველი მოწმის ჩვენებებიც კი გამოაქვეყნა – მხოლოდ ბრალდებულთა, როგორც ლოთი და გარყვნილი პირების, დასახასიათებლად [იქვე].

2.2.3. იმ მტკიცებულებებზე მითითების დაუშვებლობა, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არ გამოკვლეულა. სასამართლო სხდომაზე, მათ შორის მხარეთა კამათისას, მხარეებს უფლება არა აქვთ, თავიანთი პოზიციის არგუმენტირებისას, რაიმე საპატიო მიზეზით მიუთითონ იმ მტკიცებულებაზე (ჩემი აზრით, ცალკეულ შემთხვევებში, აგრეთვე ამ ასპექტში მნიშვნელოვან სხვა გარემოებებზე, ასპექტებზე, ნიუანსებზე...), რომელიც სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა. ამ კონტექსტში, ცხადია, გამოუკვლევლად ითვლება საკითხები, რომლებსაც შეეხო რომელიმე მხარე პროცესზე „წამოსროლილი“ კითხვით, მაგრამ იგი განრიდებულ

იქნა თავმჯდომარის მიერ, აგრეთვე შემდგომში, ამგვარ (ან სხვა) კითხვაზე პასუხი, რომელიც შეფასდა დაუშვებელ მტკიცებულებად. წმინდა ფაქტობრივი ხასიათის მონაცემების გარდა, ზემოთქმული ვრცელდება, ვთქვათ, ექსპერტიზასთან დაკავშირებულ საკითხებზეც.

⊗ სასამართლო პრაქტიკაში, ს.-ს ბრალდების საქმეზე მისმა დამცველმა, ზემოხსენებული პრინციპის დარღვევით, ნაფიც მსაჯულებს, აფექტის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის მითითებით, დაცვით სიტყვაში დაუწყო იმის ახსნა, თუ რატომ მიანდა მას ს.-ს ქმედება ძლიერი სულიერი აღელვებისას ჩადენილად, რისი სასამართლო სხდომაზე დადგენაც, მისი თქმით, ვერ მოხერხდა მხოლოდ იმის გამო, რომ მას სასამართლომ „სამწუხაროდ, ფორმალური საფუძვლებით არ მისცა მათ [განსასჯელსა და მის დამცველს. – ი.გ.) თავიანთი ექსპერტის დაკითხვის უფლება“ [305, გვ. 503].

ყველა შემთხვევაში, როცა მხარე მიუთითებს ამგვარ მტკიცებულებასა თუ გარემოებაზე, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია მსწრაფლ მიიღოს ზომები მხარის დაუყოვნებლივ გასაჩერებლად, ხოლო ნაფიც მსაჯულებს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, როგორც მაშინვე, ისე სადამრიგებლო სიტყვაში უნდა განუმარტოს, რომ მათ არ უნდა მიიღონ უკვე მოსმენილი მხედველობაში – „დაივიწყონ“ იგი.

## 2.2. ინგლისური და ამერიკული მოდელები

2.2.1. ინგლისური მოდელი. უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ანგლოსაქსურ ქვეყნებში არ არის მიღებული სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვის სტადიის ისეთ დამოუკიდებელ ეტაპებად დაყოფა (გამიჯვნა), როგორიცაა სასამართლო გამოძიება, სასამართლო კამათი და მისთანები. ასე, მაგალითად, ინგლისში, მტკიცებულებების წარდგენა და მისი კომენტარი (რასაც ძალზე „მოკრძალებულად“ უშვებს რუსული მოდელიც, ოღონდ არა დაკითხვების პროცესში) ანუ სიტყვის წარმოთქმა თითქმის განუყოფელია ერთმანეთისაგან. აქ ეტაპების ფუნქციას ასრულებს ამ „მონოლითური“ პროცედურის ჩატარება მხარეთა მიერ – ჯერ ბრალდებისა (case for accusation), შემდეგ კი – დაცვისა (case for

defence) [161, გვ. 136-137]. რუსული წესისაგან განსხვავებით, აქ თავდაპირველად მხოლოდ ბრალდების მხარე წარმოთქვამს მოკლე შესავალ სიტყვას ბრალდების არსის მოკლედ გადმოცემის მიზნით, – წარდგენილი ბრალდების (სამართალში მიცემის) მოცულობით, რის შემდეგაც იგი იწყებს მის განკარგულებაში არსებულ მტკიცებულებათა წარდგენას. ასე, რომ, დაცვის მხარე არენაზე გამოდის უფრო გვიანდელ ეტაპზე.

მტკიცების ძირითადი საშუალება ანუ მტკიცებულების ძირითადი სახე არის დაკითხვა, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება:

ა) ძირითადი დაკითხვა (examination in chife), რომელსაც აწარმოებს (ატარებს) ის მხარე, რომლის შუამდგომლობითაცაა გამოძახებული დასაკითხი პირი (მოწმე, დაზარალებული, განსასჯელი, ექსპერტი...). ამგვარი დაკითხვისას მხარეს უფლება არა აქვს (!) დასაკითხს მისცეს მისახვედრი შეკითხვები;

ბ) ჯვარედინი დაკითხვა (cross examination) მოსდევს ძირითად დაკითხვას და იგი გამოიხატება მეორე მხარის მიერ ამავე (ძირითად დაკითხვას უკვე დაქვემდებარებული) პირის დაკითხვაში, რაც ანგლოსაქსურ იურისპრუდენციაში მხარეთა ფუნდამენტურ საპროცესო უფლებად არის მიჩნეული [იქვე, გვ. 137]. ცხადია, უფლებად და არა მოვალეობად. ამგვარი დაკითხვისას დასაშვებია (!) მისახვედრი (!) შეკითხვების დასმა. თუ შეკითხვები არ დაესვა, ფაქტობრივად (ჩვეულებრივ) ეს ნიშნავს, რომ მეორე მხარის მიერ ამ პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღიარებულია (პრეზიუმირებულია) ჭეშმარიტებად [იქვე];

გ) ხელახალი (განმეორებითი) დაკითხვა\* (re-examination) ფაქულტატურია (არასავალდებულოა) – იგი შეიძლება აწარმოოს ძირითადი დაკითხვის ჩამტარებელმა მხარემ – რალაცნაირი „რეპლიკის“ სახით, გარკვეული საკითხების დაზუსტების და/ან ჯვარედინი დაკითხვით გამოწვეული მისთვის არასასურველი უარყოფი-

\* პრაქტიკაში იხმარება ამ ტერმინის რუსული ვარიანტის (перелопрос) ქართული შეატყვისი – „გადაკითხვა“ („მოწმის გადაკითხვა“). მაგრამ სამეცნიერო და ნორმატიულ მიმოქცევაში იგი არაა დამკვიდრებული. არადა, ეფიქრობ, ეს ტერმინი საკუთებით ვარგისია ამგვარ შემთხვევებში გამოსაყენებლად.

თი „ეუექტის“ მთლიანად ან რაღაც ნაწილში განეიტრალების მიზნით.

⊗ თანამედროვე ინგლისში სულ უფრო იკიდებს ფეხს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირშო პროცედურა — ასე ვთქვათ, „სატელევიზიო დაკითხვა“. მოწმის, მათ შორის დაზარალებულის (მაგრამ არა განსასჯელის!), ამგვარი უფლება გაითვალისწინა 1998 წლის კანონმა „სისხლისსამართლებრივი იუსტიციის შესახებ“ — იმ შემთხვევებისათვის, როცა, სერიოზულ დანაშაულთა საქმეებზე, მოწმე იმყოფება საზღვარგარეთ, ან მოწმეს თუ დაზარალებულს არ შესრულება, შესაბამისად, 16 თუ 14 წელი და სხვ. ამგვარი დაკითხვა (რომელიც, იურიდიულად, ჩვენების მოწმის დაუსწრებლად გამოცხადებად კი არ ითვლება, არამედ უთანაბრდება მოწმის ჩვეულებრივ ანუ უშუალოდ სასამართლო სხდომაზე დაკითხვას) მიზნად ისახავს პროცესის დაჩქარებას და/ან მოწმეთა (განსაკუთრებით არასრულწლოვანთა) დაცვას ზემოქმედებისაგან [იქვე].

მოსამართლეს უფლება აქვს დასაკითხ პირს მისცეს შეკითხვები, მაგრამ, ტრადიციისამებრ, იგი ცდილობს არ იაქტიუროს ამგვარი დაკითხვებისას, ამიტომ შეკითხვებს აძლევს მხოლოდ აუცილებლობისას — დასაკითხი პირის ჩვენების რომელიმე ბუნდოვანი ნაწილის დამატებითი განმარტების მისაღებად [იქვე].

დაკითხვების დამთავრების შემდეგ ბრალდება წარადგენს სხვა მტკიცებულებებს (ნივთიერს, დოკუმენტებს და ა.შ.), სათანადო კომენტარის დართვით, რის შემდეგაც შეუძლია წარმოთქვას სიტყვა, რომელშიც იგი აჯამებს მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს მათ ერთობლიობაში [იქვე].

ბრალდების მხარის შემდეგ თავის მტკიცებულებებს წარადგენს დაცვის მხარე, რომელსაც, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კოლეგებისაგან განსხვავებით, საკმაოდ მყარი, ქმედითი საპროცესო და ფაქტობრივი ბაზა გააჩნია მტკიცებულებათა მოსაპოვებლად. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მტკიცებულებები აქ გაცილებით ადვილად (ნაკლები მოთხოვნების წაყენებით) მიიჩნევა

\* ინგლისურ (აგრეთვე რიგი სხვა ანგლოსაქსური ქვეყნების) სისხლის სამართლის პროცესში პირები, მათი „ზოგადი“ საპროცესო სტატუსის მოუხედავად, იკითხებიან მოწმეებად.

„ვარგისად“ – როგორც ფორმით, ისე შინაარსით. ამასთან, დაცვის მხარემ შეიძლება განაცხადოს, რომ არ მიაჩნია საჭიროდ რაიმე მტკიცებულების წარდგენა, რადგან „ბრალდება პასუხად არ ღირს“ (მან ვერ დაამტკიცა წარდგენილი ბრალდება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებებით). ბრალდებულს აქვს რეპლიკის უფლება. აქ მოქმედებს საკმად საჭოჭმანო წესი: თუ მოსამართლე დაცვის პოზიციას გაიზიარებს (?!), ნაციფი მსაჯულები, მისი წინადადებით (!!), გადიან ვერდიქტის გამოსატანად. თუ მოსამართლე ამ პოზიციას არ იზიარებს, უკვე დაცვის მხარე წარადგენს მტკიცებულებებს იმავე მეთოდით, ოღონდ, თუ განსასჯელს სურს ჩვენების მიცემა, მან ეს პირველმა (!) უნდა გააკეთოს – სხვა პირთა ჩვენებების მოსმენამდე, რათა გამოირიცხოს მათი ჩვენებების გავლენა [161, გვ. 139].

⊗ ამ ეტაპზე მტკიცებულებათა წარდგენა-გამოკვლევისას და, განსაკუთრებით, შეფასებისას მოქმედებს ცნობილი აკრძალვა hearsay, რომელიც გულისხმობს „სხვისი სიტყვების მიხედვით მოწმეობის აკრძალვას“. ინგლისური მტკიცებითი სამართლის ეს ფუნდამენტური ინსტიტუტი გულისხმობს არა მარტო ისეთ „კლასიკურ“ შემთხვევას, როცა მოწმეს არ შეუძლია მიუთითოს მისი ინფორმაციის წყაროს თაობაზე, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როცა ამგვარი წყარო ცნობილია, მაგრამ, რაიმე მიზეზის გამო, მისი დასაკითხად გამოძახება შეუძლებელია [იქვე, გვ. 94-95, 137]. ძნელი არ არის დაეინახოთ, რომ, ასეთ შემთხვევაში, მეორე მხარე მოკლებული აღმოჩნდება ევარუდინი დაკითხვის ფუნდამენტური საპროცესო უფლების რეალიზაციის საშუალებას. ასევე, ასეთ შემთხვევაში, სპეციფიკური სიტუაცია იქმნება წინასწარი განხილვის (სამართალში მიცემის) ეტაპზე, რადგან, როგორც უკვე ითქვა, აქ მტკიცებულებათა ტოტალური გამოკვლევა ისედაც, როგორც წესი, არ ხდება. იგივე ითქმის პოლიციელთა მიერ ჩატარებული დაკითხვების ოქმებზე – საპროცესო წესები მოითხოვს თვითონ ამ მოწმეთა უშუალოდ პრინციპით დაკითხვას სასამართლო სხდომაზე [იქვე, გვ. 95].

2.2.2. ამერიკული მოდელი. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე სასამართლო გამოძიება პრინციპულად არ განხვავდება ინგლისურისაგან. დაკითხვა აქაც იყოფა სამ

ეტაჰდა: ძირითადი ანუ პირდაპირი, ჯვარედინი და განმეორებითი. ჯვარედინი დაკითხვისას, მეორე მხარის შემდეგ, შეკითხვებს უსვამენ მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულები (ეს უკანასკნელი – თავმჯდომარის მეშვეობით). უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ პროცესში მოსამართლე მეტ აქტიურობას იჩენს – როგორც საკუთრივ დაკითხვისას, ისე „სასამართლო კონტროლის“ მოტივით. მიზანი ის არის, რომ, ჯერ ერთი, უფრო ეფექტიანი გახდეს დაკითხვა საქმის გარემოებათა უკეთ დასადგენად და, მეორეც, გამოირიცხოს დასაკითხ პირზე გაუმართლებელი, აბეზარი თავდასხმები და ამით მისი დაბნევის საფრთხე. მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება აგრეთვე ჯვარედინი დაკითხვის (რომელიც, საერთო წესით, არ შეიძლება გასცდეს ძირითადი დაკითხვის საგანს) გაფართოების გზით – საქმის ინტერესებში, საღი აზრის შესაბამისად, კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით [161, გვ. 139]. უფრო მეტიც, მას შეუძლია თავისი ინიციატივით გამოიძახოს მოწმე, უარი უთხრას მხარეს რომელიმე მოწმის გამოძახებაზე და ა.შ., რაც გათვალისწინებულია „მტკიცების ფედერალური წესების“ 614-ე მუხლით [161, გვ. 138, 275].

### §3. მხარეთა კამათი, რეპლიკები და განსასჯელის საბოლოო სიტყვა /სპეციფიკური ასპექტები/

#### 3.1. მხარეთა კამათი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მხარეთა კამათი, რომელიც იმართება ნაფიც მსაჯულთა სათათბიროდ გასვლამდე, მოსამართლის სადამრიგებლო (შემაჯამებელი) სიტყვის წინ, ხასიათდება შემდეგი ძირითადი თავისებურებებით: ა) კამათი მიმდინარეობს იმ საკითხთა წრის გარშემო, რომელთა გადაწყვეტა შედის ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში – არ სცილდება საკმაოდ მკაცრად შემოფარგლულ საზღვრებს (ფაქტობრივი გარემოებებისას). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბრალმძებელსა და დამცველს უფლება არა აქვთ შეეხონ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მოსამართლის პრეროგატივაა. ეს, უწინარესად, ეხება სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებულ ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორიცაა ბრალდებულის პიროვნების მახასიათებლები; ბ) როგორც უკვე ითქვა, თუ მხარე ამგვარი ხასიათის იმპერატიულ მოთხოვნას არღვევს („საზღვრებს არღვევს“), სხდომის თავმჯდომარე აჩერებს მას, ხოლო ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს, რომ მათ არ უნდა მიიღონ მხედველობაში ამგვარი დარღვევით მათთვის მიწოდებული ინფორმაცია (მონაცემი); გ) იგივე ითქმის მტკიცებულებებზე, რომლებიც: საქმეს არ ეხება (1), დაუშვებლადაა მიჩნეული (2), ან არ გამოკვლეულა სასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (3).

ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში მხარეთა კამათისას წარმოთქმულ სიტყვებს (ჩვენი ტერმინოლოგიით – საბრალდებო და დაცვით სიტყვებს) დასკვნით სიტყვას უწოდებენ. ეს ტერმინი ასახავს იმ ფაქტს, რომ მხარეები მანამდეც წარმოთქვამენ სიტყვებს – ფაქტობრივად, მთელი პროცესის მანძილზე, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ამიტომ, კონტინენტური ევროპის სასამართლოებისაგან განსხვავებით, აქ დასკვნითი სიტყვა მხოლოდ მოკლე „საფინალო ნოტია“. ამდენად, ინგლისურ თუ ამერიკულ საპროცესო სამართალში დასკვნითი სიტყვა ცალკე ეტაპად არ ითვლება [16],

გვ. 139]. ეს მაშინ, როცა კონტინენტური ევროპისა და რიგ სხვა (უწინარესად, რომანულ-გერმანული, აგრეთვე პოსტსოციალისტური სისტემების) ქვეყნებში საბრალდებო და დასკვნით სიტყვათა ერთობლიობას გააჩნია ცალკე ეტაპის ნიშნები (იხ., მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სსსკ-ის 335-336-ე მუხლები).

მართალია კანონი, როგორც წესი, დროით არ ზღუდავს მხარეებს, მაგრამ, თუ მხარე ეხება საკითხებს, რომლებიც განსახილველ საქმეს აშკარად სცილდება, ანდა აშკარად აჭიანურებს პროცესს, თავმჯდომარე აჩერებს მას მოთხოვნით — ილაპარაკოს საქმის ირგვლივ, ჩაეტიოს გონივრულ ვადაში და ა.შ. (ე.ი. იყენებს პრევენციულ ზომებს, რათა საჭირო არ გახდეს პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება, რისი უფლებაც, ცხადია, ასევე გააჩნია).

### 3.2. რეპლიკები

მხარეთა კამათის (დასკვნითი სიტყვების) დამთავრების შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ წარმოთქვან რეპლიკა, ანუ მოკლე შეპასუხება (!) — როგორც წესი, მეორე მხარის მიერ კამათისას დაყენებულ ახალ საკითხებთან დაკავშირებით და/ან რაიმე აქტუალური (მნიშვნელოვანი) ასპექტის კორექტირების (დაზუსტების) მიზნით. ბოლო რეპლიკის უფლება აქვს დაცვის მხარეს. ამგვარად: ა) რეპლიკა არ არის ხელახალი, განმეორებითი ან დამატებითი კამათი — იგი ან შეპასუხებაა, ან დაზუსტება; ბ) რეპლიკა უნდა იყოს მოკლე. თუ მხარე ამ მოთხოვნებს არ იცავს, მოსამართლეს უფლება აქვს (და ვალდებულიცაა) შეაჩეროს მხარე და განუმარტოს მას ზემოთქმული.

### 3.3. განსასჯელის საბოლოო სიტყვა

რეპლიკების ამოწურვის შემდეგ, სასამართლო ისმენს განსასჯელის საბოლოო სიტყვას. ცხადია, ამგვარი სიტყვის წარმოთქმა მისი უფლებაა და არა მოვალეობა. საბოლოო სიტყვის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც ანალოგიურია. კერძოდ: ა) იგი არ უნდა



გასცდეს ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების არეალს, არ უნდა შეეხოს მტკიცებულებებს, რომლებიც საქმეს არ ეხება, დაუშვებლადაა მიჩნეული ან არ გამოკვლეულა სასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (მათ შორის, ვთქვათ, დაზარალებულის წარსულს, მის რეპუტაციას და ა.შ.). აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პრაქტიკაში ამის გაკეთება (საბოლოო სიტყვის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა) საკმაოდ ძნელია არა იმდენად განსასჯელის სპეციფიკური საპროცესო მდგომარეობის, არამედ მისი ემოციების ჩარჩოებში მოქცევის ბუნებრივად მომეტებული სირთულის გამო (განსაკუთრებით, კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე). ამგვარი ემოციების ფონზე ყოველთვის ვერ ზერხდება არაპროგნოზირებადობის დაძლევა და გარკვეული ექსცესების თავიდან აცილება. შევნიშნავ, რომ, როგორც წესი, კანონი საბოლოო სიტყვას დროით არ ზღუდავს, მაგრამ, თუ განსასჯელი ეხება ზემოხსენებულ „საზღვრებს“ მიღმა საკითხებს, ანდა აშკარად შეგნებულად აჭიანურებს პროცესს, თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს იგი, გამოიყენოს გაფრთხილებისა და განმარტებათა მიცემის მეთოდები და ა.შ. — იმ მიზნით, რომ პროცესი ნორმალურ კალაპოტში წარიმართოს (დაბრუნდეს) და საჭირო არ გახდეს რადიკალური ზომების (კერძოდ, პასუხისმგებლობის დაკისრების) გამოყენება განსასჯელის მიმართ. დაბოლოს, შევნიშნავ იმასაც, რომ ანალოგიურ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გამოყენების საჭიროებას (ხშირად უფრო „მძაფრსაც“ კი!) წარმოშობს სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის ზედმეტად ემოციური გამოსვლები!..

ჩანართი №16

**დაზარალებული ნაფიც მსაჯულთა პროცესში:  
ამერიკული და რუსული მიდგომების ერთი  
აქტუალური ასპექტი**

*ამერიკელი მეცნიერი ს. თამანი — როგორც ჩანს, ამერიკული (ან-გლოსაქსური) დოქტრინისა და პრაქტიკის (პრეცედენტების) გავლენით! — ჩივის, რომ რუსეთსა და ესპანეთში, საქმის არსებითი განხილვის*

პროცესში, დაზარალებულნი მეტად ვრცელი უფლებებით სარგებლობენ. საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მაგალითები: ა) ორივე ქვეყანაში პროკურორის შუამდგომლობა საქმის შეწყვეტის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება დაკმაყოფილდეს, როცა მას დაზარალებული (სუბსიდიური ბრალმძებელი) ეთანხმება; ბ) დაზარალებულები რუსეთში დაუშვებელ (და ამის გამო საქმიდან ამორიცხულ) მტკიცებულებებსაც კი ეხებიან, რის გამოც მოსამართლეებს ხშირად უწევთ დაზარალებულთათვის ხანგრძლივი განმარტების მიცემა პროცესის სხვადასხვა ასპექტების შესახებ. ამასთან, რაც მთავარია, არაერთგვაროვანია უზენაესი სასამართლოს მიდგომა ამ საკითხებისადმი. კერძოდ, მან, ერთი მხრივ, ძალაში დატოვა სტეფანენკოს მიმართ 1996 წლის 17 სექტემბერს ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი – მიუხედავად დაზარალებულის მიერ, ნაფიცი მსაჯულთათვის, განსასჯელის ნასამართლობის უკანონოდ გამჟღავნებისა (რა ღროსაც მოსამართლე დაკმაყოფილდა იმით, რომ შეაჩერა დაზარალებული და ნაფიცი მსაჯულებს მისცა მითითება მხედველობაში არ მიეღოთ ეს განცხადება), მეორე მხრივ კი, კარაკევის საქმეზე, გააუქმა განაჩენი მხოლოდ იმის გამო, რომ ნაფიცი მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა გავრძელდა „ურჩი“ დაზარალებულის გარეშე.

ამ საყურადღებო ფაქტების კონსტატირების შედეგ, ს. თამანი, სამწუხაროდ, უშვებს არც თუ კორექტულ მსჯელობას (განზოგადებას): „რუსულ პროცესში დაზარალებული, როგორც წესი (!), გაუნათლებელია, არ არის წარმოდგენილი დამცველით და ხშირად არ იცნობს საქმესა და მტკიცებულებებს. დაზარალებული მხარე ბევრ საქმეზე სასამართლო დარბაზის მკაცრ წესებს არ ემორჩილება, ამჟღავნებს არაკონტროლირებად ემოციებს და აკეთებს განცხადებებს, რომლებიც დაუშვებელ და საქმიდან ამოღებულ მტკიცებულებებს ეხება“ [68, გვ. 325-326].

მეცნიერის პათოსი დაზარალებულის ექსცესების მიუღებლობის შესახებ ვასაგები და ვასაზიარებელია, მაგრამ, რაც შეეხება ამგვარი „არაკონტროლირებადი ემოციების“ გამო დაზარალებულის საპროცესო უფლებების ნიველირებას (თამანი სწორედ აქეთკენ მიგვანიშნებს – ანგლოსაქსური პრაქტიკის ვაზიარებისაკენ გვიბიძგებს), იგი, პოსტსოციალისტური ქვეყნების სამართლებრივი ევოლუციის („გადაწყობის“) ამ ეტაპზე, ჩემი აზრით, ერთობ ნაადრევი და საზიანოა. სამწუხაროდ, ამგვარი გადაწყვეტისკენ მიდის საქართველოს კანონმდებლობაც (იხ.

ახალი სსსკ-ის პროექტი), რაც ჩვენში დაზარალებულთა უფლებების დაცვის გარანტირებულობის პრაქტიკულად ისედაც საკმაოდ დაბალ ხარისხს<sup>\*</sup> შემაშფოთებელ დონეზე დაექვეთხებს. ს. თამანი და მისი თანამოაზრენი, პოსტსოციალისტურ სივრცეზე მსჯელობისას, არ ითვალისწინებენ იმ უმნიშვნელოვანეს გარემოებას, რომ, განვითარების ამ ეტაპზე, პროცესიდან „გამოთიშვა“ და სახელმწიფო ბრალმძებელზე მისი ბელის „ჩამოკიდება“ დაზარალებულს არაიშვიათად დიდ განსაცდელს უშზადებს, მით უმეტეს, რომ, როგორც სწორად შენიშნავს თამანი, მას ხშირად ადვოკატ-წარმომადგენელიც კი არა ჰყავს!.. არა ჰყავს კი იმიტომ, რომ, შეთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მას ამის (მეტ-ნაკლებად კვალიფიციური ადვოკატის აყვანის) მატერიალური საშუალება არ გააჩნია!..

### 3.4. ანალოგიური პროცედურები გერდიქტის საფუძველზე, მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის წინ („მეორე რაუნდი“)

ნებისმიერი სხვა ფორმის სასამართლო განხილვისაგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას მხარეთა კამათის, რეპლიკისა და განსასჯელის საბოლოო სიტყვის პროცედურები ტარდება „ორ რაუნდად“ (ორჯერ): ა) ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით – მათ მიერ ვერდიქტის გამოტანამდე; ბ) ნაფიც მსაჯულთა გარეშე – მოსამართლესთან, ვერდიქტის საფუძველზე განაჩენის გამოტანის წინ [326, გვ. 322; 305, გვ. 503]. ის გარემოება, რომ ამ „რაუნდებისას“ („სუბეტაპებზე“) წყდება სრულიად განსხვავებული საკითხები (ძალზე ზოგადად რომ ეთქვას, პირველზე – ფაქტების, მეორეზე – სამართლის), შესაბამისად, განსაზღვრავს მხარეთა კამათის, რეპლიკებისა და განსასჯელის საბოლოო სიტყვის შინაარსს. პირველის შინაარსი სქემატურად ზემოთ უკვე ვნახეთ. დამატებით უნდა ითქვას, რომ, პირველ „რაუნდში“, ნაფიც მსაჯულთა წინაშე სამოქალაქო მოსარ-

\* ამ აზრს სადღეისოდ საქართველოში პრაქტიკულად მთელი საზოგადოება (მცირე ნაწილის გარდა) იზიარებს, რაც ნათლად ჩანს მედიის მასალებიდან.

ჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის „ვიწრო“ ამპლუაში გამოსვლას აზრი არა აქვს, რადგან ნაფიცი მსაჯულები კონკრეტულად სამოქალაქო სარჩელს ვერ განიხილავენ. ამასთან, არასწორად მიმაჩნია ბ.დ. ზავიდოვის მოსაზრება, რომ ამ სუბიექტებს საერთოდ არა აქვთ უფლება, სსსკ-ის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იშუამდგომლონ კამათში მონაწილეობის თაობაზე, რადგან ნაფიცი მსაჯულები სამოქალაქო სარჩელს არ იხილავენ [178, გვ. 32].

კერძოდ, იგი მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ, ვთქვათ, სამოქალაქო მოსარჩელე, როგორც წესი, იგივე დაზარალებულია, ანუ იგი, როგორც დაზარალებული – სამოქალაქო მოსარჩელე, დაინტერესებულია ძირითადი საკითხის – დამნაშავედ ცნობის საკითხის გადაწყვეტით. ამიტომაც, რუსეთის სსსკ-ის საერთო სულისკვეთების და ზოგადი ნორმა-პრინციპების ძალით, მას უფლება აქვს მხარი დაუჭიროს ბრალდებას სამოქალაქო სარჩელზე მიუთითებლად (!). იგივე ითქმის სამოქალაქო მოპასუხეზე, აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებზე. ბ. ზავიდოვის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა, მართალია, გაამარტივებს პროცესს, მაგრამ, სამაგიეროდ, შელახავს მხარეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რაც პრიორიტეტის იგნორირება იქნებოდა. აქვე შევნიშნავ, რომ ბ. ზავიდოვის მოსაზრება სამოქალაქო მოსარჩელის მიმართ, ფორმალურად, შეიძლება დაფუძნდეს სსსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის მე-15 პუნქტზე, სადაც ლაპარაკია, რომ სამოქალაქო მოსარჩელე სასამართლო სხდომაზე გამოდის „სამოქალაქო სარჩელის დასასაბუთებლად“, მაგრამ, ეს რომ კოდექსის კონცეპტუალური (გააზრებული) პოზიცია არ არის, ჩანს 54-ე მუხლიდან, სადაც სამოქალაქო მოპასუხის მიმართ ანალოგიური მიდგომა არ ფიქსირდება – აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის მე-11 პუნქტი მას ამგვარი დათქმა-შეზღუდვის გარეშე აძლევს კამათში მონაწილეობის უფლებას სამოქალაქო მოპასუხის ამპლუაში. ეს კი ლოგიკას მოკლებულია, რადგან, თუ ამ ეტაპზე კამათში გამოსვლისათვის უფლებამოსილი არ არის სამოქალაქო მოსარჩელე, ვერც მოპასუხე იქნება პროცესზე ამ უფლებით აღჭურვილი მონაწილე – მხარე!..

მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის წინ გამართული კამათისას, ისევე, როგორც რეპლიკებსა და განსასჯელის საბოლოო სიტყვაში, დაუშვებელია ნაჭიცი მსაჯულთა მიერ უკვე (ვერდიქტით) გადაწყვეტილი საკითხების განხილვა-დებატირება – დასაშვებია მხოლოდ მათი კონსტატაცია, როგორც იურიდიულად უკვე გადაწყვეტილისა. გამოსვლები ამ ეტაპზე შეეხება განსასჯელის პიროვნებასთან დაკავშირებულ, პასუხისმგებლობისა და სასჯელის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც მხარეები მანამდე წარადგენენ შესაბამის მტკიცებულებებს (ცნობებს, დოკუმენტებს და ა.შ.).

## §4. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (კოლეგიის, შემადგენლობის) წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები

### 4.1. რუსული მოდელი

მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე), სასამართლო გამოძიებისა და მხარეთა კამათის შედეგების გათვალისწინებით, წერილობით აყალიბებს კითხვებს (საკითხებს), რომლებზეც პასუხი უნდა გასცენ (გადაწყვეტილებები მიიღონ) ნაფიცმა მსაჯულებმა, კითხულობს (ანუ აქვეყნებს) მათ სხდომაზე და გადასცემს მხარეებს (მუხ. 339, ნაწ. 1). ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი შენიშვნები კითხვების შინაარსისა (1) და ფორმულირების (2) მიმართ, აგრეთვე, დააყენონ წინადადებები ახალი (დამატებითი) კითხვების დასმის შესახებ. ამასთან, მოსამართლეს უფლება არა აქვს განსასჯელს ან მის დამცველს უარი უთხრას იმ კითხვების დასმაზე, რომლებიც შეეხება საქმეში ფაქტობრივ გარემოებათა არსებობას და რომლებიც, ამასთან, გამოირიცხავენ ჩანადენის გამო განსასჯელის პასუხისმგებლობას ან იწვევენ მის პასუხისმგებლობას ნაკლებად მძიმე (ანუ უფრო მსუბუხი) დანაშაულისათვის (ნაწ. 2). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცედურები ტარდება ნაფიც მსაჯულთა გარეშე (ნაწ. 3).

მხარეთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, მოსამართლე სათათბირო ოთახში საბოლოოდ აყალიბებს კითხვებს, შეაქვს ისინი კითხვათა ფურცელში (вопросный лист), რომელსაც ხელს აწერს, აქვეყნებს სასამართლო სხდომაზე ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით და გადასცემს ნაფიც მსაჯულთა მამასახლისს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სათათბირო ოთახში გასვლის წინ, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ სხდომის თავმჯდომარისგან მიიღონ საჭირო განმარტებები დასმულ კითხვებთან დაკავშირებით — მათთვის გაუგებარ, ბუნდოვან თუ ეჭვის გამოწვევ საკითხებზე, მათ ცალკეულ ასპექტებსა და ნიუანსებზე, ამასთან, ეს ისე უნდა მოახერხონ, რომ არ შეეხონ ამ კითხვებზე შესაძლო (მოსალოდნელი) პასუხის არსს (ნაწ. 4-5). გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს ორ კონკრეტულ, იმპერატიულ მოთხოვნას: ა) კითხვები ყოველი განსასჯელის მიმართ

უნდა დაისვას ცალ-ცალკე (მთელი „კომპლექტი“); ბ) კითხვები ჩამოყალიბებული უნდა იყოს მარტივი, ნაფიცი მსაჯულებისთვის (ანუ არაიურისტებისათვის) გასაგები ფორმით — რთული იურიდიული კონსტრუქციებისა და ტერმინოლოგიის გარეშე (რამდენადაც ეს შესაძლებელია).

განსასჯელის მიმართ ბრალად შერაცხული ყოველი ქმედების (ცალკე დანაშაულის) მიმართ დაისმის სამი ძირითადი კითხვა:

1) დამტკიცებულია (დადასტურებულია) თუ არა, რომ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი? (შესაძლო პასუხები: „დიახ, დამტკიცებულია“, „არა, არ არის დამტკიცებული“. მეორე პასუხის შემთხვევაში, სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა საჭირო არ არის, რადგან ისინი, ლოგიკის მიხედვით, ავტომატურად ანუ თავისთავად გამოირიცხება);

2) დამტკიცებულია თუ არა, რომ ეს ქმედება ჩაიდინა განსასჯელმა? (შესაძლო პასუხები: „დიახ, დამტკიცებულია“ ან „არა, არ არის დამტკიცებული“. მეორე პასუხი ასევე გამოირიცხავს მომდევნო ანუ მესამე კითხვისათვის პასუხის გაცემის საჭიროებას);

3) დამნაშავეა\* თუ არა განსასჯელი ამ ქმედების ჩადენაში? (შესაძლო პასუხები: „დიახ, დამნაშავეა“, ან „არა, არ არის დამნაშავე“).

მხედველობაშია მისაღები, რომ რფ-ის სსსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ინგლისური ტრადიციისამებრ, შესაძლებლად მიიჩნევა, რომ ჩამოთვლილი სამი კითხვის ნაცვლად დაისვას ერთადერთი „კომპლექსური“ კითხვა: „დამნაშავეა თუ არა განსასჯელი შერაცხული დანაშაულის ჩადენაში?“. ეს კითხვა არა მარტო ძირითადია, არამედ იგი, ფაქტობრივად სამივე ზემოთ მითითებული კითხვის კონტენსი-ციას წარმოადგენს. ამასთან, ეს უნდა გაკეთდეს ძალზე ზუსტად და გარკვევით (მკაფიოდ), რომ არ დააბნიოს ნაფიცი მსაჯულები [304, გვ. 96; 305, გვ. 507].

\* იურიდიულ ლიტერატურაში (მათ შორის და განსაკუთრებით ქართულში) ღიბი ხანია დავის საგანია ის, თუ რომელი ტერმინი უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევაში — „დამნაშავე“ თუ „ბრალეული“ (რუსული ტერმინები: „ВИНОВЕН, ВИНОВЫЙ“, ამას არ არჩევს). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ქართულმა კანონმდებლობამ, კონსტიტუციით დაწვებული, მხარი დაუჭირა პირველ ტერმინს, მათ შორის ტერმინ „უდანაშაულობის პრეზუმუციის“ ცალსახად დამკვიდრებით.

ძირითადის გარდა, შეიძლება დაისვას კერძო (დამაზუსტებელი, შემავსებელი) კითხვებიც, რომლებიც შეიძლება შეეხებოდეს: ა) გარემოებებს, რომლებიც მოქმედებენ ბრალეულობის ხარისხზე, ანდა ცვლიან მის ხასიათს; ბ) განსასჯელის დანაშაულებრივი განზრახვის ხარისხს, ქმედების (დანაშაულის) ბოლომდე მიუყვანლობის მიზეზს, დანაშაულის ჩადენაში თითოეული განსასჯელის მონაწილეობის ხასიათსა და ხარისხს (ამგვარი საკითხები ისმის მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, რადგან არაიურისტების მიერ მათზე პასუხის გაცემა ერთობ ძნელია); გ) განსასჯელის ბრალეულობას არა წარდგენილ, არამედ უფრო მსუბუქი (ნაკლები სიმძიმის) დანაშაულის ჩადენაში, რაც დასაშვებია იმ პირობით, რომ ამით: ა) არ უარესდება განსასჯელის მდგომარეობა; ბ) არ ირღვევა მისი დაცვის უფლება (ნაწ.3).

ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, ნაფიცმა მსაჯულებმა პასუხი უნდა გასცენ კიდევ ერთ, მნიშვნელოვან კითხვას: „იმსახურებს თუ არა განსასჯელი შეწყნარებას?“ (ანუ, შელავათს – სასჯელის შემსუბუქებას). 1993 წლის კანონმდებლობით, ეს კითხვა დაყოფილი იყო ორ ნაწილად: 1) „იმსახურებს თუ არა განსასჯელი შეწყნარებას?“ (снисхождение) და 2) „იმსახურებს თუ არა განსასჯელი განსაკუთრებულ (!) შეწყნარებას?“ ბოლო კითხვა, რომელიც მეფისდროინდელი რუსული ნაფიცი სასამართლოს ტრადიციებიდან მომდინარეობდა, ახალმა (2001 წლის) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა აღარ გაითვალისწინა, რასაც, ცხადია, ჰქონდა თავისი „წონიანი“ საფუძვლები და არგუმენტები, მაგრამ, ჩემი აზრით, ფაქტია, რომ ამ ნოველის ამოღებით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, საბოლოო ჯამში, არც თუ უმნიშვნელო პოზიტიური „ნიუანსი“ დაკარგა!..

გარდა ამისა, კანონი ადგენს შემდეგს: ა) საკითხთა ფორმულირებაში არ უნდა იქნეს დაშვებული იმის შესაძლებლობა, რომ, პასუხების გაცემისას, განსასჯელი ცნობილ იქნეს დამნაშავედ იმ ქმედების ჩადენაში, რომლის გამოც მას ბრალდება არ წარდგენია და/ან რომლისთვისაც სახელმწიფო ბრალმდებელს პროცესზე მხარი არ დაუჭერია (ნაწ. 6); გ) ცალკე თუ სხვა საკითხთან ერთად,



არ უნდა დაისვას კითხვა, რომელიც ნაფიც მსაჯულთაგან ითხოვს განსასჯელის სტატუსის (მისი ნასამართლობის) იურიდიულ კვალიფიკაციას, აგრეთვე სხვა კითხვები, რომლებიც, ვერდიქტის გამოტანისას, ნაფიც მსაჯულთაგან ითხოვს საკუთრივ იურიდიულ შეფასებას (sic!).

რუსული მოდელის ამ ნორმატიულ ბაზაში უკეთ გარკვევის მიზნით, ვფიქრობ, აუცილებელია მას გაუკეთდეს მინიმალური კომენტარი მაინც. კერძოდ:

1. ის გარემოება, რომ მოსამართლე სწორედ გამოძიებისა და მხარეთა კამათის შედეგების გათვალისწინებით აყალიბებს კითხვათა კორპუსს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას უფლება არ ჰქონდეს წინასწარ (ცხადია, საქმის მასალებისა და წარდგენილი ბრალდების გათვალისწინებით) მოამზადოს ამგვარ (მოსალოდნელ) კითხვათა პროექტი. ამგვარი სამუშაოს წინმსწრებად შესრულება შემდგომში, „საფინალო ეტაპზე“, ხელს უწყობს საქმის განხილვის (ანუ პროცესის) დაჩქარებას, რადგან ნაკლები დრო დაიხარჯება საბოლოო კითხვარის შესადგენად. მთავარია, რომ ამ შემთხვევაში, მოსამართლემ, სასამართლო კამათის დამთავრებისთანავე, კეთილსინდისიერად შეიტანოს საჭირო კორექტივები მის მიერ წინასწარ შედგენილ პროექტში (სამუშაო დოკუმენტში) და ისე წარუდგინოს იგი მხარეებს, რომელთა შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებითაც იგი შეადგენს და ნაფიც მსაჯულთ გადასცემს უკვე ოფიციალურ დოკუმენტს – კითხვათა ფურცელს.

⊗ რევოლუციამდელ რუსულ გამოკვლევებში მოიპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ თანდათან ფეხი მოიკიდა პრაქტიკამ, როცა სხდომის თავმჯდომარე, მიუხედავად სასამართლო გამოძიებისა და მხარეთა კამათის შედეგების მიხედვით კითხვების კორექტირების საჭიროებისა, ამას არ აკეთებდა, რაც ნეგატიურ შედეგებს იწვევდა. ამიტომ, ლიტერატურაში მკაცრად იყო გაკრიტიკებული სამსახურებრივი და პროფესიული უპასუხისმგებლობის, დაუდევრობისა და უსულგულობის გამოჩენის ამგვარი პრაქტიკა [195, c. 133].

ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კითხვათა ფურცელში უნდა აისახოს როგორც დაცვის მხარის მიერ მხარდაჭერილი ბრალდების, ისე დაცვის მხარის პოზიციები, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე (სასამართლო გამოძიებისას) გამოკვეთილი ვერსია, რომელსაც არც ერთი მხარე არ იზიარებს. კერძოდ, დამცველი, როგორც ცნობილია, ვერ გასცდება განსასჯელის პოზიციას, რომელიც, ვთქვათ, მთლიანად უარყოფს წარდგენილ ბრალდებას, რის გამოც იგი ვერ მოითხოვს ნაფიცი მსაჯულებისთვის იმ კითხვის დასმას, ხომ არა აქვს ჩადენილ განსასჯელს უფრო მსუბუქი დანაშაული, ვინემ ბრალი ედება (ვთქვათ, განზრახ მკვლელობის ძირითადი შემადგენლობის ნაცვლად, შემამსუბუქებელ გარემოებაში – აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა; განზრახ მკვლელობა არა ანგარებით, რაც დამამძიმებელი, მაკვალიფიცირებელი გარემოებაა, არამედ შურისძიების ნიადაგზე და ა.შ.).

2. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ისეთი ქმედებისას, რომელიც ორი სხვადასხვა ნორმით კვალიფიცირდება (ე.წ. იდეალური ერთობლიობა), ორ კითხვად დაყოფა (რაც აუცილებელია) მსაჯულთა დაბნევის იწვევს [305, გვ. 507]. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეს მართებს, განმარტების მიცემისას, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ამ საკითხზე.

3. დამატებითი კითხვების დასმის თანამიმდევრობა დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე – განსახილველი ქმედების გარემოებებზე. ისინი ლოგიკურად უნდა იქნეს მისადაგებული ძირითად კითხვებთან – გონივრული, ოპტიმალური თანამიმდევრობით, მაქსიმალურად გამარტივებულად და გასაგებად (მისახვედრად). ამ ასპექტში გაუგებარია ლიტერატურაში მოცემული რეკომენდაცია, დანაშაულებრივი განზრახვის ხარისხის, მისი ბოლომდე შეუსრულებლობის (განუხორციელებლობის) მიზეზის, დანაშაულის ჩადენაში თითოეული განსასჯელის მონაწილეობის ხარისხისა და ხასიათის თაობაზე კითხვების მიმართ: „აუცილებელია სწრაფვა ამ გარემოებების პირველ კითხვაში გადმოსაცემად“-ო [305, c. 508]. ვფიქრობ, ეს არა მარტო ტექნიკურადაა შეუძლებელი (ამ საკითხების ერთ

კითხვაში გაერთიანებისას, ამკარაა, რომ მათზე შეუძლებელი გახდება რაიმე ცალსახა, სწორი პასუხის გაცემა ნაფიცი მსაჯულების მიერ), არამედ, იმთავითვე, რალაცნაირ გაუგებრობაზეა დაფუძნებული, რადგან წარმოუდგენელია, რომ პირველ კითხვას – „დამტკიცებულია თუ არა, რომ ქმედებას ჰქონდა ადგილი?“ – რამენაირად „მიებას“ ზემოხსენებული დამატებითი კითხვების კორპუსი ან თუნდაც ერთი მათგანი მაინც. თუ „პირველ კითხვაში“ ვიგულისხმებთ სამივე კითხვის გამაერთიანებელ მესამე კითხვას (იხ. ზემოთ), მაშინაც კი მასთან დამატებით კითხვათა აღნიშნული კორპუსის გაერთიანება პრაქტიკულად (რეალურად) ძალზე ძნელია – თუ შეუძლებელი არა.

4. დაუშვებელია კითხვათა ფორმულირებაში წმინდა იურიდიული, არაიურიისტი მოქალაქისათვის გაუგებარი ისეთი ფრაზებისა და ტერმინების ხმარება, როგორცაა: მკვლელობა, ჩადენილი „განსაკუთრებული სისასტიკით“, „ხულიგნური ქვენა გრძნობით“, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით“ და ა.შ. [178, გვ. 35]. მით უფრო დაუშვებელია ისეთი წმინდა იურიდიული კითხვის დასმა, როგორც დაფიქსირდა სასამართლო პრაქტიკაში ი.-ს საქმეზე: „დამტკიცებულია თუ არა, რომ მილიციის თანამშრომელი ი.-ს მიმართ მოქმედებდა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად?“ [305, გვ. 509].

5. კითხვებში არ უნდა იყოს (!) გამოხატული სხდომის თავმჯდომარის პოზიცია – არც ძირითადი (საკვანძო) და არც დამატებითი (შეშავსებელი) კითხვების თუ კითხვების ნაწილების (ელემენტების) – მიმართ. ამიტომ, ჩემი აზრით, არასწორია რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ე.პ. კუდრიაეცკევას მიერ შემოთავაზებული ფორმულირება №2 კითხვისა, ორი პირის (ი.-სა და დ.-ს) მიერ, ავტომანქანის გატაცების მიზნით, მძღოლის განზრახ მკვლელობის საქმეზე: „დამტკიცებულია თუ არა, რომ №1 კითხვაში გადმოცემული მოქმედებები განსასჯელმა ი.-მ ჩაიდინა დ.-სთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, რომ დაუფლებოდნენ მანქანას მძღოლის სიცოცხლის მოსპობით? ი.-ს როლი გამოიხატა იმაში, რომ მან დაზარალებულს დანით მკერდში და კისერში მიაყენა დარტყმები, რის შემდეგაც, დ.-ს დახმარებით, დაზარალებ-

ბული გადაავლო ავტომანქანიდან და ავტომანქანა გაიტაცა დ.-სთან ერთად“. ანალოგიურია კითხვის ფორმულირება დ.-ს მიმართაც – მისი როლის გათვალისწინებით [305, გვ. 511-512]. როგორც ვხედავთ, აქ, პირველ ნაწილში სწორად დასმულ კითხვაზე, მის მეორე ნაწილში, მოსამართლე ფაქტობრივად თვითონვე იძლევა პასუხს, როცა პირდაპირ მიუთითებს თითოეული მათგანის როლზე ერთობლივ ქმედებაში, როგორც დადასტურებულ ფაქტზე (?!). შესაბამისად; თუ ნაფიცი მსაჯულები იხელმძღვანელებენ ამით, მაშინ მათ, უბრალოდ, „თავის დაქვევალა“ რჩებათ, როგორც ამას სახალხო მსაჯულების უმრავლესობა აკეთებდა საბჭოურ და პოსტსაბჭოურ პერიოდებში. ჩემი აზრით, აქ ამკარად იგნორირებულია პრინციპი, რომ ფაქტების დადგენა მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა პრეროგატივაა და ამაში მოსამართლეს არაფერი ესაქმება!..

#### 4.2. ესპანური მოდელის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

ა) ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვები აქ, ზოგჯერ შეიცავს სამართლებრივ დეფინიციებს. „ესპანური სასამართლოები ნაფიც მსაჯულებს მიმართავენ კითხვებით ბრალის ფორმის შესახებ. მაგალითად, მკვლელობა ჩადენილ იქნა პირდაპირი განზრახვით, თუ თვითიმედოვნებით, უბრალო დაუდევრობით, უხეში დაუდევრობით თუ ბრალის გარეშე“ [68, გვ. 332]. კრიტიკას იწვევს ისიც, რომ ხშირად ნაფიც მსაჯულებს უწევთ გადაწყვეტა, არის თუ ჩადენილი მკვლელობა „სულიერი აღელვების ნიადაგზე“. ასეთ ვითარებაში, ზოგჯერ ნაფიცი მსაჯულები უარს ამბობენ ამგვარ ქმედებებში „განზრახვის“ დაფიქსირებაზე. ეს კი მოსამართლეებს აიძულებს „სერიოზული განმარტებები“ მისცენ მათ ბრალის ფორმებისა და სხვა რთული სამართლებრივი საკითხების თაობაზე [იქვე, გვ. 332-333]. დავძენ, რომ, ამგვარ ურთულეს სამართლებრივ საკითხებში, ასე „საყველპუროდ“ თუნდაც რამდენადმე მაინც გარკვევა პრაქტიკულად ძნელია, თუ შეუძლებელი არა – პრაქტიკა მოწმობს, რომ, ამგვარ საკითხებში სათანადოდ იურიისტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი

ნაწილიც კი ვერ ერკვევა, არათუ არაიურისტი ნაფიცი მსაჯულები, რომელთაგან უმრავლესობას თუ არა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, საკმაოდ „მოკრძალებული“ განათლება აქვს (ჩვენი ქვეყნის დღევანდელ სინამდვილეში, კონსტრუქციული იქნება ვისაუბროთ სწორედ განათლებაზე და არა დიპლომის ქონაზე...).

2. ზოგჯერ ესპანეთში ნაფიცი მსაჯულებისაგან მოითხოვენ ყველა იმ ფაქტობრივი საკითხის გადაწყვეტას, რომლებიც მხარეებმა დააყენეს – „წერილმანების“ ჩათვლით. ეს კი ხელოვნურად, ზოგჯერ კი კუროიოზულ მოცულობამდე ზრდის (და ართულებს, ცხადია) კითხვათა ფურცელს.

• ორტეგის ბრალდების ცნობილ საქმეზე ნაფიც მსაჯულებს წარუდგინეს 98 (I) კითხვისაგან შემდგარი კითხვათა ფურცელი, რამაც, სპეციალისტთა თქმით, დიდ გასაჭირში ჩააგდო მსაჯულები. სხვა შემთხვევაში, ვალიდოლიდში, ნაფიც მსაჯულებს სხდომის თავმჯდომარემ წარუდგინა 54 კითხვა, რომელთაგან ზოგიერთს არანაირი კავშირი არ ჰქონდა დანაშაულის ელემენტებთან [იქვე, გვ. 334]. ცნობილია, რომ ანალოგიური (მრავალკითხვიანი) კითხვათა ფურცლის ნაფიც მსაჯულთათვის გადაცემა რუსეთშიც ხდებოდა – ძირითადად მრავალბრალდებულის და/ან მრავალეპიზოდური საქმეებზე, განსაკუთრებით ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების პირველ წლებში. ასე, მაგალითად, სარატოვის საოლქო სასამართლოში, ვა. თუნეას და ა.ვ. ყაღნის ბრალდების მრავალეპიზოდური საქმეზე, კითხვათა ფურცელი შედგებოდა 86(I) კითხვისაგან [იხ. 178, გვ. 82].

#### 4.3. ანგლოსაქსური (ინგლისურ-ამერიკული) მოდელი

ინგლისურ და ამერიკულ მოდელელებში კითხვების დასმის პრაქტიკა საკმაოდ მარტივი ვარიანტითაა ჩამოყალიბებული და, ძირითადად, სწორედ დამნაშავეობა-უდანაშაულობის ცენტრალურ საკითხებს მოიცავს. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, აშშ-ში, ჯერ კიდევ მისი არსებობის პირველი პერიოდიდან მოყოლებული, გამოიკვეთა ტენდენცია – ნაფიცი მსაჯულები, წინასწარი (ანუ

ვერდიქტის) წესით, დამოუკიდებლად წყვეტდნენ (რეკომენდაციის ფორმით) აგრეთვე სასჯელთან (!) დაკავშირებულ საკითხებსაც. ბოლო ათწლეულებში ეს ტენდენცია სულ უფრო მეტ მასშტაბებს აღწევს – მისი გამოვლინება აისახა მრავალი შტატის კანონმდებლობაში. კერძოდ:

როგორც ცნობილია, აშშ-ში, 2001 წლისათვის, უკვე 38 შტატის, აგრეთვე ფედერალური იურისდიქციითა და, აგრეთვე, სამხედრო სასამართლოების იურისდიქციით შესაძლებელი იყო სიკვდილით დასჯის გამოყენება. მათგან 23 შტატში გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯის გამოყენების თაობაზე ნაფიც მსაჯულთა მიერ წინასწარი (თავმჯდომარისათვის არასავალდებულო) გადაწყვეტილების (original sentence) გამოტანა. მეტიც, ზოგიერთ შტატში (კენტუკი, მისური, ოკლაჰომა, ტენესი, ტეხასი) დაშვებულია ნაფიც მსაჯულთა მიერ სხვა სახის სასჯელთა ამგვარად დანიშვნაც [161, გვ. 262]. ასეთ ვითარებაში, მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის გადაცემულ კითხვათა კორპუსში, ბუნებრივია, უნდა იყოს შეტანილი შესაბამისი შინაარსის კითხვებიც. როგორც ჩანს, ამგვარი პრაქტიკა ხელს აძლევთ ცალკეულ ოფიციალურ მოსამართლეებსაც და მთლიანად სასამართლო ხელისუფლებასაც. საქმე ისაა, რომ ამით ისინი თავიდან იცილებენ, ვთქვათ, არა მარტო სიკვდილით დასჯის გამოყენებასთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ სტრესს, არამედ პასუხისმგებლობასაც ამგვარი არაპუმანური, დემოკრატიულ საზოგადოებაში პრინციპულად მიუღებელი სასჯელის ღონისძიების სახის გამოყენებისა და, რაც უფრო მთავარია, შესაძლო ტრაგიკული „სასამართლო შეცდომისათვის“ – უდანაშაულო პირის მსჯავრდებისთვის სიკვდილით დასჯით (რომელსაც თვით სსრკ-შიც კი „დროებით და განსაკუთრებულ ღონისძიებად“ მოიხსენიებდნენ!). ამგვარი ტრაგიკული შეცდომის გახმაურებული მაგალითები კი არაერთი ახსოვს ახალ თუ უახლეს ისტორიას!..

ინგლისში ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ საკითხი, რომელიც დადგენილად იყო მიჩნეული საბრალდებო აქტში. ამგვარად, ინგლისური სისტემა ნაფიც მსაჯულებს ავალდებულებს წარდგენილი ბრალდების გამო თქვან „დიახ“ ან „არა“ იმ სახითვე, როგორითაც

იგი საბრალდებო აქტშია გადმოცემული და არ აძლევს ნაფიც მსაჯულებს უფლებას განიხილონ საკითხი განსასჯელის ნაკლები ბრალეულობის თაობაზე, როცა ეს გამოვლინდება სასამართლოში [237, გვ. 74]. ეს გარემოება, ვფიქრობ, ინგლისური მარტივი ვარიანტის აშკარა და სერიოზული ნაკლია – მისი „მოუქნელობის“ სავალალო შედეგია.

#### 4.4. რამდენად არასამართლებრივი ანუ წმინდა ფაქტობრივია ნაფიც მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტი საკითხები? (მოკლე შენიშვნები)

ზემოთ მოხმობილ ესპანურ „რთულ“ მაგალითებს რომ თავი დაეანებოთ, თვით ყველაზე მარტივ შემთხვევებშიც კი, ჩემი აზრით, მეტიმეტად პირობითი, არაზუსტი და უმართებულოა იმის კატეგორიული მტკიცება, რომ, სინამდვილეში, ნაფიცი მსაჯულები იზილავენ და წყვეტენ მხოლოდ (!) წმინდა ფაქტობრივ, არასამართლებრივ საკითხებს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, რაიმე გავრცობის გარეშე, მოკლედ შევნიშნავ შემდეგს (კითხვების ფორმით): 1) განაკითხვა – „დამნაშავეა თუ არა განსასჯელი შერაცხული დანაშაულის ჩადენაში?“ – არ გულისხმობს, როგორც მინიმუმ, განსასჯელის ბრალეულობა-არაბრალეულობის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც, როგორც ცნობილია, სწორედ სამართლებრივი, ამასთან, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ცენტრალურ, ურთულეს პრობლემათაგანია?! 2) განაკითხვა თვით „შერაცხული დანაშაულის“ სწორი შეფასება შესაძლებელია დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენისა და მათი შეფასების ანუ დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემატიკისა და მეთოდის ცოდნის გარეშე?! 3) განაკითხვა თვით „დამტკიცებულია თუ არა“ (ქმედების ფაქტი და ამ ქმედების ჩადენა განსასჯელის მიერ) არ გულისხმობს მტკიცების პროცესის (მათ შორის მტკიცებულებათა შეფასების), ჭეშმარიტების ძიება-დადგენის დღემდე კვალიფიციური იურისტებისთვისაც (უფრო მეტიც, მთელი საპროცესო სისტემებისათვის!) კი, „აქილევსის ქუსლად“ მიჩნეულ ურთულეს საპროცესო-სამართლებრივ გადაწყვეტებს ისეთი პირების

მიერ, რომელთაც ხშირად, ფაქტობრივად, წარმოდგენაც კი არა აქვთ (ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ზერელე, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ) ამ „მარადიულ“ პრობლემათა არათუ წახნაგებსა და ნიუანსებზე, არამედ თვით არსზეც კი?!..

... აღნიშნული და მრავალი სხვა, უფრო კონკრეტული საჭირობოროტო, მაგრამ „უპასუხო“ კითხვების კორპუსი, როგორც ამ წიგნიდანაც ჩანს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ თითქმის ისეთივე ძველია, როგორც თავად ეს ინსტიტუტი, ისეთივე წინააღმდეგობრივი და დილემურია, როგორიც ამ ინსტიტუტის „ბიოგრაფია“, აწმყო და სამერმისო პერსპექტივები!!!..



## §5. სხდომის თავმჯდომარის სადამრიგებლო სიტყვა (მითითება, ინსტრუქცია, ღირექტივა...)

### 5.1. რუსული მოდელი

რფ-ის სსსკ-ის 340-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის სათათბირო ოთახში, ვერდიქტის გამოსატანად გასვლის წინ, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს, მხარეთა თანდასწრებით მიმართავს ე.წ. სადამრიგებლო სიტყვით (НАПУТСТВЕННОЕ СЛОВО). კანონი ავალდებულებს მოსამართლეს, რომ ეს გააკეთოს კითხვათა ფურცელში მოცემულ კითხვებზე რაიმე ფორმით თავისი აზრების (პოზიციის) გამოთქმის გარეშე, ამასთან, რეკომენდებულია, რომ ეს გაკეთდეს ძალზე დელიკატურად, ზრდილობიანი ფორმით, ნაფიც მსაჯულთათვის გასაგები ენით [327, გვ. 323]. სადამრიგებლო სიტყვა შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი, ან კიდევ ორივე ფორმის კომბინაციით (ჩემი აზრით, მესამე ფორმა უფრო მისაღებია, ვინაიდან უკეთესი ეფექტიანობის მიღწევის მეტი შანსი არსებობს, რადგან ადამიანთა ერთი ნაწილი დაწერილს აღიქვამს უკეთ, მეორე – ზეპირად მოსმენილს, ანუ, სხვა სიტყვებით, ეს ფორმები ავსებენ ერთმანეთს!...). წერილობითი სიტყვა, ბუნებრივია, უნდა დაერთოს სხდომის ოქმს, ხოლო ზეპირი (როგორც „ძირითადი“ სიტყვა, ისე შემდგომში მოცემული დამატებითი განმარტებები) დეტალურად უნდა აისახოს მასში.

სადამრიგებლო სიტყვა არ უნდა იყოს რაღაც მაღალფარდოვანი, აბსტრაქტული, განყენებული სამართლებრივი მსჯელობა – იგი უნდა იყოს მაქსიმალურად კონკრეტული, ამასთან, განსახილველ საქმესთან მიმართებაში „გაწყობილი“ [237, გვ. 88].

სსსკ-ის თანახმად, მეცნიერული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადამრიგებლო სიტყვაში სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია:

1) მოიყვანოს ბრალდების შინაარსი, რაც უნდა გაკეთდეს შეძლებისდაგვარად მოკლედ, ფაქტობრივი მხარის ძირითადი ასპექტების გადმოცემით. ეს, უწინარესად, შეეხება დანაშაულის შემ-

თხვევას მისი ძირითადი, არსებითი გარემოებების ჩათვლით, ოღონდ ზედმეტი დეტალიზაციის გარეშე – იმ ფარგლებში, რომელშიც ბრალდებას მხარი დაუჭირა სახელმწიფო ბრალმდებელმა. ამასთან, იგი შეახსენებს ნაფიც მსაჯულთ, რომ მათ მხედველობაში არ უნდა მიიღონ თავდაპირველი (უარყოფილი თუ კორექტირებული) ბრალდება [305, გვ. 514-515];

2) აცნობოს ნაფიც მსაჯულებს იმ კანონის შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განსასჯელის მიმართ შერაცხული დანაშაულისათვის. ეს შეეხება როგორც იმ კანონს, რომელიც ბრალდების შინაარსს შეესაბამება, ისე კანონს, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული უფრო მსუბუქ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში [376, გვ. 505];

3) შეახსენოს ნაფიც მსაჯულებს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების – როგორც მამხილებელის, ისე გამამართლებლის – შესახებ ისე, რომ არ გამოჩატოს თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ – არ მისცეს შეფასება და/ან არ გააკეთოს დასკვნები. კერძოდ, მან არ უნდა დაუშვას მხოლოდ ერთი მხარის მტკიცებულებათა უპირატესად (ანდა აქცენტირებით, მინიშნებებით...) გაშუქება. მან ყველა (ორივე მხარის) მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში იქნა გამოკვლეული, უნდა გააანალიზოს მათი შინაარსის ზუსტად, ობიექტურად, მიუკერძოებლად, ნეიტრალური პოზიციიდან გადმოცემით – წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტურად მაინც, ეს იქნება ზემოქმედება ნაფიც მსაჯულთა კოლეგიაზე. ამიტომ მიუღებელია, მაგალითად, შემდეგი სახის მსჯელობები: „შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ...“, „მოწმე X-ის ჩვენება დასტურდება... ექსპერტიზის დასკვნით“ და მისთანები [305, გვ. 530];

4) გადმოსცეს სახელმწიფო ბრალმდებლისა და დაცვის მხარის პოზიციები, რაც იმავე წესების დაცვით უნდა მოხდეს. კერძოდ, გადმოცემა უნდა მოხდეს ზედმიწევნით ზუსტად, ნეიტრალურად, კორექტულად, საკუთარი შეფასებებისა და დასკვნების გამჟღავნების გარეშე. ამასთან, ჩემი აზრით, ეს შეეხება არა მარტო საკუთრივ სიტყვის შინაარსს, არამედ რიტორიკის სხვა, „გვერდით“ მახასიათებლებსაც – ინტონაციას, ჟესტებს, მიმიკას და სხვა „ატრიბ-

უტებს“, რომლებიც, როგორც შესაბამისი პროფილის მეცნიერული გამოკვლევები მოწმობს, გაცილებით უფრო მეტყველია (მეტის მთქმელია) გარშემო მყოფთათვის (აღმქმელთათვის), ვიდრე საკუთრივ წარმოთქმული ტექსტი. სწორედ ამასია ცოცხალი ანუ ზეპირი სიტყვის, უშუალო კონტაქტის „მაგიური ძალა“!..

5) განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს: მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი წესები; უდანაშაულობის პრეზუმფციის არსი; დებულება გაუქარწყლებელი ექვზის განსასჯელის სასარგებლოდ ახსნის თაობაზე; წესი, რომლის თანახმადაც მათი ვერდიქტი მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე შეიძლება იყოს დამყარებული, რომლებიც უშუალოდ (!) იქნა გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე, ამასთან, არანაირ მტკიცებულებას მათთვის წინასწარ დადგენილი ძალა არ გააჩნია, ხოლო მათი დასკვნები არ შეიძლება ეყრდნობოდეს გულვებებს, ანდა სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მოთხოვნათა შესრულება არ უნდა გადაიქცეს სისხლის სამართლის პროცესის პრობლემატიკაზე ხანგრძლივ, დეტალურ, პროფესიული ტერმინოლოგიით გაჯერებულ „ლექციად“, არ უნდა გადაიზარდოს მენტორის პოზაში თუ „ტონალობაში“ შესრულებულ მონოლოგში. ამასთან, პროფესიული თვალსაზრისით, მოსამართლემ მეტისმეტად არ უნდა გადახაროს საუბრის ვექტორი მტკიცებულებათა და მტკიცების (მტკიცებითი სამართლის) კანონისმიერი კონსტრუქციის დეტალურად წარმოჩენის ცდისკენ, რადგან ჯერ ერთი, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. მეორეც, როგორც ცნობილია, საბოლოოდ, ნაფიცი მსაჯულები, როგორც შესაბამისმა გამოკვლევებმა დაადასტურა, გადაწყვეტილებას იღებენ არა მტკიცებულებათა დადგენილი წესისამებრ, სრულად და კონსტრუქციულად ანალიზის შედეგად (საფუძველზე), არამედ, საერთო ჯამში, შექმნილი შთაბეჭდილებებისა და ემოციების ნიადაგზე. ეს, როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, ნაფიც მსაჯულთა სუსტი მხარეცაა და უძლიერესიც, რადგან მეტისმეტად ილუზორულ-ფანტაზსტიკურია იმის წარმოდგენაც კი, რომ ერთ ან რამდენიმე საათში, გნებავთ, დღეში, არაიურისტი ნაფიცი მსაჯულების „ჭრელი“ კონტინგენტი, რაღაც სასწაულით,

მეტ-ნაკლებად სრულად შეიმუშვნებს და გაითავისებს (ჩაწვდება) სისხლის სამართლის პროცესის ურთულეს, ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის მტკიცებითი სამართლის გამორჩეულად რთული, თვით იურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვისაც კი მეტ-ნაკლებად მიუწვდომელი წესების „კომპლექტს“!.. ამიტომ, სადამრიგებლო სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა დეტალებსა და ნიუანსებს, არამედ ზოგად ორიენტირებს, უმთავრეს პოსტულატებს – ისეთებს, როგორცაა, მაგალითად, დებულებები, რომ არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, ხოლო წინააღმდეგობანი მტკიცებულებათა შორის უნდა აიხსნას გონივრული არგუმენტებით;

⊗ განსახილველ ასპექტთან დაკავშირებით, ვფიქრობ, არ უნდა იქნეს გაზიარებული ე.პ. კულდრიავეცეას შემდეგი მოსაზრება: არაა სწორი ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულ ნ.მ.-სთვის მიცემული განმარტება, რომ მათ ანუ ნაფიც მსაჯულებს „შეუძლიათ ენღონ მოწმეთა ჩვენებებს, თუ ისინი ძალდაუტანებელია, მიცემულია გარედან ზემოქმედების გარეშე“. კერძოდ, მისი აზრით, შეიძლება ნ.მ. დააეჭვოს კეთილსინდისიერი, მაგრამ სიტუაციის გამო შემკრთალი მოწმის ჩვენებამ და, პირიქით, შეიძლება დაიჯეროს არაკეთილსინდისიერი „მსახიობის“ ჩვენება“ [305, გვ. 533]. ვფიქრობ, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის მიცემული ეს განმარტება იურიდიულად სწორია – სხვა საქმეა, იგი სრულია თუ არა. რაც შეეხება კულდრიავეცეას არგუმენტს, იგი თავისთავად სწორია, მაგრამ მოსამართლის განმარტებას კი არ აბათილებს, არამედ თავისებურად „აგრძელებს“ მას (ყოველ შემთხვევაში, იგი სხვა „სიბრტყეზეა“ განფენილი – სხვა ასპექტს შეეხება).

ბ) ნაფიც მსაჯულთა ყურადღება მიაქციოს იმას, რომ განსასჯელის მიერ, გამოძიების პროცესში, ჩვენების მიცემაზე უარს ანდა მის ღუმელს სასამართლოში იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს და არ შეიძლება განიმარტოს, როგორც მისი ბრალეულობის დასტური (მოწმობა). ეს უფლებები, რომლებიც კონსტიტუციით, საერთაშორისო აქტებითა და საპროცესო კანონმდებლობით ფართოდაა აღიარებული, უკავშირდება უდანაშაულობის პრეზუმფციას, უწინარესად კი მტკიცების ტვირთის ბრალმდებლისათვის დაკისრების

პრინციპს. უფრო მეტიც, მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემაც კი არ წარმოადგენს რაიმე (მით უმეტეს, „მომაკვლინებელ“) „ცოდვას“ – მისი, როგორც განსასჯელის, ანუ „განსაცდელში მყოფი პირის“ განსაკუთრებული სტატუსის გამო;

7) განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს მათი თათბირის, დასმულ კითხვებზე პასუხების მომზადების, პასუხების გამო კენჭისყრისა და ვერდიქტის გამოტანის წესები. კერძოდ, მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების უმკაცრესად დაცვის პრინციპზე, თათბირის ჩატარებისას ყველა კითხვაზე პასუხის აუცილებლად (!) გაცემის მოვალეობაზე, აგრეთვე რაიმე კერძო შეხვედრის ანდა სხვაგვარი, „არასაპროცესო კონტაქტის“ დაუშვებლობაზე. ჩემი აზრით, ზედმეტი არ იქნება, თუ მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს შეახსენებს იმასაც, რომ მიუღებელია მსაჯულის მიერ მეორისათვის (სხვებისთვის) თავისი აზრის თავს მოხვევა, რაიმე სახის ძალადობა – აშკარა დიქტატი, სხვაგვარი უხეში ზემოქმედება მათი ნების საწინააღმდეგოდ რაიმე გადაწყვეტილების მიღებინების მიზნით. მოსამართლე განუმარტავს აგრეთვე იმას, რომ ღამის ღროის დადგომისას (ანუ 22 საათის შემდეგ), თავმჯდომარის ნებართვით კი – სამუშაო საათის დამთავრებისას, ისინი წყვეტენ თათბირს და ისვენებენ. მათ განუმარტებათ კენჭისყრის წესი (პროცედურა), ვერდიქტის გაფორმებისა და გამოცხადების წესები და ა.შ. (ნაწ. 7). ნაფიც მსაჯულებს განუმარტებათ ისიც, რომ უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ჩანაწერები, გაკეთებული (როგორც წესი) სასამართლო სხდომებზე (მუხ. 341, ნაწ. 5).

დასასრულ, მოსამართლე შეახსენებს ნაფიც მსაჯულებს მათ მიერ დადებული ფიცის შესახებ და ყურადღებას მიაქცევს, რომ, გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ სცნონ განსასჯელი შეწყალების (შელავათის) ღირსად (ნაწ. 4). შევნიშნავ, რომ, ჩემი აზრით, პირველს (ფიცის შეხსენებას) უფრო გარკვეული რიტუალური და „მოწოდებითი ხასიათის“ ანუ ფსიქოლოგიური „სინჯის“ დატვირთვა აქვს (ნაფიც მსაჯულთათვის სამოქალაქო-იურიდიული მოვალეობის შეგრძნების განახლება-გამძაფრების მიზნით), მეორე გარემოება კი მეტად მნიშვნელოვან

საპროცესო ნორმაზე აკეთებს აქცენტს – განსასჯელის უფლების დამატებით გარანტირების მიზნით.

სადამრიგებლო სიტყვის მოსმენისა და კითხვათა ფურცლის გაცნობის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს კანონით უფლება აქვთ მოსამართლისაგან მიიღონ დამატებითი განმარტებები. ნაფიც მსაჯულთა ამგვარი სურვილის შესახებ მოსამართლეს აცნობებს მამასახლისი – მეტწილად საკონტაქტო პირის (სასამართლოს თანამშრომლის – მათთან „მიმაგრებული“ მუშაკის) მეშვეობით. ნაფიც მსაჯულთა კოლეგია მთლიანი შემადგენლობით ბრუნდება სხდომის დარბაზში, სადაც მხარეთა თანდასწრებით ხდება დამატებითი განმარტების მიცემა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ აქ საუბარია სამართლებრივი განმარტების მიცემაზე და არა შუამდგომლობაზე რაიმე გარემოების დამატებით გამოკვლევა-დადგენის შესახებ – ბოლო შემთხვევაში, თანახმად სსსკ-ის 344-ე მუხლის მე-5 ნაწილისა, სასამართლო გამოძიება უნდა განახლდეს და, გამოკვლევის დამთავრების შემდეგ, ყველა პროცედურა (კამათი და ა.შ.) უნდა ჩატარდეს თავიდან. შეენიშნავ, რომ პრაქტიკაში, ასეთ შემთხვევებში, ყველაფრის ხელახლა ვრცლად (პირველი ვარიანტის მოცულობით) გამეორება არ ხდება – ტრადიციისამებრ, მხარეები იფარგლებიან მოკლე გამოსვლებით, თუმცა კანონი რაიმე შეზღუდვას მათ არ უწყისებს. თუ ამგვარი დამატებითი გამოკვლევის გარეშე საჭირო გახდა კითხვათა ფურცლის ახალი კითხვით (კითხვებით) შევსება, ანდა კითხვაში (კითხვებში) დაზუსტების (დაზუსტებათა) შეტანა, სხდომის თავმჯდომარე, მხარეთა აზრის გათვალისწინებით, დაზუსტება-დამატებათა გამო წარმოთქვამს მოკლე სადამრიგებლო სიტყვას, რომელიც აისახება ოქმში (მუხ.344, ნაწ. 3). ამის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სათათბირო ოთახში. ცხადია, კითხვათა ფურცელში დამატება-დაზუსტებათა შეტანა შესაძლებელია საჭირო გახდეს განახლებული სასამართლო გამოძიების შედეგების მიხედვითაც, ჩვეულებრივი (იმავე) პროცედურით. თუ, რაიმე მიზეზით, ზემოხსენებული შუამდგომლობა სასამართლო გამოძიების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში, სადაც ეჭვს (რომლის გამოც იქნა მოთხოვნილი სასამართლო

გამოძიების განახლება და დამატებითი გამოკვლევის ჩატარება) ხსნიან განსასჯელის სასარგებლოდ [305, გვ. 536-538].

## 5.2. ანგლოსაქსური მოდელი

ინგლისში სადამრიგებლო ანუ შემაჯამებელი სიტყვის (summing up) წარმოთქმის წესი და თვითონ სიტყვის შინაარსი ნორმატიულად დაწვრილებით და/ან მკაცრად რეგლამენტირებული არ არის. ამიტომ, პრაქტიკაში, თითოეული მოსამართლე ამას აკეთებს გავრცელებული (მიღებული) პრაქტიკისა და საკუთარი მეთოდის მიხედვით – როგორც ეს მიაჩნია საჭიროდ, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მიღებულია შემდეგი სტერეოტიპული პრაქტიკა: სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს, ისევე, როგორც რუსეთში, უხსნის საპროცესო უფლება-მოვალეობებს, განხილვის პროცედურებს, მტკიცებულებათა შეფასების წესებს, სამართლის სხვა აუცილებელ პრინციპებსა და ნორმებს. იგი, გარდა ამისა, საკმაოდ დეტალურად, სისტემატიზებულად ანალიზებს მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს. ამ შემთხვევაში, რუსეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, კანონი არ უკრძალავს მოსამართლეს ამა თუ იმ საკითხზე თავისი თვალსაზრისის გამოთქმას. უფრო მეტიც, მან შეიძლება თავს იმის უფლებაც კი მისცეს, რომ ნაფიც მსაჯულებს ურჩიოს (!) – გაამართლონ განსასჯელი, რადგან წარმოდგენილ ბრალდებაში ანუ დამტკიცებულ ქმედებაში (ქმედებებში), მისი აზრით, არ მოიპოვება დანაშაულის შემადგენლობა [237, გვ. 92]. შევნიშნავ, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული ეს დებულება, განვრცობითი თუ სიტყვა-სიტყვითი განმარტების შემთხვევაში, აშკარად გადაჭარბებულია, რადგან, როგორც შესაბამისი ლიტერატურის ერთობლივი ანალიზი ადასტურებს, აქ საუბარია ისეთ საგამონაკლისო შემთხვევებზე, როგორიცაა, მაგალითად, შემთხვევა, როცა დაცვის მხარე, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდების მტკიცებულებათა წარმოდგენის შემდეგ, არგუმენტირებულად აცხადებს, რომ „ბრალდება პასუხადაც კი არ ღირს“, რადგან მან ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულებები – ვერ

შებლო ბრალდების დამტკიცება, რის გამოც ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა დაადგინონ გამამართლებელი ვერდიქტი. თუ ეს წინადადება მყარადაა არგუმენტირებული და თანხვდება მოსამართლის აზრსაც, ამ უკანასკნელს აქვს უფლება მიმართოს ნაფიც მსაჯულებს წინადადებით – გავიდნენ სათათბირო ოთახში გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის საკითხის განსახილველად (!) და გადაწყვეტილების მისაღებად. ამდენად, გადაჭარბებულად მიმაჩნია რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული დებულება, თითქოს, ასეთ შემთხვევაში, თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აძლევს მითითებას (указание) გამოიტანონ გამამართლებელი განაჩენი [იხ., მაგალითად, 161, გვ. 139]. ამგვარი მითითება დაარღვევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იმ ფუნდამენტურ კონცეფტუალურ პრინციპებს, რომ ფაქტების ერთადერთი განმსჯელ – დამდგენი მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები არიან – ისინი სხდომის თავმჯდომარისგან დამოუკიდებლად წყვეტენ ამ საკითხს, საერთოდაც, დამოუკიდებელნი არიან და ა.შ.

აშშ-ში ამ ეტაპის მიზანია უზრუნველყონ ნაფიც მსაჯულთა მიერ მტკიცებულებების სწორად გაგება, მათი შესახებობის, დასაშვებობისა და საკმარისობის დადგენა, იმ კრიტერიუმებზე მათი ორიენტირება, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ. ასე, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით (სისხლის სამართლის საპროცესო კანონის § 300.100), თავის შემაჯამებელ სიტყვაში სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია „გადმოსცეს მთლიანად სისხლის სამართლის საქმის მიმართ გამოსაყენებელი ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპები“. მათ შორის, წინა პლანზეა წამოწეული (დასახელებული) უდანაშაულობის პრეზუმფცია (1), მოთხოვნა, რომ პირის ბრალეულობა დადასტურებული იყოს, ჯეროვანი „ხარისხისა“ და „რაოდენობის“ მტკიცებულებებით, „კონიერული ეჭვის გარეშე“ (2), ვერდიქტის გამოტანისას განსასჯელის პიროვნების თაობაზე მონაცემების გამოყენება-გათვალისწინების დაუშვებლობა (3). განსასჯელის (დაცვის მხარის) თხოვნით, მას შეიძლება განემარტოს პრინციპი, რომ განსასჯელის უარი ჩვენების მიცემაზე არ უნდა შეფასდეს, როგორც მისი ბრალეულობის ერთ-ერთი მტკიცებულება. ამავე პარაგრაფში კანონი ითხოვს, რომ მოსამართლემ განმარტოს



კონკრეტული სამართლებრივი დებულებანი, რომლებიც გამოყენებულ  
უნდა იქნეს ამ საქმის და მასთან დაკავშირებული ფაქტების მიმართ,  
ოღონდ ერთი მნიშვნელოვანი დათქმით: ამგვარი განმარტება არ  
უნდა გასცდეს ამ კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად ნაფიც  
მსაჯულთათვის აუცილებელი სამართლებრივი დახმარების ფარ-  
გლებს და, ამასთან, ღიად (!) არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას  
ნაფიც მსაჯულთა მომავალ დასკვნებსა და გადაწყვეტილებებზე  
[161, გვ. 275]. ცნება-ტერმინი „ღიად“ აქ, ცხადია, ისე არ უნდა  
იქნეს გაგებულად, რომ თითქოსდა კანონმდებელი უბიძგებს თუ ახ-  
ალისებს (მზარს უჭერს, ნებას რთავს) მოსამართლეს შეფარული  
„ირიბი“ ზეგავლენის მოსახდენად – როგორც ჩანს, იგი (კანონმდე-  
ბელი) აქ იმთავითვე, კომპრომისის წესით, მიიჩნევს, რომ ამგვარი  
„ამორფული“ ზეგავლენის დაფიქსირება-დადასტურება ძნელია (თუ  
შეუძლებელი არა), რის გამოც მისი თავიდან აცილება ამკრძალავი  
ნორმით შეუძლებელია. აქვე უნდა ითქვას, რომ, ამ მხრივაც, აშშ-ს  
საკანონმდებლო პრაქტიკა ერთობ ჭრელია: აქ „ფედერალურ სა-  
სამართლოთა მოსამართლეებს შეუძლიათ კომენტარები გაუკეთონ  
მტკიცებულებებს და გამოთქვან თავიანთი აზრი ფაქტების მიმართ,  
მაგრამ ეს პრაქტიკა შტატების თითქმის ნახევარში აკრძალულია,  
სხვებში კი – ძალზე შეზღუდული“ [308, გვ. 74].

## წმ. ვერდიქტი, მისი გამოტანა და გამოცხადება

### მ.ი. შესავალი საკითხები (ვერდიქტი და მისი თავისებურებანი)

ვერდიქტი (ლათ. „vere dictum“ – „სწორად ნათქვამი“) [284, გვ. 17] წარმოადგენს „ორგოლიან“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი დამოუკიდებელი რგოლის – ნაფიც მსაჯულთა ჟიურის – გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავეობა-უდანაშაულობის, აგრეთვე, ზოგჯერ, მათთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა ფაქტობრივი ხასიათის, არასამართლებრივი საკითხის შესახებ. იგი გამოიტანება არა სისხლის სამართლის საქმის დაწერილი (წერილობითი) და სასამართლო სხდომის მასალების ერთობლიობის საფუძველზე, როგორც ეს ჩვენში (და არა მარტო ჩვენში) ხდებოდა და ხდება, არამედ, არსებითად, როგორც წესი, მხოლოდ ვერბალურ-ვიზუალური ინფორმაციის (ზეპირად მოსმენილი ჩვენებების, პროცესზე ვიზუალურად დემონსტრირებულ-განხილული ნივთიერი მტკიცებულებებისა და მხარეთა გამოსვლებში მოცემული არგუმენტების) საფუძველზე (ნივთიერი მტკიცებულებების გარდა, ზეპირ ანუ ვერბალურ ინფორმაციად ტრანსფორმირდება აგრეთვე ექსპერტიზის დასკვნები და ყველა სხვა მტკიცებულება, მიუხედავად მათი ფორმისა და შინაარსისა!). ნაფიცი მსაჯულები არ ეცნობიან და ვერც გაეცნობიან (ეს კატეგორიული, უგამონაკლისო მოთხოვნაა!) სისხლის სამართლის საქმეში არსებულ წერილობით მასალებს. მართალია, ამა თუ იმ „დოზით“ ეს ნიშანი ზოგიერთი ქვეყნის წმინდა პროფესიონალურ (მაგ., იაპონიის) და „შერეულ“ სასამართლოებსაც ახასიათებთ, მაგრამ მათთვის ეს მეტწილად, საგამონაკლისო ან ალტერნატიული წესია, ნაფიც მსაჯულთათვის კი – აუცილებელი ინსტიტუციური ელემენტი.

ვერდიქტის ძალზე მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ იგი გამოიტანება „მშრალად“ – მოტივირების გარეშე (გამონაკლისია, როგორც აღინიშნა, ესპანეთი, რასაც ქვემოთ კიდევ შევეხები). ვერდიქტი, განსაკუთრებით გამამართლებელი, სავალდებულოა მოსამართლისთვის და განაჩენში იგი რაიმე მოტივირებას ან კორექტირებას არ ექვემ-

დებარება – ვერდიქტის რევიზირება შეიძლება მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით (იხ. ქვემოთ).

## 6.2. ნაფიც მსაჯულთა თათბირი (ზოგადი სქემა)

მიუხედავად მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა უიურის თათბირის მიმართ დადგენილია შემდეგი საერთო მოთხოვნები: ა) ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის თათბირს ესწრებიან მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები – სხვა პირის დასწრებაც კი, არათუ მონაწილეობა, ვერდიქტის გაუქმების (ანუღირების) უდავო საფუძველია. ამიტომ, ლოგიკურია, რომ თათბირის რაიმე ფორმით (ოქმით, სტენოგრამით და ა.შ.) დაფიქსირება და/ან კომენტირება არ ხდება; ბ) იმ ქვეყნებში, სადაც სათადარიგო მსაჯულის სუბსინსტიტუტი მოქმედებს, ნაფიც მსაჯულთა თათბირს ესწრებიან მხოლოდ ძირითადი (ანუ, რუსეთში მიღებული ტერმინით – კომპლექტისეული) ნაფიცი მსაჯულები – სათადარიგო მსაჯულებს იქ ყოფნის უფლება არა აქვთ. თუ ავადმყოფობის ან სხვა რაიმე სერიოზული მიზეზის გამო კომპლექტისეული ნაფიცი მსაჯული ვერ იღებს ან ვერ აგრძელებს მონაწილეობას კოლეგიის თათბირში, მაშინ სხდომის თავმჯდომარე სიით პირველ სათადარიგო მსაჯულს ჩართავს (შეიყვანს) ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ძირითად (კომპლექტისეულ) შემადგენლობაში, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი ხდება თათბირისა და ვერდიქტის გამოტანის პროცედურების სრულფასოვანი (სრულუფლებიანი) მონაწილე; გ) თათბირს ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა ხელმძღვანელად/წინამძღოლად არჩეული პირი (მამასახლისი, უფროსი ნაფიცი მსაჯული, თავმჯდომარე...), რომელიც, კენჭისყრის (როგორც წესი, ფარულის) დამთავრების შემდეგ (თვითონ, როგორც წესი, ხმას ბოლოს აძლევს), ითვლის ხმებს, შედეგები შეაქვს ვერდიქტის „ფორმაში“ თუ „კითხვათა ფურცელში“ – პასუხების სახით, ხელს აწერს მას\* და გადასცემს თავმჯდომარეს. ამ უკანასკნელის მიერ

\* ჩემი აზრით, ვერდიქტს, ყველა შემთხვევაში, ხელს უნდა აწერდეს არა მხოლოდ თავმჯდომარე, არამედ თათბირში მონაწილე ყველა ის ნაფიცი მსაჯული, რომელმაც ხმა მისცა ვერდიქტს.

ვერდიქტის მოწონების შემთხვევაში, ანუ თუ მასში არ აღმოჩნდა შეცდომები, წინააღმდეგობანი და მისთანები (თუ ასეთი აღმოჩნდა – ამ დეფექტების ნაფიც მსაჯულთა მიერვე აღმოფხვრის შემდეგ), ხელმძღვანელი აქვეყნებს (ანუ ხმაბაღლა კითხულობს) ვერდიქტს სხდომის დარბაზში; დ) ნაფიც მსაჯულებს, მეტწილად, უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი (და არა სხვა მსაჯულთა!) ჩანაწერები, გაკეთებული, როგორც წესი, სასამართლო სხდომაზე (სხდომის მასალების საფუძველზე!), აგრეთვე ნორმატიული, საცნობარო, სამეცნიერო-პრაქტიკული და სხვა საჭირო იურიდიული ლიტერატურა (მასალები). მეტწილ ქვეყნებში (მაგ., აშშ-ში) მათ უფლება აქვთ სათათბირო ოთახში ჰქონდეთ ნივთიერი მტკიცებულებანი – საჭიროების შემთხვევაში, მათი კვლავ დათვალიერების მიზნით, რაც, ჩემი აზრით, „კონტექსტიდან ამოვარდნილი“, მხოლოდ წმინდა პრაქტიკული ინტერესით ნაკარნახევი იურიდიული (საპროცესო) ნოველაა, რადგან, საერთო წესის მიხედვით, მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება მხოლოდ სხდომის დარბაზში – სხდომების მსვლელობისას, მხარეთა მონაწილეობით და ა.შ.

### 6.3. ვერდიქტის გამოტანა და მისი გამოცხადება

#### 6.3.1. შესავალი საკითხები

ვერდიქტის გამოტანა, ტექნიკური თვალსაზრისით, გულისხმობს ან შესაბამისი კითხვათა ფურცლის შევსებას – მასში მოცემულ კითხვებზე ნაფიც მსაჯულთა პასუხების ჩაწერას ზემოთ მითითებული (რუსული მოდელის) ან სხვაგვარი სქემის მიხედვით, ან კიდევ სპეციალური ფორმის („ვერდიქტის ფორმის“) შევსებას. ძირითადად, ანალოგიურია ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნების პრაქტიკა. როგორც წესი, ამგვარი დოკუმენტის შევსება, თაემჯდომარისთვის წარდგენა, ხელის მოწერა და გამოცხადება ნაფიც მსაჯულთა წინამძღოლად (ხელმძღვანელად) არჩეული

\* გამატყუნებელი და გამამართლებელი ვერდიქტების ფორმები გათვალისწინებულია საქართველოს ახალი სსსკ-ის პროექტით.

პირის პრეროგატივაა. ვერდიქტის სისწორეს, როგორც აღინიშნა, ამოწმების სხდომის თავმჯდომარე. მისი გამოცხადება ხდება ოფიციალურად, სხდომის დარბაზში, მზარეთა თანდასწრებით, თუმცა, ზოგან, აუცილებელია (სავალდებულოა) მხოლოდ განსასჯელისა და ბრალმდებლის დასწრება. ვერდიქტს, როგორც წესი, ისმენენ ფეხზე მდგომნი, თუმცა ზოგან ეს სავალდებულო არ არის.

გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება განსასჯელის პატიმრობიდან გათავისუფლება – ვერდიქტისვე საფუძველზე (რადგან იგი თვითკმარი საფუძველია, განაჩენის დადგენამდე მოცდა საჭირო არ არის).

ვერდიქტის კლასიკური სახეებია (ფორმებია) გამამართლებელი და გამამტყუნებელი, თუმცა ეს ფორმები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სულაც არ არის ცალსახა, მარტივი სტრუქტურისა. ამიტომ ცნობილია მათი სტრუქტურული ნაირსახეობებიც, ხოლო შოტლანდიაში დადგენილია „სამი ვერდიქტის“ სისტემა – შესამე სახეა ვერდიქტი „არ მტკიცდება“ (იხ. ქვემოთ).

### 6.3.2. რუსული მოდელი

რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა ზემოთ ჩამოთვლილ დებულებებს მთლიანად იზიარებს. ამასთან, აქცენტირებულია, რომ ნაფიც მსაჯულთა სათათბიროდ გასვლა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ – სადამრიგებლო სიტყვის მოსმენისთანავე. სათათბიროდ გასვლის და სხდომის დარბაზში დაბრუნების დრო ზუსტად უნდა დაფიქსირდეს სხდომის ოქმში. თათბირის შეწყვეტა შეიძლება დამის საათებში (ანუ 22 საათიდან 06 საათამდე), აგრეთვე, სხდომის თავმჯდომარის ნებართვით – სამუშაო საათების დამთავრებისას. თუ რაიმე მიზეზით საჭირო გახდა კომპლექტისეული ნაფიცი მსაჯულის სათადარიგოთი შეცვლა, სხდომის თავმჯდომარე უნდა დარწმუნდეს, რომ ეს სათადარიგო მსაჯული ნამდვილად ესწრებოდა ყველა ჩატარებულ სხდომას [178, გვ. 39]. აღნიშნულის დადგენა შეიძლება სხდომის ოქმის გასინჯვით ან/და სათადარიგო მსაჯულისა და/ან სხვა პირთა გამოკითხვით. თათბირის რაიმე ფორმით დაფიქსირება (ოქმი, აუდიო – და ვიდეოგადაღება...) და ტრანსსლაცია (კერძოდ,

რადიო – და ტელეტრანსლაცია) აკრძალულია. ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ თათბირის და, განსაკუთრებით, კენჭისყრის გარემოებათა კომენტარი ან სხვაგვარად განხილვა.

მამასახლისი კითხვებს კენჭის საყრელად აყენებს იმ თანამიმდევრობით, როგორცაა ისინი დასმული (შეტანილი) კითხვათა ფურცელში, ითვლის ხმებს და აჯამებს მათ. შემდგომი კითხვა კენჭისყრაზე დგება მხოლოდ წინა კითხვის განხილვა-კენჭისყრის დამთავრების შემდეგ. თუ შემდგომი კითხვის განხილვა-კენჭისყრისას გამოითქვა ეჭვი წინა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების (გაცემული პასუხის) მართებულობაზე, მაშინ კანონი არ კრძალავს, რომ ნაფიცი მსაჯულები ხელახლა დაუბრუნდნენ წინა საკითხს და ჩაატარონ განმეორებითი კენჭისყრა. თითოეული საკითხის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს კეთილსინდისიერი პოლემიკის, თითოეული მსაჯულის არგუმენტების ყურადღებით განსჯის – და არა ფსიქოლოგიური და/ან იდეოლოგიური ზეწოლის, კონფორმისტული თუ უპრინციპო მიდგომების ვითარებაში [260, გვ. 41]. ისევე, როგორც ახალი სსსკ-ის მიღებამდე, ახლაც კენჭისყრის შედეგად გამამტყუნებელი (განსასჯელის საზიანო) გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით – 12-დან 7 ან მეტი ხმით. თუ ხმები გაიყო (6:6), გადაწყვეტილება განსასჯელის სასარგებლოა იმ პრინციპის გამო, რომ ყოველგვარი ეჭვი განიმარტება მის სასარგებლოდ\*. მაგრამ, ხმათა ამგვარ დათვლამდე, კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები სამი საათის განმავლობაში მაინც უნდა ეცადონ ერთსულოვანი ვერდიქტის მიღებას და მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა ამ დროში, შეუძლიათ ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილებათა მიღება. თუ ეს დრო არ იქნა დაცული და ეს ამჟამად (დადასტურდება), სხდომის თავმჯდომარე მათ ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და წინადადებას აძლევს დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში თათბირის გასაგრძელებლად. თუ ეს გარემოება (სამსაათიანი დროის ანუ აუცილებელი მინიმუმის დაუცველობა)

\* ზემოთ არაერთგზის მოითხოვებული ავტორი – ს. თამანი სტატიაში „ვეროპის ახალი სისტემები: ესპანეთი და რუსეთი“, აღნიშნავს, რომ თითქოს 2001 წლამდე მოქმედი კანონმდებლობით, „რუსეთში გამამტყუნებელი განაჩენი მოითხოვს 12 ნაფიცი მსაჯულის ხმას“, რაც სწორი არ არის [68, გვ. 335, 1466-ე სქოლიო].

გამოვლინდა შემდგომში, ეს გარემოება წარმოადგენს საპროცესო კანონის არსებით დარღვევას და, შესაბამისად, იწვევს განაჩენისა და ვერდიქტის გაუქმებას – თანახმად რფ-ის უზენაესი სასამართლოს პლენუმის (შემდგომში: „პლენუმი“) 1994 წლის 20 დეკემბრის დადგენილების 22-ე პუნქტისა [178, გვ. 17-78].

კითხვებზე პასუხები ფორმდება არა ცალკე, არამედ კითხვათა ფურცელშივე – თითოეულ კითხვაზე პასუხების ცალკე შეჯამების შედეგების მასში შეტანით (ჩაწერით). კითხვაზე პასუხი ფორმულირდება შემდეგნაირად: „დიახ, დამნაშავეა“, „არა, არ არის დამნაშავე“, „დიახ, იმსახურებს შეწყნარებას“, „არა, არ იმსახურებს შეწყნარებას“ და ა.შ. კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ სიტყვებით „დიახ“ ან „არა“, პასუხად არ ითვლება. თუ წინა კითხვაზე პასუხი გამორიცხავს მომდევნო კითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროებას, მას მიეწერება სიტყვები: „უპასუხოდ“. თუ ვერდიქტში რაიმე შენიშვნის, შესწორების ან დამატების შეტანა გახდა საჭირო, მას, ისევე როგორც მთლიანად ვერდიქტს, ცალკე ხელმოწერითა და დათქმით ამოწმებს მამასახლისი (თუმცა, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა აქაც ყველა მსაჯულს მოეწერა ხელი – შემდგომში რაიმე გაუგებრობის თუ გადასწორება-გაყალბების თავიდან აცილების მიზნით). დათქმის ფორმულირება ან სხვა პარამეტრები დადგენილი არ არის. ჩემი აზრით, დათქმაში უნდა მოხდეს ზუსტი მითითება, თუ, კონკრეტულად, რაზეა აქ საუბარი; მაგალითად: ა) „სიტყვები „...“ დამატებულია ჩვენს მიერ“; ბ) „სიტყვები „არა, არ იმსახურებს“ სიტყვებად „დიახ, იმსახურებს“, შესწორებულია ჩვენს მიერ“ და ა.შ.

⊗ ისტორიულ ჭრილში საინტერესოა ასეთი პასუხი: 1864 წლის რეფორმის პირველ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას კანონით უფლება ჰქონდა კითხვების პასუხებში, რომლებიც მხოლოდ ცალსახა, მარტივ პასუხს მოითხოვს, დაემატებინა „ზოგიერთი სიტყვა“. ამგვარი სიტყვების ტიპური მაგალითი მითითებული იყო „სისხლის სამართალწარმოების წესდების“ 812-ე მუხლში: „დიახ, დამნაშავეა, მაგრამ წინასწარი გააჩნდა რაზეა გარეშე“. მაგრამ პრაქტიკაში ამ უფლებამოსილების გამოყენებამ ხშირად იმდენად დიდი გაქანება მიღო, რომ ზოგჯერ ეს დანაშაულო სიტყვები მნიშვნელოვნად ცვლიდა ან სულაც აუქმებდა წარდგენილი ბრალდების გამო ნაფიც მსაჯულთა პასუხებს. ასე, მაგალითად, კითხ-

ვაზე: „ღამნაშავეა თუ არა მარცვაში?“, ზოგჯერ უპასუხებდნენ: „არა მარცვაში, არამედ თვითნობაში“; კითხვაზე: „ღამნაშავეა თუ არა თაღლითობაში?“ უპასუხებდნენ: „ღიაზ, მაგრამ გაყალბებებს განზრახვის გარეშე“ და ა.შ. ამგვარი პრაქტიკა შედგლოში რუსეთის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის – სენატის განსჯის საგანი გახდა და გაიცა მითითება – დამატებითი სიტყვები არ უნდა გასცილებოდა დასმულ კითხვებში მითითებულ დებულებებსა თუ ფორმულირებებს [237, გვ. 95-96]. სხვათა შორის, სწორედ ამგვარი დამატებითი სიტყვების უნებლიედ გამოტოვებამ, როგორც უკვე ვნახეთ, გამოიწვია ლევ ტოლსტოის რომან „აღდგომას“ პერსონაჟის კატია მასლოვას მიმართ უსამართლო (ზედმეტად მკაცრი) ვერდიქტის გამოტანა – ნაფიც მსაჯულთა ნამდვილი ნების უნებლიე დამახინჯების გამო.

ვერდიქტის საბოლოოდ გაფორმებისა და გამოცხადების შემდეგ (პროცედურა სტერეოტიპულია\*), სხდომის თავმჯდომარე მადლობას უხდის ნაფიც მსაჯულებს და აცხადებს მათი სასამართლო სხდომაში მონაწილეობის დამთავრების თაობაზე. ამის შემდეგ ნაფიც მსაჯულთ, თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ დარჩნენ სხდომის დარბაზში, როგორც ჩვეულებრივი დამსწრენი – რაიმე საპროცესო ფუნქციის გარეშე (მუხ. 346, ნაწ. 2-3).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტის თაობაზე: თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა (გამოირკვა) გარემოებები, რომლებიც მეტყველებს განსასჯელის შეურაცხაობაზე მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენისას, ან კიდევ ქმედების ჩადენის შემდეგ მის დაავადებაზე ფსიქიკური მოშლილობით, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის სასჯელის დანიშვნას ან მის აღსრულებას (რაც, ცხადია, შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგებით), სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს დადგენილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის შეწყვეტისა და საქმის დადგენილი წესისამებრ განსახილველად გაგზავნის შესახებ (მუხ. 352, ნაწ. 1). ამგვარი დადგენილება არ საჩივრდება (ნაწ. 2).

\* დამატებით უნდა აღინიშნოს (დავაზუსტო), რომ მამასახლისი, გადაწყვეტილების მიწარსთან ერთად, აცხადებს იმასაც, თუ კენჭისყრისას რამდენი იყო დადებითი პასუხის მომხრე და რამდენი – წინააღმდეგი.



### 6.3.3. ესპანური მოდელი (სპეციფიკური ასპექტები)

ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება ისევე დაცულია, როგორც რუსეთში, ოღონდ აქ ვლინდება ერთი ასეთი სპეციფიკური დეტალი: ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სამართლებრივ საკითხებზე საკონსულტაციოდ, სათათბირო ოთახში მიიწვიონ იურიდიული განათლების მქონე პირი. ფაქტობრივად, მას იწვევენ ვერდიქტის შედგენაში დახმარების გასაწევად [68, გვ. 337-338]. ამ ნოვაციას ესპანეთში აქვს თავისი კონკრეტული მიზეზი – ის, რომ ნაფიც მსაჯულთ, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ვეალებათ ვერდიქტის დასაბუთება (მოტივირება, არგუმენტირება) – „მოკლე წერილობითი საფუძვლის გადმოცემა“. კერძოდ, „მასში უნდა აისახოს თუ რა მტკიცებულებებს ემყარება ვერდიქტი და რა არგუმენტებზე დაყრდნობით არის დადასტურებული თუ უარყოფილი ესა თუ ის კონკრეტული საკითხი“. მკვლევართა მიერ, ამასთან დაკავშირებით, არაერთგზის გამოითქვა მოსაზრებანი, რომ ეს მოთხოვნა ნაფიც მსაჯულებს სერიოზულ სიძნელეებს უქმნის, ამასთან, იგი ხელყოფს ნაფიც მსაჯულთა მიერ მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპს და სხვ. ამით არის გამოწვეული ნაფიც მსაჯულთა „საპასუხო რეაქცია“: მტკიცებულებათა ფეროვანი ანალიზისა და იმის არგუმენტირების ნაცვლად (რაც მათ ობიექტურად, ცხადია, არც ხელეწიფებათ), თუ რატომ უჯერებენ ერთს და არ უჯერებენ სხვა მტკიცებულებებს (უწინარესად, ჩვენებებს), ისინი მხოლოდ ძალზე ზოგადად „მშრალად“ მიუთითებენ, ვთქვათ, „მოწმეებისა და ექსპერტების ჩვენებებზე“, ერთ-ერთ საკმაოდ ცნობილ საქმეზე (ე.წ. „მულაგას“ მეორე საქმე“) კი ჟიურიმ, უბრალოდ, ერთი სიტყვით, მიუთითა მტკიცებულებებზე: „მოწმეები“ [68, გვ. 336]. რაც მთავარია, პრობლემის (სირთულის) ამგვარი გადაწყვეტა ხელ-ფეხს უხსნის ზემდგომ სასამართლოს ვერდიქტის ხშირი ანულირებისაკენ – მისი დაუსაბუთებლობის მოტივით.

⊗ აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ესპანეთში ფართოდ ცნობილი მიქელ ორტეგის საქმე. კერძოდ, ახალგაზრდა ბასკი ნაციონალისტი მ. ორტეგი, რომელსაც ბრალი ედებოდა ორი ბასკი პოლიციელის მკვლელობაში, როგორც ითქვა, 1997 წლის 7 მარტს

გამართლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იმ მოტივით, რომ იგი მკვლელობის მომენტში იყო შეურაცხად მდგომარეობაში. კერძოდ, მათ მიიჩნიეს, რომ ბასკი პოლიციელების მხრივ მის მიმართ ძალადობით გამოწვეული ძლიერი სულიერი აღელვების გამო, ისედაც ძლიერ მთვრალი ორტეგი ფაქტობრივად შეურაცხი გახდა. ამ ვერდიქტმა საზოგადოების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია და კინალამ შეიწირა ნაფიც მსაჯულთა სისტემა – მოითხოვნენ მის გაუქმებას ან ღროებით შეჩერებას. ასეთ ვითარებაში, პირდაპირ, „ხსნად მოველინათ“ ზემოხსენებული მოთხოვნა ვერდიქტის არგუმენტირების აუცილებლობის თაობაზე: ბასკეთის უზენაესმა სასამართლომ, 1997 წლის 27 ივნისს, გააუქმა ორტეგის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ნაფიც მსაჯულთათვის დასმულ 91 (?) კითხვაზე ნაფიცმა მსაჯულებმა „მინიმუმი დასაბუთებაც კი არ ჩამოაყალიბეს“ ფაქტების ირგვლივ და გადმოსცეს მხოლოდ „ფსევდომოტივაცია“. [68, გვ. 316-317, 336-337, 341].

ესპანურ სისტემაში, რუსულისაგან განსხვავებით, კანონი ნაფიცი მსაჯულებისგან მოითხოვს, რომ დაადგინონ ქმედების ფაქტი (1) და მისი ჩადენა განსასჯელის მიერ (2). რაც შეეხება დამნაშავეობის (ბრალეულობის) საკითხს, იგი ნაფიც მსაჯულთა განსჯის საგანი არ არის. მართალია, კანონმდებლის ამგვარმა „ანტინულიფიკაციურმა“ მიდგომამ „ვერ იმუშავა“ მ. ორტეგის ზემოხსენებულ საქმეზე [68, გვ. 333], მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, მრავალ სხვა შემთხვევაში, უადვილებდა და უადვილებს ნაფიც მსაჯულებს ამოცანას – საშუალებას აძლევს „არ გაიხლართონ“ სამართლებრივი საკითხების „აბლაბუდაში“, რომელთა ფაქტებისაგან ჩამოცილება, როგორც ზემოთ ითქვა, ერთობ რთულია, ხშირად – მეტისმეტადაც კი, ამასთან, როგორც ორტეგის საქმის მაგალითზე ვნახეთ, ესპანური კანონმდებლობა შეურაცხაობისას უშვებს პირის სრულ გათავისუფლებას იმავე რეჟიმში, როგორშიც უდანაშაულოდ მიჩნეული განსასჯელისას. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ამ ნოველით ესპანეთში საკმაოდ დაკნინდა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის როლი („წონა“).

ესპანეთში ნაფიც მსაჯულთა თათბირი შეიძლება გაგრძელდეს ორ დღემდე. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერდიქტი ვერ (არ) იქნა გამოტანილი, მოსამართლეს შეუძლია ისინი გამოიწვიოს სათათბიროდან სხდომის დარბაზში იმის გასარკვევად, ხომ არა აქვთ მათ პრობლემები საკითხის გადაწყვეტაში – ვერდიქტის ფორმასთან დაკავშირებით [იქვე, გვ. 335]. თუ ვერდიქტი მიღებულია დეფექტებით, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს სთხოვს (წინადადებას აძლევს) გამოასწორონ ისინი. ვერდიქტის სამჯერ „დაწუნების“ (დაბრუნების) შემდეგ მოსამართლეს შეუძლია დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა კორპუსი (როგორც „გადწაყვეტილებათუნარო“) და დანიშნოს ხელახალი განხილვა ახალი შემადგენლობით. თუ მათაც ანალოგიური პრობლემა შეექმნათ, მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი [68, გვ. 338].

ესპანეთში გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოსატანად (განსასჯელისთვის საზიანო ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად) საჭიროა 9-დან 7 მსაჯულის თანხმობა მაინც, ხოლო გამამართლებელი განაჩენისთვის საკმარისია 5-ის (ანუ უბრალო უმრავლესობის) თანხმობა (ხმა). ამგვარი მიდგომა, ვფიქრობ, სამართლიანია – იგი შეესაბამება სისხლის სამართალწარმოების ზოგადი პრინციპებისა და კონცეპტუალური მიდგომების დემოკრატიულ-ჰუმანურ სულისკვეთებას.

#### 6.6.4. ანგლოსაქსური მოდელი და მისი ვარიაციები

- ინგლისურ კლასიკურ მოდელში ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან დრომად მიჩნეული მოთხოვნა გამამტყუნებელი ვერდიქტის ერთსულოვნად გამოტანის სავალდებულობის თაობაზე, გაუქმებულ იქნა 1967 წლის ზემოხსენებული კანონით, რაც შემდგომში ინტეგრირებულ იქნა „ნაფიც მსაჯულთა ჟიურის შესახებ“ 1974 წლის კანონის მე-17 მუხლში, რომელიც დღემდე ძალაშია\* [161, გვ. 139]. ამით გადაიღაზა საუკუნეთა მანძილზე „ურყევი“

\* ამდენად, გაუგებარია, თუ რატომ მიჩნევს მ.ვ. ნემიტინა, რომ, თითქოს, ინგლისში ვერდიქტის ერთსულოვნების პრინციპი დიდი ხნის წინ და მყარად დამკვიდრდა, მაგრამ იქაც გაისმის ხმები, რომ ეს წესი ენებს საზოგადოების ინტერესებს, რადგან ერთსულოვნების მოღწევლობის გამო დამნაშავეები ხელიდან უსხლტებიან მართლმსაჯულებას [237, გვ. 94].

არგუმენტი, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ერთსულოვნებისას შეიძლება იქნეს დაცული ყოველგვარი ექვზის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის კლასიკური პრინციპი, რადგან, თუ ყველა არ ეთანხმება ვერდიქტს, ეს ნიშნავს, რომ არსებობს ექვზი განსასჯელის ბრალეულობის მიმართ. უფრო სიღრმისეულად თუ გავაანალიზებთ, მოხდა საეტაპო მნიშვნელობის დაპირისპირება (!!), „დანაშაულის კონტროლისა“ და „სამართლიანი პროცესის“ პრინციპთა შორის, რაც პირველის სასარგებლოდ გადაწყდა. კერძოდ, კანონმდებელმა იხელმძღვანელა დამნაშავეთა მიერ ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვის, დაშინების თუ სხვაგვარად დაყოლიების საფრთხის თავიდან აცილების, ექსტრემისტულად განწყობილი ცალკეული მსაჯულების განეიტრალების, ნაფიც მსაჯულთა „უნაყოფო“ სხდომების შემცირებით განმეორებითი ხარჯების გაწვევის მაქსიმალურად გამორიცხვის (ანუ, მთლიანობაში, სასამართლო ხარჯების შემცირების) და მისთანა მიზნებით (ანუ მიზანშეწონილობის პრინციპით, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის სხვა პრაგმატული პრინციპებითა და ამოცანებით).

აღნიშნულ ცვლილებათა შედეგად, ინგლისში, თუკი ნაფიცი მსაჯულები ორი საათის განმავლობაში ვერ მივლენ ერთსულოვან გამამტყუნებენ ვერდიქტამდე, საქმეზე ვერდიქტის გამოტანა ხდება ხმათა შემდეგნაირი უმრავლესობით – 12-დან ან 11-დან 10 ხმით, 10-დან 9, 9-დან კი 8 ხმით. მიუხედავად ამისა, როგორც სტატისტიკა მოწმობს, ინგლისში არაერთსულოვანი ვერდიქტების ხვედრითი წილი 20%-ს არ აღემატება [68, გვ. 55], რაც ვფიქრობ, ადვილად აიხსნება იმანენტურად „კონსერვატიული“ ინგლისელების ცნობილი ერთგულებით მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისადმი.

⊗ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ინგლისში ვერდიქტის ერთსულოვნება-არაერთსულოვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ასე, მაგალითად, ლ.ვ. გოლოვკო მიუთითებს, რომ „თუ გამამტყუნებელი ვერდიქტის სასარგებლოდ აუცილებელი რაოდენობის ხმები არ იქნა მიცემული, ბრალდებული უნდა გამართლდეს“ [161, გვ. 139]. მაგრამ ს. ბოსტოკი და ჩ. თომასი ამას არ ადასტურებენ. კერძოდ, შოტლანდიურ სისტემასთან

მიმართებაში ინგლისური მოდელის ანალიზისას, ისინი წერენ: „ინგლისში საკმარის ხმათა უმრავლესობის არარსებობისას ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებისუნაროდ (hung jury) ცხადდებიან და შესაძლებელია პროცესის ხელახლა დანიშვნა. მხოლოდ თორმეტიდან ათი მსაჯულის თანხმობა იძლევა გამამართლებელი განაჩენის დადგენის შესაძლებლობას“ [68, გვ. 56]. კანონმდებლის ამგვარ პოზიციას აკრიტიკებენ პროცესუალისტები სანდერსი და იანგი — იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ „გამამტყუნებელ და გამამართლებელ ვერდიქტებს შორის ამგვარი სიმეტრია ვერ ეგუება უდანაშაულობის პრეზუმფციას“ [68, გვ. 57].

ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში დამკვიდრებულია ვერდიქტის ოთხი ვარიანტი: 1) გენერალური ვერდიქტი (როცა ნაფიცი მსაჯულები ერთმნიშვნელოვნად წყვეტენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ, მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში); 2) ვერდიქტი, რომელიც დიფერენცირებულია (აქ მას პირობითად ვუწოდებ „დიფერენცირებულ ვერდიქტს“), ანუ როცა წარდგენილი ბრალდების ერთ ნაწილში (ერთ ან რამდენიმე პუნქტში) ვერდიქტი გამამტყუნებელია (განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ), სხვა ნაწილში (ერთ ან რამდენიმე პუნქტში) კი — გამამართლებელი (განსასჯელი მიჩნეულია უდანაშაულოდ); 3) ვერდიქტი, რომელიც განსასჯელს ცნობს დამნაშავედ არა წარდგენილ, არამედ სხვა (ცხადია, უფრო მსუბუქ) დანაშაულში (ჩემი აზრით, მას, ასევე პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ „მოდიფიცირებული (ანუ სახეცვლილი) ვერდიქტი“), რაც, ძირითადად, დამყარებულია იმაზე, რომ ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში საბრალდებო აქტი მკაცრად არ შემოსაზღვრავს სასამართლო განხილვის ფარგლებს [161, გვ. 140]; 4) სპეციალური ვერდიქტი, როცა ნაფიცი მსაჯულები დადგენილად მიიჩნევენ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ბრალდებას, მაგრამ ღიად ტოვებენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. სადღეისოდ, ამ სახის ვერდიქტი ძირითადად გამოიყენება შეურაცხის მიმართ და წარმოადგენს ამგვარი პირის მიმართ ე.წ. „უსაფრთხოების ზომების“ (ანუ, ჩვენი ტერმინოლოგიით, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების) გამოყენების საფუძველს [იქვე].

- აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოებას საიმედოდ აკონტროლებენ სასამართლო ბოქაულები ანდა, მოსამართლის დავალებით, პოლიციელები. უწინარესად, საუბარია, ნებისმიერ გარეშე პირთან რაიმე კონტაქტის გამორიცხვაზე. მოსამართლის ნებართვით, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ სათათბირო ოთახში ჰქონდეთ ნივთიერი მტკიცებულებები და/ან დოკუმენტები, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ჯეროვანი ვერდიქტის გამოტანაში. ამავე მიზნით, მოსამართლე მათ ურიგებს წერილობით ჩამონათვალს იმ დანაშაულებისა, რომელთა შესახებაც უკვე ჰქონდა საუბარი შემაჯამებელ (სადამრიგებლო) სიტყვაში და რომელთა გამოც უნდა იქნეს გამოტანილი ვერდიქტი. უფრო მეტიც, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის § 310.20(2)-ის თანახმად, ამგვარ ჩამონათვალში შეიძლება მითითებული იყოს აგრეთვე რეკომენდაციები „შესაძლო ვერდიქტის“ თაობაზე (!) ბრალდების თითოეული პუნქტის მიმართ [161, გვ. 276]. ცხადია, ამგვარი დამხმარე დოკუმენტის მიწოდება სასარგებლოა, მაგრამ, ამასთან, ჩემი აზრით, იგი შეიცავს მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულების მიმართ დიქტატის (გაუმართლებელი, ზედმეტი „კარნახის“), თავისი აზრის თავზე მოხვევის საფრთხესაც – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახით, ფორმითა და „დოზით“ მიეწოდება ეს მასალა ნაფიც მსაჯულებს!..

თათბირის დაწყებამდე ნაფიცი მსაჯულების მიერ არჩეული მამასახლისი შემდგომში ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა თათბირს. თუ ნაფიც მსაჯულებს დასჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია (განმარტება) სამართლებრივი ნორმების და/ან მტკიცებულებათა სფეროში, სასამართლო სხდომა უნდა განახლდეს მხარეთა მონაწილეობით [იქვე].

ვერდიქტის ერთსულოვნება მოითხოვება აშშ-ს 45 შტატში, ამასთან, ყველა შტატში ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა იყოს იმ საქმეებზე, რომლებზეც: ა) შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა; ბ) საქმის განხილვა ხდება 6 მსაჯულის (ანუ „მინიმალური“) შემადგენლობით [იქვე].

ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ითვალისწინებენ როგორც მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას, ისე მხარეთა წინადადებებს, რომლებიც, ამ სიტყვის წარმოთქმამდე, წერილობით წარედგინა მოსამართლეს. მათში, ჩვეულებრივ, მხარეები გადმოსცემენ თავიანთ თვალსაზრისს არსებული მტკიცებულებების, განსასჯელის ბრალეულობის დადასტურებულობის თუ დაუდასტურებლობის თაობაზე. არც ერთ შტატში ვერდიქტს რაიმე მოტივირება არ სჭირდება.

ვერდიქტს აცხადებს მამასახლისი, ღია სასამართლო სხდომაზე. აუცილებელია მოსამართლისა და განსასჯელის დასწრება — სხვა მონაწილენი ესწრებიან სურვილისამებრ. გამოცხადებული ვერდიქტი დაუყოვნებლივ შეიტანება სხდომის ოქმში, ან, უმრავლეს შემთხვევაში, სტენოგრამაში. ჩანაწერი დაუყოვნებლივ, იქვე წაეკითხებათ ნაფიცი მსაჯულებს, რომლებიც ხელის მოწერით ადასტურებენ ჩანაწერის სისწორეს. თუ ეს არ მოხდა, მოსამართლე არ მიიღებს ამ ვერდიქტს და ნაფიცი მსაჯულებს შესთავაზებს თათბირის განახლებას. თუ ნაფიცი მსაჯულები ხელმოწერით დაადასტურებენ ვერდიქტს, ისინი დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან პროცესიდან [161, გვ. 276].

აშშ-ში, როგორც ითქვა, ნაფიცი მსაჯულთა უნიკალურ ფუნქციად ითვლება მათ მიერ, გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, სიკვდილით დასჯის გამოყენების საკითხის სარეკომენდაციო გადაწყვეტა (თავისთავად ცხადია, ლაპარაკია იმ საქმეებზე, რომლებზეც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გამოყენებას).

⊗ აშშ-ს იმ შტატების დაახლოებით 3/4-დან, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებენ, უმრავლესობაში ამ საკითხს ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ. სადღეისოდ, ფაქტობრივად, ეს საგამონაკლისო, განსაკუთრებული ღონისძიება მხოლოდ მკვლელობაში ბრალდებულთა ეფარებათ, ამასთან, იშვიათად. ასე, მაგალითად, ყოველწლიურად 2-დან 4 ათასამდე ბრალდებულისა, რომელთაც სიკვდილით დასჯად დანაშაულში ედებათ ბრალი, მხოლოდ 6-დან 15%-მდე ბრალდებულთა მიმართ გამოიტანება სიკვდილით დასჯის განაჩენი, რაც, საშუალოდ, წელიწადში შეადგენს 250 მსჯავრდებულს [68, გვ. 96]

\* აღნიშნული საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. ქვემოთ, გვ. 314-322 და სხვ.

- ახალ ზელანდიაში ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება იმდენად მნიშვნელოვნად არის მიჩნეული, რომ, საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ან თუნდაც პროცესის დასასრულს, ნაფიც მსაჯულებთან ნებისმიერი პირის „ზედმეტი“ კონტაქტი კვალიფიცირდება, როგორც „სასამართლოს უპატივცემულობა“ და იწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას [68, გვ. 220-221]. დადგენილია ერთსულოვანი ვერდიქტის გამოსატანად თათბირის ოთხსაათიანი მინიმალური დრო. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი ვერ შეთანხმდნენ და მოსამართლე მიიჩნევს, რომ ვერც შეთანხმდებიან, იგი დაითხოვს ნაფიც მსაჯულებს და დანიშნავს საქმის ხელახალ განხილვას [68, გვ. 223]. მაგრამ, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ერთსულოვანი ვერდიქტის დადგენის შანსი, მოსამართლე მიმართავს მათ წინადადებით, რომ კვლავ სცადონ შეთანხმება (ე.წ. „პაპადოპულოს დირექტივა“).
- შოტლანდიაში, როგორც აღინიშნა, მოქმედებს მარტივი წესი: 15 ნაფიცი მსაჯულიდან 8-ის (უბრალო უმრავლესობის) ხმა ცალსახად წყვეტს – განსასჯელი დამნაშავეა თუ არა. ამდენად, ნებისმიერი სასამართლო პროცესი, ვინაიდან ყველა მსაჯული ვალდებულია მისცეს ხმა, მთავრდება ვერდიქტით და, ამდენად, გადაწყვეტილება უუნარო ჟიურის პრობლემა აქ იმთავითვე მოხსნილია. ამასთან, შოტლანდიური სისტემის ყველაზე უცნაური და სადავო თავისებურებაა „სამი ვერდიქტის სისტემის“ არსებობა, უფრო ზუსტად, მესამე სახის ვერდიქტის შინაარსი. კერძოდ, აქ მიღებულია შემდეგი სახის ვერდიქტები: 1) „დამნაშავეა“ (გამამტყუნებელი); 2) „უდანაშაულოა“ (გამამართლებელი) და 3) „არ მტკიცდება“. ეს უკანასკნელი, თავისი იურიდიული შედეგებით, ასევე გამამართლებელია, მაგრამ იგი, ცხადია, რაღაც ეჭვის ელემენტს მაინც ტოვებს, ბუნდოვანია და ა.შ. ამის გამო, ამ სახის ვერდიქტის არსებობას მკაცრად არგუმენტირებულად აკრიტიკებენ. ამისდა მიუხედავად, იგი ხშირად გამოიყენება შოტლანდიურ სასამართლოებში: ყოველი მესამე ვერდიქტი სწორედ ასეთი სახისაა [68, გვ. 259-260]. ამგვარი ვერდიქტის



არსებობის მიზეზს იურისტები იმაშიც ხედავენ, რომ შოტლანდიური სისტემა მტკიცებულებათა რაოდენობრივ და მისთანა მხარეებს მეტ (მათ შორის ფორმალურ) მოთხოვნებს უყენებს – ინგლისისგან განსხვავებით, ერთი, თუნდაც თვითმხილველი პირის ჩვენება, რაოდენ სარწმუნოდაც არ უნდა მიიჩნიონ იგი ნაფიცმა მსაჯულებმა, შოტლანდიაში არ წარმოადგენს საკმარის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. ასეთ შემთხვევაში, გასაგები ფსიქოლოგიური თუ სხვაგვარი ფაქტორების გამო, გამართლებაც მიზანშეუწონლადაა მიჩნეული თუნდაც იმ მოსაზრებისა გამო, რომ, ასეთ შემთხვევაში, ვერდიქტს, ვთქვათ, გაუპატიურებაში განსასჯელის მამხილებელი დაზარალებულის პატიოსნებასა და სანდობაში ეჭვი არ შეაქვს (უფრო ზუსტად, პირდაპირ და „უხემად“ არ შეაქვს – „დელიკატურად“ უვლის გვერდს...). ამასთან, კანონმდებელს არ სურს, რომ გამამტყუნებელ და გამამართლებელ ვერდიქტებს შორის ყოყმანისას ნაფიცმა მსაჯულებმა, არჩევანის აუცილებლობის გამო დაუშვან გამამტყუნებელი ვერდიქტის არჩევა, რადგან ეს გაზრდიდა რისკს – უდანაშაულოთა მსჯავრდების საფრთხეს [68, გვ. 260-261]. ეს არგუმენტები გარკვეულ საფუძვლიანობა-დამაჯერებლობას არ არის მოკლებული, მაგრამ, საბოლოოდ, სულაც ვერ ხსნის „მესამე ვერდიქტის“ ალოგიკურობა-ანომალიურობას, მით უმეტეს, რომ, ჯერ ერთი, ეს სისტემა ზოგჯერ „შეფარვით“ კანონის იგნორირების (თითქოსდა რაღაცნაირი „ნულიფიკაციის“!) გზას წარმოადგენს, მეორეც, იგი მოგვაგონებს საბჭოურ-ტოტალიტარულ ფორმულირებას, როცა საჭოჭმანო (გაუმართავი) საქმეები ზოგჯერ წყდებოდა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დაუდასტურებლობის მოტივით, რაც ამ პირებს „ირიბად“, ანუ საბოლოო ანგარიშით მაინც, ეჭვის ქვეშ ტოვებდა მთელი ცხოვრების მანძილზე!..

## §7. განაჩენის დადგენა. გასაჩივრება. გადასინჯვა.

### 7.1. მცირე შესავალი

განაჩენის დადგენა, როგორც ცნობილია, უკვე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მეორე ანუ „პროფესიონალური ელემენტის“ – მოსამართლის პრეროგატივაა.

განაჩენის მიმართ უწინარესი და უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა ის, რომ იგი არ შეიძლება შეიცავდეს ვერდიქტის რაიმე სახით (ფორმით) თუ ხარისხით რევიზიას ანუ შესწორებას და/ან გადასინჯვა-კორექტირებას – გამომდინარე იმ პრინციპიდან, რომ ფაქტების დადგენა ნაფიც მსაჯულთა პრეროგატიული უფლებამოსილებაა, სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა (მათ შორის სასჯელის განსაზღვრა) კი – მოსამართლისა. სხვა სიტყვებით, ისინი უნდა მოქმედებდნენ სხვადასხვა სეგმენტში, არ უნდა კვეთდნენ ერთმანეთის სტატუსის სფეროებს, მაგრამ, სინამდვილეში – რეალურ პრაქტიკაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქმე მთლად ასე მარტივად („სტერილურად“) როდია!..

### 7.2. რუსული მოდელი

რუსეთში, ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ, იწყება სასამართლო განხილვის მეორე ეტაპი (ნაწილი), რომელიც მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა გარეშე, მხარეთა მონაწილეობით (მუხ. 347, ნაწ. 1). ამასთან, თუ გამოტანილია გამამართლებელი ვერდიქტი, ტარდება მხოლოდ იმ საკითხთა გამოკვლევა, რომლებიც შეეხება: ა) სამოქალაქო სარჩელს; ბ) სასამართლო ხარჯების განაწილებას; გ) ნივთიერ მტკიცებულებათა ბედს (მუხ. 347, ნაწ. 2). შესაბამისად, ხდება იმ მტკიცებულებათა წარდგენა და/ან გამოკვლევა, რომლებიც ამ საკითხებს შეეხება. ასევე, მხარეთა კამათიც მხოლოდ ამ საკითხების ირგვლივ ტარდება. თუ გამოტანილია გამამტყუნებელი ვერდიქტი, გარდა ზემოხსენებულისა, ამასთან, მათზე წინ (ადრე), გამოიკვლევა აგრეთვე საკითხები, რომლებიც შეეხება: 1) განსასჯე-

ლის ქმედების კვალიფიკაციას; 2) მის მიმართ სასჯელის დანიშვნას. ე. ი. შესაბამისად, სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას მხედველობაში მისაღებ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს (რომლებიც მაკვალიფიცირებელ გარემოებებს არ წარმოადგენენ – ამგვარი გარემოებები უკვე იყო გამოკვლეული ნაფიც მსაჯულთა ყიურის მიერ), უწინარესად კი განსასჯელის ნასამართლობას, საქმიანობას, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ეკონომიკურ მდგომარეობას და ა.შ.; 3) გამამტყუნებელ განაჩენთან ერთად გადასაწყვეტ სხვა საკითხებს (მუხ. 313). კერძოდ, ისინი შეიძლება შეეხებოდეს არასრულწლოვანი შვილების ან მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირების, უმთავრესად დარჩენილი ქონების ბედს და სხვ. სამართალწარმოება მიმდინარეობს ჩვეულებრივი საპროცესო წესებითა და პროცედურებით – მტკიცებულებების მხარეთა მიერ თანამიმდევრულად წარდგენისა და მათივე მონაწილეობით გამოკვლევის გზით. გამოკვლევის დამთავრების შემდეგ ტარდება მხარეთა კამათი, რომელიც ასევე მკაცრად „თემატურია“ – მოკამათეებს უფლება აქვთ შეეხონ მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, რომლებიც გამამტყუნებელ განაჩენში გადაწყვეტას ექვემდებარება. შესაბამისად, თუ მხარეები (დაცვის მხარე გამოდის ბოლოს) შეეხებიან ფაქტების საკითხებს (ანუ ნაფიც მსაჯულთა მიერ უკვე გადაწყვეტილ ან თუნდაც გადაუწყვეტელ, თუ სულაც განუხილველ საკითხებს – ყველა ისინი „ტაბუირებულია“ ზემოთ არაერთგზის მითითებული პრინციპებისა გამო), მოსამართლე ვალდებულია ისინი შეაჩეროს. მით უფრო, ცხადია, მხარეებს ეკრძალებათ (!) ეჭვქვეშ დააყენონ გამოტანილი ვერდიქტის სისწორე (მუხ. 347, ნაწ. 4). კამათის დამთავრების შემდეგ განსასჯელს ეძლევა საბოლოო სიტყვა, რომლის მოსმენისთანავე მოსამართლე გადის განაჩენის გამოსატანად.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საბოლოო (!), შემაჯამებელი სასამართლო აქტი – განაჩენი გამოიტანება როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევებში. უნდა აღინიშნოს, რომ, მეფის რუსეთში. გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანისას, განაჩენის დადგენა არ იყო საჭირო. ამგვარ გადაწყვეტას ეთანხმება ზოგიერთი თანამედროვე ავტორიც. ასე, მაგალითად, მ.ვ.

ნემიტიანა მიიჩნევს შემდეგს: კანონის მოთხოვნა და უზენაესი სასამართლოს პლენუმის პოზიცია, რომ ასეთ შემთხვევაში გამოტანილ იქნეს გამამართლებელი განაჩენი, ამასთან, მასში მიეთითოს ბრალდების ფაბულა და განსასჯელის გამართლების საფუძველი მაშინ, როცა ნაფიც მსაჯულებს ეს საფუძველი არ მიუთითებიათ, ალოგიკური და გაუმართლებელია [237, გვ. 97]. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რუსული მოდელის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის ფორმის სპეციფიკის გამო (იგი წარმოადგენს კითხვათა ფურცელს, შევსებულს პასუხებით), აგრეთვე ზემოთ მითითებული საკითხების ვერდიქტში გადაუწყვეტლობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა მაინც საჭიროა, ოღონდ (!) გამართლების საფუძვლის რაიმე დასაბუთების გარეშე, რადგან ეს მოთხოვნა, ფაქტობრივად, წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციის სფეროში „ირიბად“ შეჭრას. რაც შეეხება რფ-ის კანონმდებლობას, ახალი სსსკ-ის 302-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, რომელიც განსასჯელის მიმართ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანას გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თვითკმარ საფუძველად მიიჩნევს, ვფიქრობ, ამგვარ განაჩენში გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანის მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია სრულიად საკმარისი და კანონშესაბამისი იქნება. მით უმეტეს, რომ მოსამართლემ არ იცის და არც უნდა იცოდეს (არც შეიძლება იცოდეს, თუ ვინმემ არ „შესცოდა“...), თუ რა საფუძველით გაამართლეს განსასჯელი – ვერდიქტი ხომ აბსოლუტურად არამოტივირებულია!.. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, ბოლო წლებში, ეს საკითხი სულ უფრო ნაკლებადაა დებატირების საგანი, ისევე, როგორც ის დებალება, რომ მოსამართლეს ამ ნაწილში განაჩენში არ სჭირდება რაიმე მტკიცებულებათა მოტანა და ანალიზი [იხ., მაგალითად, 305, გვ. 546].

გამამართლებელი ვერდიქტისაგან განსხვავებით, გამამტყუნებელი ვერდიქტი, თანახმად სსსკ-ის 348-ე მუხლის პირველი ნაწილისა, სავალდებულოობის პრინციპიდან გამონაკლისის წესით, შეიძლება დაექვემდებაროს მოსამართლის მიერ რევიზირებას შემდეგ ორ შემთხვევაში:

1) ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის მიუხედავად, მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს გამამართლებელი განაჩენი, თუ იგი მიიჩნევს, რომ განსასჯელის ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს (მუხ. 348, ნაწ. 4);

2) თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოტანილია უდანაშაულო პირის მიმართ და, ამდენად, არსებობს გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საკმაო საფუძველი იმის გამო, რომ არ არის დადგენილი დანაშაულის შემთხვევა (პირველი თვითკმარი პირობა), ანდა არ არის დადგენილი განსასჯელის მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში (მეორე თვითკმარი პირობა), მას გამოაქვს დადგენილება ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის დათხოვნის და სისხლის სამართლის საქმის სხვა შემადგენლობის მიერ ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ, წინასწარი მოსმენის სტადიიდან (ნაწ. 5).

ამ ნორმებთან დაკავშირებით, კომენტირების წესით, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ა) პირველი შემთხვევის არსებობისას კანონი იმიტომ უშვებს მოსამართლის მიერ დაუყოვნებლივ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რომ აქ მითითებული საფუძველი – „განსასჯელის ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს“ – წმინდა სამართლებრივია, ანუ მხოლოდ მოსამართლის „ექსკლუზიურ“ განსჯალობას განეკუთვნება;

ბ) მეორე შემთხვევის არსებობისას (იგი ორი ავტონომიური, ცალ-ცალკე თვითკმარი „პირობისაგან“ ანუ საფუძვლისაგან შედგება), საკითხი ფაქტობრივ გარემოებათა სფეროს მიეკუთვნება, ამიტომ ისინი მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა განსჯადია. ამდენად, მოსამართლეს აქვს ერთადერთი კანონიერი გამოსავალი – საქმე დააბრუნოს ხელახალი განხილვისათვის, ამასთან, წინასწარი მოსმენის სტადიიდან, რათა ამ სტადიაზე ხელახლა განიხილონ საკითხი – „ღირს“ თუ არა საქმის არსებითად განსახილველად ხელახლა გაგზავნა ანუ განსასჯელის სამართალში მიცემა (ცხადია, პირველი მოსამართლის პოზიციას წინასწარი მოსმენის ჩამტარებელი მოსამართლისათვის, ისევე, როგორც შემდგომ ეტაპებსა თუ სტადიებზე საქმის განმხილველი

მოსამართლეებისათვის, რაიმე სავალდებულო ძალა არა აქვს);

გ) სსსკ-ის 348-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემული ნოველა, რომ მოსამართლე დადგენილებაში მიუთითებს ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის დათხოვნის შესახებ, ვფიქრობ, ამოსაღებია, რადგან ამ საქმის განხილვაში მონაწილე ნაფიცი მსაჯულები, ამ მომენტიდან, ისედაც ანუ მექანიკურად (იურიდიულადაც და ფაქტობრივადაც) არიან დათხოვნილნი – თანახმად სსსკ-ის 346-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, მათ სხდომის თავმჯდომარემ უკვე მოახსენა მადლობა და გამოუცხადა სასამართლო სხდომაში მათი მონაწილეობის დამთავრების შესახებ (სხვაგვარად, ელემენტარული ლოგიკით, ვერდიქტი, იურიდიული გაგებით ვინც გვექნებოდა!..);

დ) ვფიქრობ, არ არის სწორი იმის მოთხოვნა, რომ მოსამართლემ განაჩენში ყოველთვის მიუთითოს, თუ რაში ედებოდა მას ბრალი სამართალში მიცემის მომენტში, რადგან მთავარია, თუ რაში ედებოდა მას ბრალი სახელმწიფო ბრალმდებლის საბრალდებო სიტყვით, რაც, ცხადია, აისახა კითხვათა ფურცელშიც (სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ უკვე მოხსნილი ან გადაკვალიფიცირებამდელი დანაშაულის მოხსენიება აქ, ვფიქრობ, პოზიტიურ-პრაქტიკულ პლანში არაფერს იძლევა). ამიტომ, ჩემი აზრით, ამ საკითხზე მსჯელობისას ე.პ. კუდრიაცევა ლოგიკურ-იურიდიულ შეცდომას უშვებს, როცა წერს: „გამამართლებელი ვერდიქტის მიღების შემთხვევაში, გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში ჯერ გადმოიცემა ბრალდების არსი, რომლის გამოც ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ მიიღო გამამართლებელი ვერდიქტი, შემდეგ სხდომის თავმჯდომარე – მოსამართლე აკეთებს მითითებას გამამართლებელ ვერდიქტზე ანდა სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ ბრალდებაზე უარის თქმაზე“ [305, გვ. 547]. შეცდომის არსი აქ იმაში მდგომარეობს, რომ თუ სახელმწიფო ბრალმდებელმა უარი თქვა ბრალდებაზე) სუბსიდიური ბრალმდებლის – დაზარალებულის არსებობაზე აქ არაფერია ნათქვამი), მაშინ არანაირი გამამართლებელი ვერდიქტი არ იარსებებს, რადგან, თანახმად რფ-ის სსსკ-ის 239-ე მუხლის პირველი ნაწილისა, 246-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 254-ე მუხლისა, სახელმწიფო ბრალმდებლის უარი ბრალდებაზე

იწვევს მოსამართლის მიერ საქმის შეწყვეტას. შეჯიბრებით პროცესში, რასაც აღიარებს რუსული კანონმდებლობა, სხვაგვარად შეუძლებელიცაა. მიუხედავად ამისა, ამავე შეცდომას ფაქტობრივად მექანიკურად იმეორებს ბ.დ. ზავილოვი, რომელიც, ე.პ. კულდრიაცევივასთან განსხვავებით, ლაპარაკობს სახელმწიფო ბრალმძებლის ამგვარ უარზე ნაფიც მსაჯულთა სათათბიროდ გასვლამდე [178, გვ. 55], რაც არალოგიკურია თუნდაც იმის გამო, რომ ნაფიც მსაჯულთა სათათბიროდ გასვლის შემდეგ პროკურორი რაიმე პოზიციას საერთოდ ვერ გამოთქვამს (საპროცესო აზრით, ცხადია).

რაც შეეხება კვალიფიკაციის, სასჯელის და სხვა სამართლებრივ საკითხებს, აქ, პირიქით, აუცილებელია მოსამართლის მიერ განაჩენში მათი სათანადოდ დასაბუთება – ამ მოთხოვნის დაუცველობა, განაჩენის გადასინჯვისას, იწვევს რადიკალური გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ:

საერთო წესით, განაჩენი, რომელიც დამყარებულია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სამართლებრივი (და არა ფაქტობრივი) საფუძვლით – სასამართლო განხილვისას და/ან ვერდიქტის გამოტანისას თუ განაჩენის დადგენისას არსებითი საპროცესო (პროცედურული) დარღვევის გამო. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო წესით გაუქმების ან შეცვლის საფუძველი, თანახმად სსსკ-ის 379-ე მუხლისა, შეიძლება იყოს: 1) სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევა; 2) სისხლის სამართლის (მატერიალური) კანონის არასწორი გამოყენება; 3) განაჩენის უსამართლობა (381-383-ე მუხლები). ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე დაფუძნებული გამამართლებელი განაჩენი შეიძლება გაუქმდეს პროკურორის წარდგინებით, ანდა დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის საჩივრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ისეთი საპროცესო დარღვევა, რომელმაც შეზღუდა მათი უფლებები მტკიცებულებათა წარმოდგენის სფეროში, ანდა იმოქმედა ნაფიც მსაჯულთათვის დასმული კითხვებისა და მათზე პასუხების შინაარსზე (იხ. მუხ. 385, ნაწ. 2).

განაჩენი, რომელიც ფორმალურად დადგენილია ნაფიც მსაჯულ-

თა ვერდიქტის საფუძველზე, მაგრამ ეწინააღმდეგება მას, ექვემდებარება გაუქმებას საქმის ხელახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის შესაბამის სასამართლოში (მაგრამ, ცხადია, არა იმავე მოსამართლისათვის, რომელმაც დაადგინა განაჩენი) გადაცემით. ამ შემთხვევაში, საქმის განხილვა დაიწყება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გამოცხადების შემდგომი (მომდევნო) ეტაპიდან (მუხ. 386, ნაწ. 3) — ცხადია, ნაფიც მსაჯულთა გარეშე. ეს ლოგიკურია, რადგან ზემდგომმა ინსტანციამ აქ „დაიწუნა“ მხოლოდ განაჩენი და არა მისი წინამორბედი სასამართლო აქტი (ვერდიქტი) და/ან საპროცესო (სასამართლო) მოქმედებები. მართალია, კანონი აქ არ მიუთითებს, მაგრამ ცალსახა და აშკარაა, რომ, როგორც ითქვა, განაჩენის დამდგენი მოსამართლე ამ შემთხვევაში ვერ განაგრძობს განხილვას, რადგან მას აზრი უკვე აქვს გამოთქმული განაჩენში.

განაჩენის გაუქმების საფუძველი უნდა იყოს არსებითი და კონკრეტული. ასე, მაგალითად, რფ-ის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი ს.-ს მიმართ იმის გამო, რომ მოსამართლემ, რაიმე მოტივაციის გარეშე, არ გაითვალისწინა განსასჯელის სასამართლობა [305, გვ. 547].

ვფიქრობ, გაუგებრობაზეა დაფუძნებული ბ.დ. ზავილოვის მოსაზრება, რომ, გამამართლებელი განაჩენისას, სხვა სამართლებრივ საკითხებთან ერთად, უნდა გადაწყდეს „... საკითხები, დაკავშირებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან, თუ იგი შერჩეული იყო“. სინამდვილეში, ამ საკითხზე ყოველგვარი მსჯელობა იმთავითვე აზრსაა მოკლებული, რადგან, გამამართლებელი განაჩენისას, აღკვეთის ღონისძიება — პატიმრობა უკვე ავტომატურადაა გაუქმებული, ხოლო განსასჯელი სხდომის დარბაზშივეა გათავისუფლებული პატიმრობიდან. ეს კანონის კონკრეტული, იმპერატიული მოთხოვნაა. სხვა აღკვეთის ღონისძიებების გაუქმებაზე კი კანონი იმიტომ დუმს, რომ, გამამართლებელი განაჩენისას, პირს ავტომატურად ეხსნება განსასჯელის თუ მისი „წინამორბედი“ (ბრალდებულის თუ ეჭვმიტანილის) სტატუსი, ანუ ხდება ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც, ცხადია, ვერანაირი პირობით ვერ იქნება რაიმე სახის აღკვეთის



ლონისძიების გამოყენების სუბიექტი (აქვე, კონსტატაციის წესით, აღენიშნავ, რომ თვისებრივად სხვა ვითარებაა სისხლის სამართლის საქმის ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისას (მუხ. 239), მაგრამ ეს საკითხი უკვე სცილდება ამ ნაშრომის თემატიკას).

ვერდიქტის გამოტანამდე და შემდგომში ჩატარებული სასამართლო მოქმედებები, ჩვეულებრივ, დეტალურად ფიქსირდება სხდომის ოქმში, ოღონდ, როგორც აღინიშნა, სხდომის თავმჯდომარის სადამრიგებლო სიტყვა, თუ იგი წერილობითია, ისევე, როგორც მხარეთა მიერ წარდგენილი წერილობითი სიტყვები თუ სხვა დოკუმენტები, დაერთვის სხდომის ოქმს – მათი შინაარსის მთლიანად ან ნაწილობრივ ასახვის გარეშე – მხოლოდ მათი დასახელების მითითებით, რაც საქმის წარმოების გამარტივებას ემსახურება (უადვილებს სამუშაოს სხდომის მდივანს). ამასთან, შინაარსის მთლიანად ან ნაწილობრივ გადმოცემა არა თუ აკრძალულია, არამედ, გარემოებათა მიხედვით, ხშირად საჭიროცაა, ზოგჯერ კი – აუცილებელიც.

### 7.3. ესპანური სისტემა (სპეციფიკური ნოველები)

ესპანურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემა ამ ნაწილშიც ძირითადად ემთხვევა რუსულს. ამასთან, აქ თავს იჩენს ერთი შემდეგი სპეციფიკური ასპექტი: ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას ევალება ვერდიქტის დასაბუთება (რაც, როგორც აღინიშნა, მეტწილად ძალზე ზერელედ, ზოგჯერ კი პრიმიტიულად, „სქემატურ სტილში“ რეალიზდება), ესპანელი მოსამართლეც ვალდებულია დაასაბუთოს განაჩენი ამ ნაწილშიც. ცხადია, რომ ამგვარი არგუმენტაცია ვერ გასცდება ვერდიქტში მოცემულ დასაბუთებას. ეს კი, არაიშვიათად, პროფესიულად, ფსიქოლოგიურად თუ მორალურად, ადვილი როდია მოსამართლისთვის – მაშინაც კი, როცა მას არა აქვს პრინციპული (არსობრივი) უთანხმოება ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტში დაფიქსირებულ გადაწყვეტილებასთან. ლაპარაკია შემთხვევებზე, როცა მოსამართლე ან არ იზიარებს მოტივაციას (არასწორად მიაჩნია), ანდა არასაკმარისად მიაჩნია იგი და ა.შ. როგორც ლიტერატურაშია მითითებული, ესპანელმა მოსამართლეებმა მრავალგზის გამოხატეს

უკმაყოფილება ამგვარი მტკივნეული სიტუაციის გამო. ცხადია, გაცილებით მძიმეა სიტუაცია, როცა მოსამართლე საერთოდ არ ეთანხმება გადაწყვეტილებას (ვერდიქტს) – მიიჩნევს მას უკანონოდ და/ან უსამართლოდ – მოსამართლე, აქ, როგორც იტყვიან, გამოუვალ, არსებითად „სტრესულ“ მდგომარეობაშია ჩაყარდნილი...

⊗ ერთმა ბარსელონიელმა მოსამართლემ, 26-გვერდიან განაჩენში, პირდაპირ გამოხატა პრინციპული უთანხმოება ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების (ვერდიქტის) მიმართ, რომლითაც დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ განსასჯელს არ ჰქონდა საკუთარი პარტნიორის მოკვლის განზრახვა მაშინ, როცა მას 7 ჭრილობა მიაყენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში [68, გვ. 338].

⊗ სხვა საქმეზე მოსამართლემ გააკრიტიკა ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, რომელმაც იგი აიძულა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა განსასჯელისათვის „უბრალო ადამიანის გრძობებიდან გამომდინარე, რომელიც მეტად გულწრფელია, მაგრამ მოკლებულია უმარტივეს სამართლებრივ კულტურას“ [იქვე, გვ. 339].

⊗ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დაუსაბუთებელი ან არაჯეროვნად (არასწორად) მოტივირებული ვერდიქტი „შეიწირავს“ ხოლმე მოსამართლის განაჩენსაც, რადგან ეს უკანასკნელიც ანალოგიური „წუნი“ მქონე აღმოჩნდება, ვინაიდან (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, მ. ორტგეის ზემოხსენებულ საქმეზე) განაჩენი, ლოგიკურია, ვერ გასცდებოდა ვერდიქტის პარამეტრებს – მის მიერ „შემოხაზულ“ ჩარჩოებს.

#### 7.4. ანგლოსაქსური მოდელი და მისი ვარიაციები

- ინგლისში, ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, ტარდება ე.წ. „განაჩენისწინა გამოძიება“, რომელიც გულისხმობს მოსამართლის დავალებით (როგორც წესი, ვადის მითითებით), პრობაციის სამსახურის ან „სოციალური მოსამსახურების“ (Social workers) მიერ, განსასჯელის მიმართ ყველა საჭირო მონაცემის შეკრებას (წარსული ნასამართლობა, სხვა მახასიათებლები როგორც პიროვნების „კანონმორჩილობის“, ისე სხვა ასპექტებით, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, სამ-

სახურებრივი თუ პროფესიული საქმიანობა და ა.შ.). შედეგების მიხედვით დგება სათანადო დოსიე – „განაჩენისწინა მოხსენება“. თუ საჭიროდ მიიჩნია (საფუძველი ჰპოვა), მოსამართლე მათ ავალებს აგრეთვე ე.წ. „სამედიცინო გამოძიების“ ჩატარებას განსასჯელის ფიზიკური და/ან ფსიქიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით [161, გვ. 140]. ინგლისის ზოგიერთ რეგიონში გავრცელება პოვა აგრეთვე ე.წ. სასამართლო მედიაციამ, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პრობაციის სამსახური ანდა რომელიმე (შესაბამისი პროფილის) საზოგადოებრივი ორგანიზაცია ცდილობს გამოვიდეს შუამავლად (ანუ მედიატორად; აქედან – „მედიაცია“) განსასჯელსა და დაზარალებულს შორის. დადებით შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნულს ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნისას.

„განაჩენისწინა გამოძიების“ დამთავრების შემდეგ, თანახმად „განაჩენის დანიშვნისას სისხლის სამართლის სასამართლოების უფლებამოსილების შესახებ“ 2000 წლის კანონის 156-ე მუხლისა, მხარეებს დროულად გადაეცემათ „განაჩენისწინა მოხსენებისა“ და თანდართული მასალების ასლები. შემდეგ ტარდება სასამართლო სხდომა – მხარეთა მონაწილეობით. მასზე განიხილება ზემოაღნიშნული დოსიე და მხარეთა მიერ შეგროვებული მასალები. შემდეგ იმართება მხარეთა კამათი. პროცედურების ამოწურვის შემდეგ სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის ზომის განსაზღვრის შესახებ (sentence). აღნიშნულს პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს „განაჩენი“, რადგან, ჯერ ერთი, იგი ცალკე დოკუმენტად არ ფორმდება – აისახება (ფიქსირდება) სასამართლო სხდომის ოქმში (სტენოგრამაში), მეორეც, არამოტივირებულია. ამიტომ, მის აღსასრულებლად საჭირო ხდება მოსამართლის მიერ სპეციალური განკარგულების გამოცემა. ამასთან, ინგლისელ მოსამართლეებს უფლება აქვთ გამოსცენ ბრძანებები (orders), რომლებითაც წყვეტენ ნივთმტკიცების (ნარკოტიკის, იარაღის...) ბედს, განაჩენის აღსრულების პირობებს, დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდის და სხვა საკითხებს [161, გვ. 150].

გასაჩივრება, ანუ ინგლისური ტერმინოლოგიით, აპელაცია (ap-

peal) იყოფა: ა) აპელაციად ფაქტების საკითხებზე და ბ) აპელაციად სამართლის საკითხებზე [141, გვ. 141]. თუ მე-20 საუკუნემდე ინგლისურ სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებდა ეჭვმიუტანელი პოსტულატი, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება, შემდგომში იგი თანდათან შეუსაბამო გახდა ცვალებადი იურიდიული რეალიებისათვის. ამიტომ, 1907, 1968 და 1995 წლებში მიღებულმა კანონებმა „აპელაციის შესახებ“ ეს პოსტულატი „შეარყიეს“ ცალკეული შემთხვევებისათვის გამონაკლისების დაწესებით. ვერდიქტის გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში. კანონი ცალ-ცალკე აწესებს დაცვის მხარის აპელაციას და ბრალდების მხარის აპელაციას, რომლებიც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ:

ა) დაცვის მხარის აპელაცია, 1995 წლის ზემოხსენებული კანონით, დაიშვება მხოლოდ საქმის განმხილველი სახელმწიფო სასამართლოს, ანდა თვითონ სააპელაციო სასამართლოს თანხმობით (?!). ეს შეეხება როგორც ფაქტის, ისე სამართლის საკითხებს. ამგვარი ნებართვის (თანხმობის) გასაცემად (მისაღებად) მხარეს უფლება აქვს 28-დღიან ვადაში შუამდგომლობით მიმართოს საქმის განმხილველ სახელმწიფო სასამართლოში ან სააპელაციო სასამართლოში. შუამდგომლობა განიხილება ერთპიროვნულად (სახელმწიფო სასამართლოში, სადაც, როგორც ცნობილია, ფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, შუამდგომლობას განიხილავს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე მოსამართლე, რაც, ჩვენს სინამდვილეში, „მისაბამ“ გადაწყვეტად სულაც ვერ ჩაითვლება!). შუამდგომლობაზე უარი შეიძლება 14 დღეში გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, სადაც მას განიხილავს 2 ან 3 მოსამართლე. თუ მათგან თუნდაც ერთი მაინც თანახმა იქნება, შუამდგომლობა დაკმაყოფილებულად ითვლება (თუმცა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია). მეორედ უარყოფის შემთხვევაში, ბოლო ინსტანციად რჩება ახალშექმნილი „სისხლის სამართლის საქმეთა გადასინჯვის კომისია“ (არანაკლებ 11 კაცის შემადგენლობით), რომელსაც მეტად ფართო უფლებები აქვს (ისინი ინიშნებიან

დედოფლის მიერ, პრემიერ-მინისტრის წარდგინებით). კომისიის მიერ აპელაციის დაშვების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო ხელახლა იხილავს საქმეს 3 პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით (მათი თანხმობის შემთხვევაში, შეიძლება დამატებითი მტკიცებულებების წარდგენაც). ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაუქმების საფუძვლები 1995 წლიდან შეიზღუდა და, ამჟამად, ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთადერთი, ამასთან, მეტად ზოგადი (ამასთან, „კაუჩუკისებური“) ფორმულირების მქონე საფუძვლით — „ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილების არასანდოობა“ (conviction in unsafe) [161, გვ. 152-154]. ანუ, ძალზე მოკლედ რომ ითქვას, თუ ვერდიქტი არსებითად სწორი იქნა, უნდა ვიფიქროთ, რომ საპროცესო ნორმების დარღვევას ვერდიქტის (განაჩენის) გაუქმება არ მოჰყვება. საზოგადოდ კი, სააპელაციო სასამართლოს, საჩივრის გამო, შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) უარყოს აპელაცია; ბ) გააუქმოს ვერდიქტი და თვითონვე გამოიტანოს ალტერნატიული ვერდიქტი (!) განსასჯელის სხვა დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ, სასჯელის გაუდიდებლად (sic!); გ) გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი და თვითონვე გამოიტანოს სპეციალური ვერდიქტი განსასჯელის შეურაცხადად ცნობისა და, შესაბამისად, უსაფრთხოების ზომების გამოყენების თაობაზე; დ) გააუქმოს ვერდიქტი და გაგზავნოს საქმე პირველი ინსტანციით ხელახლა არსებითად განსახილველად (retrial). ეს (ბოლო) გადაწყვეტილება მიიღება როგორც ახალი მტკიცებულებების აღმოჩენისას, ისე პირველი განხილვისას უხეში დარღვევების გამოვლენის გამო [იქვე, გვ. 155]. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ, ბოლო ორი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, მეორე („ბ“) გადაწყვეტილება შეიძლება კიდევ ერთი „ინგლისურ უცნაურობად“ მივიჩნიოთ, რადგან იგი, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, აშკარად სცილდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მეშვეობით სისხლის-სამართლებრივი მართლმსაჯულების განხორციელების მსოფლიოში აღიარებულ და მყარად ფეხმოკიდებულ პრინციპთა თუ ნორმა-პრინციპთა ფარგლებს — მიუხედავად იმისა, რომ, ასეთ შემთხვევაში, სასჯელის გადიდება არ ხდება. მათგან უმთავრესია ის, რომ პროფე-

სიონალი მოსამართლენი მეორე ინსტანციიდან „ითვისებენ“ პირველი ინსტანციის სასამართლოს და, რაც მთავარია, ნაფიც მსაჯულთა „წმიდათა წმიდა“ უფლებას – მხოლოდ მათ მიიღონ გადაწყვეტილება დანაშაუვობა-უდანაშაულობის ანუ ფაქტობრივი ხასიათის საკითხების გამო. მეორეც, სასჯელის გაუდიდებლობის მოთხოვნის გვერდზე არ მოიხსენიება უფრო მძიმე ან არსებითად განსხვავებულ დანაშაულში ბრალეულად ცნობის აკრძალვა, რამაც, ცხადია „ირიბად“ შეიძლება გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, განსაკუთრებით უფრო მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას (სასჯელის მოხდის პირობების, სასჯელისაგან ვადაძლე გათავისუფლების და მისთანა მიმართულებებით). ამასთან, ეს გაუარესება მოხდება თვითონ მსჯავრდებულის (!) საჩივრის საფუძველზე, რაც ასევე მიუღებელია სამართლებრივი, დემოკრატიული ქვეყნებისთვის (!). როგორც ჩანს, აქ „ხსნა“ მხოლოდ ინგლისური პრეცედენტების ცნობილ „სიმყარეშია“, რომელთა სამართლებრივობასა და დემოკრატიულობაში ეჭვის შეტანა, როგორც წესი, უსაფუძვლო იქნებოდა!.. შევნიშნავ იმასაც, რომ გადაწყვეტილების „გ“ ვარიანტიც, ერთი შეხედვით, ასევე გარკვეული „უხერხულობის“ შეგრძნებას“ იწვევს, მაგრამ, ჩემი აზრით, იგი გამართლებულია პროცესის გამარტივება-დაჩქარების პარგმატული პრინციპის პოზიციებიდან, ამასთან, იგი ვერდიქტს კი არ „სპობს“, ანუ ანულირებას კი არ უკეთებს მას, არამედ იყენებს ვერდიქტს სპეციფიკური გარემოების (შეურაცხაობის) გათვალისწინებით მისი კორექტირება-ტრანსფორმირებისთვის, რაც გაცილებით „ნაკლები ცოდვაა“, ვიდრე „ბ“ გადაწყვეტილების შემთხვევაში.

სასჯელის ნაწილში დაცვის მხარის მიერ განაჩენის გასაჩივრებისას, ასევე საჭიროა „წინააღმდეგობათა გადალახვა“ – თანხმობის მიღება იმავე პროცედურებით. ამგვარი საჩივრის საფუძველზე მსჯავრდებულს შეიძლება სასჯელი შეუმსუბუქდეს ან შეეცვალოს სხვა სახის სასჯელით (გარდა სახელმწიფო ღალატის საქმეებისა, სადაც დადგენილია მკაცრად განსაზღვრული სასჯელი (!) და, ამდენად, ფაქტობრივად არ გამოიყენება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი). ამ შემთხვევაში, კანონში გამოკვეთილად და დაფიქსირებული „საუარესოდ შებრუნების“ აკრძალვის ცნობილი პრინციპი. რაიმე

სერიოზული საპროცესო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, შეიძლება გაიცეს ბრძანება *venire de novo* („ხელახლა დაბრუნება“), რაც ნიშნავს განაჩენის გაუქმებას და მთელი საქმის ანულირებას ისე, რომ საქმე არ ბრუნდება ხელახლა განსახილველად (!) – მხოლოდ ბრალდების მხარეს რჩება უფლება, კვლავ (თავიდან!) წარადგინოს საქმე სასამართლოში პირველი ინსტანციით განსახილველად [161, გვ. 155-156].

ბ) ბრალდების მხარის აპელაციაც ასევე 1907 წელს გაჩნდა, ოღონდ ერთადერთი გამონაკლისის სახით: საჯარო დევნათა გენერალურ დირექტორს\* შეეძლო აპელირება ლორდთა პალატაში „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხის“ არსებობის მოტივით [იქვე, გვ. 157]. 1972 წელს გენერალურ ატორნეის მიეცა უფლება სამართლებრივ საკითხებზე შეეტანა აპელაცია იმ საქმეებზე, რომლებზეც განსასჯელი გამართლებულ იქნა, ოღონდ არა გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმების მოთხოვნით (მიზნით), არამედ იმისთვის, რომ მომავალში არ ყოფილიყო დაშვებული ანალოგიური სასამართლო შეცდომა. 1988 წელს გენერალურ ატორნეის უკვე მიეცა იმის უფლება, რომ განაჩენი გაესაჩივრებინა სასჯელის სიმსუბუქის მოტივით. 1996 წელს კანონმდებლობამ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, დაუშვა კიდევ ერთი გამონაკლისი: თუ არის საფუძველი იმის გულგებისათვის, რომ გამამართლებელი ვერდიქტი გამოტანილ იქნა ნაფიც მსაჯულებზე ან მოწმეებზე არამართლზომიერი ზემოქმედების („ზეწოლის“) შედეგად, ბრალდების მხარეს აქვს სააპელაციო გასაჩივრების უფლება, ოღონდ ამჯერად საჩივარი, გამონაკლისის წესით, შეიტანება უზენაეს სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია გააუქმოს ვერდიქტი. ეს კი სახელმწიფო ბრალდებას უფლებას აძლევს ხელახლა დაიწყოს ამავე პირის სისხლისსამართლებრივი დევნა საერთო წესით, რადგან პირობითად პრეზიუმირებულია, რომ საქმე ჯერ არ განხილულა სასამართლოს მიერ [იქვე, გვ. 158].

\* საჯარო დევნათა გენერალური დირექტორი და მისდამი დაქვემდებარებული სამსახური (დეპარტამენტი), გენერალური ატორნეის ხელმძღვანელობით. ინგლისში ახორციელებენ პროკურატურის ცალკეულ ფუნქციებს, მათ შორის ბრალდების ორგანიზაციას [21, გვ. 83-85].

აშშ-ში „განაჩენისწინა გამოძიების (presentence investigation), დოსიეს შედგენისა და განაჩენის დადგენის პროცედურები ინგლისურის ანალოგიურია. ამასთან, სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის ვადას კანონი განსაზღვრავს 60 დღემდე ვადით, თუმცა, ამასთან, მოსამართლეს, ცალკეულ რთულ შემთხვევაში, უფლებას ანიჭებს გააგრძელოს იგი კიდევ 60 დღემდე ვადით. მეორე თავისებურებაა ის, რომ, ფაქტობრივად, ყველა საქმეზე ამგვარი განაჩენისწინა გამოძიება არ ტარდება. გარდა განსასჯელის ნასამართლობისა, ყურადღება ექცევა პოლიციის მიერ მისი ადრე დაკავების ფაქტებს (ძირითადად ე.წ. „მცირე დანაშაულთათვის“, ანუ, ჩვენი კანონმდებლობით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის), დაზარალებულის, ნათესავ-მეზობლების, ნაცნობების, თანამოსაქმეებისა და დამქირაველების გამოკითხვას განსასჯელის ქცევისა და დამოკიდებულებების, მისი კავშირების, ჩვევებისა და მიდრეკილებების, არმიაში სამსახურის და სხვა ასპექტთა შესახებ. ეს ხდება რაიმე საპროცესო წესების დაცვის გარეშე, ზოგჯერ „ჭოროების“ შეგროვების გზითაც კი. შედეგების მიხედვით დგება „განაჩენისწინა მოხსენება“ (presentence report). იგი ზოგჯერ შეიცავს მისი შემდგენის რეკომენდაციებსაც სასჯელის გამოსაყენებელი ღონისძიების შესახებ, სასჯელის დანიშვნის დადგენილი სტანდარტების მითითებით. ამ მოხსენებას მხარეებს ავტომატურად არ აცნობენ – გააცნობს თუ არა მას მხარეებს (მთლიანად ან ნაწილობრივ) წინასწარ, ამას წყვეტს მოსამართლე, რომელსაც, ბუნებრივია, არ სურს ამ ეტაპზე ინფორმაციის ყველა (ან ზოგიერთი) წყაროს გაშიფრვა. განაჩენის დადგენამდე, მხარეთა მონაწილეობით, ტარდება განხილვა, რომლის დროსაც მხარეები წარადგენენ თავიანთ მტკიცებულებებსაც – ზეპირი მონაცემების და/ან დოკუმენტების სახით. მოსამართლეს, მხარეთა მოსმენის

\* გარდა კანონისა (იხ., მაგალითად, „აშშ-ს კანონთა კრებულის“ მე-18 განყოფილების „A“ ქვეანყოფილება), 1987 წლის 1 ნოემბრიდან ამგვარი სტანდარტები დაწერილებითი ცხრილების სახით მოცემულია „სასჯელთა დანიშვნის ფედერალურ სახელმძღვანელოში“, რომელიც ითვალისწინებს სასჯელთა დიფერენცირებას დანაშაულთა საშიშროების 43 ღონის მიხედვით [294, გვ. 68-72. გვ. 214].



შემდეგ, შეუძლია გავიდეს გადაწყვეტილების მისაღებად, ანდა ადგილზევე მიიღოს და იქვე გამოაცხადოს გადაწყვეტილება — როგორც წესი, რაიმე მოტივირებისა და ცალკე ლოკუმენტად გაფორმების გარეშე, ოღონდ ოქმში ან სტენოგრამაში ლაკონურად დაფიქსირებით. შემდგომში, ისევე, როგორც ინგლისში, მისი რეალიზაცია ხდება დამატებითი მოქმედებების ერთობლიობით — სტენოგრამიდან (ოქმიდან) ამონაწერის დამოწმებულად გაგზავნის ან ცალკე განკარგულების გაცემის გზით [161, გვ. 278-281].

აშშ-ში გასაჩივრების პროცედურები კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ინგლისში. კერძოდ, აქ ემატება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პარალელურად მოქმედი ფედერალური და შტატების, აგრეთვე ადგილობრივი სისტემები, განსასჯელის აღიარების არსებობა-არარსებობა, გასაჩივრებული საკითხის არსი, გასაჩივრების ხარჯების გაღების საშუალების ქონა-არქონა და ა.შ. [იქვე, გვ. 285]. ასე, მაგალითად, თუ პირი აღიარებდა დანაშაულს, ფაქტების გასაჩივრების გზა მას უკვე, როგორც წესი, მოჭრილი აქვს. წვრილმანი (!) საკითხების გასაჩივრება არა მარტო საჩივრის მიღებაზე უარის საფუძველია, არამედ ჯარიმის გამოყენებასაც კი იწვევს გამსაჩივრებლის მიმართ — ქარაფშუტული მიდგომის (!) გამო (frivoleus). ასევე, ისჯება ის შემთხვევაც, როცა მხარემ გასაჩივრებამდე არ გამოიყენა ყველა შესაძლო საშუალება შეცდომის გამოსასწორებლად, ანუ „ხელი არ შეუწყო მართლმსაჯულებას“. საჩივარი უნდა გაფორმდეს დადგენილი მკაცრი წესების დაცვით, ყველა საჭირო ლოკუმენტის თანდართვით [161, გვ. 286]. ამგვარ შეზღუდვათა შედეგიცაა ის, რომ წელიწადში, საშუალოდ, ფედერალური საოლქო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა მხოლოდ 18%-ზე ცოტა მეტზე შეაქვთ საჩივარი, სხვა სასამართლოების მონაცემები კი კიდევ უფრო დაბალია.

გასაჩივრების „უნივერსალური“ საფუძველია არსებითი სასამართლო შეცდომა, რომელმაც, ამასთან, ზიანი მიაყენა განსასჯელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს [იქვე, გვ. 287]. ზოგან გასაჩივრების და განაჩენის გაუქმების საფუძველად დადგენილია ისეთი შედარებით კონკრეტული გარემოებაც, როგორიცაა განაჩენის მტკიცებულებებთან შეუსაბამობა, და ისეთი მეტად ზოგად-

აბსტრაქტული ფორმულირებაც, როგორცაა „მართლმსაჯულების ინტერესები“.

სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრება, ტრადიციულად, დაცვის მხარის უფლებამოსილება იყო, მაგრამ, თანდათან, ამგვარი უფლება, შეზღუდულ ფარგლებში, პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმძებელსაც დაუმკვიდრდა.

გასაჩივრების პროცედურები აქაც მრავალსაფეხურიანია: მხარე ჯერ წარადგენს შეტყობინებას აპელირების განზრახვის შესახებ (ვადა – 10 დღე), რომელსაც კლერკი უგზავნის ზემდგომ სასამართლოს. 40 დღის ვადაში აპელანტმა უნდა შეადგინოს დაწვრილებით არგუმენტირებული აპელაცია, დაურთოს საჭირო დოკუმენტები (მათ შორის ნორმატიული აქტებისა (!) და გამოქვეყნებული მსგავსი სასამართლო გადაწყვეტილებების (!) ასლები) და გაუგზავნოს სასამართლოს სხდომის ოქმთან თუ გაშიფრულ სტენოგრამასთან (!?) ერთად (მეტწილად ყოველივე ეს – საჭირო რაოდენობით გამრავლებული სახით). ამას მოსდევს საქმის მოსმენის მომზადება (რაც 30 დღემდე გრძელდება). თვითონ მოსმენა ტარდება არაფორმალურ ვითარებაში. გადაწყვეტილება ცხადდება მოკლე ტექსტით და მხოლოდ შემდგომში ხდება მისი დეტალური გაფორმება და მოტივირება, ამასთან, მოტივირება თან ერთვის ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მოსაზრების (ე.წ. opinions) სახით [იქვე, გვ. 288].

- კანადაში ასევე დაშვებულია გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრების შეზღუდული უფლება. კერძოდ, გენერალური ატორნეის (ანუ პროკურორის) ეს უფლება შეეხება მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს (მაგალითად, მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისათვის არასწორი მითითებების მიცემას). ასეთივე უფლება არსებობს სულიერი დაავადების ნიადაგზე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემთხვევაშიც. რაც შეეხება სხვა, არასამართლებრივი საფუძვლით გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმებას და საქმის ხელახალი არსებითი განხილვისათვის გადაცემას, ეს შეიძლება მხოლოდ ცალკეული არაორდინარულ, საგამონაკლისო შემთხვევებში.

⊗ არაორდინარული საქმის „კომპლექსური“ მაგალითია ვი პოლ მორინის განხილული საქმე, არასრულწლოვან (9 წლის) კრისტინა ჯესაპის განზრახ მკვლელობის ბრალდებისა გამო, რომელზეც სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტი იმის გამო, რომ მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს არასწორი მითითებები მისცა ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. პროკურორის საჩივრით საქმის ხელახალი განხილვისას დაცვის მხარემ გააფართოვა ალიბის ვერსია, წარადგინა ახალი მტკიცებულებებიც (პოლიციის მიერ ჩადენილი დარღვევების, მოწმეთა ჩვენებისა და ექსპერტის დასკვნის არასანდოობის შესახებ); მაგრამ, ამისდა მოუხედავად, 9-თვიანი განხილვისა და ორკვირიანი თათბირის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ მორინი დანაშაუდს ცნო პირველი ხარისხის (ანუ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ) მკვლელობაში. დაცვის მხარემ კვლავ გაასაჩივრა განაჩენი, ამასთან, მან შეძლო წარედგინა ახალი, „ძლიერი“ მტკიცებულება – დნმ-ის თაობაზე დასკვნა, რამაც გამოიწვია განსასჯელის მონაწილეობა შერაცხულ დანაშაულში. ამჯერად სააპელაციო სასამართლომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უპირობოდ და „სამუდამოდ“ გააუქმა!.. [68, გვ. 139].

აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი გაუქმდა წმინდა ფაქტობრივი საფუძვლით, ახალი მტკიცებულების საფუძველზე. უფრო მეტიც, 1975 წლის საპროცესო კოდექსი უშვებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ არა მარტო ვერდიქტის გაუქმებას და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნას, არამედ ისეთ აშკარად „მკრეხელურ“ ვარიანტსაც, როგორცაა გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმება და მისი შეცვლა („ჩანაცვლება“) გამამტყუნებელი განაჩენით – საქმეში არსებულ მტკიცებულებათა საფუძველზევე. კვებეკის სააპელაციო სასამართლოს ამგვარი ხასიათის გადაწყვეტილებამ ექიმ მორგენტეილის საქმეზე კანადის საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც ზემოხსენებულ კოდექსში შეტანილ იქნა პროგრესული ცვლილება, რომლითაც ამგვარი „ჩანაცვლება“, სავსებით საფუძვლიანად, გამოირიცხა [68, გვ. 139-140].

- ავსტრალიაში გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლით, მაგრამ, რაც მთავარია, სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად გამა-

მართლებელი ვერდიქტის გაუქმება შეუძლებელია – ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ პასუხისმგებლობის (double jeopardy) პრინციპიდან გამომდინარე (ამ წესს ეწოდება autrefois acquit). რაც შეეხება გამამტყუნებელ ვერდიქტს, მასზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც სამართლის, ისე ფაქტის საკითხებზე. სააპელაციო საჩივარს ძირითადად იმის დასადგენად ამოწმებენ, ზომ არ ჰქონდა ადგილი „მართლმსაჯულების შეცდომას“ (მაგალითად, მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება, მტკიცებულებათა არასწორად დაშვება ან ამორიცხვა), რის გამოც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არის „არამყარი და არადამაკმაყოფილებელი“ [68, გვ. 187-188]. თუმცა, ზოგჯერ იგი ახდენს მტკიცებულებათა სანდობის (სარწმუნოების) შეფასებას („ნაკლებ სარწმუნოა“) გონიერულობის პოზიციიდან, რაც, აშკარაა, ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში შეჭრას მოასწავებს და მკაცრ კრიტიკას სამართლიანადაც იმსახურებს!..

შოტლანდიაში, 1980 წლიდან, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გასაჩივრების (აპელირების) ერთადერთი, ამასთან, მეტად ზოგადი და აბსტრაქტული საფუძველი არსებობს – „მართლმსაჯულების შეცდომა“. „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“ 1997 წლის კანონმა განმარტა, რომ იგი მოიცავს ნაფიც მსაჯულთა მიერ ისეთი ვერდიქტის გამოტანას, რომელსაც, სწორი სასამართლო მითითების შემთხვევაში, „არც ერთი გონიერი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ გამოიტანდა“. შესაბამისად, საპროცესო დარღვევათა შორის ყველაზე „წონადია“ მოსამართლის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის არასწორი სახელმძღვანელო მითითებების მიცემა [68, გვ. 268].

## §8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკური და/ან დილემური პრობლემები /შეჯამება/

ნაშრომში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით მოხმობილი მაგალითებისა და მასში გაბნეული სხვა ინფორმაციის ამ პარაგრაფში ერთგვარი რეზიუმირების წესით, კონცენტრირებულად წარმოჩენის მიზანია ხაზი გაუუსვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ზოგიერთ უმთავრეს სპეციფიკურ და/ან დილემურ პრობლემას, ანდა „ჩვეულებრივი“ პრობლემის ცალკეულ სპეციფიკურ და/ან დილემურ ასპექტებს. მათგან ერთ-ერთს – პროფესიონალი მოსამართლის მხრივ ნაფიც მსაჯულებზე შესაძლო ზემოქმედების პრობლემატიკას – აქ არ შევხები, რადგან, ვფიქრობ, ისინი ზემოთ, საბოლოო ანგარიშით, საკმაო სისრულით იქნა წარმოჩენილი\*, ხოლო შეჯიბრებითი პროცესის ურთულესი, უადრესად აქტუალური პრობლემატიკა, რომელსაც ზემოთ (იხ. ნაწ. I და II) არაერთგზის, მაგრამ მხოლოდ გაკვრით თუ ირიბად შევხებ, ქვემოთ კი უფრო ფართოდ მიმოვიხილავ, საზოგადოდ, გაცილებით დიდი, ცალკე, გამოწვლილვით განხილვის თემაა.

### 8.1. ნაფიც მსაჯულებზე მხარეთა ზეგავლენის საფრთხეთა შესახებ (ზოგიერთი ასპექტის მოკლე მიმოხილვა)

ამგვარ შესაძლო ზეგავლენათა ფორმების დიდი სიმრავლის გამო, აქ შევხები მხოლოდ ზოგიერთ, უმთავრეს ფორმას (გამოვლინებას) და მათი ნეიტრალიზაციისა თუ მინიმიზაციის ზოგიერთ იურიდიულ თუ ორგანიზაციულ-ტექნიკურ მექანიზმს.

8.1.1. ბრალდების მხარისაგან მომდინარე საფრთხენი. უწინარეს და ყველაზე ტრივიალურ საფრთხეს, ცხადია, წარმოადგენს ბრალდებულთა, მოწმეთა, დაზარალებულთა, ექსპერტთა და პროცესის სხვა მონაწილეთა წინასწარი ან „მომდინარე“ ფსიქოლოგიური „და-

---

\* დაქვენ მხოლოდ იმას, რომ, როგორც მართებულად აღნიშნავს პროფ. ბ. ზოიძე, თვით პროფესიონალი მოსამართლეც კი არ არის დაზღვეული სხვა მოსამართლის გავლენისაგან [იხ. 36, გვ. 138-139].

მუშავება“, ზოგჯერ კი აშკარა და უხეში ზეწოლა (დაშინება, შანტაჟი, მოტყუება ან სხვაგვარად უკანონოდ დაყოლიება), ბრალდების მხარისთვის და „ნეიტრალური“ გამოძიებლისათვის (სამწუხაროდ, ეს უკანასკნელიც, როგორც წესი, ფაქტობრივად მთლიანად ბრალდების მხარეს განეკუთვნება!) სასურველი ჩვენებებისა თუ დასკვნების მიღების (გამოძალვის) მიზნით. ცალკეულ შემთხვევებში, არ არის გამორიცხული პირდაპირი მოსყიდვაც (ეთქვათ, შეძლებული დაზარალებულის მიერ). აქ შესაძლო მოქმედებათა წრე ფართოა და მათი ნეიტრალიზებაც შესაბამის, ამასთან, კომპლექსურ კონტრზომებს მოითხოვს, მეორე მხარის მიერ შუამდგომლობათა\* განცხადებით დაწყებული და საჩივრებით დამთავრებული.

გარდა ამისა, ბრალდების მხარის სუბიექტები (პროკურორი, ზოგან კი აგრეთვე დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე და მათი წარმომადგენლები), სასამართლო სხდომაზე გამოსვლებისას, განსაკუთრებით კი საბრალდებო სიტყვაში, არაიშვიათად მიზანმიმართულად ზემოქმედებენ ნაფიც მსაჯულთა წმინდა ადამიანურ, მოქალაქეობრივ, ეთნიკურ-ეროვნულ, რასობრივ, სოციალურ-ჯგუფობრივ და მისთანა გრძნობებზე, დანაშაულთან ბრძოლის გამკაცრების აუცილებლობაზე ჰიპერტროფირებულად აპელირებით ცდილობენ განსასჯელისაგან „მტრის ხატის“ შექმნას-წარმოჩენას და, ყოველივე ამით, მათთვის „გამამტყუნებელი ვერდიქტის განწყობის“ შექმნას. სხდომის თავმჯდომარე — როგორც მეორე მხარის შუამდგომლობის (პროტესტის) საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით — ვალდებულია „შეაკავოს“ ნებისმიერი მხარის ამგვარი მოქმედება. საამისო იურიდიულ ბერკეტებად მას ეძლევა არა მარტო შეკითხვების განრიდების, არამედ, აგრეთვე გამოსვლის შეწყვეტინების თუ კორექტირების, მანამდე („ოპერატიულად“) თუ სადამრიგებლო სიტყვისას მტკიცებულებათა „გამრუდებული“ (ტენდენციური) ანაღიზის „შესწორების“ და მისთანა ქმედითი უფლებამოსილებებიც, რომელთაც მოსამართლენი, ცხადია, ყოველთვის როდი იყენებენ

\* სასამართლოსათვის მიმართვის ამ „პირველადი“, ყველაზე გავრცელებული „გამჭოლი“ (ყველა სტადიასა და ინსტანციაში გამოყენებადი) საპროცესო საშუალების შესაბამის შესაძლებლობათა შესახებ. იხ.: 236, გვ. 33-42.

ერთნაირი მონდომებითა და ეფექტიანობით. ცალკე აღნიშვნის ღირსია განსასჯელის წარსულის (უწინარესად, ნასამართლობის), სხვა მაკომპრომენტირებელი გარემოებების გამჟღავნების კანონისმიერი „ტაბუირების“ (როგორც აღინიშნა, გამონაკლისია, მაგალითად, შემთხვევა, როცა ნასამართლობა მაკვალიფიცირებული გარემოებაა) იგნორირება ბრალდების მხარის მიერ (დაზარალებულის „ექსცესებზე“ ზემოთ უკვე იყო საუბარი).

**8.1.2. დაცვის მხარისგან მომდინარე საფრთხენი. მოკლედ აღვნიშნავ, რომ:**

ა) აქაც უმთავრესი და უწინარესია პროცესის მონაწილეებზე წინასწარი ან „მომდინარე“ ზემოქმედება, ოღონდ, ამ მხარის სპეციფიკის გამო, წინა პლანზე ინაცვლებს მოსყიდვა, თუმცა არც დაშინება-შანტაჟირებაა იშვიათი (განსაკუთრებით, ორგანიზებული ჯგუფის ან „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ და მათ სატელიტთა ბრალდების საქმეებზე);

ბ) მეორე მხარესთან შედარებით შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მეტწილად, დაცვის მხარე უფრო მეტად ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს სასამართლო ორატორობის (მჭევრმეტყველების) შესაძლებლობები ნაფიც მსაჯულთა გრძნობებსა, განცდებსა და რწმენებზე ძლიერი ზემოქმედების მიზნით. და, უნდა ითქვას, რომ, დამცველთაგან ყველაზე გამოჩენილნი, ამას არაიშვიათად ახერხებდნენ კიდევ, რისი ზემოთ მოხმობილი და არაერთი სხვა ბრწყინვალე მაგალითი შემოინახა ისტორიამ.

## 8.2. ე.წ. „შოკისმომგვრელი მტკიცებულებების“ (Inflammatory evidence) შესახებ

პრობლემის არსი ისაა, რომ ე.წ. „შოკისმომგვრელ მტკიცებულებებს“ (ასეთია, მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ადგილის და/ან გვამის დათვალიერების ოქმები თანდართული ფოტოსურათებით და/ან ვიდეოჩანაწერით, რომლებზეც გამოსახულია დანაწევრებული და/ან გახრწნილი გვამი,

მოჭრილი თითები თუ ყურები, როგორც წესი, ბევრი სისხლითა და სხვა „აქსესუარებით“...), როგორც მართებულად მიუთითებს ს.ს. ნასონოვი, „ობიექტურად, თავისი ბუნებით, მათი მტკიცებულებითი ღირებულების გარეშე ძალუძთ ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ ნაფიც მსაჯულებზე“ [236<sup>a</sup>, გვ. 266]. აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მაგალითები, როცა მოსამართლემ განარიდა ამგვარი ფოტოსურათები. ანალოგიური პოზიციის გამომხატველი დებულება ასახულია რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში (პ. 15): „თუ დადგინდა, რომ ამა თუ იმ მტკიცებულების გამოკვლევამ შეიძლება იმოქმედოს ნაფიც მსაჯულთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, სხდომის თავმჯდომარე, სსსკ-ის 243-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია განარიდოს ამგვარი მტკიცებულება სასამართლო განხილვიდან, დადგენილებაში ამ გადაწყვეტილების მოტივების აუცილებელი მითითებით“ [იხ. BBC რქ, 1995, №3]. ამასთან, აქ სადავოა საკითხი, თუ რა საფუძველით უნდა მოხდეს ამგვარი მტკიცებულების განრიდება. ავტორთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამგვარი მტკიცებულება არ არის შესახები, რაც, ჩემი აზრით, არასწორია, რადგან ამგვარი მტკიცებულების შესახებობის ექვექვემ დაყენებაც კი უსაფუძველოა. ამ ასპექტში ს.ა. ნასონოვი სწორად შენიშნავს ფსიქოლოგიური დაუშვებლობის ნიშნის არსებობას, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მცდარ დასკვნას აკეთებს, რომ ამგვარი მტკიცებულების გამოკვლევას უარი უნდა ეთქვას შესახებობის არარსებობის მოტივით [236<sup>a</sup>, გვ. 271]. ვფიქრობ, მართებულ მოსაზრებას ავითარებენ პ.ა. ლუპინსკაია [224<sup>a</sup>, გვ. 149-150], ლ.ბ. ალექსეევა [123, გვ. 150] და ვ.ვ. ზოლოტიხი [182, გვ. 221], რომლებიც მიიჩნევენ, რომ აქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ დაუშვებლობაზე – სპეციფიკური გარემოების (მტკიცებულების „საგამონაკლისო“ ნიშან-თვისების) არსებობის გამო ნაფიც მსაჯულებზე არამართლ-ზომიერი („ზედმეტი“) ზემოქმედების (აღლევება, შოკის ეფექტი) საფრთხის რეალობის გათვალისწინებით. გარკვეული ხარისხით, არსებითად, ამგვარივე პოზიციას ადგას აგრეთვე აშშ-ში მოქმედი ნორმატიული აქტი – „ფედერალური წესები მტკიცებულებათა შესახებ“, რომლის 403-ე წესის თანახმად, „შესახები მტკიცებულება



შეიძლება ამოირიცხო, თუ მისი მტკიცებულებითი ღირებულება მნიშვნელოვნად გადაიწონება არასამართლიანი წინასწარი განწყობის შექმნის საშიშროებით“ [მითითებულია: 236<sup>ა</sup>, გვ. 267]. როგორც ვხედავთ, მიდგომის კრიტერიუმი აქ უფრო პრაგმატულ-სამართლებრივია, ვინემ წმინდა სამართლებრივი.

### 8.3. მართლმსაჯულება და მედია: თანამშრომლობისა და კონფრონტაციის ძირითადი ვექტორები, უმთავრესი პარადიგმები და რეალური პარამეტრები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და მედიის უაღრესად რთულ, იმთავითვე წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობათა ვექტორებს, პარადიგმებსა და პარამეტრებს (თანამშრომლობა კონფრონტაციის „ფეიერვერკებით“, კონფრონტაციის აშკარა „უპირატესობით“) ძირითადად (ანუ ცალკეული სპეციფიკური ფაქტორების გამოკლებით) განსაზღვრავს შესაბამისი ქვეყნის რეალური (ფაქტობრივი) დამოკიდებულება ისეთი დილემური, „დაპირისპირებული“ დიხოტომიებისადმი, როგორცაა: 1) გამოხატვის შეუზღუდავი თავისუფლება თუ მართლმსაჯულების (ანუ სწრაფი, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლების) ინტერესების პრიმატულობა (დაიშვას თუ არა მედიის შეზღუდვა „მართლმსაჯულების ინტერესების“ შესაბამისად და, დადებით შემთხვევაში, რა ფარგლებში); 2) მედიის თვითნებური მოქმედების ყველა „მიმე შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს თუ არა როგორც „სასამართლოს უპატივცემულობა“ და, თუკი კო,რა შემთხვევებში (რა საფუძველზე, რა გარემოებებში...), რა წესით (პროცედურებით), რა ხასიათისა და ხარისხის პასუხისმგებლობის დაკისრებით; 3) ნაფიც მსაჯულთა „დუმილის მოვალეობა“ ანუ პროცესის არასაჯარო ნაწილის (განსაკუთრებით „სავერდიქტო“ თათბირის) გარემოებების არგამჟღავნების „აღთქმა“ აბსოლუტურია თუ შეფარდებითი, ანუ საზღვრადმოა თუ ღრობითი, ხოლო, თუ ღრობითია, რა ეტაპზე (როდის) და რა „დოზით“ შეიძლება ინფორმაციის გასაჯაროება-გამჟღავნება ნაფიც მსაჯულთა მიერ.

პირველ დილემას ქვეყნების უმრავლესობა (მათ შორის ტრადიცი-

ული ინგლისი) წყვეტს მართლმსაჯულების ინტერესების შესაბამისად (ცხადია, მეტ-ნაკლები კატეგორიულობითა და მოცულობით), ხოლო უმცირესობა – გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ. ამ ქვეყნებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, როგორც გამოხატვის ლამის აბსოლუტური თავისუფლების „ციტადელი“ – აქ, ფაქტობრივად, გამონაკლისია მხოლოდ შემთხვევა, როცა ინფორმაციის თავისუფლად გავრცელება საფრთხეს უქმნის მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს [68, გვ. 94]. თუ გავითვალისწინებთ ამერიკელთა ტრადიციულ ინტერესსაც კრიმინალური ქრონიკებისადმი (მათ შორის სასამართლო პროცესებისადმი), გასაგები გახდება, თუ რატომ ხდება ხშირად მეტისმეტად ძნელი ნაფიც მსაჯულთა ისეთი კონტიგენტის შერჩევა, რომელსაც საქმის განხილვამდე მასზე არაფერი სმენია, ე.ი. არ იმყოფება წინასწარი ინფორმაციის გავლენის ქვეშ, რამაც „... შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ნაფიც მსაჯულთა მუკერძობელობა და მათი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა“ [იქვე, გვ. 93]. ამგვარი მდგომარეობის შესარბილებლად ცალკეული შტატები ცდილობენ გარკვეული შეზღუდვების დაწესებას, ტარდება სხვა ზომებიც, მაგრამ პრობლემა მთლიანობაში დღემდე რჩება, რაც ზოგჯერ გამოუსწორებელ ზიანსაც კი აყენებს მართლმსაჯულებას ცალკეულ აჟიტირებულ საქმეებზე.

ინგლისი ამ მხრივ გაცილებით მკაცრია მედიის მიმართ. მას ბაძავენ ავსტრალია, ნაწილობრივ კი – ახალი ზელანდია და რიგი სხვა ქვეყნებიც. რაც შეეხება კანადას, მას, ისევე, როგორც მთლიანად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ, კურსი აღებული აქვს „ოქროს შუალედის“ მოძებნისაკენ. საზოგადოდ, ეს ქვეყნები ხელმძღვანელობენ ცნობილი „საერთაშორისო“ ფორმულით: „გონივრულ ფარგლებში, რომელიც გამართლებულია თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ახალ ზელანდიაში, მაგალითად, სასამართლოები მეტწილად ცდილობენ არ გაამწვავონ ურთიერთობა, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები თავს იკავებენ მედიის წარმომადგენელთა მიმართ კანონით გათვალისწინებული დევნის აღძვრისაგან [იქვე, გვ. 270]. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიაში მოქმედებს ნორმათა მთელი კომპლექსი – sub judice-ს პრინციპზე

აგებული „სასამართლოს უპატივეცემულობის შესახებ“ სამართალი, აქაც შესაბამის სტრუქტურებს სიმბიძის ცენტრი გადააქვთ ზოგად და კერძო პრევენციაზე, რის ფარგლებშიც აქტიურად იყენებენ საქმის მასალების გამოქვეყნების დროულად შეზღუდვის (მთლიანად ან ნაწილობრივ), ან დროებით გადაღების მეთოდებს. „დამხმარე“ საშუალებებად მიღებულია: ნაფიც მსაჯულთა ინფორმირებულობის თავიდანვე სკრუპულოზურად გამოკვლევა; რომელიმე აქტიური განსასჯელის მიმართ საქმის ცალკე გამოყოფა; ვერდიქტის გამოტანამდე ნაფიც მსაჯულთა კორპუსის დათხოვნა და ახალი პროცესის დანიშვნა; საქმის განხილვის სხვა სასამართლოში გადატანა ან, ზოგიერთ ტერიტორიულ ერთეულში, ნაფიც მსაჯულთა განსჯადობის შეცვლა (მაგ., ერთპიროვნული მოსამართლით); ზემდგომი სასამართლოების მიერ ვერდიქტის გაუქმება. გარდა ამისა, საგამონაკლისო შემთხვევებში, როცა სასამართლო მიიჩნევს, რომ მედიის მიერ განუწყვეტელი „შეტევის“ გამო უკვე აღარაფრის გამოსწორება არ შეიძლება, იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის სამუდამოდ (!) შეჩერების (ანუ, ფაქტობრივად, შეწყვეტის) შესახებ [იქვე]. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ საქმის სხვა სასამართლოში გადატანით და განსჯადობის შეცვლით ირღვევა „კანონიერი მოსამართლის“ აღიარებული პრინციპი, საქმის „სამუდამოდ შეჩერების“ შემთხვევაში კი იგნორირებული რჩება დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გარდაუვალობის, კანონიერებისა, სამართლიანობისა და სხვა პრინციპები, რისი პირობებიც ხელოვნურადაც თავისუფლად შეიძლება შექმნან დაინტერესებულმა „ძლიერმა პერსონებმა“. ამდენად, ჩემი აზრით, ამგვარი საკანონმდებლო ნოველების ინტეგრირება ჩვენს კანონმდებლობაში ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა.

#### მ.4. რამდენიმე შტრიხით „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ თაობაზე

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“ ინგლისურენოვანი იურისპრუდენციის ტერმინია და მისი შინაარსი განმარტებულია როგორც „ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილება

— კანონის უგულვებელყოფით გაამართლონ განსასჯელი თუნდაც მაშინ, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მისი ბრალი საფუძვლიანი ეჭვის გარეშე ღვინდება“ [68, გვ. 76].

სამწუხაროდ, მეტწილად ნულიფიკაცია ზდება არა ნაფიც მსაჯულთა მიერ სამართლიანობის კანონმდებლისაგან განსხვავებულად გაგების გამო, არამედ მართლმსაჯულებისთვის მიუღებელი ისეთი გარემოებების საფუძველზე, როგორცაა, მაგალითად, რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, სოციალური, გენდერული და მისთანა შეხედულებები, რწმენები, განწყობები, მიდრეკილებები, ინტერესები, სიმპათია-ანტიპათიები და ა.შ. ნაფიც მსაჯულთა ჟიური (კოლეგია, შემადგენლობა) ერთადერთი სასამართლო სტრუქტურაა (უფრო ზუსტად, ორელემენტოვანი სტრუქტურის პირველი ელემენტი), რომელსაც თვითონ კანონი ანიჭებს უფლებას — კანონის მოთხოვნის მიუხედავად (პრაქტიკულად კი — მის წინააღმდეგაც), შინაგანი რწმენის, სინდისის, გამოცდილების, ცხოვრებისეული კრელოს (ანუ არანორმატიული ფენომენების) შესაბამისად გადაწყვიტოს განსასჯელის ბედი. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ზიბლი, ძირითადად, როგორც ჩანს, სწორედ ამგვარ „ყოვლისშემძლეობაშია“. ზემოთ მოტანილ რამდენიმე ისტორიულ საქმეზე ნაფიც მსაჯულთა მიერ, ნულიფიკაციის პრინციპით გამოტანილი ვერდიქტები საზოგადოებამ აღიქვა როგორც სწორი და სამართლიანი. ასეთი მაგალითები ისტორიამ საკმაოდ მრავლად შემოგვინახა. სამაგიეროდ, ასევე მრავალი ვერდიქტი გახდა საზოგადოების იმდენად ნეგატიური შეფასების საგანი, რომ არაერთგზის — კვლავ და კვლავ! — მთელი სიგრძე-სიგანით დადგა „საბედისწერო“ საკითხი: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო — pro et contra (პო თუ არა)?“. უახლოესი წარსულის ყველაზე ცნობილი ამგვარი მაგალითია (იხ. ზემოთ) ე.წ. „ორმაგ“ (ანუ ორი პირის) მკვლელობაში, საზოგადოების აზრით, სავსებით მხილებულ სიმპსონის — წარსულში ცნობილი ფეხბურთელის — მიმართ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი, რომელმაც კიდევ ერთხელ მძლავრად ააფორიაქა ამერიკელთა ცნობიერება. ესპანეთში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ანალოგიური რეაქცია გამოიწვია 1997 წლის 7 მარტს, ბასკ ნაფიც მსაჯულთა მიერ, ახალგაზრდა ბასკ

ნაციონალისტ მ. ორტეგის ზომოხსენებულმა გამართლებაში. ამ „გადაზრილი ვერდიქტის“ გამო აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ მას კინაღამ ემსხვერპლა ორიოდვე წლით ადრე ძლივძლივობით აღდგენილი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი [იქვე, გვ. 316-317, 341].

ნულიფიკაციის შემთხვევათა კლასიფიკაცია ლიტერატურაში, უწინარესად, ხდება იმ ნიშნის მიხედვით, წინასწარგანზრახულია (ანუ, უფრო ზუსტად, გაცნობიერებულია) თუ არა იგი. წინასწარგანზრახულისაგან (გაცნობიერებულისაგან) განასხვავებენ არაგანზრახ (გაუცნობიერებელ) ნულიფიკაციას, — როცა ეს გამოწვეულია ვისიმე გავლენის ქვეშ მოქცევით, დაბნევით, არაკომპეტენტურობით თუ შეცდომით. ჩემი აზრით, მეორე რიგის შემთხვევა უფრო სასამართლო შეცდომად (საბოლოო ანგარიშით) უნდა დაკვალიფიცირდეს, ვიდრე ნულიფიკაციად. ამიტომ, შემთხვევითი როდია, რომ ასეთი ვერდიქტის მიმართ ინგლისში დამკვიდრდა და სხვაგანაც გავრცელდა საგანგებო ტერმინი — „კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი ვერდიქტები“. ხოლო წარმოიშობა თუ არა ამგვარი „კითხვის ნიშანი“, მეტწილად დამოკიდებულია შემფასებელ სუბიექტზე — ნეიტრალური პირია იგი თუ მხარე, ანდა მისი „გულშემატკივარი“. უამრავი გამოკვლევა აჩვენებს, რომ დაცვის მხარე, როგორც წესი, გამამართლებელ ვერდიქტებს იზიარებს, გამამტყუნებელთ კი არასწორად მიიჩნევს, ბრალდების მხარე კი — პირიქით. ამგვარი სიტუაციის ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური თავისებურებების (განწყობის, სიმპათია-ანტიპათიის, ინტერესების, წინასწარ აკვიატებული აზრის და მისთ.) გათვალისწინებით, ეს ბუნებრივია, მაგრამ, ჭეშმარიტების თვალსაზრისით, ვერაფერი ნუგეშია, მით უმეტეს, რომ ღიად რჩება მიკერძოების პრობლემა, და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებაში ხდება სამართლიანობის განცდის „გაუქვება“ თუ „გახლეჩა“, შესაბამისი, ერთობ ნეგატიური შედეგებით. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის (გნებავთ, მთლიანად მართლმსაჯულების) ფარგლებში ამგვარი სიტუაციის (შედეგების) მთლიანად თავიდან აცილება შეუძლებელია მათივე იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე. ამოცანა („პროგრამა-მაქსიმუმი“) ის არის, რომ ამ ფარვატერში მოქცეულ საჯარო თუ არასაჯარო სუბიექტთა კორპუსი პერმანენტულად, ამასთან, გულწრფელად, ჯეროვანი მონ-

დომებითა და კვალიფიციურობით ესწრაფვოდეს მათ მაქსიმალურ ლოკალიზება-ნეიტრალიზებას.

### მ.5. ჭეშმარიტების პრობლემის სპეციფიკური წახნაგები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში („ნულიფიკაციის“ ფონზე)

მტკიცებითი სამართლის, ისევე, როგორც მთლიანად სისხლის სამართლის პროცესის, ბოლო ათწლეულებში ერთობ უჩვეულო, წინააღმდეგობრივ-ზიგზაობრივი ტრანსფორმაციის ტენდენცია თუ მისი შედეგები მეტად მწვავედ (შესაძლოა ყველაზე მწვავედაც კი) აისახა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ცენტრალურ („მიზნისმიერ“) პრობლემაში – ჭეშმარიტების საკითხში<sup>\*</sup>. თავი რომ დავანებოთ ორგანიზებულ დანაშაულებს (რომელთა „საპროცესო მომსახურება“ ვერანაირად ვერ „ჩაეჭია“ ორდინარულ-ტრადიციულ საპროცესო სქემებსა და პრინციპებში), ანდა ე.წ. საპროცესო შეთანხმების (ჩვენი კოდექსით) ანუ „ბრალის აღიარების თაობაზე (შემთხვევაში) გარიგების“ (ანგლოსაქსონური ქვეყნების კანონმდებლობით) ფრიად სადავო, მრავალთაგან „შერისხულ“ ინსტიტუტს (რომელსაც ჭეშმარიტებასთან ძალზე ცოტა რამ თუ აქვს საერთო<sup>\*\*</sup>), ან კიდევ საქმეთა გამარტივებულ („შეჯამებით“, მთლიანად ან ნაწილობრივ შეკვეცილ ან სულაც „გაუქმებულ“) განხილვას, თვით ისეთი ყველაზე „სრული“ პროცედურების, ამასთან, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის მაქსიმალური (!) „დოზების“ შემცველი ფორმაც კი, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოა, ვერ არის „უცოდველი“ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის თვალსაზრისით. კერძოდ:

ა) ჯერ ერთი, როგორც ზემოთ გაკვრით უკვე შევნიშნე, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“ უკვე გულისხმობს ჭეშმარიტებიდან გადახვევის, ფაქტების იგნორირების ლეგიტიმურ

\* უფრო დაწერილობით ამ პრობლემას და შესაბამის ტენდენციებს ეაშუქებ ცალკე სტატიაში [იხ. 23, გვ. 37-49].

\*\* აღნიშნული ინსტიტუტის თაობაზე იხ., მაგალითად: 161, გვ. 60-80.

შესაძლებლობასა და მოსაზროდნელობას: თავიანთი მოქალაქეობრივი, მართლშეგნებისმიერი (სამართლიანობის გაგების ბაზაზე), სოციალურ-ფსიქოლოგიური, მიზანშეწონილობისმიერი და მისთანა პოზიციებიდან მათ მიერ „გადახრილი“ ვერდიქტის გამოტანა, მოქმედი „ფორმალური“ სამართლის კრიტერიუმებით, არაიშვიათად, ჭეშმარიტებას ღიდად სცილდება. როცა ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ ვერა ზასულიჩის მიმართ გამოტანილ გამამართლებელ ვერდიქტში მიუთითა, რომ იგი „უდანაშაულოა“, ცხადია, უარყო იურისპრუდენციაში და, სახელდობრ, სისხლის სამართლის პროცესში (კერძოდ კი მტკიცებით სამართალში) ჭეშმარიტების დადგენის აღიარებული კრიტერიუმი, რაც მართებულად შენიშნა თ. დოსტოევსკიმ (იხ. ზემოთ). აღნიშნულ ვერდიქტში სიტყვა „უდანაშაულოა“ ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიყენეს შემდეგი ფაქტობრივი შინაარსით: „იგი სასჯელს არ იმსახურებს“, რაც, ცხადია, პირველის იდენტური სულაც არ არის;

ბ) მეორე მხრივ, თვით ჩვეულებრივ შემთხვევებშიც კი, „უკიდურესი შეჯიბრებითი პროცესის“ ეს ფორმაც ვერ უზრუნველყოფს ჭეშმარიტების დადგენას, რადგან, ჯერ ერთი, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ „შიშველი“ შეჯიბრებითობა და მხარეთა ფორმალურ-იურიდიული თანასწორობა, ხშირ შემთხვევებში, სულაც არ არის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის გარანტია. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა გულისხმობს ე.წ. მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას, როგორც სისხლის სამართალწარმოების მიზანსა თუ/და ამოცანას. ამგვარი ჭეშმარიტების მიმართ მზარდი ინტერესის მიუხედავად, როგორც ცნობილია, „... კლასიკურ შეჯიბრებით პროცესში კურსი აღებულია ფორმალური ჭეშმარიტებისაკენ, კერძოდ კი მისი ისეთი „უცნაური“ ნაირსახეობისკენ, როგორიცაა ე.წ. „კონვენციური ჭეშმარიტება“, ანუ ის, რასაც მხარეები მიიჩნევენ ასეთად, მათი შეთანხმებისამებრ“ [23, გვ. 39-43; იხ. აგრეთვე: 161, გვ. 45, 211-215 და სხვ; 248, გვ. 9]. ეს მიდგომა დამყარებულია ე.წ. „მატერიალური ჭეშმარიტების“ დოქტრინის უარყოფაზე, რაც, თავის ღრობზე, საკმაოდ ცალსახად ჩამოაყალიბა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. მორგანმა,

როცა განაცხადა, რომ საზოგადოება და მოღავე მხარეები უნდა დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მასთან უხეში მიახლოებით [161, გვ. 209-210]. ექვსი ათეული წლის წინ ამგვარი „ხისტი“ პირდაპირობით გამოხატული ეს „წმინდა ანგლოსაქსური“ მიდგომა გაცილებით უფრო ექსცენტრიულ-პესიმისტურ სტილში გამოხატა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე ცნობილი წიგნის ავტორმა [იხ. 134], ამერიკელმა მეცნიერმა უილიამ ბერნემმა, 2002 წლის 6 თებერვალს, მოსკოვში, რუსეთის ფედერაციის ახალი სსსკ-ის განხილვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: „მხოლოდ ღმერთმა იცის ჭეშმარიტება სისხლის სამართლის საქმეზე. სისხლის სამართლის პროცესში ეს შეუძლებელია, ამიტომ ორიენტაცია უნდა იქნეს აღებული მხარეთა ძალისხმევაზე, რადგან მხოლოდ ისინი წყვეტენ საკითხს“ [179, გვ. 33].

ამგვარი პილატესებური მიდგომა („რაი არს ჭეშმარიტება?“ – ცინიკურად იკითხა პილატემ...), საბედნიეროდ, კონტინენტურ-ევროპულ საპროცესო სისტემებსა და პოსტსოციალისტური ქვეყნების მრავალ პროცესუალისტს სულაც არ აკმაყოფილებთ [2,9, გვ. 81-82]. ასე, მაგალითად, ს.ვ. ბოროდინი და ე.ნ. კულდრიავეცკევი მიუთითებენ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არაიშვიათად მიიღწევა არა მატერიალური, არამედ ფორმალური ჭეშმარიტება მაშინ, როცა მხოლოდ მატერიალური ჭეშმარიტებისას არის შესაძლებელი სამართლიანი, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანა [142, გვ. 17]. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ი.ვ. ლევჩენკო [218, გვ. 8]. ცნობილი რუსი მეცნიერი ვ.ვ. ლუნევი აკრიტიკებს პარადოქსული ელფერის ანგლოსაქსურ სენტენციას – „მთავარია არა ჭეშმარიტება, არამედ მისი ძიების პროცესი“ – და მიუთითებს, რომ ეს ფორმულა მართლმსაჯულებაში გამოუსადეგარია, რადგან სისხლის სამართლის საქმეში საპროცესო პროცედურა არასოდეს შეიძლება იდგეს საძიებელ ჭეშმარიტებაზე მაღლა. ამგვარი მცდელობისას იგი (ჭეშმარიტება) უკვე აღარ ხდება საჭირო და გადაიქცევა შოუდ. ასეთი შოუ კი მეტად ძვირი უჯდებათ ადამიანებს, საზოგადოებას, სახელმწიფოს [222, გვ. 90]. ძნელია არ დაეთანხმო ამ მსჯელობის პათოსსა და დასკვნებს!..



ამ ფონზე საყურადღებოა იურისტების ერთი ნაწილის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში (უწინარესად რუსეთში) ჩამოყალიბდა რალაც თავისებური, „ნახევრადშეჯიბრებითი“, საჯარო-სასარჩელო (ამასთან, უფრო შეჯიბრებითისკენ გადახრილი) ტიპის პროცესი, რომელშიც, ი.ლ. პეტრუხინის აზრით დღემდე მოიპოვება ინკვიზიციური პროცესის ელემენტები [260, გვ. 13, 18, 29 და სხვ.; 256, გვ. 34]. ეს ავტორები მიიჩნევენ, რომ რუსული პროცესი ამ „მინარევებისაგან“ უნდა გაიწმინდოს და ჩამოყალიბდეს წმინდა (კლასიკური ტიპის) შეჯიბრებითი პროცესი იურისტთა მეორე ნაწილი არ იზიარებს ამგვარ მიდგომას. ასე, მაგალითად, ა.ვ. სმირნოვი მიიჩნევს, რომ რუსულ საჯარო-სასარჩელო პროცესს, ისტორიულ-ტრადიციული და თანამედროვე რეალიები გამო, შეცვლის საჯარო-შეჯიბრებითი პროცესი, რომელსაც იგი „პოსტშეჯიბრებითს“ უწოდებს. მისი აზრით, თანამედროვე კლასიკური ტიპის შეჯიბრებით პროცესს, საზოგადოდ, აქვს „კონფრონტაციული, კომბატანტური“ ხასიათი, რის გამოც მასში იმარჯვებულ უფრო ძლიერი, ხოლო ჭეშმარიტება მრავალ შემთხვევაში ვერ მიიღწევა. ამიტომ საჭიროა დაინერგოს პოსტშეჯიბრებითი, ნონკომბატანტური პროცესი“ [291, გვ. 53, 57, 221 და სხვ.]. სამწუხაროდ ამგვარი პროცესის რაიმე მწყობრი, კონკრეტული, დასრულებული კონსტრუქცია (სისტემა, პრინციპები, პროცედურები...) ავტორს ჯერჯერობით არ შემოუთავაზებია, მაგრამ თვითონ იღუა უთუოდ იმსახურებს ყურადღებას. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი პრობლემაა (განსაკუთრებით ქართულ სინამდვილეში) მხარეთა რეალური, ფაქტობრივი, კონკრეტული თანასწორობის უზრუნველყოფა – უწინარესად, დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა მოპოვება-წარდგენისა და ამ მტკიცებულებათათვის სამართლიანი ადეკვატური შეფასების მიცემის საკითხებში [უფრო დაწვრილებით იხ. 14, გვ. 122-133]. ეს არის არა მარტო შეჯიბრებითი პროცესის

---

\* კომბატანტები (ფრანგ. „combattant“ – მხ.რ.) საერთაშორისო სამართალში აღნიშნავს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შეიარაღებულ ძალებში შემავალ პირებს, რომელთაც საბრძოლო (საომარ) მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობის უფლება აქვთ. ნონკომბატანტები (ფრანგ. „non-combatant“) კი ნიშნავს არაკომბატანტ პირებს ანუ მათ, ვისაც ამგვარი მონაწილეობის უფლება არ გააჩნიათ [37, გვ. 163-164; 383, გვ. 284-285; 384, გვ. 244, 346].

„შინაგანი ორგანული ნიშანი“ [355, გვ. 28; 292, გვ. 51-59], არამედ ნებისმიერი სამართლიანი პროცესის აუცილებელი ნიშანიც. ამასთან, აქ უმთავრესია გონივრული, სამართლიანი, თანაზომიერი მიდგომა მხარეთა ინტერესების დაცვის ოპტიმალური ბალანსის მისაღწევად, თორემ მხარეთა კომპატანტურობისაგან – კონფრონტაციულობისაგან, ბრძოლა-დაპირისპირებათაგან მთლიანად გათავისუფლება და წმინდა ნონკომპატანტური ანუ „მშვიდობიანი“ პროცესის დამკვიდრება სისხლის სამართალწარმოებაში არც შესაძლებელია და, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, არც სასურველი, უფრო მეტიც – არც მისაღები!..;

გ) ცხადია, მხედველობიდან ვერ იქნება გაშვებული, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე გამუდმებით პირდაპირ ისმოდა თუ ირიბად გამოსჭვიოდა სკეფსისი იმის თაობაზე, თუ(რომ): განვითარების დონისა და სხვა „კონდიციების“ ერთობლიობით, ხელეწიფებოდათ თუ არა ნაფიც მსაჯულებს ჩაწვდომოდნენ ჭეშმარიტებას სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო საქმეებზე, კერძოდ კი სათანადო (საჭირო) ხარისხით დაედგინათ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაგან განსასჯელის დამნაშავეობა თუ უდანაშაულობა, ანდა მოდავე მხარის ბრალეულობა თუ უბრალოობა, როგორც აღინიშნა, იურისპრუდენციის ურთულეს, ცენტრალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება; აღნიშნულის გამო კი, მხოლოდ ფაქტობრივი მხარის ასპექტით მისი შემოსაზღვრა (რის გარეშეც მათი გადაწყვეტის ნაფიც მსაჯულთათვის დაკისრება კონცეპტუალურად შეუძლებელი იქნებოდა!..) ერთობ ცალმხრივი, არასრული, არსებითად პირობითი, „პრაგმატული სინჯის“ გადაწყვეტაა. ამგვარი სკეფსისის შედეგიცაა რიგ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობიდან რთულ სისხლის სამართლის (მაგალითად, ორგანიზებულ, „ჩახლართული“ თაღლითობების და სხვა რთული კატეგორიის დანაშაულების თაობაზე) და ასეთივე სამოქალაქო საქმეთა ამოღების, ამავე მიმართულებით და საერთოდაც, მათი განსჯადობის პირდაპირ თუ „შენიღბულად“ შეზღუდვის ტენდენციები და მისთ;

დ) აღნიშნულს ემატება ისიც, რომ საქმის გარემოებების ჯე-

როვნად („ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად“) გარკვევაში (გამოკვლევაში) ნაფიც მსაჯულებს ხელს უშლის რიგი მათგან დამოუკიდებელი გარემოებებიც. ასე, მაგალითად: 1) პროფესიონალი მოსამართლისგან განსხვავებით, ისინი არ იცნობენ საქმის წერილობით მასალებს, ხოლო ამის გარეშე რომ საქმეში ჯეროვნად გარკვევა ხშირად ერთობ ძნელია, ეს ნებისმიერმა მოსამართლემ იცის თავისი გამოცდილებით; 2) სასამართლო სხდომაზე საქმის გარემოებებში დეტალურად გარკვევას ხელს უშლის არა მარტო მათი არაპროფესიონალიზმი (მათ შორის და უმთავრესად, მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასებაში), არამედ ისიც, რომ, უწინარესად, მათ, ფაქტობრივად, არც გააჩნიათ ამგვარი გამოკვლევის რაიმე ქმედითი საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმი, რადგან თვით დასაკითხ პირთათვის შეკითხვის დასმაც კი მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა მამასახლისის „გავლით“, სხდომის თავმჯდომარის – მოსამართლის მეშვეობითაა შესაძლებელი, ამასთან, ამ უკანასკნელს უფლება აქვს არ მიიჩნიოს ნაფიცი მსაჯულის შეკითხვა სხდომაზე დასმის „ღირსად“; 3) მტკიცებულებათა დასაშვებობას და იმ მტკიცებულებათა წრეს, რომლებიც უნდა იქნეს გამოკვლეული სასამართლო სხდომაზე, განსაზღვრავენ არა ნაფიცი მსაჯულები, არამედ მოსამართლენი მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი პასუხს არ აგებენ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე, რომელიც შეიძლება ეყრდნობოდეს არასაკმარის ან არაჯეროვნად (ზერეულედ) გამოკვლეულ მტკიცებულებებს. იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ის, ვინც ვერდიქტი უნდა გამოიტანოს სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველზე, რეალურად (ქმედითად) არც ამ მტკიცებულებათა წრის განსაზღვრაში მონაწილეობს და, ჯეროვნად, არც მათს გამოკვლევაში!..; 4) ვერდიქტის მცდარობა შეიძლება შედეგი იყოს მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის მიკერძოებულად, არასრულფასოვნად, არასწორად ჩატარებისა, სხდომის დასასრულს კი მისი არასწორი ან არასრული სადამრიგებლო სიტყვისა, რის თაობაზეც ჯერ კიდევ ა. კონი მიუთითებდა საკმაოდ არგუმენტირებულად [135, გვ. 41]. ამასთან, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამგვარი „გადახრილი პასაჟებისგან“ თვითონ ა. კონის „რეზიუმეც“ (ასეც

უწოდებდნენ სადამრიგებლო სიტყვას) არ აღმოჩნდა დაზღვეული ვ. ზასულიჩის ცნობილ საქმეზე [310, გვ. 137].

აღნიშნულ და სხვა მსგავს ფაქტორთა მეტ-ნაკლები ერთობლიობა არაიშვიათად საფუძვლიან ეჭვქვეშ აყენებს ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ საქმეზე სრული მატერიალური ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობას – მათი მიუკერძოებელი, ობიექტივიზებული მიდგომის შემთხვევებშიც კი, რაც სერიოზული ანგარიშგასაწვევი მომენტიცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნის, ჟიურის ფორმირების, პროცესების ორგანიზაციისა და მათი ჩატარების საკითხთა გადაწყვეტა-რეალიზაციის ყველა ეტაპზე.

# **ნაწილი მესამე**

**მაგისტრატა/მომრიგებელი  
სასამართლოები**

თავი I. მაგისტრატთა სასამართლოების/  
მომრიგებელი იუსტიციის წარმოშობა,  
ინსტიტუციონირება და ბავრცალება მსოფლიოში

§ 1. მაგისტრატთა სასამართლოების/მომრიგებელი იუსტიციის  
წარმოშობა და ინსტიტაციონირება /მოკლე ანალიზი/

მაგისტრატთა ანუ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტიც ინგლისური სამართლებრივი კულტურის მნიშვნელოვანი პროდუქტია. ცნობილი ინგლისელი მეცნიერ-პროცესუალისტის რ. უოლკერის აზრით, მაგისტრატთა (მომრიგებელთა) სასამართლო წარმოიშვა მე-14 საუკუნის ინგლისში<sup>\*</sup> [333<sup>a</sup> გვ. 35]. ამასთან, მაგისტრატთა (მომრიგებელთა) წინამორბედებად ითვლებიან მეფე რიჩარდ პირველის მიერ 1195 წელს დანიშნული რაინდები, რომელთაც დაევალიათ „თავიანთ ადგილებში“ (in their area) ქვეშევრდომთა მიერ სამართლის მოთხოვნათა დაცვის და „მეფის მოსვენებულობის“ უზრუნველყოფა. თავდაპირველად მათ უწოდებდნენ „მშვიდობის მცველთ“ (Keepers of the Peace). ცოტა მოგვიანებით, 1382 წელს, მათ დაეკისრათ არა მარტო სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი განხილვა, დაპატიმრების თანხმობის მიცემა (ანუ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვა) და მისთანები, არამედ იმ საქმეთა არსებითად (პირველი ინსტანციით) განხილვაც, რომლებიც დიდი საშიშროებით არ გამოირჩეოდნენ [161, გვ. 81].

შემდგომ საუკუნეებში ამ ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ასე, მაგალითად, XV საუკუნეში ყველაზე მსიქე დანაშაულთა საქმეების განსახილველად საგრაფოს მომრიგებელი მოსამართლეები თავიანთ სესიებზე იკრიბებოდნენ წელიწადში ოთხჯერ. ამის შედეგად შეიქმნა მომრიგებელი სასამართლოს ისეთი სახე (ნაირსახეობა), როგორიცაა „მეოთხედურ სესიათა სასამართლო“. ისინი განიხილავდნენ იმ საქმეებს, რომელთა შეჯამებითი განხილვა (ანუ მტკიცებულებათა გამოკვლევისა და დაწერილებითი

\* ამასთან, ზოგიერთ წყაროში დაზუსტებულია, რომ ამ ინსტიტუტმა „თავი გამოიჩინა“ უფრო ადრე. ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში, ზოლო. როგორც ფორმირებული მომრიგებელი იუსტიცია, ცნობილია მე-14 საუკუნიდან [184. გვ. 7].

პროცედურების გარეშე, გამარტივებული წესით განხილვა-გადაწყვეტა) შეუძლებელი იყო. რაც შეეხება გამარტივებული (შეჯამებითი) წესით საქმეთა განხილვას, მას ახორციელებდნენ ე.წ. „მცირე სესიის სასამართლოები“ [279, c. 265]. შემდგომში ამგვარი გრადაცია (დიფერენციაცია განსჯადობის მიხედვით) თანდათან გაქრა – მომრიგებელი სასამართლოს იურისდიქცია „დაიწმინდა“ (იხ. ქვემოთ). ეს გამოიხატა ინგლისური სასამართლო სისტემის პირველ, ყველაზე დაბალ რგოლად მის საბოლოოდ ჩამოყალიბებაში, რაც მოასწავებდა მაგისტრატთა (მომრიგებელთა) განსჯადობის შემოსაზღვრას მცირემნიშვნელოვანი და ნაკლებად სერიოზული („ნაკლებად საშიში“) საქმეებით – მათ შორის იმ სამართალდარღვევათა შესახებ, რომელთაც, ჩვენი ტერმინოლოგიით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ეწოდება.

ჩანართი №17

### *Prima facie* ბიბლიური ფესვების თაობაზე

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში პოსტსოციალისტურ სივრცეში არაერთმა ავტორმა მიმართა ძველი აღთქმის იმ ნაწილს, რომელიც ბიბლიური ხალხის წინასწარმეტყველის – მოსეს ერთპიროვნული მსაჯულობიდან (მოსამართლეობიდან) სასამართლო სისტემის („სასამართლო ხელისუფლების“) შექმნისკენ მიმართულ ჯერ კიდევ 3000 წლის წინანდელ ნაბიჯებს ეხება!.. ბიბლია ცერძოდ, წიგნი „გამოსვლათა“, თავი მე-18) მოგვითხრობს, რომ მოსე, ვითარცა ერთადერთი და უზენაესი მოსამართლე, ღვთის სახელით (აქედან: მართლმსაჯულების ღვთაებრივი, სულიერი საწყისი!), „დღილიდან საღამომდე“ იჯდა „ხალხის განსასჯელად“ (18,13). ეს იყო მეტად მძიმე საქმე თუნდაც იმიტომ, რომ იგი მარტო თვითონ განსჯიდა ეგვიპტიდან ახალგამოსულ და ათას ფატირაკს გადარჩენილ ნაწამებ თავის ერს, რომელიც „ღვთის ნების საკითხავად“, „მათი სამართლის განსასჯელად და ღვთის წესებისა და რჯულის გასაცხადებლად“ ფეხზე იდგა მის წინაშე (ა.ხ. 13; 18, 14). თავისი ბრძენი სიამარის – მედიანელი მღვდლის ითაროს<sup>\*</sup> რჩევით, „გამოარჩია მოსემ მაგარი ხალხი მთელი ისრაელიდან“

\* ა. ფ. იზვარანა მოუთხოვს, რომ თითქოს მოსეს სიამარს ერქვა იოფორი [184. გვ. 119].

(„ღვთისმოშიშნი, ანგარების მობუღენი, წრფელი ხალხი“ – 18,21), „ღანიშა ისინი ერის თავკაცებად – ათასისთავებად, ასისთავებად, ორმოცდაათისთავებად და ათითსთავებად“ (18,25), რის შემდეგაც, მოსეს ხელდასხმული ეს მსაჯულნი (მოსამართლენი) „სჯიდნენ... ერს ყოველ დროს; მძიმე საქმეებს მოსეს მოახსენებდნენ, ხოლო წერილმან საქმეებს თავად წყვეტდნენ“ (18,26). კომენტატორები მიიჩნევენ, რომ „წერილმან საქმეთა გადაწყვეტა“ აქ იგივეა, რაც მოძრიგებულ მოსამართლეთა/მაგისტრატთა საქმიანობა თანამედროვე სახელმწიფოებში [184, გვ. 120-124]. შემდგომში, „მეორმოცე წლის მეთერთმეტე თვის პირველ დღეს მოსე შეახსენებს თავის ხალხს: „ავიყვანე შტოთა თავკაცები – ბრძენი, გვაგებულო და გამოცდილი კაცები და დაგიდგინეთ თითოეული შტოს მეთაურებად... ვუბრძანე თქვენს მსაჯულებს: მოუსმინეთ თქვენს მოძმეებს და საჯეთ სამართალი... მიკერძოებული ნუ იქნები სასამართლოზე, ერთნაირად მოუსმინეთ მცირესა და დიდს, ნუ შეგეშინდებთ კაცისა, რადგან საღვთო საქმეა სამართალი. თუ საქმე გეძნელებათ, მე მომახსენეთ და მოვისმენ“ (იხ. წიგნი „მეორე რჯული“, თ. I, 15-17). ძნელი არ არის აქ დაინახოთ მოსამართლთა შერჩევის, მიუკერძოებლობის, ინსტანციურობის ერთობ პროგრესული იდეები თუ პრინციპები!.. ზოგიერთი ავტორი (მაგ., პ. ბარენბოიმი) უფრო შორსაც მიდის და ისრაელელთა უზენაესი მოსამართლის – საბუღლის მიერ პირველი მეფის საულის დასჯასა და მის ნაცვლად ისრაელის ახალ მეფედ დავითის კურთხევის ფაქტსა და რიგ სხვა გარემოებებში ხედავს იმდროინდელ ისრაელში „... სასამართლო ხელისუფლების პირველადობას, მის დამოუკიდებლობასა და თვითმყოფად მნიშვნელობას“ [132, c. 62], ე.ი. ხელისუფლების დანაწილების საკმაოდ განვითარებულ ჩანასახს.



## §2. მაგისტრატა/მომრიგებელი სასამართლოების გავრცელება

### 2.1. ინსტიტუტის გავრცელება ინგლისურ კოლონიებში და „დანარჩენ მსოფლიოში“

მეტროპოლიის სამართლებრივი სისტემა რომ მეტწილად მის კოლონიებშიც იჭრება, ბანალური ფაქტია. ამასთან, ინგლისის გაელენის გაფართოებისდაკვალად (და არა მარტო ახალი კოლონიების დაპყრობის შედეგად), მომრიგებელ მოსამართლეთა (მაგისტრატთა) ინსტიტუტის სხვადასხვა ვარიაციები გაჩნდა აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთში. ცხადია, ეს პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა საუკუნეებში, სხვადასხვა ინტენსივობითა და განსხვავებული მოდიფიკაციებით. ამას, რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებდა ამ ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებული (თუ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი) სამართლებრივი და, კერძოდ, სასამართლო სისტემის სპეციფიკური ნიშან-თვისებები, ადგილობრივი (ჩვეულებითი თუ დაწერილი) სამართლის თავისებურებები, „შემოტანილ“ სამართლებრივ ნორმათა კორპუსთან მათი თანაფარდობის დონე (ხვედრითი წილი), ამ სამართლის „სიმყარე“ და ა.შ.

შემდგომში, ისევე, როგორც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, მომრიგებელი იუსტიცია თანდათან „დაიძრა“ მეზობელი თუ უფრო შორეული ქვეყნებისაკენ – უწინარესად, ცხადია, ვერაზიის კონტინენტის სახელმწიფოებისკენ (ნაწილობრივ, ცხადია, ეს პროცესი ინგლისურ კოლონიებსა თუ მეტროპოლიის გაელენის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნებში გავრცელების პარალელურად მიმდინარეობდა). ამასთან, ამ ქვეყნებში მომრიგებელთა ინსტიტუტი მკვიდრდებოდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სახეცვლილებებით, ზოგჯერ – ახალი სახელითაც, არაიშვიათად კი განიცდიდა ახალი პირობებისადმი შეგუების მიზნით „დიფუზია-ტრანსფორმაციის“ ურთულეს პროცესებს. ბევრგან მოხდა ამ ინსტიტუტის გათიშვა ორ „მომქე“, მაგრამ განსხვავებულ ინსტიტუტად თუ სუბინსტიტუტად – მომრიგებელ და მაგისტრატ მოსამართლეებად (სასამართლოებად), ამასთან, რო-

გორც ქვემოთ ვნახავთ, მოხდა ერთის მიერ მეორის „შთანთქმა“ – დარჩა ან მომრიგებელ მოსამართლეთა, ან მაგისტრატთა სახით და/ან სახელით.

## 2.2. ინსტიტუტის „ფრანგული მეტამორფოზები“

საფრანგეთში მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი დაფუძნდა 1790 წლის 24 მარტისა და 16 აგვისტოს კანონებით, რომლებიც აწესებდნენ მცირე თანხებზე სარჩელების განხილვას მომრიგებელ მოსამართლეთა (juges de paix) მიერ. ისინი საქმეებს განიხილავდნენ ყველაზე საპატიო მოქალაქეთაგან არჩეული პირების (პირუდომ-ასესორების) მონაწილეობით. ნაპოლეონ პირველის რეფორმების შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ სასამართლო სისტემაში მომრიგებელი მოსამართლენი იერარქიულად ასევე წარმოადგენდნენ პირველ (უდაბლეს) რგოლს (საფეხურს). მათი კორპუსი შედგებოდა 2.000 კაცისაგან (შემდგომ რგოლს ქმნიდა მცირე ინსტანციის ტრიბუნალები 420 მოსამართლით). მეორე ინსტანციას წარმოადგენდა სააპელაციო, ხოლო მესამეს – საკასაციო სასამართლო (შემდგომში მათ დაემატა სისხლის სამართლის სასამართლო – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „წინაპარი“).

მომრიგებელ მოსამართლეთა გამწესება ხდებოდა არჩევნების გზით და იგი ფუნქციონირებდა ყოველ კანტონში (ანუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში). 1799 წლამდე მათ ეკისრებოდათ გამასწორებელი პოლიციის ფუნქციებიც [136, c. 6-13].

1958 წლის სასამართლო რეფორმამდე ზემოხსენებულ იერარქიულ საფეხურზე მყოფ მომრიგებელ მოსამართლეს სამოქალაქო საქმეებზე პრეროგატიულ ფუნქციად დაეკისრა მხარეთა მორიგება (ანუ ამ ინსტიტუტის შინაგანად უმთავრესი, „ღვიძლი“ დანიშნულების აღსრულება!). გარდა ამისა, იგი ასევე ერთპიროვნულად იხილავდა უმნიშვნელო (წვერილმან) დანაშაულებს (ანუ, ჩვენი სამართლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს), რომლებზეც გამოძიების ჩატარება საჭირო არ იყო.

1958 წლის რეფორმით მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი

გაუქმდა. უფრო ზუსტად, მოხდა მათი „მიბმა“ სხვა – საპოლიციო ტრიბუნალებთან და განიხილებოდნენ მოსამართლე-მაგისტრატებად. საკანონმდებლო მიმოქცევაში „მაგისტრატურის“ და „მაგისტრატის“ ცნება-ტერმინების დამკვიდრებასთან ერთად, ისინი თანდათან „აითქვიფნენ“ მოსამართლე-მაგისტრატების კორპუსში. კერძოდ, 1958 წელს მიღებული კანონებით „მაგისტრატურის სტატუსის შესახებ“ და „მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შესახებ“, მაგისტრატურის ცნებაში გაერთიანდა პირველი ინსტანციის სხვადასხვა რგოლის მოსამართლეთა კორპუსი – როგორც ე.წ. „დიდი ინსტანციის ტრიბუნალებში“ კოლექტიურად საქმეთა განმხილველი (ამგვარი ტრიბუნალი იქმნებოდა ყოველ 100.000 მცხოვრებზე), ისე „მცირე ინსტანციის ტრიბუნალის“ (იქმნებოდა ყოველ სასამართლო ოლქში) მოსამართლეები. სწორედ მათ „შეიწოვეს“ კანტონებისა და მომრიგებელ მოსამართლეთა საშტატო ერთეულები – მაგისტრატი გახდა პირველი ინსტანციის ყველა ამ მოსამართლის საერთო სახელწოდება. ამასთან, მოხდა სასამართლო გამსხვილება და მოსამართლეთა რიცხვის შემცირება.

- თუ რამდენად ოპტიმალური აღმოჩნდა ამგვარი „გამსხვილება“ და მოსამართლეთა რიცხვის შემცირება, კარგად ჩანს საფრანგეთის პრესაში იმ პერიოდში გამოქვეყნებული მასალებიდან. კერძოდ, აღინიშნა, რომ „სასამართლოთა გამსხვილებამ (2918 მომრიგებელი სასამართლოს აღვილზე შეიქმნა 455 ერთპიროვნული, 172 დიდი და 351 მცირე ინსტანციის მოსამართლის შტატი) მოსახლეობა დააშორა სასამართლო ინსტანციებს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი გახდა უფრო გაჭიანურებული და საძნელო. სასოფლო რაიონების მცხოვრებნი ახლა იძულებულნი არიან საოლქო ცენტრში ძვირადღირებული მგზავრობა აწარმოონ“ [136, გვ. 37]. აღნიშნულის გამო, პრესის აზრით, „სასამართლო რეფორმამ იუსტიცია უფრო მიუწვდომელი (!) გახადა“ [იქვე, გვ. 36]. მართალია, ამ გარდაქმნის მომხრენი მიიჩნევდნენ, რომ იგი გამოდიოდა „რაციონალიზაციის ინტერესებიდან“ და მიზნად ისახავდა „მართლმსაჯულების განხორციელების დაჩქარებას და, კერძოდ, წინააღმდეგობას და ჭარბი ფორმალისმის დაძლევას“, მაგრამ, როგორც მართებულად მიუთითებს პროფ. ს.ვ. ბობოტოვი, „... ამ მტკიცებაში არის აშკარა წინააღმდეგობა, რადგან სასამართლო ინსტანციათა მო-

სახლეობისაგან დაშორებით და საპროცესო ხარჯების გაძვირებით მართლმსაჯულების დაჩქარება სულაც არ არის შესაძლებელი“ [იქვე, გვ. 37]. მისი აზრით, მომრიგებელი იუსტიცია რეფორმის ინიციატორებს არ აკმაყოფილებდათ არა მარტო მოსახლეობასთან მისი ტერიტორიული სიახლოვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მომრიგებელი მოსამართლის მიერ საქმეთა განხილვა მხარეებს უფრო იაფი უჯვდებოდათ, ვიდრე ზემდგომ ინსტანციებში, რეფორმით კი გაიზარდა ხარჯები, რომელთაც სახელმწიფო ახლევინებდა მოდავეებს\* [იქვე, გვ. 36-37].

### 2.3. მომრიგებელი იუსტიციის „ოდისეა“ მეფის რუსეთში

მომრიგებელი სასამართლოც, ისევე როგორც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რუსეთის 1864 წლის ცნობილი სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო. იგი შეიქმნა როგორც არჩევითი, არაწოდებრივი, დამოუკიდებელი და თვითმყოფადი სასამართლო სტრუქტურა (რგოლი), რომლის მთავარი დანიშნულება იყო მხარეთა შერიგება, წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა და განმტკიცება [184, გვ. 12]. ყველა დანარჩენი „კატეგორიის“ მოსამართლეთაგან განსხვავებით, ისინი აირჩეოდნენ სამაზრო საერობო კრებებისა და საქალაქო სათათბიროების მიერ. მომრიგებელი სასამართლოს სამოქმედო ოლქში შედიოდა მაზრა მასში შემავალი ქალაქებითურთ.

მომრიგებელი სასამართლო შედგებოდა ორი რგოლისაგან: ა) მომრიგებელი მოსამართლე (საუბნო ან საპატრიო) და ბ) მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა – როგორც ზემდგომი ინსტანცია. მომრიგებელი მოსამართლეები პირველი ინსტანციით, ერთპიროვნულად იხილავდნენ მცირემნიშვნელოვან სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეებს.

---

\* აქ უნებლიედ ჩნდება პარალელი საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმასთან, რომელიც გამოიხატა 2 ან მეტი რაიონის (ქალაქის) სასამართლოთა გაერთიანებაში (გამსხვილებაში), რამაც ანალოგიური შედეგები გამოიწვია – ყველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე, როცა გამოცხადებული ღონისძიება – მოსამართლეთა რიცხვის გაზრდა – რეალურად არ განხორციელებულა. საკომპენსაციოდ საუბნო პრინციპით შექმნილი მაგისტრატ მოსამართლეთა ინსტიტუტი ჯერჯერობით ყველა რაიონში არ იქნება შექმნილი, ამასთან, ამ ეტაპზე არც მისი ფუნქციებისა ჯეროვნად დაზუსტებული [22, გვ. 115-118].

მომრიგებელი იუსტიციის საიმედო ნორმატიულ ბაზას ქმნიდა 1864 წლის 20 ნოემბრის ცნობილი „წესდებები“, მათ შორის და უწინარესად კი „წესდება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დაკისრებული სისხლისსამართლებრივი და გამასწორებელი სასჯელის შესახებ“. მათ საფუძველზე, 1866-1867 წლებში, ეს სასამართლოები უკვე ამოქმედდა სანკტ-პეტერბურგში, მოსკოვში, ხაბაროვსკის სასამართლო პალატის ოლქში და 10 ცენტრალურ რუსულ გუბერნიაში. შემდგომში, ეტაპობრივად, მე-19 საუკუნის 90-იან წლებამდე გრძელდებოდა მისი შემოღება რუსეთის იმპერიის პროვინციებში [184, გვ. 8]. მაგრამ, უკვე 1889 წელს, როგორც ა.ფ. კონი წერდა, რეაქციულმა კონტრეფორმების „ქარბუქმა“, რუსეთის ცენტრის გარდა, ყველგან გაანადგურა ეს მშვენიერი ინსტიტუტი, რომელიც „...im Grossen und Ganzen“... იმყოფებოდა კეთილსინდისიერ ხელებში და ასრულებდა თავის დანიშნულებას“ [195, გვ. 212]. დარჩა მხოლოდ მისი „საცოდავი ნამსხვრევები“ საქალაქო მოსამართლეების სახით. პროვინციებში, სადაც ჯერ არ არსებობდა საერობო უფროსობა (ანუ დაპყრობილ ტერიტორიებში), შეიქმნა საუბნო მოსამართლის თანამდებობა, რომელსაც ნაკლები გარანტიები გააჩნდა, ვიდრე მომრიგებელ მოსამართლეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ ინიშნებოდა შეუცვლელობის პრინციპით ანუ უვადოდ [იქვე, გვ. 21]. 1899 წელს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, მომრიგებელი მოსამართლეები დარჩნენ მხოლოდ მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და ცალკეულ მსხვილ ქალაქებში. საბოლოოდ, რუსეთში, 1917 წლის რევოლუციური გადატრიალებისთანავე, №1 დეკრეტით „სასამართლოს შესახებ“, სახკომსაბჭომ ვადის მიუთითებლად „შეაჩერა“ მომრიგებელ მოსამართლეთა საქმიანობა [184, გვ. 6], ანუ, ფაქტობრივად, გააუქმა იგი.

---

\* „დიდწილად და მილიანობაში“ (გერმ.)

თავი II. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა  
სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა  
და ფუნქციონირება

§1. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა  
სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა და  
ფუნქციონირება ინგლისში

1.1. ორგანიზაცია

თანამედროვე ინგლისში მაგისტრატ (იგივე მომრიგებელ) მოსამართლეთა ორგანიზაცია და სხვა საკითხები ძირითადად რეგულირდება 1980 წლის კანონით „მაგისტრატთა სასამართლოების შესახებ“. კერძოდ, მაგისტრატთა სასამართლო შედგება მოსამართლეთაგან, რომელთაც, კანონითაც და ტრადიციულადაც, მომრიგებელ მოსამართლეებს (Justices of the Peace) მიაკუთვნებენ. სადღეისოდ, კანონმდებლობა მათ ყოფს ორ სახედ: ა) მაგისტრატები, რომლებიც არა მუდმივად, არამედ პერიოდულად, შემთხვევიდან შემთხვევამდე, უსასყიდლოდ (ასე ვთქვათ, „საზოგადოებრივ საწყისებზე“) ასრულებენ ამ მოვალეობას (Unpaid Magistrates) და ბ) მუდმივად მოქმედი, ანაზღაურებადი (მათი ხელფასი ორჯერ აღემატება ინგლისელთა საშუალო ხელფასს) მაგისტრატები (Stipendiary Magistrates), რომელთაც, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისე ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად შემოკლებით სტიპენდიარებად (Stipendiaries) მოიხსენიებენ [161, გვ. 81].

პირველი სახის მაგისტრატებს, რომელთაც ზოგჯერ არაპროფესიონალ მაგისტრატებს (Lay magistrates) ან არაპროფესიონალ მოსამართლეებს [Lay justices] უწოდებენ (მათ შორის კანონშიც!), თანახმად „მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ 1997 წლის 19 მარტის კანონისა (Justices of the Peace Act), ინგლისის დედოფლის სახელით, სხვადასხვა ადგილობრივი კომისიების აზრის გათვალისწინებით, ნიშნავს ინგლისის ლორდ-კანცლერი. ისინი შეირჩევიან 27-დან 65 წლამდე ასაკის, უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მოქალაქეთაგან, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სასამართლოს

სამყოფელ ადგილას, ანდა არაუმეტეს 15 მილის მანძილზე ამ ადგილიდან [იქვე, გვ. 81-82]. უფრო მეტიც, ისინი კარგად უნდა იცნობდნენ ადგილობრივ თემს, მის პირობებს. მაგისტრატებს თურქული განათლების ქონა არ მოეთხოვებოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მაგისტრატად გასამწესებელ პირებს მთელ რიგ სხვა მოთხოვნებს უყენებენ: რეპუტაციას „უცოდველი ადამიანებისა“ (personal integrity), რომელთაც, ამასთან, აქვთ საღი გონება, მტკიცებულებათა აწონ-დაწონისა და გონიერული გადაწყვეტილებების მიღების უნარი. გარდა ამისა, „სამოსამართლო საქმიანობისას ისინი უნდა მოქმედებდნენ გადაჭრით, მაგრამ, ამასთან, არ უნდა კარგავდნენ თანაღმობის უნარს და შეეძლოთ კოლექტივში მუშაობა“ [161, გვ. 82].

არაპროფესიონალი მაგისტრატები ვალდებული არიან ოლქის, საგრაფოს თუ მუნიციპალიტეტის სასამართლოში საქმიანობდნენ წელიწადში არანაკლებ 26 სამუშაო დღეს, დღეში არანაკლებ 4 საათისა, თუმცა, თუ საჭიროებამ მოითხოვა, შეიძლება დატოვებულ იქნენ მთელი სამუშაო დღის განმავლობაშიც. დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს პირის მაგისტრატთა სიდიდან ამოღება. ამას კი ინგლისელები, როგორც წესი, ძალიან უფროთხიან!...

⊗ ამის მიზეზი შემდეგია: ტრადიციულად მიჩნეულია, რომ, თუ ინგლისელის სავიზიტო ბარათში, მის მფლობელზე, სხვა ცნობებთან ერთად, მითითებულია აბრევიატურა „J.P.“ (ანუ ის, რომ იგი მომრიგებელი მოსამართლეა), ეს მის მაღალ საერთო და საქმიან რეპუტაციაზე მეტყველებს. ამითაც აიხსნება ის, რომ 70 წელს მიღწეული მაგისტრატები, რომლებიც უკვე მაგისტრატთა ძირითადი სიებიდან ამოღებას ექვემდებარებიან, არაიშვიათად, მათი თხოვნით, შეიტანებიან დამატებით სიებში, რაც მათ უფლებამოსილებას ანიჭებს განიხილონ ცალკეული სამოსამართლო საკითხები, რომელთაც ჩვენში ნოტარიუსები ახორციელებენ (მაგ. ხელმოწერის ან წერილობითი განცხადების ნამდვილობის დადასტურება), ამასთან, კვლავ ატარონ ზემოხსენებული აბრევიატურით დამშვენებული სავიზიტო ბარათი... [იქვე].

მეორე სახის მაგისტრატები – სტიპენდიარები ინგლისში გაჩნდნენ მე-18 საუკუნის 80-იან წლებში. თანახმად „მომრიგებელ

მოსამართლეთა შესახებ“ 1997 წლის ზემოხსენებული კანონისა, ისინი ინიშნებიან დედოფლის მიერ, ლორდ-კანცლერის წარდგინებით, უმწიკლო რეპუტაციის მქონე პირთაგან, რომელთაც აქვთ იურიდიული განათლება და ბარისტერად (ანუ შედარებით დაბალი რანგის ადვოკატად) ან მასთან გათანაბრებულ იურისტად მუშაობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება. კანონით, ინგლისში ამგვარ მაგისტრატთა რიცხვი უნდა იყოს სულ 110, მაგრამ, ფაქტობრივად, დაახლოებით 90 კაცი საქმიანობს – უმეტესობა ლონდონში, დანარჩენები კი – სხვა მსხვილ ქალაქებში [161, გვ. 83].

## 1.2. განსჯადობა

მაგისტრატთა სასამართლოები ქმნიან ყველაზე დაბალ და ყველაზე დემოკრატიულ სასამართლო რგოლს. ამასთან, ისინი ყველაზე მასობრივი სასამართლო ორგანოა მთელს ინგლისში, რასაც მოწმობს შემდეგი მონაცემი: მაგისტრატები განიხილავენ 2 მილიონამდე სისხლის სამართლის საქმეს, ანუ სულ განსახილველ საქმეთა 85-98%-ს [161, გვ. 80, 279, გვ. 265]. ამ უზარმაზარ ტვირთს კი ინაწილებს 400-ზე მეტ სასამართლოში მომუშავე სულ 30.000 მოსამართლე-მაგისტრატი [იქვე, გვ. 266].

როგორია ამ საქმეთა სტრუქტურა?

უმრავლესობას შეადგენს საქმეები, რომლებიც, ჩვენი კანონმდებლობის კრიტერიუმებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს მიეკუთვნება. კერძოდ, ნახევარს შეადგენს გადაცლომები, რომლებიც შეეხება ტრანსპორტით მოძრაობის, მათი პარკირების წესების დარღვევებს, აგრეთვე ნასვამის მიერ ტრანსპორტის მართვას [161, გვ. 266].

სისხლის სამართლის სფეროს მიეკუთვნებული სამართალდარღვევები, საპროცესო (სამართალწარმოების ხერხის თუ წესის) თვალსაზრისით, იყოფა ე.წ. შეჯამებით, საბრალოდებო აქტით დევნად

---

\* უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური ნიშნით დანაშაულთა ტრადიციული კლასიფიკაცია ლალატად, ფელონიად და მისლიმინორად 1967 წელს გაუქმდა და ამჟამად მათ ყოფენ ლალატად და დანარჩენ ქმედებად [320, გვ. 21].



და ალტერნატიულ ანუ „ჰიბრიდულ“ დანაშაულებად [320, c. 21-22]. დანაშაულთა სწორედ ამგვარი კლასიფიკაცია განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმეთა განსჯადობას. კერძოდ: ა) შეჯამებითი დანაშაულები (summary offences), თანახმად კანონისა, განიხილება მაგისტრატთა მიერ, გამარტივებული წესით. ამ დანაშაულთა გამო შეიძლება დაინიშნოს პატიმრობა 6 თვემდე ვადით, ჯარიმა 5 ათას გირვანქა სტერლინგამდე თანხით, პირობითი მსჯავრი ზედამხედველობის დაწესებით ან საზოგადოებრივი სამუშაოები გარკვეული ვადით; ბ) საბრალდებო აქტით დევნილი დანაშაულები, საერთო წესის მიხედვით, მიეკუთვნება სახელმწიფო სასამართლოს მიერ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსჯადობას; გ) ალტერნატიული („ჰიბრიდული“) დანაშაულები (either-way offences), რომელთა გამოც შეიძლება შეჯამებითი დანაშაულებისათვის გათვალისწინებულზე უფრო მკაცრი სასჯელების გამოყენება, დაშვებულია განსასჯელის მიერ არჩევანის გაკეთება – მაგისტრატთა სასამართლოს მიანდობს თავისი საქმის განხილვას, თუ მოითხოვს საბრალდებო აქტს, ანუ საბოლოო ანგარიშით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „პრივილეგიას“. პრაქტიკაში ამგვარ საქმეებს (რომელთა რიცხვი წელიწადში 500 ათასს აჭარბებს და შეადგენს სულ განსახილველ საქმეთა დაახლოებით მეოთხედს) განიხილავენ მაგისტრატები [161, გვ. 80]. ამასთან, ბოლო ორ შემთხვევაში ხშირად არ არის გამორიცხული კორექტივი განსჯადობის საკითხში და, შესაბამისად, განხილვის დაჩქარება-გამარტივების თვალსაზრისით – უწინარესად, მაშინ, როცა ადგილი აქვს გარიგებას ბრალის აღიარების თაობაზე [161, გვ. 80].

მაგისტრატთა (მომრიგებელთა) ფუნქციებში შედის აგრეთვე ისეთი საკითხების განხილვა-გადაწყვეტა, როგორცაა ეჭვმიტანილთა მიმართ საპროცესო იძულების, აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის ან სხვა სახის გამოყენება, დაკავებისა და პატიმრობის გირაოთი ან მის გარეშე (ელექტრონული მონიტორინგის ჩათვლით) შეცვლა, „bail“-ისა და „ჰაბეას კორპუსის“ ცნობილი პროცედურების გამოყენება, ჩხრეკის ჩატარება და მისთანები [161, გვ. 108-113, 124, გვ. 110-112]. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სასამართლოს ქვემდებარე საქმეებზე წინასწარი განხილვის ჩატარება, რაც

მიზნად ისახავს იმის გარკვევას, არსებობს თუ არა ფაქტობრივი საფუძველი (უწინარესად, საკმარისი დასაშვები მტკიცებულებანი) საქმის არსებითად განსახილველად გადაცემისთვის (ანუ სამართალში მისაცემად). გარდა ამისა, აქ მაგისტრატები გამოდიან ე.წ. „შემმოწმებელი მაგისტრის“ თუ „დამკითხავი მოსამართლის“ როლში, რომელზეც წინა ნაწილში უკვე იყო საუბარი – ისევე, როგორც შემოწმების პროცედურაზე და სხვა „მომიჯნავე“ საკითხებზე.

სამართალში მიცემასთან ერთად, მაგისტრატები წყვეტენ აგრეთვე საგნობრივი განსჯადობის საკითხს ანუ იმას, სახელმწიფო სასამართლო განიხილავს საქმეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით თუ მაგისტრატთა სასამართლო (საკითხი წყდება მხარეთა ინიციატივით, ანდა მათი თანხმობის გათვალისწინებით).

საინტერესოა ასეთი ასპექტიც: თუ „ჰიბრიდული“ საქმის განხილვისას მაგისტრატთა სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში დანიშნული სასჯელი ლმობიერი იქნება, მას უფლება აქვს საქმე, უფრო მკაცრი (მაგრამ, ცხადია, თანაზომიერი!) სასჯელის განსაზღვრის მიზნით გადასცეს სახელმწიფო სასამართლოს, ამასთან, თვითონაც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა აღნიშნული შუამდგომლობის განხილვაში [279, გვ. 266, 161, გვ. 80-81].

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სფეროებში მაგისტრატთა იურისდიქციაში შედის: ლიცენზირების, საგადასახადო და მოსაკრებლების საკითხები; საშემოსავლო გადასახადების, დაზღვევისა და კომუნალური მომსახურების თანხების გადახდასთან დაკავშირებული დავები; საოჯახო სამართლის საკითხები (შვილად აყვანა, აღიძვრის გადახდევინება, ცალ-ცალკე მცხოვრებ მეუღლეთა სტატუსის განსაზღვრა, მცირეწლოვანთა მეურვეობა); წვრილმან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები [279, გვ. 267].

### 1.3. ფუნქციონირება (პროცედურები)

პროფესიონალი მაგისტრატები, როგორც წესი, საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად, ამასთან, როცა ამას მოითხოვს „კანონი და მისი გამოყენების პრაქტიკა“, სტიპენდიარებთან ერთად შეიძლება განხილვაში მონაწილეობდნენ (ანუ კოლეგიაში შედიოდნენ) არაპროფესიონალი ანუ უხელფასო მაგისტრატებიც. ცხადია, კოლეგიურად განიხილება შედარებით რთული საქმეები – მათ შორის სამოქალაქო დავების თაობაზეც. ამასთან, სტიპენდიარები ერთპიროვნულად განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა უცხო სახელმწიფოებთან სამართლებრივი ურთიერთდახმარების თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწერილობათა შესრულება და დანაშაულის ჩამდენ პირთა გადაცემა (ექსტრადირება) ამ სახელმწიფოს თხოვნით [161, გვ. 84].

არაპროფესიონალი მაგისტრატები სისხლის სამართლის საქმეებს არსებითად იხილავენ არანაკლებ ორი\* მაგისტრატის შემადგენლობით. არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეებს განიხილავენ, შესაბამისად, არასრულწლოვანთა საქმეების (Youth Court) და საოჯახო საქმეთა (Family Proceedings Court) (ანუ სპეციალიზებული) სასამართლოები. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველ კოლეგიაში ერთი მაინც ქალი (!) უნდა იყოს. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოები (ანუ იუვენალური იუსტიცია) განიხილავს 17 წლამდე პირთა საქმეებს. ამასთან, ჩვეულებრივ საქმეთაგან განსხვავებით, აქ ღია პროცესი არ დაიშვება – ცხადია, არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, მათივე ინტერესებიდან გამომდინარე. ამ კონტინგენტის მიმართ სასამართლო პრაქტიკა ძალზე ლმობიერია – მკაცრ სასჯელებს, ჩვეულებრივ, არ იყენებენ, რადგან აქცენტია გადატანილია ისეთი სასჯელების დანიშვნაზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. კერძოდ, ფართოდ გამოიყენება მათი მშობლების ან

\* ტრადიციულად, ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ მხოლოდ არანაკლებ სამი პირი ქნის კოლეგიას, ამასთან, ჩვეულებრივ, კოლეგია, როგორც წესი, შედგება პირების კენტი რიცხვისაგან. ინგლისში კი მაგისტრატები საქმეს იხილავენ 2,4 ან 6 კაცის შემადგენლობით.

ადგილობრივი ხელისუფლების მზრუნველობაში გადაცემა და გამოსაცდელი ვადის დანიშვნა (პირობითი სასჯელი). რაც შეეხება სრულწლოვნებს, მაგისტრატთა სასამართლოს შეუძლია, რეალური სასჯელის ნაცვლად ან მასთან ერთად (დამატებით), მათ დაუნიშნოს სავალდებულო (ანუ, ჩვენი ტერმინით, იძულებითი) სამუშაოები, რესტიტუცია (ანუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – მაგალითად, დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ნატურით ან სხვა ფორმით), პრობაცია (ანუ მსჯავრდებულის „გამოცდა“ – თუ დადგენილი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებული არ ჩაიდენს ახალ სამართალდარღვევას ან არ დაარღვევს მისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებულ სხვა მოვალეობებს, მის მიმართ დანიშნული სასჯელი არ აღსრულდება) [279, გვ. 267].

მაგისტრატთა სასამართლოში საქმეთა უმრავლესობა განიხილება განსასჯელის დაუსწრებლად – თუ იგი თავს სცნობს დამნაშავედ და თუნდაც ფოსტით გაუგზავნის სასამართლოს განცხადებას ამის თაობაზე [... გვ. 266]. გარდა ამისა, დაუსწრებელი მართლმსაჯულება შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო დარწმუნდება, რომ მისი ბრძანება სასამართლოში გამოცხადების თაობაზე განსასჯელს ჩაბარდა – თუ, ამასთან, სასამართლო, შერაცხული სამართალდარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ მიიჩნევს, რომ განსასჯელის მიმართ საჭიროა თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ან რაიმე უფლების ჩამორთმევა [124, გვ. 117]. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ბრალმძებელს უკრძალავს რაიმე ისეთი ბრალდების თუ ეპიზოდის „წამატებას“, რომლის თაობაზეც განსასჯელისათვის არ შეუტყობინებიათ (ე.ი. იცავს მას ბრალის უსაფუძვლოდ დამძიმებისაგან). სასამართლო პროცესის გამარტივება-დაჩქარების მიზნით, „მაგისტრატთა სასამართლოში სამართალწარმოების შესახებ“ 1985 წლის წესებში მითითებულია, რომ ბრალდების მხარემ განსასჯელს, მის მიერ აღიარების განცხადებამდე, უნდა გააცნოს არა მარტო ბრალდება, არამედ მტკიცებულებებიც, რომლებიც მის მიმართ გააჩნია. თუ ეს პროცედურები დაცულია, სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს თვით ბრალმძებლის მონაწილეობის გარეშეც კი (?) [იქვე, გვ. 117-118], რაც ასევე „ინგლისურ უცნ-

აურობათა“ რიგს (მიღებული სტანდარტებისაგან გადახრებს) უნდა მიეკუთვნოს. ეს ნოვაცია, ისევე როგორც მსგავსი „სინჯის“ სხვა ნოვაციები, „იძულებითი ნაბიჯია“ – პროცესის გამარტივების გზით სამართალწარმოების დაჩქარების მიზანს (ბოლო ათწლეულში სულ უფრო და უფრო აქტუალურს!) ემსახურება.

შეჯამებითი (გამარტივებული) წესით საქმეთა არსებითად განხილვა, „კლასიკური წარმოებისაგან“ ანუ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, ინგლისში ოდითგანვე განიხილებოდა (კვალიფიცირდებოდა) როგორც „განსაკუთრებული წარმოება“ ანუ საგამონაკლისო (!) პროცედურა – მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა აქ სწორედ შეჯამებითი წესით განიხილება. ამ საქმეთა ნუსხაში შედის როგორც ამგვარი წესით განხილვას კანონით დაქვემდებარებული, ისე ე.წ. ალტერნატიული ანუ „ჭიბრიდული“ დანაშაულების უმეტესობა. გამარტივება გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ წინასწარი განხილვა (სამართალში მიცემა) ამ კატეგორიის საქმეებზე საერთოდ არ ტარდება, არამედ იმაშიც, რომ გაუქმებულია არსებული სასამართლო განხილვის ისეთი ეტაპები, როგორებიცაა მოსამზადებელი მოსმენა, მხარეთა მიერ თავიანთი პოზიციების დაფიქსირება და მოსამართლის მოთხოვნით ურთიერთისთვის მტკიცებულებების გაცნობა, ხოლო სასამართლო გამოძიება, თუ იგი საერთოდ არ გაუქმდა, მინიმუმამდე დაყვანილი, ამასთან, იგი ხორციელდება საჭირო (მიღებულ, დადგენილ) ფორმლობათა მკაცრად დაცვის გარეშე [161, გვ. 145].

მნიშვნელოვანი ეტაპია (მოქმედება) ბრალდებულის პოზიციის გარკვევა-გამოკვლევა (რაც სასამართლო განხილვის დაწყებისთანავე ხდება) იმის დასადგენად, სცნობს თუ არა (თანაც, რეალურად, ნებაყოფლობით...) განსასჯელი თავს დამნაშავედ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში. სტატისტიკა ასეთია: განსასჯელთა 80-90% თავს დამნაშავედ სცნობს! ხოლო, რაკი იგი თავს დამნაშავედ სცნობს, ე.ი. არ არის დავა ბრალდებისა გამო, რის გამოც სასამართლო გამოძიება არ ტარდება, სასჯელის დანიშვნას კი საშუალოდ სულ რაღაც 15-30 წუთი სჭირდება! [იქვე].

თუ განსასჯელი თავს არ სცნობს დამნაშავედ, ინიშნება მეორე სხდომა, რომელზეც ტარდება მტკიცებულებათა სრული მოცულობით გამოკვლევა, რომლის შედეგების მიხედვით წყდება ბრალეულობის საკითხი, ხმათა უმრავლესობით (ხმათა გაყოფისას გადაწყვეტილება მიღებულად არ ითვლება, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცემა მაგისტრატთა სხვა შემადგენლობას ან გაეგზავნება სხვა სასამართლოს, დადგენილი წესისა და პროცედურის შესაბამისად). სასჯელის დანიშვნა ხდება მესამე სხდომაზე, რომელიც პატიმრის მიმართ ტარდება არაუგვიანეს 3 კვირისა, სხვათა მიმართ კი – არაუგვიანეს 4 კვირისა. ამდენად, საერთო ჯამში, საქმის განხილვა რამდენიმე კვირის, ზოგჯერ კი – რამდენიმე თვის მანძილზეც კი გრძელდება\*, მით უმეტეს, თუ გამოყენებულ იქნა ე.წ. „განაჩენის გადავადების“ ახალი ინსტიტუტი (იგი გამოიყენება განსასჯელის თანხმობით, 6 თვემდე ვადით, რაც საკმარისად არის მიჩნეული იმისათვის, რომ დააკვირდნენ განსასჯელის ქცევას, ზიანის ანაზღაურებას და ა.შ.). განაჩენით სასჯელის განსაზღვრას საფუძვლად უდევს სასამართლოს შესაბამისი მუშაკის მიერ შედგენილი „წინასაგანაჩენო მოხსენება“, რომელშიც გაანალიზებულია განსასჯელის მახასიათებელი მონაცემები. თუ სასამართლო იყენებს პატიმრობას (თავისუფლების აღკვეთას), ან კიდევ მხარე ითხოვს ამას შემდგომში განაჩენის გასაჩივრების მიზნით, ხდება განაჩენის მოტივირება (დასაბუთება). სხვა შემთხვევაში, იმ (ტრადიციული) დებულებიდან გამომდინარე, რომ „მაგისტრატები არ არიან პროფესიონალები“ (რაც, ცხადია, შეეხება მხოლოდ ზემოთ მითითებულ პირველი კატეგორიის ანუ უხელფასო მაგისტრატებს), განაჩენის დასაბუთება მათ არ მოეთხოვებათ. ამასთან, განაჩენის მოტივირება აქ როდი ხდება ჩვენში მიღებული მოცულობით – დეტალურად და სამართლებრივი არგუმენტების მოტანით. კერძოდ, მოტივირება ხდება ზეპირად (კომენტირების წესით), უკეთეს შემთხვევაში, ოქმში შეტანით,

\* სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვის უწყვეტობის ჩვენში ცნობილი წესი (პრინციპი) აქ არ გამოიყენება – შუალედებში მოსამართლე (შემადგენლობა) თავისუფლად იხილავს სხვა საქმებს.

ზოგჯერ მხოლოდ მორალურ-დიდაქტიკური დამოძღვრის თუ სულაც რალაცნაირი „დამუნათების“ სახით!..

⊗ ამ მხრივ კლასიკურად შეიძლება ჩათვალოს შემდეგი მაგალითი: ლონდონელმა მაგისტრატმა, რომელმაც განსასჯელს შკაცრი სასჯელი შეუფარდა, ეს სიშკაცრე ახსნა შემდეგი სიტყვებით: „ყველაზე საშინელებაა ის, რომ თქვენ ეს საზიზღარი დანაშაული ჩაიდინეთ ლონდონის ერთ-ერთი ულამაზესი ხიდის ქვეშ“ [161, გვ. 147].

## §2. მაგისტრატ/მოპრივებულ მოსამართლეთა სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა და ფუნქციონირება აშშ-ში

### 2.1. ორგანიზაცია

აშშ-ში საერთო იურისდიქციის სასამართლოთა უდაბლეს რგოლებს — როგორც ფედერალურ, ისე შტატების დონეზე (რომლებიც არა ურთიერთდაქვემდებარების, არამედ, ფაქტობრივად, პარალელურ რეჟიმში მუშაობენ) — სხვა სასამართლოებთან ერთად, ქმნიან მაგისტრატ მოსამართლეთა სასამართლოებიც.

ა. ფედერალურ დონეზე ამგვარ სასამართლოთა პირველ (უდაბლეს) რგოლს წარმოადგენს რაიონული (საოლქო) სასამართლო (U.S. District Court). იგი საკმაოდ მსხვილი, მძლავრი სასამართლო ერთეულია, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემები: ა) აშშ-ში არსებობს სულ 94 ამგვარი სასამართლო (89 — შტატებში, 1 — ვაშინგტონში, 4 — დაქვემდებარებულ ტერიტორიებში); ბ) ყოველი შტატის ტერიტორიაზე, მისი მოსახლეობის რაოდენობისა და სამუშაოს მოცულობის მიუხედავად, ერთი ამგვარი სასამართლო აუცილებლად უნდა არსებობდეს, დანარჩენი სასამართლოები კი შტატებში ნაწილდება ზემოხსენებული მახასიათებლების გათვალისწინებით — ოთხამდე; გ) სულ ამ სასამართლოებში, ერთობ მრავალრიცხოვანი დამხმარე პერსონალის ხელშეწყობით, მუშაობს დაახლოებით 650 პროფესიონალი მოსამართლე, რომლებიც ჩარიცხულნი არიან მუდმივ შტატში. გარდა ამისა, მათ ეხმარებიან დროებით მიღებული, აგრეთვე დროებით მოწვეული გადამდგარი მოსამართლეები. რაიონულ (საოლქო) სასამართლოებში მუდმივ მოსამართლეთა რიცხვი მერყეობს 2-დან 28-მდე, სამუშაოს მოცულობის მიხედვით. აღნიშნული მოსამართლეები საქმეებს (წელიწადში დაახლოებით 60.000-ს) განიხილავენ: ა) ერთპიროვნულად (შედარებით მარტივ საქმეებს); ბ) კოლეგიურად — ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით (იხ. ზემოთ); გ) კოლეგიურად — როგორც წესი, სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით [161, გვ. 188]. გარდა მითითებული მოსამართლეებისა, ამ რგოლის



სასამართლოებში ოფიციალურად საქმიანობენ ე.წ. ფედერალური მაგისტრატები (U.S. Magistrates), რომელთაც, არაიშვიათად, მაგისტრატ მოსამართლეებსაც უწოდებენ. 1968 წლამდე ისინი იწოდებოდნენ ფედერალურ რწმუნებულებად (U.S. Commisioners).

მაგისტრატი მოსამართლეები აირჩევიან რაიონული სასამართლოს შტატთან მოსამართლეების მიერ, ხმათა უმრავლესობით, 8 წლის ვადით. ყოველ სასამართლოში მათ რიცხვს განსაზღვრავს აშშ-ს მოსამართლეთა კონფერენცია შესაბამისი რაიონული (საოლქო) სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს საბჭოს და ფედერალურ სასამართლოთა ადმინისტრაციული ოფისის დირექტორის ერთობლივი (!) წარდგინებით (ამჟამად აშშ-ში მაგისტრატთა საერთო რიცხვი 600-ს უახლოვდება). გასამწესებელ კანდიდატს უნდა ჰქონდეს იურისტად მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი და საქმიანობის ლიცენზია მინიმუმ შტატის უმაღლესი სასამართლოს დონეზე მაინც, არ უნდა იყოს ამ რაიონული სასამართლოს რომელიმე მოსამართლის ნათესავი და ა.შ. [161, გვ. 189].

ბ. შტატების დონეზე სასამართლოთა უდაბლეს რგოლს ქმნიან ე.წ. შეზღუდული იურისდიქციის სასამართლოები, რომელთაც სხვადასხვა შტატებში უწოდებენ მაგისტრატთა, მოპრიგებელ, რაიონულ, საქალაქო, ადგილობრივ ან მუნიციპალურ სასამართლოებს. იმ 23.000 მოსამართლიდან, რომლებიც შტატების სასამართლოებში მუშაობენ, უმეტეს ნაწილს სწორედ ეს კატეგორია შეადგენს. ისინი მოქმედებენ თითქმის ყველა შტატში და, ჩვეულებრივ, სასამართლო სისტემაში გააჩნიათ ავტონომიური მდგომარეობა (სტატუსი). მაგისტრატი მოსამართლეების გამწესება ხდება დანიშნით (გუბერნატორის მიერ), არჩევით (ადგილობრივი არჩევითი ორგანოს მიერ) ანდა შერეული წესით – ჯერ 2 ან 3 წლით დანიშნავს გუბერნატორი, შემდეგ კი, თუ ნდობა გაამართლა, აირჩევენ 15 ან 20 წლით, ანდა საპენსიო ასაკის მიღწევამდე [161, გვ. 193].

⊗ ზოგიერთ შტატში უცნაურობამდე საეციფიკური წესია დადგენილი. ასე, მაგალითად, კალიფორნიის შტატში მაგისტრატის ფუნქცია პირდაპირ აკისრიათ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს, მაგრამ, ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, საეციფიკური (საგამონაკლისო)

ნორმით, მისი მოვალეობების შესრულება ეკისრებათ თანამდებობის პირებს, რომლებიც მოსამართლეთა კატეგორიას არ მიეკუთვნებიან (?!). ასე, მაგალითად, ზემოხსენებული შტატის სადამსჯელო კოდექსის 809-ე პარაგრაფის თანახმად, მაგისტრატის ფუნქციები დაკისრებული აქვს წმინდა კლარას საგრაფოს მაღალი სასამართლოს ლამის მორიგე რწმუნებულს (1). ეს მაშინ, როცა ამავე კოდექსის 808-ე პარაგრაფის ძალით, მაგისტრატებს მიეკუთვნებიან მხოლოდ კალიფორნიის შტატის უმაღლეს, სააპელაციო, მაღალ (სუპერიორ) და მუნიციპალურ სასამართლოთა მოსამართლეები [161, გვ. 245].

მაგისტრატი მოსამართლეების გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებენ ამავე რაიონული (საოლქო) სასამართლოს მოსამართლეები. აქედან გამომდინარე, მაგისტრატი მოსამართლეები იმყოფებიან „ორმაგ დაქვემდებარებაში“ – ერთი მხრივ, რაიონული (საოლქო) სასამართლოსი, მეორე მხრივ კი – ზემოხსენებული ადმინისტრაციული ოფისისა, რომელიც ახორციელებს მაგისტრატთა საქმიანობის საერთო ზედამხედველობას, აკონტროლებს მათ საფინანსო საქმიანობას, ახდენს მათი რიცხოვნობის კორექტირებას, ადგენს მათთვის სახელმძღვანელოებს სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული საქმიანობისთვის და ა.შ. [161, გვ. 189-190]. ამგვარი „ორმაგი კონტროლი“ და შერჩევის (დანიშვნა-არჩევის) წესები, ცხადია, აქვეითებს მაგისტრატთა დამოუკიდებლობის ზარისხს და, შესაბამისად, მათი მიუკერძოებლობის გარანტირების ღონეს, მით უმეტეს, რომ, მათი გამწესებისას, როგორც ვნახეთ, იმანენტურად ფიგურირებს „პოლიტიკური ელემენტებიც“.

## 2.2. განსჯადობა

ა. ფელერალურ სასამართლოებში მაგისტრატი მოსამართლეები განიხილავენ ცალკეულ ე.წ. სისხლის სამართალდარღვევებსა და მისდომინორებს\* – წელიწადში დაახლოებით 80-100 ათას საქმეს.

\* აშშ-ში მიღებულია სისხლის სამართალდარღვევების შემდეგი კატეგორიზაცია: 1) ფელონიები (5 კლასის); 2) მისდომინორი (3 კლასის); 3) დარღვევები (2 სახის) და 4) საგზაო გადაცდომები. დანაშაულები, რომელთათვისაც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა 1 წელზე მეტი ვადით, მიეკუთვნება ფელონიებს, 15 დღიდან 1 წლამდე – მისდომინორებს [320, გვ. 123-127].

რაც შეეხება უფრო სერიოზულ დანაშაულთა – ფელონიების საქმეებს, მათ მიმართ მაგისტრატი მოსამართლეები ახორციელებენ ისეთ ცალკეულ საპროცესო მოქმედებებს, როგორცაა: დაპატიმრების ბრძანების გაცემა, შეცვლა თუ გაუქმება, ამგვარი ბრძანების გარეშე გირაოს ოდენობის განსაზღვრა, პოლიციის მიერ დაპატიმრებისა და სხვა მოქმედებათა კანონიერების შემდგომი შემოწმებები (ანუ სასამართლო კონტროლი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოთა მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე), ღარიბთათვის (არასმქონეთათვის) დამცველის დანიშვნა, მხარეთა შუამდგომლობითვე მტკიცებულებათა გამოთხოვა, მხარეთა შუამდგომლობითვე პირების დაკითხვა და შედეგების ფიქსაცია („დეპონირება“), საშიშ დანაშაულთა საქმეების წინასწარი განხილვა, აგრეთვე მონაწილეობა ამ კატეგორიის საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვის მომზადებაში (1997 წლის მონაცემებით, მათ ჩაატარეს 13.000-ზე მეტი ამგვარი საქმის წინასწარი განხილვა, გამოიტანეს 500.000-ზე მეტი გადაწყვეტილება საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებასთან<sup>\*</sup>, დამცველის დანიშვნასთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებულ საკითხებზე). გარდა ამისა, კანონი უშვებს რაიონული (საოლქო) სასამართლოს მიერ მაგისტრატებისათვის სხვა ისეთი ფუნქციების დაკისრებასაც, რომელთაც ისინი „შესაძლებლად მიიჩნევენ“.

ბ. შტატების ღონეზე მაგისტრატი მოსამართლეები განიხილვენ მცირემნიშვნელოვან დანაშაულთა, აგრეთვე გადაცდომათა საქმეებს, მათ შორის ისეთ ქმედებებს, რომელთა გამოც პასუხისმგებლობა დადგენილია ადგილობრივი ხელისუფლების აქტებით. ისინი, ისევე როგორც ფედერალური მაგისტრატები, ახორციელებენ სასამართლო კონტროლს საპროცესო იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე. გარდა ამისა, ისინი უზრუნველყოფენ საერთო იურისდიქციის სასამართლოების (მათ ეძახიან „რაიონულს“, „საქალაქოს“, „საოლქოს“, „უმაღლესს“ და ა.შ.) მიერ პირველი ინსტანციით

\* გასათვალისწინებელია, რომ მთვან ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემა, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქის პირად ცხოვრებაში შეჭრასთან (მათ შორისაა სატელეფონო საუბრების მოსმენა და ელექტრონული თვალთვალის სხვა ფორმები), ხდება მხოლოდ ფედერალური რაიონული (საოლქო) სასამართლოს ძირითადი (შტატანი) მოსამართლის მიერ [161, გვ. 183-189, 262<sup>ა</sup>, გვ. 70-76; 227, გვ. 107-123].

განსახილველ საშიშ დანაშაულთა საქმეების წინასწარ განხილვას (ეს სასამართლოები წელიწადში მსჯავრს ღებენ დაახლოებით 1 მილიონ განსასჯელს...) და სხვ. [161, გვ. 192-193; 262<sup>ა</sup>, გვ. 25-35, 62-76 და სხვ.; 227, გვ. 58-60, 93-96].

## 2.3. ფუნქციონირება (პროცედურები)

2.3.1. საპროცესო იბულების ღონისძიებათა გამოყენება. აშშ-ს კონსტიტუციის IV შესწორებაში მითითებული იყო: „ზალხის უფლება პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიაზე, საცხოვრებლის, ღოკუმენტებისა და ქონების დაცვაზე დაუსაბუთებელი ჩხრეკებისა და დაკავებისაგან არ უნდა ირღვეოდეს, ხოლო ჩხრეკისა და დაკავების ორღერები არ გაიცემოდეს საკმარისი საფუძვლის გარეშე, რომელიც დადასტურებულ იქნება ფიცით ან საზეიმო განცხადებით. ამგვარი ორღერები უნდა შეიცავდეს ჩხრეკის ადგილის, აგრეთვე დასაპატიმებელი პირის ან ქონების დაწვრილებით აღწერას“ [294, გვ. 41]. შემდგომში, აშშ-ს უზანაესი და სხვა სასამართლოების მიერ კონსტიტუციის განვრცობით განმარტებათა შედეგად, ამ უფლებათა ნუსხამ მოიცვა ელექტრონული თვალთვალიც (ტელეფონით თუ რადიოთი საუბრის მოსმენა, ელექტრონული მატარებლებისაგან ინფორმაციის მოხსნა, აუღიო ან ვიდეოაპარატურის ფარულად გამოყენება და ა.შ.). ამასთან, თანდათან დაშვებულ იქნა ამ აკრძალვებიდან მთელი რიგი გამონაკლისებისა – ე.წ. „ექსტრაორღინარული“ (გადაუღებელი და სხვა) შემთხვევებისათვის – თავისებური „კომპრომისული ვარიანტის“ სახით. ეს კომპრომისი კი გაკეთდა ე.წ. „კანონიერებისა და მართლწესრიგის“ (ანუ არა „ცარიელი კანონიერებისა“, არამედ მართლწესრიგის დაცვის ინტერესებით შეზღუდულისა) დოქტრინად ცნობილ „საპოლიციო-საპროკურორო ექსტრემიზმსა“ და „ღიბერ-ალურ ექსტრემიზმს“ (ღევიზი: „დაე აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც სამყარო დაინგრეს“) შორის [227, გვ. 8].

მაღისტრატის (კანონმდებლობა მას მეტწილად მოიხსენიებს „ნეიტრალურ და მიუკერძოებელ მაღისტრატად“) თუ ჩვეულებრივი

მოსამართლის ფუნქცია ამ სფეროში მდგომარეობს შესაბამისი ორდერის გაცემაში (წინასწარი კონტროლი), ან კიდევ, ექსტრემალურობის მოტივით, პოლიციის მიერ, ორდერის გარეშე ჩატარებული ჩხრეკისა თუ სხვა საპროცესო მოქმედების კანონიერების შემოწმებაში (შემდგომი ანუ პოსტ-ფაქტუმ კონტროლი). ამასთან, ორდერის გარეშე დაპატიმრებული (ჩვენი ტერმინოლოგიით – „დაკავებული“) პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მაგისტრატს ან სხვა უფლებამოსილ თანამდებობის პირს. ამ შემთხვევაში ტერმინი „დაუყოვნებლივ“ ამერიკულ დოქტრინასა და პრაქტიკაში გაგებულია როგორც „იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია“, „ზედმეტი, არასაჭირო დაყოვნების გარეშე“. უფრო კონკრეტულად ეს ვადა არაა განსაზღვრული. მართალია, 1970 წელს, სისხლის-სამართლებრივი იუსტიციის სფეროში სტანდარტებისა და მიზნების შემმუშავებელმა ეროვნულმა კომისიამ მიიჩნია, რომ დაპატიმრებულის მაგისტრატთან პირველი წარდგენის ვადა დაპატიმრებიდან წარდგენამდე არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს, მაგრამ იურიდიულად ეს ვადა არც ერთ წყაროში არ დაფიქსირებულა და, ამდენად, იგი ოფიციალურად არ ამოქმედებულა [262<sup>1</sup>, გვ. 34].

მაგისტრატი, რომელსაც წარედგინა ორდერის გარეშე დაპატიმრებული (დაკავებული) პირი, ან კიდევ იხილავს ორდერის გარეშე ჩატარებული ჩხრეკისა თუ სხვა საპროცესო მოქმედების დასაბუთებულობას, ამოწმებს, არსებობდა თუ არა „გონივრული საფუძველი“ (reasonable grounds) საპროცესო იძულების ღონისძიების ჩასატარებლად. აშკარაა, რომ ამგვარ საფუძველზე მითითება მეტისმეტად ზოგადი, შეფასებითი (და მამასადამე, სუბიექტურ-განსჯითი) კრიტერიუმია, ისევე, როგორც მისი ანალოგი – „საკმარისი საფუძველი“ (probable cause). ამასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 1878 წელს, უზენაესმა სასამართლომ სტიენის საქმეზე განმარტა: პოლიციის თანამშრომელს დაპატიმრებისთვის საფუძველი აქვს, „თუ მის მიერ აღქმული ფაქტები და გარემოებები გონიერ და ფრთხილ ადამიანს დაარწმუნებდა იმაში, რომ ჩადენილია დანაშაული“ [227, გვ. 29]. ეს ამოცანა, როგორც სწორად იქნა შენიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, საზოგადოდაც (ნებისმიერი მოსამართლისათვის) ერთობ

ბნელია (მეტწილად – შეუძლებელიც; განსაკუთრებით მაშინ, როცა გადაწყვეტილება ფაქტობრივად მხოლოდ პოლიციელის განმარტებას ეყრდნობა). მით უფრო, ეს გადაწყვეტილება ზოგჯერ წმინდა მექანიკურ ხასიათს იძენს მაგისტრატისთვის, რომელსაც იურიდიული განათლება არ გააჩნია, და, ამასთან, არც ინგლისელი კლერკით იურისტი ჰყავს დამხმარედ, რადგან აშშ-ში კლერკებს იურიდიული მომზადება არ გააჩნიათ [227, გვ. 20, 262<sup>a</sup>, გვ. 12].

პატიმრობაში მყოფი პირის მიმართ შეზღვევებიც, რაიმე შეზღუდვის გარეშე, პატიმრობაში ყოფნის მთელი ხნის მანძილზე მოქმედებს „ჰაბეას კორპუსის“ (habeas corpus) ზემოხსენებული (ინგლისთან მიმართებაში კომენტირებული) ცნობილი პრინციპი (პროცედურა). იგი აქაც, ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, წარმოადგენს პირის დაპატიმრებისა და პატიმრობაში შეზღვევებიც ყოფნის კანონიერებისა და დასაბუთებულობის პერიოდულ, პერმანენტულ გასაჩივრება-გადასინჯვას – ვადებით რაიმე ფორმალური შეზღუდვის გარეშე. საჩივრები განიხილება მაგისტრატის ან იმავე რგოლის სხვა მოსამართლის მიერ, პირველი ინსტანციით, ერთპიროვნულად. მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო წესით [161, გვ. 211; 227, გვ. 87-88]. პატიმრობის ძირითადი ალტერნატივაა გირაო, რომლის ოდენობა უნდა იყოს გონიერული (reasonable), ანუ იგი არ უნდა იყოს მეტისმეტი (excessive).

განხილვის პროცედურა აქ მარტივია – მონაწილეობენ მხოლოდ მხარეები, მათ შორის დაპატიმრებული პირი და მისი დამცველი (თუ უკვე ჰყავს). დამკავებელი და ჩხრეკის თუ სხვა მოქმედების ჩამტარებული პირები მოსამართლესთან იძლევიან შესაბამის განმარტებას. განხილვა მიმდინარეობს ძალზე ოპერატიულად და გადაწყვეტილებაც სწრაფად ცხადდება.

2.3.2. საქმეთა წინასწარი განხილვა. სასამართლოში საქმის არსებითად განხილვას წინ უსწრებს მისი წინასწარი განხილვა (ანუ სამართალში მიცემა). ყველა იმ საქმის წინასწარ განხილვას, რომელიც არ შედის ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიურის იურისდიქციაში, ატარებს მაგისტრატი ან პირველი ინსტანციის სხვა მოსამართლე.

ეს ხდება შტატების ორ მესამედში. განხილვის საფუძველია საბრალდებო დოკუმენტი, რომელსაც მეტწილად ჰქვია ინფორმაცია, უფრო იშვიათად — პრეტენზია ან საჩივარი.

წინასწარი განხილვის ფორმალურ პროცედურამდე, მაგისტრატმა (მოსამართლემ) შეიძლება საბრალდებო დოკუმენტის ავტორს მოსთხოვოს წარდგენილი მასალების დაზუსტება, მიიღოს მისგან ზეპირი განმარტებები მისთვის საინტერესო საკითხებზე. ამ ეტაპზე შეიძლება მოხდეს დამატებითი მასალის გამოთხოვა და მის საფუძველზე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმება ან შეცვლა, ანდა სულაც საქმის წარმოების შეწყვეტა და საბრალდებო დოკუმენტის ავტორისთვის დაბრუნება, ან კიდევ საქმის არსებითად განსახილველად დანიშვნა, საჭიროა პირთა სასამართლოში გამოძახებით. ამ შემთხვევაში ტიპურია შემდეგი პროცედურა:

საბრალდებო დოკუმენტისა და შესაბამისი მასალების საფუძველზე ხდება „კომპეტენტურ“ მოსამართლესთან<sup>\*</sup> ბრალდებულის „პირველი“ წარდგენა“ (the first appearance) — თუ იგი დაპატიმრებულია — პოლიციის მიერ, თუ არა — უწყებით გამოძახების გზით. ეს შეიძლება მოხდეს რამდენიმე საათში, თუმცა, თუ გამოსასველელი დღეები დაემთხვა და სასამართლოში მორიგეობა არაა დაწესებული, ეს ხდება პირველივე სამუშაო დღეს. ამ ხანმოკლე შეხვედრაზე მაგისტრატი (მოსამართლე) არკვევს ეჭვიმტანილის პიროვნებას და განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს (უწინარესად, დუმილის უფლებას, დამცველის ყოლის უფლებას — მისივე არჩევით ან სახაზინო წესით დანიშვნით, აგრეთვე იმას, რომ მის მიერ დაკითხვისას მიცემული ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისივე წინააღმდეგ). განმარტების მიცემამდე მას აცნობენ საბრალდებო დოკუმენტს (ცხადია, სათანადო კომენტარით, რომ პირი უკეთ ჩაწვდეს მის შინაარსს) და არკვევენ მის დამოკიდებულებას ბრალდებასთან. თუკი არსებობს საამისო საფუძველი, წყდება დამცველის დანიშვნის საკითხი ე.წ. საჯარო დამცველთა

<sup>\*</sup> სიტყვა „კომპეტენტური“ აქ გამოყენებულია არა ჩვენთვის ტრადიციულად ქვეული შინაარსით, არამედ განსჯადობის უფლებამოსილების ქონის თვალსაზრისით.

(public defenders) კონტინგენტიდან [161, გვ. 246-247]. თუ პირმა თავი სცნო დამნაშავედ, ანდა განაცხადა, რომ სადავოდ არ ზღის ბრალდებას (ე.წ. nolo contendere<sup>\*</sup>), აგრეთვე საშიშ დანაშაულთა (ფელონიის) საქმეებზე, მაგისტრატი მას განუმარტავს, რომ უფლება აქვს მოითხოვოს მისი საქმის წინასწარი განხილვის დანიშვნა. თუ ბრალდებული უარს არ იტყვის ამაზე, ან კიდევ არ არსებობს წინასწარი განხილვის გამომრიცხავი რაიმე სხვა გარემოება (მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ არ არის საჭირო წინასწარი განხილვის ჩატარება, რადგან, ვთქვათ, მათ დადეს გარიგება ბრალის აღიარების თაობაზე), აქვე ინიშნება საქმის წინასწარი განხილვის დღე და საათი [161, გვ. 247].

ზემოაღნიშნულ და ანგლოსაქსური სისტემისათვის დამახასიათებელ საქმეთა „განთესვის“, ან სხვა მიზეზთა თუ გარემობათა გამო „თავიდან მოშორების“ შემდეგ დარჩენილი საქმეების წინასწარი განხილვა ტარდება მარტივი პროცედურით. ასე, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს ამერიკისათვის ტიპურ შემდეგ პროცედურულ წესებს: მოსამართლე განსწილად აცხადებს სასამართლო სხდომას და ასახელებს პროკურორსა და დამცველს. პროკურორი ბრალდებულს უკითხავს (აცნობს) საბრალდებო დოკუმენტს – თუ ის ამის წინააღმდეგი არ არის. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მოწმეები იკითხებიან ფიცქვეშ (ბრალდების მოწმეთა დაკითხვა აუცილებელია), მათ შორის, ტარდება ჯვარედინი დაკითხვა. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს ჩვენება, იშუამდგომლოს დამატებით მოწმეთა დაკითხვა (გარდა ე.წ. „განაგონის მოწმეებისა“, რომელთა დაკითხვა ამ ეტაპზე არაა დაშვებული). ექსპერტთა მოწმედ დაკითხვა შეიძლება გამონაკლისის სახით. ბრალდებულის შუამდგომლობით ან თვითონ მაგისტრატის ინიციატივით, ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვევებში, „სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლო განხილვაზე“ ბრალდებულის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება პროცესის დახურვა, ამასთან, ეს არ ეხებათ სასამართლო

\* აღნიშნულის თაობაზე დაწერილებით იხ. შესაბამისი წყაროები [მაგ., 112, გვ. 60-93, 158-169].



კლერკს, პროტოკოლისტს (სხდომის მდივანს), სასამართლო ბო-  
ქაულს და სასამართლოს სხვა მოხელეებს, ხოლო, მკვლელობის  
საქმეზე, დაშვებულ უნდა იქნენ საეარაულო დაზარალებულის ოჯახის  
წევრები [161, გვ. 251]. ამ ეტაპზე მხარეთა მიერ მტკიცებულებების  
ურთიერთგაცნობა არ არის მიღებული. მთელი ეს პროცედურა უნდა  
დამთავრდეს ერთი სხდომის მანძილზე — შესვენება შეიძლება მხ-  
ოლოდ ერთი დღე-ღამით [იქვე]. განხილვის შედეგების მიხედვით,  
მაგისტრატი, თუკი პოვებს საამისო საფუძველს, იღებს გადაწყ-  
ვეტილებას საბრალდებო დოკუმენტის და მასთან დაკავშირებული  
მასალების (ჩვენი ტერმინოლოგიით — სისხლის სამართლის საქმის  
მასალების) იმ სასამართლოში გაგზავნის თაობაზე, რომელმაც,  
განსჯადობის მიხედვით, არსებითად უნდა განიხილოს საქმე (trial  
court). ამგვარი გადაწყვეტილება ფორმდება მოკლე, არამოტივირე-  
ბული საპროცესო აქტით (დადგენილებით, ბრძანებით და ა.შ.), ან  
კიდევ საბრალდებო დოკუმენტზე რეზოლუციის დადებით (ამგვარი  
წესი გათვალისწინებულია, მაგალითად, კალიფორნიის შტატის  
კანონმდებლობით). ერთდროულად ხდება აღკვეთის ღონისძიების  
საკითხის გადაწყვეტა (მაგალითად, პატიმრობის გირაოთი შეცვლა  
— გირაოს თანხის განსაზღვრით; მის მთლიანად ან ნაწილობრივ  
შეტანამდე ბრალდებული რჩება პატიმრობაში). გარდა ამისა, მაგის-  
ტრატი იღებს ზომებს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმეთა  
გამოცხადების მიზნით — როგორც წესი, მხარეთა შუამდგომლობით.  
მოწმეს, რომლის ჩვენებასაც შეიძლება არსებითი მნიშვნელობა  
ექნეს საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, ან აცხადებს, რომ არ  
მივა სასამართლოში ჩვენების მისაცემად, ანდა არსებობს საკმაო  
საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იგი თავს აარიდებს სასამართლო  
სხდომაზე გამოცხადებას, შეიძლება ჩამოერთვას ხელმოწერილი  
(წერილობითი ვალდებულება) სასამართლო სხდომაზე გამოცხადების  
შესახებ, ამასთან, აფრთხილებენ, რომ, არგამოცხადების შემთხვევაში,  
იგი დაჯარიმდება 500 დოლარით. უფრო მეტიც, მაგისტრატს  
(მოსამართლეს) უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, თა-  
ვის ამრიგებული პირის სხდომაზე გამოცხადების უზრუნველყოფის  
მიზნით, დაადგინოს, რომ იგი დაპატიმრებულ იქნეს 10 დღე-ღამემდე

ვადით. გარდა ამისა, ამ ეტაპზე უკვე შეიძლება მიღებულ იქნეს მოწმეთა უსაფრთხოების სპეციალური ზომები [161, გვ. 253].

თუ მაგისტრატი (მოსამართლე) მივა დასკვნამდე, რომ პირის მიერ საშიში დანაშაულის (შერაცხული ქმედების) ჩადენა არ დასტურდება, მაგრამ პასუხისგებაშია მისაცემი ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის, იგი უარყოფს (აუქმებს) წარდგენილ ბრალდებას და ბრალდების მხარეს საშუალებას აძლევს წარმოადგინოს ბრალდების ახალი ფორმულირება\*. თუ მან სცნო, რომ საერთოდ არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, საქმეს უბრუნებს პროკურორს, ხოლო დაპატიმრებულ ბრალდებულს ათავისუფლებს [იქვე, გვ. 254].

2.3.3. საქმეთა არსებითად განხილვა. მაგისტრატები და მათთან ამ „ამპლუაში“ გათანაბრებული მოსამართლეები მაგისტრატთა განსჯად საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად, შეჯამებითი ანუ გამარტივებული წესით. შესაბამისი პროცედურა გათვალისწინებულია, მაგალითად, 1980 წლის კანონში „ფედერალური მაგისტრატების მიერ ნაკლებად საშიშ დანაშაულთა საქმეების განხილვისას საქმისწარმოების წესები“. საქმის განხილვის საფუძველია ზემოთ მითითებული რომელიმე საბრალდებო დოკუმენტი, ან კიდევ, მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევებზე (რომელთა გამოც პატიმრობა ვერ იქნება გამოყენებული) – ოქმი ან მიწერილობა სასამართლოში გამოძახების შესახებ. მაგისტრატთათვის (მოსამართლეთათვის) ასეთი საქმეების გადაცემის ორგანიზაციულ-ტექნიკურ წესებს (პირობებს) აწესებენ რაიონული (საოლქო და ა.შ.) სასამართლოები, თავიანთი დოკუმენტით („რეგლამენტი“, „წესები“ და სხვ.). უწინარესი, სავალდებულო მოთხოვნაა ბრალდებულის წერილობითი თანხმობა მისი ბრალდების საქმის მაგისტრატის მიერ, გამარტივებული წესით განხილვა-გადაწყვეტის თაობაზე. თუ ამგვარი თანხმობა არ

---

\* ძნელი არ არის შენიშნოთ, რომ ეს ნოვაცია, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება შეჯამებითი პროცესის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში, ისევე, როგორც მომდევნო წინადადებაში მითითებული შემთხვევისას, უნდა დადგეს გამამართლებელი განაჩენი, ან შეწყდეს საქმე (შესაბამისად).

არის, საქმე ხდება ამავე სასამართლოს ჩვეულებრივი („შტატინი“) მოსამართლის განსჯადი [161, გვ. 283].

თანხმობის მიღების შემთხვევაში, მაგისტრატი ბრალდებულს აძლევს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- ბრალდების არსი და მოსალოდნელი სასჯელი;
- უფლება, მოიწვიოს დამცველი;
- უფლება, ჰყავდეს დანიშნული დამცველი იმ შემთხვევაში, თუ მას არა აქვს სათანადო საშუალება (ეს არ ეხება საქმეებს, რომლებზეც კანონი არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას);
- რომ იგი არაა ვალდებული გააკეთოს რაიმე განცხადება, მაგრამ, თუ გააკეთებს, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ;
- რომ მას აქვს უფლება მისი საქმე განიხილოს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ;
- რომ მას აქვს უფლება მისი საქმე მაგისტრატმა თუ მოსამართლემ განიხილოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით – გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას ბრალი ედება მცირემნიშვნელოვან დანაშაულში\*;
- რომ, თუ იგი არ მისცემს საბოლოო თანხმობას მაგისტრატის მიერ მისი საქმის განხილვაზე, მას წარმოეშობა უფლება მისი საქმე წინასწარ შეამოწმოს რაიონული (საოლქო და ა.შ.) სასამართლოს მოსამართლემ;
- იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობისას შეიძლება სასამართლომდე მისი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება [იქვე, გვ. 283-284].

თუ ამის შემდეგ ბრალდებულმა თავი სცნო დამნაშავედ, სასამართლო სხდომა მთავრდება ძალზე სწრაფად – ზოგჯერ სულ რამდენიმე წუთში – სასჯელის განსაზღვრითურთ. თუ მან თავი არ სცნო დამნაშავედ, მას ეძლევა 30 დღე სასამართლო განხილვისთვის მოსამზადებლად. ამის შემდეგ იწყება საქმის არსებითი განხილვა, რომლის პროცედურებიც პრაქტიკულად ემთხვევა წინასწარ განხ-

\* ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ზემოთ უკვე იყო განხილული (იხ. ნაწილი მეორე).

ილვისას საშიშ დანაშაულთა საქმეებზე დადგენილთ. განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენი არამოტივირებულია და იგი ძალზე მოკლედ ფიქსირდება ოქმში, რომელსაც ზოგჯერ აუდიო ან ვიდეოჩანაწერი ცვლის.

ბოლო ხანებში, პროცესის მონაწილეთა სხდომის დარბაზში მოწვევის ნაცვლად (ალტერნატივად), იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტის შესაძლებლობებს. კერძოდ, პროცესის მონაწილეები გამოიკითხებიან ვირტუალური წესით და ფიქსაციაც ხდება ინფორმაციის ელექტრონული მატარებლების გამოყენებით. პრაქტიკაში გამოიყენება „დაუსწრებელი მართლმსაჯულების“ სხვა ფორმებიც – მაგალითად, ფოსტით ჯარიმის თანხის შეტყობინება და გადახდის ქვითრის საფუძველზე საქმის გადაწყვეტა [იქვე].

### §3. მომრიგებელი სასამართლოს თანამედროვე რუსული მოდელი

#### 3.1. იურიდიული და ფაქტობრივი „რეინკარნაცია“ (ხელახალი დაფუძნების ეტაპები)

რუსეთის ფედერაციაში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის „რეინკარნაცია“ – დაახლოებით საუკუნოვანი „შესვენების“ (წყვეტილობის) შემდეგ ხელახლა დაფუძნება უკვე პოსტსოციალისტურ რუსეთში – უკავშირდება რუსეთში 1990-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილ ძალზე მძიმე სიტუაციას. იგი გამოწვეული იყო სამოქალაქო, სისხლის თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა ნაკადების სულ უფრო მზარდი მოძალების გამო მოსამართლეთა მეტიმეტი გადატვირთვით. ამ მდგომარეობას ართულებდა, გარდა მოსამართლეთა შტატების უკმარისობისა, უკვე არსებული „ადამიანური რესურსებისა“ და მთლიანად სასამართლოთა საქმიანობის არასაკმარისი დაფინანსება. როგორც რუსეთის უზენაესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ვ.ვ. დემიდოვი მიუთითებდა, „ყოველივე ამან გამოიწვია მრავალი რაიონული სასამართლოს მუშაობის შეჩერება, საქმეთა განხილვის დადგენილი ვადების იძულებით დაუცველობა, საბოლოო ანგარიშით კი სასამართლო დაცვის, მართლმსაჯულების მისაწვდომობაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების დარღვევა“ [323, გვ. 7].

სასამართლოთა (მოსამართლეთა) წვრილმანი საქმეებისგან განტვირთვის ამ ეფექტიანი, იაფი და სწრაფი ინსტიტუტის („ინსტრუმენტის“) იურიდიულად დაფუძნება დაიწყო რუსეთის ფედერაციის 1996 წლის 31 დეკემბრის ფედერალური კონსტიტუციური კანონით „რუსეთის ფედერაციაში სასამართლო სისტემის შესახებ“ [193, გვ. 78-93]. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მომრიგებელი სასამართლოები მიეკუთვნებიან ფედერაციის სუბიექტთა (!) საერთო იურისდიქციის სასამართლოებს, რომლებიც შედიან რუსეთის ფედერაციის ერთიან სასამართლო სისტემაში. ამ კანონის საფუძველზე, 1998 წლის 17 დეკემბერს მიღებულ

იქნა სპეციალური ფედერალური კანონი „რუსეთის ფედერაციაში მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ [იქვე, გვ. 175-179]. გარდა ამისა, შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობებში. ფედერალურ დონეზე მომრიგებელი იუსტიციის პრობლემების მოწესრიგების ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებს მიეძღვნა აგრეთვე 1999 წლის 29 დეკემბრის კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა საერთო რიცხოვნობისა და რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში სასამართლო ოლქების რაოდენობის შესახებ“ [192, გვ. 402]. აღნიშნულის საფუძველზე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რუსეთის ფედერაციის სუბიექტებში გაჩაღდა სამუშაოები როგორც მომრიგებელ სასამართლოთა „ადგილობრივი“ იურიდიული ბაზის შესაქმნელად (ფედერალური კანონმდებლობის შესავსებად), ისე ამგვარ სასამართლოთა ფაქტობრივად შექმნა-დაფუძნებისა და ამოქმედების მიზნით. „ლენტი გაიჭრა“ 2000 წლის იანვარში, როცა ბრიანსკის ოლქში დაინიშნა პირველი 6 მომრიგებელი მოსამართლე [იქვე, გვ. 24].

### 3.2. მომრიგებელ სასამართლოთა რიცხოვნობა, სტრუქტურა და ორგანიზაცია

მომრიგებელი სასამართლოები იქმნება რაიონული ფედერალური სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ოღონდ საუბნო პრინციპით – წინასწარ დადგენილი შესაბამისი სასამართლო უბნების მიხედვით. სასამართლო უბნების რიცხოვნობას ადგენს ზემოთ მითითებული ფედერალური კანონი (1999 წლის 29 დეკემბრისა), რომელიც, სხვა ფედერალურ კანონებთან ერთად, ქმნის თავისებურ „ჩარჩოს“ ფედერაციის სუბიექტთა მიერ შემდგომი საკანონმდებლო (ნორმატიული) რეგლამენტაციისთვის [192, გვ. 402].

ფედერალური კანონმდებლობით, სასამართლო უბანი იქმნება შემდეგი ანგარიშით: თითო ოლქი 15-დან 30 ათას მცხოვრებზე. თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნში (მაგ., რაიონში, რაიონში შემავალ ქალაქში) მოსახლეობის რიცხვი 15.000-ზე ნაკ-

ლებია, ერთი სასამართლო ოლქი მაინც იქმნება. ასევე, დადგენილია მომრიგებელ მოსამართლეთა საშტატო რიცხოვნობა. თანახმად „მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონისა, „სასამართლო უბნები და მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობები იქმნება და უქმდება ფედერაციის სუბიექტთა კანონებით“ (მუხ. 4, ნაწ. 3). ამასთან, მომრიგებელ მოსამართლეთა და სასამართლო უბნების საერთო რაოდენობა განისაზღვრება ფედერალური კანონით – ან ფედერაციის სუბიექტის შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, რომელიც შეთანხმებულია რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოსთან, ან კიდევ ამავე უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, რომელიც შეთანხმებულია ფედერაციის სუბიექტთან (მუხ. 4, ნაწ. 2).

### 3.3. მომრიგებელ მოსამართლეთა შერჩევა-გამწესება, მათი აპარატით, ხელფასითა და მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფა

მომრიგებელ მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს 25 წლის ასაკს მიღწეული პირი – რუსეთის მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და იურიდიული პროფესიით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი, თუ, ამასთან, მას არ ჩაუდენია რაიმე სამარცხვინო საქციელი (არ არის რაიმეთი კომპრომეტირებული), ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა და გააჩნია რუსეთის ფედერაციის შესაბამისი სუბიექტის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაცია. ამ 7 მოთხოვნიდან ბოლო ორისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც აქვს ფედერალურ მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი (მუხ. 5, ნაწ. 1).

ფედერალური კანონი მომრიგებელ მოსამართლეს უწყებს შემდეგ შეზღუდვებს: მას უფლება არა აქვს იყოს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დეპუტატი, მიეკუთვნებოდეს პოლიტიკურ პარტიას ან მოძრაობას, ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას, ანდა მომრიგებელ მოსამართლეობას უთავსებდეს სხვა ანაზღაურებად

საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური, ლიტერატურული ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობისა (მუხ. 5, ნაწ. 2). გარდა ამისა, ფედერალური კანონი (მუხ. 5, ნაწ. 3) ფედერაციის სუბიექტებს უფლებას აძლევს დააწესონ დამატებითი მოთხოვნები მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების მიმართ.

მომრიგებელ მოსამართლედ გამწესება ხდება დანიშვნით ან არჩევით. კერძოდ, თანახმად ზემოხსენებული კანონის მე-6 მუხლისა, მომრიგებელი მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება (აირჩევა) ფედერაციის სუბიექტის სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო (წარმომადგენლობითი) ორგანოს მიერ, ან კიდევ აირჩევა შესაბამისი ოლქის მოსახლეობის მიერ, ფედერაციის სუბიექტის მიერ დადგენილი წესით.

მომრიგებელ მოსამართლედ პირველად დანიშნა ხდება ფედერაციის სუბიექტის მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, პირს უფლება აქვს ხელახლა დააყენოს თავისი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე დასანიშნად ან ასარჩევად (მუხ. 7, ნაწ. 1); ამასთან, მეორე და შემდგომი დანიშვნების ვადას ადგენს ფედერაციის სუბიექტი, ოღონდ არანაკლებ 5 წლისა (ნაწ. 2).

მომრიგებელი მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება ან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო, ან კიდევ „რუსეთის ფედერაციაში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში და წესით (მუხ. 8, ნაწ. 1). ასევე, მისი უფლებამოსილების შეჩერება შეიძლება ამავე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით – ფედერაციის სუბიექტის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის გადაწყვეტილებით (მუხ. 8, ნაწ. 2).

მომრიგებელ მოსამართლეთა საქმიანობას (ნორმალურ ფუნქციონირებას) უზრუნველყოფს მისი აპარატი, რომლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი დგება ფედერაციის სუბიექტის კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხ. 9, ნაწ. 1). აპარატის მუშაკები წარმოადგენენ შესაბამისი სუბიექტის სახელმწიფო მოსამსახურეებს (მუხ. 9, ნაწ. 2).



მომრიგებელ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტირების მიზნით, მათი ხელფასისა და სოციალური ანაზღაურების გასაველების ფინანსირება ხდება არა ფედერაციის სუბიექტის, არამედ ფედერაციული ბიუჯეტიდან, რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოსთან არსებულ სასამართლო დეპარტამენტის ორგანოთა მეშვეობით (მუხ. 10, ნაწ. 1). საერთო წესით, მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობრივი განაკვეთი წესდება რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობრივი განაკვეთის 60%-ის ოდენობით, ხოლო ფედერალურ ქალაქებში მომუშავეთათვის – 64%-ის ოდენობით (მუხ. 10, ნაწ. 2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა (სასამართლოთა) მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას აწარმოებენ შესაბამისი სუბიექტების – იუსტიციის ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოები, ამავე სუბიექტის კანონმდებლობით დადგენილი წესით (მუხ. 10, ნაწ. 3).

### 3.4. მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია/ განსჯადობა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე

თანახმად „მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლისა, მომრიგებელი მოსამართლეები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ერთპიროვნულად განიხილავენ ცალკეული კატეგორიის (მათ განსჯადობას კანონით მიკუთვნებულ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა) საქმეებს. გარდა ამისა, მათივე კომპეტენციაში შედის მათ მიერვე აღრე განხილული საქმეების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ხელახლა განხილვა (მუხ. 3, ნაწ. 2).

#### 3.4.1. განსჯადობა სისხლის სამართლის საქმეებზე

თავდაპირველად ზემოხსენებული კანონი (მუხ. 3, ნაწ. 1, პ. 1) ადგენდა, რომ მომრიგებელი მოსამართლეები განიხილავდნენ იმ დანაშაულთა საქმეებს, რომელთა გამოც კანონით შეიძლებოდა დან-

იშნულიყო მაქსიმალური სასჯელი არაუმეტეს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით. 2002 წლის 1 ივლისს ძალაში შესულმა ახალმა სსსკ-მა [მუხ. 35-36, 178-181] დაადგინა, რომ მოძრიგებელი მოსამართლეები განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეებს, რომელთა გამოც მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 3 წელს, გარდა ამავე (31-ე) მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი ცალკეული კატეგორიის დანაშაულებისა (უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი საქმოდ ვრცელა!), რომლებიც, შესაბამისად, რაიონული ფედერალური მოსამართლეების განსჯადობას განეკუთვნება (მუხ. 31, ნაწ. 2).

მოძრიგებელ მოსამართლეთა განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეთა ბირთვს ქმნის კერძო ბრალდების საქმეები – ისინი მოძრიგებელთა მიერ განხილული საქმეების უმრავლესობას შეადგენდნენ. ამ ფონზე გასაგებია, თუ რატომ არის რუსეთის სსსკ-ში საგანგებოდ, დეტალურად რეგლამენტირებული კერძო ბრალდების საქმეთა აღძვრისა და მათი განხილვისადმი მიძღვნილი „კომპლექსური“ პროცედურული წესები (მუხ. 318-319), ხოლო საბრალდებო აქტით გაგზავნილ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის საკითხებს კი ეძღვნება მხოლოდ ერთი – 320-ე მუხლი.

### 3.4.2. სამოქალაქო საქმეთა განსჯადობა

თანახმად „მოძრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლისა, მოძრიგებელი მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან პირველი ინსტანციით განიხილონ შემდეგი კატეგორიის სამოქალაქო საქმეები:

ა) განქორწინების თაობაზე – თუ მეუღლეთა შორის არ არის დავა შვილებზე;

ბ) მეუღლეთა მიერ ერთობლივად შეძენილი ქონების გაყოფის თაობაზე;

გ) სხვა დავებისა გამო, რომლებიც წარმოიშვა საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან – გარდა მამობის (დედობის) დადგენის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, ბავშვის შვილების (შვილად აყვანის) შესახებ საქმეებისა;

დ) ქონებრივ დავებზე, როცა სარჩელის ფასი არ აღემატება შრომის ანაზღაურების 500 მინიმალურ ოდენობას (რაც სარჩელის, განცხადების მომენტიდან არის დადგენილი კანონით);

ე) შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებზე, გარდა სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავებისა;

ვ) მიწის ნაკვეთით, ნაგებობით და სხვა უძრავი ქონებით სარგებლობის წესის განსაზღვრის თაობაზე.

### 3.4.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსჯალობა

„მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ“ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რა კატეგორიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ მომრიგებელი მოსამართლეები – იგი შეიცავს მხოლოდ მითითებით ნორმას იმის თაობაზე, რომ მომრიგებელი მოსამართლეები განიხილავენ იმ საქმეებს, რომელთაც მათს განსჯალობას აკუთვნებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხ. 3, ნაწ. 1, პ. 9), რომელიც, საზოგადოდ, მეტად „დინამიური“ საკანონმდებლო აქტია – ხშირად განიცდის ცვლილება-დამატებებით გამოწვეულ „რყევებს“.

### 3.5. საქმეთა განხილვის პროცედურები

მომრიგებელი მოსამართლე საქმეს განიხილავს შესაბამის დარგში დადგენილ საერთო წესებისა და საგამონაკლისო (სპეციფიკური, განსაკუთრებული) პროცედურების შესაბამისად. ასე, მაგალითად, სსსკ-ის 41-ე თავი ადგენს, რომ საბრალდებო აქტით შესული საქმეების მოსამზადებელი პროცედურები მიმდინარეობს ჩვეულებრივი წესით (მუხ. 320) მაშინ, როცა კერძო ბრალდების საქმეთა მომზადება-განხილვა ტარდება სპეციფიკური წესებით.

3.5.1. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის წესები  
(პროცედურები) კერძო ბრალდების და დანარჩენ საქმეებზე

სსსკ-ის 318-ე მუხლი აღგენს კერძო ბრალდების საქმეთა აღძერის თავისებურებებს.

⊗ კერძო ბრალდების საქმეთა კატეგორიას, სსსკ-ის მე-20 მუხლის ძალით, მიეკუთვნება სულ 4 სახის დანაშაული: ა) სსკ-ის 115-ე მუხლი – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენება; ბ) 116-ე მუხლი – ცემა; გ) 129-ე მუხლის პირველი ნაწილი – ცილისწამება დამამძიმებელი გარემოების გარეშე და დ) 130-ე მუხლი – შეურაცხყოფა.

ამ კატეგორიის დანაშაულთა გამო, როგორც ცნობილია, საქმე შეიძლება აღიძრას მხოლოდ დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე (მუხ. 318, ნაწ. 1). თუ დაზარალებული გარდაიცვალა, საქმე შეიძლება აღიძრას მისი ახლო ნათესავის განცხადებით, ან კიდევ პროკურორის ინიციატივით (ნაწ. 2). საერთო წესით, პროკურორი ამ კატეგორიის საქმის აღძერისთვის ზომებს იღებს მხოლოდ მაშინ, თუ დაზარალებულს, თავისი უმწეო მდგომარეობის გამო, არ ძალუძს დაიცვას თავისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, პროკურორი საქმეს აგზავნის არა პირდაპირ სასამართლოში, არამედ წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად (ნაწ. 3). პროკურორის საქმეში ჩართვა, განსხვავებით საქართველოში 1998 წლის სსსკ-ის 634-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესისაგან, არც ერთ ეტაპზე არ ართმევს მხარეებს შერიგების უფლებას (ნაწ. 4). ეს კი უფრო მართებულ გადაწყვეტად მიმაჩნია, დისპოზიციურობის მსოფლიოში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობაც აღიარებს, როგორც საჯაროობის საპირისპირო, ამასთან, მის ჯუფთ პრინციპს (იხ. საქართველოს სსსკ, მუხ. 14).

კანონი აღგენს შეტანილი განცხადების რიგ რეკვიზიტებს (ნაწ. 5), აგრეთვე საკმარისი რაოდენობის ასლების დართვის სავალდებულობას (ნაწ. 6). განცხადების შეტანის მომენტიდან, თუ იგი შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, საქმე ითვლება აღძრულად,

რაც მართებული წესია თუნდაც იმიტომ, რომ სასამართლოს (მოსამართლეს) თავიდან აცილებს საქმის აღძვრასთან ანუ სისხლის-სამართლებრივი დევნისმიერი (დევნითი) მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებულ პრინციპულ (შეუთავსებელ) უხერხულობას\*. ამ მომენტიდან განმცხადებელი ითვლება კერძო ბრალმძღვლად, ამიტომ მას უნდა განემართოს სსსკ-ის 42-43-ე მუხლებით გათვალისწინებული მისი უფლებები. აღნიშნულის თაობაზე დგება ოქში, რომელსაც ხელს აწერენ მომრიგებელი მოსამართლე და განმცხადებელი (ნაწ. 7). მომრიგებელ მოსამართლეს უფლება აქვს, მხარეთა შუამდგომლობით, აღმოუჩინოს მათ დახმარება მტკიცებულებათა შეგროვებაში, თუ ეს დამოუკიდებლად არ ძალუძთ (მუხ. 319, ნაწ. 4). თუ საკმარისი საფუძველი არსებობს, მომრიგებელი მოსამართლე, განცხადების შეტანიდან 7 დღის ვადაში, იძახებს პირს, ვის მიმართაცაა შეტანილი განცხადება, აცნობს მას მასალებს, აბარებს განცხადების ასლს, განუმარტავს განსასჯელის უფლებებს (რომლებიც გათვალისწინებულია რფ-ის სსსკ-ის 47-ე მუხლით), აგრეთვე ადგენს, თუ, ამ პირის აზრით, ვისი გამოძახებაა საჭირო მოწმედ დასაკითხად, რის თაობაზეც მას ჩამოართმევს ხელწერილს (ნაწ. 3). თუ აღნიშნული პირი არ გამოცხადდა, მას ეგზავნება განცხადების ასლი, მისი უფლებების ნუსხა, აგრეთვე მხარეთა შერიგების პირობები და წესები (ნაწ. 4). მომრიგებელი მოსამართლე, მისი ინსტიტუციურ-ფუნქციური მოვალეობიდან გამომდინარე, ვალდებულია გულდასმით შეამოწმოს (გამოარკვიოს) მხარეთა შერიგების (რაც აქ პრიორიტეტული, უწინარესი მიზანია!) შესაძლებლობა. თუ მოსამართლემ მიიღო მხარეთა განცხადებები შერიგების შესახებ, იგი წვევტს წარმოებას საქმეზე – სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე (ნაწ. 5), ხოლო, თუ შერიგება ვერ იქნა მიღწეული, მომრიგებელი მოსამართლე ნიშნავს საქმის არსებითად ანუ სასამართლო სხდომაზე განხილვას – სსსკ-ის 33-ე მუხლით დადგენილი წესისამებრ, ანუ ჩვეულებრივი (!) პროცედურით (ნაწ. 6).

\* ამგვარივე უხერხულობას შეიკავდა საქართველოს ამჟამინდელი სსსკ, რაც მოიხსნა ჩვენში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საერთოდ გაუქმების შედეგად (25.03.2005 წ.)

სსსკ-ის 321-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განხილვა უნდა დაიწყოს არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 14 დღისა სასამართლოში განცხადების ან სისხლის სამართლის საქმის შესვლის დღიდან (ნაწ. 2). თუ კერძო ბრალდების საქმეზე შევიდა შემწვევრი განცხადება, ორივე განცხადება შეიძლება გაერთიანდეს მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით – სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. ამ შემთხვევაში, თითოეული მხარე არის ერთ ეპიზოდში – კერძო ბრალმძებელი, მეორეში კი – განსასჯელი. მათ მოსამზადებლად ეძლევათ არაუმეტეს 3 დღისა. მხარეთა დაკითხვაც, შესაბამისად, ხდება ორ-ორჯერ – ჯერ კერძო ბრალმძებლის, შემდეგ კი განსასჯელის სტატუსით (ნაწ. 3). კერძო ბრალმძებელი, ცხადია, როგორც წესი, მხარს უჭერს ბრალდებას. დანარჩენ საქმეებზე, ბუნებრივია, სახელმწიფო ბრალდების ფუნქციას ახორციელებს პროკურორი.

სასამართლო გამოძიება კერძო ბრალდების საქმეებზე იწყება კერძო ბრალმძებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ განცხადების გადმოცემით (ბრალდების ჩამოყალიბებით), რის შემდეგაც იგი წარადგენს მტკიცებულებებს, მონაწილეობს მათ გამოკვლევაში, გამოთქვამს მოსაზრებებს ბრალდების არსის, გამოსაყენებელი კანონისა და განსასჯელისათვის დასანიშნი სასჯელის თაობაზე, აგრეთვე სასამართლო განხილვისას წამოჭრილ სხვა საკითხებზე. ბრალმძებელს შეუძლია შეცვალოს ბრალდება, თუ ამით არ უარესდება განსასჯელის მდგომარეობა და არ ირღვევა მისი დაცვის უფლება. კერძო ბრალმძებელს, ცხადია, უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე.

მომრიგებელ მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს საერთო წესით (მუხ. 322).

მომრიგებელი მოსამართლის განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა მიერ, მისი გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში, სსსკ-ის 354-ე და 355-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად (მუხ. 323, ნაწ. 1). ამავე ვადაში ხდება საქმის შეწყვეტის შესახებ და სხვა დადგენილებათა გასაჩივრებაც (ნაწ. 2). საჩივარი თუ პროკურორის წარდგინება შეიტანება მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელიც მას,

საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობისამებრ, აგზაენის რაიონულ (ფედერალურ) სასამართლოში, რომელიც საჩივარს (საქმეს) იხილავს აპელაციის\* წესით (მუხ. 354, ნაწ. 2).

### *3.5.2. მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის თავისებურებანი (მოკლე მიმოხილვა)*

ძალზე მოკლედ (მკითხველს რომ ელემენტარული წარმოდგენა მაინც შეექმნეს) მიმოვიხილავ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის საკვანძო საპროცესო თუ პროცედურულ საკითხებს, რომლებიც, ცხადია, ორდინარულ სისხლის-სამართლებრივ პროცედურებთან შედარებით, გასაგები სიმარტივით ხასიათდება (კიდევ უფრო მარტივია ისედაც სამოქალაქოს მსგავსი პროცედურები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას, ამიტომ მათზე არ შევჩერდები). კერძოდ:

მას შემდეგ, რაც მომრიგებელი მოსამართლე შეამოწმებს, დაცულია თუ არა სასარჩელო განცხადების წარმოდგენისას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსკ) 126-ე და 127-ე მუხლების მოთხოვნები, იგი ასრულებს შემდგომი ეტაპის – სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების – მოქმედებებს (საჭირო გარემოებების, გამოსაყენებელი კანონის, პროცესის მონაწილეთა წრის, წარმოსადგენი მტკიცებულებების „წინასწარი“ გარკვევა და ამ საკითხთა რეალიზაციისთვის საჭირო ზომების მიღება). შეიძლება მხარეები როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთადაც იქნენ გამოძახებულნი მთავარი საკითხის – შერიგების შესაძლებლობის – გასარკვევად. შედეგად იგი, 142-ე მუხლის შესაბამისად გამოტანილი განჩინებით, ნიშნავს სასამართლო (ანუ არსებითად) განხილვას, რომელიც სამოქალაქო პროცესის ცენტრალური სტადიაა. იგი შედგება შემდეგი ოთხი ან ხუთი ნაწილისაგან: 1) მოსამზადებელი; 2) საქმის არსებითად განხილვა; 3) სასამართლო კამათი; 4) პროკურორის დასკვნა – თუ იგი მონაწილეობს საქმეში; 5) გადაწყვეტილების გამოტანა და

\* აპელაციის რუსული მოდელის შესახებ იხ. მაკალითაძე: 329, გვ. 172-178; 324, გვ. 326-332; 11, გვ. 6, 60, 68-69, 76 და სხვა; 24, გვ. 272.

გამოცხადება. მეორე ნაწილი იწყება მომრიგებელი მოსამართლის მიერ საქმის გარემოებათა (მათ შორის მოსამზადებელი ეტაპის შედეგების) გადმოცემით, რის შემდეგაც იგი არკვევს, მხარს უჭერს თუ არა მოსარჩელე სარჩელს, სცნობს თუ არა მას მოპასუხე, ხომ არ სურთ მხარეებს საქმე დაამთავრონ მორიგებით. თუ საქმე მორიგებით არ დამთავრდა, მომრიგებელი მოსამართლე განსაზღვრავს მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს და ახორციელებს აღნიშნულს (უწინარესად – მოწმეთა დაკითხვას, შემდეგ – ნივთიერ მტკიცებულებათა და ექსპერტის დასკვნის გამოკვლევას და სხვ.). ამ ნაწილის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა კამათში მონაწილეობენ მხარეები და მათი წარმომადგენლები (თანამიმდევრობა: მოსარჩელე-მოპასუხე), აგრეთვე მესამე პირი, რომელსაც დამოუკიდებელი მოთხოვნა აქვს (თუ მას დამოუკიდებელი მოთხოვნა არ განუცხადებია, გამოდის იმ მხარის შემდეგ, რომლის მხარდამჭერიცაა). ამის შემდეგ, თუ პროკურორის დასკვნა არ არის მოსასმენი, მომრიგებელი მოსამართლე გადის სათათბირო ოთახში და გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელსაც საჯაროდ (საქვეყნოდ) აცხადებს სხდომის დარბაზში, ამასთან, განმარტავს მის შინაარსს, გასაჩივრების წესსა და ვადას (მუხ. 190). ყველა ეს მოქმედება მომრიგებელი მოსამართლის მიერ ტარდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, რაიმე „სპეციალურ“ საპროცესო გამარტივებათა გარეშე [184, გვ. 49 და სხვ.].

### 3.6. მომრიგებელ სასამართლოთა მუშაობის პირველი შედეგები და არსებული პრობლემები

2000 წლის 6 იანვრიდან, როცა ბრიანსკის ოლქში დაინიშნა პირველი ექვსი მომრიგებელი მოსამართლე, თითქმის ხუთი წელი დასჭირდა იმას, რომ ფედერაციის სუბიექტებს მიეღოთ შესაბამისი „მადელტალიზებული“ კანონმდებლობები. კერძოდ, 2004 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 89-დან 88 სუბიექტში უკვე მიღებული იყო შესაბამისი კანონები მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ. ამ



დღისათვის რუსეთის ფედერაციაში სულ დანიშნული იყო 58.333 მოსამართლე, ანუ შტატებით გათვალისწინებულთა 88,9% – 18 სუბიექტში მთლიანად, 65-ში კი – 70%-დან 98%-მდე. თუ 2001-2002 წლებში მომრიგებელი მოსამართლეები ჯერ კიდევ ძალას იკრებდნენ, 2003 წლიდან აღინიშნა მათი გადაჭრით გააქტიურების ტენდენცია. ასე, მაგალითად:

2003 წელს ფედერაციის 87 სუბიექტში 5.6 ათასმა მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა 298,4 ათასი სისხლის სამართლის საქმე, ანუ 18%-ით მეტი. მათგან განაჩენის გამოტანით დამთავრდა 119,6 ათასი საქმე ანუ 42%. კერძო ბრალდების საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 74,1 ათასს (ანუ 25%), ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებათა – 11,8 ათასს (40%), ქურდობათა – 29,4 ათასს (10%), მოტყუებისა და სხვა დანაშაულებისა ეკონომიკის სფეროში – 47,1 ათასს (16%), ხულიგნობისა – 20,9 ათასს (7%). მსჯავრდებულთა რიცხვი შეადგენდა 119,2 ათასს, გამართლებულებისა – 3,9 ათასს ანუ 2,9%-ს [273, გვ. 71].

ამავე პერიოდში განხილულ იქნა 29,9%-ით მეტი სამოქალაქო საქმე, ვიდრე 2002 წელს (3,031 ათასი), ხოლო განხილულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები გაიზარდა თითქმის სამჯერ და შეადგინა 2.649 ათასი საქმე [იქვე, გვ. 73].

მიუხედავად კონკრეტული, საკმაოდ შთაბეჭდავი წარმატებებისა (რაც აისახა არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებშიც), რუსულ მომრიგებელ იუსტიციას გააჩნია „თანდაყოლილი“ და დღემდე მეტ-ნაკლებად გადაუჭრელი პრობლემები. საილუსტრაციოდ მივუთითებ ორ უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე:

1) ინსტიტუტის მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა ერთხმად მიუთითებს ისეთ ჯერჯერობით გადაუჭრელ, ობიექტურ სირთულეზე, როგორცაა მომრიგებელ მოსამართლეთა დაფინანსება. იგი, უპირატესად, გამომდინარეობს კანონმდებლობის ხარვეზებიდან და წინააღმდეგობებიდან. კერძოდ, მომრიგებელი იუსტიციის დაფინანსება, ფედერალურ სასამართლოთაგან განსხვავებით, როგორც აღინიშნა, ხდება ორი წყაროდან. კერძოდ, ხელფასებს და სოციალურ გადასახადებს აფინანსებს ფედერალური ბიუჯეტი, დანარჩენთ კი –

ფედერაციის სუბიექტის ბიუჯეტი<sup>\*</sup>. აქედან გამომდინარე, მომრიგებელ მოსამართლეთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (შენობით, ინვენტარით და ა.შ.) ეკისრებათ ფედერაციის სუბიექტებს, რაც აძნელებს ამ სასამართლოთა ფუნქციონირების ჯეროვანი უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჰარმონიზაციას [362, გვ. 172-178; 288, გვ. 14-20]. მეტიც, ზოგჯერ ადგილებზე იღებენ კანონებს, რომელთა ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობა საფუძვლიან ეჭვს იწვევს. შესაბამისად, ხდება პრაქტიკის „აჭრელება“. რაც მთავარია, მომრიგებელი მოსამართლეები, სასამართლო უბნების შექმნა-გაუქმების, მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნისა თუ არჩევის ადგილობრივი წესის გამო, ხშირად განიცდიან ზემოქმედებას (!) ადგილობრივ ორგანოთაგან, რაც ეჭვქვეშ აყენებს მათ დამოუკიდებლობა-მიუკერძოებლობასა და, შესაბამისად, ობიექტურობას [იქვე, აგრეთვე 250, გვ. 30-34; 295, გვ. 291-292; 155, გვ. 46-50];

2) ის გარემოება, რომ მომრიგებელი მოსამართლეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ხელმძღვანელობენ ადგილობრივი კანონებით (კერძოდ, განიხილავენ ადგილობრივი კანონების დარღვევის შესახებ საქმეებს, რომლებითაც, ბუნებრივია, დაინტერესებულია ადგილობრივი ადმინისტრაცია), კიდევ უფრო ართულებს მიუკერძოებლობა-ობიექტურობის პრობლემას, მით უმეტეს, რომ, რუსეთის ფედერაციაში ადმინისტრაციული იუსტიციის შექმნის მოლოდინში, რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა რუსეთის 2001 წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (ძალაშია 2002 წლის 1 ივლისიდან) არ გადაწყვეტილა – ღიად იქნა დატოვებული [184, გვ. 151-152].

---

\* უფრო მეტიც, საანგარიშო კალატის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ სასამართლო სისტემის დაფინანსებაში ზოგჯერ მონაწილეობენ გარეშე ორგანიზაციებიც, რაც კონსტიტუციის დარღვევად მიჩნეული [362, გვ. 173].

## **ნაწილი მეოთხე**

**ნაწილს მსაჯულთა და მაგისტრატ მოსამართლეთა  
ინსტიტუტების ქართული მოდელები**

**თავი I. ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატ/**  
**მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტების**  
**ქართული ისტორიული პარალელები და ვარიანტები**  
**(მოკლე რეზიუმე მისი მიმოხილვა)**

**მცირე შესავალი**

ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი იუსტიციის წმინდა („კლასიკური“) ინსტიტუტები, მით უფრო ამგვარი სახელწოდებებით, საქართველოში, ცარიტული რუსეთის იმპერიის მიერ მის ანექსირებამდე, არასოდეს არსებულა. შემდგომში, ეს „ტრადიცია“ ორჯერ დაირღვა: პირველად მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას – მომრიგებელი მოსამართლის რუსული მოდელის დანერგვით, მეორედ – მენშევიკურ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებით. წინასწარ შევნიშნავ, რომ მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი, ილიასდროინდელ საქართველოში, საკმაოდ გაუკუღმართებული ფორმით დაინერგა და, ამასთან, ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის დანარჩენ პროვინციებში, აქაც მალე „აღესრულა“. რაც შეეხება მენშევიკურ საქართველოში იურიდიულად დაფუძნებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, იგი აქ ისევე უღელური აღმოჩნდა, როგორც თავად მენშევიკური ხელისუფლება!..

**§1. როგორია „ქართული კვალი“ ნაფიც მსაჯულთა**  
**ინსტიტუტის „საყოველთაო ისტორიაში“?**

**1.1. ისტორიული ფონი (ფრაგმენტები)**

როგორც აღინიშნა, მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოს ისტორიაში, კერძოდ კი ქართულ სასამართლო (სამართლებრივ) ინსტიტუტებში, არათუ ნაფიც მსაჯულთა კლასიკური ინსტიტუტის რაიმე ანალოგი, არამედ მისი ინსტიტუციურად მეტ-

ნაკლებად გამოკვეთილი რაიმე პირველსაზეც კი არ მოიპოვება — უკიდურეს შემთხვევაში, ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ მის ცალკეულ მდგენელთა თუ ფრაგმენტთა რაღაც შორეულ, მკრთალ ანარეკლზე (შორეულ, ამასთან, ფრაგმენტულ მსგავსებაზე). კერძოდ, მხედველობაში მაქვს როგორც ცნობილი „სამეფო დარბაზი“ — „დარბაზის ერი“ [48, წიგნი 1, გვ. 132-136], ისე საქართველოს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ნაწილების ცალკეულ რეგიონებში (განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში) არსებული, სასამართლო ფუნქციის მქონე ზოგიერთი წარმონაქმნი. ისინი, როგორც წესი, იქმნებოდა ქართული ჩვეულებითი სამართლის შესაბამისად, ამასთან, არა ოდენ სოფლის, თემის, ხეობის, კუთხის ყრილობების სახით, არამედ უფრო კომპაქტური წარმონაქმნების — მაგალითად, უხუცესთა (სოფლის თავკაცების, „წინაი კაცების“, „თემის კაცების“ და მისთ.) საბჭოების სახელწოდებით. ისინი კოლეგიურად განსჯიდნენ და წყვეტდნენ როგორც ფაქტის, ისე სასჯელის (ანუ სამართლის) საკითხებს [32, გვ. 116-120].

⊗ მაგალითად, ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლისათვის ცნობილი იყო სამართალწარმოების (სასამართლოს) ისეთი სახე, როგორიც იყო „რეული“, ანუ 4-დან 12-მდე კაცისაგან — რჩეული პირებისაგან (ძირითადად ისინი უხუცესნი იყვნენ, თუმცა, პირადი ღირსების მიხედვით, მასში ახალგაზრდებიც შეიძლებოდა შეეყვანათ) — შემდგარი სასამართლო. საგულისხმოა, რომ ამ სასამართლოს წევრებს მსაჯულებს უწოდებდნენ. ისინი ძველი ადამ-ჩვევების მიხედვით იხილავდნენ მესისხლეთა შერიგების, ქურდობის, განქორწინებისა და სხვა მსგავს საქმეებს [119, გვ. 52]. ფაქტების დადგენაში მათ, ცხადია, ხელს უწყობდა თავიანთი ინფორმირებულობა განსასჯელის (მხარის) პიროვნებისა თუ ქმედების (საქმის გარემოებათა) თაობაზე, სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში კი — ჩვეულებითი (ადგილობრივი) სამართლის გამორჩეულად ცოდნა. თუ გავითვალისწინებთ ამ სასამართლოს კოლეგიურობის, „სახალხოობის“ („რჩეულობის“) ნიშნებსაც, აშკარაა პარალელების მოძიების შესაძლებლობა ზემოთ (მეორე ნაწილში) საკმაოდ დეტალურად განხილულ მე-11 საუკუნის და ცოტა გვიანდელ ინგლისურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველსახესთან, მის ჩანასახოვან ფორმასთან!.. აქ, მართალია, ირიბ,

მაგრამ, ვფიქრობ, მინც საკმაოდ ნიშანდობლივ ასპექტად გვევლინება საქართველოში ფიცის, როგორც უნივერსალური მტკიცებულების და მასთან დაკავშირებული საპროცედურო-სარიტუალო წესების ერთობ დიდი, ხშირად გადამწყვეტი როლი და მნიშვნელობა [65, გვ. 113-123; 48, წიგნი 2, გვ. 145-178], მით უმეტეს, რომ განასხვავებდნენ „თავდათავ მაფიცარს“ (ანუ საქმეში მზარედ გამავალ პირს) და „თანამოფიცარს“ (ანუ პირს, რომელიც „ძირითად მაფიცართან ერთად ან უამისოდ, მოდავე მზარის პოზიციის გასამაგრებლად იფიცებს“) [48, წიგნი 2, გვ. 164; აგრეთვე: 106, გვ. 811].

ისევე, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა პროვინციებში (პოლონეთი, ბალტიისპირეთი და სხვ.), მეფის რუსეთის მმართველებს არც ამიერკავკასიაში, მათ შორის არც მის „ბუნებრივ“ ცენტრში – საქართველოში დაუნერგავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რასაც, როგორც ითქვა, იმით ამართლებდნენ, რომ ამ რეგიონების მოსახლეობა საამისოდ მზად არ იყო (!) თავისი სამართლებრივი განვითარების დონით [195, გვ. 13; .... გვ. 5]. მოიპოვება ცნობები, რომ ამ პროვინციათაგან ზოგიერთის (მათ შორის, საქართველოს) წარმომადგენლები რუსეთის იმპერატორს არაერთგზის მიმართავდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თხოვნით, მაგრამ ამაოდ.

## 1.2. ილია ჭავჭავაძე და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი: იმედი ამაოა...

ილია ჭავჭავაძის რიგ თხზულებებში ნათლად ჩანს, რომ იგი, ისევე, როგორც იმდროინდელი მოწინავე ქართული საზოგადოებრიობა, საკმაოდ უნდობლად იყო განწყობილი რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკური სასამართლოების მიმართ („მოსამართლე ხელმწიფის ყურიაო“, წერდა ილია). ამიტომაც, იგი დიდი იმედის თვალთ უყურებდა საზოგადოების, ხალხის ფართო ფენების მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. თვითონ ილიას ამის მნიშვნელოვან ფორმად მიაჩნდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება [1, გვ. 354]. ამ ინსტიტუტის მიმართ მისი ერთობ მაღალი (ამასთან,

ისტორიულადაც და ღლეკანდელი გადასახედიდანაც, ვფიქრობ, მეტი სიმეტად, საგანგებოდ რომანტიზებულ-ჰიპერბოლიზებული\*) აზრი ნათლად ჩანს ილიას შემდეგი სიტყვებიდან:

„მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული“ [114, გვ. 338].

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის როლისა და მნიშვნელობის უფრო ზეალმატებული შეფასება ძნელია სადმე, ვინმესთან მოიძებნოს!..

ი. ჭავჭავაძე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტთან ერთად, პირდაპირ უკავშირებდა საზოგადოებაში ჭეშმარიტი სამართლიანობის, სამართლიანი მართლმსაჯულების იდეებს – როგორც ამ იდეათა ცხოვრებაში რეალიზაციის ყველაზე ქმედით ინსტრუმენტებს, ამასთან, მათ განიხილავდა ბრალდებულის დამცველით ჯეროვნად უზრუნველყოფის, ინსტანციური გასაჩივრება-გადასინჯვის რეალურ მექანიზმებთან უნისონში [175, გვ. 162-167]. იგი მიუთითებდა, რომ „განსამართლების (ანუ სამართალწარმოების) წესებს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს სრული რეალიზაციისათვის [1, გვ. 354] და ამ ასპექტში ცალსახად მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ისევე, როგორც მომრიგებელ იუსტიციას, სწორედ ამგვარი „წესების“ როლის შესრულება შეეძლო ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში, რამეთუ აქ „განსამართლებდა ხალხის და არა ჩინოვნიკის სინდისი“ [14, ტ. 5, გვ. 134].

ილიას, ისევე, როგორც თანადროული ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილს, პირველ ხანებში ამ ინსტიტუტის შემოღების რეალური იმედი (მოლოდინი) რომ ჰქონდა, ჩანს შემდეგი-

\* უწინარესად, მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიაშიც, ისევე, როგორც ინგლისური მოდელის სხვა სისტემებში, ნაფიც მსაჯულთა შემოხვეულობის პრინციპით შერჩევის წესი გამოიყენებოდა მათ „უკეთეს კაცთაგან“ (რჩეულთაგან) დაკომპლექტებას, რაც, ცხადია, ილიამ კარგად იცოდა!..

დანაც: იგი კატეგორიულად მიიჩნევს (მოითხოვს), რომ, უწინარესად, თვითონ მოსამართლენი უნდა იყვნენ ადგილობრივი ანუ ქართული ენის მცოდნენი და არგუმენტად მოიხმობს ამგვარ მაგალითს: „აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაური ენის მცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა და ბრალმძებლებმა მჭევრმეტყველების ყაბახი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგერიოს თუ რა ქნას და თუ ნაფიც მსაჯულებს კანონად დაუდებთ რუსული ენის ცოდნას, და თუ სახეში მივიღებთ — რომ მარტო მოსახლეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკების სამართალი იქნება და არა ერისა“ [114, ტ. 5, გვ. 134-135]. აქედან გამომდინარეობს ნაფიც მსაჯულთა მიერ განხორციელებული სამართლის (მართლმსაჯულების) შეფასება, როგორც „ერის სამართლისა“, რაც, ეჭვს გარეშეა, ასევე უმაღლესი შეფასებაა „ერის მამად“ წოდებული დიდი ქართველი მწერლისა და მოღვაწისაგან!..

... სამწუხაროდ, მეფის რუსეთის მმართველთა მიერ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების იმედს ასრულება არ ეწერა — როგორც ილიას გაზეთ „ივერიის“ 1889 წლის 15 აპრილის ნომრის მოწინავე სტატიაში წერდა ალ. სარაჯიშვილი, ცარიზმმა ქართველ ხალხს არათუ მთლიან სამართლიან სასამართლო სისტემაზე უთხრა უარი, არამედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების „წყალობაც“ კი წაართვა“ [176, გვ. 164].

⊗ მცირე ისტორიული ცნობა — საკითხის მეტი სისრულისათვის: კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ ცარიტულმა ხელისუფლებამ ღონისძიებების გატარება დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს. პირველი ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე საქართველოს პრესაში გაჩნდა 1895 წელს. მაისში ამ საკითხზე შედგა კავკასიის იურიდიული საზოგადოების კრება, რომელზეც გამოვიდა ამ ნაშრომში არაერთგზის მოხსენიებული ცნობილი რუსი

\* ძელი არ არის ამ „სავედურის“ და მასში გაცხადებული განწყობის მიმართ პარალელის გაღება აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გამოხატულ „ამერიკულ სამღვრეთან“ ინგლისელთა (მეტროპოლიის) მისამართით (იხ. ნაწილი მეორე).



ოურისტები, იმჟამად სენატორი ა. კონი. შემდგომ წლებში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავადაზნაურობამ კრებებზე შექმნა „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემუშავებული კომისია“, რომლის წევრი ილია ჭავჭავაძეც იყო. საბოლოოდ, როგორც აღინიშნა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამდე შექმნილი არ ყოფილა.

### 1.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცარიზმის შემდგომ, დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წწ.)

1.3.1. რუსეთის იმპერიის კრახის შემდეგ, საქართველოს დროებითმა მთავრობამ განიზრახა სასამართლო რეფორმის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც, როგორც ჩანს, იმთავითვე მოაზრებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებაც. საკითხის გენერირება დაიწყო დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 21 სექტემბერს „სასამართლო დაწესებულების დებულებათა“ ახალი რედაქციის დამტკიცებით. შემდგომში შემუშავდა სათანადო ცვლილებები „სისხლის სამართლის წარმოების წესდებაში“ შესატანად, 1919 წლის 17 იანვარს კი მიღებულ იქნა „კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა“ [89, გვ. 206-207]. იგი შედგებოდა სულ 3 მუხლისაგან. კერძოდ:

„1. შემოღებულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავად იმ საფუძველთა, რომელიც დადგენილია სასამართლო დაწესებულების დებულებათა დრ. მთავრობის 1917 წლის სექტემბრის 21-ის რედაქციით და სისხლის სამართლის წარმოების წესდებით\*, იმ ცვლილებით და დამატებით, რომელიც აღნიშნულია ნაფიც მსაჯულთა დებულებაში.

2. დროებით, რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს შემოღებამდე, უფლებანი და მოვალეობანი ამ სასამართლოსი, თანახმად

\* მხედველობაშია რუსეთის იმპერიის ცნობილი წესდება, რომელსაც, ცხადია, დროებით იყენებდა საქართველოს ახალმოსული ხელისუფლება.

ამ დებულების II ნაწილის 1 მუხლისა, მიენიჭოს სასამართლო პალატას.

3. დაევალოს იუსტიციის მინისტრს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაჩქარებით შემოსაღებად – არა უგვიანეს 1919 წ. ივნისის 1-ისა – თავის უფლებით განსაზღვროს დრო და ვადა სათანადო სიების შედგენისა ნაფიც მსაჯულთა ასარჩევად“.

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულება“, რომელზეც მითითებული იყო კანონში, მიღებულ იქნა იმავე დღეს, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ [83, გვ. 207-215].

1.3.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებისეულ ვარიანტში, უწინარესად და განსაკუთრებით, ყურადღებას იქცევს შემოთავაზებული მოდელის შემდეგი უმნიშვნელოვანესი, კონცეფტუალური სპეციფიკა:

ნაფიცი მსაჯულები (12 კაცის შემადგენლობით), ტრადიციისამებრ, მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტდნენ დამნაშავედ ცნობა-არცნობის ანუ ფაქტის საკითხს (საკითხებს), მაგრამ, ამასთან, თანახმად ზემოხსენებული დებულების მე-2 განყოფილების მე-10 მუხლისა, „დამნაშავედ ცნობილისათვის სასჯელის დადება, მის წინააღმდეგ აღძრული სამოქალაქო საჩივრის დაკმაყოფილება და ყველა სხვა შედეგი, გამომდინარე დამნაშავეობიდან, ნაფიც მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ თავმჯდომარესთან ერთად“ [იქვე, გვ. 214]. ამგვარად, ნაფიც მსაჯულთა ჟიური, დებულების თანახმად, სრულიად ავტონომიური იყო „საკუთარი“ საკითხების გადაწყვეტაში და, ამასთან, ფაქტობრივად, თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობის გათვალისწინებით, მძლავრად იჭრებოდა პროფესიონალი მოსამართლისეულ საკითხებში, თანაც, არა ამერიკული (ზოგიერთი შტატის) სარეკომენდაციო, არამედ საკითხის იმპერატიულად გადაწყვეტის უფლებამოსილებით!.. ამგვარი რამ კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოდელად აღებულ რუსულ ვარიანტში ცნობილი არ ყოფილა. როგორც დებულებიდან (II განყოფილების მე-13 მუხლი) ჩანს, სხდომის თავმჯდომარის მიერ, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად წყდებოდა მხოლოდ „სასყიდლის დანიშვნა მოწმეებისა, ექსპერტებისა და ყველა

იმათვის, ვინც სასამართლოშია დაბარებული და კანონით სასყიდლის მიცემა აქვს დაწესებული“ [იქვე]. რაც შეეხება „გადასახდელის მისჯას სასამართლოს მოთხოვნილებისა ან კანონით დადებული მოვალეობის აუსრულებლობისათვის“, მათ სასამართლოს ორივე ნაწილი (მოსამართლე და მსაჯულები) ერთობლივად იზილავედა „სასამართლოს სხდომის შემდეგ, უმახლობლეს გამწესრიგებულს სხდომაზე“ [იქვე, II განყოფილება, მუხ. 9]. აქედანაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მომეტებულად დიდი, ტრადიციული – ორდინარულთან შედარებით ერთობ გაზრდილი – ფუნქციები (უფლებამოსილება) გააჩნდა აღნიშნული ვარიანტის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს!

1.3.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნორმატიული ორგანიზაცია (ფორმირება). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ფუნქციონირების მომენტში, შედგებოდა 1 მოსამართლისაგან (სხდომის თავმჯდომარე), 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან.

ნაფიც მსაჯულად აირჩეოდა ორივე სქესის, 25 წელს მიღწეული პირები, რომლებიც იყვნენ საქართველოს მოქალაქენი (ქვეშევრდომნი), იცოდნენ „ქართული ენა და წერა-კითხვა რომელსამე ენაზე“, ამასთან, არანაკლებ ერთი წელი მაინც უცხოვრიათ იმ მაზრასა თუ ქალაქში, სადაც ნაფიც მსაჯულთა არჩევა ხდებოდა [„დებულების“ I განყოფილება, მუხ. 1].

ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეეძლოთ: ა) ვინც რაიმე დანაშაულისათვის იყო ბრალდებული ან სამართალში მიცემული, ანდა ვისაც სასამართლოს დადგენილებით „საპატიმრო ან უფრო სასტიკი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი“, ან კიდევ „სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ ცნობილი არ არის“ [იქვე, მუხ. 2]; ბ) სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვნილთ; გ) გადახდისუუნარო („ვერ შემძლე“) მოვალედ გამოცხადებულთ; დ) მფლანგველობის გამო მზრუნველობის ქვეშ მყოფთ; ე) ბრმებს, ყრუთ, მუნჯთ და შეშლილთ [იქვე]. მე-4 მუხლში მითითებული იყო, რომ, გარდა ამისა, „ნაფიც მსაჯულთა სიაში არ უნდა იქნეს შეტანილი“: ა) მღვდელმსახური და ბერ-მონაზონი; ბ) „სასამართლო დაწესებულების წევრი, ამ დაწესებულებათა კანცელარიის შტატის

მოხელე და აგრეთვე სასამართლოს ბოქაული“; გ) პროკურატურის მუშაკი; დ) სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის უფროსები; ე) სამხედრო და საზღვაო უწყებების ცალკეული თანამშრომლები; ვ) საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი; ზ) გუბერნიის (ოლქის), მაზრის, უბნისა და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე; თ) მილიციის მოხელე [იქვე, გვ. 208].

დებულება ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა „ამოსარჩევად“ საერთო და მორიგი სიების შედგენას (I განყოფილება, მუხ. 3). საერთო სია დგებოდა ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ივნისისა, ანბანური წესით (რიგისობით), ქალაქისა და მაზრის საერობო გამგეობების მიერ, რის შემდეგაც გამოიკვრებოდა აღნიშნული გამგეობების შენობებში (ამას დებულება უწოდებდა „სიის საჯაროდ გამოცხადებას... საყოველთაო განსახილველად“), რათა მოქალაქეებს მისცემოდათ მისი გაცნობისა და, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, გასაჩივრების საშუალება (იქვე, მუხ. 5-7). ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ გამგეობა აღნიშნულ სიას, განცხადებებითურთ და შესაბამისი განმარტებებითურთ, უგზავნიდა სოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განმწესრიგებულ სხდომაზე (ქალაქის მოურავის ან ერობის თავმჯდომარის და სამი ე.წ. „ხმოვანის“ მონაწილეობით), იხილავდა და წყვეტდა პრეტენზიებს. მათი გათვალისწინებით საერთო სიების შესწორების შემდეგ (რაც გულისხმობდა აგრეთვე „ზნეობრივად სახელგატეხილი პირების“ სიიდან ამოშლას), დარჩენილ პირთაგან, 1 ოქტომბრამდე დგებოდა ე.წ. მორიგი სია – ყოველი მაზრისათვის ცალკ-ცალკე, ამასთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამგვარ სიაში, თითოეული მაზრისთვის დადგენილი ნორმების მიხედვით, „გაცხრილული“ საერთო სიიდან წილისყრით შექპონდათ მხოლოდ ისინი, „რომელნიც უნდა მოწვეულ იქნენ სასამართლოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მომავალი წლის განმავლობაში“ (იქვე, მუხ.10). გარდა ამისა, დგებოდა ე.წ. „მონაწილე მსაჯულთა სია“, რომელშიც შექპონდათ მხოლოდ იმ ქალაქის მცხოვრებნი, სადაც უნდა გამართულიყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომა (მუხ. 15). დაბოლოს, ვინაიდან ოლქის სა-

სამართლოს სხდომები იმართებოდა ე.წ.სასესიო წესით, ყოველი სესიისათვის დგებოდა სათადარიგო მსაჯულთა სია 6 კაცის შემადგენლობით (მუხ. 16). როგორც წესი, ერთი და იმავე პირის მოწვევა ნაფიც მსაჯულად შეიძლებოდა მხოლოდ წელიწადში ერთხელ — ერთი სესიისათვის (მუხ. 17), ანაზღაურების მიტევებით (მუხ. 24). საქმეები, როგორც წესი, განიხილებოდა დადგენილი წესით შერჩეული (შემთხვევითობის პრინციპით მოწვეული, აცილება-თვითაცილების პროცედურებგავლილი) და ფიცმილებული მსაჯულების მიერ, ტრადიციული პროცედურებით. ამასთან, აშკარად გაფართოებული იყო ნაფიც მსაჯულთა კომპეტენცია და გარანტიები მტკიცებულებათა მოძიება-გამოკვლევის სფეროში. კერძოდ, დებულების II განყოფილების მე-8 მუხლის ძალით, „როდესაც ნაფიც მსაჯულთა გადასაწყვეტ საქმეთა განხილვის დროს სასამართლოს სხდომაზე შემოწმებულ იქნება ყველა შეკრებილი საბუთი, თავმჯდომარე უნდა შეეკითხოს მსაჯულებს, საქმის ყოველივე გარემოება საკმარისად არის იმათთვის გამორკვეული თუ არა და ხომ არ ჰსურთ სასამართლოს გამოძიების რითიმე შევსება. ნაფიც მსაჯულთ უფლება აქვთ მოითხოვონ საქმის ყოველი გარემოების სისწორით გამოსარკვევად მისი შევსება ყოველივე იმით, რასაც საჭიროდ დაინახავენ, გარდა კანონით აკრძალული მოქმედებისა. მათი განცხადების დაკმაყოფილების საკითხს გადასაწყვეტს თავმჯდომარე მხარეთა აზრის მოსმენის შემდეგ“ [83, გვ. 214]. (ხაზი ჩემია. — ი.ვ.).

1.3.4. კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაცია (დანერგვა). როგორც ზემოთ აღინიშნა, 1919 წლის 17 იანვრის კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების თაობაზე იუსტიციის მინისტრს ავალებდა არაუგვიანეს ამავე წლის 1 ივნისისა განესაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენის ვადები, რასაც უნდა მოჰყოლოდა პრაქტიკული ნაბიჯები ამგვარი სიების შედგენა-გაცხრილვისა და სხვა აუცილებელი მოქმედებების შესრულების მიზნით. შემდგომში,

\* დაფიცების რიტუალს ხელმძღვანელობდა (ფიცს ღებულობდა) სასულიერო პირი. დებულების II განყოფილების მე-3 მუხლი ადგენდა, რომ „თუ იმ ადგილას... არ აღმოჩნდა იმ სარწმუნოების სასულიერო პირი, რომელსაც ეკუთვნის რომელიმე ნაფიც მსაჯულთაგანი, მაშინ მას დაუფიცებს თავმჯდომარე; იმ პირს კი, რომელიც ფიცს არ იზიარებს, ფიცის მაგიერ საჯარო აღიქმა ჩამოერთმევა“ [83, გვ. 213].

დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში, ხელისუფლების ძალისხმევით, „საქართველოში... ზოგიერთ მაზრაში შემოდებულ იქნა რუსეთის ძველი სასამართლო დებულებით გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა ტიპის სასამართლო (რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. – ი.გ.), მაგრამ მისი საქმიანობა ისეთივე ხანმოკლე აღმოჩნდა, როგორც თვით მენშევიკური მთავრობისა“ [175, გვ. 164]. საქმეს ვერ უშველა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციაში, იმის დეკლარირების შემდეგ, რომ „ყოველი მოქალაქე გასამართლებულ უნდა იქნეს საერთო წესით“ (მუხ. 21), 81-ე მუხლში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის საგანგებოდ დაფიქსირებამ („მძიმე სისხლის სამართლის და, აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“) [83, გვ. 461, 472]. საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, ეს კონსტიტუცია მკვდრად შობილი აღმოჩნდა, რადგან, როგორც ცნობილია, მისი მიღებიდან 4 დღის შემდეგ საქართველოში ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმია შემოვიდა და დამოუკიდებელი საქართველოს საკმაოდ უმწეო ხელისუფლება დაამხო!..

## §2. მომრიგებელი იუსტიციის „ქართული ბამოვლინებანი“ (ისტორიული ფესვები და „რუსული გაბრძობა“)

### 2.1. მცირე შესავალი

სამართლებრივი კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მორიგება („შერიგებით“ დაწყებული) და ამ მიზნით ერთი ან მეტი გარეშე („ნეიტრალური“, „სანდო“, „მიუკერძოებელი“...) პირის, ანუ მომრიგებლის (მომრიგებელთა) ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა შესაბამის პროცედურებში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც ფართოდ გამოიყენებოდა – იქნებ უფრო მეტადაც კი, ვინემ ამ ქვეყანათა უმრავლესობაში!.. ამას განაპირობებდა ან ხელს უწყობდა ადრეული და უფრო გვიანდელი საქართველოს ღრმად ტრადიციული სოციალურ-ფსიქოლოგიური წყობა და შესაბამისი „სინჯის“ მენტალიტეტი. ეს უფრო მეტი კატეგორიულობით ითქმის მთიან საქართველოზე – მისი მთიანეთის კუთხეებზე, სადაც პატრიარქალურ-თემური ტრადიციები გაცილებით უფრო ძლიერად და დიდხანს ბატონობდა და მათი გარკვეული ნაშთები დღემდეც კია შემორჩენილი. ამ საკითხის გამოწვლილვით განხილვა ისტორიული და სხვა ჟანრების ნაშრომთა თემაა, ამიტომ აქ გაკვრით მოვიხმობ მხოლოდ რამდენიმე მაგალითსა და ასპექტს. უფრო დეტალურად შეეჩერდები ანალოგიურ საკითხებზე საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ მეტროპოლიის (ცარისტული იმპერიის) მიერ, სხვა პროვინციებთან ერთად, საქართველოში მომრიგებელი იუსტიციის რუსული მოდელის დანერგვის ფაქტთან მიმართებაში – მოდელისა, რომელიც, რამდენადმე ადაპტირებული („გაქართულებული“) სახით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებდა ილიასდროინდელ საქართველოში\*.

\* პროფ. ი. სურგულაძე მიუთითებს, რომ „რუსული ადმინისტრაციის დამყარების პროცესში... მხედველობაში იყო მიღებული ქართული სამართალიც. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სამართლის რუსული და ქართული საწყისების თავისებურ შეხვედრას... განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის დარგში“ [91; გვ. 369].

## 2.2. ფრაგმენტები მომრიგებლობის ქართული ისტორიული ტრადიციებიდან

მე-11 საუკუნემდე ქართულ სამართალში „მოსამართლის“ (დღევანდელი გაგებით) ცნებას აღნიშნავდნენ ტერმინებით „მსაჯული“, „ბჭე“. ტერმინი „მოსამართლე“, ქართველ მეცნიერთა (ა. შანიძე, მ. კეკელია და სხვ.) არგუმენტირებული მოსაზრებით, აღნიშნავდა როგორც სასამართლო ფუნქციების მქონე სახელისუფლებო მოხელეს, რომელსაც სპეციალურად აქვს დავალებული სადავო საქმეების განხილვა, ისე სხვა პირსაც, რომელიც, როგორც მოდავე მხარის მიერ არჩეული პირი, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ასრულებდა მოსამართლის ფუნქციებს (როგორც წესი, სხვა პირებთან ერთად – კოლეგიურად). ბაგრატ კურაპალატის, ბექას და აღბუღას სამართლის წიგნები ხმარობს მხოლოდ ტერმინ „ბჭეს“, ვახტანგის წიგნში კი მასთან ერთად იხმარება ტერმინი „მსაჯული“. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ბჭე“ ყველაზე „სიციოცხლისუნარიანი“, საუკუნეთა მანძილზე ყველაზე მისაღები ტერმინი აღმოჩნდა თითქმის მთელს საქართველოში. ამასთან, მხოლოდ თვითონ მოდავე მხარეთა მიერ ამორჩეულ პირებს სხვა სახელებსაც უწოდებდნენ: „საპატიო კაცი“, „შუაკაცი“, „შუათაღა“, „შუათა დასხმული“ და ა.შ. შემდგომში, აღმოსავლეთ საქართველოში, „მოსამართლისა“ და „მსაჯულისაგან“ განსხვავებით, „მხოლოდ ტერმინ „ბჭეს“ თანდათან ჩამოშორდა ხელისუფლების მოსამართლის შინაარსი და მთლიანად ჩვეულებით სამართალში დამკვიდრდა, როგორც მოდავე მხარეთა მიერ გამორჩეული საქმის განმხილველი პირის სახელწოდება. ასე შემორჩა ტერმინი „ბჭე“ აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებით სამართალს“ [48, ტ. 2, გვ. 33]. ალტერნატიულ ტერმინად იხმარებოდა სხვა ტერმინებიც: „რჯულის კაცი“ ანუ „მსაჯული“ – ხევსურეთში, „მორავი“ ანუ „მორავი“ (მრ. რიცხვში – „მორვალი“) – სვანეთში [იქვე, გვ. 106-107 და სხვ.]. აღსანიშნავია, რომ ისინი, დავის გადაწყვეტამდე, დებდნენ ფიცს [იქვე, გვ. 108]. მათი რიცხვი მერყეობდა 2-დან 12-მდე – მოდავე მხარეები მეტწილად სწორედ 6-6 (ანუ სულ 12) მორავს ირჩევდნენ, მკვლევლობის საქმეზე კი უფრო ხშირად 12-12-ს



ანუ 24-კაციან შემადგენლობას [იქვე, გვ. 110-113].

ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებისკენ თუ გავიხედავთ, თავიდან მართლმსაჯულებას (ანუ „მართლად მსაჯულებას“ — სამართლიანად განსჯას) ახორციელებდნენ პირები, რომელთაც, ადმინისტრაციულ-მმართველობითი ფუნქციებიც ჰქონდათ — ეს ფუნქციები ერთმანეთისაგან არ იყო გამოიჯნული [67, გვ. 35]. ამასთან, „ისტორიულად „მამასახლისი“ და მეფე მსაჯულები იყვნენ თავთავიანთ დონეზე, მაგრამ სასამართლო ფუნქცია მხოლოდ მეფეს, მთავარს ან ერისთავს კი არ გააჩნდა, არამედ საძმობებს, ამქრებს, თემებს, კორპორაციებს და ა.შ.“ [იქვე, გვ. 36]. შემდგომში, თანდათანობით ხდება სამოსამართლო ფუნქციის გამოყოფა ანუ სპეციალიზაცია — მუდმივად ან დროებით. შესაბამისად, ქართველი კანონმდებელი აყალიბებს კრიტერიუმებს, თუ ვინ შეიძლება გამსწესდეს ბჭედ, მოსამართლედ. კერძოდ, უწინარესად, იგი „ჭკვიანი და ლეთის მოშიშარი“ (წაიკითხე: ზნეობრივი) უნდა იყოს [იქვე, გვ. 41]. ვახტანგ მეექვსის სამართალში კი მითითებულია:

„ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი, ან კარგი სოფლის მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი[თ] ბჭედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“.

აქედან ჩანს, რომ ბჭედ ირჩევდნენ საზოგადოების გამორჩეულ, საქმიან, გამოცდილ და მცოდნე („ეცოდინების ბჭობა“) ამასთან, სამართლიან („უსამართლოს არას იტყვის“) ადამიანებს [უფრო დაწვრილებით იხ. 118, ტ. 6, გვ. 88]. ამგვარი პირებისაგან შედგენილი „იდეალური“ მომრიგებელი იუსტიცია, ბუნებრივია, შესანიშნავად შეასრულებდა თავის სამოსამართლო-სამომრიგებლო ანუ რეგულატორულ-საშუამავლო ფუნქციებს ტრადიციებისადმი მიდრეკილ იმდროინდელ საქართველოში, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, რეალურ ცხოვრებაში იდეალური საქმეები ნაკლებად რეალიზდება!..

### 2.3. მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირება ცარიზმისდრინდელ საქართველოში ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით

როგორც ცნობილია, „1867 წლის 9 დეკემბრის კანონით ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში გაუქმდა სასამართლო ორგანოები. საქართველოს ყოველ სამაზრო ცენტრში შეიქმნა მომრიგებელი განყოფილებები მომრიგებელი მოსამართლეებით“ [66, გვ. 13-14]. რომ არა ამ თავის შესავალში ნახსენები „ბიუროკრატიულიმპერიული გაუკუღმართება“, ამ ინსტიტუტს შეეძლო გაცილებით მეტი პოზიტიური, სიკეთისმიერი როლის შესრულება იმდროინდელ საქართველოში – ქართველი ხალხის საკმაოდ შეჭირვებულ ყოფაცხოვრებაში. თუ რატომ ვერ მოხდა ეს, რაში გამოიხატებოდა ზემოხსენებული „გაუკუღმართება“, ნათლად ჩანს მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად (იხ. ქვემოთ) უბადლო მცოდნის – დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ნააზრვეიდან.

ილია, საზოგადოდ, მეტად მაღალი აზრისა იყო მართლმსაჯულების და მის „მსახურთა“ – მოსამართლეთა დანიშნულებაზე. „იგი, – წერდა ილია, – არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნალარათი. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის; როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი მშვიდობიანად, უბუქნალაროდ საქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს...“. აქვე ილია ფაქტობრივად ადასტურებს იმას, რომ ეს რეალურად ასე სულაც არ არის: „ჩვენ მასზედ კი არ ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს“ [114, ტ. 4, გვ. 241-242].

მწერალი ცალკე გამოყოფს და ხაზს უსვამს მომრიგებელი მოსამართლის განსხვავებულად პოზიტიურ როლს ჩვენებურ მართლმსაჯულებაში, – უწინარესად, უბრალო ხალხთან სიახლოვის (უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიულად), სიმარტივის, სისწრაფისა

და სიიაფის გამო [ტ. 6, გვ. 75-76, 85-86]. ამასთან, იგი მიიჩნევდა, რომ მომრიგებელი მოსამართლე, უწინარესად, უნდა იყენებდეს ადგილობრივ ჩვეულებით სამართალს („რაც თითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი“) [114, ტ.6, გვ. 76], ე.ი. უპირველესად, ცხადია, უნდა იცნობდეს ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, თავისებურებებს. ამისათვის კი საჭიროა, რომ მოსამართლე აუცილებლად ადგილობრივ მცხოვრებთაგან იყოს შერჩეული – იგი გაცილებით უკეთ შეძლებს მხარეთა მორიგებას, საქმის არსის ჯეროვნად გარკვევასა და საქმის მართებულად, სამართლიანად გადაწყვეტას. ამიტომ, ილია მკაცრად აკრიტიკებს იმდროინდელ კანონმდებლობასთან შეუთავსებელ, მახინჯ პრაქტიკას, როცა, ძალიან ხშირად, ხელისუფლების განკარგულებით, „იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ან ფშავ-ხევსურებს მოსამართლედ ენიშნება“ [114, ტ. 8, გვ. 80]. ადგილობრივ მოსახლეობასთან რამდენადმე მაინც ეფექტიანი კომუნიკაციისთვის, საქმის განხილვის გართულება-გამძვირებისა და გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, კიდევ უფრო აუცილებელია მოსამართლის მიერ ადგილობრივი ენის ცოდნა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა სირთულეებს ემატება მოსამართლისათვის კანცელარისტთა ზედმეტი შტატების დანიშვნა ანუ ბიუროკრატიული ხარჯების მეტისმეტად (ზედმეტად) გაზრდა [დაწვრილებით იხ. 114, ტ. 6, გვ. 308-330, 358-367, 381-387 და სხვ.]

ამგვარ პრობლემათა ქრონიკული მოუგვარებლობის გამო საკმაოდ „შელანძღული“ მომრიგებელი იუსტიცია, რიგ სხვა გარემოებათა გავლენით (იხ. ზემოთ – შესაბამის მონაკვეთში), რუსეთის იმპერიაში (მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც) თანდათან ნიველირდებოდა და, საბოლოოდ, გაუქმდა კიდევც!..

ილია ჭავჭავაძე – მოძრიგებელი მოსამართლე  
(მცირე ბიოგრაფიული ეტიუდი – ფრაგმენტი)

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, საარსებო სახსრების უქონლობის გამო, 1864 წელს იძულებული ხდება შევიდეს სახელმწიფო სამსახურში. 10 აპრილს იგი ინიშნება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ (ევალებოდა გამოეკვლია თუ „ბატონყმობისაგან წარმომდგარი“ რა ურთიერთობა სუფევდა მემამულეთა და გლეხბატა შორის). ამავე წლის 28 ოქტომბერს ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმების ბრძანებულებას, რასთან დაკავშირებითაც ილია ქუთაისიდან გამოიხმეს და 8 ნოემბერს მოძრიგებელ შუამავლად გაგზავნეს დუშეთში (პ. ინგოროყვას ცნობით, მოძრიგებელი შუამავლის მოვალეობას შეადგენდა იმ ურთიერთობების მოწესრიგება, რომლებიც ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩამოყალიბდა ყოფილ მებატონეთა და გლეხთა შორის, მიწების მიზომვა გლეხებისათვის და სხვა). ილია აქაც მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით შეუდგა საქმეს...

... 1867 წლის 9 დეკემბრის კანონით, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სამაზრო ცენტრებში (ასეთი იყო დუშეთიც) შეიქმნა მოძრიგებელი განყოფილებები მოძრიგებელი მოსამართლეებით. 1869 წლის 1 თებერვალს ილია დაინიშნა თბილისის გუბერნიის დუშეთის მაზრის მოძრიგებელი განყოფილების მოძრიგებელ მოსამართლედ. უმძიმესი საყოფაცხოვრებო პირობების მიუხედავად, ილია ღირსეულად ახორციელებდა თავის ფუნქციებს. ამ მოღვაწეობამ იგი მოსწყვიტა თბილისის ინტელექტუალურ-შემოქმედებით სამყაროს, რასაც მძიმედ განიცდიდა. 1783 წლის 14 მაისს, მრავალი ცდის შემდეგ, ილიამ მოახერხა მაზრის მოძრიგებელი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებულიყო, რის შემდეგაც იგი სახელმწიფო სამსახურს არასოდეს დაბრუნებია [108, გვ. 237].

„საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში, – წერს გ. შარაძე, – შემონახულია დუშეთში მოსამართლედ ყოფნისას ილიას მიერ გარჩეული საქმეები და სამართალწარმოების ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც თვალსაჩინოდ გვიხატავენ პატიოსანი, მშრომელი და დარაგრული გლეხობის ინტერესების დამცველი მწერლის ცოცხალ

სახეს. ჩვენამდე მოღწეულია აგრეთვე თანამედროვეთა არაერთი მო-  
გონება, რომლებიც გვეხმარება აღუადგინოთ ილიას მოძრიგებელი  
მოსამართლეობის დროინდელი არაერთი ეპიზოდი“ [იქვე, გვ. 216].  
შემდეგ ავტორს ტექსტუალურად მოაქვს ორი ამგვარი, მართლაც რომ  
საინტერესო და ნიშანდობლივი ეპიზოდი, რომელთა მოკლე შინაარსი  
შემდეგია:

ეპიზოდი I. ერთ ბაზალელ გლეხს ერთი დუშული სომეხი ვაჭარი  
უჩიოდა ექვს თუმან ვალზე, რასაც გლეხი ფიცქვეშ უარყოფდა —  
არაფერი მმართველს ამ კაცისათვის. ილიას „სინათლეზედ გაუშინჯავს  
ვექსილის ქალაქი და დინჯის ხმით უთქვამს სომეხ ვაჭრისთვის: —  
შენ, ჩემო ძმაო, ისეთ კვიცსა ხედი, რომელიც ჯერ არ დაძაღებუ-  
ლაო. ვექსილზედ თურმე რომელიც წელიწადი იყო აღნიშნული, იმ  
წელიწადზე ხუთი წლით ნაადრევად დაწერილი აღმოჩენილიყო. ისე,  
რომ მოპასუხე გაემართლებინა და მოძრვიანი კი პასუხისგებაში მიეცა,  
როგორც „მეპაღლოვე“ [იქვე, გვ. 217].

ეპიზოდი II. გლეხს ნასყიდა პაპაშვილს მართებია ვინმე მუხრანელი  
კაციის ვალი. რამდენიმე ხნის შემდეგ მას ვალის გასასტუმრებელი  
თანხა მოუვროვებია და უნდოდა გადაეცა მეგალისთვის. სანამ მუხრანში  
ჩასვლას მოახერხებდა, ერთ კვირადღეს ეს კაცი თვითონვე გამოჩე-  
ნილა დუშეთის ვზაზე, რომლის მახლობლადაც მას (გლეხს) „ხარები  
ვეყარა ნატბევის მუხის ქვეშ“. გლეხს გაუხარდა და მეგალეს ვალი  
აქვე გადაუხადა, მაგრამ ვექსილი არ გამოურთმევია, რადგან იმ კაცმა  
უთხრა, თან არა მატესო. ერთი თვის შემდეგ კი გლეხი დაიბარეს  
დუშეთის სასამართლოში, სადაც მუხრანელმა კაცმა უჩივლა, თითქოს  
გლეხს ვალი პქონდა დასაბრუნებელი. მოძრიგებელი მოსამართლის —  
ილია ჭავჭავაძის წინაშე გლეხი ამტკიცებდა, რომ ნატბევის მუხის  
ძირში მოძრვიანს ვალი დაუბრუნა, მაგრამ ამის მოწმე არ ჰყავდა,  
მოძრვიანი კი აცხადებდა, ეს მუხა საერთოდ არ ვიცო. ილიამ გუ-  
მანით ივრძნო გლეხის სიმართლე, ამიტომ მოძრვიანის გასაგონად  
მას უთხრა: „წადი და იმ მუხიდან ერთი ფოთოლი მომიტანეო და  
ვიდრე შენ თითონ არ იქნები აქა, შენ საქმეს არ გეყარჩევო“. ამასვე  
მოძრვიანმა ილიას მაღალი (ანუ უკმაყოფილო) ხმით უთხრა: „შე  
დალოცვილო, მინამ ევ ნატბევე გედავა და იმ მუხიდან ფოთოლს  
მოიტანს, მინამდის ზომ ბინდიც გასწრებთ აქაო“. მაშინ მოსამართლე

მიუბრუნდა მოძრევანს და უთხრა: „არა, ჩემო ძმაოვო, აკი არ იცოდით  
შენ ის ბუხა, განა რომ მართლა იმ ბუხის ძირში მოგცა ის ფულიო.  
გაწითლდა, გაწითლდა ეს კაციო და ხმა ვერ ამოიღოვო“ [იქვე, გვ.  
217, 220, 222]. ცხადია, ილიამ მოპასუხე გაამართლა და თავისი ამ  
გონებამაზვილური „ფსიქოლოგიური სვლით“ კიდევ ერთხელ „აჭამა  
პური სამართალს“..

თავი II. პოსტსაბჭოური სასამართლო რეფორმები  
და მათი შედეგი – თანამედროვე ქართული  
სასამართლო სისტემა

(მოკლე კონცეფტუალური ექსკურსი)

§1. სასამართლო რეფორმისა და „კონტრეფორმის“  
ძირითადი კონტურები

1.1. შესავალი

პოსტსოციალისტურ საქართველოში, საერთო აღიარებით, საბჭოური წყობის „გადმონაშთი“ (თუმცა რამდენადმე „გაცხრილული“ ანუ სახეცვლილი) სასამართლო სისტემის ძირეული რეფორმირების ჩატარება, ისტორიულადაც და ლოგიკურადაც, იმდენადვე გარდაუვალი იყო, რამდენადაც საჭირო და აუცილებელი. კერძოდ, ისტორია მოწმობს, რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სისტემის (წყობის) მასშტაბური, რადიკალური ცვლილების (მით უფრო, არსებული სისტემის დემონტაჟის) პერიოდში მთლიანად სამართლებრივი და, კერძოდ, სასამართლო წყობილების (სისტემის) რადიკალური შეცვლა სრულიად კანონზომიერი მოვლენაა. ასე მოხდა პოსტსოციალისტური ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. კერძოდ, გასული საუკუნის დამლევისა და მიმდინარე საუკუნის დამდეგის ურთულესი წლები, თავდაპირველად, მრავალ ამგვარ ქვეყანაში ძველ სასამართლო სისტემათა მსხვერვა-რეფორმირებას მძლავრი (ზოგჯერ მეტისმეტი „კინეტიკური“ ენერჯის) ტალღებით აღინიშნა. თუმცა, ამასთან, ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში იგი უფრო „ზომიერი“, თანამიმდევრული ევოლუციონირების ელფერს უფრო ატარებდა, ზოგან კი (მაგ., შუა აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში) სულაც არსებითად „კოსმეტიკური“ ცვლილებებით შემოიფარგლა!..

პირველი პერიოდის „რევოლუციური“ მსხვერვეების, ვნებათაღელვის, ყოველივეს ერთი ხელის მოსმით ძირფესვიანად შეცვლის ყოველისწამლეკავი პათოსი აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურმა და ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოურმა ქვეყნებმა (უმრავლე-

სობამ) მალე მოთოკეს და შეუდგნენ სამართლებრივი, მათ შორის სასამართლო სისტემის თანამიმდევრულად გადაკეთება-ოპტიმიზების ხანგრძლივ და ძნელ აღმართს (დევნიზით: „ვიჩქაროთ ნელა“!). შედარებით ნაკლები კატეგორიულობით, მაგრამ არსებითად იგივე ითქმის რუსეთზე, უკრაინაზე, საქართველოსა და ზოგიერთ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყანაზე.

პოსტსაბჭოური საქართველოს სასამართლო (და მთლიანად სამართლებრივი) სისტემის ცვლილება-გადაკეთება, უნდა ითქვას, თავიდან საკმაოდ ნელი ტემპით, „მღოვრედ“ დაიწყო, რაც, პირველ წლებში (ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისას და, ნაწილობრივ, გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლების საქმიანობის პირველ პერიოდში), ვფიქრობ, გამართლებული იყო იმდენად, რამდენადაც, საჭირო მატერიალური რესურსების არასაკმარისობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მომენტისათვის ჯერ არავის ჰქონდა (და არც შეიძლებოდა ჰქონოდა) ჯეროვნად, მთლიანობაში გააზრებული, თუ რა, როგორ, რა თანამიმდევრობითა და მოცულობით (სიღრმით, მასშტაბებით) უნდა „გადაკეთებულიყო“ – სოციალისტურ-კომუნისტური რეჟიმის ქვეყნების თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების მქონე, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოსკენ ორიენტირებულ სუბიექტად გარდაქმნის რაიმე გამოცდილება ზომ მანამდე მსოფლიოს არ ჰქონია!.. ამგვარად, ამ პერიოდში რაიმე „ნახტომი“ რამდენადმე სახეცვლილი, მაგრამ მაინც არსებითად (არსობრივად) სოციალისტური ყაიდის „სასამართლო ორგანობიდან“ ნორმალურ ქვეყნებში არსებული მეტ-ნაკლებად რეალური „სასამართლო ხელისუფლებისაკენ“ (იხ. ზემოთ, ნაწილი პირველი) არ შემდგარა და არც შეიძლებოდა შემდგარიყო. შესაბამისი „გენერალური“, ფუნდამენტური იურიდიული ბაზის როლი კვლავ ეკისრა ახალ კონსტიტუციას, რომლის მიღების მოლოდინი და იმედი

---

\* როგორც უკვე ითქვა, სასამართლო სისტემის რეფორმირება და, ამის შედეგად, ქვეყნურად დამოუკიდებელი, ქველთი სასამართლო ხელისუფლების (და არა ბუტაფორიულის, როგორც ეს ბევრგან მოხდა) ჩამოყალიბება ერთობ რთული, ძნელი, იმპინენტურად დროში გაწეული (ფაქტობრივად – პერმანენტული), დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთისთვის გამოხვეული პროცესია, ამიტომ მისი „დამკერულურად“ გადაწყვეტის ცდა სხვა არაფერია, თუ არა წინასწარვე მარცხისთვის განწირული ნაბიჯი.



იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში ერთობ დიდი იყო!..

სასამართლო სისტემის რეფორმირების აუცილებლობის ამგვარი შეცნობა, კონსტიტუციის მიღების კვირაძალს ამ სფეროში არსებული სიტუაცია (კრიტიკული დამოკიდებულება) და ცალკეული კონცეპტუალური მოსაზრებები საკმაოდ რელიეფურად აისახა იმ პერიოდის რიგ პუბლიკაციებში, რომელთა მოხსენიება-მიმოხილვა შორს წაგვიყვანს. ამიტომ, აქ მომაქვს ამ წიგნის ავტორის ერთ-ერთი საგაზეთო წერილი (გამოქვეყნდა გაზეთ „7 დღის“ 1995 წლის 8-14 აპრილის ნომერში), რომელიც, ვფიქრობ, საკმარისად ასახავს ამ პერიოდის სულისკვეთებასა და მაშინდელი სასამართლო სისტემის „კლინიკურ სურათს“ (იხ. ჩანართი №19).

ჩანართი №19

### **„დაე, დაიქცეს ქვეყანა, ოღონდ სამართალი აღსრულდეს!“**

საქართველოში ხელისუფლების საერთო მკვეთრი დეფიციტის ფონზეც კი მძაფრად იგრძნობა სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული უსუსურობა (ფაქტობრივად – უქონლობა!). სასამართლო იზიარებს სხვა სამართალგამომყენებელი და სამართალდამცავი სისტემების ბედს – ისევე ნიველირებულია ყოველმხრივ. სასამართლოს ასეთი მდგომარეობა ყველაზე მეტად არის საგანგაშო, რადგან იგი ამ სტრუქტურების თავში, „პირამიდის წვეროში“ უნდა იყოს. იერარქიულობას რომ თავი დაეანებოთ, სასამართლოში მიმართვის შემთხვევათა (უფლებათა) წრე მეტად შეზღუდულია დღეს არსებული კანონმდებლობით. ეს მაშინ, როცა სამართლებრივ სახელმწიფოში არ უნდა მოიძებნებოდეს მოქალაქეთა უფლებების შელახვის, კანონიერი ინტერესების ხელყოფის რაიმე ფორმა, რომლის სასამართლო წესით გასაჩივრება არ შეიძლება, მათ შორის სხვა სტრუქტურათა (მაგალითად, ადმინისტრაციული) აქტებისა და ქმედებებისა. სასამართლო სხვა ხელისუფლებათა მიმართ დღეს ვერ ასრულებს კონტროლის, „შეკავებისა და გაწონასწორების“ ფუნქციას. იმედი, მართალია, მკვირვლი, მაგრამ მაინც იმედი, მიძღინარე სასამართლო (და მთლიანად სამართლის) რეფორმაზე დამყარებული.

სასამართლო ხელისუფლების დამკვიდრება საეკიფიკურ სიბნელებთანაც არის დაკავშირებული.

დღემდე მეტ-ნაკლები ბრწყინვალებით, მაგრამ განუყრელად დატონობს „მტკიცებულებათა დედოფალი“ – განსასჯელის მიერ დანაშაულის აღიარება. „წმინდა“ ინკვიზიციისათვის, ანდა 30-იანი წლების დიდ საბჭოურ პოლიტიკურ პროცესებზე განსასჯელის ყველაზე აბსურდული აღიარებანიც კი საკმარისი იყო სიკვდილით დასასჯელად ან გულავში გასაშწესებლად. სხვა ეპოქათა და სახელმწიფოთა მოსამართლენი მეტ-ნაკლები წარმატებით ცდილობდნენ ესარგებლათ მტკიცებულებათა საკმაოდ ჩახლართული თეორიით, შესაბამისი საკანონმდებლო ნოვაციებით და ბრალეულობა განესაჯათ ყველა მტკიცებულების შეგვრებით, არ მოქცეულიყვნენ „აღიარების ეფექტის“ ტყვეობაში.

თუმცა, მოსამართლის საქმიანობა იმთავითვე შეიცავს საბედისწერო შეცდომათა შესაძლებლობას, რადგან ეს საქმიანობა მეტწილად დაკავშირებულია წარსულის (მაგალითად, დანაშაულის) სურათის სინამდვილის შესაბამისად რეკონსტრუქციასთან, რასაც აბნელებს პროცესის მონაწილეთა, მოწმეთა და სხვათა მხრივ ფაქტების აღქმის, დამახსოვრებისა და რეპროდუქციის ფსიქოლოგიური თუ ინდივიდუალური თავისებურებები (მით უმეტეს, რომ დანაშაული მეტწილად შენიღბულად, ფარულად ხდება და დამნაშავე ცდილობს, კვალი არ დატოვოს). გარდა ამისა, გარემობიანი ზოგჯერ განსასჯელის საწინააღმდეგოდ ისე საბედისწეროდ ემთხვევა ერთმანეთს, რომ ყველაზე კეთილსინდისიერი გამოძიებელი და მოსამართლეც კი შეიძლება შეცდომაში შევიდეს და უდანაშაულო ადამიანის ბრალეულობა ირწმუნოს. ეს შეეხება ფაქტების შეფასებას იმ შემთხვევაში, როცა საუბარია „ვარგის“ მტკიცებულებებზე. რაც შეეხება მტკიცებულებათა „ვარგისიანობის“ შეფასებას, მოსამართლენი აქ ერთმნიშვნელოვნად ვალდებულნი არიან, არ დაუშვან შეცდომა! კერძოდ, საუბარია არა მარტო ხელოვნურად შეთხზულ-გამოძალულ, არამედ ნებისმიერი სხვა კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე, რომელთაც არც ერთი ცივილიზებული ქვეყნის მოსამართლე არ მიიღებს მხედველობაში (არათუ განაჩენს დაუღებს საფუძვლად!), თუნდაც აბსოლუტურად დარწმუნებული იყოს, რომ ეს „უკანონო“ მტკიცებულება სწორედ სიმართლეს ადასტურებს იმ ფაქტზე, რის სამტკიცებლადაცაა წარმოდგენილი. დღევანდელი ჩვენი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეიცავს ნორმას, რომ მტკიცებულებად ჩაითვლება მხოლოდ კანონით განსაზღვრული

წესით მიღებული ფაქტობრივი მონაცემები (მუხლი 61). სხვა საქმეა რამდენად იცავენ ჩვენში კანონის აღნიშნულ მოთხოვნას.

მოსამართლე, რომელიც საქმის განხილვას იწყებს, იდეალურ შემთხვევაში, შინაგანდაც და ცნობიერებითაც აბსოლუტურად თავისუფალი უნდა იყოს წინასწარი დასკვნისაგან განსასჯელის ბრალულობის თაობაზე, მის მიმართ სიმპათია-ანტიპათიისაგან. მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა (85%) თურმე მიიჩნევს, რომ მათ შემთხვევაში ასეც არის. მაგრამ, როგორც სპეციალისტთა მიერ სათანადო ტესტებით ჩატარებული ფსიქოლოგიური გამოკვლევებით დადგინდა, სინამდვილეში სწორედ მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქვეცნობიერად ატარებს სრულიად საწინააღმდეგო, „არასამოსამართლეო“ განწყობას — უბრალოდ რომ ვთქვათ, მას „არ უყვარს“ განსასჯელი ჯერ კიდევ საქმის განხილვის დაწყებამდე, როცა ის მხოლოდ „ქაღალდებით“, საქმის მასალებით იცნობს მას. ამგვარი განწყობისაგან თურმე თვით ყველაზე მოწინავე ქვეცნობის რაფინირებული მოსამართლენიც კი არ არიან თავისუფალნი, ხოლო ჩვენთან ამ განწყობას ცხოვრებისა და აზროვნების წესიც აძლიერებს.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათ მიუკერძოებლობას — რაც უფრო მაღალია პირველის ხარისხი, მით მეტია მეორის გარანტია. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ყოველი დამოუკიდებელი მოსამართლე აუცილებლად მიუკერძოებელი იქნება.

დასავლეთში მოქმედებს ერთი აღიარებული კანონი: მოსამართლენი და პროკურორები პოლიტიკისგან შორს უნდა იდგნენ. საუბარია არა ფორმალურ დეპოლიტიზაციაზე. მოსამართლე და პროკურორი არათუ პოლიტიკურ თემაზე გამოსვლისგან იკავებენ თავს, პოლიტიკოსებთან შემთხვევით კონტაქტებს და ელემენტარულ ნაცნობობასაც კი გაურბიან, რათა არავის მისცენ საბაძი თავიანთ ობიექტურობაში ეჭვის შეტანისა. ამ მხრივ, აღმათ, იშუიათ გამონაკლისთაგანია 1983 წელს ბონში დაფუძნებული გაერთიანება — „მოსამართლენი და პროკურორები მშვიდობისათვის“. გაერთიანების დაფუძნება რეაგირება იყო გერმანიის, ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკული „პერშინგ-2“ რაკეტების განლაგების მთავრობისეულ გეგმაზე... მოხდა გერმანული მეტალიტეტიისათვის წარმოუდგენელი რამ: ოცმა პროკურორმა და მოსამართლემ, გაერთიანების ფორუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, 1987 წლის 12 იანვარს მუდომარე აქციით გზა გადაუკეტა

მუტლანგერის ამერიკული სამხედრო ბაზისკენ მიმავალ რაკეტში იდი მანქანების კოლონას! მიუხედავად შვედეთისა და ამერიკის საჰაერო ძალების მოტივების კეთილშობილურიობისა და სამშვიდობო ხასიათისა (რაკეტული განარაღება!), გერმანიასა და მთელს მოწინავე მსოფლიოში აუთორიტატი ატყდა ამ არნახული „მკრეხელობის“ გამო! პოსტსაბჭოური დემოკრატიზმი ამ მხრივაც ძალზე საქციფიკურია: რუსეთის არაერთი რეგიონის მოსამართლეებმა გამოაცხადეს გაფიცვა, მხოლოდ გაცილებით ლოკალური „პირადული“ მიზეზებით, მაგალითად, არ ჰქონდათ სასამართლო პროცესების გამართვის პირობები (შენობების უკარგისობა და სხვა). ჩვენი სასამართლოების დაახლოებით ნახევარი ასეთივე მდგომარეობაშია, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, არავინ გაფიცულა... რაც შეეხება პოლიტიკური ძალებისგან „დისტანციაზე“ ყოფნას, უახლოეს ხანებში, როგორც ჩანს, საქართველოში თვით ფენობური იურიდიკი კი მათთან „აკლუკობის“ გარეშე ვერაფერს მიაღწევს – მის ადგილს იურიდიულ დაწესებულებებში უცილობლად დაიჭერს პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან დაახლოებული კოლეგა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის „პოლიტიკური“ ასპექტი ორგანულ კავშირშია მის „ხელმწიფოებრივ-ხელისუფლებო“ ასპექტთან. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა დანიშვნისა თუ არჩევის წესს – ვინ წყვეტს მოსამართლის მანტიის ბოძების საკითხს, რა ვადით ხდება „ხელდასხმა“, ვინ ანხორციელებს კონტროლს, დაწინაურებას, დასჯა-დათხოვნას... მსოფლიო პრაქტიკა ამ მხრივ მეტად ჭრელია. თუ კონსტიტუციური და ქვეყნის უზენაესი სასამართლოების დაკომპლექტება უმაღლეს დონეზე ხდება (მაგალითად, პარლამენტი კანდიდატურების შერჩევა-დანიშვნის საკითხს წყვეტს მონარქთან თუ პრეზიდენტთან შეთანხმებით, მეტწილად პარიტეტულ საწყისებზე), საერთო იურიდიქციის, ადმინისტრაციული იუსტიციის თუ საეკონომიკური სასამართლოების ფორმირება ზოგჯერ, არსებითად, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე წყდება, მაგრამ, სამართლებრივი კულტურის მაღალი დონის პირობებში, ამ უკანასკნელს აზრადაც არ მოუვა, შეძღვომში რაიმე ფორმით ხელყოს მოსამართლეთა მხოლოდ კანონისადმი მორჩილების, მათ საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის პრინციპები. მაგრამ, როგორც ჩანს, გარანტიების აუცილებლობას ვერაპლებიც ვრძნობენ და სათანადო სისტემებსაც ქმნიან. ასე, მაგალითად, ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის 117-ე მუხლი აწესებს, რომ სასამართლო ხელისუფლებას ანხორციელებენ დამოუკიდებელი და

შეუცვლელი მოსამართლენი. მოსამართლეთა კორპუსის ფორმირებასთან, მათზე ზედამხედველობასთან, დასჯა-დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს მთლიანად წვევტს მეტად კომპეტენტური ორგანო – სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო (მუხლი 122), რომლის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესები დეტალურად არის რეგლამენტირებული სპეციალური კანონით. ამგვარი სტრუქტურები ზოგიერთ სხვა სახელმწიფოშიც წარმატებით ფუნქციონბს. ამიტომ ყურადსაღებია წინადადება საქართველოში მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს შექმნის შესახებ (პროექტი შემუშავებულია პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის მიერ), ისევე, როგორც წინადადება კვალიფიკაციის ასამაღლებელი „იუსტიციის ეროვნული ცენტრის“ შექმნის თაობაზე.

სასამართლოთა დამოუკიდებლობა უნივერსალური საერთაშორისო პრინციპია: იგი სხვადასხვა მოდუსით აისახა გაეროს წესდებასა და მის დანართში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის შესახებ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (1948), ევროპის საბჭოს მიერ 1950 წელს მიღებულ ევროპის კონვენციაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (მე-19 მუხლის შესაბამისად შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპის – სტრასბურგის – სასამართლო). გაეროს VII კონგრესმა (მილანი) მიიღო „სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“. ეს დოკუმენტები განამტკიცებენ ადამიანის უფლებებს კანონის შესაბამისად დაარსებულ, კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუშრობებელ სასამართლოთა მიერ საქმეთა სამართლიან, საჯარო და „გონივრულ ვადებში“ განხილვაზე.

ჭეშმარიტი მართლმსაჯულების შანსი მაინც მიზერული იქნება, ვიდრე მოსამართლენი (პროკურორები, გამოძიებლები...) მინიმალურად მაინც არ იქნებიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი. ამერიკასა თუ ევროპაში მოსამართლე გადასახადის გადამხდელთ წელიწადში დაახლოებით 100.000 ამერიკული დოლარი უჯდებათ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ბუზღუნებენ, რამეთუ მტკიცედ სწამთ, რომ არაფერი ისე ძვირი არ უჯდება ხალხსა და სახელმწიფოს, როგორც იაფი იუსტიცია!..

ჩვენში არსებულ სასამართლოთა ძირითადი რგოლები – რაიონული და საქალაქო სასამართლოები – მოსამართლით და ორი მსაჯულით ფუნქციონირებენ. თუ, მაგალითად, გერმანიაში ეს უკანასკნელნი საკმაო წარმატებით ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას, ჩვენს

სინამდვილეში მსაჯულები ბუტაფორიის როლს ვერ გასცდნენ. ამჟამად რუსეთში მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ – საქმეთა 80%-ზე მეტს ერთპიროვნული მოძრეველები მოსამართლეები იხილავენ. ამდენად, დაზარადა საჯაროობის, ხალხის მონაწილეობის პრინციპი. ამ ფონზე ბევრი გამოსავალს ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოში ხედავს. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლოზე დიდი იმედების დამყარება არ იქნებოდა გამართლებული. ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ საქმეთა მცირე (2-დან 10%-მდე) ნაწილს იხილავენ; მეორეც, ისინი არაპროფესიონალები არიან და მხოლოდ ერთ საკითხს წყვეტენ – დამნაშავეა თუ უდანაშაულოა განსასჯელი. ამიტომ საქციალისტები მთელი მსოფლიოში სულ უფრო მეტი სკრუპულოზურობით ამუშავებენ ერთპიროვნული თუ კოლექტიური პროფესიონალი მოსამართლეებისგან შემდგარი სასამართლოს დოქტრინას, საქმეთა ოპტიმალურ განაწილებას ნაფიცი მსაჯულთა, პროფესიონალ მოსამართლეთა კოლექციებსა და ერთპიროვნულ მოსამართლეთა სასამართლოებს შორის... მთავარია, განხორციელდეს ჭეშმარიტი მართლმსაჯულება!!! წინააღმდეგ შემთხვევაში, რა ფორმაც უნდა მიეცეს სასამართლოს, რაოდენ ეფექტურადაც უნდა წარიმართოს პროცესები, რაოდენ სიმპათიური მოსამართლენიც უნდა იხილნენ მართლმსაჯულების ბრწყინვალე სასახლეების სავარძლებში, 21-ე საუკუნის მიჯნაზე მათ განსასჯელთაგან არავინ შეხვდება შეძახილით, როგორითაც რომის კოლიზეუმში ორთაბრძოლის დაწყების წინ გლადიატორები მიმართავდნენ კეისრებს: „შშვილობა შენდა, კეისარო, სასიკვდილოდ განწირულნი მოგესალმებიან“.

დღევანდელი ქართული სასამართლო სისტემის რეალურ (და არა „საფასადო-ოფიცოზურ“) მდგომარეობაში ასე თუ ისე ჩახედული მკითხველისათვის ძნელი არ იქნება დაასკვნას, რომ მრავალი რამ, რაც ამ წერილის გამოქვეყნების მომენტში „საწუხარ იყო ფრიად“, დღესაც ისევე (ზოგ ასპექტში და ზოგიერთი კრიტერიუმით – უფრო მეტადაც კი!) პრობლემურია. ამის ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ, ჩვენდა დიდად სავალალოდ, სასამართლო ხელისუფლების დაფუძნება-ფორმირებისაკენ „ქართული სვლა“ თანდათანობით მეტისმეტად არათანამიმდევრული, ზიგზაგობრივი, ხშირად ნაკლებად სამართლებრივ – პროფესიონალური, ზოგჯერ კი პირდაპირ სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული იყო, ბოლო პერიოდში კი იგი

წარმართა ცნობილი ლენინური, უვარგისი სქემით: „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“!..

აქ, ვფიქრობ, ორიოდ სიტყვით მაინც უნდა ითქვას ამ მოვლენათა პერიპეტეების შესახებ\*.

## 1.2. პირველი ქართული პოსტსოციალისტური სასამართლო რეფორმის ძირითადი წინამძღვრები და კონტურები (სქემატური სურათი)

აღნიშნული რეფორმა ეყრდნობოდა:

ა) საქართველოს 1995 წლის ახალმიღებულ კონსტიტუციას, რომელმაც ცალსახად გამოაცხადა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსკენ სწრაფვის ნება, და, შესაბამისად, ხელისუფლების დანაწილების, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოდ ჩამოყალიბების პრინციპული, კონცეფტუალური დებულებები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საკმაოდ თანამედროვე, დემოკრატიული „გამა“, რასაც ლოგიკურადაც უნდა მოჰყოლოდა სასამართლოთა (მოსამართლეთა კორპუსის) როლისა და მნიშვნელობის ზრდა, როგორც ამ უფლებათა დაცვის საუკეთესო საკაცობრიო მექანიზმისა. ცხადია, რომ სახელმწიფოს ძირითადი კანონის მიღებამ მძლავრი სტიმული და ბიძგი მისცა სასამართლო სისტემის რეფორმირების დაჩქარებას, მის მასშტაბურობას და ა.შ.;

ბ) კონსტიტუციის შესასრულებლად შემუშავებული სამართლებრივი (მათ შორის სასამართლო) რეფორმის კონცეფციებისა და სხვა მისთანა დანიშნულების დოკუმენტების (მეტწილად კონცეფციების დანართების სახით), აგრეთვე ახალმიღებულ კანონთა პაკეტების სულისკვეთებას. ეს კონცეფციები შემუშავებული იყო არაერთი სახელმწიფო კომისიისა და ქვეკომისიის მიერ, წლების

---

\* ამ მოვლენათა და პროცესთა უფრო დეტალური მიმოხილვა (ანალიზი) სცილდება ამ ნაშრომის თემატიკას.

მანძილზე, იმჟამინდელ საკმაოდ მძიმე პირობებში, მართლაც რომ დაძაბული, შრომატევადი, ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად – ისევე, როგორც სამართლის ძირითად დარგებში ფუნდამენტური კანონები, მათ შორის მატერიალური და საპროცესო კოდექსები;

გ) სახელმწიფო რესურსების სიმცირის გამო, უპირატესად, უცხოელი დონორების მძლავრ ფინანსურ მხარდაჭერას (ფაქტობრივად – რეფორმის საკმაოდ უზვად დაფინანსებას), მათი სპეციალისტების მხრივ თეორიულ-სამართლებრივ კონსულტაციებსა და პრაქტიკულ ორგანიზაციულ დახმარებებს, ტრენინგებს და ა.შ.;

დ) შიდასახელმწიფოებრივი ინტელექტუალური და საკადრო რესურსების საკმაოდ ეფექტიან, შედარებით ჯეროვან შერჩევა-მობილიზებასა და ხელმძღვანელ პოსტებზე თუ რიგით მოსამართლეებად გამწესებას;

ე) სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკურად, მოსამართლეთა ხელფასითა და სხვა სოციალური სიკეთებითა თუ გარანტიებით აღრინდელზე გაცილებით უკეთესად უზრუნველყოფამ.

ცხადია, ამ რეფორმას ჰქონდა მრავალი ნაკლიც, ახლდა ცალკეული, ჩვენთვის მავანთზე მეტად დამახასიათებელი ცალკეული დარღვევები თუ დამახინჯება-გადახრებიც\*\*, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგივე შეუდარებლად პატიოსნად წინგადადგმული, უდავოდ პროგრესული (თვისებრივად ახალი!) და საკმაოდ ეფექტიანი ნაბიჯი, უფრო ზუსტად, მძლავრი ნახტომი იყო, რომელიც, თუკი შეუქცევადი პროცესი, მიზანმიმართული, სახელმწიფოებრივი, სამართლებრივობისკენ მიდრეკილი განუწყვეტელი რუდუნების საგანი იქნებოდა, უეჭველად მიგვიყვანდა ჩვენში გარკვეული „ხარისხის“ სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებამდე!

\* ერთ-ერთი ამგვარი დოკუმენტის – აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის – პროექტის შედგენასა და რედაქტირებაში მონაწილეობდა ამ მონოგრაფიის ავტორიც – როგორც აღმინისტრაციული სამართლის რეფორმის ქვეკომისიისა და პროექტის სარედაქციო ჯგუფის აქტიური წევრი.

\*\* ამ საკითხის გამოწვევით განხილვა ცალკე საუბრის თემაა, რომელსაც ავტორი, შესაძლოა, სხვა დროს საგანგებოდ დაუბრუნდეს. აქ კი აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ამ რეფორმისას მოღუბული ზოგიერთი საკადრო თუ სხვაგვარი გადაწყვეტილება არ იყო დაზღვეული ნათესურ-ახლობლური, ნაცნობ-შეგობრულ-შეზობლური თუ „გუნდური“ (რაც ჩვენთან, ფაქტობრივად, ტრაბილიზმის – კლანურ-ჯგუფური დამოკიდებულების გამოხატველია!) მიდგომებისაგან.



აღნიშნული რეფორმის შედეგად მივიღეთ მოსამართლეთა თითქმის მთლიანად განახლებული (რაც, ცხადია, თავისთავად სულაც არ ნიშნავს უკეთეს და, მით უმეტეს, საუკეთესო მოსამართლეთა შერჩევა-გამწესებას!) კორპუსი, რომელიც დაახლოებით 6 წელიწადი (1999-2005 წწ.), რაიმე სისტემური კორუფციის გარეშე, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესამჩნევი ხარისხითა და, ორგანიზაციის გასაგებ სიძნელეთა მიუხედავად, ძირითადად, მნიშვნელოვანი შეფერხება-გაჭიანურების გარეშე, საკმაოდ ეფექტიანად ფუნქციონირებდა ახალი სასამართლო სისტემის სამივე რგოლში და ყველა ინსტანციაში. მათგან, საკუთრივ რეფორმის პირმშობთაგან, უმნიშვნელოვანესი იყო სააპელაციო ინსტანცია, რომელიც ინტეგრირებული იყო თბილისისა და ქუთაისის საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში. ამავე სასამართლოებში შეიქმნა ახალი სასამართლო სტრუქტურა – საგამოძიებო კოლეგიები. პირველი ინსტანციით საქმეებს იხილავდნენ სამივე რგოლის სასამართლოთა მოსამართლეები (მეორე და მესამე რგოლის სასამართლოებში – კოლეგიურად, სპეციალური სასამართლო სტრუქტურის კოლეგიის შემადგენლობაში). მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში, საკასაციო პალატების ბაზაზე და მათ პარალელურად, იმავე მოსამართლეთა შემადგენლობით შეიქმნა დიდი პალატა.

ასეთი იყო პირველი რეფორმის შედეგად შექმნილი სასამართლო სისტემა, რომელშიც, როგორც ვხედავთ, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა ან მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტის შექმნა გათვალისწინებული არ ყოფილა.

### 1.3. ხელახალი სასამართლო რეფორმა („კონტრეფორმა“?) და მისი პარამეტრები

2003 წლის ნოემბერში საქართველოში რევოლუციად სახელდებული ვადამდელი რადიკალური სახელისუფლებო ცვლილებების შემდეგ, ოფიციალური მხრივ, მალევე დაიწყო საუბარი ქვეყანაში არსებული სასამართლო სისტემის „კორუმპირებულობაზე“, „არაეფექტურობაზე“, „რეფორმის გაჭიანურებაზე“, მის „არასაკმარის რადიკალურობაზე“ და, შესაბამისად, ახალი, რადიკალური რეფორმის ჩატარებაზე, მოსამართლეთა კორპუსის ძირფესვიანად შეცვლა-განახლებაზე, პროცედურების (საპროცესო წესების) გამარტივებაზე, სასამართლოთა რიცხვის შემცირებაზე და ა.შ. და მისთ. ამ მიზნით, ცალკეულ „მოთელვით“ ცვლილებათა გატარების შემდეგ, 2005 წლის 25 ნოემბრის ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში\* შეტანილ იქნა ცვლილება-დამატებები, რომლებითაც:

ა) საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და საოლქო სასამართლოებში გაუქმდა პირველი ინსტანციით საქმეთა განმხილველი სასამართლო სტრუქტურები. — კოლეგიები. ამის შედეგად, უზენაესი სასამართლო იქცა მხოლოდ მესამე (საკასაციო) ინსტანციით საქმეთა განმხილველ სასამართლოდ (თუ არ ჩავთვლით ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე საქმეთა გადასინჯვას);

ბ) საერთოდ გაუქმდა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები;

გ) საოლქო სასამართლოები გამოცხადდა ლიკვიდირებულად (!) თითქოსდა „სასამართლო წყობილების შეცვლასთან დაკავშირებით“. ეს მაშინ, როცა, ფაქტობრივად, საოლქო სასამართლოში — ზუსტად ისევე, როგორც უზენაეს სასამართლოში! — ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ პირველი ინსტანციით მომუშავე კოლეგიები, ხოლო ყველა დანარჩენი სტრუქტურა უცვლელი დარჩა! ამისდა მიუხედავად, მხოლოდ საოლქო სასამართლო გამოცხადდა ლიკვიდირებუ-

\* იხ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი“, 1997, №33.

ლად, ფაქტობრივად კი მხოლოდ გადაერქვა სახელწოდება – ეწოდა სააპელაციო სასამართლო. რაც შეეხება თითქოსდა „სასამართლო წყობილების შეცვლას“, ეს იყო მხოლოდ საბაბი, ანუ ხელოვნური, რაიმე იურიდიულ საფუძვლს და კონკრეტულ შინაარსს მოკლებული „საფუძველი“. ეს თუნდაც იქიდანაც ტრივიალურად აშკარაა, რომ ამ სასამართლოს მოსამართლეების უმრავლესობა, საერთაშორისო თუ ევროპული სტანდარტების დარღვევით, სრულიად არალეგიტიმური, არაგამჭვირვალე „კრიტიერიუმებით“ მათი ნაწილის გადარჩევისა და ახალშექმნილი სააპელაციო სასამართლოში „ძველ ადგილზევე“ გამწესების შემდეგ, სპონტანურად, „პირადი განცხადებებით“ გამოაცხადეს ფიქტიურ ე.წ. სარეზერვო მოსამართლეებად (მათი ხელფასი, 25%-იანი დაქვითითურთ (!), შეადგენს 500 ლარს, მაშინ, როცა გამწესებული იმავე რანგის მოსამართლეების ხელფასი შეადგენს 1.750 ლარს ანუ 3,5-ჯერ მეტს!..\*). ეს მაშინ, როცა უზენაესი სასამართლოს თვით მართლაც ლიკვიდირებული კოლეგიების მოსამართლეები „გაუშვეს“ დაახლოებით 6-ჯერ მეტი ანაზღაურების დანიშვნით, ამგვარ ფიქტიურ „რეზერვში“ ჩარიცხვის გარეშე;”

დ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, რომლებშიც მთლიანად იქნა კონცენტრირებული პირველი ინსტანციით ყველა კატეგორიის საქმეთა განხილვა, გათვალისწინებულ იქნა გამსზვილება ორი ან მეტი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გაერთიანების გზით, ამასთან, გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიაში შემაველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში – რაიონში თუ ქალაქში, როგორც სასამართლო უბანში, შეიძლება შეიქმნას მაგისტრატი მოსამართლის საშტატო ერთეული (ერთეულები).

ამგვარად, საქართველოს საერთო სასამართლოთა ერთიან სისტემას ქმნიან რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო (თბილისსა და ქუთაისში) და საქართველოს უზენაესი სასამართლო (იხ. საქართველოს ორგანული კანონი

\* იხ. სსმ., 2007, 26, 11.07.2007, მუხ. 231, გვ. 3.


\*\* ამგვარი, სრულიად აუხსნელი (ლეგიტიმურ ახსნას ეგულისხმობ, ცხადა!), არათანაზონიერი, უსამართლო გადაწყვეტილება ამ „რეფორმას“ სხვატ ბლომად ახლდა, მაგრამ აქ მათზე აღარ შეეჩერდები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხ. 2). რაც შეეხება სამხედრო სასამართლოებს, ისინი, კვლავინდებურად, შეიძლება შეიქმნას მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში (მუხ. 3). აქვე მითითებულია, რომ „საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია“ (მუხ. 4). რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გაერთიანების გზით ამ რგოლის სასამართლოთა გამსხვილების მიზნად გამოცხადდა მოსამართლეთა სპეციალიზაციის პრინციპის (რაც დაფიქსირდა ზემოხსენებულ ორგანულ კანონში 2007 წლის 12 ოქტომბერს დამატებული 15<sup>1</sup>-ე მუხლით) უკეთ რეალიზაციის პირობების შექმნა – მიუხედავად იმ ცნობილი, მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგისა\*, რომ ამგვარი გამსხვილება (რომელიც, გამოცხადებულად თუ გამოუცხადებლად, უწინარეს მიზნად ისახავს სასამართლოთა რიცხვის შემცირებით მათი შენახვის ხარჯების შემცირებას!..) მოქალაქეების დიდ მასას ტერიტორიულად აშორებს პირველი რგოლის სასამართლოთაგან, რაც, ისეთი მატერიალურად შეჭირვებული ქვეყნის პირობებში, როგორც საქართველო (ცხადია, იგულისხმება მოსახლეობის ძირითადი მასა), ერთობ ამცირებს სასამართლოთა ხელმისაწვდომობას, ზრდის სასამართლო სხდომებზე გამოცხადების (სიარულის) ხარჯებს და ა.შ.

#### 1.4. მოქმედი სასამართლო სისტემის სქემატური „ანატომია“

სადღეისოდ საქართველოში არსებულ (მოქმედ) სასამართლო სისტემაზე (უფრო ზუსტად, მის „ჩონჩხზე“ – ძირითად კონტურებზე), ვფიქრობ, საკმაოდ თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს აქვე შემოთავაზებული სქემა (№8).

\* ზემოთ უკვე იყო მოყვანილი შესაბამისი მაგალითი საფრანგეთის სასამართლო სისტემის ანალოგიური რეფორმების ისტორიიდან.



## 1.5. სქემის პრობლემატიკის აუცილებელი მინიმალური კომენტარი

1.5.1. როგორც ვხედავთ, საქართველოს სასამართლო სისტემა სამრეოლიანია (საშსაფეხურიანია) და, ამასთან, მისი სამინისტრაციური მოწყობა მთლიანად ემთხვევა აღნიშნულ რგოლებს: პირველი რგოლის სასამართლოები ფუნქციონირებენ პირველი ინსტანციით (და, შესაბამისად, აღრინდელი პერიოდისგან განსხვავებით, პირველი ინსტანციით საქმის განხილვა არც ერთი შემდგომი რგოლის სასამართლოში არ ხდება – პირველი ინსტანციით ყველა საქმე შესაბამის რაიონულ თუ საქალაქო სასამართლოებში განიხილება). მეორე რგოლს ქმნიან თბილისისა და ქუთაისის წმინდა სააპელაციო სასამართლოები, რომელთაგან პირველი განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს და აფხაზეთის ა/რ-ის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოთა მიერ განხილულ საქმეებზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებს (ეს – მას შემდეგ, რაც მოხდა აჭარისა და აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოთა ლიკვიდაცია<sup>\*</sup>). მესამე (და ბოლო – უმაღლესი) რგოლის სასამართლოა საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ამჟამად წმინდა მესამე ანუ საკასაციო ინსტანციაა.

1.5.2. როგორც გაკვრით უკვე აღინიშნა, ზემოხსენებული ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია“. მაგრამ, ამჟამად მოქმედ კანონთა პაკეტისთვის თვალის ზერელე გადავლებითაც კი ცხადი ხდება, რომ ეს „ერთიანობა“ ერთობ ნომინალურია. სასამართლოთა (სასამართლო სტრუქტურათა) ლიკვიდაციისა და მოსამართლეთა დამი მიდგომის გაუგებრად დიფერენცირებულ, აღმამოფოთებლად

\* როგორც ცნობილია, ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოთა უმაღლესი რგოლი ადრე იწოდებოდა „უმაღლეს“ სასამართლოდ, პირველი რეფორმის შემდეგ რატომღაც ეს ტერმინი შეიცვალა და ეწოდა „უზენაესი“ სასამართლო, რაც კვლავ შეიცვალა და 2005 წლის 23 ივნისის ორგანულ კანონში (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) იგი უკვე კოდდ „უმაღლეს“ სასამართლოდაა მოხსენიებული: მათი 2005 წლის 1 ნოემბრიდან ლიკვიდაციის (ფაქტობრივად – გადაკეთების) შემდეგ შეიქმნა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც „მკვდრად-შობილი“ აღმოჩნდა – 2005 წლის 25 ნოემბრის კანონით ისინი ლიკვიდირებულნი იქნენ 2006 წლის 1 იანვრიდან (მუხ. 85<sup>1</sup>, 86<sup>2</sup>, 88<sup>3</sup> 88<sup>4</sup>).

უსამართლო „სტილზე“ ზემოთ უკვე ითქვა (ერთი მაგალითის ბაზაზე, თუმცა, როგორც იქვე აღენიშნე, ამგვარი მაგალითები სხვაცაა). აქ, საილუსტრაციოდ, კიდევ რამდენიმე ასპექტს შევეხები. კერძოდ:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში, ამ „ერთიანი სისტემის“ მესამე, უმაღლეს ელემენტზე – საქართველოს უზენაეს სასამართლოზე – საერთოდ არ არის შეტანილი თუნდაც ერთი კონკრეტული ნორმა მაინც, რომელიც რამენაირად (მინიმალურად) მაინც „გახსნიდა“ მისი კომპეტენციის (განსჯადობის), სტრუქტურისა და მისთანა მაგისტრალურ-საკვანძო საკითხებს. ნაცვლად ამისა, მხოლოდ „გარდამავალ დებულებათა“ თავში (XV), 85-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩაიწერა, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა, ორგანიზაცია და უფლებამოსილება, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილება, საკვალიფიკაციო ატესტაციის წესი და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები, აგრეთვე მათი სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით“. შემდგომში მავანთ სცადეს გარკვეული სიტუაციური გარემოებების არსებობით გაემართლებინათ ამგვარი კანონის ცალკე, განკერძოებულად, „ელიტარული“ ფორმითა და შინაარსით (სულისკვეთებით) მიღება, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა (და დღემდე გრძელდება) მოსამართლეთა კორპუსის ერთიანობის სრულიად გაუმართლებელი, არათუ ნორმალური ქვეყნებისათვის, თვით პოსტსოციალისტური და მისი მსგავსი სახელმწიფოებისათვის სრულიად მიუღებელი რღვევა-გახლეჩა – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უამრავი, მაღალი „სინჯის“ სოციალური დაცვის გარანტიებით აღჭურვა ყველა სხვა სასამართლოთა მოსამართლეების აშკარა დისკრიმინაციის ფონზე (და, როგორც ჩანს, მათ ხარჯზეც – ნაწილობრივ მაინც!), რაც საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების აშკარა იგნორირებაა! საკმარისია აღინიშნოს, რომ, მაგალითად:

ა) უზენაესი სასამართლოსაგან განსხვავებით, რომლის მოსამართლეთა მაღალი დონის სოციალური დაცვის გარანტიები მალე იქნა ორგანული კანონითვე (!) დადგენილი, უფრო დაბალი რგოლების

მოსამართლეები წლების მანძილზე ამაოდ ელოდნენ შესაბამისი ორდინარული (!) კანონის მიღებას (რასაც ითვალისწინებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი). წლების შემდეგ, როგორც იქნა, ეს კანონი, საკმაოდ „მოკრძალებული“ გარანტიებით (უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების შესაბამის გარანტიებთან შედარებაც კი არ ღირს!), მიიღეს, მაგრამ, მალევე, მეორე (ხელახალი!) რეფორმის ფარგლებში, იგი ისე მიჩეხ-მოჩეხეს, რომ ის „მოკრძალებულიც“ კი არ არგუნეს არაგამჭვირვალე, ლეგიტიმუროფიციალურად გაუგებარი კრიტერიუმებით, კონსტრუქციულობისა და აღიარებული სტანდარტების იგნორირებით გასაყრელად განწირულ „ქვემდგომ“ მოსამართლეთა საკმაოდ დიდ ჯგუფებს!..

ბ) მოსამართლეთა პრივილეგირებულ და დისკრიმინირებულ კასტებად დაყოფაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის კანონში\* 2007 წლის 20 ივნისს შეტანილი ცვლილება-დამატებებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასი („თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი“) შეადგენს 4.100 ლარს, ამავე სასამართლოს მოსამართლისა – 3.100 ლარს, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისა – ამდენივეს, ამავე სასამართლოს მოსამართლისა – სულ 1.750 ლარს, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისა კი – მხოლოდ 1.550 ლარს. ამგვარად, ელემენტარული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ, თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (რომლის კოლეგაც, ნორმალურ ქვეყნებში, მხოლოდ „თანასწორთა შორის უპირველესია“!) ამავე სასამართლოს მოსამართლეზე 1.000 ლარით (!) მეტს ღებულობს, ამასთან, ამდენივეს იღებენ სააპელაციო სასამართლოთა თავმჯდომარეები, ქვემოთ უკვე ფრიად „გაუგებარი“ სიტუაციაა: სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე იღებს 1750, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე – 1550 ლარს. ეს კი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასზე შესაბამისად, 2,3-2,6-ჯერ

\* იხ., სსმ, ნაწ. 1, 56, 28.12.2005, მუხ. 425.

\*\* იხ. სსმ, ნაწ. 1, 26, 11.07.2007, მუხ. 231.



ნაკლებია!.. თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ხელფასი ზუსტად ორჯერ (!) ნაკლებია ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასზე!

⊗ შედარებისათვის: რუსეთის ფედერაციის – ამხელა „სუპერ-ქვეყნის“ – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასს (იგი ამავე ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ხელფასის 98%-ია) თუ 100%-ად ჩაეთვლით, ამავე სასამართლოს მოსამართლისა გამოდის 85%, უდაბლესი რეოლის – რაიონული სასამართლოს მოსამართლისა კი – 67% (თავმჯდომარისა არის 72%, მოადგილისა – 70%) [... გვ. 31-32]. თვალის ზერელე გადავლებითაც კი აშკარაა ამ მონაცემთა შედარების შედეგი, რომელიც, ამასთან, საქართველოს ზემოთ მოტანილ ანალოგიურ მაჩვენებელთა ფორმირების წესთან აშკარა „შეუთავსებლობაზე“ მეტყველებს!..

### 1.5.3. დადგენილია საქმეთა განხილვის შემდეგი წესი:

ა) პალატები ყველა ინსტანციაში საქმეს განიხილავენ კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით, გარდა უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისა, რომელიც საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით; ბ) საგამომიებო კოლეგიის, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავენ ერთპიროვნულად. გამონაკლისია შემთხვევა, როცა, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლენი საქმეს იხილავენ კოლეგიურად, 3 მოსამართლის შემადგენლობით („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ.15, მუხ. 21). „სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას გადაწყვეტილება გამოაქვს ხმების უმრავლესობით. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან“ (საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მე-11 მუხლი). „რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა კატეგორიის საქმეებს, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. მოსამართლეთა სპეციალიზაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე“ (იქვე,

მუხ. 15<sup>1</sup>, პ.1). ამასთან, „საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენ-სიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, ... შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან, ... საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები“ (იქვე, პ.2). „აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე, მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება“ (იქვე, პ. 5). საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე განიხილავს საჩივრებს სსსკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მუხ. 21, პ. 2).

1.5.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა მხოლოდ პირობითად შეგვიძლია განვიხილოთ ცალკე სასამართლო სტრუქტურად, რადგან იგი „მეორადი“, საგამონაკლისო, მაკრასო. საბოლოო ანგარიშით, ერთობ მნიშვნელოვანი იურისდიქციული ფუნქციისა და როლის მქონე სპეციფიკური სტრუქტურული წარმონაქმნია. აღნიშნული თვალსაჩინოდ ვლინდება როგორც დიდი პალატის შექმნის, შემადგენლობის ფორმირება-დაკომპლექტების, ისე მისთვის საქმეთა განსახილველად დაქვემდებარების (განსჯადობა, ამ სიტყვის ზუსტი აზრით, მას არ გააჩნია – შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ „შესაძლო განსჯადობაზე“ და მის კანონისმიერ კრიტერიუმებზე თუ საფუძვლებზე, რომლებიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტად სუბიექტურ-შეფასებითა) სპეციფიკურ თავისებურებებში. კერძოდ: „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონის\* (2001 წლის 8 ივნისის და შემდგომი ცვლილება-დამატებებით) თანახმად, დიდი პალატა არის „საკასაციო ინსტანციის სასამართლო“ (უნდა იყოს: „სასამართლო სტრუქტურა“, თუმცა ესეც პირობითია!.. – ი.გ.), რომელიც შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან

\* სს. ნაწ. 1, 1999, №14(21).

ორი წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან. იგი საქმეებს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით, რომლის შემადგენლობაში შედიან „... ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი იმავდროულად დიდი პალატის წევრები“ (მუხ. 10). ეს „უცნაურობა“ იმის შედეგია, რომ, თანახმად ამავე კანონის მე-9 მუხლისა (ნაწ. 3), დიდ პალატას დამოუკიდებელი „გარანტირებული“ განსჯადობა არ გააჩნია – იგი საქმეებს განიხილავს მხოლოდ მაშინ, როცა უზენაესი სასამართლოს რომელიმე „ძირითადი“ პალატის საქმის განმხილველი შემადგენლობა მოტივირებული განჩინებით მიიჩნევს, რომ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ან:

ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას, ან:

გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

ამ საფუძველთაგან რომელიმეს (ალტერნატიულად!) არსებობისას, მე-10 მუხლის პირველ ნაწილში ორგანული კანონი ამგვარ საქმეს მიიჩნევს „განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმედ“, რომლის განხილვა-გადაწყვეტის უფლებამოსილება გააჩნია სწორედ დიდ პალატას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან, მისი დავალებით, უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარის (რომელიც თანამდებობრივად, იმავდროულად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა) თავმჯდომარეობით. ამდენად, დიდი პალატის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა თუნდაც „ირიბად“, რთულ სამართლებრივ შემთხვევებში საქმის გადაწყვეტის გარკვეული „მოდელის“ (არსებითად – პრეცედენტის) შექმნა, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა.

## 1.6. ქართული სასამართლოები დღეს: როგორია მათი რეიტინგი?

ჩვენში დღეს არსებული სასამართლო სისტემის, სასამართლოების და მოსამართლეების ავტორიტეტს რომ უმძიმესი დღეები უდგას, ამას, ოფიციალურად და მისი აპოლოგეტების გარდა, ფაქტობრივად ყველა აღიარებს – როგორც „შინაურნი“, ისე უცხოელები. საილუსტრაციოდ მოვიხმობ რამდენიმე ფაქტს.

⊗ ჯერ კიდევ 2005 წლის ივლისში, ამერიკის იურისტთა ასოციაციის ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის (ABA/CEELI) მიერ საქართველოში ჩატარებული გამოკვლევით გამოირკვა, რომ ქვეყანაში არსებულ 9 სოციალურ ინსტიტუტს შორის (პრეზიდენტის აპარატი, პარლამენტი, პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო, პოლიცია, იუსტიციის სამინისტრო, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, მასმედია) სასამართლოსს მხოლოდ... მეშვიდე ადგილი ეჭირათ – მათ ჩამორჩებოდნენ მხოლოდ პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო! [83, გვ. 2]. ამასთან, გამოკითხულთა სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესების იმედიც ნაკლებად ჰქონდათ (იქვე). ამ ფონზე გასაგებია ის საგანგაშო გარემოება, რომ გამოკითხული მოსახლეობის თითქმის ნახევარს (47%-ს) არ ჰქონდა მომავალში სასამართლოსთან ურთიერთობის რაიმე სურვილი – აცხადებდნენ, რომ მაქსიმალურად შეეცდებიან სასამართლოსგან თავის არიდებას [იქვე, გვ. 8].

⊗ 2005 წლის სექტემბერში, ამავე ორგანიზაციის მიერ, 30 ფაქტორის შეფასებაზე აგებული სპეციალური მეთოდით, აღნიშნულ ფაქტორთაგან დადებითად შეფასდა მხოლოდ ორი – მოსამართლეთა ანაზღაურების ადეკვატურობა და მასმედიისა და საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების მისაწვდომობა. ბარემ წინასწარვე შევნიშნავ, რომ: ა) როგორც ვნახეთ, სადღეისოდ მოსამართლეთა ანაზღაურების ადეკვატურობაც შენიშვნებს იწვევს; ბ) რაც შეეხება მასმედიისა და საზოგადოებისათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, შემდგომში კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებებით პროცესებზე ტელე-კინო-ვიდეო ჩაწერის აკრძალვის, ღიაობის შეზღუდვის, სასამართლო დარბაზებსა თუ მის გარეთ ლამის „ადმინისტრაციული ტერორის“ (დაჯარიმება-დაპატიმრებების სერიის) შემოღებისა და რიგ

სხვა გარემოებათა გამო, იგი სადღეისოდ დიდადაა ნიველირებული. ზემოსხენებული 30 ფაქტორიდან 15 შეფასდა მკვეთრად უარყოფითად. ამასთან დაკავშირებით, გამოკვლევაში, მაგალითად, მითითებულა, რომ „ერთ-ერთი ყველაზე შწვავე საკითხი, რომელიც საქართველოს სასამართლო სისტემის წინაშე დგას, არის ზეწოლა აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროკურატურის მხრიდან... ასეთი ზეწოლა გაიზარდა 2003 წლის შემდეგ“ [83, გვ. 11]. აქვე მითითებულა, რომ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული მოსამართლეთა შერჩევა-გამწესების, დისციპლინური ღვენისა და სხვაგვარად დაშინების ზერხების გამოყენება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ [იქვე, გვ. 11-12 და სხვ.]

⊗ შემდგომ პერიოდში პრესასა და მასმედიის სხვა საშუალებებში გაუღერებული მრავალრიცხოვანი მასალების, პირადი ინტერვიუების მონაცემებისა და სხვა მასალების ანალიზი მოწმობს, რომ, იმავე ოფიციალისა და მის იდეოლოგთა გარდა, არსებითად ყველა სხვა წყარო სასამართლოებში მდგომარეობის შემდგომ გაუარესებაზე მიუთითებს. აქაც მოვიტან მხოლოდ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს – უფრო ვრცელი ანალიზის გაკეთება, მასალის დიდი მოცულობისა და ერთგვაროვნობის გამო, მიზენშეუწონლად მიმაჩნია.

⊗ ნეიტრალური პირი – ავტორიტეტული მეცნიერი ო. მელქაძე აღნიშნავს: „მიმდინარე ცვლილებების დროს, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი ნაუცბათევად დანიშნული, მორალური რეპუტაციის შეულახავი ახალგაზრდა მოსამართლე, რომელიც ასეთი იმიტომაც არის, რომ ცხოვრებისეული გამოცდის ჟამი არ დადგომა, სწორედ საქმიანი და პროფესიული გამოუცდლობის გამო გახდა არა მხოლოდ საკუთარი რეპუტაციის, არამედ მთლიანად ამ იდეის შელახვის საფუძველი“ [62, გვ. 5]. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, „... საქართველოს სინამდვილეში სასამართლოც კი, მმართველი პოლიტიკური პარტიის დაშინების ზეობის იდეოლოგიიდან გამომდინარე, ერთპარტიული მართლწესრიგის რეალიზაციის პროცესში აღმოჩნდა ჩათრეული“ [იქვე, გვ. 4].

⊗ „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, „ამერიკის შეერთებული შტატების გავლენიანი კონგრესმენი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ფრენკ ვულფი 2006 წლის 30 ივლისის წერილში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისისადმი, წერდა: „აშშ-ის

სახელმწიფო დეპარტამენტის 2006 წლის მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე აჩვენებს, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სერიოზული პრობლემებია. ადამიანებს აპატიმრებენ ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ასევე, უმიზეზოდ ხდება მათი წინასწარი დაკავება. ხელისუფლება აშკარა ზეწოლას ახორციელებს სასამართლოსა და მედიასაშუალებებზე“. შემდეგ კონგრესმენი წერილში მიიჩნევს, რომ სერიოზული ყურადღების მიქცევა სჭირდება სასამართლო რეფორმის მიმდინარეობას, საარჩევნო კანონისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, ვიდრე ქართული დემოკრატიის პროცესს შეიძლება დემოკრატიული ეწოდოს. ამერიკელი კონგრესმენი იხსენებს აგრეთვე იმასაც, რომ გასული (ანუ 2006) წლის შემოდგომაზე საქართველოს ნატომ უარი უთხრა „მაა“-ის პროგრამაში გაწვერიანებაზე, „... რადგან ეს პროგრამა საქართველოსგან მოითხოვს აჩვენოს უფრო მეტი პროგრესი ეკონომიკის, სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში, სასამართლო რეფორმის გაძლიერების ჩათვლით“.

⊗ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე – „გაქვთ თუ არა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინება მნიშვნელოვნად წაადგებოდა ქართულ ეკონომიკას?“ – ამერიკელმა მეწარმემ, აშშ-ის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ესბენ ემბორგმა პასუხი ქართულ სასამართლოებზე საუბრით დაიწყო და, კერძოდ, განაცხადა შემდეგი: „სასამართლო რეფორმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად უნდა განვიხილოთ. ეს არის ზუსტად ის სფერო, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ვერ მიჰყვება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმას. თუ ზოგადად დაისმება კითხვა, უწინარესად რა პრობლემა და საკითხი გადაწყდეს, ესაა სასამართლო რეფორმა. სასამართლო რეფორმა ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია. თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, აზრი არაფერს ექნება“.<sup>\*</sup> საკმაოდ პირდაპირი, ამასთან, არსებითად „გამანადგურებელი“ შეფასებაა!.. დავძენ (გავიძეორებ) მხოლოდ იმას, რომ რესპონდენტს აქ, ეჭვს გარეშე, მხედველობაში აქვს არა ფსევდორეფორმა („რეფორმა რეფორმისათვის“ – იდეოლოგიური ანუ „პიარის“ მიზნით!), არამედ ჭეშმარიტი, პოზიტიური, გაუმჯობესებისკენ, პროგრესისკენ მიმართული გარდაქმნა და არა ნებისმიერი (მით უმეტეს, რეგრესისკენ – სასამართლოების

\* გაზ. „მთელი კვირა“, 2007 წ., 20 აგვ. (იგივე გამოურდა 2008 წელსაც!..)

\*\* იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წ., 18 ივლისი.

ნიველირებისკენ მიმართული!) შეცვლა თუ გადაკეთება! სხვა სიტყვებით, მხედველობაშია ჭეშმარიტი, პროგრესული რეფორმა და არა ის, რასაც ამ სიტყვის „საკუთარი“ ლათინური ნეიტრალური მნიშვნელობა\* გვაძნობს!.. სხვაგვარად, მხოლოდ ფორმის შეცვლა (სიტყვა „რეფორმა“-ში ლათინური „რე“ წინსართი ნიშნავს „მოქმედების განახლებას ან განმეორებას“, ანდა „საწინააღმდეგო მოქმედებას ან უკუქმედებას“) [289, გვ. 428] – ეს იქნება მისი მოჩვენებითი, „კოსმეტიკური“ გადაკეთება თუ უაზრო (გაუთვლელი-გაუზრებელი) მსხვერვეა ან რადიკალური გადაკეთება! ამგვარი „როყო“ მოქმედებები, როგორც საქართველოს (და არა მართლ!) უახლესი გამოცდილება მოწმობს, როგორც წესი, მხოლოდ უკუშედეგს იძლევა!.. (არაფერს ვამბობ ამგვარ განზრახ, მიზანმიმართულ მოქმედებაზე, რადგან მისი შედეგი მეტწილად სხვა არაფერია, თუ არა კატასტროფა!!!).

სასამართლო სისტემისადმი, მოსამართლეთა „რეფორმირებული კონტინგენტისადმი“ ამგვარი აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების, პროფესიონალური სასამართლოებისადმი ლამის „ტოტალური“ უნდობლობის ამგვარი მაღალი ხარისხის ვითარებაში, იქნებ სწორედ „სახალხო სამსჯავრომ“ – ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, კერძოდ კი მისმა ბირთვმა – ნაფიც მსაჯულთა ჯეროვნად შერჩეულმა და ზემოქმედებათაგან დაცულმა (!) კორპუსმა (რის თაობაზეც დაწვრილებით იყო საუბარი ამ ნაშრომის წინა ნაწილის შესაბამის მონაკვეთებში!) შეძლოს მართლმსაჯულების ავტორიტეტის რამდენადმე მაინც პოზიტიურისკენ მიბრუნება, სასამართლო სისტემისადმი ნდობის (რაც აქ განუზომლად დიდი მნიშვნელობის ფაქტორია!) რამდენადმე მაინც ხელახლა კულტივირება! ეს კი, როგორც ცნობილია, ერთობ საშური, უალტერნატივო ამოცანაა ლიბერალური ღირებულებებისაკენ და, უწინარესად, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსკენ რეალურად – და არა დეკლარაციულ-მოჩვენებითად! – მიდრეკილი (ორიენტირებული) ნებისმიერი თანამედროვე ქვეყნისთვის!..

\* ლათ. reformare (ფრანგულში: reforme) ნიშნავს გარდაქმნას, შეცვლას, გადაკეთებას – გაუმჯობესების მომენტის გარეშე [289, გვ. 443].

თავი III. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს  
თანამედროვე ქართული მოდელი

მცირე, მაგრამ აუცილებელი შესავალი

საქართველოს მოქმედ (1995 წლის 24 აგვისტოს) კონსტიტუციაში 2004 წლის 6 თებერვალს (ანუ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და მის შედეგად) შეტანილ რიგ (მათ შორის რადიკალურ) ცვლილებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო სიახლე იყო ის, რომ 82-ე მუხლში მე-5 ნაწილად ჩაიწერა შემდეგი:

„საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით“

⊗ ეს კონსტიტუციური დებულება, ჩემი აზრით, შეიცავს ორ არსებით ხარვეზს მაინც. კერძოდ:

ა) „საქმეები“ აქ მოცემულია მსაზღვრელი სიტყვების („სისხლის სამართლის“, „სამოქალაქო“...) გარეშე, რაც, ლოგიკის თანახმად, მოუთხოვს იმაზე, რომ თითქოს ხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „უნივერსალიზაცია“ – დანერგვა არა მარტო სისხლის სამართლის, არამედ სხვა (სამოქალაქო, ადმინისტრაციულ) სფეროებშიც, რაც სხვა არაფრით დასტურდება, გარდა ამ კონსტიტუციური დეფინიციის ამგვარი უნივერსალური „განფენილობისა“...

ბ) საქმეები არსად (მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში) განიხილება „ნაფიცი მსაჯულების მიერ“ – ისინი განიხილება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც ვნახეთ, ისინი წარმართავენ (ატარებენ) განხილვის მხოლოდ ერთ (პირველ) ნაწილს, ამასთან, მოსამართლის (ანუ პროფესიონალური ნაწილის) თავმჯდომარეობით, რა დროსაც იგი, სხვა საკითხებთან ერთად, ნაფიც მსაჯულთაგან დამოუკიდებლად განიხილავს, მაგალითად, მტკიცებულებათა დასაშვებობის მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს, საქმის განხილვის მეორე ეტაპს (სასჯელის დანიშვნა და სხვა) კი წარმართავს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე!..

ქვემოთ განვიხილავ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირების თაობაზე ამ სახელმძღვანელო (კონსტიტუციისმიერი) დებულების რეალიზაციის სადღეისო პერიპეტიებს, რომლებიც



არა მარტო გაურკვეველი ვადით გადადო, არამედ რეალობის თვალსაზრისითაც კი ერთობ ბუნდოვანი გახდა საქართველოში დატრიალებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა – 2007 წლის ნოემბრის (ანუ იმ პერიოდისა, როცა პროექტი უნდა მიეღოთ საბოლოოდ) კრიზისმა, მიმდინარე წლის 5 იანვარს ჩატარებულმა პრეზიდენტის ვადამდელმა არჩევნებმა, ამავე წლის მაისის დამლევსთვის დანიშნულმა საპარლამენტო არჩევნებმა და სხვა მოვლენებმა!..

## § 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელის სტატუსი (განსჯადობა, დაცვა, აცილება)

### 1.1. განსჯადობა

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ბოლო პროექტის (2007 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით) მიხედვით, ჩვენში შემოთავაზებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საექსპერიმენტო მოდელი. კერძოდ, ახალი სსსკ-ის პროექტის ბოლო თავში („გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი“) შეტანილი 341-ე მუხლი („ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დროებითი განსჯადობა“) ადგენს, რომ „2001 წლის 1 იანვრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის<sup>\*</sup> საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მის ტერიტორიულ განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამავე პროექტის ბოლო (343-ე მუხლი) ადგენს, რომ ეს კოდექსი უნდა ამოქმედდეს 2008 წლის 1 ივნისს. აქედან ცხადი ხდება, რომ ეს ნორმა დროებითად მიიჩნეოდა – იმოქმედებდა 19 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა, სავარაუდოდ, მოიცავდა საქართველოს მთელ „მოქმედ“ ტერიტორიას.

---

\* ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ პრესაში გაკეთებული ადრინდელი განცხადებით, განზრახული იყო პირველ ეტაპზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში, მხოლოდ ორი კატეგორიის დანაშაულებზე – წამება და ქრთამის აღება (იხ. კ. კუბლაშვილის ინტერვიუ ჟურნალში „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1.).

პროექტის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა (ანუ განზრახ მკვლევლობებს დამამძიმებელ გარემოებებში. – ი.გ.) საქმეებს“. ამასთან, „დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი ედება ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც, სისხლის სამართლის საქმე, ამ კოდექსით დადგენილი წესით, განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ“. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამ ეტაპზე, განიხილავს მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლევლობებს – როგორც „სუფთა“ სახით, ისე სხვა დანაშაულთან (დანაშაულებთან) ერთად ჩადენილთ. სხვა სიტყვებით, თუ პირს, სხვა დანაშაულთან (დანაშაულებთან) ერთად ბრალი ედება დამამძიმებელ გარემოებაში (გარემოებებში) ჩადენილ მკვლევობაშიც, საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია.

პროექტის 29-ე მუხლში, წინა (ანუ 2006 წლის 3 ივლისის) პროექტისაგან (მუხ. 29) განსხვავებით, გაჩნდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თითქოსდა „ნეიტრალურად დამაზღვეველი“, არსებითად კი მეტად დამაფიქრებელი შინაარსის მე-8 და მე-9 ნაწილები. კერძოდ:

ა) მე-8 ნაწილში მითითებულია შემდეგი:

„თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება მხარემ გამოიყენა ისეთ საქმეზე, რომლის განხილვითაც, დანაშაულის სიმძიმედან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად ხელყოფილი იქნეს მათი ხელშეუხებლობა, საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს განსჯადობის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლო. იგივე წესი გამოიყენება როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას“.

ჯერ ერთი, ამ ნორმიდან (რომლის სრულ ანალოგს რომელიმე ნორმალური ქვეყნის კანონმდებლობა არ შეიძლება შეიცავდეს და არც შეიცავს, მით უმეტეს, ჩვენში მისი რეალურად, სისტემატურად

და მაქსიმალიზებულად ამოქმედების ფაქტორითურთ, რაც, ჯერჯერობით, ფაქტობრივად „გარანტირებულია!..“ არ ჩანს, თუ რატომ უნდა შეექმნას საფრთხე ნაფიც მსაჯულს მისი მონაწილეობით განსახილველი „დანაშაულის სიმძიმიდან და ხასიათიდან გამომდინარე“. მეორეც, აქ ლაპარაკია არა მარტო ნაფიც მსაჯულთა „სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფაზე“, არამედ, აგრეთვე, რაღაც (!) „მათი ხელშეუხებლობის სხვაგვარად არსებითად ხელყოფაზე“, რომელშიც, ჩვენში სადღეისოდ არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ოფიციალში, მისი სურვილისამებრ, მოაქცევს თითქმის ნებისმიერ ორდინარულ სიტუაციას (ფაქტორს, გარემოებას), აქედან გამომდინარე უაღრესად ნეგატიური შედეგებით!.. დაბოლოს, 29-ე მუხლის ამ ნაწილის ბოლო წინადადება წარმოდგენილია შემდეგი „იურიდიული შედეგის“ სახით: „იგივე წესი გამოიყენება როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას“. „იგივე წესში“ აქ იგულისხმება ის, რომ ყველა ამგვარ „საეჭვო“ შემთხვევაში, „საქმის განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს განსჯადობის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლო“. რაც შეეხება ამ ნოველის დანარჩენ ნაწილს, იგი იმდენად განუსაზღვრელი, ბუნდოვანი და აშკარად ხელოვნურია, რომ, ვფიქრობ, რაიმე დეტალური კომენტირება ზედმეტიც კია! ამიტომ აქ მხოლოდ ერთ კითხვას დავსვამ ფრაგმენტული კომენტარით: კი, მაგრამ, რა შემთხვევაში (რომლის „კორექტირებაც“ შეუძლებელია!) დაარღვევს (თანაც არსებითად!) ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა (პროექტში დაშვებულია ტრივიალური შეცდომა: ლაპარაკია „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებაზე“!..) „ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას“?! აკი, მთელს მსოფლიოში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებისა თუ გამოყენების მიზანი ხომ, უწინარესად, სწორედ ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლების უკეთ რეალიზაციაა?!?!

ბ) ამავე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, „თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებული თავს არიდებს

სასამართლოში გამოცხადებას, საქმე განიხილება მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, სასამართლოს მიერ“. კი, მაგრამ, საქმე ხომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბრალდებულის თანხმობის გარეშე არ გადაეცემა, სასამართლოში ბრალდებულის გამოცხადებლობა კი აქ მეტისმეტად არარეალურია თუნდაც იმის გამო, რომ, სადღეისოდ, საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) გარეთ დატოვებული (ანუ დაუპატიმრებელი) ბრალდებული ფაქტობრივად თეორიული ვარაუდის დონეზეც კი წარმოუდგენელია!..

## 1.2. სავალდებულო დაცვა

პროექტის 48-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს დამცველი, თუ მას „ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელზეც ამ კოდექსით გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განხილვა“. ეს დებულება, საზოგადოდ, სხვა ქვეყნებში, გამომდინარეობს იმ სპეციფიკიდან, რომ ნაფიცი მსაჯულები იურისტები არ არიან და, თუნდაც ამიტომ, მათ სჭირდებათ, პროკურორთან (სახელმწიფო ბრალმდებელთან) ერთად (და, შესაძლოა, უფრო მეტი ინტერესითაც კი – რიგ გარემოებათა ერთობლიობის გამო, ბრალდებულის სტატუსისმიერ გარემოებათაგან დაწყებული, მისი დასჯის სერიოზული საფრთხის ქვეშ ყოფნის ფაქტის გათვალისწინებით!..), ყურადღებით მოუსმინონ დაცვის მხარის ფაქტობრივ არგუმენტებს, რომელთა უდიდესი ნაწილის იურიდიულ არგუმენტებთან მჭიდროდ გადახლართვა თუ სხვაგვარი უმჭიდროესი კავშირი, როგორც ამ ნაშრომში არაერთგზის აღინიშნა, რეალური, ამასთან, „უნივერსალური“ ფაქტია!.. რაც შეეხება საქართველოს, სადღეისო მდგომარეობით, სსსკ-ის 109-ე მუხლის რიგი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კანონით (მუხ. 48, ქვეპ. „ე“) დაცვა ისედაც სავალდებულოა (!) იმის გამო, რომ ეს ქვეპუნქტები ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას!..

### 1.3. ნაფიც მსაჯულთა აცილებისა და თვითაცილების საფუძვლები

პროექტის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაფიცი მსაჯულის აცილების საფუძვლებს მიეკუთვნება:

ა) თუ იგი კანონით დადგენილი წესით არ იყო ამ თანამდებობაზე არჩეული. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს არა მარტო საკუთრივ „კანონით დადგენილი წესით აურჩევლობას“, ანუ კანონით დადგენილი არჩევის წესისა თუ პროცედურის დაუცველობას, არამედ ამ წესის არსებითი დარღვევით არჩევასაც. მეორეც, ვფიქრობ, ამასვე უთანაბრდება ის შემთხვევებიც, როცა ნაფიც მსაჯულად ყოფნის კონკრეტული ვადა თუ დადგენილი წესი (მაგ., წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ საქმეში ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა) დარღვეულია. ცხადია, აქ არაფერს ვამბობ იმ შემთხვევაზე, როცა ნაფიც მსაჯულად ყოფნის ვადა გასულია და მას მაინც იწვევენ საქმის განსახილველად – გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას, კანონის თანახმად, უფლება აქვს და ევალება კიდევ გამწესების ვადის გასვლამდე დაწყებული საქმის დამთავრება;

ბ) თუ იგი იმავე საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა როგორც ბრალდებული, დამცველი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი, მოწმე (პროცესი ზოგჯერ დროში იმდენად გაწელილია, რომ ზოგჯერ ხდება პროცესთან დაკავშირებული პირების სტატუსის ამგვარი მკვეთრი ცვლილება!..);

გ) თუ იგი ბრალდებულის, დამცველის, დაზარალებულის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია;

● ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ: 1) პროექტის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ოჯახის წევრებს მიეკუთვნებიან: პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები ნებისმიერი პირი; 2) ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ახლო ნათესავებს მიეკუთვნებიან: მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილიშვილი, პაპა, ბებია, დიდი პაპა, დიდი ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის განქორწინებული),

არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მშობლისა და შვილის გერი, მეუღლის და, ძმა და მშობელი;

დ) თუ იგი მოსამართლის, სხვა ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამოძიებლის ან სასამართლოს სხდომის მდივნის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავია („ოჯახის წევრის“ და „ახლო ნათესავის“ ცნებათა განმარტება, ცხადია, აქაც ანალოგიურია);

ე) არის სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს ბაღებს მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში.

● ჯერ ერთი, აქ ლაპარაკი უნდა იყოს „საფუძვლიან ეჭვზე“ და არა ეჭვის რაიმე (ნებისმიერ) გამოვლინებასა თუ ხელოვნურ იმიტაცი-აზე. მეორეც, გარდა „ოჯახის წევრობისა“ და „ახლო ნათესაობისა“, საქართველოში არანაკლებ (ზოგჯერ კი — გაცილებით უფრო ეფექტიანადაც!) „მუშაობს“ ამ კოდექსით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ძლიერი თუ საკმაოდ მნიშვნელოვანი ძალის ისეთი გარემოებანიც, როგორცაა სხვაგვარი ახლო ნათესაობა (ამის მავალითა ჩვენში გავრცელებული დამოკიდებულებანი ბიძასთან, მამიდასთან, დეიდასთან თუ მათი ოჯახის წევრებთან), სპეციფიკური ახლობლური ურთიერთ-დამოკიდებულებანი ნათლიასთან თუ ნათლულთან, ახლო მეზობელთან თუ მეგობართან, თანამოსაქმესთან თუ სხვაგვარ თანამშრომელთან, თანაკურსელთან თუ თანაპარტიელთან და ა.შ.

თუ არსებობს ნაფიცი მსაჯულის სისხლის სამართლის პროცესში (კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში) მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, იგი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება (მუხ. 64, ნაწ. 1). იგივე ითქმის იმ შემთხვევაზე, როცა არსებობს (გამომრიცხავის ნაცვლად) მისი მონაწილეობის სერიოზულ ეჭვქვეშ დაყენების საკმაო საფუძველი (პროცესის მონაწილე მხარის მიერ).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული პროცედურა სსსკ-ის პროექტის 64-ე მუხლში უსაფუძვლოდაა გამოტოვებული — განსხვავებით აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში მითითებული (ჩამოთვლილი) სხვა სუბიექტებისგან. ამიტომ, ჩემი აზრით, პროექტის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილში უნდა ჩაიწეროს, რომ „ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი თვითაცილების შესახებ

განცხადებას აკეთებს მოსამართლესთან – სხდომის თავმჯდომარესთან“ (შესაბამისად, ამ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები გადაკეთდება მე-5 და მე-6 ნაწილებად). ამით გამოსწორდება ის შეუსაბამობა, რომ პროექტში (კერძოდ, 65-ე მუხლის მე-3 ნაწილში) ლაპარაკია მხოლოდ ნაფიცი მსაჯულის აცილების პროცედურაზე – რომ შუამდგომლობას აღნიშნულის თაობაზე, ისევე, როგორც მოსამართლის და სხვა სუბიექტთა მიმართ, საამისოდ უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში.

#### 1.4. ნაფიც მსაჯულთა შეუთავსებლობის ცალსახა და შეფასებითი კრიტერიუმები

სსსკ-ის პროექტის 244-ე მუხლის თანახმად, პირი ვერ მიიღებს მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად სისხლის სამართლის პროცესში, თუ, ზემოთ მითითებული აცილების თუნდაც რომელიმე (ერთი) საფუძვლის გარდა, იგი:

ა) სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირია (ასეთნი არიან საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, სახალხო დამცველი და საქართველოს კონსტიტუციაში მითითებული სხვა თანამდებობის პირები);

ბ) პროკურატურის, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია;

გ) ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში;

დ) სასულიერო პირია;

ე) აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა (ანუ, იგულისხმება არა მარტო მხარე, არამედ ნებისმიერი სხვა მონაწილე – მაგ., ექსპერტი, მოწმე და ა.შ.);

ვ) ბრალდებულია ან ბრალდებული იყო (ამ ქვეპუნქტის პირველი სიტყვა – „ბრალდებულია“ – ამ ფორმულირებით იმეორებს წინა ქვეპუნქტის დებულებას, რადგან ბრალდებული სისხლის

სამართლის პროცესის ერთ-ერთი „ცენტრალური“ მონაწილეა, აქ კი სულაც არ ჩანს, რომ იგი სხვა საქმეზეა ბრალდებული!..);

ზ) მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად ამ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე (როგორც ჩანს, დაუშვებელი ბუნდოვანების ფონზე, აქ ლაპარაკია არა მარტო ამ კანდიდატის მიერ აშკარად, გასაგებად, ცალსახად გამოხატულ მის მოსაზრებაზე, შეხედულებაზე თუ აშკარა ნეგატიურ განწყობაზე, რომლებიც მიუღებელია ნაფიცი მსაჯულისთვის, არამედ მის იმ ადრინდელ „ნეგატიურ“ გამოცდილებაზე, რომელიც ამის გარეშეც იძლევა საკმარის საფუძველს ზემოთ მითითებული „უვარგისობის“ თაობაზე დასკვნის გასაკეთებლად);

თ) ფსიქოლოგია;

ი) ფსიქიატრია;

კ) იურისტია.

ბოლო სამი კრიტერიუმიდან იურისტობა, ცხადია, გამორიცხავს ამგვარი ნაფიცი მსაჯულის იმ უმთავრეს, სპეციფიკურ და აუცილებელ (უალტერნატივო) თვისებებს, რომლებითაც ეს ინსტიტუტი თვისებრივად, რადიკალურად განსხვავდება პროფესიონალი იურისტებისაგან, რის თაობაზეც ამ წიგნში უკვე მრავალგზის ითქვა. რაც შეეხება ფსიქოლოგთ და ფსიქიატრთ, მათაც, თავიანთი პროფესიული თვისებების (მათ შორის სპეციფიკური პროფესიული უნარების, გამოცდილების, განწყობის და მისთ.) გამო შეუძლიათ, ნებსით თუ უნებლიედ, მნიშვნელოვნად და, რაც მთავარია, არასასურველად „გადახარონ“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „ინსტიტუციური ღერძი“, გამოიწვიონ მისი „დეფორმაცია“ თუ სხვაგვარი „გადახვევა“ ტრადიციული ტენდენციებიდან თუ ისტორიულ-ტრადიციული მყარი მაგისტრალური ხაზიდან. ამიტომ, ჩემი აზრით, პროექტისეული გადაწყვეტა არ არის მოკლებული პოზიტიურობას – ყოველ შემთხვევაში, საბოლოო ანგარიშით, იგი სწორია.

გარდა ამისა, პირს, პროექტის 245-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის შესრულებაზე, თუ:



ა) უკანასკნელი წლის განმავლობაში იგი უკვე იყო ნაფიცი მსაჯული (თუ რას ნიშნავს „უკანასკნელი წლის განმავლობაში“, ან, უფრო ზუსტად, რა კონკრეტულ პერიოდზე თუ ვადაზნა საუბარი, არ არის დაზუსტებული);

ბ) იგი ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზარალს (სხვაგვარ მნიშვნელოვან ზიანზე, რატომღაც, ყურადღება არ მახვილდება, რაც არასწორია);

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (არ ჩანს, თუ რა „ზარისხის“ ჯანმრთელობის მდგომარეობაზეა საუბარი, მაგრამ როგორც ჩანს, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ამ პირს, ჯანმრთელობის მკვეთრად ნეგატიური მდგომარეობის გამო, არ ძალუძს ანდა მნიშვნელოვნად გაძნელებული აქვს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის ნორმალურად შესრულება – როგორც ეს უცხოეთის რიგ ქვეყნებშია დადგენილი);

დ) ხანგრძლივი ვადით იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ (გამგზავრების მიზეზი თუ მიზანი შეიძლება მრავალგვარი იყოს – უკიდურესად აუცილებლიდან ჩვეულებრივ ტურიზმამდე, რაც ზოგჯერ, შესაძლებელია, არ იქნეს მიჩნეული პოზიტიურ-საკმარის თუ საპატიო მიზეზად);

ე) 70 წელს გადაცილებულია.

## 1.5. ნაფიც მსაჯულთა მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები

თანახმად საქართველოს სსსკ-ის პროექტის 243-ე მუხლისა, პირი, რომელსაც არა აქვს ნაფიც მსაჯულობასთან შეუთავსებელი მონაცემი, პროფესია თუ თვისება, ან კიდევ არ გააჩნია სსსკ-ის 345-ე მუხლით გათვალისწინებული უარის რომელიმე ზემოხსენებული საფუძველი, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ნაფიც მსაჯულად, თუ:

ა) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ (თუ რომელი რგოლი იგულისხმება ამაში, პროექტში არ ჩანს, მით უმეტეს, არაა განსაზღვრული მისი ამ სფეროში ფუნქციონირების წესი და კომპე-

ტენცია) შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან საარჩევნო სიაში (ეს იმას ნიშნავს, რომ იგი, როგორც მინიმუმი, თავისი სტატუსით უთანაბრდება აქტიური საარჩევნო ხმის მქონე საქართველოს მოქალაქეს);

ბ) ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას (ანუ ქართულს, აფხაზეთში კი – აგრეთვე აფხაზურს, თანახმად საქართველოს კონსტიტუციის მე-8 და 85-ე მუხლებისა);

გ) ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი (2010 წლის 1 იანვრამდე ამგვარ ტერიტორიას წარმოადგენს მხოლოდ ქ. თბილისი, სადაც იფუნქციონირებს ამგვარი სასამართლო);

დ) შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის მისი, როგორც ნაფიცი მსაჯულის, ფუნქციის განხორციელებას (უწინარესად, გამოირიცხება როგორც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიზიკური ნაკლის მქონე, ისე შეურაცხადი თუ შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირები).

## 1.6. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა

პროექტის 241-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ნაფიცი მსაჯულისაგან (მსაზღვრელი სიტყვა „ძირითადი“ აქ რატომღაც ამოღებულია) და „ორი სათადარიგო მსაჯულისაგან“ (სიტყვა „ნაფიცი“ აქ რატომღაც არ არის ნახმარი) – გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში „გამიფრულია“ ეს შემთხვევები, თუმცა მეტისმეტად გაუგებრად. კერძოდ, მითითებულია, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა არ უნდა იყოს: ექვსზე ნაკლები – ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე და ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პირს შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა – ასეთ შემთხვევებში ვერდიქტი ერთხმად უნდა იყოს მიღებული (ნაწ. 2).

## 1.7. ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯები და მათი ანაზღაურება („სოციალური გარანტიები“)

სსსკ-ის პროექტის 94-ე მუხლის („საპროცესო ხარჯები“) პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ საპროცესო ხარჯებს მიეკუთვნება „ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი“ (საზოგადოდ, სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდოლოგია დგინდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ – იხ. მუხ. 95, ნაწ. 7).

პროექტის 242-ე მუხლი („ნაფიცი მსაჯულის სოციალური გარანტიები“) განაგრძობს აქ საკმაოდ „მოკრძალებულად“ დადგენილ ხარჯებს. კერძოდ:

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ზოგად („დეკლარაციულ“) წესს, რომ „ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსაგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის განხორციელებასთან“.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში დასაქმებული პირები ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს ინარჩუნებენ სამუშაო ადგილსა და ანაზღაურებას. დღიური, სამგზავრო ხარჯების და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“. ამგვარად, აქ ლაპარაკია მხოლოდ (!) სახელმწიფო სექტორის თანამშრომლებზე – არასახელმწიფო (კომერციული და ა.შ.) სექტორის თანამშრომლების ნაფიც მსაჯულად სამსახურისთვის გამოცხადებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯების ანაზღაურებაზე, სამუშაო ადგილისა და ანაზღაურების შენარჩუნებაზე ან რაიმე სხვაგვარ (ალტერნატიულ) გადაწყვეტაზე აქ გარკვევით არაფერია ნათქვამი, რაც, ცხადია, დაუშვებელია და შემდგომ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს. ამასთან, „სხვა პირდაპირი ხარჯების“ ზოგადი ფორმულირების შემოტანამდე კი, ზემოთ, სჯობდა პირდაპირ

ჩაწერილიყო სასტუმროს ხარჯების თაობაზეც – იმ შემთხვევისათვის მაინც, როცა ნაფიცი მსაჯული მოწვეულია სხვა დასახლებული პუნქტიდან, აგრეთვე გარეშე თუ სხვაგვარი ზეგაულებიან საგან დაცვის მიზნით (ზოგჯერ, როცა ეს საჭიროა, რიგ ქვეყნებში, სასტუმროში იზოლირებულ-დაცულად ათავსებენ იმავე დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ნაფიც მსაჯულთაც!..).

## §2. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა, კანდიდატთა შერჩევა, შემადგენლობის ფორმირება და ფიცის დადება

### 2.1. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო (2007 წლის) პროექტი, წინასაგან (2006 წ.) განსხვავებით, ძალზე „ძუნწია“ ანდა სულაც დუმს ნაფიც მსაჯულთა სიების ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე – 246-ე მუხლი („მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა“) „მზა“ სახით გეთავაზობს ამომრჩეველთა სიას, რომელიც უკვე აქვს სხდომის თავმჯდომარეს (?!). ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა შესარჩევი წყაროს – სიის თაობაზე პროექტი სხვა რაიმე „წინასწარ“ ინფორმაციას არ შეიცავს, გარდა ერთისა: „ამომრჩეველთა სიას შესაბამისი საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 ივლისისა, უგზავნის შესაბამის სასამართლოს“ (ნაწ. 2). თავის მხრივ, სხდომის თავმჯდომარე, წინასასამართლო სხდომაზე, „ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, მის მიერვე განსაზღვრული ბიჯის“ გამოყენებით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას 50 პირის შემადგენლობით“ (ნაწ. 1). ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა ამ საკმაოდ „ბარაქიანი“ (მათ შორის გარდაცვლილთა ხარჯზეც, რის თაობაზეც მრავალ-

\* ბიჯი – ჩვენი სამართლებრივი სისტემისათვის აქამდე უცხო, ეკონომიკურ-საფინანსო „პროფილი“ ეს ტერმინი აქ აღნიშნავს ნაფიც მსაჯულთა საჭირო რაოდენობის ინტერვალური შემთხვევითობის პრინციპის დაცვით ამორჩევის წესს.

გზის ითქვას!), ამასთან, სხვათა მიერ შედგენილი სიიდან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების შერჩევის ადგილისა და დროს შესახებ სასამართლო სავალდებულო წესით ატყობინებს მხარეებს. ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ (ანუ ვალდებულნი არ არიან) დაესწრონ მსაჯულების შერჩევის პროცედურას, ამასთან, 24 საათის განმავლობაში ერთჯერადად გაასაჩივრონ ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას სხდომის თავმჯდომარის მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილება თუ მოქმედება. საჩივარი შეიტანება საქმის განმხილველი (ანუ იმავე) სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე (ანუ მხარეთა დაუსწრებლად) წყვეტს მას შეტანიდან 24 საათის განმავლობაში (ნაწ. 3). ამგვარად, გასაჩივრების (საჩივრის გადაწყვეტის) პროცედურა მთლიანად მოქცეულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ანუ პირველი და ერთადერთი ინსტანციის ფარგლებში (კომპეტენციაში), რაც, ვფიქრობ, ქმედითი, უდავო გადაწყვეტა სულაც არ არის.

კანონი ადგენს, რომ, ამ პროცედურის ჩასატარებლად, მსაჯულობის კანდიდატებს იბარებენ უწყებით, სადაც მითითებულია სასამართლო სხდომის დაწყების ადგილი და დრო, ამასთან, კონსტატირებულია კანდიდატის გამოცხადების სავალდებულობა (ნაწ. 5). თუ მას აქვს აცილების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, იგი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან ორი დღის განმავლობაში (ნაწ. 6).

ზემოთ მითითებული წესით შერჩეული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები შეიტანებიან სიაში, რომელშიც ანბანური თანამიმდევრობით მიეთითება თითოეული მათგანის გვარი, სახელი და მისამართი (!). სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. მსაჯულობის კანდიდატთა სიის ასლი გადაეცემათ მხარეებს (ნაწ. 4). აქედან აშკარაა, რომ, ნაფიცი მსაჯულების მისამართის მითითების გამო, მათი „ანონიმურობა“ ელემენტარულადაც კი არაა უზრუნველყოფილი. რაც, ძალზე რბილად რომ ვთქვათ, არასწორია\*.

\* ამ ხარვეზის თავისებური და, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიღებული კომპენსაცია პროცესის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილში მოცემული „საქმის გადამისამართების“ პროცედურა.

## 2.2. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა. აცილება და თვითაცილება

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას ხსნის სხდომის თავმჯდომარე (ანუ მოსამართლე, რომლის თავმჯდომარეობითაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ/კოლეგიამ შემდგომში უნდა განიხილოს საქმე), რის შემდეგაც სხდომის მდივანი აცხადებს მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობას (მუხ. 247, ნაწ. 1). აქვე (ნაწ. 2) მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოში 50-ზე ნაკლები მსაჯულობის კანდიდატი გამოცხადდება, მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და მსაჯულთა შერჩევის პროცედურა“ (ნაწ. 2). ჩემი აზრით, აქ სიტყვების „50-ზე ნაკლები“ შემდეგ უნდა დაემატოს სიტყვები: „მაგრამ არანაკლებ...“ (მრავალწერტილის ადგილას უნდა ჩაისვას რიცხვი, მაგ. „30-ისა“). რადგან 50-ზე ნაკლები ყველა რიცხვი, ცხადია, ვერ უზრუნველყოფს ამგვარი შერჩევის ჩატარებას.

აქვე პროექტი (ნაწ. 3) ადგენს, რომ სხდომის თავმჯდომარე:

ა) წარადგენს საკუთარ თავს და სხდომის მდივანს;

ბ) მიმართავს მსაჯულობის კანდიდატებს და განუმარტავს მათ მოწვევის მიზანს;

გ) აცხადებს, თუ რომელი საქმე განიხილება და გააცნობს ნაფიც მსაჯულებს წაყენებული ბრალდების შინაარსს;

დ) მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავს კანონს, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას;

ე) აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს;

ვ) განსაზღვრავს სასამართლო სხდომის ხანგრძლივობას და სხვა პროცედურულ საკითხებს“.

ნაშრომის შესაბამის ნაწილებში მოტანილი ინფორმაციისა და უკვე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, აქ წარმოვაჩინ მხოლოდ რამდენიმე დამატებით, აუცილებელ შენიშვნას:

1) ვფიქრობ, ელემენტარული ლოგიკის თანახმად, „ე“ ქვეპუნქტს ადგილი უნდა შეეცვალოს და გადატანილ იქნას „ბ“ ქვეპუნქტად, რადგან აქ საკვებით ამკარაა, რომ მოსამართლემ ჯერ უნდა

გამოაცხადოს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეები და შემდეგ შეუდგეს „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას;

2) „დ“ ქვეპუნქტში კანონზე ლაპარაკია მარტოოდენ მხოლოდობით რიცხვში, რაც სათუთა, რადგან ერთობ საეჭვოა, რომ საქმის განხილვისას მხოლოდ ერთ რომელიმე კანონზე მითითება საკმარისი გახდეს;

3) „ვ“ ქვეპუნქტში ლაპარაკია იმაზე, რომ თითქოს სხდომის თავმჯდომარე „განსაზღვრავს სასამართლო სხდომის ხანგრძლივობას“, რაც, როგორც მინიმუმში, არაზუსტია, ამიტომ სიტყვა „ხანგრძლივობის“ წინ უნდა ჩაემატოს სიტყვა „სავარაუდო“ (ანდა „მოსალოდნელი“ და მისთ.).

განსახილველი მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულია, რომ „სასამართლო ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს (უნდა იყოს: „ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს“, რაც სხვაგანაც ფიქსირდება. — ი.გ.) მიაწვდის მხარეთა მონაწილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის (უნდა იყოს: „კანონების“ ან „კანონმდებლობის“. — ი.გ.) თაობაზე“. ეს ნოველა, ვფიქრობ, საკმაოდ ბუნდოვანი და ბოლომდე გაუაზრებელია, რადგან ერთობ საეჭვოა, რომ მხარეებმა თავიანთ სხვა საქმიანობას თავი მიანებონ და ილვაწონ იმისათვის, რომ სასამართლოსთან ერთად სასწრაფოდ „მოამზადონ“ (!) განმარტებები გამოსაყენებელი კანონის თაობაზე“. ყოველ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს არა წესი, არამედ გამონაკლისი. ამიტომ, ვფიქრობ, სჯობდა, რომ ამგვარი განმარტებების მომზადება სასამართლოს მოვალეობა იყოს, ხოლო მხარეთა წარმომადგენლებს უფლება მიეცეთ, სასამართლოს თანხმობით, მონაწილეობდნენ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატების ამგვარ (ნორმატიულ) უზრუნველყოფაში.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა (პროექტის 248-ე მუხლი) გულისხმობს შესაბამის კანდიდატთა (ანუ წარმოდგენილი კონტინგენტის) მიმართ ერთმანეთთან დაკავშირებული მოქმედებების — აცილებისა და თვითაცილების — განხორციელებას მხარეთა მიერ, კანონით დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად.

აცილების შესახებ შუამდგომლობას, თავისი უფლებამოსილების შესაბამისად, აყენებს მხარე — ჯერ ბრალდებისა, შემდეგ კი — დაცვისა. თუ წაყენებული ბრალდება ითვალისწინებს სასჯელს უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით, თითოეულ მხარეს ეძლევა 12 დაუსაბუთებელი აცილების უფლება, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი — არაუმეტეს 6 ამგვარი აცილებისა (დასაბუთებული აცილებების რიცხვი, ბუნებრივია, შეზღუდული არ არის). ამასთან, თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ ბრალდებულსა და ბრალმძებელს ეძლევა დამატებით 3-3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების უფლება. თუ რომელიმე ბრალდებული არ გამოიყენებს ამ უფლებას, მისი გამოყენების უფლება (თავისი უფლების დამატებით) ენიჭება იმავე საქმეზე სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ენიჭება იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების უფლება, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში. ეს დებულება, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არცთუ ჩვეულებრივი თუ მიღებული გადაწყვეტაა მსოფლიოში, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ მიაინშნეს სსსკ-ის პროექტის გადახრაზე (!) ბრალდების მხარის სასარგებლოდ.

დაუსაბუთებელი აცილებისაგან განსხვავებით, დასაბუთებული აცილება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცედურაა. იგი, ისევე როგორც თვითაცილება, იმგვარად უნდა იყოს დასაბუთებული (!), რომ სარწმუნო გახდეს მოსამართლისთვის, რომელიც ამოწმებს ყველა ამგვარ აცილებასა თუ თვითაცილებას. ამ მიზნით, იგი მხარეებს საშუალებას აძლევს კითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და, ამასთან, თვითონაც წარადგინონ დამატებითი მასალები აცილების საფუძვლიანობის დასადასტურებლად. აქვე კანონი ადგენს, რომ „მოსამართლე უფლებამოსილია მოითხოვოს მხარეების მიერ მისთვის წინასწარ (!) კითხვების წარდგენა, რომლის (უნდა იყოს „რომელთა“. — ი.გ.) დასმასაც ისინი აპირებენ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებისთვის“ (ეს ნორმა, სამწუხაროდ, იმთავითვე ბუნდოვანი და სადავოა, რადგან არ არის დაზუსტებული, თუ ღროის რა ინტერვალს გულისხმობს აქ სიტყვა „წინასწარ“). ეს კითხვები, თანახმად პროექტისა, არ უნდა ხელყოფდეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა



(პროექტში წერია „ნაფიც მსაჯულთა“, რაც არასწორია) პირად, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა, „როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისათვის“ (ნაწ. 5). აქვე კანონი ადგენს შესაბამისი მოტივაციით კონსტრუირებულ საგამონაკლისო წესს: „თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარეს“.

მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია გასცეს სწორი და ამომწურავი პასუხი მისთვის დასმულ შეკითხვებზე, ასევე წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია მისი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან (უწინარესად, ცხადია, ბრალდებულთან და, თუ ასეთი არის საქმეში – დაზარალებულთან ან მის უფლებამონაცვლესთან) მისი ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რამაც მას შეიძლება ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში (ამგვარი გარემოებების თაობაზე ნაშრომში ზემოთ უკვე იყო დაწვრილებით საუბარი).

პროექტი (მუხ. 248, ნაწ. 6) აწესებს, რომ დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის დისკრიმინაციისთვის ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე (რასა, სქესი, რწმენა, წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ).

თვითაცილების შესახებ შუამდგომლობაში ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატმა უნდა მიუთითოს იმ გარემოებაზე, რაც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში, მხარეებს კი უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება.

აცილებისა და თვითაცილების თაობაზე შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს საჯაროდ და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. თუ აცილება დაკმაყოფილდა, კანდიდატმა უნდა დატოვოს სხდომის დარბაზი (ნაწ. 8).

თუ აცილება-თვითაცილების პროცედურების დამთავრების შემდეგ დარჩა 14-ზე ნაკლები მსაჯული, მოსამართლე გადადებს სხდომას არაუმეტეს 10 დღისა და ხელახლა მოიწვევს არაუმეტეს

30 კანდიდატს „ნაკლული“ შემადგენლობის შესავსებად, ზემოთ მითითებული პროცედურის შესაბამისად.

თუ აცილება-თვითააცილებათა შემდეგ დარჩა 14 მსაჯული, მათგან სიაში პირველი 12 სხდომის თავმჯდომარის მიერ დაინიშნება ნაფიც მსაჯულად, დანარჩენი ორი კი საქმის განხილვას ესწრება „პასიური“ ფუნქციით – სათადარიგო მსაჯულის როლში. აქვე კანონი ადგენს, რომ, თუ საქმე რთულია, მოსამართლეს უფლება აქვს დაამტკიცოს უფრო მეტი რაოდენობის (ზღვრული ოდენობა მითითებული არ არის) სათადარიგო მსაჯულთა კონტინგენტი, რაც ჩაიწერება სხდომის ოქმში (ნაწ. 12). სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომებსა და თათბირს, მაგრამ მას უფლება არა აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე, ან მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში (ნაწ. 13).

პროექტის 249-ე მუხლი ადგენს სათადარიგო ნაფიცი მსაჯულის „გააქტიურების“ შემდეგ წესს:

სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ: ა) ნაფიც მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა; ბ) გამოვლინდა აცილების საფუძველი (რაც, ცხადია, ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი); გ) ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია სსსკ-ით დადგენილი მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს მისი მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად ნაფიც მსაჯულად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო (და არა ამ სიაში ნებისმიერ!) სათადარიგო მსაჯულს. ზოლო, თუ მოხდა ის, რომ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა მინიმალურ ზღვარზე დაბლა აღმოჩნდა (ეს ზღვარი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოკიდებულია განსახილველი დანაშაულის სიმძიმეზე), სხდომის თავმჯდომარე წყვეტს სხდომას, იწყებს მსაჯულთა ხელახლა შერჩევას ზემოთ აღწერილი პროცედურებით და, მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ, დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმის განხილვას იწყებს თავიდან (ნაწ. 2).

## 2.3. ნაფიც მსაჯულთაგან უფროსი მსაჯულის შერჩევა და ფიცის დადება

სხდომის თავმჯდომარე, ნაფიც მსაჯულთა კონტინგენტის მიერ წილისყრის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან ნიშნავს უფროს მსაჯულს (მუხ. 250, ნაწ. 1). იგი შემდგომში: ა) თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა თათბირს; ბ) ნაფიც მსაჯულთა სახელით (და, ცხადია, მათივე დავალებით) სხდომის თავმჯდომარეს მიმართავს წერილობითი შეკითხვით; გ) აჯამებს კენჭისყრის შედეგებს; დ) აღგენს შესაბამის დოკუმენტს; ე) ხელს აწერს ვერდიქტს; ვ) სასამართლო სხდომაზე აცხადებს აღნიშნულ ვერდიქტს (ნაწ. 2). თუ უფროსი მსაჯული რაიმე მიზეზით გათავისუფლდა, დანარჩენი მსაჯულები თავიანთი შემადგენლობიდან, წილისყრის საფუძველზე, ირჩევენ ახალ უფროს მსაჯულს (ნაწ. 3).

უფროსი მსაჯულის არჩევის შემდეგ მსაჯულები დებენ ფიცს, რის შემდეგაც ისინი იურიდიულად ხდებიან ნაფიცი მსაჯულები.

ამ საპროცესო-რიტუალურ პროცედურას პროექტი აღგენს შემდეგი სახით (ფორმით):

1) ფიცის ტექსტს კითხულობს სხდომის თავმჯდომარე. ეს ტექსტი კანონით (მუხ. 251, ნაწ. 1) დადგენილია შემდეგი სახით: „ვიღებ რა საკუთარ თავზე ნაფიცი მსაჯულის მოვალეობას, ვფიცავ პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო იგი, გავითვალისწინო ყოველი კანონიერი მტკიცებულება, მივიღო გადაწყვეტილება შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან აღამიანს“.

2) ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ, სიაში რიგითობის მიხედვით, ყოველი მსაჯული, ფეხზე წამომდგარი, უპასუხებს: „ვადასტურებ!“

ასეთივე წესით დებენ ფიცს სათადარიგო მსაჯულები (ნაწ.3). ფიცის მიღების პროცედურა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში (ნაწ. 4).

## 2.4. ნაფიც მსაჯულთა უფლებები და მოვალეობები

პროექტის 252-ე მუხლის თანახმად, ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, მისი წერილობითი მიმართვის პასუხად, მიიღოს:

ა) სასამართლოსაგან – განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;

ბ) წინასწარი ინფორმაცია (!) საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომის დროს, დამატებითი განმარტება სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვის შესახებ;

დ) ნაფიც მსაჯულთა თათბირის დროს – დამატებითი განმარტება მოსამართლისგან – კანონის შესახებ;

ე) მოსამართლის თანხმობა წინასწარი თათბირის გამართვაზე. გარდა ამისა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს უფლებას სხდომის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთების უფლების თაობაზე. მათვე, სათათბირო ოთახში გასვლამდე (!), ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი – გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც შეეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს (რადგან ამ მტკიცებულებებთან „მუშაობა“, როგორც ნაშრომში საგანგებოდ აღინიშნა, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ მათი სპეციფიკური სტატუსის გამო).

ნაფიც მსაჯულთა უფლებების ეს ჩამონათვალი ძალზე არასრულყოფილი და სადავოა რიგ გარემოებათა გამო. ასე, მაგალითად:

1) მოსამართლის განმარტება „გამოსაყენებელი კანონის“ თაობაზე რაიმე სახის დიქტატად რომ არ იქცეს, საჭიროა აქ დაფიქსირდეს მოსამართლის შესაბამისი მოვალეობა და პასუხისმგებლობაც იმ მიზნით, რომ ამ განმარტებაში გამოირიცხოს რაიმე ფორმით უკანონო ზემოქმედების შესაძლებლობა, რაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირებას გამოიწვევს;

2) იგივე შეიძლება ითქვას – უფრო მრავალსახა და პრინციპული სიმკაცრითაც! – ნაფიც მსაჯულთა მიერ, საქმის გარემოებებისა

და გამოსაკვლევ მიტკიცებულებების შესახებ წინასწარი ინფორმაციის მიღების უფლებამოსილების თაობაზე!!! ნაფიც მსაჯულთა მიერ, განსახილველი საქმის გარემოებათა შესახებ ინფორმაციის წინასწარ (სასამართლო განხილვის მომენტებამდე) მიღება ზომ, როგორც ნაშრომის წინა ნაწილებში (განყოფილებებში) ვნახეთ, მთელს მსოფლიოში მიჩნეულია როგორც ამ ინსტიტუტისა და მისი საქმის ინტერესების დიამეტრულად, იმპერატიულად საწინააღმდეგო და მიუღებელი მოვლენა?!..

3) ასევე გაუგებარია, თუ რას ნიშნავს ნაფიცი მსაჯულის უფლება, რომ, თავისი წერილობითი მიმართვის პასუხად, მიიღოს „სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება... მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვის შესახებ“. ჯერ ერთი, დასკვნითი სიტყვა იმითობაა „დასკვნითი“, რომ იგი წარმოითქმის მხოლოდ სასამართლო სხდომის დასრულების ეტაპზე და ფიქსირდება სხდომის ოქმში, ამასთან, სასამართლო განხილვის „აქტიური“ („დარბაზისეული“) ფაზა აქ ფაქტობრივად მთავრდება! ამდენად, ერთობ გაუგებარია, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ნაფიცი მსაჯულის ეს განზრახულობა მაშინ, როცა მან: ა) უნდა შეადგინოს წერილობითი მიმართვა; ბ) უნდა გადასცეს იგი სხდომის თავმჯდომარეს; გ) ამ უკანასკნელმა მიმართვა გააცნოს დასკვნითი სიტყვის წარმომთქმელ მხარეს და მოითხოვოს მისგან (დასკვნითი სიტყვის წარმომთქმელი შესაბამისი მხარის წარმომადგენლისაგან) „დამატებითი განმარტების“ მიცემა!..

4) ასევე გაუგებარია, თუ რა „წინასწარი თათბირის“ გამართვის მოთხოვნის უფლება აქვს ნაფიც მსაჯულს, რა საკითხთან დაკავშირებით, რა ეტაპზე, რა უფლებამოსილებით და მისთ.

სსსკ-ის პროექტის 253-ე მუხლი აღგენს ნაფიც მსაჯულთა შემდეგ მოვალეობებს:

ნაფიც მსაჯულებს (მათ შორის, სათადარიგოთ) ეკრძალებათ (ნაწ.1):

ა) პროცესის მიმდინარეობისას სასამართლო დარბაზის დატოვება (ცხადია, აქ ლაპარაკია უნებართვოდ დატოვებაზე, რადგან, თუ ნაფიცი მსაჯულის გასვლა აუცილებელი გახდა, სხდომაზე უნდა გამოცხადდეს შესვენება);

ბ) ვერდიქტის გამოტანამდე, საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით (ეს მოთხოვნა მნიშვნელოვანი, მაგრამ სტერეოტიპულია, რაც ნაშრომის წინა ნაწილებში უკვე ვნახეთ);

გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარის გარდა, სხვა პირებთან ურთიერთობა (მეტიც, როგორც ვნახეთ, თვით ამ ურთიერთობასაც კი „რიგითი“ ნაფიცი მსაჯულები ამყარებენ უფროსი მსაჯულის მეშვეობით);

დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სასამართლო სხდომის (!) ფარგლებს გარეთ (ზემოთ ამ საკითხის „არქექტივი“ უკვე იყო ნაჩვენები);

ე) მსაჯულთა თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა (ეს ტრადიციული მოთხოვნაც ზემოთ უკვე იყო ხაზგასმული);

ვ) სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა (ცხადია, იგულისხმება ზოგადი მოთხოვნის სტანდარტებზე ნაკლები ხარისხის უარყოფითი ქმედებაც, რამეთუ საქმე ეხება არა სასამართლო „ბატალიების“ რიგით მონაწილეს, არამედ თვით „ფაქტების მოსამართლეს“ – მოსამართლეთა მაღალი წრის წევრს).

ნაფიცი მსაჯული მოვალეა ესწრებოდეს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და თათბირს (ნაწ. 2).

ნაფიცი მსაჯულისა და მსაჯულობის კანდიდატის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს შესაბამის (კანონმდებლობით დადგენილ) პასუხისმგებლობას (ნაწ. 3). აქვე პროექტი აღგენს სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიცი მსაჯულთა გაფრთხილების უფლებამოსილებასა და ვალდებულებას იმის თაობაზე, რომ, მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში, ისინი გათავისუფლდებიან ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან სხდომის თავმჯდომარის ინიციატივით (რაც მოსამართლის აქტიურობის ერთ-ერთი საგამონაკლისო, ამასთან, ფრიად მნიშვნელოვანი უფლებამოსილებაა!..), ან მისივე გადაწყვეტილებით, ოღონდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე (ნაწ. 4).

აქვე კანონპროექტის ავტორმა „ჩართვის“ წესით შემოიტანა ამგვარი ნორმა: „სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებით კავშირში მყოფ საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე“ (მუხ. 254). ამავე მუხლის სათაურიდან ჩანს, რომ აქ ლაპარაკია ნაფიც მსაჯულთა სავალდებულო ინფორმირებაზე, მაგრამ თვითონ მუხლის ტექსტი ერთობ „უხეში“ და ბუნდოვანია თუნდაც იმიტომ, რომ ძნელია ცალსახად (ერთპიროვნულად) იქნეს გაგებული „განსახილველ საქმესთან არსებით კავშირში მყოფი საკითხის“ შინაარსი. უწინარესად აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება შემთხვევა, როცა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველ საქმეში გამავალ სხვა პირთან (პირებთან), ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის სხვა რომელიმე (ერთი ან მეტი) პირის ბრალდების საქმის გადაცემაზე, დაიდება საპროცესო შეთანხმება, რის გამოც, შესაბამისად, ხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთვის გადასაცემი სისხლის სამართლის საქმიდან მისი (მათი) ამორიცხვა. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთათვის, აღნიშნულის თაობაზე, სხდომის თავმჯდომარის მიერ ინფორმაციის მიწოდებას, ეს აუცილებელია იმიტომ, რომ, ტრადიციულად, ნაფიც მსაჯულებს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა კატეგორიულად ეკრძალებათ, რაც ზემოთ არაერთგზის იქნა კონსტატირებული.

პროექტის 255-ე მუხლი ადგენს, რომ „ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე სხვა ნებისმიერი მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან“. ანალოგიური ნორმების შინაარსი და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ზემოთ არაერთგზის იყო გაანალიზებული, ამიტომ აქ შევნიშნავ მხოლოდ შემდეგს: ამ მუხლში ყველაზე უფრო „ჭრელი“ თუ „ვერაგი“ ფრაგმენტებია ის ნაწილი, რომელიც ლაპარაკობს ბრალდებულის

ამგვარი „ბიოგრაფიული მონაცემის“ გამოყენებაზე „ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად“, რადგან კანონში არ ჩანს რაიმე კონკრეტული თუ ქმედითი გარანტია ამგვარი წესის (მხარეთა უფლების) ბოროტად გამოყენების გამოსარიცხად.

## 2.5. მტკიცებულებათა დაუშვებლობა („ჩანართი საკითხის“ ფრაგმენტი)

პროექტის 256-ე მუხლი („მტკიცებულებათა დაუშვებლობა“) ადგენს, რომ „მტკიცებულების დაუშვებლობის შესახებ მხარის შუამდგომლობის თაობაზე სხდომის თავმჯდომარე განჩინებას იღებს ერთპიროვნულად, ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად“. პროექტი აქ, გაუგებარი მიზეზებისა გამო, საერთოდ არ მოიხსენიებს (!) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ სხდომის დაწყების (გახსნის და ა.შ.), მისი წარმართვის, შუამდგომლობათა განხილვის, მტკიცებულებათა გამოკვლევის, მხარეთა პროცესში მონაწილეობის (მათი საპროცესო „ინიციატივების“, მათ შორის შესავალი სიტყვის, შემდგომი და დამამთავრებელი ეტაპების მოქმედებების, უწინარესად, მხარეთა დასკვნითი და ბრალდებულის საბოლოო სიტყვების) და სხვა საკითხებს!.. კომენტარი აქ იმდენადვე ზედმეტია, რამდენადაც უშედეგო, ამიტომ შევნიშნავ მხოლოდ იმას, რომ, ამ ეტაპზე, პროექტის ტექსტს ერთობ სერიოზული „შევსება“ სჭირდება!..

## 2.6. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთათვის

მომდევნო (257-ე) მუხლი მეტ-ნაკლები სისრულით არეგულირებს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობებს ნაფიც მსაჯულთა მიმართ, ოღონდ, რატომღაც, იგი იწყება სხდომის თავმჯდომარის მოვალეობით „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის გამოსატანად საათობირო ოთახში გასვლამდე“ (!?) გამოსაყენებელი კანონის შესახებ განმარტების მიცემის თაობაზე. კერძოდ, ისინი წერილობითი სახით, გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეთ მხა-



რებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, შუამდგომლობით მიმართონ სხდომის თავმჯდომარეს მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მოთხოვნით (ნაწ. 1). როგორც ჩანს, „ცვლილებებში“ აქ იგულისხმება არა ამ სამოსამართლო განმარტების შინაარსისა თუ ცალკეულ დებულებათა „დაწუნება“, არამედ მათი კორექტირება, კერძოდ, მოსამართლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გარკვეული ნაწილის სხვა, ნაფიც მსაჯულთათვის საჭირო ინფორმაციული ნაკადით ჩანაცვლება (ვთქვათ, იმის გამო, რომ ამ ინფორმაციის ნაწილი ნაფიც მსაჯულთათვის ცნობილი ან/და ადვილად ასათვისებელია მაშინ, როცა მძაფრად სჭირდებათ სხვა, „მიმდებარე“ ინფორმაცია, ან კიდევ იმავე ინფორმაციის სხვა შრეების წარმოჩენა და მისთ.). დამატებითი ინფორმაცია კი, უბრალოდ, გამიზნულია ნაფიც მსაჯულთათვის წარდგენილი ინფორმაციის რაღაც ნაწილის (ნაწილების) შესავსებად, ძველის რაიმე ხარისხით კორექტირების გარეშე. აქვე პროექტი განმარტავს, რომ „სხდომის თავმჯდომარის განმარტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ამ კოდექსს და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. თუ მხარეები ასეთ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი“. აქ, როგორც ვხედავთ, კანონი „აზღვევს“ მოსამართლის ამ საპროცესო მოქმედებას, მისი ადგილზევე, დროულად გაუსაჩივრებულობის შემთხვევაში, შემდგომი (საკასაციო) გასაჩივრებისაგან, რასაც, ცხადია, აქვს გარკვეული პოზიტიური საფუძველი სასამართლოს ვერდიქტთა და განაჩენთა სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ამ აქტების სამართლიანობის თაობაზე. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოების შედეგია პროექტის აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის შემდეგი „დამაზღვეველი“ ფორმულირება: „ამგვარი განმარტებისას სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით მისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება“. ზემოთ, წინა ნაწილებში ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ

რაოდენ ნაკლებადაა სარწმუნო ამგვარი, „დამაზღვეველი“ ნორმის შედეგიანობა თვით გაცილებით სამართლიან და დიდად დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი!..

ზემოხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს:

ა) ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს (ანუ ფაქტობრივ და იურიდიულ მხარეებს, ოღონდ პირველს – სრულად, მეორეს კი – მხოლოდ საფუძველის დონეზე, რადგან ნაფიც მსაჯულთა გადასაწყვეტი საკითხები, როგორც ცნობილია, ფაქტობრივ გარემოებათა სფეროა...);

ბ) მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესებს (ცხადია, მართივი თუ უმარტივესი ცნებებისა და დებულებების „დოზირებულად“ მიწოდებით, რამეთუ მტკიცებითი სამართალი იურისპრუდენციაში და, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის პროცესში, მისი უმთავრესი პრობლემატიკის ურთულესი „ბირთვია“!..);

გ) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ;

დ) რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონსა და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას („სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებული კანონი“ აქ, არცთუ მთლად ირიბად, „მოკარნახის“ უნებლიე „ელფერს“ იძენს, ამიტომ, ვფიქრობ, იგი ამოსაღებია ან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაცვლელია ნაკლებად „მოკარნახე“ წინადადებით... რაც შეეხება „ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას“, იგი ბოლომდე პროფესიონალ იურისტთათვისაც კი ხშირად ძნელად ანდა სულაც ნაკლებად მისაწვდომი ფორმულაა!..);

ე) რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები (ცხადია, საჯაროობის რაიმე აშკარა ელემენტის გარეშე, როგორც ეს არის მიღებული თუ დადგენილი);

ვ) წესს იმის თაობაზე, რომ ვერდიქტი უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოქვეყნებულ მტკიცებულებებს, რომ არანაირი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული

მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ მათი ვერდიქტი არ უნდ. იქნეს მიღებული ვარაუდის საფუძველზე ან დაუსწებელ მტკიცებ ულებათა გამოყენებით (პირველი წესის მიმართ ძირითადი საფრთხე; მომდინარეობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან თუ კერძო წყაროებიდან, მათ შორის შემთხვევითი თუ უნებლიე კონტაქტები. საგან, მეორისა კი შეიძლება განპირობებული იყოს მითითები მიმცემ სუბიექტთა ერთობ „გაუთვალისწინებელი“ სიმრავლით განსაკუთრებით კი ქართულ „მრავალმხრივ ურთიერთობათა“ ფარ ვატერიის რეალური მასშტაბებით);

ზ) რომ თითოეულ წაყენებულ ბრალდებაზე მათ უნდა სცადონ მიაღწიონ ვერდიქტს, ხოლო თუ ისინი ნ საათის განმავლობაში ვერ მიაღწევენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას თითოეულ წაყენებულ ბრალდებაზე, მათ შეუძლიათ ჩაატარონ კენჭისყრა და ამ კოდექსით დადგენილ ხმათა უმრავლესობით მიაღწიონ გადაწყვეტილებას;

თ) რომ, უპირველეს ყოვლისა, ყველა წარდგენილ ბრალდებაზე კენჭი უნდა უყარონ გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი მიღწეული არ იქნა, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალ- დების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით (ე.ი. პირველ შემთხვევაში კენჭისყრა ხდება წარდგენილი ბრალდების მიხედვით, რიგისობის შეუცვლელად, ხოლო, გამამტყუნებელი ვერდიქტისას, კენჭი ეყრება ჯერ ყველაზე მსუბუქს, შემდეგ უფრო მძიმეს და ა.შ.);

ი) რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის (!) წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – „გამამართლებელს“ ან „გამამტყუნებელს“ (რადგან სხვაგვარი გადაწყვეტა არა მარტო თავისთავადაც აბსურდული იქნება, არამედ, ამასთან, ამან შეიძლება დაარღვიოს ნაფიც მსაჯულთა საბოლოო გადაწყვეტილებაც – ამგვარი „ორმაგი“ გადაწყვეტის „უვარგისობის“ გამო ნაფიც მსაჯულთა ერთობლივი ვერდიქტის გამოსატანად).

სხდომის თავმჯდომარე განმარტებას ამთავრებს ნაფიცი მსაჯულებისათვის იმის შეხსენებით, რომ მათ დადეს ფიცი (ნაწ. 4). ეს ნოვაცია, ცხადია, ნაწილობრივ, შეხსენების პრაგმატულ ამოცანას ისახავს მიზნად, ნაწილობრივ კი „რიტუალური პლასტის“ ერთგვარი გაგრძელებაა.

სხლომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ მას წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები. დამატებითი განმარტებების მიცემა ამ შემთხვევაშიც ხდება განსახილველი მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით, რომელზეც ზემოთ უკვე ითქვა.

## 2.7. ნაფიც მსაჯულთა თათბირი და სხვა „მოსაზღვრე“ საკითხები

პროექტის 258-ე მუხლის თანახმად, სხლომის თავმჯდომარის განმარტების მიღების შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. აქვე მითითებულია, რომ „არავის აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე“. ამ უდავო დებულებაში სადავო შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ბუნდოვანი ფრაგმენტი, რომელიც სათათბირო ოთახში „ძირითად“ და სათადარიგო ნაფიც მსაჯულთა ყოფნას შეეხება: ჩემი აზრით, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა ნაფიცი მსაჯულები კანონით დადგენილ მინიმალურ ანუ „კომპლექტისეულ“ შემადგენლობაზე ნაკლებით გავლენ სათათბიროდ, რის გამოც, მათ საჭირო რაოდენობამდე შესავსებად ან დასაკომპლექტებლად, სათათბირო ოთახში მათთან ერთად გავა („გამწესდება“) შესაბამისი რაოდენობის (ერთი ან მეტი) სათადარიგო მსაჯულიც. ამ მომენტიდან „სათადარიგო ნაფიცი მსაჯული“ ხდება ჩვეულებრივი „ნაფიცი მსაჯული“, რის გამოც პროექტისეული ფორმულირება – რომ „არავის აქვს უფლება იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა“ – იმთავითვე მცდარია. ამდენად, ზემოხსენებული ნორმა გასასწორებელია. კერძოდ, ეს ნოველა 258-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებიდან პირველშია გადმოსატანი, ვთქვათ, შემდეგი საგარაულო („სამუშაო“) ფორმულირებით: „სხლომის თავმჯდომარის განმარტების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები, ხოლო თუ მათი დარჩენილი რაოდენობა არასაკმარისია, მათთან ერთად

აგრეთვე საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაფიცი მსაჯულები (და არა „სათადარიგო მსაჯულები“! – ი.გ.) გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად“. შესაბამისად, ამავე ნაწილის შემდგომი (მეორე) წინადადებიდან ამოღებული იქნება სიტყვები „და სათადარიგო მსაჯულთა გარდა“, რადგან, ზემოხსენებული მომენტიდანვე „სათადარიგო ნაფიცი მსაჯული“ უკვე ხდება ჩვეულებრივი (ანუ, რუსული სსსკ-ის ტერმინოლოგიით, „კომპლექტისული“) ნაფიცი მსაჯული.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ „ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ შეწყვიტონ თათბირი მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით“. ცხადია, ეს ნორმა „ირიბად“ ავალებს სხდომის თავმჯდომარეს თათბირის ამგვარი შეწყვეტის პროცედურის ოპტიმიზაციას, მის გონიერულად, „ზომიერად“ ორგანიზაციას.

„ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს, სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი მიღწეული არ არის, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი მიმართულებით“ (ნაწ. 3). რამდენადმე ანალოგიური შინაარსის ნორმა ზემოთ უკვე განვმარტე. ამიტომ აქ შევეხები მხოლოდ ამ ნაწილის დასაწყის ფრაგმენტს – „ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ“. იგი აშკარად არასწორი ფორმულირების შემცველი ფრაზაა, რადგან „საქმის განხილვა“, ტრადიციული შინაარსით, ცხადია, ხდება არა სათათბირო ოთახში, არამედ სასამართლო სხდომის დარბაზში. ამდენად, ეს სიტყვები აქ ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული, ან კიდევ შეიცვალოს ჭეშმარიტების ამსახველი შესაბამისი ფრაზით (მაგალითად: „წინასწარი თათბირის ამოწურვის შემდეგ...“).

აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თითოეული ნაფიცი მსაჯული, ზემოთ მითითებული კენჭისყრისას, გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, მას უფლება არა აქვს თავი შეიკავოს

ხმის მიცემისაგან, ე.ი. ვალდებულია ხმა მისცეს „გამამართლებელი“ ან „გამამტყუნებელი“ ვერდიქტის გამოტანას.

დაბოლოს, მითითებული მუხლის ბოლო, მე-5 ნაწილი ადგენს, რომ ნაფიცი მსაჯულები ხმას აძლევენ ნაფიც მსაჯულთა სიაში მათი რიგისობის მიხედვით, გარდა უფროსი ნაფიცი მსაჯულისა, რომელიც ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს (აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ჯერ ხმას აძლევენ „ძირითადი“ ნაფიცი მსაჯულები, შემდეგ – მათში შეყვანილი სა-თადარიგონი, ბოლოს კი – უფროსი მსაჯული).

პროექტის 259-ე მუხლი ადგენს შემდეგ წესს: თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯუ-ლი ჩათვლის, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, ნაფიცი მსაჯული ერთჯერადად სხდომის თავმჯდომარეს წერილობით წარუდ-გენს დამატებითი განმარტებების მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით. სხდომის თავმჯდომარე, ამ კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნო, რომ, თუ თათბირის პროცესში ამგვარი დამატებითი განმარტებების ერთჯერადობა ასე თუ ისე მისაღებია, იგივეს თქმა ერთობ ძნელია სასამართლო განხილვის მიმდინარეობის სტადიაზე, რომელიც, ცალკეულ საქმეებზე, შეიძლება საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდეს ამა თუ იმ მიზეზის (მაგ., საქმის სირთულის, ბრალდებულთა სიმრავლის) გამო. ასეთ საქმეზე კი ერთჯერადი დამატებითი განმარტებების საკმარისობაზე საუბარი ერ-თობ არაზუსტი ან სულაც აშკარად მცდარი შეიძლება აღმოჩნდეს!.. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, აქ აუცილებელია საკითხის ამ კუთხით უკეთ გააზრება და, როგორც მინიმუმი, ერთჯერადობის კრიტერიუმის გამორიცხვა სასამართლო განხილვის სტადიიდან.

დაბოლოს, პროექტის 260-ე მუხლი ადგენს ისეთ საგამონაკ-ლისო სუბინსტიტუტს, როგორცაა წინასწარი თათბირი. კერძოდ, სასამართლო სხდომის დასრულებამდე (ანუ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე), პროცესის მსვლელობისას

წამოჭრილი საკითხის უკეთ გასარკვევად, შესაძლოა ჩატარდეს ნაფიც მსაჯულთა წინასწარი თათბირი. აღნიშნულის თაობაზე სხდომის თავმჯდომარეს განჩინება გამოაქვს ნაფიც მსაჯულთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე. წინასწარი თათბირი უნდა მიმდინარეობდეს ყველა ნაფიცი მსაჯულის (სათადარიგოთა ჩათვლით) მონაწილეობით. აქვე პროექტი გვამცნობს, რომ „მოსამართლემ წინასწარ უნდა განუმარტოს მსაჯულებს მათი ამ უფლებისა და იმის შესახებ, რომ არ მიიღონ გადაწყვეტილება საქმის სრულ განხილვამდე“. ბოლო ფრაგმენტი (ფრაზა) ერთობ არაზუსტი და ბუნდოვანია თუნდაც იმიტომ, რომ „საქმის სრულ (ანუ „სრულად“ – ი.გ.) განხილვამდე“ გადაწყვეტილების მიუღებლობის უფლება, გნებავთ წესი, გაცილებით ადრე და, რაც მთავარია, ყოველთვის (ანუ ფაქტობრივად პერმანენტულად) უნდა განემარტოთ ნაფიც მსაჯულებს (სათადარიგოთა ჩათვლით), რათა მათ ყველა (და არა მარტო ამ საგამონაკლისო!) შემთხვევაში გადაწყვეტილებანი მიიღონ მხოლოდ საქმის სრულად განხილვის შემდეგ – მით უმეტეს, რომ ნაფიცი მსაჯულები საქმეზე არანაირ შუალედურ გადაწყვეტილებას არ იღებენ!..

## 2.8. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, მისი ფორმა და გამოცხადება. ვერდიქტის გამოტანის უუნარობა

უწინარესად, ხაზი უნდა გაესვას იმ ცნობილ გარემოებას, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებას ფაქტების შესახებ“. ამასთან, 261-ე მუხლის პირველი ნაწილი აქვე არაორაზროვნად მიუთითებს, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე“ (და არა, ვთქვათ, „გათვალისწინებით“!). ჯერ ერთი, ამგვარი აშკარა, „უცერემონიო“ „შემტევობა“ ნაფიც მსაჯულთა მიმართ საკმაოდ იშვიათი მოვლენა რომ გახლავთ მსოფლიოში, ზემოთ უკვე ვნახეთ. მეორეც, ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებები წინ უს-

წრებს თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ (სასამართლო) გადაწყვეტილებებს – მათ შორის განაჩენის დადგენასაც, რომელთან შედარებითაც საქმის განხილვის სტადიაზე (ეტაპებზე) მიღებული სხვა „წმინდა სამოსამართლო“ გადაწყვეტილებები, ცხადია, მეორეხარისხოვანია! დაბოლოს, ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (რომელშიც სხდომის თავმჯდომარეცაა), როგორც პროექტშია, არამედ მას იღებენ მხოლოდ ნაფიცი მსაჯულები, თავმჯდომარისგან დამოუკიდებლად, რის „საყოველთაო“ ინსტიტუციურ მნიშვნელობაზეც ნაშრომში საგანგებოდ, დეტალურად იყო საუბარი!.. სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე შეენიშნავ, რომ მთელს მსოფლიოში დამკვიდრებული ტერმინების – [ნაფიც მსაჯულთა] „ჟიური“ „კოლეგია“ თუ „შემადგენლობა“ – რალაც გაუგებარმა უარყოფამ მრავალგან ჩააგდო უხერხულობაში ქართული პროექტის ავტორნი, წარმოქმნილი არასასურველი „სიცარიელის“ სიტყვა „სასამართლო“-თი ამოვსებამ კი უკვე შემოხსენებული თუ სხვა მრავალი ამგვარი, არსებითი აზრობრივი შეუსაბამობა თუ მცდარობა გამოიწვია!..

ზემოხსენებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ „ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი“. ამასთან, „ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ სასჯელის განსაზღვრისას სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების მიზანშეწონილობა“. სამწუხაროდ, აქ არ არის რამდენადმე მაინც დაზუსტებული, თუ რა კრიტერიუმების გამოყენებით მოჰყვება შედეგი მსაჯულთა ამგვარ მეტად ზოგად („სასჯელი შეუმსუბუქდეს“ ან „სასჯელი დაუმძიმდეს“) გადაწყვეტილებას, ანუ რამდენად ადეკვატური იქნება იგი, საბოლოო შედეგის თვალსაზრისით, მოსამართლის „სამართლებრივ ქურაში“ გაელის შემდეგ.

ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღების წესი ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მოწესრიგებულია შემდეგნაირად:

ნაფიცი მსაჯულები (ტექსტში წერია „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“, რაც, როგორც აღინიშნა, ერთობ არაზუსტია)



ვერდიქტს იღებენ ერთსულოვნად. მაგრამ, თუ ისინი 6 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებენ ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას, გადაწყვეტილება მიიღება საქმეში დარჩენილი ნაფიცო მსაჯულების ხმათა შემდეგი უმრავლესობით:

- 1) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 11, ვერდიქტი მიიღება 10 ხმით;
- 2) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 10, ვერდიქტი მიიღება 9 ხმით;
- 3) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 9, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით;
- 4) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 8, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით;
- 5) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 7, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით;
- 6) თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვია 6, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით.

ნაფიც მსაჯულთა ამგვარი, განახვერებულ შემადგენლობაზე ნაკლები (5-კაციანი) შემადგენლობით ვერდიქტის მიღება, როგორც ვნახეთ, ფაქტობრივად, უპრეცედენტო მოვლენაა ცივილიზებულ მსოფლიოში, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას! ამასთან, არ დაგვავიწყდეს, რომ ჯერჯერობით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში განიხილავს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და თვისებრივადაც ერთობ გამორჩეულ ისეთ დანაშაულს, როგორიცაა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში!!! ასეთ ვითარებაში, ამგვარი თითქოსდა საგანგებოდ შეკვეცილ-მინიმიზებული მიდგომა, საქართველოს დღევანდელ (და უახლოესი თვალსაწიერის) პერიოდში მაინც, იმდენადვე გაუგებარია, რამდენადაც არაგონივრული და, შესაბამისად, მიუღებელი!..

ამავე მუხლის მე-4 ნაწილი ეხება გადაწყვეტილების უნარობის შემთხვევებს. კერძოდ, „თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნაროა მივიღეს საერთო შეთანხმებამდე, სხდომის თავმჯდომარე

განუმარტავს კიდევ ერთხელ ნაფიც მსაჯულებს\* ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს არის თუ არა მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს“. ამგვარად, აქ ისტორიულად მოკრძალებული როლის მქონე უფროსი მსაჯული ქართულმა პროექტმა უცებ აქცია რაღაც უცნაური, არაორდინარული (ოპერატიულ-მაკონტროლებელი თუ „დაზვერვით-მამხილებელი“) როლის მქონე „გამორჩეულ“ ფუნქციონერად, რაც იმდენადვე დაუშვებელი და მიუღებელია, რამდენადაც ნეგატიურად არაორდინარული, მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც „სახალხო მართლმსაჯულების“ ეს ისტორიული ფორმა მხოლოდ ახლა ცდილობს ფეხის მოკიდებას!.. ბუნდოვანებას კი ისიც აძლიერებს, რომ რაიმე შემდგომი საკანონმდებლო „ინსტრუქცია“, თუ როგორ უნდა განახორციელოს ეს ფუნქცია (უფრო ზუსტად, მისი მეორე ნაწილი) უფროსმა ნაფიცმა მსაჯულმა, პროექტში არ მოიპოვება.

ამავე მუხლის ბოლო (მე-5) ნაწილში მითითებულია, რომ „უფროსი ნაფიცი მსაჯული ავსებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტს, სადაც შეაქვს კენჭისყრის საერთო შედეგები და ყველა ნაფიცი მსაჯული ადასტურებს მას თავისი ხელმოწერით“. ეს ნორმა ერთობ პოზიტიურია (განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომ ვერდიქტს ხელს აწერს ყველა ნაფიცი მსაჯული!), მაგრამ ცუდია ის, რომ პროექტი აქ გვერდს უვლის შესაბამისი პროცედურების (წინასწარი პროცედურები, ხმის მიცემის თუ მათი დათვლის წესი და მისთ.) მოწესრიგებას. შემდგომ ეტაპებზე ამ ნაკლს გარკვეულწილად „ასწორებს“ მომდევნო (262-ე) მუხლი („ვერდიქტის ფორმა“) , რომელშიც (ნაწ.2) მითითებულია შემდეგი:

ყოველ ბრალდებულზე, სხდომის თავმჯდომარის მიერ, ნაფიც მსაჯულებს წარედგინება ორი ფორმა: ერთი გამამართლებელი,

---

\* სტილის თვალსაზრისით, სჯობდა ამგვარი ფორმულირება: „სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს...“. ამგვარი თუ სხვაგვარი დასანანი ხარვეზები პროექტში, სამწუხაროდ, მრავლადაა.

მეორე კი გამამტყუნებელი ვერდიქტისა. ეს ფორმები ითვალისწინებს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) გამამართლებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (საქმის ნომერი და დასახელება) საქმეზე ბრალდებული (სახელი, გვარი) არ სცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში;

ბ) გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (საქმის ნომერი და დასახელება) საქმეზე ბრალდებული (სახელი, გვარი) დამნაშავედ სცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში. ბრალდებულს უნდა შეუძსუბუქდეს ან დაუმძიმდეს სასჯელი.

ამ საკმარისად „ძუნწ“ და არცთუ მთლად „რაფინირებულ“ ფორმულას პროექტში (ნაწ. 3) მოსდევს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა – განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს (!) ბრალდების მიერ წაყენებული დანაშაულის ელემენტები. ამ შემთხვევაში, ნაფიც მსაჯულებს დამატებით წარედგინებათ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა ზემოთ, „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული სტანდარტის შესაბამისად.

პროექტის 263-ე მუხლის („ვერდიქტის გამოცხადება“) თანახმად, უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული მოსამართლეს (სხდომის თავმჯდომარეს) გადასცემს ვერდიქტს. ეს უკანასკნელი ვალდებულია წაიკითხოს იგი და დარწმუნდეს შემდეგში:

ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებულზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული (ე.ი. არ არის დაშვებული რაიმე უხეში თუ სხვაგვარად არსებითი შეცდომა);

ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის (ე.ი. არ არის დაშვებული მათი რაიმე სახით ერთმანეთში აღრევა);

გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე. თუ სხდომის თავმჯდომარე ვერდიქტის ფორმებს მიიჩნევს აღნიშნული მოთხოვნების დაცვით შედგენილად (შევსებულად), იგი უბრუნებს მას უფროს ნაფიც მსაჯულს სასამართლოს წინაშე (ანუ სხდომის დარბაზში) გამოცხადებლად (ნაწ. 3).

უფროსი ნაფიცი მსაჯული, შესაბამისად, აცხადებს ვერდიქტს სასამართლო სხდომის დარბაზში (ნაწ. 4).

მაგრამ, თუ სხდომის თავმჯდომარე ჩათვლის, რომ ვერდიქტის ფორმა ეწინააღმდეგება (არ შეესაბამება) ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს, იგი უბრუნებს ვერდიქტის უკვე შევსებულ ფორმას უფროს ნაფიც მსაჯულს და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა იმავე შემადგენლობით დაბრუნებას სათათბირო ოთახში, მის მიერ მითითებული შეცდომის (შეცდომების) გასასწორებლად (ნაწ. 5).

ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ, ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა ფუნქციები ამოწურულია, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს მაღლობას უხდის მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის და დაითხოვს მათ (ნაწ. 6).

თუ ვერდიქტი მთლიანად გამამართლებელია, დაპატიმრებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენს, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია იგი გამოიტანოს გამამართლებელი ვერდიქტის გამოტანიდან 3 დღის ვადაში (ნაწ. 7).

გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანისას, მისი გამოცხადებისთანავე, სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს – არაუგვიანეს ერთი კვირისა ვერდიქტის გამოცხადებიდან (ნაწ. 8).

პროექტის 264-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა ნაფიცი მსაჯულების იმ კონტინგენტს, რომელმაც საქმე განიხილა, ვერდიქტი ვერ გამოაქვს (ე.წ. „ვერდიქტის გამოტანის უუნარობა“). ასეთ შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე დაითხოვს ნაფიც მსაჯულებს და ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. ამასთან, პროექტის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეს ხდება მაშინ, როცა „ნაფიცი

მსაჯულები სათათბირო ოთახში მესამედ დაბრუნების შემდეგაც ვერ ასწორებენ შეცდომებს“. ამგვარად, აქ ლაპარაკია არა საკუთრივ „ვერდიქტის გამოტანის უუნარობაზე“, არამედ „უშეცდომო ვერდიქტის გამოტანის უუნარობაზე“, რაც, ცხადია, ერთი და იგივე სულაც არ არის. აქვე, მე-2 ნაწილი აღგენს, რომ თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევებში მეორე მოწვევის ნაფიცი მსაჯულებიც ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ვერდიქტთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ უნდა დაითხოვოს ნაფიცი მსაჯულები და გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

## 2.9. მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნა

როგორც ზემოთ ვნახეთ, ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოტანით მთავრდება კოლეგიური „ნაფიც მსაჯულთა ეტაპი“ (ანუ იგივე „ფაქტების დადგენის ეტაპი“) და „ასპარეზზე გამოდის“ ერთპიროვნული მოსამართლე, რომელიც, უწინარესად, იხილავს და წყვეტს მეორე, დამამთავრებელი ეტაპის ცენტრალურ საკითხს – სასჯელის დანიშვნას. კერძოდ, პროექტის 265-ე მუხლის თანახმად, „სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები, საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით“ (ნაწ. 1). ამის შემდეგ პროექტში მითითებულია უაღრესად უცნაური, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოთავაზებულ მოდელთან სრულიად შეუთავსებელი ნოველა: „თუ ორივე მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა ტარდება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით“. აქ ლაპარაკია მონაწილეობაზე და არა, ვთქვათ სხდომის დარბაზში მათ ყოფნაზე ანუ „დასწრებაზე“ („თანდასწრებით“). მაგრამ აკი, 263-ე მუხლის მე-ნ ნაწილის ძალით, ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ, მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის, სხდომის თავმჯდომარემ უკვე მაღლობა გადაუხადა ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვა ისინი?! დათხოვნილი ნაფიცი

მსაჯულები შემდგომ ეტაპზე როგორღა მიიღებენ მონაწილეობას სასჯელის დანიშვნის სხდომაში, რომელიც, როგორც ვნახეთ, ინიშნება ცალკე (ახალი) სხდომის სახით, „ვერდიქტის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა“?! მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ, შემდგომ ეტაპებზეც, პროექტში რეალურად არსად ჩანს ნაფიც მსაჯულთა რაიმე („ხელახალი“) მონაწილეობა მოსამართლისეული ფუნქციის – სასჯელის დანიშვნის განხორციელებაში. ამდენად, ეჭვს გარეშეა, რომ ეს ნოველა (ფრაგმენტი), უბრალოდ, „ჩარჩენილია“ პროექტში და, ამდენად, ამოსაღებია.

ზემოხსენებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „მხარეს უფლება აქვს გამოხატოს პოზიცია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე“, რაც შეჯიბრებითი პროცესის აუცილებელი, ორდინარული მოთხოვნაა.

სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ დადგენილი სასჯელის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი რეკომენდაციის გათვალისწინებით (ნაწ. 3). აქვე 266-ე მუხლი აზუსტებს, რომ „თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის ზომის შემამსუბუქებელ რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი“ (ნაწ. 1). ხოლო, „თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის ზომის დამამძიმებელ რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს სისხლის სამართლის კოდექსით ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები“ (ნაწ. 2).

პროექტის 267-ე მუხლის („ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი“) თანახმად, „სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარემ უნდა გამოიტანოს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს“ (ნაწ. 1). ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი, ისევე, როგორც ზემოხსენებული რეკომენდაციები, ცხადია, სავალ-

დებულა მოსამართლისთვის (ნაწ. 2). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ის, რომ, განაჩენის დადგენისას, სხდომის თავმჯდომარე განაჩენს ასაბუთებს მხოლოდ სასჯელის ნაწილში (ნაწ. 3).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე (ნაწ. 4), ამასთან, იგი სააპელაციო წესით არ საჩივრდება. რაც შეეხება საკასაციო წესით გასაჩივრებას, იგი, პროექტის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ:

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება;

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი (ე.ი. აქ ლაპარაკია სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპის არსებითად დამრღვევი გადაწყვეტილების მიღებაზე);

გ) სხდომის თავმჯდომარემ არსებითი შეცდომა დაუშვა ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას (სამწუხაროდ, აქ ნიშანი „არსებითი“ აბსოლუტურად შეფასებითია, რის გამოც, მავანთა სურვილის შემთხვევაში, ამგვარი შეცდომის მოძიება – დაფიქსირება უკიდევანო „განმარტებებში“ ერთობ ადვილია!..);

დ) სხდომის თავმჯდომარე, განაჩენის გამოტანისას, მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს (რაც, რა თქმა უნდა, მიუტყეველი დარღვევაა!);

ე) სხდომის თავმჯდომარე, განაჩენის გამოტანისას, დაეყრდნო ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს (აქ, როგორც ვხედავთ, რატომღაც ლაპარაკია არა „არსებით“, არამედ ნებისმიერ დარღვევაზე, რაც არასწორია და პრაქტიკაში შეიძლება გახდეს უსამართლო „სამოსამართლო“ გადაწყვეტილებათა გამოტანის საფუძველი – როგორც წესი, არასასურველი თუ მიუღებელი ვერდიქტებისა და განაჩენების გაუქმების თაობაზე);

ვ) სასჯელი უკანონო ან/და აშკარად დაუსაბუთებელია (შესაბამისად, განაჩენის დასაბუთებაში დაშვებული „არააშკარა“ ანუ

მცირე ნაკლი ვერ გახდება ამგვარი საფუძველი);

ზ) სხდომის თავმჯდომარის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ნაფიც მსაჯულთა მიერ სასჯელის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი რეკომენდაცია (ე.ი. დაშვებულია პირდაპირი, ერთობ სერიოზული დარღვევა, რომლის შედეგიც, ცხადია ერთობ სერიოზული შეიძლება იყოს).

გარდა ამისა, 268-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები აზუსტებენ ამ დარღვევების შედეგებს, შემდეგი მიმართულებებით:

1) ზემოთ მოტანილი „ა-ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა საფუძველზე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას;

2) ზემოთ მოტანილი „ვ-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში, საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნო, რომ:

ა) პირველ შემთხვევაში, ვფიქრობ, აჯობებდა „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობის“ გაუგებრად მოხსენიების ნაცვლად, აქვე კანონმდებელს მიეთითებინა, რომ საქმეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავს ახალი სხდომის თავმჯდომარე, ვინაიდან განაჩენთან ერთად ვერდიქტის გაუქმების (რაც აქ ნახსენები არ არის, რაც ასევე პროექტის ნაკლია) საფუძველია სწორედ სხდომის თავმჯდომარის მიერ დაშვებული სერიოზული (კანონში პირდაპირ მითითებული) დარღვევა. ამგვარ შემთხვევებში მითითება იმაზე, რომ „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალი შემადგენლობა“ სხდომის თავმჯდომარესაც მოიცავს, არსებითად სწორია, მაგრამ გაგების (ინტერპრეტირების) თვალსაზრისით ცალსახა რომ სულაც არ არის, პროექტის შესაბამისი (XXV) თავის ზერელე ანალიზიც საკმაოდ ნათლად მოწმობს;

ბ) გაუგებარია, თუ რატომ უბრუნდება საქმე „სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხ-



დომის თავმჯდომარეს ანუ დარღვევის დამშვებ პირს – უკანონო ან/და აშკარად დაუსაბუთებელი განაჩენის გამოძთან, სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების თაობაზე ნაფიც მსაჯულთა საეაღ-ღებულო რეკომენდაციის არშემსრულებელ მოსამართლეს (იქნებ სულაც განზრახ, გაცნობიერებულად უარმყოფელს, რაც ცხა-ღია, უმოტივოდ ვერ მოხდება!). რა გარანტია არსებობს, რომ აქ რომელიმე მიმართულებით კვლავ არ დაირღვევა კანონი? ამიტომ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, რომ, ამგვარ შემთხვევებში, ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის საფუძველზე, სასამართ-ლოს შესაბამისი სხდომა ჩაეტარებინა და განაჩენი დაედგინა სხვა მოსამართლეს, რაც, ამ შემთხვევაში, ცნობილი სპეციფიკიდან გა-მომდინარე, რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს თუ უხერხულობას სულაც არ შექმნის.

თავი IV. მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის  
შემოღება და მისი უფლებამოსილება  
საქართველოში

§1. მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება  
საქართველოში, მისი სტატუსი და ორგანიზაცია

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისაგან განსხვავებით, რომელსაც უახლოეს პერსპექტივად გვთავაზობენ, მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი ჩვენში შემოღებულ იქნა საქართველოს 1997 წლის ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ 2005 წლის 23 ივნისის №1736-ით შეტანილი ცვლილება-დამატებებით\*. იგი ამოქმედდა 2005 წლის 15 ივლისიდან, თუმცა პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო მხოლოდ 2006 წლიდან, როცა მაგისტრატი მოსამართლეები დაინიშნენ – უპირველესად, მცხეთა-მთიანეთის რაიონულ სასამართლოში. ამას მთელ საქართველოში ამ ინსტიტუტის „ფიჭური“ გავრცელება, ცხადია, სულაც არ მოჰყოლია, რადგან, უწინარეს ყოვლისა, ამას თვითონ კანონი არ ითვალისწინებდა. კერძოდ, თანახმად ზემოხსენებული ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილისა, რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან, რომელთა შორის მაგისტრატი მოსამართლის აუცილებლად ყოფნა სულაც არ იგულისხმება. ეს პირდაპირაა გათვალისწინებული ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც ადგენს, რომ „რაიონული (საქალაქო სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება (!) შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები“. აქვე ორგანული კანონი განმარტავს ამ ინსტიტუტის რაობას, ოღონდ ძალზე ზოგადად: „მაგისტრატი მოსამართლე ეწოდება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში“. როგორც ვხედავთ, აქ კონკრეტულად მოცემულია ერთადერთი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი ნორმატიული

\* იხ. სსმ, ნაწ. I, 2005წ., №36, მუხ. 223.

დებულება – რომ მაგისტრატი მოსამართლე, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლეთაგან განსხვავებით, მოქმედებენ (ფუნქციონირებენ) არა მთლიანად სასამართლო რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილში – „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში“. როგორც წესი, ამგვარ ერთეულად მიჩნეულია ამჟამინდელ სასამართლო რაიონში (ქალაქში) შემავალი ყოფილი ადმინისტრაციული რაიონი (ქალაქი)\*, თუმცა კანონი აქვე აზუსტებს, რომ „მაგისტრატი მოსამართლეების რაოდენობა და სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საფუძველზე“. რაც შეეხება მაგისტრატი მოსამართლეების შემადგენლობას რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ამას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (იხ. აქვე, ბოლო წინადადება). პრაქტიკულად (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით), როგორც წესი, სასამართლო რაიონში (ქალაქში) შემავალ ტრადიციულ ერთეულებში – ადმინისტრაციულ რაიონებში – ინიშნება თითო მაგისტრატი მოსამართლე.

ზემოხსენებული ორგანული კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარემ ამავე სასამართლოს მოსამართლეს შეიძლება დაავალოს „მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება“ (მაგ., როცა მაგისტრატი მოსამართლის შტატი არ არის დაშვებული, ანდა იგი არ დანიშნულა, ან კიდევ შეებულებაშია, ავადაა, გადატვირთულია და ა.შ.). ასევე, მაგისტრატ მოსამართლეს (თუკი იგი ნაკლებადაა დატვირთული, ან კიდევ არსებობს საამისო აუცილებლობა და ა.შ.) მანვე შეიძლება დაავალოს „საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რაიონული (საქალაქო) სასამართლოში“ (იქვე). ცხადია, ეს იქნება „საუბნო პრინციპიდან“ კანონით დაშვებული გადახვევა, რაც მართლმსაჯულების შეუფერხებელი, მოქნილად, ოპტიმალურად განხორციელებას შეუწყობს ხელს. თუმცა, აქვე უნდა

\* ასე, მაგალითად, ამჟამინდელი სიღნაღის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია მოიცავს სიღნაღის, ღელაფლისწყაროსა და საგარეჯოს ადმინისტრაციულ რაიონებს, რომლებშიც შეიძლება დაინიშნონ მაგისტრატი მოსამართლეები.

აღინიშნოს კანონის შესაბამისი ნორმების გარკვეული ბუნდოვანება, რამაც შეიძლება პრაქტიკის „აჭრელება“ გამოიწვიოს (როგორც მინიმუმი). კერძოდ, როგორც ჩანს, მაგისტრატი მოსამართლისთვის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში „საქმის განხილვის“ დავალება აქ უნდა გავიგოთ როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ფუნქციის შესრულების უფლებამოსილების მინიჭება. ეს კარგად ჩანს თუნდაც ამავე ნორმაში მოცემულ, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებისადმი მიძღვნილ ნოველაში – „აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა (!) იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში)“. ოღონდ, ამასთან, აქ გარკვეულ ეჭვსა თუ ბუნდოვანებას ბადებს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი: „მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად“. კერძოდ, მხედველობაშია ის, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, გარდა იმისა, რომ, როგორც წესი (იხ. მუხ. 15, ნაწ. 1), საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად, სასამართლოს თავმჯდომარის დვალებით, მონაწილეობს აგრეთვე საქმის განხილვაში იმავე სასამართლოს სხვა, სპეციალიზებული სტრუქტურის – სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში (მუხ. 15<sup>1</sup>, ნაწ. 5). ამგვარად, აქ არ ჩანს, შეუძლია (უფლებამოსილია) თუ არა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორია მხოლოდ ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ნაწილია, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში (ანუ მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ) მიმაგრების (დროებით გამწესების) შემთხვევაში, მონაწილეობდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ორ მოსამართლესთან ერთად (ანუ სამიდან ერთ-ერთ მოსამართლედ) საქმის კოლეგიურად განხილვაში. სხვა სიტყვებით, ფრაზა – თავმჯდომარემ „მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა... რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში“ – ნიშნავს მხოლოდ ერთპიროვნულად (რისი უფლებაც, საზოგა-

დოდ, მას აქვს. — იხ. ზემოთ) საქმის განხილვას, თუ კოლეგიის შემადგენლობაში ყოფნის უფლებასაც?! კანონში პასუხი ცალსახად არ ჩანს, ხოლო მისი განვრცობითად განმარტება, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, დაუშვებელია\*. ამდენად, ეს საკითხი უნდა დაზუსტდეს საკანონმდებლო წესითვე — როგორც ეს, საზოგადოდ, მიღებულია ასეთ შემთხვევებში (ამ საკითხის სხვა ასპექტებზე იხ. ქვემოთ).

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს არა მარტო საქმეებს (სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულს), როგორც ეს ორგანულ კანონშია (მუხ. 15, ნაწ. 2), არამედ, ძირითადად, მასალებს, რაც, როგორც პირდაპირ, ისე „ირიბად“, ასახულია, მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლში (ნაწ. 1, 3), 47-ე მუხლში (ნაწ. 1) — „ირიბად“, 140-ე მუხლში (ნაწ. 1 და სხვ.) და ა.შ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ, ახალი სსსკ-ის პროექტისაგან განსხვავებით, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეოთხე კარის („სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება“) რიგ თავებსა და მუხლებში, რომლებიც ლოგიკურად თითქოსდა „დანამდვილებით“ ითხოვენ მაგისტრატი მოსამართლის მითითებას, ამგვარი ცვლილება-დამატებები შეტანილი არ არის — განსხვავებით ახალი სსსკ-ის პროექტისაგან, სადაც, როგორც ქვემოთ ენახავთ, ეს საკითხი გაცილებით მასშტაბურად და სრულყოფილად არის მოწესრიგებული.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1) მაგისტრატი მოსამართლე არის მხოლოდ არასავალდებულო (ალტერნატიული) ფიგურა — პირველი ინსტანციის და, ამასთან, მისი უდაბლესი („პირველადი“) რგოლის საუბნო მოსამართლე, ოღონდ რაიმე სპეციფიკური, ცალსახა სამომრიგებლო ფუნქციის გარეშე. აქედან გამომდინარე, მომრიგებელი იუსტიციის მეტად მნიშვნელოვანი, დემოკრატიულ-ჰუმანური როლიდან თუ ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოში, შემდგომ ეტაპზე, საჭიროდ მიმაჩნია

---

\* ის ვარაუდება, რომ მაგისტრატი მოსამართლის ხელუფასის ოდენობა გათანაბრებულია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ხელუფასთან (იხ. სსმ, ნაწ. I, 2007, მუხ. 231), აქ, ვფიქრობ, თვითკმარ არგუმენტად არ გამოდგება.



ტრატი მოსამართლე, „შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებაზე, მათი ვადის გაგრძელებაზე და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე“ განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. შემდეგ აქვე მითითებულია, რომ „რაიონული (საქალაქო) სასამართლო ასევე ახორციელებს უფლებამოსილებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე“. ვინაიდან აქ ხაზგასმული (მოხსენიებული) არ არის რაიმე სხვა (დამატებითი) უფლებამოსილება, მიმაჩნია, რომ დაშვებულია უკვე მოტანილი დებულების გამეორება, რაც, ცხადია, ამოსაღებია.

2. სსსკ-ის მომდევნო, 47-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩაწერილია, რომ „მაგისტრატი მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობებს საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე“. სამწუხაროდ, ეს ნოველა იმეორებს ზემოთქმულს, ამასთან, აქ რატომღაც გამოტოვებულია სიტყვები „მათი (ანუ საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა) ვადის გაგრძელებაზე“, რისი ლოგიკურად ახსნა ერთობ ძნელია!..

3. ამავე ნაწილის შემდგომი წინადადების თანახმად, „იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარის რაოდენობა კოლექტიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მაგისტრატ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლექტიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

ბ) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება“.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ ამ ნოველას, როგორც მინიმუმში, ლოგიკური დასაბუთებულობა მაინც აკლია – ისევე, როგორც მთლიანად ამ ნაწილს. კერძოდ, გაუგებარია, თუ რატომ ან როგორ (რა წესით...) იქცა აქ, ნორმის პირველ წინადადებაში, „საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენებასა და ამ კოდ-

ექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე“ შუამდგომლობების (!) განმხილველი მაგისტრატის მოსამართლე „ერთპიროვნულად საქმის (!) განმხილველ“ მაგისტრატ მოსამართლედ, ამასთან, რაც არანაკლებ მთავარია, მას (საუბნო მოსამართლეს!) აქ მიენიჭა უფლებამოსილება, რომელიც თვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესაც კი არ მიეკუთვნება: ზემოთ მითითებული ორი გარემოებიდან (რომლებიც მართლაც მნიშვნელოვანია!) თუნდაც ერთ-ერთის არსებობის (გამოვლინების) შემთხვევაში, დაადგინოს „საქმის კოლექტიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით“. კი მაგრამ, იმ რაიონებში (ქალაქებში), სადაც არ არის მაგისტრატის მოსამართლე, საკმაოდ მნიშვნელოვანი „დოზით“ მასზე მეტი („მაღალი“) უფლებამოსილების მქონე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ რატომ არ უნდა დაადგინოს ანალოგიური (იგივე) წესი – რომ ამგვარი საქმე განიხილოს არა მოსამართლემ ერთპიროვნულად, არამედ მოსამართლეთა კოლექტიამ?!..

3. სსსკ-ის 140-ე მუხლის თანახმად, თუ რაიონულ სასამართლოში არის მაგისტრატის მოსამართლე, იგი იხილავს საკითხებს და გასცემს შესაბამის ბრძანებას (თუ ამის საფუძველი არსებობს) „აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების, ბრალდებულის ან სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსების და ამავე კოდექსით გათვალისწინებული სხვა საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების“ გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე დადგენილებას აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენებასთან, შეცვლასთან ან ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ“ (ნაწ. 1). შესაბამისი (დასაბუთებული) შუამდგომლობა, მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ასლებთან ერთად, წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით (ნაწ. 4), რომელიც აღნიშნულ მასალებს იხილავს ამავე მუხლით დადგენილი წესით.

4. სსსკ-ის 290-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამოღების,

\* ეს სიტყვა სსსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის ამ ადგილას გამოტოვებულია – აკლავ.



ჩხრეკის, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების შესახებ, რომელიც, გადაუღებლობის გამო, ჩატარდა მოსამართლის ბრძანების გარეშე, 24 საათის განმავლობაში უცნობება მაგისტრატ მოსამართლეს სათანადო საქმის მასალების წარდგენით. არა უგვიანეს 24 საათისა, მაგისტრატი მოსამართლე, აღნიშნული ნორმით დადგენილი წესით, განიხილავს მასალებს და იღებს კანონშესაბამის გადაწყვეტილებას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის ან უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ. ამ მუხლის შემდგომ ნაწილებში (მე-6 და მე-7) უკვე ლაპარაკია „მოსამართლეზე“ (იძულებით შემოწმების, მოყვანის, შედარებითი გამოკვლევისათვის ნიშუშის მიღების პროცედურებთან, აგრეთვე ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის წესთან დაკავშირებით), თუმცა აშკარაა, რომ აქ იგულისხმება მაგისტრატი მოსამართლეც. იგივე ითქმის ამ თავის შემდგომ (291-293-ე) მუხლებზეც, ამასთან, ამგვარი „ხარვეზიანი“ გადაწყვეტა რომ ამ კოდექსისთვის სულაც არ არის იშვიათი მოვლენა, ნათლად ჩანს ქვემოთ (პ. 5) მითითებული მუხლებიდანაც.

5. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სსსკ-ის მთელი რიგი სხვა მუხლები, ლოგიკის წესების თანახმად, აშკარად ან „ირიბად“ გულისხმობენ მაგისტრატ მოსამართლესაც (მაგ. მუხლები: 105, 108, 133, 145, 153, 155, 157, 159-160, 162-163, 175, 178, 184, 194-196, 208, 210, 243 და სხვ.), მაგრამ მათში იგი მოხსენიებული არ არის, რაც ამ კოდექსში ბოლო წლების მანძილზე ნაჩქარევად შეტანილი ზერელე, „გონჯი“ ცვლილებების ლოგიკური თანმდევი შედეგია!..

## 2.2. სსსკ-ის პროექტის მიხედვით

პროექტით მაგისტრატი მოსამართლის ფუნქციები და უფლებამოსილებანი აშკარად იზრდება, ამასთან, მის ცალკეულ ნაწილებში ამ ინსტიტუტის უფლებამოსილებანი უფრო მრავალმხრივ, ხელშესახებად არის მოცემული, თუმცა, ცხადია, ამ მთლიანობაში საკმაოდ „შშრად“ თუ „შეკვეცილ“ (განსაკუთრებით მის წინამორბედ კოდექსთან შედარებით) დოკუმენტში (კოდექსის პროექტში) მაგისტრატი მოსამართლეც, ზოგჯერ, არც თუ „სრულყოფილად“ გამოიყურება!..

პროექტის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის ძალით, „რაიონული (საქალაქო“) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში შედის მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ სასამართლოს განჩინების<sup>\*</sup> გაცემა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროცესის მწარმოებელი ორგანოს უკანონო ქმედების გამო საჩივრების გადაწყვეტა, ასევე ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება“<sup>\*\*</sup>. აქვე მითითებულია, რომ „ამ ნაწილით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც გამოძიება ან საპროცესო მოქმედება“<sup>\*\*\*</sup> ტარდება, უნდა ჩატარდეს ან უკვე ჩატარდა. ამ კოდექსით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემაც. ამ კოდექსით მაგისტრატი მოსამარ-

\* პროექტის მიხედვით (მუხ. 4, ნაწ. 17), განჩინება არის სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, განაჩინოსა და განკარგულების გარდა. ამგვარად, მოსამართლის ერთპიროვნული ბრძანება საპროცესო იძულების ღონისძიებათა საკითხებზე, ისევე როგორც საზოგადოდ მოსამართლის ერთპიროვნული დადგენილება, პროექტით უქმდება. უფრო ზუსტად, ისინი იცვლება სხვა საპროცესო ფორმით – განჩინებით.

\*\* გამოძიება სხვა არაფერია, თუ არა საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელთა ბირთვს წარმოადგენს საგამოძიებო მოქმედებანი („წმინდა საგამოძიებო მოქმედებანი“). ამიტომ აქ სიტყვა „საპროცესო“-ს წინ უნდა ჩაემტოს სიტყვა „სხვა“ ან „ცალკეული“ („რომელიმე ცალკეული“).

თლის განსჯადობას მიკუთვნებული საკითხები, მისი არყოფნის ან იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს, შეიძლება განიხილოს მაგისტრატმა მოსამართლემ ან შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ“ (ხაზი ჩემია – ი.გ.).

ამ ნაწილის თუნდაც მინიმალური „დოზით“ კომენტარების შემთხვევაშიც კი, სქოლიოში მითითებულ შენიშვნათა გარდა; აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

ა) მაგისტრატი მოსამართლე აქ ფიგურირებს (ფუნქციონირებს) არა მხოლოდ ზემოხსენებულ „ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში“ – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიის ერთ („საკუთარ“) სექტორში ანუ უბანში (რაც, პროექტით, მის „სამოქმედო ტერიტორიას“ წარმოადგენს), არამედ, ზოგჯერ, კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში, იგი მის გარეთ იხილავს, მაგისტრატის განსჯადობას მიკუთვნებულ სხვა საკითხსაც – ისევე, როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე;

ბ) მაგისტრატი მოსამართლის უკვე ცნობილ უფლებამოსილებათა გვერდით პროექტს შემოაქვს სხვა (დამატებითი), ამასთან, მეტად მნიშვნელოვანი, ზოგადობისა თუ მასშტაბურობის მაღალი ხარისხის მქონე ფუნქცია – „პროცესის მწარმოებელი ორგანოს უკანონო ქმედების გამო საჩივრების გადაწყვეტა“, მაგრამ ამ თითქოსდა „უნივერსალურ“ ფუნქციას ერთობ მინიმალურ ასპარეზს აკუთვნებს სიტყვები „ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში“, რამეთუ ამგვარი შემთხვევები აქ მინიმიზებულია...;

გ) გარკვეული ბუნდოვანება ახლავს იმ დებულებას, რომ მაგისტრატი მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას იმ საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედების თაობაზე, რომელიც ტარდება, უნდა ჩატარდეს ან უკვე ჩატარდა. მართალია, თეორიულად გამორიცხული არ არის, მაგრამ მაინც მეტად „უცნაურია“ შემთხვევა, როცა მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ნების დართვის ან კანონიერად თუ უკანონოდ ცნობის თაობაზე (სხვა გადაწყვეტილება შეუძლებელია!) იმ საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედების

მიმართ, რომელიც უკვე მიმდინარეობს, მაგრამ არ დასრულებულა („ტარდება“)!..;

დ) ვფიქრობ, საპროცესო კოდექსი, თავისი შინაარსით, ფორმით თუ ფორმულირების „სტილით“ არ უნდა უბიძგებდეს პროცესის მწარმოებელს მისი ორიენტირებით საკითხის გამოძიების სასარგებლოდ (სურვილისამებრ) გადაწყვეტისკენ, მით უმეტეს, ქართული სისხლის სამართალწარმოების ისედაც მეტად მაღალი „საბრალდებო გადახრის“ ვითარებაში. ამიტომ, მაგალითად, ფრაზა „... მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში შედის... საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გაცემა“ – სჯობდა შეცვლილიყო შემდეგნაირად: „... მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში შედის... საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ სასამართლო განჩინების გაცემის საკითხის გადაწყვეტა“.

პროექტის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მაგისტრატის განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხებზე გამოტანილი გადაწყვეტილების გამო საჩივარს, ამავე პროექტით დადგენილ შემთხვევებში (ანუ, როცა დაშვებულია გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში და ამგვარი გასაჩივრება მოხდება), განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია (პროცედურები იხ. ქვემოთ).

აქვე (ნაწ. 5) პროექტი გვთავაზობს ერთობ „უცნაურ“, გაუგებარ ფორმულას: „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს და მაგისტრატი მოსამართლის განჩინისა (?)“ და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა“. ამ ფრაზამ კიდევ უფრო ააბნია და გაართულა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15<sup>1</sup> მუხლში მოცემული გაუგებრობა, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. ამდენად, ამ კანონის მე-16 მუხლის ფორმულა, რომ „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით“, აქ განიხილულ წინააღმდეგობას, როგორც ვხედავთ, ვერ ხსნის.

სსსკ-ის პროექტის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით,

„მაგისტრატი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად“. სიტყვათშეხამება „საქმეზე დაკავშირებული“, აქ, ცხადია, გრამატიკულად უვარგისი, „ყურისმომჭრელი“ გადაწყვეტაა – ჩვენში გამოიყენება სიტყვათშეხამება „საქმესთან დაკავშირებული“, რაც აქაც უნდა იქნეს გამოყენებული. რაც მთავარია, აქ უკვე ცალსახად ჩანს კანონმდებლის პოზიცია – რომ მაგისტრატი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე (საქმესთან დაკავშირებულ) გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ერთპიროვნულად!..

მაგისტრატი მოსამართლე, მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ერთი ან რამდენიმე საკითხის განხილვის გამო, იმავე პირის მიმართ სხვა, ამგვარივე (მის კომპეტენციას მიკუთვნებულ) საკითხთა განხილვისას, აცილებას არ ექვემდებარება, რაც ცალსახად გამომდინარეობს სსსკ-ის პროექტის IX თავის („სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა (თუ „პროცესში მონაწილეობის“?! – ი.გ.) გამომრიცხველი გარემოებები, აცილება“) 61-ე მუხლიდან (ნაწ. 2 და სხვ.). ცხადია, იგივე ითქმის თვითაცილებაზე (მუხ. 64).

რამდენადმე განკერძოებულად გამოიყურება მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება – საგნის (ნიეთიერი მტკიცებულების) გამო, პროექტის 84-ე მუხლის („გადაწყვეტილება ნიეთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე“) მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში (როცა საგნის მესაკუთრე 45 დღის ვადაში არ იბრუნებს თავის ნიეთს, ხოლო, შემდგომში, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ ამ საგნის შენახვის 3-თვიანი ვადა გავა), პროკურორის შუამდგომლობით, 5 დღის ვადაში გამოიტანოს განჩინება ამ საგნის სახელმწიფო საკუთრებაში მიტევის შესახებ. ეს ის შემთხვევაა, როცა მაგისტრატი მოსამართლე აქტიურად მოქმედებს „თავის მინდორზე“. სამაგიეროდ, იგი პასიური ხდება, როცა საკითხი ეხება მაგისტრატი მოსამართლის მიერ „საქმის“ (ანუ კონკრეტული საკითხის) განხილვისას, პირის მიერ, სასამართლო სხდომაზე, წესრიგის უხეშ დარღვევას, მიმართულს პროცესის ჩაშლისაკენ, ან აშკარა ან/და უხეში უპატივცემულობის გამომხატველს სასამართლოს, პრო-

ცესის მონაწილის ან მხარის მიმართ (რასაც, 89-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მოსდევს სასამართლოს მანდატურის მიერ ამ პირის დაკავება). კერძოდ, განკარგულება სანქციის გამოყენების თაობაზე აქ გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე (ნაწ. 7).

წინასასამართლო გამოძიების ეტაპზე, თანახმად პროექტის 131-ე მუხლის პირველი ნაწილისა, მაგისტრატი მოსამართლე, მხარის შუამდგომლობით, მოწმის სახით დაკითხავს პირს, თუ:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს (მაგ., უკურნებელი სენით მძიმედ დაავადების შემთხვევაში);

ბ) იგი ხანგრძლივი ვადით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ) სხვა წყაროდან, გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, რთულია საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი ჩვენების (ინფორმაციის) მიღება;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების გამო (მაგ., იმის გამო, რომ საჭიროა დაცვის სპეციალური ღონისძიების ფარგლებში მთავარი მოწმის „გადამალვა“).

ასეთ შემთხვევებში, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე, გამოძიებისაგან განსხვავებით (!), ჩვენების მიცემა სავალდებულოა, ხოლო უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას (ნაწ. 2).

კანონი (ნაწ. 4) ადგენს, რომ, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მაგისტრატი\* მოსამართლის გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაკითხვა მოხდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. აქვე კანონი შენიშნავს, რომ „ასეთ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს, თუ კი

\* ეს სიტყვა პროექტის ტექსტში აკლია (გამოტოვებულია).

შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა“. ამგვარი წესით მოწმის დაკითხვის შესახებ მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს (გამოძიების ადგილის მიხედვით), რომელიც მოწმეს დაკითხავს შუამდგომლობის შეტანიდან გონივრულ ვადაში. ამასთან, კანონი (ნაწ. 5) ადგენს, რომ, შუამდგომლობის ინიციატორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მოწმე არ იკითხება.

⊗ უნდა შევნიშნო, რომ ეს წესი, რომელიც განსაკუთრებით ცალსახად და გარკვევით არის გათვალისწინებული გერმანიის სსსკ-ში, ერთობ გონივრულ და ქმედით (ეფექტიან) საპროცესო გადაწყვეტად უნდა იქნეს მიჩნეული, რის თაობაზეც რამდენიმე წლის წინ საგანგებოდ აღენიშნე კიდევ ერთ-ერთ სტატიაში.

მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებებში შედის განჩინების გამოტანა გვამის ექსპუმაციის (აშოლების) შესახებ, როცა ამის თაობაზე შუამდგომლობს მხარე. კერძოდ, ეს უკანასკნელი მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც იხილავს მას შეტანიდან 48 საათში. სასამართლოს განჩინება არ საჩივრდება. იგი სუვალდებულოა დასაფლავების ადგილის აღმინისტრაციისთვის (თუ ასეთი არსებობს), გარდაცვლილის ნათესავებისა და სხვა პირებისათვის (მუხ. 149).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაკავებული ბრალდებულის<sup>\*</sup> წარდგენისას მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებანი. კერძოდ, პროექტის 193-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, „დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ წარუდგენს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით“. აქვე შევნიშნავ, რომ ეს ნორმა ნაკლოვანია – მაგისტრატი მოსამართლის გარდა, აქ უნდა ჩაიწეროს, „ხოლო, მისი არყოფნის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს“ (თუნდაც იმიტომ, რომ ყველგან მაგისტრატი მოსამართლე არ არსებობს, ან კიდევ.

\* უნდა შევნიშნო, რომ პირი, რომელიც, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ეკვის ნიადაგზე დაკავებულია ანუ ეჭვმიტანილია, პროექტის მიხედვით, უკვე ბრალდებულია – მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება ჯერ არ წარდგენია. შესაბამისად, ეჭვმიტანილის ცნება აქ აღარ არსებობს.

იგი შეიძლება არ იმყოფებოდეს ადგილზე შვებულებაში ყოფნის, ავადმყოფობის ან/და სხვა გარემოებათა გამო). განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დაკავებულთა მოთავსების ადგილიდან ბრალდებულის სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია მისი ავადმყოფობის, სტიქიური უბედურების ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, მოსამართლეს შეუძლია სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ადგილას (ნაწ. 2). აქვე მითითებულია, რომ, თუ ამ მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობა დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს (ნაწ. 3). მიზეზს, ცხადია, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

პროექტის 194-ე მუხლი ადგენს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მაგისტრატი მოსამართლე, ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით:

ა) არკვევს ბრალდებულის ვინაობას;

ბ) არკვევს ესმის თუ არა ბრალდებულს პროცესის ენა (ე.ი. ხომ არ სჭირდება თარჯიმანი);

გ) ბრალდებულს განუმარტავს უფლებებს, ბრალდების არსს და წამების და არაპუნდური მოპყრობისათვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას;

დ) ბრალდებულს აცნობებს მისთვის წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის სახესა და ზომას;

ე) არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

ვ) იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობას;

ზ) ასრულებს პროექტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ, ამ ეტაპზე, მაგისტრატი მოსამართლე, „ადვილი მოქმედებების“ („გარკვევა“, „განმარტებათა მიცემა“) გარდა, წყვეტს ორ მნიშვნელოვან საკითხს: ა) საპრო-



ცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის შემთხვევაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; ბ) პირველი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, წყვეტს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს. ცხადია, პირველ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება დიდწილად განსაზღვრავს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების შინაარსს (უწინარესად, ამგვარი ღონისძიების გამოყენებას და, გამოყენების შემთხვევაში, მის სახეს). ეს სხდომა („ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა“) ხასიათდება უწყვეტობით – იგი შეიძლება, მხარის შუამდგომლობით, გადაიდოს მხოლოდ არსებითი განხილვის გარეშე განჩინის გამოტანის ანუ საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილების რეალიზების მიზნებისათვის (მუხ. 195).

შემდგომში, მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი ღონისძიებით შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს უკანასკნელი იხილავს შუამდგომლობას პროექტის 204-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ამასთან, წინასწარ – შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში – წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს (კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს თუ არა ამ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ამასთან, გამოკვლეულ იქნა თუ არა არსებითად იგივე საკითხები აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ან აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას განხილულ იქნა თუ არა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე). განჩინებით ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ასევე, დაპატიმრების ბრძანებას მაგისტრატი მოსამართლე გასცემს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც (ნაწ. 9). მისი აღსრულების (მიმალული ბრალდებულის დაპატიმრების) შემთხვევაში, იგი გამოძიების ადგილას მიყვანიდან (თუ უცხოეთში დაა-

კავეს – ჩამოყვანიდან) არაუგვიანეს 48 საათისა წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით (სტიქიური უბედურების ან სხვა დაუძლეველი ძალის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 15 დღემდე), რომელიც წყვეტს საკითხს აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გაუქმების (1), ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით შეცვლის (2) ან ძალაში დატოვების (3) შესახებ (ბოლო ანუ მესამე სახის გადაწყვეტილება ჩვენში პრაქტიკულად წესია, პირველი ორი – გამონაკლისი!..)

მაგისტრატი მოსამართლის (ისევე, როგორც რაიონული თუ საქალაქო სასამართლოს მოსამართლის) ამგვარი გადაწყვეტილებანი, მათი მიღებიდან (გამოცემიდან) 48 საათში, ერთჯერადად საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში (მუხ. 205).

პროექტის 206-ე მუხლი ადგენს, რომ „თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება არ არის მიღწეული, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, მაგისტრატი მოსამართლე ნიშნავს წინასასამართლო სხდომის თარიღს“ (ნაწ.1). ამ შემთხვევაში, მაგისტრატი მოსამართლე მხედველობაში იღებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულესა და მოცულობას. ამასთან, მან მხარეებს საკმარისი დრო და საშუალება უნდა მისცეს დაცვისა და ბრალდების მოსამზადებლად (ნაწ. 2). აქვე (ნაწ. 3) პროექტი ადგენს, რომ წინასასამართლო სხდომა უნდა დაინიშნოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ დაკავებული არ არის) არაუგვიანეს 60 დღისა, ამასთან, მხარე უფლებამოსილია, ერთჯერადად (!) მიმართოს სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონიერულ ვადამდე გაგრძელების შესახებ.

შემდგომი ეტაპია წინასასამართლო სხდომა, რომელსაც, თუ საამისო საფუძველი იქნა, მოსდევს საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში. ორივე ამ ეტაპზე მოსამართლის ფუნქციებს უკვე ახორციელებენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეები.

როგორც ვხედავთ, მეტ-ნაკლებად დეტალური პროცედურები მაგისტრატი მოსამართლის იმ უფლებამოსილებათა რეალიზაციისა, რომლებიც ჩამოთვლილია პროექტის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში,

გაწერილია მხოლოდ ზოგიერთი უმთავრესი უფლებამოსილების მიმართ (იხ. ზემოთ), სხვები კი მოცემულია ან ცალკეული (ეპიზოდური) დებულებების სახით, ან კიდევ, ისევე როგორც ამჟამად მოქმედ სსსკ-ში, წარმოდგენილია „მაგისტრატი მოსამართლის“ მოხსენიების გარეშე, ზოგადი ფორმულირების წესით (მაგ., „რაიონული (საქალაქო) სასამართლო“, „მოსამართლე“). ამიტომ, ვინაიდან ეს ხდება პროექტში, რომელშიც, იმედია (თუმცა არცთუ „მყარი“ – აქამდე არსებული საკანონმდებლო პრაქტიკის გათვალისწინებით!) შეტანილ იქნება საჭირო ცვლილება-დამატებები ამ სასამართლო ინსტიტუტის შემდგომი, გონივრული (აუცილებელი თუ სასურველი) შევსება-დეტალიზაციისა და, ამის შედეგად, მაქსიმალურად ოპტიმიზებული სახით ჩამოყალიბება-დანერგვის მიზნით.

### 2.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც განიხილავს ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ „იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე, აგრეთვე, მისი არყოფნის შემთხვევაში (ამგვარი შემთხვევების შესახებ იხ. ზემოთ. – ი.გ.), ამ კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეები შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლემ“. კანონის ეს დებულება ცოტა ბუნდოვანია, რადგან „რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებში“, უპრიანია ვიგულისხმოთ არა მაგისტრატი, არამედ სწორედ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგრამ სიტყვა „სხვა“ („სხვა მოსამართლე“), აქ, ვფიქრობ, ცალსახად აზუსტებს, რომ, ზემოხსენებულ შემთხ-

ვევაში (როცა მაგისტრატი მოსამართლე არ არის დანიშნული, ან იგი ადგილზე არ იმყოფება შვებულების, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე გარემოებისა გამო), იგულისხმება რაიონული (საქალაქო) რგოლის ნებისმიერი სხვა მოსამართლე – საკუთრივ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეც და სხვა ერთეულის (ამ სასამართლო რაიონში შემავალი „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის“, ანუ, რაც ჩვენში ჯერჯერობით იგივეა, ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულის – ადმინისტრაციული რაიონის) მაგისტრატი მოსამართლეც.

აქვე (ნაწ. 4) კანონი აზუსტებს, რომ „თუ არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა, რომელთაგან ერთ-ერთი არ განეკუთვნება მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეს, საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა მოსამართლე“.

აღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს:

ა) ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2.000 ლარს;

ბ) უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე გამარტივებული წესით გადახდის და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებისა, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2.000 ლარს;

გ) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

ამავე კოდექსის 1<sup>1</sup> მუხლის ძალით, სარჩელები (განცხადებები) ამ კოდექსის მე-14 მუხლით (იხ. ზემოთ) გათვალისწინებულ საქმეებზე სასამართლოში შეიტანება მაგისტრატი მოსამართლის სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, ხოლო იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე – რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

მაგისტრატი მოსამართლე აქაც საქმეებს განიხილავს ერთ-პიროვნულად (მუხ. 25, ნაწ. 1). შესაბამისად, იგი თვითონვე იხილავს მისივე აცილების თუ თვითაცილების საკითხს – ადგილზე მოთათბირებით ან სათათბირო ოთახში (მუხ. 34, ნაწ. 2-3). რაც შეეხება საქმეთა განხილვის პროცედურებს, მაგისტრატი მოსამართლეები აქ მოქმედებენ პირველი ინსტანციის სხვა მოსამართლეებისათვის დადგენილი წესებით, გარდა იმ გამონაკლისებისა (საგამონაკლისო პროცედურებისა), რომლებიც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217<sup>1</sup>-ე მუხლით („მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეების განხილვა“). კერძოდ:

მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები განიხილება დაჩქარებული წესით (ნაწ. 1). საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმეზე მოხსენებით, რაც უნდა შეეხებოდეს სადავო ფაქტობრივ გარემოებებს. საქმის მოხსენების შემდეგ მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს დაუსვას შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა დადგენას და ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოკვლევას. სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა დაუსვას მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. მტკიცებულებათა გამოკვეყნება არ არის სავალდებულო. საქმის განხილვა მთავრდება მხარეთა პაექრობით და რეპლიკით“.

ამგვარად, მაგისტრატი მოსამართლეებისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2006 წლის 13 ივლისის კანონით შეტანილი ცვლილებებით<sup>\*</sup>, დაწესდა სამოქალაქო საქმეების დაჩქარებული განხილვა, რომელიც, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვნად განსხვავდება გამარტივებული წარმოებისაგან (კარი მეხუთე) და წარმოების სხვა ფორმებისაგან (მაგ. უდავო წარმოება – კარი მეექვსე).

რაც შეეხება სააპელაციო გასაჩივრებას, იგი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1.000 ლარს

\* იხ. სსმ, I, 2006 წ., №32, მუხ. 243.

(მუხ. 365). საკასაციო გასაჩივრების ამგვარი ზღვარია 50.000 ლარი (იხ. შესაბამისი კოდექსის 391-ე მუხლი).

## 2.4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1999 წლის 23 ივლისი მე-2 მუხლი ადგენს სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიებს, რომელთაგანაც, ამავე კოდექსის მე-ნ მუხლის ძალით, მაგისტრატი მოსამართლეების მიერ განსახილველ საქმეებს (ცხადია, მხოლოდ პირველი ინსტანციით) განეკუთვნება:

ა) სოფლის, თემის, დაბისა და ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თაობაზე;

ბ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ;

გ) სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხის თაობაზე;

დ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის თაობაზე;

ე) საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებით;

ვ) მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე ბრძანების გაცემის თაობაზე;

ზ) შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ.

ამგვარად, მაგისტრატ მოსამართლეებს დაექვემდებარა ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი აქტებისა და ზოგიერთი

სხვა კატეგორიის, მეტ-ნაკლებად აქტუალური საკითხების საკმაოდ ფართო წრე, მათ შორის მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ ბრძანების გაცემის, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების და სხვა საკითხები, რომელთა ოპერატიულად განხილვა, ცხადია, რამდენადმე მაინც განტვირთავს პირველი ინსტანციის ძირითად სასამართლო რგოლს. რაც მთავარია, მაგისტრატის ტერიტორიულად უფრო ახლოს ყოფნის და ზოგიერთი სხვა ფაქტორის გამო, იგი დააჩქარებს (უფრო ადვილს და ოპერატიულს გახდის) შესაბამისი საკითხების გადაწყვეტას რაიონული რგოლების „პირველად უბნებში“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსს დამატებული VII<sup>1</sup> თავის („მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალწარმოება“) 21<sup>1</sup>-ე მუხლი აზუსტებს, რომ „ბრძანებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე მეწარმის ადგილსამყოფლის მიხედვით“. ეს დებულება საესეებით გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ მაგისტრატი მოსამართლის არც საშტატო ერთეული არსებობს ყველა შესაბამის ერთეულში (იხ. ზემოთ) და, მითუმეტეს, არც არსებულა დაკომპლექტებული, და, რომც იყოს, თითო მაგისტრატი მოსამართლის არსებობის პირობებში, შეუძლებელია ყოველთვის „ადგილზე იყოს“ ამგვარი მოსამართლე.

აღნიშნულის გამო, ზემოხსენებული კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილში ჩაიწერა, რომ „რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე“.

კოდექსი ითვალისწინებს სპეციალურ პროცედურებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს მაგისტრატმა თუ სხვა მოსამართლემ. ასე, მაგალითად, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული პროცედურები გათვალისწინებულია 21<sup>1</sup>-21<sup>11</sup>-ე მუხლებით, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებასთან დაკავშირებული პროცედურები –

21<sup>16</sup>-21<sup>20</sup>-ე მუხლებით და ა.შ. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობის სფეროში გამარტივებული თუ დაჩქარებული სამართალწარმოების წესების გამოყენებას (მუხ. 27-28) და სხვ.

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო საჩივრებს, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ისინი დასაშვებია, მიუხედავად სარჩელის ფასისა (მუხ. 34, ნაწ. 1).



წიგნზე მუშაობის „საფინიშო ეტაპზე“ საქართველოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა სიტუაციამ ერთობ „გააბუნდოვნა“ წინამდებარე მონოგრაფიაში განხილული ინსტიტუტების პრაქტიკული ანუ რეალური „ქართული“ პერსპექტივა, უწინარესად, ნაფიც მსაჯულთა „არენაზე“ შემოყვანისა და მაგისტრატ მოსამართლეთა სტატუსის გაფართოება-დაზუსტების საკითხებში. კერძოდ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის მეორე და მესამე მოსმენებით მიღების საკითხი, ახალი პარლამენტის რეალურად ამოქმედებამდე, ფრიად სათუო გახდა!.. ხოლო თუ რას და როდის გადაწყვეტს მიმდინარე წლის გაზაფხულის დამლევს არჩეული ახალი პარლამენტი, მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს!..

მიუხედავად ამისა, ამ წიგნის გამოცემის შემდგომი „დაურვება“, ვფიქრობ, არანაირად არ ეგების თუნდაც იმის გამო, რომ ფორმირების საერთოდ მეტად მძიმე (საქართველოს თანამედროვე რეალიების ვითარებაში კი – განსაკუთრებულ!) მდგომარეობაში მყოფი სასამართლო (და მთლიანად სამართლებრივი) სისტემისათვის, გნებავთ, სტუდენტთა და ლექტორთათვის ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თეორიული, თეორიულ-პრაქტიკული, თუ წმინდა პრაქტიკული მასალის (მით უმეტეს – მონოგრაფიული ნაშრომის) მიწოდება ერთობ საშური, ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა!!!

## РЕЗЮМЕ

Работа является первым монографическим исследованием фактически новых для Грузии институтов присяжных заседателей (суда присяжных заседателей), магистратских судов и исключительно узко связанных с ними мировых судов. Из них, введение суда присяжных заседателей предусмотрено п.6 ст. 82 Конституции Грузии („В судах дела присяжными заседателями рассматриваются в установленных законом случаях и порядке“), а также проектом УПК Грузии, одобренным парламентом, первым чтением, в конце 2006 г. Согласно ст. 341 проекта, до 1 января 2010 года, суд присяжных заседателей будет функционировать только в Тбилисском городском суде, а согласно ч.2 ст. 27, пока эти суды будут рассматривать только преступления, предусмотренные ст. 109 УК Грузии (умышленные убийства при отягчающих обстоятельствах). Что касается магистратским судам, они юридически уже введены, а процесс фактического (масштабного) его введения в районных (городских) судах, продолжается. В проекте УПК их функции характеризуются тенденцией расширения, однако, они остаются участковыми судьями.

Исследование этих проблем в монографии проводится комплексно, в основном, с применением методов исторического, сравнительного, системного и структурного анализа, а также синтезирования – как в масштабах института в целом, так и в более детальных аспектах. Оно проведено с оптимальным учетом ориентиров и положения теории и практики Европейского (страсбургского) суда по правам человека и соответствующих адептов, а также исследователей судов США (на американские суды приходится около 2/3 всех рассмотрений в мире судами присяжных заседателей уголовных дел), Великобритании (являющаяся „родиной“ магистратских /мировых судов), Канады, Австралии, Новой Зеландии, Шотландии, Ирландии, Испании, России, некоторых других государств (по судам присяжных заседателей, их число около 25).

Монография состоит из введения и 4 отдела.

В введении, на фоне латинской сентенции („*Justitia regnorum fundamentum*“ – „Правосудие – основа государства“) дается самая общая характеристика реальной социальной справедливости и её центрального механизма – правовой системы государства. Важнейшей ее подсистемой является правоохранительная система, в центре которой функционирует судебная система (судебные органы). Они сконструированы как горизонтально, так и по-вертикали, с обеспечением инстанционности, соответствующей компетенции и т.д. Одни из них (напр., магистраты) функционируют, как правило, индивидуально, другие – коллегиально (суд присяжных заседателей). Вместе с тем, только суд присяжных заседателей состоит из двух, функционально разделенных частей – присяжные заседатели самостоятельно выносят вердикт (фактическая сторона), а судья, на основании вердикта, „делает“ приговор. Суды действуют (должны действовать) так, чтобы, в конечном итоге, они являлись *dominus litis* – „хозяйном процесса“, однако, исключительно с целью и гарантией реального обеспечения социальной справедливости в обществе.

В первом отделе („Институциональное значение судов присяжных заседателей, магистратских /мировых судов и их место в судебных системах“) рассматриваются основные, ключевые институциональные и иные важнейшие „общие“ вопросы.

Первая глава этого отдела („Дихотомия: судебная власть и судебная система. Основные векторы и концептуальные парадигмы“) включает такие вопросы, как: 1) роль и место судебной власти в правовом государстве, на фоне концепции разделения властей; 2) современные Международные и Европейские стандарты судебной власти, судебных систем, судов/судьей (рассмотрены вкратце, в контексте темы и задач исследования); 3) общая характеристика современных судебных систем в контексте тематики работы; в том числе: общие вопросы; классификация внутригосударственных судебных

систем и судебных органов; „унитарность“ и „федеративность“, институциональность судебных систем (органов); виды, структурные составы и формы функционирования судебных органов, межгосударственные юрисдикции и т.д.

**Вторая глава** („Институциональные признаки судов присяжных заседателей, магистратских/мировых судов и их место в судебных системах“) включает такие ключевые вопросы, как: институционные признаки суда присяжных заседателей, магистратских и мировых судов, их основные положительные и отрицательные признаки, роль и место в современных судебных системах (по разным аспектам).

**Второй отдел** („Суд присяжных заседателей“) посвящается вопросам истории возникновения, генезиса и современного состояния института суда присяжных заседателей.

**В первой главе** („Возникновение, институционализация и распространение суда присяжных заседателей“) рассмотрены версии о зарождении (возникновении) этого института, этапы его институционализации в Англии и последующего распространения в США, России, европейских странах, в колониях Великобритании и т.д.

**Во второй главе** („Суд присяжных заседателей: несмотря на долгой тенденции умаления, функционирование продолжается“) дается соответствующая схематическая картина, характеризуются состояние, параметры и отдельные тенденции „распространения“ и „сокращения“ (исчезновения) судов присяжных заседателей в современном мире, в том числе возрождения этого института в России и Испании в конце XX века. Дана общая картина (в том числе в схемах) их состава, компетенции (подсудности) и т.д.

**Третья глава** („Составление и уточнение списков кандидатур присяжных заседателей, формирование жюри“) включает общую схематическую картину, а также конкретных вопросов составления и перепроверки первичных списков кандидатов, составления окончательных списков и передачи судам. В этом аспекте рассмотрены также основания и процедуры отводов,

формирования жюри присяжных в разных странах мира, принятия присяги и т.д.

В четвертой главе („Особенности рассмотрения дел с участием присяжных заседателей, принятия решений и их обжалования“) подробно рассмотрены специфические (в т.ч. дилемные) вопросы порядка, процедур и методики подобных действий в Англии, США, России, Испании, Канады, Австралии и т.д.

Третий отдел („Магистратские и мировые суды“) состоит из 2 главы.

В первой главе („Возникновение, институциональное и распространение в мире магистратских судов и мировой юстиции“) вкратце анализируются библейские корни, последующая история возникновения (в Англии), развития и распространения этих „двуединых“ институтов, их „французские метаморфозы“, российская „одиссея“ и т.д.

Во второй главе („Организация, подсудность и функционирование магистратских и мировых судов“) даны соответствующие „комплексные“ информации (на примерах Англии, США и России).

Четвертый отдел („Грузинские модели судов присяжных заседателей и магистратов“), наконец, целиком посвящается критическому анализу модели суда присяжных заседателей, предусмотренного проектом УПК Грузии, принятого первым чтением в конце 2006 года, а также находящегося в процессе практического внедрения института магистратов (магистратских судей) в качестве „участковых судей“ в районных (городских) судах Грузии. В частности, высказан ряд аргументированных предложений и замечаний с целью усовершенствования указанных моделей, с учетом соответствующих факторов.

В монографии компактно рассмотрены такие специфические, и/или дилемные проблемы, как: „страховка“ присяжных заседателей от внешнего незаконного воздействия; защита присяжных от негативного влияния т.н. „шокирующих доказательств“ (inflammatory evidence); основные векторы,

главнейшие парадигмы и реальные параметры сотрудничества и конфронтации с медией; „Нулификация суда присяжных заседателей“; иные специфические проблемы установления истины по делу, и, следовательно, обеспечения справедливости, законности и обоснованности вердикта и соответствующего приговора; способность магистратских судов в сфере установления истины по делу и т.д.

В монографии довольно часто, в компактной форме включаются соответствующие теме интересные исторические и современные факты, события и/или пассажи – иногда в „легкой“ публицистической или „холодостепенной“ форме, что, думается, делает данную научную работу более интересной.

# ლიტერატურა

## ა. ქართულ ენაზე

1. აბაშმაძე ვ., ილია ჭავჭავაძე – სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემები. თბ., „განათლება“, 1987.
2. აბრამსონი, ჯეფრი. დგას თუ არა ამერიკის ნაფიცი მსაჯულების სისტემა სამართლიანობის გზაზე. ჟურნ. „თავისუფლება“, 2004, №11(23).
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (შემდგ. ე. გოცირიძე), თბ., 2002.
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული. წიგნები I და II. თბ., 2004.
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. სტატიათა კრებული (რედ. კ. კორკელია). თბ., 2006.
6. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი (შემდგ. ფ. საყვარელიძე). თბ., „დასი“, 1999.
7. ადლერი ფ., მიულერი გ., ლაუფერი ვ., კრიმინოლოგია და სამართალ-დამცავი სისტემა (აშშ და საქართველო). თბ., 2003.
8. აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება თუ მართულთა მმართველობა. თბ., 1997.
9. ბენიძე ვ., სისხლის სამართლის პროცესი (პრაქტიკოსი მუშაკების დასახმარებლად). თბ., „მერიდიანი“, 2000.
10. ბიბლია (საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა). თბ., 1989.
11. ბოხაშვილი ი., აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში. თბ., „მერიდიანი“, 2004.
12. ბოხაშვილი ი., რამდენიმე მოსაზრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ. ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №2.
13. გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში (პრაქტიკული სახელმძღვანელო). თბ., „მერიდიანი“, 2003.
14. გაბისონია ი., დაცვის მხარის უფლებები და მათი საპროცესო გარანტიები. ჟურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №2.
15. გაბისონია ი., იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის

საქმის წარმოების ძირითადი თავისებურებანი. ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, 2008, №3.

16. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: წარმოშობა-ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკვანძო საკითხები. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2005, №5.
17. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შემადგენლობის ფორმირებისა და მისი ფუნქციონირების ძირითადი საკითხები. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №1.
18. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა-ინსტიტუციონირებისა და თანამედროვე სტატუს-კვოს საკვანძო საკითხები. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2005, №5.
19. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოთავაზებული ქართული მოდელი (პროექტის ძირითადი პარამეტრების კომპაქტური ანალიზი). „პროფესია ადვოკატი“, ჟურნ. 2008, №1.
20. გაბისონია ი., Prima facie საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ზოგიერთი ბოლოდროინდელი ცვლილების თაობაზე. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №3.
21. გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში. თბ., „ფავორიტი“, 1999.
22. გაბისონია ი., სისხლენი სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებათა გამოყენების შესახებ კანონმდებლობაში: კომენტარი და წინადადებები. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2005, №4.
23. გაბისონია ი., სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებითი სამართლის ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანესი ტენდენციები. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №4.
24. გაბისონია ი., სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში. თბ., „მერიდიანი“, 2002.
25. გაბისონია ი., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „ჩარჩენილი“ და ზოგიერთი სხვა შეუსაბამობისა თუ წინააღმდეგობის შესახებ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2007, №1.
26. გაბისონია ი., სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების თანამედროვე პრობლემები (კომპაქტური სქემატური ფორმატი). კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, თბ., თსუ-ს გამომც., 2003, გვ. 454-466.



27. გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. პირველი წიგნი. თბ., 1998.
28. გვენეტაძე ნ., კორუფცია სასამართლო სისტემაში (კრებულში: „ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში“. თბ., 2005, გვ. 64-94).
29. გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. თბ., 2005.
30. გომიენი, ღონა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეგზური. თბ., 2000.
31. დავიდი, რენე. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ., „განათლება“, 1993.
32. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია ქართულ ჩვეულებით სამართალში. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №1.
33. დგებუაძე ზ., შეჯიბრებითობის პრინციპი და სასამართლო რეფორმა. ურნ. „სამართალი“, 1993, №1-2.
34. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები (თარგმნა კ. წიქარიშვილმა. რედ. ნ. გვენეტაძე). თბ., 1993.
35. ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებათა დაცვა (ურნ. „ადამიანი და კონსტიტუცია“-ს პერიოდული დამატება). თბ., 1998.
36. ზოიძე ბ., რამდენიმე შტრიხი დამოუკიდებელი მოსამართლისა //თ. ლილუაშვილის საიუბილეო კრებული. თბ., „ჯისიაი“, 2003.
37. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და რედაქტორი ლ. ალექსიძე). თბ., „ჯისიაი“, 2003.
38. იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ., „მერიდიანი“, 2005.
39. იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა). თბ., 2007.
40. ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია. თბ., 1994.
41. იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი). თბ., საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოც., 1963.
42. კანდელაკი ნ., ქართული მჭევრმეტყველება. თბ., 1968.
43. კახნიაშვილი ა., სასამართლო რეფორმის „დამამძიმებელი გარემოებები“. გაზ. „ახალი 7 დღე“, 2001, 9-15 მარტი.

44. კახნიაშვილი ა., უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი განხორციელების გარანტიები. თბ., 1997.
45. კახნიაშვილი ა., სამართლიანი სასამართლოსთვის. მკვლევარობა ტაძრების წინ. თბ., 2003.
46. კახნიაშვილი ა., „უზენაესის“ სამართლიანი სასჯელი თუ ზღვევა? გაზ. „მერიდიანი“, 2002, 21-28 მარტი.
47. კახნიაშვილი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციასთან. თბ., 2002.
48. კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოს რუსეთთან შეერთების წინ. წიგნი 1, თბ., 1970; წიგნი 2, თბ., 1981.
49. კიუნგი, ჰანს. მსოფლიო ზნეობა (პროექტი). (თარგმანი). თბ., „ჯისიაი“, 1998.
50. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბ., 2004.
51. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდიანი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან. თბ., 2005.
52. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბ., 2004.
53. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები. თბ., „ჯისიაი“, 2003.
54. ლილუაშვილი გ., ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური და შტატის სასამართლო სისტემა. ჟურნ. „მაცნე“, 2006, №1.
55. ლილუაშვილი გ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამერიკის სამოქალაქო პროცესში. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №1.
56. ლილუაშვილი თ., გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? ჟურნ. „სამართალი“, 1992, №5.
57. ლილუაშვილი თ., პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოში 1997 წელს გატარებულ სასამართლო რეფორმას. „მაცნე“, 2006, №1.
58. ლილუაშვილი თ., სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს. „სამართალი“, 1992, №3.
59. მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. საია-ს კრებული. წიგნი III. თბ., 1999.

60. მელქაძე ო. და მისი გუნდი. მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები. ცნობარი. ნაწ. I. თბ., 2001.
61. მელქაძე ო., დვალი ბ., სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში. თბ., „მერიდიანი-3“, 2000.
62. მელქაძე ო., მასტერკლასი ქართველი კანონმდებლებისათვის. სასამართლო ხელისუფლება-გაჭიანურებული რეფორმებით მიულწეველი მიზანი. გაზ. „საქ. რესპუბლიკა“, 2006, 3 ოქტ.
63. მონტესკიე, შარლ ლუი. კანონთა გონი. თბ., 1994.
64. მოსამართლე და მართლმსაჯულება: ევროპული სტანდარტები (ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით). თბ., 2001.
65. მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები (შემდგენელი ა. დემეტრაშვილი). წიგნი I. თბ., 1992.
66. ნადარეიშვილი გ., ილია ჭავჭავაძე დუშეთში. თბ., 1972.
67. ნადარეიშვილი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. თბ., 1994.
68. ნაფიცი მსაჯულთა სასამართლო. საერთო სამართლის ქვეყნები. სტატიათა კრებული. თანაავტორი და გამომცემელი ნეილ ვილმარი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეგიდით. კ. წიქარიშვილის თარგმანი). თბ., 2005.
69. პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (გზამკვლევი ნ. მჭედლიძის კომენტარებით). თბ., 2004.
70. პრადელი, ჟან. შედარებითი სისხლის სამართალი. თბ., 1999.
71. ფვანია ვ., ქართველი იურისტები (ნარკვევები ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიიდან). თბ., 1961.
72. რამიშვილი ნ., სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველობის პრობლემები. „მაცნე“, 2006, №1.
73. რატიანი ც., მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, როგორც საქვეყნოობის პრინციპის რეალიზაციის საშუალება. „მაცნე“, 2006, №1.
74. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი (სახელმძღვანელო ა. ფალიაშვილისა და ლ. თალაკვაძის რედაქტორობით). თბ., თსუ-ს გამომც., 1988.
75. სავანელი ბ., ადამიანის უფლებათა საყოველთაო სამართალი (სახელმძღვ.). თბ., 2001.
76. სავანელი ბ., სამართლის ზოგადი თეორია. თბ., 2007.

77. სავანელი ბ., ხელისუფლების განაწილების პრინციპი და ადამიანის უფლებების კონსტიტუციური გარანტიები (“ბრძოლა უფლებები-სათვის“). კრებულში: „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ., 1994.
78. საკუთრების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება (საერთაშ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები). თბ., 2005.
79. სამართლიანი სასამართლოს უფლება (საია-ს კრებული). თბ., 2001.
80. საქართველოს კანონები, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთა-შორისო აქტები და ხელშეკრულებები. თბ., „მერიდიანი“, 1997.
81. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები (სამ ტომად). თბ., „ქრონოგრაფი“. ტ. 1 – 2004, ტ. 2 – 2005, ტ.3 – 2006.
82. სასამართლო სისტემების შესახებ საზოგადოებრივი აზრის საბაზისო კვლევა. საქართველო. 2005 წლის ივლისი. ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA) ბროშურა. თბ., 2005.
83. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921 წ.წ.). თბ., 1990.
84. სახელმძღვანელო წინადადებები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე (საქ. უზენაესი სასამართლოს პუბლიკაცია). თბ., 2007.
85. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 2007.
86. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. თბ., 2007.
87. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი (2007 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით).
88. სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებები. „მართლმ-საჯულება“, 2006, №1.
89. სისხლის სამართლის პროცესი (სახელმძღვანელო ა. ფალიაშვილის რედაქციით). თბ., „მერიდიანი“, 2002.
90. სმიტი, რონა ადამიანის საერთაშორისო უფლებები. სახელმძ., მე-2 გამოც., ოქსფორდის უნ-ტი, 2005.
91. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან. თბ., „განათლება“, 1965.

92. ტაბუცაძე ი., სასამართლო ხელისუფლების ფუნქციების შესახებ. ჟურნ. „მართლმსაჯულების მაცნე“, 1990, №1.
93. ტაბუცაძე ი., ტყეშელაშვილი ი., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბ., 2006.
94. უგრეხელიძე მ., სამართლიანი, სწრაფი, ქმედითი მართლმსაჯულები-სათვის. „სამართალი“, 1998, №1-2
95. უგრეხელიძე მ., სასამართლო რეფორმა გზაჯვარედინზე. „სამარ-თალი“, 1998, №7-8.
96. უგრეხელიძე მ., სასამართლო ხელისუფლება. „მართლმსაჯულების მაცნე“, 1993, №3.
97. ფალიაშვილი ა., ამერიკის შეერთებული შტატების სისხლისსა-მართლებრივი იუსტიცია: ორგანიზაცია, სტრუქტურა, ფუნქციები. „სამართალი“, 1993, №11-12, 1994, №1-2.
98. ფალიაშვილი ა., სასამართლო რეფორმისა და საპროცესო კანონ-მდებლობის სრულყოფის საკითხები. „სამართალი“, 1993, №№3-4, 5-6.
99. ფალიაშვილი ა., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (გამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში). „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2004, №3.
100. ფალიაშვილი ა., საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები. თბ., „მერიდიანი“, 1998.
101. ფალიაშვილი ა., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის დებულებათა შესახებ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №4.
- 101ა. ფრომი, ერიხ, ავტორიტარული სინდისი. თბ., „ლოგოსი“, 1998.
102. ფუტყარაძე ი., ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქა-რთველოს სასამართლო წყობილება. „სამართალი“, 1991, №5.
103. ფუტყარაძე ი., ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელის სრულყოფისათვის. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, №1.
104. ქართველ ადვოკატთა სამოსამართლო სიტყვები (შემდგ. ნ. დავითაია). თბ., 1963.
105. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ). ტ. 5. თბ., 1958.

106. ქართული სამართლის ძეგლები (ივ. სურგულაძის რედ.), თბ., 1970.
107. შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა. კონსტიტუციონალიზმის შესავალი. თბ., „სეზანი“, 2003.
108. შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე. ცხოვრება. მოღვაწეობა. შემოქმედება. 2 ტომად. ტ. 1, თბ., „ხელოვნება“, 1987.
109. შტაიშერი პ., გერმანია – სასამართლო და კონსტიტუცია. „სამართალი“, 1998, №9-10.
110. შუშანაშვილი ა., მხოლოდ კანონიერება და სამართლიანობა. თბ., 1999.
111. შუშანაშვილი ა., სასამართლო რეფორმის პრობლემები. „სამართალი“, 1998, №9-10.
112. ყოველწლიური საჯარო მოსმენები ადამიანის უფლებათა საკითხებში (სტატიათა კრებული). თბ., 2005.
113. „ცხელი ხაზი კვლავ მოქმედებს“ (სარედაქციო). „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №5.
114. ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული. ტ. 4, 5, 8 და სხვ., თბ., 1951-1961.
115. ჭაჭუა ე., აცილება, მისი სახეები და მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, №1.
116. ხუბუა გ., თანასწორობა როგორც კონსტიტუციური პრინციპი. „მაცნე“, 2005, №1.
117. ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბ., „მერიდიანი“, 2004.
118. ჯავახიშვილი ი., თხზულებანი. 12 ტომად. ტ. 6, თბ., „მეცნიერება“, 1982.
119. ჯალაბაძე დ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჩვეულებითი სამართლის კვლევის ისტორიიდან. კრებულში: „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, მე-2 კრებული, თბ., „მეცნიერება“, 1990.
120. ჯანდა ქ., ბერი ჯ., გოლდმენი ჯ., ამერიკული დემოკრატია. აშშ ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. თბ., „ჯისიანი“, 1995.

121. Алексеев А.С. Право. Алфавит, теория, философия: Опыт комплексного исследования. М., „Статус“, 1999.
122. Александров А.С. Понятие и сущность уголовного иска. „Гос. и право“, 2006, №2.
123. Алексеева Л.Б. Судебное следствие. Прение сторон. Возвращение дел на дополнительное расследование со стадии судебного разбирательства //Рассмотрение дел судом присяжных. Варшава, 1997.
- 123а. Апарова Т.В. Конституционное регулирование организации и деятельности судов в зарубежных странах//„Очерки конституционного права иностранных государств“. М., „Спарк“, 1998.
124. Апарова Т.В. Суды и судебный процесс Великобритании. М., „Триада, ЛТД“, 1996.
125. Арден Д. Б. Е. Юрисдикция нового Верховного суда Соединенного королевства (на англ. языке). – *Закон*: „Гос. и право“. Реферативный журнал, серия 4, 2006, №2, с. 50-52.
126. Арифулин А. Специализированные суды: оптимистический взгляд в будущее. „Росс. юстиция“, 2001, №9.
127. Аубекеров С. Х. Достоевский о суде присяжных: Pro et Contra. „Гос. и право, 2004, №5.
128. Аубекеров С. Суд присяжных заседателей скоро появится в Казахстане. „Росс. юстиция“, 2002, №2.
129. Багутдинов Ф. Категория интереса в уголовном судопроизводстве. „Уголовное право“, 2003, №2.
130. Бадирян Г. Человек, политика и правосудие: из истории первой Республики Армении. „Мартлмсаджулеба да канони“, 2006, №3.
131. Барак А. Судейское усмотрение. Перевод с англ. (вступит. статья М. В. Баглая). М., „Норма“, 1999.
132. Баренбойм П. Божественное происхождение судебной власти с России. „Гос. и право“, 2001, №10.

133. Баренбойм П. Первая конституция мира. Библиейские корни независимости суда. М., 1997.
134. Бернем, Уильям. Суд присяжных заседателей. М., 1994.
135. Боботов С. В., Жигачев И. Ю. Введение в правовую систему США. М., „Норма“, 1997.
136. Боботов С. В. Провосудие во Франции. М., „ЕАВ“, 1994.
137. Боботов С. В., Чистяков Н. Ф. Суд присяжных: история и современность. М., „Манускрипт“, 1992.
138. Бобылев А. И., Миннихмедов Р. Г. Актуальные теоретические проблемы правовой системы общества. „Госю и право“, 2004, №7.
139. Божьев В. К вопросу о состязательности в российском уголовном процессе. „Уголовное право“, 2006, №1.
140. Бойков А. Д. Третья власть в России. М., 1997.
- 140а. Большой юридический словарь. М., „Инфра.М.“, 1997.
141. Борисов А. Б. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации (постатейный). М., „Книжный мир“, 2006.
142. Бородин С. В., Кудрявцев В. Н. О судебной власти в России. „Гос. и право“, 2001, №10.
143. Бойцова Л. В. Европейское правосудие в XXI веке. (В сб.: „Государство и право на рубеже веков (Материалы всероссийской конференции). Криминология, уголовное право, судебное право“. М., 2001, с.176-180).
144. Бурмагин С. Принцип состязательности в теории и судебной практике. „Росс. юстиция“, 2001, №5.
145. Быков В. Присяжные заседатели как участники уголовного судопроизводства. „Уголовное право“, 2006, №1.
146. Ведерникова О. Н. Современные тенденции развития ювенальной юстиции за рубежом. „Росс. юстиция“, 2005, №3.
147. Ведерникова О. Н. Теория и практика борьбы с преступностью в условиях современной западной демократии:



- канадская уголовно-правовая модель. „Гос. и право“, 2004, №6.
148. Великий Д. П. Восемь аргументов против „делок о признании вины“ (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 185-191).
149. Ветрова Г. Н. Нужны ли правосудию народные заседатели? (в сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 185-191).
150. Власов А. А. Проблемы эффективности и доступности правосудия в России. „Гос. и право“, 2004, №2.
151. Волеводз А. Г. Правовое регулирование новых направлений международного сотрудничества в сфере уголовного процесса. М., „Юрлитинформ“, 2002.
152. Воскобитова А. А. Правовое регулирование процедуры примирения в уголовном судопроизводстве (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 198-199).
153. Ворожейкин Е. М. Суд присяжных и судебное красноречие Франции XIX века (В кн.: „Судебные ораторы Франции XIX века“. Вступительная статья). М., 1959.
154. Гернем У. Суд присяжных заседателей. М., 1987.
155. Гильманов И. Видимие и невидимие проблемы мировой юстиции. „Росс. юстиция“, 2005, №1-2.
156. Головки Л. В. Реформы уголовного процесса во Франции. „Гос. и право“, 2001, №8.
157. Григорьев В. Н., Победкин А. В. Методы совершенствования доказательственного права. „Гос. и право“, 2003, №10.
158. Гриненко А. В. Методология уголовно-процессуальной науки „Гос. и право“, 2003, №9.
159. Гусев А. Ресурсы и суды. „Росс. юстиция“, 2003, №12.
160. Гусев В. Защита права на правосудие в стадии обращения в суд. „Росс. юстиция“, 2003, №12.
161. Гуценко К. Ф., Головки Л. В., Филлимонов Б. А. Уголовной процесс западных государств. Уч. пособие. Изд. 2-е. М., „Зерцало-М“, 2002.

162. Гуценко К. Ф. Суд присяжных: панацея или иллюзия? „Вестник Верховного суда СССР“, 1997, №3.
163. Гуценко К. Ф. Уголовная юстиция США. М., „Юрид. лит“, 1979.
164. Гуценко К. Ф. Уголовный процесс основных капиталистических государств (Англия, США). Вып. I, М., „Юрид. лит“, 1969.
165. Давидов В. А., Магомедов А. М., Швецов В. И. Судостроительство. Сборник нормативных актов. М., „Вердикт-1М“, 2000.
166. Демичев А. А. „Теневое право“ и суд присяжных. „Гос. и право“, 2004, №7.
167. Дженис М., Кей Р., Бредли Э. Европейское право в области прав человека (Практика и комментарий). Перевод с английского. М., „Права Человека“, 1999.
168. Дряхлов С. Принцип разделения властей и мировая юстиция. „Росс. юстиция“, 2004, №4.
169. Европейский суд по правам человека. Избранные решения. В двух томах. Т. 1-2, М., „Норма“, 2000.
170. Егоров С. Е. Право человека в уголовном процессе: международные стандарты и российское законодательство. М., 2006.
171. Емельянов В. Судебная власть и средства массовой информации. „Росс. юстиция“, 2001, №9.
172. Ермолин Г. Т. Организационное обеспечение деятельности суда (судебное администрирование) в контексте реализации принципа самостоятельности судебной власти. „Росс. юстиция“, 2005, №3.
173. „Ершов В. В., Боботов С. В., Чистяков Н. Ф. Суд присяжных: история и современность“ (рецензия). „Гос. и право“, 1994, №5.
174. Ефремова Н. Н. Генезис судебной власти в России. „Гос. и право“, 2005, №11.
175. Жвания В. Проблемы справедливости и социально-экономической жизни в творчестве Ильи Чавчавадзе. Тб., 1978.

176. Жвания В. Правосудие и некоторые вопросы публицистики в творчестве И. Чавчавадзе. Тб., 1971.
177. Жданов Ю. Законодательство, регулирующее деятельности мировых судей, нуждаются в совершенствовании. „Российская юстиция“, 2004, №4.
178. Завидов Б. Д. Особенности рассмотрения в суде уголовных дел с участием присяжных заседателей. Краткий аналитический комментарий: общие положения и отдельные особенности. М., 2004,
179. Зажицкий В. И. О направлениях совершенствования Уголовно-процессуального кодекса Российской Федерации. „Гос. и право“, 2004, №4.
- 179а. „Захожий Л. А., Пошивайлова А. В. Теоретические модели суда присяжных (на западе и в России). Владивосток. Изд-во дальневосточного гос. университета, 2000“. – Рецензия Л. А. Ананиана в реферативном журнале „Государство и право“ (серия 4), 2002, №4.
180. Зер Х. Восстановительное правосудие: Новый взгляд на преступление и наказание. М., 1998.
181. Зивс С. Л. Современный уголовный суд присяжных в Англии. Москва-Ленинград. Изд. – во АН СССР, 1948.
182. Золотых В. В. Проверка допустимости доказательств в уголовном процессе, М., 1999.
- 182а. Зоркин В. Д. Тезисы о правовой реформе в России (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 7-20).
183. Ивакина Н. Н. Основы судебного красноречия (риторика для юристов). Уч. пособие. М., „Юрист“, 2003.
184. Изварина А. Ф. Судебная власть в Российской Федерации: содержание, организация, формы. Ростов-на-Дону, „Феникс“, 2005.
185. „Ирвин Л. Права человека, конституционное право и развитие английской правовой системы: избранные статьи“ (В реферативном журнале „Государство и право“, серия 4, 2005, №4).

186. История государства и права зарубежных стран. Учебник Ч. I. М., „Норма-инфра, М.,“, 1998.
187. История государства и права. Словарь-справочник. М., „Юрид. лит“, 1997.
188. История политических и правовых учении. Учебник (под ред. В. М. Нерсесянца). М., 1997.
189. Испания: Конституция и законодательные акты. М., „Прогресс“, 1982.
190. Карнозова Л. М. Методические заметки к анализу процессуальной конструкции суда присяжных (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 227-232).
191. Качалов В. И., Качалова О. В. Уголовный процесс. Курс лекции. Уч. пособие, М., „Омега-Л“, 2004.
192. Клеандров М. И. Статус судьи. Новосибирск. „Наука“, 2000.
193. Клеандров М. И. Судебные системы государств – участников СНГ. Законодательное обеспечение. М., „Юрист“, 2002.
194. Клер де Босс де ла Хуг. Один из аспектов конституционной реформы в Великобритании: „Исчезновение“ Лорда-канцлера от неписанной и писанной конституции? „Государство и право“, реферативный журнал, (серия 4), 2006, №2,
195. Кони А. Ф. Отцы и дети судебной реформы. М., 1914.
- 195а. Кони А. Ф. Избранное. М., „Советская Россия“, 1989.
196. Комментарий к Конституции Российской Федерации. Ростов-на-Дону. „Феникс“, 2001.
197. Конституции зарубежных государств. Американский континент (Аргентина, Бразилия, Канада, Мексика, США). Ереван, „Мхитар Гош“, 1998.
198. Конституции европейских государств (Италия, Великобритания, Испания, Германия, Дания, Франция, Ирландия). Ереван, „Мхитар Гош“, 1998.
199. Конституции стран СНГ и Балтии. М., „Юрист“, 1999.
200. Конституционное (государственное) право зарубежных стран (под ред. Б. А. Страшуна). Т. 1-2 (общая часть). М.,

- „Бек“, 1996; т. 3 (особенная часть), М., „Бек“, 1998.
201. Концепция судебной реформы в Российской Федерации. М., 1992.
  202. Корьбонье, Жан. Юридическая социология. М., „Прогресс“, 1986.
  203. Ковалев Н. Народное участие в отправлении правосудия в странах СНГ: суд присяжных или шеффенов? „Сравнительный конституционный обзор“, 2006, №2.
  204. Козак Д. Суд в современном мире: проблемы и перспективы. „Росс. юстиция“, 2001, №9.
  205. Кравчук Н. В. Защита прав ребёнка в судебном порядке. „Гос. и право, 2004, №6.
  206. Кристи, Нильс. Борьба с преступностью как индустрия. Вперед, к ГУЛАГу западного образца. 2-е изд. (перевод с англ.). М., 2001.
  207. Кротов Я. Божественная природа судебной власти: Новые аргументы. „Росс. юстиция“, 1996, №5.
  208. Криминальная безопасность человека в России: угрозы и пути их преодоления (По материалам научно-практической конференции. Подгот. Р. А. Каламкарян). „Гос. и право“, 2004, №4 и №5.
  209. Кросс, Рупер. Прецедент в Английском праве (перевод с англ.), М., „Юрид. лит“, 1985.
  210. Крусс И. Актуальные аспекты проблемы злоупотребления правами. „Гос. и право“, 2002, №7.
  211. Кудрявцев В. Н. Преступность и нравы переходного общества. „Уголовное право“, 2003, №2.
  212. Куприянов А. Голос Божий в современном суде. „Росс. юстиция“, 1997, №1.
  213. Куницын А. Р., Пискарев И. К. Настольная книга федерального судьи: Судебная практика. Комментарий. Образцы документов. Информационные материалы. М., „Норма“, 2002.
  214. Лазарева В. А. Судебная власть и уголовное судопроизводство. „Гос. и право“, 2001, №5.

215. Лебедев В. М. Судебная власть в современной России: проблемы становления и развития. СПб, „Лань“, 2001.
216. Лебедев В. Совершенствование правосудия – существенный фактор устойчивого развития России. „Росс. юстиция“, 2003. №3.
217. Левакина Э. Н., Михайлова Т. А., Шмелева А. И., Ястребова О. М. Гарантии законности при единоличном рассмотрении уголовных дел в судах (В сб.: „Прокуратура и правосудие в условиях судебно- правовой реформы. Сборник научных трудов. М., 1997).
218. Левченко О. В. Уголовно-процессуальное познание и его роль в установлении истины по делу. „Гос. и право“, 2003, №4.
219. Лотыш Т. А. Проблемы гарантий принципа состязательности в уголовном судопроизводстве. „Гос. и право“, 2002, №6.
- 219а. Лукайдес, Лукис. Справедливое судебное разбирательство (комментарий к п.1 ст. 6 европейской Конвенции о защите прав и основных свобод). „Росс. юстиция“, 2004, №2.
220. Лукьянова Е. Г. Тенденция развития процессуального законодательства в свете общей теории права. „Гос. и право“, 2003, №2.
221. Лукьянова Е. Г. Теория процессуального права. М., „Норма“, 2003.
222. Лунеев В. В. Выступление на научно-практической конференции: „Правовая и криминалистическая оценка нового УПК Российской Федерации“. „Гос. и право“, 2002, №9.
223. Лунеев В. В. Тенденция преступности: мировые, региональные, российские. „Гос. и право“, 1993, №5.
224. Лунеев В. В. Преступность XX века. М., „Норма“, 1997.
- 224а. Лупинская П. А. Проблемы допустимости доказательств при рассмотрении дел судом присяжных. Варшава, 1997.
225. Мартинович И. Введение суда присяжных в республике Беларусь – требование времени. „Росс. юстиция“, 2001, №8.
226. Матвеева Н. Н. Принцип состязательности и активности суда

- в советском уголовном процессе (В сб.: „Совершенствование законодательства о суде и правосудии“. М., 1985).
227. Махов А. Н., Пешков М. А. Уголовный процесс США (Досудебные стадии). Уч. пособие. М., „Бизнес-школа“, „Интел-Синтез“, 1998.
228. Медутевский А. Конституционный кризис в Киргизии. Журн. „Сравнительное конституционное обозрение“, 2006, №1.
229. Мельник В. В. Искусство доказывания в состязательном уголовном процессе. М., „Дело“, 2000.
230. Мельник В. Правозащитный потенциал суда присяжных в зеркале статистики. „Уголовное право“, 2000, №1.
231. Место примирения и посредничества в доктрине уголовного правосудия (материалы экспертного семинара, подготовленные Л. М. Карнозовой). „Гос. и право“, 2006, №9.
232. Международные правовые стандарты (Указатель). „Росс. юстиция“, 2003, №2.
233. Михайловская И. Б. Соотношение судебных и следственных доказательств. „Гос. и право“, 2006, №9.
234. Морозова И., Анненков А., Додонов С. Сделка о признании вины как вариант мирового соглашения. „Росс. юстиция“, 2000, №10.
235. Мурадян Э. М. Итерация в судебном процессе „Гос. и право“, 2003, №4.
236. Мурадян Э. М. О судебных ходатайствах. „Гос. ис право“. 2006, №6.
- 236а. Насонов С. А. Шакирующие доказательство в суде присяжных и правило о несправедливом предубеждении (Материалы всероссийской конференции). М., 2001.
237. Немитина М. В. Российский суд присяжных. Учебно – методологическое пособие. М., „Бек“, 1995.
238. Нерсесянц В. С. Философия права. М., „Норма“, 2000.
239. Никеров Г. И. Организация и деятельность Министерства юстиции США. „Гос. и право“, 2006, №5.

240. Никеров Г. И. Судебная власть в правовом государстве (опыт сравнительного исследования). „Гос. и право“, 2001, №3.
241. Николайчик В. М. Уголовный процесс США. М., „Наука“, 1981.
242. Новиченко А. А. Правовая оценка и ее основания. „Гос. и право“, 2006, №2.
243. Носирева Е. И. Посредничество в урегулировании правовых споров: Опыт США. „Гос. и право“, 1997, №5.
244. Общая теория прав человека (Под ред. Е. А. Лукашевой). М., „Норма“, 1996.
245. Овсянников И. Формулировки и классификация оснований оправдательного приговора в суде присяжных. „Уголовное право“, 2000, №1.
246. Ольков С. Г. Рецензия на книгу: „В.В. Лунеев. Преступность XX века: мировые, региональные и российские тенденции. М., „Волтерс клувер“, 2005“ // „Гос. и право“, 2006, №3.
247. Организация объединенных нации. Сборник документов. М., „Наука“, 1991.
248. Орлов Ю. К. Основы теории доказательств в уголовном процессе (Научно-практ. пособие). М., „Прспект“, 2000.
249. Павликов С. Г. Теоретико-правовые вопросы деятельности конституционной (уставной) и мировой юстиции Российской Федерации. М., „Слово“, 2003.
250. Павликов С. Г. Порядок формирования конституционных (уставных) и мировых судов в субъектах Российской Федерации. „Гос. и право“, 2006, №5.
251. Павлушина А. А. Процессуальное законодательство России и Беларуси: Проблемы унификации. „Гос. и право“, 2004, №2.
252. Пилюгин Н. Н. Об оценке доказательств в уголовном судопроизводстве. „Гос. и право“, 2006, №9.
253. Печников Г. А. Признание обвиняемым своей вины в свете презумпции невиновности (в сб.: „Совершенствование законодательства о суде и правосудии“. М., 1985).



254. Петрухин И. Л., Батуров Г. П., Моршакова Т. Г. Теоретические основы эффективности правосудия. М., „Наука“, 1979.
255. Петрухин И. Л. Запрет поворота к худшему в российском уголовном процессе. „Гос. и право“, 2006, №3.
256. Петрухин И. Л. От инквизиции – к состязательности, „Гос. и право“, 2003, №7.
257. Петрухин И. Л. Роль признания обвиняемого в уголовном процессе. „Росс. юстиция“, 2003, №2.
258. Петрухин И. Л. Сделки о признании вины чужды российскому менталитету. „Росс. юстиция“, 2001, №5.
259. Петрухин И. Л. Состязательность – основа правосудия (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 272-275).
260. Петрухин И. Л. Теоретические основы реформы уголовного процесса в России. Ч. I-II. М., „Велби“, 2005.
261. Петрухин И. Л. Свобода личности и уголовно-процессуальное принуждение. М., „Наука“, 1985.
262. Петрухин И. Л. Суд присяжных: проблемы и перспективы. М., „Гос. и право“, 2001, №3.
- 262а. Пешков М. А. Арест и обыск в уголовном процессе США. М., „Спарк“, 1998.
263. Пилипенко Ю. С. Конституционные принципы организации и деятельности суда в Швейцарии. „Гос. и право“, 2001, №6.
264. Политическая система Великобритании (Коллектив авторов. Перевод с немецкого). М., „Юрид. лит.“, 1985.
265. Поздняков Э. А. Философия государства и права, М, 1985.
266. Подпольный Н. Фантомы уголовного судопроизводства. „Росс. юстиция“, 2004, №4.
267. Право человека и судоустройство. Сборник международных документов. Варшава, 1994.
268. Права человека: итоги века, тенденции, перспективы (материалы круглого стола). „Гос. и право“, 2001, №5.

269. Права человека (Учебник для вузов). Под ред. Е. А. Лукашевой). М., „Норма“, „Инфра М“, 2002.
270. Правовые системы стран мира. Энциклопедический справочник. 2-е изд., М., „Норма“, 2001.
271. Правовая система Нидерландов. М., „Зерцало“, 1998.
272. Право и права человека в условиях глобализации (материалы научной конференции. Подг. Н. В. Колотова). „Гос. и право“, 2006, №2.
273. Работа судов Российской Федерации в 2003 году (статистика). „Росс. юстиция“, 2004, №4.
274. Работа федеральных судов общей юрисдикции и мировых судей Российской Федерации в первом полугодии 2003 года (статистика). „Росс. юстиция“, 2004, №4.
275. Рекомендация №R (99)19 Комитета Министров Совета Европы государствам – членам Совета Европы: Посредничество в уголовных делах (принята 15 сентября 1992 г.). „Росс. юстиция“, 2003, №16.
276. Речи известных русских юристов (сборник). М., „Юрид. лит.“, 1985.
277. Рисдал, Ролв. Проблема защиты прав человека в объединенной Европе. „Гос. и право“, 1993, №4.
278. Розин Н.Н. Уголовное судопроизводство (Пособие к лекциям). Томск, 1913.
279. Романов А.К. Правовая система Англии. М. „Дело“, 2000.
280. Рустамов. Х. У. Проблема отвода в суде присяжных. „Гос. и право“, 1997, №6.
281. Саванели Б. Правопорядок и юридическая практика. Тб., 1981.
282. Савина И.Г. О расширении состязательных начал в суде и на предварительном следствии (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 280-285).
283. Савицкий В.М. Организация судебной власти в Российской Федерации. М., 1996.

284. Савицкий В.М., Ларин А.М. Уголовный процесс. Словарь-справочник, М., 1999.
285. Сайдов А.Х. Общепризнанные права человека. Уч. пособие. М., „МЗ Пресс“, 2002.
286. Садыков Ф. Я – против суда присяжных. „Росс. Юстиция“, 1997, №1.
287. Слободкин Ю. О суде присяжных без прикрас. „Сов. юстиция“, 1990, №9.
288. Смоев В.А., Чернявский В.С. О финансировании судебной власти в Российской Федерации. „Гос. и право“, 2005, №10.
289. Словарь иностранных слов. М., „Русский язык“, 1979, 1981.
290. Смикалин А. Судебная реформа 1864 года. „Росс. юстиция“, 2001, №5,
291. Смирнов А.В. Модели уголовного судопроизводства. М., 2001.
292. Смирнов В.П. Проблемы состязательности в науке Российского уголовно-процессуального права. „Гос. и право“, 2001, №8.
293. Смолярчук В.И. Гиганты и чародеи слова (Русские судебные ораторы второй половины XIX – начала XX века). М., „Юрид. лит.“, 1984.
294. Соединенные Штаты Америки: Конституция и законодательные акты. Под ред. и со вступительной статьей О.А. Жукова. М., „Прогресс“, „Универс“, 1993.
295. Стецовский Ю.И. Судебная власть. М. „Дело“, 1999.
296. Судебная власть: проблемы и перспективы. (Сборник статей). Ин-т гос. и права РАН (Под ред. Б.Н. Топорнина и И.Л. Петрухина), М., 2001.
297. Судебная защита прав и свобод граждан. Научно-практ. пособие (Отв. ред. В.П. Кашепов). М., „Норма“, 1999.
298. Стратегия борьбы с преступностью (материалы научно-практической конференции). „Гос. и право“, 2004, №3 и №4.
299. Судебные системы западных государств. М., 1991.

300. „Суд народа“: обзор дел, рассмотренных судами с участием присяжных заседателей в 2003 году (судебная практика). „Росс. юстиция“, 2004. №5.
301. Средства массовой информации и судебная власть в России (Подг. фондом защиты гласности). М., 1998.
302. Структура и механизм судебной власти (Под ред. И.Л. Петрухина). М., „Проспект“, 2003.
303. Судебные системы западных государств (Под ред. В.А. Туманова). М., „Наука“, 1991.
304. Суд присяжных. Пособие для судей (Науч. ред. С. Тейман). М., 1994.
305. Суд присяжных: квалификация преступлений и процедура рассмотрения дел (Научно-практическое пособие). М., „Норма“, 2006.
306. Судебные ораторы Франции XIX века. Речи в политических и уголовных делах (Составитель – Е.М. Ворожейник). М. 2001.
307. Тейман С. Введение народного участия в отправлении правосудия в Республике Казахстан. „Росс. юстиция“, 2004, №6.
308. Тейман С. Суд присяжных в современной России глазами американского юриста. „Гос. и право“, 1995, №2.
309. Тейман С. Реформа инквизиционного правосудия в Венесуэле. Суд присяжных уступает место суду шефенов. „Росс. юстиция“, 2002, №4.
310. Тенчев Э.С., Кузмина О.В. Объективная истина и суд присяжных. „Гос. и право“, 1994, №11.
311. Терехин В.А. Самостоятельность судебной власти и независимость судей как гарантия прав граждан. „Гос. и право“, 2001, №8.
312. Теория права и государства. Учебник (Под ред. В.В. Лазарева). М., „Право и закон“, 1996.
- 312а. Теория государства и права. Учебник (Под ред. В.М. Карельского и В.Д. Перевалова), 2-ое изд. М., „Норма“, 2000.

313. Теоретические и практические аспекты развития правовой системы Российской Федерации в условиях глобализации (работа ИГП РАН РФ). „Гос. и право“, 2005, №1.
314. Тихомирова Л.В., Тихомиров М.Ю. Юридическая энциклопедия. М., 1999.
315. Тихомиров Ю.А. Курс сравнительного правоведения. М., „Норма“, 1996.
- 315а. Толстой Л.Н. Собрание сочинений, т. 10. М., „Правда“, 1984.
316. Тотьев К.Ю. Публичный интерес в правовой доктрине и законодательстве. „Гос. и право“, 2002, №9.
317. Тушев А. Роль прокурора в реализации принципа состязательности в уголовном процессе. „Росс. юстиция“, 2003, №1.
318. Уайнреб Л.Л. Отказ в правосудии. Уголовный процесс в США. (Перевод с англ.). М., „Юрид. лит.“, 1985.
319. Уголовная юстиция: проблемы международного сотрудничества. М., „БЕК“, 1994.
320. Уголовное право зарубежных государств. Общая часть. (Ред. И.М. Козочкин). М., 2001.
321. Уголовное право буржуазных стран. Общая часть. Сборник законодательных актов. М., Изд.-во Ун.-та дружбы народов, М., 1990.
322. Уголовное право. Учебник, М., 1995.
323. Уголовный закон в практике мирового судьи (научно-практическое пособие). Под ред. А.В. Галаховой. М., „Норма“, 1994.
324. Уголовно-процессуальное право. Учебник (Под ред. В.И. Радченко). М., „Юристь“, 2005.
325. Уголовно-процессуальное право. Учебник (Под ред. П.А. Лупинской). 3-е изд. М., „Спарк“, 2002.
326. Уголовный процесс. Учебник (Под ред. К.Ф. Гуценко). 3-ое изд., М., „Юристь“, 2005.
327. Уголовный процесс (Под ред. В.П. Божьева). 3-е изд., М., „Спарк“, 2002.

328. Уголовно-процессуальный кодекс Республики Беларусь. СПб, „Юридический центр Пресс“, 2001.
329. Уголовно-процессуальный кодекс Российской Федерации. М., „Юристь“, 2005.
330. Уголовно-процессуальный кодекс Украины. Харьков, „Пегас“, 2001.
331. Уголовно-процессуальный кодекс Федеративной Республики Германии. М., „Манускрипт“, 1994.
332. Ульянова Л.Т. Роль адвоката-защитника в реализации принципа состязательности и равноправия сторон в уголовном судопроизводстве. „Вестник моск. ун-та“, серия 11, Право, 2006, №4.
333. Устав уголовного судопроизводства. Санкт-Петербург, 1914.
- 333а. Уолкер Р., Английская судебная система. М., 1980.
334. УПК РСФСР. Суд присяжных (комментарий). Проверка судом соблюдения закона при аресте (судебная практика). Под ред. А.Р. Куницына. М., „Солекс“, 1994.
335. Урба Е. Предоставить субъекту федерации больше самостоятельности при формировании корпуса мировых судей. „Росс. юстиция“, 2003, №3.
336. Филимонов Б.А. Уголовный процесс ФРГ. М., изд-во МГУ, 1974.
337. Филимонов Б.А. Основы уголовного процесса Германии. М., изд-во МГУ, 1994.
338. Филиппов С.В. Судебная система США. М., „Наука“, 1980.
339. Флямер М. Уголовно-правовое посредничество как способ примирения сторон. „Росс. юстиция“, 2003, №9.
340. Фоков А.П. Судебный контроль как функция судебной власти (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 285-289).
341. Халдеев Л.С. Судья в уголовном процессе. М., „Юристь“, 2000.
342. Хрестоматия по истории государства и права зарубежных

- страп (Под ред. З.М. Черниловского). М., „Юрид. лит.“, 1984.
343. Хрестоматия по уголовному процессу России (Автор-составитель Э.Ф. Кузнецова). М., „Городец“, 1999.
344. Чельцов М.А. Советский уголовный процесс. Учебник. 4-ое изд. М., „Юрид. лит.“, 1962.
345. Четвериков А.О. Основные положения проекта конституции Европейского Союза и правовые аспекты формирования общего социального пространства Российской Федерации и Европы (В сб.: „СНГ, Россия и Европа: Сборник статей“. Сост. А.В. Захаров. М., ЗАО „Юстицинформ“, 2006.
346. Чернявский В. Судебная власть должна получить право на самостоятельность в бюджетном процессе. „Росс. юстиция“, 2004, №4.
347. Чериловский З.М. Всеобщая история государства и права. Учебник. 2-ое изд. М., „Высшая школа“, 1983.
348. Чиркин В.Е. Президентская власть. „Гос. и право“, 1997, №5.
349. Шарвен Р. Юстиция во Франции (Перевод с французского). М., „Прогресс“, 1978.
350. Шварц О. Гарантии права на судебную защиту в Европейской конвенции о правах человека и основных свобод (В сб.: „Государство и право на рубеже веков...“, с. 290-298).
351. Шевцов В.С. Право и судебная власть в Российской Федерации. М., „Профобразование“, 2003.
352. Шейфер С.А. Роль защиты в формировании доказательственной базы по уголовному делу. „Гос. и право“, 2006, №7.
353. Шейфер С.А. Проблемы допустимости доказательств требуют дальнейшей разработки. „Гос. и право“, 2001, №10.
355. Шестакова С. Допустимость доказательств в уголовном процессе России и США. „Уголовное право“, 2004, №3.

356. Шестакова С.Д. Состязательность уголовного процесса. СПб., „Юрид. центр Пресс“, 2001.
357. Шушанашвили А. Гласность в советском уголовном процессе. Тб., „Мецниереба“, 1969.
358. Юридический энциклопедический словарь. М., „Советская энциклопедия“, 1984.
359. Юшков Ю.Н. Обвинительный уклон в уголовном процессе: предпосылки и последствия. „Правоведение“, 1994, №1.
360. Юшков С.В. История государства и права СССР (ч. 1). М., 1948.
361. Яковлев Л.М., Право и социология. Кризис законности в США. М., „Юрид.лит.“, 1975.
362. Яновский К.Э. Порядок финансирования судебной системы как гарантия независимости суда (В сб.: „Правовая реформа, судебная реформа и конституционная экономика: Сборник статей“; сост. П.Д. Баренбойм). М., 2004.
363. Wishman, Seymour. Anatomy of a jury. Penguin Books, Ltd, Middlesex, England, 1986.
364. Beylke, Werner. Strafprozessrecht. 4, neubearb. Auflage. Heidelberg: Muller verlag, 2000.
365. Volk, Klaus. Strafprozessrecht. 2. auflage, Verlag C.H. Beck Munchen, 2001.

**გ. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები  
(ქართულ და რუსულ ენებზე) და ზოგიერთი სხვა**

366. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები( 2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), თბ., 2007.
367. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ). სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2002.
368. თ. ლილუაშვილი, ვ. ზრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ. „სანი“, 2004.



369. Научно-практический комментарий к Уголовно-процессуальному кодексу РСФСР. Под ред. В.М. Лебедева. М., „Спарк“, 1997.
370. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу РСФСР (Отв. ред. В.И. Радченко). 2-ое изд. М., „Юрист“, 1999.
371. Научно-практический комментарий к Уголовно-процессуальному кодексу РСФСР. 3-е изд. М., „Спарк“, 2000.
372. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации. М., „Экзамен“, 2002.
373. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации. М., „Норма“, 2002.
374. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации. М., „ЭКСМО“, 2003.
375. Безлепкин Б.Т. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации (постатейный). М., „ТК Велби“, 2003.
376. Борисов А.Б. Комментарий к Уголовно-процессуальному кодексу Российской Федерации (постатейный). М., „Книжный мир“, 2006.
377. Комментарий к постановлениям Пленума Верховного Суда Российской Федерации. М., „Юристь“, 2001.
378. Ласточкина С.Г., Хохлова Н.Н. Сборник постановлений пленумов Верховного Судов СССР и РСФСР по уголовным делам. М., 2001.
379. История законодательства СССР и РСФСР по уголовному процессу. 1955-1991 гг. Сборник правовых актов. М., „Спарк“, 1997.
380. Микеле де Сальвиа. Прецеденты Европейского Суда по правам человека. СПб., „Юридический центр Пресс“, 2004.
381. Хрестоматия по уголовному процессу России. М., „Городец“, 1999.

შესავალი..... 8

სქემა №1. სამართლებრივი და სასამართლო სისტემები – მათი ქვესისტემებითურთ (გამარტივებულად).....11

**ნაწილი პირველი**

ნაწილს მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოების ინსტიტუციური რაობა და მათი ადგილი სასამართლო სისტემაში

თავი I. დიხოტომია: სასამართლო ხელისუფლება და სასამართლო სისტემა (ძირითადი ვექტორები და კონცეფტუალური პარადიგმები)..... 20

§1. სასამართლო ხელისუფლების როლი და ადგილი სამართლებრივ სახელმწიფოში, ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ფონზე..... 20

§2. სასამართლო ხელისუფლების, სასამართლო სისტემების, სასამართლოების/მოსამართლეთა თანამედროვე საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები/მოკლე მიმოხილვა თემის კონტექსტში/..... 35

2.2. ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული აქტების ნუსხა 36

2.3. სამართლიანი სასამართლოს უფლება და ადეკვატური სამართლო მექანიზმები /თემის კონტექსტში/..... 40

2.4. ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატთა/მომრიგებელთა სასამართლოების „შესაბამისობა“ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან /მოკლე მიმოხილვა/..... 59

სქემა №2. განსახილველ ინსტიტუტთა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა.....60

§3. თანამედროვე სასამართლო სისტემების ზოგადი დახასიათება (თემის კონტექსტში)..... 62

3.1. შესავალი (ზოგიერთი თეორიული ასპექტი)..... 62

3.2. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო სისტემებისა და სასამართლო ორგანოების კლასიფიკაცია (მოკლე მიმოხილვითურთ).....	64
3.3. სახელმწიფოთა შორისი იურისდიქციები (ზოგადი სქემა).....	78
<b>თავი II. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოების ინსტიტუციური ნიშნები და მათი აღბილი სასამართლო სისტემაში.....</b>	<b>80</b>
<b>§1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური ნიშნები.....</b>	<b>80</b>
1.1. ტერმინოლოგიურ-ცნებითი საკითხები.....	80
1.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუციური ნიშნები (ნუსხა, კლასიფიკაცია და ზოგადი დახასიათება).....	81
1.3. ფიცის მიღება (მნიშვნელობა. რიტუალი).....	82
1.4. ნაფიც მსაჯულთა გამწესების (შერჩევის) შეთხვევითობისა და მათი წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა.....	83
<b>ჩანართი №1. რატომ თორმეტივე მაშაკაცი? (ვარიაცა თემაზე: „თორმეტი განრისხებული მაშაკაცი“!.).....</b>	<b>84</b>
1.5. ნაფიც მსაჯულთა არამუდმივი ფუნქციონირება.....	85
1.6. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის უფლება – გამოიტანოს გადაწყვეტილება კანონის იგნორირებით.....	86
1.7. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის მიერ ფაქტის (დამნაშავეობა-უდანაშაულობის) საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა.....	86
1.8. საგამონაკლისო და/ან „უცნაური“ გადაწყვეტები.....	89
<b>§2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები.....</b>	<b>92</b>
2.1. ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებების ნუსხა მოკლე მიმოხილვითურთ.....	92
2.2. Pro და contra არგუმენტები „ორსახოვანი იანუსის“ როლში (თემის აუცილებელი გაგრძელება).....	94
<b>§3. მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოების ინსტიტუციური და სხვა „კერძო“ ნიშნები.....</b>	<b>98</b>
3.1. ტერმინოლოგიურ-ცნებითი საკითხები.....	98

3.2. მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოები და შესაბამისი მოსამართლეები: რას გვამცნობს მათ სტატუსთა შედარება?..	101
3.3. მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოების ძირითადი დადებითი და უარყოფითი ნიშან-თვისებები (მხარეები, ასპექტები).....	103
3.4. ინსტიტუციურ ნიშნებთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი (დასკვნები) .....	109
<b>§4. ნაფიც მსაჯულთა და მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში .....</b>	<b>110</b>
4.1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში .....	110
<b>ჩანართი №2. საით უბიძგა სინდისმა ნაფიც მსაჯულებს (ისტორიის ფრაგმენტი) .....</b>	<b>116</b>
4.2. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების როლი და ადგილი თანამედროვე სასამართლო სისტემებში .....	120

## **ნაწილი მეორე**

### **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო**

<b>თავი I. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა, ინსტიტუციონირება და გავრცელება .....</b>	<b>124</b>
<b>§1. ვერსიები წარმოშობის თაობაზე. ნორმანდიულ-ინგლისური ვერსიის პრიმატულობა (მოკლე ისტორიული ექსკურსი) .....</b>	<b>124</b>
1.1. ძველათენური ჰელიცია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დიდებული „შორეული წინაპარი“?! /პრეისტორიის ფრაგმენტები/ .....	124
1.2. თანამედროვე ვერსიები (მოკლე ანალიზი) .....	125
<b>ჩანართი №3. ისტორიული ფონი რამდენიმე შტრიხით .....</b>	<b>127</b>
1.3. ჩასახვა (ნორმანდიულ-ინგლისური ვერსია).....	129
1.4. პირველი ნაბიჯები ინსტიტუციონირებისკენ .....	132
1.5. დიდი და მცირე ჟიურის რაობის საკითხისათვის .....	134

§2. ინსტიტუციონირების პროცესი და მისი გასრულება/„ეკლიანი“ გზის რთული მონაკვეთები/.....	136
ჩანართი №4. სამოქალაქო მამაცობის ერთი თვალსაჩინო „ინგლისური გაკვეთილი“.....	139
§3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაერცელება (საერთო სურათი. „დასახლება“ ღილი ბრიტანეთის იმპერიასა და კოლონიებში – აშშ-ს მაგალითზე).....	141
3.1. პირველი ნაბიჯები და შემდგომი „დაჩქარებული ინტერვენცია“.....	141
3.2. როგორ მოიპოვეს შეუპოვარმა ამერიკელებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარანტირებული უფლება თუ „პრივილეგია“?.....	142
ჩანართი №5. რატომ მიიჩნევდნენ ამერიკული კოლონიები, რომ ინგლისელთაგან არ იყო გარანტირებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება?.....	143
ჩანართი №6. ვარიაციები თემაზე: თავისუფლებაა უფრო პრიმატული, წესრიგი თუ თანასწორობა?.....	146
§3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „ვეროპული ინტერვენცია“ (ფრაგმენტები).....	147
3.1. საერთო სურათის ზოგადი შტრიხები.....	147
3.2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფრანგული „ოდისეა“.....	147
ჩანართი №7. ნაპოლეონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საჭიროების თაობაზე: საინტერესო აპელირება „მეექვსე გრძობაზე“ ანუ სინდისზე!.....	148
ჩანართი №8. პროფესიული პრინციპებისაღმძი ერთგულების ერთი მისაბადი მაგალითი.....	150
§4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „პირველი გამოჩენა“ ცარისტულ რუსეთში.....	152
4.1. საერთო ფონი და არსებითი წანამძღვრები. დაფუძნება.....	152
ჩანართი №9. ა.ფ. კონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების წინაპირობების, მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შესახებ.....	154

4.2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სტრუქტურა.....	155
4.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენცია (განსჯადობა), მისი ფუნქციონირება და მათი „მეტამორფოზები“.....	156
ჩანართი №10. როცა ნაფიცი მსაჯულები... მათხოვრობენ!.....	157
ჩანართი №11. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ლ. ტოლსტოისა და თ. დოსტოევსკის თვალთახედვათა პრიზმაში ანუ აჩრდილები საბედისწერო კითხვისა: „pro et contra?“.....	159
თავი II. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თანამე- დროვე მსოფლიოში: დაკნინების ხანგრძლივი ტენდენციის მიუხედავად, ფუნქციონირება ბრძელდება.....	162
§1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უკუსვლა-დაკნინების ტენდენცია და მისი შედეგები (პარამეტრები).....	162
1.1. რომელ ქვეყნებში გაუქმდა თუ გადაკეთდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?.....	162
სქემა №3. ქვეყნები, სადაც არსებობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (კლასიკური ან მასთან მიახლოებული მოდელი) და ამჟამად გაუქმებულია.....	163
1.2. სქემის აუცილებელი კომენტარი ორი დასკვნითურთ.....	165
1.3. უიღბლო ვენესუელური ექსპერიმენტი: მიზეზთა ძიებაში....	166
1.4. ინსტიტუტის „მესამედ მოსული“ ესპანური ვარიანტი, მისი „ფათერაკებიანი“ წარსული და აწმყო.....	168
1.5. რუსეთი: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ „ფეხი იბრუნა“.....	170
1.6. ინგლისი: ნაფიც მსაჯულთა „მოდელური“ სასამართლოს დაღმასვლა თუ იძულებითი მოდერნიზაცია დროის მოთხოვნათა შესაბამისად?.....	172
§2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „გეოგრაფია“ – გავრცელებუ- ლობა თანამედროვე მსოფლიოში (პარამეტრები და ცალკეული ტენდენციები).....	175
2.1. საერთო ფონი და გავრცელებულობის სქემატური სურათი.....	175

სქემა №4. ქვეყნები, რომელთაც ამჟამად რეალურად გააჩნიათ ნაფიც მსაჯულთა მოქმედი სასამართლოები.....	177
2.2. სქემის მცირე კომენტარი დასკვნებითურთ.....	179
§3. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები (მაგისტრალური ტენდენციების სქემატური ანალიზი).....	181
§4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსჯადობა და ჟიურის შემადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებზე.....	183
4.1. წინასწარი შენიშვნები და სქემატური სურათი.....	183
სქემა №5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა და შემადგენლობა სისხლის სამართლის საქმეებზე.....	183
4.2. სქემის აუცილებელი კომენტარი (განზოგადება) და „მიმღებარე“ საკითხები.....	186
§5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების განსჯადობა და ჟიურის შემადგენლობა სამოქალაქო საქმეებზე.....	189
5.1. წინასწარი შენიშვნები და სქემატური სურათი.....	189
სქემა №6. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა და შემადგენლობა სამოქალაქო საქმეებზე.....	190
5.2. სქემის მოკლე ანალიზი და ზოგიერთი სხვა (მომიჯნავე) საკითხი.....	192
ჩანართი №12. ფრაგმენტები აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს „სამოქალაქო სამართლებრივი ისტორიიდან“ – იმდენადვე საინტერესო, რამდენადც ნიშანდობლივი!.....	194
თავი III. ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა სიების შედგენა-დაზუსტება და ჟიურის ფორმირება /კონტინგენტი. პროცედურები. მეთოდები/.....	196
§ 1. ზოგადი სქემატური სურათი.....	196
სქემა №7. ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა საერთო სიის შედ- გენა-დაზუსტება, საბოლოო სიის შედგენა, მისი სასამართლოში „გაცხრილვა“, კანდიდატთა გამოძახება და ჟიურის ფორმირება (პროცედურები, ეტაპები).....	197

§2. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა საერთო (პირველადი) სიების შედგენა, მათი „გენერალური გაცხრილვა“ და „ვარგისთა“ სავარაუდო კონტინგენტის განსაზღვრა.....	199
§3. საერთო სიების ხელახალი დაზუსტება (ანკეტირება) სასამართლოებში, საბოლოო სიის შედგენა, გამოქვეყნება და სასამართლოს შესაბამისი მუშაკებისათვის გადაცემა.....	205
§4. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი საფუძვლები (გარემოებები, ფაქტორები, მახასიათებლები).....	207
4.1. კლასიფიკაციის საკითხები.....	207
4.2. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი იმპერატიული საფუძვლები (გარემოებები).....	207
4.3. ნაფიც მსაჯულად გამწესების გამომრიცხავი არაიმპერატიული საფუძვლები (გარემოებები).....	211
§ 5. კონკრეტულ საქმეზე ნაფიც მსაჯულად გასამწესებლად კანდიდატთა გამოძახება, მათი განთავსება, მატერიალური და ინფორმაციული უზრუნველყოფა (პროცედურული და ორგანიზაციული ასპექტები).....	213
5.1. გამოსაძახებელთა რაოდენობისა და კონტინგენტის განსაზღვრა .....	213
5.2. კანდიდატთა გამოძახება, რეგისტრაცია, განთავსება და ინსტრუქტაჟი .....	215
5.3. ანაზღაურება (კომპენსაციები) .....	217
ჩანართი №13. აშშ: რამდენად ადეკვატურად უნაზღაურებენ ნაფიც მსაჯულებს შრომას და, საერთოდ, რა „ღირს“ ამ ქვეყანაში ეს ინსტიტუტი?.....	217
§6. ნაფიც მსაჯულთა ჟიურის (კოლეგიის, შემადგენლობის) ფორმირება .....	219
6.1. პროცედურები ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სხდომის დარბაზში მიწვევამდე (მოსამზადებელი ნაწილი).....	219
ჩანართი №14. რა ვადებში იხილავენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები სისხლის სამართლის საქმეებს?.....	221
6.2. პროცედურები სხდომის დარბაზში ნაფიც მსაჯულთა მიწვევის შემდეგ .....	222



6.3. თვითაცილებათა და აცილებათა განხილვა-გადაწყვეტა.....	224
ჩანართი №15. ნაფიც მსაჯულის საჭირო „მოდელის“ შემუშავებული ფირმების წარმატებული „ინდუსტრია“ .....	240
§7. ნაფიც მსაჯულთა წინამძღოლის არჩევა, ფიცის დადების რიტუალი და უფლება-მოვალეობების განმარტება.....	242
7.1. წინამძღოლის არჩევა.....	242
7.2. ნაფიც მსაჯულთა მიერ ფიცის დადება.....	243
7.3. ნაფიც მსაჯულთათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების განმარტება მოსამართლის მიერ.....	244
თავი VI. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის, გადაწყვეტილებათა მიღებისა და გასაჩივრების თავისებურებანი /წესები, პროცედურები, მეთოდები/ .....	247
შესავალი.....	247
§1. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განსახილველი საქმის წინასწარი მოსმენის (სამართალში მიცემის) თავისებურებანი...247	247
1.1. ინგლისური მოდელი .....	247
1.2. ამერიკული მოდელი.....	250
1.3. რუსული მოდელი.....	252
§2. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვისას სა- სამართლო გამოძიების თავისებურებანი.....	254
2.1. რუსული მოდელი .....	254
2.2. ინგლისური და ამერიკული მოდელები.....	258
§3. მხარეთა კამათი, რეპლიკები და განსასჯელის საბოლოო სიტყვა /სპეციფიკური ასპექტები/.....	263
3.1. მხარეთა კამათი.....	263
3.2. რეპლიკები .....	264
3.3. განსასჯელის საბოლოო სიტყვა.....	264
ჩანართი №16. დაზარალებული ნაფიც მსაჯულთა პროცესში: ამერიკული და რუსული მიდგომების ერთი აქტუალური ასპექტი.....	265

3.4. ანალოგიური პროცედურები ვერდიქტის საფუძველზე, მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანის წინ („მეორე რაუნდი“)	267
<b>§4. ნაფიც მსაჯულთა ჯიურის (კოლეგიის, შემადგენლობის) წინაშე გადასაწყვეტად დასმული საკითხები</b>	<b>270</b>
4.1. რუსული მოდელი	270
4.2. ესპანური მოდელის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	276
4.3. ანგლოსაქსური (ინგლისურ-ამერიკული) მოდელი	277
4.4. რამდენად არასამართლებრივი ანუ წმინდა ფაქტობრივია ნაფიც მსაჯულთა მიერ გადასაწყვეტი საკითხები? (მოკლე შენიშვნები)	279
<b>§5. სხდომის თავმჯდომარის სადამრიგებლო სიტყვა (მითითება, ინსტრუქცია, ღირექტივა...)</b>	<b>281</b>
5.1. რუსული მოდელი	281
5.2. ანგლოსაქსური მოდელი	287
<b>§6. ვერდიქტი, მისი გამოტანა და გამოცხადება</b>	<b>290</b>
6.1. შესავალი საკითხები (ვერდიქტი და მისი თავისებურებანი)	290
6.2. ნაფიც მსაჯულთა თათბირი (ზოგადი სქემა)	291
6.3. ვერდიქტის გამოტანა და მისი გამოცხადება	292
<b>§7. განაჩენის დადგენა. გასაჩივრება. გადასინჯვა.</b>	<b>306</b>
7.1. მცირე შესავალი	306
7.2. რუსული მოდელი	306
7.3. ესპანური სისტემა (სპეციფიკური ნოველები)	313
7.4. ანგლოსაქსური მოდელი და მისი ვარიაციები	314
<b>§8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სპეციფიკური და/ან დილემური პრობლემები /შეჯამება/</b>	<b>325</b>
8.1. ნაფიც მსაჯულებზე მხარეთა ზეგავლენის საფრთხეთა შესახებ (ზოგიერთი ასპექტის მოკლე მიმოხილვა)	325
8.2. ე.წ. „შოკისმომგვრელი მტკიცებულებების“ (Inflammatory evidence) შესახებ	327

8.3. მართლმსაჯულება და მედია:თანამშრომლობისა და კონფრონტაციის ძირითადი ვექტორები, უმთავრესი პარადიგმები და რეალური პარამეტრები..... 329

8.4. რამდენიმე შტრიხით „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ თაობაზე .....331

8.5. ჭეშმარიტების პრობლემის სპეციფიკური წახნაგები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში („ნულიფიკაციის“ ფონზე) .....334

**ნაწილი მესამე**

**მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოები**

**თავი I. მაგისტრატთა სასამართლოების/მომრიგებელი იუსტიციის წარმოშობა, ინსტიტუციონირება და გავრცელება მსოფლიოში.....342**

**§ 1. მაგისტრატთა სასამართლოების/მომრიგებელი იუსტიციის წარმოშობა და ინსტიტაციონირება /მოკლე ანალიზი/ .....342**

ჩანართი №16. Prima facie ბიბლიური ფესვების თაობაზე .....343

**§2. მაგისტრატთა/მომრიგებელი სასამართლოების გავრცელება .....345**

2.1. ინსტიტუტის გავრცელება ინგლისურ კოლონიებში და „დანარჩენ მსოფლიოში“ .....345

2.2. ინსტიტუტის „ფრანგული მეტამორფოზები“ .....346

2.3. მომრიგებელი იუსტიციის „ოდისეა“ მეფის რუსეთში .....348

**თავი II. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა და ფუნქციონირება.....350**

**§1. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა და ფუნქციონირება ინგლისში .....350**

1.1. ორგანიზაცია .....350

1.2. განსჯადობა.....352

1.3. ფუნქციონირება (პროცედურები)..... 355

**§2. მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა სასამართლოების ორგანიზაცია, განსჯადობა და ფუნქციონირება აშშ-ში.....360**

2.1. ორგანიზაცია .....	360
2.2. განსჯადობა .....	362
2.3. ფუნქციონირება (პროცედურები) .....	364
<b>§3. მომრიგებელი სასამართლოს თანამედროვე რუსული მოდელი..</b>	<b>373</b>
3.1. იურიდიული და ფაქტობრივი „რეინკარნაცია“ (ხელახალი დაფუძნების ეტაპები) .....	373
3.2. მომრიგებელ სასამართლოთა რიცხოვნობა, სტრუქტურა და ორგანიზაცია .....	374
3.3. მომრიგებელ მოსამართლეთა შერჩევა-გამწესება, მათი აპარატი, ხელფასითა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა .....	375
3.4. მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია/განსჯადობა სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე .....	377
3.5. საქმეთა განხილვის პროცედურები .....	379
3.6. მომრიგებელ სასამართლოთა მუშაობის პირველი შედეგები და არსებული პრობლემები .....	384

## **ნაფიცო მართა**

**ნაფიცო მსაჯულთა და მაგისტრატ მოსამართლეთა  
ინსტიტუტების ქართული მოდელი**

<b>თავი I. ნაფიცო მსაჯულთა და მაგისტრატ/მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტების ქართული ისტორიული პარალელები და ვარიანტები (მოკლე რეპროდუცირებული მიმოხილვა).....</b>	<b>388</b>
--	------------

<b>მცირე შესავალი.....</b>	<b>388</b>
----------------------------	------------

<b>§1. როგორია „ქართული კვალი“ ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტის „საყოველთაო ისტორიაში“?</b> .....	<b>388</b>
1.1. ისტორიული ფონი (ფრაგმენტები) .....	388
1.2. ილია ჭავჭავაძე და ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტი: იმედი ამაოა... ..	390
1.3. ნაფიცო მსაჯულთა სასამართლო ცარიზმის შემდგომ, დამოუკიდებელ საქართველოში (1917-1921 წწ.) .....	393

§2. მომრიგებელი იუსტიციის „ქართული გამოვლინებანი“ (ისტორიული ფესვები და „რუსული გაბრკელება“)	399
2.1. მცირე შესავალი	399
2.2. ფრაგმენტები მომრიგებლობის ქართული ისტორიული ტრადიციებიდან	400
2.3. მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირება ცარიზმისდრინდელ საქართველოში ილია ჭავჭავაძის თვალთახედვით	402
ჩანართი №18. ილია ჭავჭავაძე – მომრიგებელი მოსამართლე (მცირე ბიოგრაფიული ეტიუდი – ფრაგმენტი)	404
თავი II. კოსტსაბჭოური სასამართლო რეფორმები და მათი შედეგი – თანამედროვე ქართული სასამართლო სისტემა	407
§1. სასამართლო რეფორმისა და „კონტრეფორმის“ ძირითადი კონტურები	407
1.1. შესავალი	407
ჩანართი №19. „დაე, დაიქცეს ქვეყანა, ოღონდ სამართალი აღსრულდეს!“	409
1.2. პირველი ქართული პოსტსოციალისტური სასამართლო რეფორმის ძირითადი წინამძღვრები და კონტურები (სქემატური სურათი)	415
1.3. ხელახალი სასამართლო რეფორმა („კონტრეფორმა“?) და მისი პარამეტრები	418
1.4. მოქმედი სასამართლო სისტემის სქემატური „ანატომია“	420
სქემა №8. საქართველოს საერთო სასამართლოთა სისტემა (2008 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით)	
1.5. სქემის პრობლემატიკის აუცილებელი მინიმალური კომენტარი	422
1.6. ქართული სასამართლოები დღეს: როგორია მათი რეიტინგი?	428

თავი III. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თანამედროვე ქართული მოდელი.....	432
მცირე, მაგრამ აუცილებელი შესავალი.....	432
§1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელის სტატუსი (განსჯადობა, დაცვა, აცილება).....	433
1.1. განსჯადობა.....	433
1.2. სავალდებულო დაცვა.....	436
1.3. ნაფიც მსაჯულთა აცილებისა და თვითაცილების საფუძვლები.....	437
1.4. ნაფიც მსაჯულთა შეუთავსებლობის ცალსახა და შეფასებითი კრიტერიუმები.....	439
1.5. ნაფიც მსაჯულთა მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები..	441
1.6. ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა.....	442
1.7. ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯები და მათი ანაზღაურება („სოციალური გარანტიები“).....	443
§2. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა, კანდიდატთა შერჩევა, შემადგენლობის ფორმირება და ფიცის დადება.....	444
2.1. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის შედგენა.....	444
2.2. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა. აცილება და თვითაცილება.....	446
2.3. ნაფიც მსაჯულთაგან უფროსი მსაჯულის შერჩევა და ფიცის დადება.....	451
2.4. ნაფიც მსაჯულთა უფლებები და მოვალეობები.....	452
2.5. მტკიცებულებათა დაუშვებლობა („ჩანართი საკითხის“ ფრაგმენტი).....	456
2.6. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთათვის.....	456
2.7. ნაფიც მსაჯულთა თათბირი და სხვა „მოსაზღვრე“ საკითხები.....	460
2.8. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, მისი ფორმა და გამოცხადება. ვერდიქტის გამოტანის უუნარობა.....	463
2.9. მოსამართლის მიერ სასჯელის დანიშვნა.....	469

თავი IV. მაგისტრანტი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება და მისი უზღუდავობის დაცვა	474
საქართველოში.....	474
§1. მაგისტრანტი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება საქართველოში, მისი სტატუსი და ორგანიზაცია.....	474
§2. მაგისტრანტი მოსამართლის იურიდიული (მოქმედი კანონმდებლობისა და ახალი სსსკ-ის პროექტის მიხედვით).....	478
2.1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.....	478
2.2. სსსკ-ის პროექტის მიხედვით.....	482
2.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	491
2.4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით.....	494
მცირე ბოლოთქმა.....	497
რეზიუმე (რუსულ ენაზე).....	498
ლიტერატურა.....	503

იური გაბისონია  
ნაწილად მსაჯულთა. მაგისტრატთა და  
მომრიგებელი სასამართლოები  
გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2008

IURI V. GABISONIA  
**Trial by jury, Magistrates Courts  
and Justices of the Peace (in Georgian)**  
Meridian publishers  
Tbilisi-2008

Габисония Юрий Владимирович  
**Суды присяжных заседателей. Магистратские  
и мировые суды. (на грузинском языке)**  
Издательство „Меридиани“  
Тбилиси-2008

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი  
ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი  
კორექტორი მარინე კილაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №45  
E – mail: info@meridianpub.com ტ. 39-15-22